სოფრომ მგალობლიშვილი

დედა მაია

I

სოფელი მარმარა-ღელე თვითონ, მოგეცათ სიცოცხლე, კარგ, მოსაწონ ადგილს არის გაშენებული: მაღლა გორაზე გაჭიმულა, ძირს გადასცქერია ვენახებს და ჭალებს, რომელთ შუაც მიიკლაკნება პატარა მდინარე. მაგრამ სახნავ-სათესი ამ სოფელს ძალიან შორს უძევს და ისეთ ადგილებში, სადაც არც წყალი, არც თავის შესაფარებელი ჩრდილი იპოვება. წარმოიდგინეთ: დილიდან საღამომდის მარმარა-ღელელი მუშა ადუღებულს წყალს სვამს: გუთნის მეხრეებს მწვავი სხივები მხურვალე მზისა სთუთქავენ და საქონელი, შაშვივით პირდაღებული, ზარმაცად მიაფრატუნებს ფეხებს.

მარმარა-ღელეს სერზე, აღმოსავლეთის მხარეს, გზის პირას, იდგა ტყუპი ოლე, ისე ერთმანეთზე გადახლართულები, ჩაწმახვნილები, თითქოს დიდის ხნის მოშორებული მიჯნურები ერთმანეთს შეჰხვედრიან და ჩაჰკონებიანო. ეს ოლე ობლად იდგა სერზე, ტრიალ მინდორზე; გარეშემო ეხვია სახნავ-სათესი და გამხმარი ნარის-ეკალა. მოქანცულ მგზავრისთვის სწორედ სამოთხე იყო ამ ოლეს ქვეშ გაოფლიანებულ შუბლის გაგრილება. გუთნის მეხრეები აქ სადილ-სამხრობდნენ და ხანდისხან თვალსაც წაატყუებდნენ. ბევრის მწუხარების, ვაების მოწამე იყო ის ტყუპი ოლე; იმის ქვეშ გამტვრიანებულ გუთნისდედას არა ერთხელ ამოუხვნეშია; მომკალს თავისი ნამგალი გაულესია და სევდიანად «ნამგალო» დაუ-ღიღინია; გაცივებულს ღამის მეხრეს ბევრი უკვნესია და ოხრობა შეუთვლია დაუნდობელის ბედისთვის.

დიაღ, ბევრის ვაების მოწამე იყო და არის ეს ტყუპი ოლე!

გათენდა. სერზე ხალხი, საქონელი გაიშალა: გახურდა მუშაობა. ტყუპ ოლეს ქვეშ წევს ერთი ახალგაზრდა ბიჭი, ესე ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა, ულვაშები ახლად შეკოკრებული აქვს, სიცხისაგან სახე შელანძული წევს და საშინლად გმინავს. აქეთ-იქიდან ისმის ჟღავ-ჟღუვი, «ჰოპუნას» ხმა, «ჰოროველა». ამ ბიჭს გული უკვდება, გული უჯდება თითქმის სატირლად, რომ ის აქა წევს უსაქმოდ და სხვები კი გახურებულნი შესდგომიან საქმეს. წამოიწევს, დაენდობა ხელებზე და ისევ წაწვება; გულთან ბრძოლას უწყალო სენმა სძლია.

ეს საბრალო ბიჭი იყო სანდალა ღარიბაშვილი, გუთნის მეხრე. ამ საცოდავმა სხვებსავით დილა-ადრიან მირეკა გუთნისდედისაგან დანიშნულს ალაგას გუთნეული, მაგრამ ვაი იმ გარეკას! დილით რომ ადგა, განა არა, რომ საბრალო სანდალამ წელი ვეღარ აიტანა; ტანში საშინლად შეაზმორა, ცხვირში წაუჭირა და ხელ-ფეხი შეუმცივნა. დილითვე მიხვდა, რომ რაღაც უბედურობაა იმის თავს. ერთით უნდოდა გათენებისასვე შინ წამოსულიყო, მაგრამ ვერ უღალატა გუთანს; დაეძალა თავს; შეიკრიბა ძალა და ღონე, გადაიგდო გულიდან დარდები; სულ სხვა ფიქრებმა მოიცვა ახალგაზრდა, შეღერებული ბიჭის თავი; გამოეშურა ისევ გუთნისაკენ, მაგრამ სიარულში აღარ ეტყობოდა ჩვეულებრივი სიმარდე ჭაბუკური, მხნე ნაბიჯი, მიხვრა-მოხვრა, სახრის მოქნევა, ხარ-კამეჩის წარბენა სულ

დაეკარგა; ფეხებს მთვრალი კაცივით მიაფრატუნებდა. ერთის შეხედვით შეატყობდა მეხრეობის გამომცდელი კაცი, რომ ის თავის ქეიფზედ ვერ იყო.

შეაბეს გუთანი. გაიმართა თუ არა მზე საშუადღეზე, უმატა და უმატა ამ ნაქებს ღამის მეხრეს სიცხემ და დასცა პირქვე. ეჰ, აქ ყოფნა იმას არას არგებდა. მეტი ჩარა აღარ იყო, უნდა შინ წამოსულიყო. ადგა, წამოიკუხა რუსული გახეხილი ფარაჯა, ეს ღამისსახურავი მეხრეებისა, ამოიჩარა თავის ერთგული, განუშორებელი მეგობარი, იფნის სახრე, იღლიაში და ტორტმანით, კანკალით გამოეშურა. ჩვენს ნაცნობს ოლეს ქვეშ პატარახანს იკვნესა, ივიშ-ვიშა, მაგრამ ოლემ ნუგეშის ნიშნად ფოთოლიც არ შეირყია; ადამიანივით იმანაც გულცივად შეჰხედა საწყალ მუშაკის ტანჯვას. როგორც იყო, წამოდგა დასვენების შემდეგ და წამოვიდა.

აი მოდის სანდალა და უღელავს თავში ფიქრები: სწუხს, გული უდუღს; თავში ჟრუანტელი უვლის და შუბლზე სიმწარით ჭირის ოფლს ასხამს, რომ ამ ავადმყოფობით იმას ერთის დღის ალო დააკლდება, რადგან თავობის ამოყვანამდის გუთანზე ვერ დაჰყო _ ეს უწუხებს გულს, ესა სტანჯავს სანდალას, გაბრაზებული დაჰკრეჭს კბილებს და უნდა ისევ გუთნისაკენ გამობრუნდეს, მაგრამ ვერა, ვერ მოერია სატკივარს. წამოვა ბარბაცით, შედგება კიდევ თოფნაკრავ ნადირივით. სენმა თავისი გაიტანა, აურია ტვინი, დაავიწყდა დარდები და ბოდვით წაფრატუნდა შინ ბედისაგან დაჩაგრული ღამის მეხრე.

ძლივს მოვიდა შინ. შინ სულიერი არსება არ მოიპოვება, რომ სანდალას მოუაროს. შევა სახლში, კვნესით უძახის დედას: «დედა, დედა! ოიჰმე!!. სად ჯანაბაში დაღუპულან» იმედგაწყვეტილი დერეფანში მზის გულზე, რომელიც დერეფნის ბანში სვეტად ჩამომდგარა, წაეგდება. გდია სანდალა ცარიელ მიწაზე უქვეშაგებოდ, მაზარაში გახვეული; სახრე მაგრა დაბღუჯული და გულში მიხუ-ტებული უჭირავს. ამ დერეფანში შინაურ პირუტყვის ბაკის კარია გამოღებული, საიდანაც გამოდის საშინელი დამახრჩობელი სუნი. დერეფანშივე აქა-იქ, თითქო განგებ ამოუთხრიათო, საქონლის ფეხებისაგან ამოჩიჩქნილია ორმოები; შიგ ჩაგუბებულია საქონლის შარდი და ქათმებისაგან ნეხვია ჩაყრილი. ეს ორმოები ბაყაყის ბუდის ფერია, მთელს დერეფანში ქათმებისა და გოჭებისაგან გაქექილი და მოღავებულია ნეხვი და ამ ნეხვს ზედ ზაფხულის მწვავი მზის სხივები ადგია; ადუღებს გუბეებს, აყროლებს ნეხვს და ადენს შესაზარ სუნს. ამ სიმყრალეს სიხარულით ეხვევიან, დასტრიალებენ ცელქი ბუზები; დაბერილან წუმპის წოვნით და ფირუზის ფერი დასდებიათ, სწორედ ის ფერი, რა ფერისაც თითონ წუმპეა. ბუზის ხრომ მიაგნო სანდალას, დაუწყო იმას წოვნა, მწარე კბენა და თავ-ბედი აწყევლინა.

აი, ამისთანა ჰაერგაფუჭებული, ნოტიო, ციებ-ცხელების დამბადებელ ადგილს ეგდო სანდალა მთელი დღე მოუვლელად. საჭმელი, სასმელი, თბილად ყოფნა და ოფლის მოდენა ამისთვის, აბა, რა საჭიროა! საცოდავი სანდალა, შეჭირვებული, წუთისოფლისაგან ბოლომოღებული წამოიძახებდა ხამუშ-ხამუშ: «დედა, წყალი!» მაგრამ წყალის მიმწოდებელიც არავინ ჰყავდა; უნდა დამორჩილდეს თავის ხვედრს: უნდა ადგეს და თვითონ იცეს თავში. წამოდგება, მოიკუხავს მაზარას, ჩაძვრება დარბაზში და ერთი ღმერთიანად მოიწაფებს კუტლით წყალს. ამოძვრება დარბაზიდან და წამოეგდება ისევ ისე, გაიღეღს გულს და მიუშვერს ქარსა; ელის დაღამებას, რომ დედა გაჩნდეს საიდანმე.

დაგეზებულად გამოქანებულმა დერეფნისაკენ დედაღორმა დინგის ამოკვრით შეატყობინა სანდალას დაღამება.

II

_ ჩემო სვინის ჯალაბო! ჩემო სვინის ჯალაბო! ქა, ელისაბედ, არ გესმის?!

_ რა გინდა, ქა! _ მოისმა ხმა ელისაბედისა.

_ აქეთ მოიარე ცოტა ხანს, საქმე მაქვს, _ ასე გასძახოდა ცივის და შეწუხებულის ხმით მოხუცებული დედაკაცი, სახელად მაია, თავის მეზობელს საღამო ჟამზე. ეს იყო დედა სანდალა ღარიბაშვილისა; ის ქერის გლეჯიდან მოვიდა, ნახა საღ-სალამათად დატოვებული შვილი შეღონებული და ელდა ეცა. ელისაბედმა გაიხედა კარგი დაბრანძულის კაბით, ფეხშიშველამ; თავი და მაჯები შეკრული აქვს და ჩვეულებისამებრ მოიკითხავს თავის მეზობელ მაიას.

_ ელისაბედ, ელისაბედ! _ მიატანა სიტყვა მაიამ. _ ერთი სათხოვნელი მაქვს შენთან: სანდალა არ გამხდომია, ი დედამკვდარი, ავადა!.. საწყლის შვილი გუთანზე უჯდა და ხომ ღამეც მისდევდა საქონელს ღამის მეხრედ, ოოი! შავ და უკუღმა ის დღე და ის საათი, როცა ის იქ დაუჯდა... ასე უბედურება მეწია. გენაცვალე, საღი-სალამათი შვილი... ნეტა რა დროს, კალოობა იწყობა, მკა კარზე მომდგარია... არ ვიცი, ამბობს, წუხელ წყალში ჩავვარდიო და იმაზე მომივიდაო. მაგრამ, ქალო, შენმა მზემ, დასიცხული კია. ვატყობ. წეღან, აი, ასე გადასული ყოფილიყო მზე, ჰო, სწორეთ სამხრობისას, მოვარდა თურმე სახლში თათქანითა და ბაბანითა.

_ რას იტკივებს, ქალო? მჭვალი ხომ არ ადგია? _ უთხრა თანაგრძნობით ელისაბედმა.

_ რა ბრძანებაა!.. სიცხე აქვს, გატარანებულია და თავს საშინლად იტკივებს. ახლა წამლად მასწავლეს, შაბტილო აფარე შუბლზეო. რა ვქნა, რა წყალს მივეცე მე გულმკვდრის შვილი!.. ის დასაქცევი მეწვრილმანე ურიებიც არ არიან, თორემ ერთი ჯამი ქერისას გამოვართმევდი ი შაბსა და იოლათ წავიდოდი... თუ გეგულებოდეს სადმე, ნუ დამიჭერ, აგრემც გაგიძლიერებს ღმერთი შვილებსა და იმათ ბედნიერებას მოგასწრებს წმინდა გიორგი ზედაჯვრისა.

_ იქნება მეგდოს სადმე, მოვნახავ ყუთში, შენ მუმია არ დაგეჭირება და შაბი, აბა მითხარ, რა დასაჭერია; გამომატანე კი ვინმე, მე არ შემიძლიან, დაღალული ვარ. ჩემი შვილების დარჩენამ, ისეთი ვარ, რო სუ ძვალი და რბილი ძირ ჩამომდის. ი რაღაც საცოდავი ორი დღის ქერი გვებადა, ჩემო სიცოცხლე, სუ ერთიან ხელით მოვგლიჯეთ. თითის წვერზე ცეცხლი მეკიდება, სუ ნუნებში გამამტეხს.

_ იჰ, რა დაგემართათ, ქა! ცელიანი ოსები ხო იშოვებიან, თუ თქვენ მუშა არ გეშოვებოდათ. გავაცელინებდით, ბეჩა, თავის მოკვლასა.

_ ეი, შენ კი გაიხარე იმ ორ ვაჟიშვილზე! სად იყო, გენაცვა, გასაცელი? აქა-იქ ცოდვის ლულივით კივკივებდა, ორი დღისაში არ მოგროვდა ხუთი პატარა ბულულა... ი დალოცვილმა ღმერთმა რაღა ჩვენზე მოიცალა: ეს ორი წელიწადია, მაღლა არ აგვიხედია უსარჩოობის გადამკიდე.

_ რაღა თქვენი და რაღა ჩვენი! ეგ კიდევ არაფერი, სვინის ჯალაბო, მოუსავლობას ჯანი გავარდეს. ამბობენ, ბატონს უღმერთო ღალები შეუწერიაო ნახნავებზე. საცა ერთი დღისაა, თურმე ორი დღისად წერავსო. აიჰ! არ ულხინონ იმის სიყმეს ჩემმა წმინდა სალოცავებმა ჩვენის ცოდვით.

_ ე რა მაგ სიტყვის პასუხია და წამოდი, შენ წამოიღე, რაღაც შაბი გინდა.

ორნივე ლაპარაკით წავიდნენ.

მაია გამოართმევს ელისაბედს შაბს და მთვარიან ღამეში ძარქვეშ მსხდომ ქალებთან გააბამს ბაასს იმაზედ, თუ რა მოუხდება, რა არგებს იმის შვილს. ერთი ეუბნება:

_ ქალო, თუ ციება დასჩემდეს, დოს პერანგში ჩააწვინე ხოლმე. იმისთანა უებარი არა იქნება რა, ჩემ ზაქროსაც იმან არგო.¼

_ მე ვიცი, რომ შენ სანდალას მჭვალი დასჩემდება, _ წაართვა სიტყვა ერთმა ღრმად მოხუცებულმა ბებერმა და თავგამოდებით, დაბეჯითებით დაიწყო: _ ვინიცობაა, კიდევ გამოაჩნდეს, აგურები იშოვე _ აი, ჩვენ პეტრე მღვდელსაცა აქვს _ პატარ-პატარად დაამტვრიე; მერე, ქალო, ცეცხლში ჩაყარე და გაახურე. აიღე ღვინო, ჩაასხი დიდ ტაფაში, ეს გახურებული აგურის ნამტვრევები შიგ ჩაყარე და ლოგინის ქვეშ ამოდგი. ეს უებარია მჭვლისთვის, ი ჩემი ერთი შვილის ქვეყანაზე გაძლიერებამ. ერთი არ მომირჩენია და ორი. თუ არ არგოს, დედავ და თვალო, ჩემი წყევლის მეტს ნუღარას გააკეთებ.

სხვებმაც, ვინც კი რა იცოდა და გაეგონა, გულმტკივნეულად ეუბნებოდნენ ავადმყოფის პატრონს.

ამასობაში იმის შვილს სანდალას ცივს მიწაზე უსახურავოდ გდებით ჭირი უფრო და უფრო უძნელდება, ტანში უჯდება; დედა მაია კი ქალებთან ბაასობს. მაგრამ რა ჰქნას? მაშ არა ჰკითხოს მეზობლებს რჩევა თავისი შვილის მორჩენაზე? მერე რომ აუტყდეს რამე, ხომ ქვეყანა ჩაჰქოლავს, რომ უღირსი შვილი უპატრონობით მოჰკლაო. ამიტომ გულმხურვალედ ეძებს ყოველს ღონისძიებას, მაგრამ უღონობისა და ხელმოკლეობის გამო ვერასა შოვობს.

ბედკრული მაია ცოტაოდნად ნუგეშცემული მოდის სახლისკენ და თან ევედრება წმინდა სალოცავებს, რომ შვილი იმისი განსაცდელისაგან იხსნას.

_ ადამიანო, აბა, რად დაგინებებია თავი ე კვდარი კაცისათვისა, ჰა? უპატრონო ხო არ არის! _ ეუბნება მაიას სარწყავიდან ახლადმოსული შვილი, სახელად სოლომანა.

_ იშ, შვილო, რა ვქნა, გენაცალოს დედა, წამლისათვინ ვიყავ, მე ბედშავი.

სარწყავიდან მოსული უფროსი შვილი მაიასი მწარედ ამოიოხრებს, ჩამოჯდება კუნძზე და ჩაფიქრდება.

სოლომანა არის ოცდაშვიდი წლისა, როგორც იმის დედა მაია იტყვის ხოლმე, მაგრამ შეხედვის უმალვე მიხვდება კაცი, რომ დაუნდობელ წუთისოფელს დიდი ხანია, რაც თავისი ჩაქუჩი ჩაუკრავს თავში. ტანთ აცვია დაგლეჯილი, უხეირო, კვირტ-ნარევი შალის ჩოხა, რომელსაც წინ კალთები სულ ერთიან ჩამოცვეთილი აქვს და ერთი შეხედვით კაცს ეგონება, რომ არისტოკრატივით ფრაკი აცვიაო. შარვალიც შალისა აცვია და ტოტები დაგლეჯილ პაიჭებში აქვს ჩატანებული; შიშველი ფეხები ტალახითა აქვს შესვრილი და ზედ მიჰხმობია; ხელ-პირი დაშაშრული მზისაგან, თმა გაბურძგნული და ჩაწილული ისეთნაირად, რომ გეგონებათ ამ საწყლის თავს თავის დღეში სავარცხელი არ მიჰკარებიაო. პატარა ცხოველებს შიგ დაუბუდნიათ ამ თმაში, მაგრამ სოლომანა სხვა მსხვილი მკბენარების კბენას ვერა გრძნობს და ესენი რას დააკლებენ! სოლომანას ყურადღება სხვა რამეზეა მიქცეული, ის ფიქრობს, იქნება, ამაღამ როგორმე გაათავოს სარწყავი და მერე დაობლებულმა მიჰყოს მკას ხელი. სოლომანამ მოუმატა ოხვრას. ნეტა ამოსაოხრი რა აქვს? ისა, რომ ერთის დღისას გუთნისდედა აღარ უხნავს, რადგან იმისი ძმა მოსცდა. ერთის დღის ნახნავს, იქნება, ოცი თუ არა, თხუთმეტი კოდი მაინც გამოსვლოდა და იოლად წასულიყო. თუმცა მომეტებულს

ამის ნაშრომს სხვა წაიღებდა, მაგრამ ცოტა ხომ იმასაც დარჩებოდა. აი ამას ოხრავს საწყალი სოლომანა ღარიბაშვილი.

III

დედა მაია მოამზადებს შაბს და ეუბნება შვილს ალერსით:

_ ადე, გენაცვალოს დედაშენი მაიას ორთავ თვალები. შემოდი შინა და ე რაღაც შაბია, შემოგადო შუბლზე. ეგების გიშეღავათოს და პატარა ცივმა ოფლმა გადაგკრას. უიჰ! შენ დედასა და ვაგლახი. რა სიცხე აქვს ამ დედამკვდარსა! _ ააყენებს და კრუსუნით შეიყვანს. დარბაზში აგია ჭილობის ნაგლეჯი, იმაზე გადაფენილია გაცვეთილი ფარდაგი, მაიას მზითვისა. სახურავად მოუტანა საბანი ისეთი ჭუჭყიანი და გაჭვარტლიანებული, რომ კაცი ვერ მიხვდებოდა, პირველში რა ფერისა უნდა ყოფილიყო. საბანს ჭუჭყის გამო ზინტლის სუნი ასდის. მაია თავით მოუდგამს ხის მუთაქას _ სასთუმალს, ზედ ჩოხას გადააფარებს და ეტყვის:

_ აი, შვილო, დაწექ! გენაცვალოს შენი დედის თვალები, ნუ იღეღელავებ.

_ დედა, არა არის რა? მშიან; უნდა ჩქარა წავიდე, რო ი წყალი ბოლოში არ გამივიდეს, თორემ შეტბორავს და ი რაღაც საცოდავი სიმინდია, სულ ერთიანად გამიტიალებს, _ ეუბნება სოლომანა.

_ რა ვქნა, აბა, რა გინახო..... ამ უწისქვილობის გამო კი ვერა დავფქვით რა და.....ყველაფერში ხელი აიღო ი კურთხეულმა ღმერთმა. მოიცა, შვილო, მგონი ჩვენებიანთ ნინომ მჭადი ამოჰყარა; წავალ, ვესესხები, ეგებ მასესხოს. თბილი კეცის მჭადი გიამება.

მაია წავა და მოუტანს. სოლომანა გამოიხვევს მჭადს ჩოხის უკანა კალთაში და წასასვლელად დაემზადება. ამ დროს გარედან მოისმის მეზობლის ხმა.

_ სოლო! სოლომან!.. ბიჭო, ღარიბაშვილო!..

_ ვინ არის? _ გამოვა კარზე. _ ჰო, შენა! ლაზარე! რა გინდა?

_ ერთი წალდი მათხოვე; ხვალ უნდა ტყეში წავიდე და იქნება პატარა ფიჩხი და შეშაფიჩხა ავაგროვო. დღესაც, კაცო, ვერათი გამოვაცხეთ პური. წუხელის შუაღამისას ზურგით მოვიტანე ლიახვიდან საფქვავი, აქ ხომ ღმერთს არ გაუჩენია წყალი... ბავშვები შიმშილით მეხოცებიან, ეს ორი დღეა თურმე ჩემი ცოლ-შვილი სულ მოხარშულ მხალზე გამოდის. ჩემ დედაკაცს უშეშობით კეცებშიაც ვერ გამოეცხო ხმიადები.

_ ხვალ, კაცო, რო კვირაა, როგორ წაისვლება, მოხელეებმა რო გაიგონ, ხო დაგარბევენ!..

_ რა ვქნა, ძმაო, მიჭირს და არ წავიდე? გკითხავ შენა. აბა ერთი მითხარი, რა ვქნა? ხვალ შევაგროვებ, და ორშაბათს ადრე წავალ, რომ მზის ამოსვლამდის მოვიარო, მერე ქერი მაქვს საგლეჯი და იქ უნდა წავიდე.

_ რა გაეწყობა, წაიღე; გაუფრთხილდი კი, გეთაყვა; ერთ მარჯვენად მიღირს... დედა! გამოუტა ე წალდი, ე მა კარებს უკან აყუდია. მოიხედე, ლაზარე, რა გითხრა: ასე გავიგონე, რო ბატონს ყანები და ქერები გაუწერიაო; ისემიანთ ზაქარამა, რა ჰქვიან?.. ჰო, აი ხოსროს ბიჭმა თქვა, მეც თან დავდევდიო; ბატონი იყო, მოურავი და ერთი მოხელეო.

_ ჰო, მეც გავიგონე. ვის რამდენი დღისად დაუწერიათ, ისიც კი გავიგე. სადღაა სამართალი, სადღაა ხატი; ქვეყანა, შვილოსანა, გაუკუღმართდა, ნატამალი სიბრალული არავისა აქვს ჩვენი კაცისა. ეგ კაი კაციაო, მამას არა ჰგავსო...¼

_ აი, შვილო, წალდი! _ უთხრა წუწუნით ლაზარეს მაიამ.

_ იმას ვამბობდი, ეგ მამას არა ჰგავსო... ეეჰ! მაგრამ აკი ვამბობ: აღარ არის სიბრალული, ძმაო, ჩვენი კაცისა, აღარ და აღარ!

_ არა, ჩემო ლაზარე, ეგ ახალგაზრდა ბატონი უფრო კაი კაცია უწინდელზედ. მარტო იმითია ცუდი, რო სუ სხვის სიტყვას ასდევს. რასაც ი ამოსაწყვეტიშვილი, ი მოურავია თუ რაღაც ჯანაბა, ეუბნება, ეგეც იმას სჩადის.

_ ოჰი, კითხოს და გადაახდევინოს ჩვენ მაგიერ აი ჩემმა ყოვლად წმინდამა კუბოს ღვთის-მშობელმა მაგ მოურავსა!.. აბა, ერთი მითხარ, შვილო, ბატონს რათ უნდა ამოდენა პური: ცოლი არ აღონებს და შვილი; რაში აქნევს!.. ე მა პირისკომლამოსაწყვეტის შვილს, ი მოურავს, მიაქვს... კიდეც იმიტომ ჰყავს ი გუთნეულები. რატო აქამდინ არა ჰყავდა? სუ ჩვენი განაგლეჯებისგანა აქვს ესენი შეძენილი, აი! _ სთქვა მაიამ...

_ ფიქრი არ არის! ვინ გაკეთებულა განაგლეჯი ფულებით, რო ეგ გაკეთდეს!.. ბევრი გაკეთებულა, მაგრამ ბოლო არ ჰქონია. იმიტომ რომა ჩვენი განაგლეჯები შეაქვს. განა იმას, ჩემო ლაზარე, ღმერთი არა ხედავს? განა ის ემაგეებს მოუწონებს?.. ეხლა ჩემი მიწები, აი, გადაღმა რო მაქვს ორდღინახევრის გარდი-გარდმოთ, აი, ის მიწები... რატომ არ დაბრმავდებით, თვალებო... ოთხი დღისად დაუწერიათ. აბა, ჩემო ლაზარე, ამას ღმერთი მოიწონებს?

ასე გააბეს გულდათუთქულმა მეზობლებმა ბაასი; თუმცა ყველას თავის საქმე ჰქონდა და ეჩქარებოდა, მაგრამ უსამართლობის მოგონებამ მაინც თავისი გაიტანა. ამ ამბების მომსმენმა დედა მაიამ ერთი კიდევ სიმწრით შეჰყვირა:

_ ოოი, ოოი! ვთხოვ ი ჩემ კუბოს ღვთისმშობელსა და წმინდა ელია ღრუბელთა წინამძღვარსა, რო გასცეს ჩვენი მაგიერი პასუხი ი ჩვენ შემწუხებლებსა! ჩვენი ცოდვით ნურც დაჰყრიათ მოურავის ცოლს და შვილს კარგი და კეთილი! ნურც მოუსვენიათ იმის მკვდრებს საფლავში, ჰო და ასრე. კაი კაცი ის არ არი! _ ასე დაიწყო წყევლა-კრულვა გულგახეთქილმა და გაბოროტებულმა მაიამ.

_ რა გაჯავრებს, დედი. პირველი არ არის და მეორე ეს ამბავი, მაგრამ წრეულ, სოლო, ახირებით არი, რო აღარ შეიძლება მომეტებით. ნეტა მოსულიყო რამე მაინცა!..

_ ეეე, ძმაო, რას მოუმატებთ? აბა, მითხარ, რა უნდა უყოთ? ენაც, ძმაო, მაგათ უჭრით და ხელიცა¼

ასე დააბოლოვა ეს სამწუხარო ბაასი ჩვენმა სოლომანამ. უთხრა ჩვეულებრივი «ღამემშვიდობისა» ლაზარეს, შეიდო ბარი მხარზე და გამომგზავრდა სიმინდისკენ. კმაყოფილებით, სულის სიმშვიდით წავიდა: ჰგონებდა, რომ ეს არის, ცარიელის ლაპარაკით უშველეთ, გავარიგეთ რამეო. მაგრამ ვაი შენს მტერს, რაც იმათ ტყუ-ილის, ფუჭის ლაპარაკით ვერა გააწყონ რა და ვერ მოირჩინონ ეს შემაწუხებელი მუწუკი...¼…

IV

დადგა კვირა დილა, მაგრამ იმისთანა დილა, რომელმაც მწუხარებისა და შეჭირვების მეტი მაიას არა მოუტანა რა. წამოდგება დილაადრიან და ფეხაკრეფით, ფრთხილათ, გულის ძგერით დახედავს თავის საცოდავს შვილს. ელდა ეცა გულდამწვარ დედას; გულის ცემა თითქო გაუჩერდა; თმა ყალყს შეუდგა და ცივმა ჟრუანტელმა გაუარა ტანში. სანდალა სრულიად გათანგულიყო. დედას ჰგონია,

რომ იმისმა შვილმა სულთამხუთავს სული ჩააბარა და შეწუხებულის ხმით, კანკალით ჩაეხმაურა: «შვილო!» შვილმა ძლივს სცა შეწუხებულ დედას ნუგეში, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია. წამოდგება მაია; ხან აქეთ მიაწყდება, ხან იქით; ვერა გაუგია რა, ვერა მოუხერხებია რა; ვერ უპოვნია მიზეზი, თუ რამ შეაწუხა, რამ მიაყენა იმისი შვილი სიკვდილის პირზე. დაიწყებს თავისებურად ახსნას, ღონისძიების ძებნას. ივლის, ივლის, ეძებს მიზეზებს და მიადგება იმ აზრს, რომ უთუოდ და უთუოდ იმის შვილს მიზეზი აქვს რომელიმე ავის ხატისა, წმინდანისა. ახლა რა ჰქნას, როგორ გაიგოს, რომ იმის შვილს სწორედ მიზეზი აქვს. იფიქრა, იფიქრა და ორი რამ დააწყო: ფთილებს დაასხმევინებს და თუ ამით ვერ გაიგებს, მაშინ მკითხავს მიმართავს ამ გამოცანის გამოსაცნობად. მკითხავი ამათთვის ექიმია, რომელიც რეცეპტს (ბარათს) მიუწერს ხოლმე ხატებთან. მაიას სახე გაუბრწყინდა, გაუმხიარულდა; გული გაეშალა, რომ საშუალება იპოვა, და ესრედ ნუგეშცემული მოჰყვა წუწუნს:

_ რა ვქნა, რა ვაწყეინე ი, დალოცვილებს, რო ასე მდებიარედ გამიხადეს ე უღირსი შვილი! რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე, რა ღვარს მივეცე! ერთი ფთილები თუ არ დავასხმევინე, არ იქნება. ვენაცვალე იმათ მადლს, ოღონდ უშეღავათონ ჩემ სანდალას და ათ სოფელს ფეხშიშველა შემოვივლი დიდებაზე; ერთ წლამდინაც სუ ფეხშიშველა ვივლი წირვა-ლოცვაზე, _ აქ ადგება, ლაპარაკით გავა კარზე, რომ ფთილების ჩამომსხმელი იშოვოს ვინმე.

ფთილები და მკითხავი _ აი პირველი და უკანასკნელი მისამართი ღონისძიება ჩვენის გლეხისა. იმათის ჭკუით, ამ ორის საშუალებით შეიძლება ავადმყოფობის მიზეზის გაგება. მიზეზი რომელიმე ხატია მამის ან დედის სალოცავებიდან. იკითხავს კაცი, რად ასტყდომია ხატი ამისთანა დროს? რად მოუცარავს ხელი საწყალი მუშისათვის ამ სისხლის პურის ჭამის დროს იმ ხატს _ წმინდანს? თავის სიცოცხლეში წმინდანები რომ არას სთხოვდნენ ხალხსა, არ აწუხებდნენ და პირიქით, რაც ებადათ ხალხს ახმარებდნენ, _ სიკვდილით რაღაც მოსთხოვენ, ან რაში აქნევენ იმის შეწირულს! ამის მოსაზრება არა აქვს ჩვენ გლეხს და ამხსნელიც არავინ ჰყავს. მღვდელი? მღვდელმა რომ აუხსნას, ხომ სარფა აღარ ექნება. ამ კითხვებზე ჩვენი გაუნათლებელი გლეხი მკვირცხლად მოგიგებთ: უთუოდ, მძიმედ აწყენინა ი დალოცვილ ხატს: ან იმის ახლო მდგომარე ხის ტოტი აიღო და დასწვა, ან ცუდად მოიხსენია, ან დედ-მამის დანაშაულია რამე.

მაია შემოიყვანს ბებრუხანას, მოუტანს ბამბას და თითისტარს.

_ აჰა, გენაცვა, კეკელა, სამი წმინდანის სახელობაზე ჩამოასხი.

_ მაია, ჯამით წმინდა წყალი მომიტა. არა ერიოს რა, ქა, ხატი იწყენს, სარკეც მიშოვნე, რო ზედ გადავაფარო ფთილებს..... რომელი წმინდანის სახელობაზე ჩამოვასხა ფთილები, ქალო!

_ ჩვენი კუბოს ღვთის-მშობლისაზე, გენაცვა, წმინდა გიორგი ზედა-ჯვრისაზე და ელია ღრუბელთა წინამძღვარზე... იქოს და იდიდოს იმათი სახელი!

კეკელა დაიდგამს წინ წყლით სავსე ჯამს, თითისტარზე დაახვევს ფთილებს და ეტყვის:

_ აბა და ყოვლად წმინდაო ღვთის-მშობელო, წმინდა გიორგი ზედა-ჯვრისავ და ელია ღრუბელთა წინამძღვარო! იქეთ, იდიდეთ და გამოიჩინეთ თქვენი სახელი. თუ თქვენ ემიზეზებით რასმე მამიას სანდალას, ულხინეთ, მიუტევეთ, და თქვენმა მადლმა და თქვენმა სახელმა, რომ თქვენს კარს მოვიდეს სანთელ-საწირავით, კურატით, ღამეც გითიოს და ზედაშეც ჩააყენოს.

ამ სიტყვას ხატებისადმი რომ გაათავებს, თითისტარს გასდებს ჯამზე და სარკეს გადააფარებს. რასაკვირველია, ბამბა ისე არ მიჰკრობია ერთმანეთს, რომ არ გაიხსნას. რომელსაც გაკეთების დროს უფრო დუნედ მისვლია თავი-თავზე, მალე გაიშლება, და რომელი წმინდანისაც გაიშლება, უთუოდ იმის მიზეზია. კეკელა ახდის სარკეს.

_ ვენაცვალე მაგათ მადლსა და ძალსა! ელია ღრუბელთა წინამძღვარისა და ზედა-ჯვრისა გაიშალნენ, ქალო!.. აბა, მოიტანე წმინდა სანთელი, ჩამოჰქენ და თავს შემოავლე. იქნება ულხინონ და შეიბრალონ შენი სანდალა.

მაია სწრაფად წამოვარდება, ეცემა ძველ, დაჭრელებულ ყუთს, ამოურევს ხელს, იპოვნის კოშტ სანთელს, ჩამოჰქნის ფაცა-ფუცით და თავს შემოავლებს.

V

დადგა გული მაიასი გულის ალაგას; თავის ბუდეში მოასვენა იმ იმედით, რომ ეს არის რაღა, უშველა ღმერთმა და იპოვა მიზეზი თავის შვილის ავადმყოფობისა. ახლა ელის, თუ აი დღეს, აი ხვალ, წამოდგება იმისი შვილი ფეხზე და თავის ძმას მუშაობაში მხარს მისცემს. მაგრამ, ვაი! _ იმისი შვილი უკან და უკან მიდის, ცოცხლებთან ცხოვრების კავშირსა სწყვეტს და მკვდრებს ამხანაგად უხდება. ათავებს წუთისოფლის ასპარეზზე თამაშობას. გავა ერთი დღე, გავა მეორე, მესამე... მაია უცქერის თავის შვილს და იმედი აქვს, რომ წმინდანები იმის ვედრებას შეისმენენ და სანდალას მიანიჭებენ ჯანის სიმრთელეს. მაგრამ მწარედა სტყუვდება; იმისი შვილი სანთელივით დნება.

დედა მაია ეკითხება უფროსს შვილს, თუ რა ჰქნას იმისმა გაგლეჯილმა დედამ, რომ სანდალას უკეთობა არ ეტყობა. დედა და შვილი მოითათბირებენ და გადასწყვეტენ, რომ მკითხავს მიმართონ, თორემ საქმე წახდა. მაგრამ აბა როგორ მიმართონ? დედა მოხუცებულია; ვერ წავა; სოლომონას სამუშაო ბევრი აქვს. ისევ უნდა ურემი შეუბას. მაგრამ აქაც დაბრკოლებაა: წამყვანი არავინ არის და ხარებიც ჯერ გუთანში ებნენ, თურქულის გადამკიდე გამოუშვეს ერთი ხარი; ახლა კალოც მომდგარია.

_ დედა! _ ეტყვის გულმტკივნეულად ხელმოცარული სოლომანა.

_ რა გინდა, შვილო, გენაცვალოს დედაი?

_ აბა ერთი მეზობლებში მიიარე. იქნება წასვლა უნდოდეს ვისმეს მკითხავთან; ცალი ხარი გადაუბათ და წადი დროზე!

_ დაიცა, შვილო, პატარა მარილის კვნიტი ეგდო ე მა თაროზე.

_ რად გინდა, ადამიანო? მარილის კვნიტი არ მოგინდება!

_ არა, შვილო, სხვაფრივ მინდა: ღოჭაანთ ნენემ თურქულის შელოცვა იცის; შევალოცვინებ კვნიტზე, ეგებ ი ხარს ჩლიქებიდან მატლი გასცვინდეს.

_ ჭოტა-ხარს ხო არ ტკივა, ის შეუბათ რა.

დედამ ეს ვერც კი გაიგონა, ისე იყო გამოშტერებული და გამშრალი დარდისაგან. აიღებს მარილის კვნიტს და ბუტბუტით გადის. მიმავალ მაიას დაინახავენ მეზობლის ქალები და დაუძახებენ.

_ მაია, მაიავ!.. _ საცოდავი! დარდისაგან აღარა ესმის რა..... ქა, მაიავ, დაყრუვდი! აქეთ მოიარე პატარა ხანს.

მაია კაბის კალთებს, სარტყელში რომ ჩაკარწახებული აქვს, ჩაიშლის, გულისპირს მოიწევს, თავშალს გაისწორებს და მივა.

_ საღამო კარგა-ყოფნისა, ქალებო! _ მწუხარის, ნაღვლიანის ხმით ეტყვის მაია.

_ რასა იქს შენი ვაჟი? ახლა ხო უკეთ არის? _ ყველა ერთხმივ დაუწყებს კითხვას.

_ იჰი! ისე თქვენი ქმარ-შვილის დამაწყევარი შეწუხდეს, როგორც ჩემი სანდალა არი შეწუხებული და მწარედ სიკვდილის პირს მიმდგარი! ვაიმე და ვაიმე, შვილო!

_ ისემიანთ კეკელა ამბობდა, რო ფოთლები ჩამოვუსხი და ზედაჯვრის მიზეზი გამოუვიდაო. სანთელი შემოავლო თუ არა, მაშინათვე მოიხედაო. _ ეუბნება ერთი მეზობელთაგანი _ მართა.

_ ოჰი! ისემც ნუ მოუხედნია შენს მტერს და დუშმანს, როგორც ჩემმა შვილმა ვერ მოიხედა.

_ ნუ გეშინიან, ქა!.. უიმე, გენაცვალე, სადაურია ეგა! წინდაწინ გულის გახეთქა ვითამ რა არისო?!. მაგას ჯვარი ეწეროს, ხორველიანები და ჭირიანები რჩებიან და ეგ ხო ცხელებით არი ავათა; მაგითი ნუ გეშინიან; აბა, რა პასუხია! ბადოს ბიჭიც სწორედ ეგრე იყო გადადებული, მაგრამ წავიდნენ თუ არა და აკითხვინეს, მაშინათვე თურმე უთხრა, რო ვენაცვალე იმის სახელს, სარკისის წმინდა გიორგის, მიზეზი აქვსო. ალოცეს სარკისაში და იმ წუთსავე მორჩა, _ უთხრა ნუგეშისცემით ფეფელამ.

_ განა, ჩემო ფეფელა, არ მინდა წასვლა მკითხავთან? ბარემ წელები მეხლართება, რო ასე გადადებულ შვილს ვუცქერი ამ დასაბრმავებელი თვალებითა, მაგრამ რა ვქნა; ხელმოკლე ოჯახის ამბავი ხო იცი... მერე ი დასაქცევი უღელი ხარი გვება და წუხელი გუთნიდან მოგვირეკეს თურქულით დაკოჭლებულები; რითი წავშავდე და წავბნელდე?.. ი ერთ ხარს კი არა აქვს ძიელა..... ფეხით სად შემიძლიან ამ დროულ დედაკაცს ჩერჩეტი! მარილის კვნიტი წამოვიღე, ნენემ იცის შელოცვა, ეგებ მატლი დასცვინდეს და წავგლუხდე.

_ არა უშავს რა, ჩემი სინკუას გაზრდამ! ეგრე მოარულები დადის, _ ეუბნება მესამე.

_ ნეტამც აგრე იყოს, შენი შვილების ლხენითა.

_ დაიცა და რომელ მკითხავთან უნდა წახვიდე, _ ეტყვის მეოთხე.

_ რა ვიცი, დიცში. ამბობენ, _ ერთი კაციაო; წმინდა სანთელზე მკითხაობსო.

_ არა, ქა, უი დამიდგა თვალები! ის არ ვარგაო! _ ხელისქანებით უთხრა ფეფელამ. _ ეხლა, ქალო, ზერტში ამბობენ იმისთანა მკითხავსა, რო აღარავინ შეედრება ქვეყანაზეო. აი, გეთაყვა, ქალაქში რო კოდელ ნინოს მოგახსენებდნენ, ის ზერტელ მკითხავთან ნარცხათაც არ გამოდგებაო თურმე, ასე გასინჯე, ნიშანდობლივ ეტყვის ადამიანს, რამდენი კოვზი, ჯამი და სხვა რამეები აქვს სახლში.

_ მგონი, დარეჯანა, შენ გინდოდა წასვლა, არა? ქა! რატომ არას იტყვი? _ მიუბრუნდა მაია ერთს ხანში შესულს დედაბერს, რომელიც თავჩაღუნული, მოკეცილი იჯდა და გაჩქარებული შავი ღაზლის პაიჭსა ქსოვდა. დარეჯანას ამათი ლაპარაკი თითქოს არ ესმოდა: ხამუშ-ხამუშ მოიხოცდა ცხვირს, მიწაზე ტყლაშანს მოადენდა და ისევ შეაპროწიალებდა პაიჭს.

_ ეჰ! ჩემ ავადმყოფს მკითხავი რაღას უშველის, _ სთქვა ისევ თავჩაღუნვით, იმედგადაწყვეტილმა დარეჯანმა.

_ მართლა, ქა, რა ამბავი მოგვიდა შენი სიძისა? ისევ ისე მდებიარეთ არისო? _ ჩაეკითხა თანაგრძნობით მაია და თვალებს მიაცეცებს, ეგებ თქვას, რომ ისევ იმავე მდგომარეობაშია და მკითხავთან წასასვლელად ამხანაგი იშოვოს.

_ იშ! მა რა უბედურებაა! წუხელ ჩემი პავლე მოვიდა იქიდან და ტირილით შემამჩივლა: «ასეთია, დედა, ის იმითანა ვაჟკაცი, რო სუ სანთელივით დამდნარიაო». თურმე ი საცოდავ ჩემ ქალს დედამთილი..... აი ქოთაო შეხვდეს და თან გაიტანოს... სიცოცხლეს უმწარებს. შავდა-უკუღმა ის დღე და საათი, როცა შენ ჩემ სახლში ფეხი შემოდგიო. რატო ი წმინდა გიორგიმ არ მოგტეხა ე სამიწე ფეხი, არ გაგაშეშა, რო მაგითანა ფინთი ფეხისა ყოფილხარო... უი, შენ დედასა, შვილო, და ვაგლახ მე! ზის თურმე, დედამკვდარი, და აბნევს მდუღარება ცრემლსა... ვაი და ვაი, რა უბედური შევიქენ! ჩემი დღენი სუ წვასა და დაგვაში გავატარე: ერთი ქალი გავათხოვე, მამიკვდა და უბედურად გაიარა; მეორე გავათხოვე და აგერ იმასაც ქმარი უკვდება, ან დღეს ან ხვალაო... ოოი! შე დალოცვილო ღმერთო! იქოს და იდიდოს შენი სახელი! ზოგს, შე კურთხეულო, ააღორძინებ, ყოვლის კეთილით გაავსებ, უბესა და კალთას ზედ დააბერტყ, ზოგზე კი სრულებით ხელს იღებ... ეჰ! ვინ წაუვა მაღალი ღმერთის განგებას! _ აქ დარეჯანას აუჩუყდება გული, ცხვირის ხოცვას უმატებს და კალთაში კუფხა-კუფხად ცრემლები ჩამოსცვივა.

_ ნეტავი ერთი რა გაწიკვინებს? ახირებულია, შენმა მზემა! რა უნდა მოუმატო ვითომ მაგითი!.. არა უწამლეთ რა?

_ როგორ არა უწამლეთ რა, ქა! მაგრამ წამალი არ მიუდგა, ქვეყანა მოვღალეთ და შევაჯერეთ იმის ექიმობაში.

_ იშ, შვილები არ დამეხოცოს, დარეჯანა, რომ ეგ მიზეზია. ე წამლები რო არ ეტყობა! მიზეზმა იცის, ქა, აგრე გახდომაი. რამდენი წამალიც უნდა დაალევინო, მთელი დუნია რო შესძრა, არა ეშველება რა. არა და არა, მანამ თითონ, ვენაცვალე იმის მადლს, ხატი არ ულხენს, _ უთხრა ფეფელამ.

_ არა, მკითხავთან წასვლა სჯობიან წამლობას. წეღან შენ არა სთქვი ბადოს ბიჭისა, რომაო, დგვრისელ, თუ ზერტელ _ დიაღ, დიაღ, ზერტელ მკითხავს აკითხვინეს თუ არა, მაშინვე ფეხზე წამოდგაო... ის მკითხავი თურმე ქალია და ღვთისმშობლის ქადაგიაო. თუ დიდი ცოდვიანი შეხვდა ვინმე _ ვთქვათ, ხატი ძლიერ გაუჯავრებია და გადაჰკიდებია, _ თურმე გულს შემოიყრის; ჩამოთვლის წმინდა გიორგის სახელებს, რაც კი ქვეყანაზეა, და ღვთის-მშობლისაც და ამათი სახელებით შესტუქსავს ადამიანს. მერმე თურმე ხან დაუთათრულებს, ხან დაულეკურებს, ვინ იცის, რა ენაზე არ ილაპარაკებს! ბოლოს და ბოლოს დაუშოშმინდება გული და იკითხავს. ბადოს თურმე მოკიდებული მუგუზალი დაარტყა თავში ი გაგლეჯილმა... გერისთობას თურმე რად მივა იმდენი ერი, რაც იმის სახლში მიდის!..

_ მაშ, დარეჯანავ, ხვალ დილით ადრე წავიდეთ... ორშაბათი დილა კი იქნება, მაგრამ რა გაეწყობა... ერთი ხარი ჩემი, ერთი შენი და საქმე გავიჩარხოთ. ეგებ ღმერთმა ბრძანოს და ჩვენი ავადმყოფებისა გავიგოთ რამე, _ ეტყვის მაია.

_ თუ კი იქ წასვლით ეშველება რამე ჩემ უბედურ სიძეს, როგორ არ წავალ. წავიდეთ, გენაცვალე, წავიდეთ! ჩემ პატარა პავლეს წამოვიყოლებ მეურმედ. _ იტყვის დარეჯანა ტირილით, მოთქმის კილოზე და თვალებიდან გადმოსცვივა ცხარი ცრემლები; ჩაქინდრავს თავს და ამოუშვებს ქვითინს.

_ კაია, ქა! არ გამიგონია ცოცხლის გამოტირება. ე მაიას მაინც შეხედე! _ ეტყვის ფეფელა.

_ აბა, ჩემო დარეჯან, მე რაღა ბნელი ქვა უნდა ვქნა, _ წამოიწიკვინებს ნუგეშცემული მაია, _ ვაჟკაცი შვილი სიკვდილის პირზე განწირული მიდევს, ჭირში, ჩემო დარეჯან, მოთმენა უნდა.

_ ოჰი, ჩემო მაია, არ გამოგიცდია მწუხარება და ღმერთმაც აგაშოროს იმის გამოცდა, _ გაჩუმდება, შეიმაგრებს თავს და ამოიოხრებს გულის კანკალით.

_ მაშ, მოემზადე, დარეჯანავ, და ხვალ ადრიან წავიდეთ, ეგებ ისევ გადმოვიდეთ.

_ წავიდეთ, წავიდეთ! ეგებ წმინდა ელიამ, ღრუბელთა წინამძღვარმა მიხსნას მეორე გაჭირვების ხილვისაგან. მაგრამ რო წავიდეთ, რაზე უნდა ვაკითხვინოთ, ფულიც არა მაქვს.

_ რა ვქნათ, უნდა როგორმე ვიშოვნოთ. _ ამითი გაათავებს მაია ბაასსა, ადგება, მეზობელ ნენესთან მიივლის და მარილის კვნიტზე შეალოცვინებს, რომ ეგებ ხარებს ჩლიქებიდან მატლი გასცვინდეთ, თურქულმა რომ გაუჩინა.

VI

წამოვა მაია შინ ერთით გახარებული, რომ ამხანაგი იშოვნა და წავა მკითხავთან, რომელიც ფთილების ჩამოსხმაზე უფრო ნაღდია, უფრო კარგად გაიგებს, რომელი ხატი ემიზეზება იმის შვილს; მეორეს მხრივ, მწარედ შეწუხებული, გონებამიხდილი იმითი, რომ მისი უღირსი შვილი შეწუხებული წევს; ვინ იცის, გავარდება დაუნდობელ სიკვდილის პირიდან, თუ არა, და ვაითუ მკითხავთან წასვლამაც ფუჭად ჩაუაროს. ეს აზრი სტანჯავს, უწყლავს და უშმაგებს გულ-გვამს საწყალს ბებერს. მოვა სახლში, ნახავს თავის შვილს, მიუალერსებს, ნუგეშს მისცემს; შემდეგ გამოვა, მეზობლებში კაბას ითხოვს, ისესხებს ერთ-ორ აბაზ ფულსა. გაიჩარხა მაიამ საქმე. აი ის უზის თავით თავის შვილს, იხდის კაბას და წამოხურავს შვილს თავზე, რომ ეგებ ცივმა ოფლმა გადაჰკრას; ზის უკანა ბნელაში, დათვის სოროსავით ჩაღრუტნულ სახლში, ჰყარაულობს ავადმყოფს. საწყალი დაღალულ-დაქანცულია; ახლა დილით კიდევ უნდა ხატების მოურავთან წავიდეს; გულით და სულით უნდა ძილი; მაგრამ არ ეძინება. გაუტყდა ღამე და იყო ერთ საშინელ სულის აღელვებაში.

მაიას ღამე არსად გასტყდომია არც შიმშილის, არც სიხარულისაგან. ისე დაეძინება, რომ თუნდა ზარბაზანიც დასცალოთ მის ყურის ძირში, ფეხს არ გაიქნევს, მაგრამ ეხლა კი მწუხარებით მოთუთქულია: მარჩენელი შვილი უკვდება. მკითხავმაც ვერ გაუქარვა დარდები, ვერ დასძლია დედობრივ სიყვარულს; ამ შვილზე ფიქრმა ათასი სხვა ფიქრი გამოიწვია, გამოეკიდა ამათ საცოდავი დედა მაია და ღამე გაეფთხო. ის ფიქრობდა, რომ წრევანდელს წელიწადს მოსავალი არ მოვიდა, ასე რომ სათესლეც არ მოსდით, მაგრამ იმისი შვილები გველი-ფხაში გამოძვრებოდნენ, სადაც იქნებოდა, იშოვნიდნენ თესლს და დასთესდნენ წრევანდელ ანეულებს, _ იქნება შემდეგმა წელმა მაინც მოგვიტანოს მოსავალიო. თავად წრეულ მამიცდა, _ ფიქრობდა ის, _ ჩემი სოლომანას დაქორწილება ამ მოუსავლიანობის გამო. ან იქნება, კიდეც დაექორწილებინა, რომ ეს ბიჭი ასე არ გახდომიყო. როდის იქნება, ერთი დედამთილი გახდეს, ფიქრობდა მაია. თავის სოლომანასთან მუდამ ამისი ლაპარაკი ის იყო, რომ იმას ცოლი შეერთო.

_ ოღონდაც შეირთე, შვილო, ცოლი და თუნდ კლდის ჯოჯო იყოს, შენი ცოლი ხომ იქნება; ჯანი გავარდეს, მხარში ხომ ამომიდგება ღონემიხწეულ დედაკაცს, _ ეტყოდა ხოლმე შვილს. მაგრამ ეხლა რას ხედავს? ხვნა-თესვის მიმდევარი შვილი ხელიდან ეცლება; ამის დამარხვაზე ვალი დაედება; ვალს ვალი მიემატება და ამის ერთ შვილს კუდამდინ ტყავი გაძვრება. წარმოუდგება თვალწინ, ვითომ მოუკვდა,

ვითომ კიდეც მარხავს; მაიას სიმწრით ტანში აჟრჟოლებს და ამ ფიქრებში უცბად წამოიწუწუნებს: ვაი ჩემი ბრალი! სიყრმით, დაბადებიდანვე, კი ვერა გავიხარე რა და; ჩემი დღენი, მე უბედური დღისამა, წვა და დაგვაში გავატარე. რა ვარსკვლავზე ვარ დაბადებული! _ ამ წამოთქმამ თითქოს გული მოჰფხანა, მოეშვა დარდები! მოიცემს მკითხავთან წასვლის მოგონებით ნუგეშს და თავს გაიმხნევებს.

გათენებას მაია ისე მოელის, როგორც მტაცებელი ნადირი დაღამებას.

VII

გათენდა. მზემ თავისი ვერცხლისებრივი ბრწყინვალე შუქი მოჰფინა მთა-ღრეებს; მინდვრებში ისმის ჟრიამული, ფრინველთ ჟღივილი. აქ ქოჩორა ტორუა ამოფრინდება თავის ბუდიდან და შვილდისარივით გასწევს მაღლა; უხარიან მალხაზ ტორუას, დაჰფრინავს და ჰაერში ჭიკჭიკით ალხენს საწყალ მუშაკის გულს; იქ მწყერი, ეს «პურის მტერი», მიგოგავს ჭუკ-ჭუკით, უძახის, იკრეფავს ახლო თავის გადასხლეტილ ჩოჩრებს; ისმის შიშინი ქვემძრომთა, მწერთა. ყველას უხარიან; ყველა სიხარულით ეგებება დღის მობრუნებას. სიხარულით ეგებება ჩვენი ბედკრული მუშაც. საღამოთი რომ შინ მოვა სამუშაოდან, ფიქრობს: «ერთი ჩქარა გათენდეს, რო ბოლო მოუღოს რაღაც ცოდვის ლული სამუშაო დარჩა». ბევრი არც კი უცდის გათენებას, რიჟრაჟზე ადგება, ახსენებს თავის გამჩენელს და შეუდგება გულის წადილით თავის საქმეს.

აგერ, გაურჭვია წელში ნამგალი და ჩქარის ნაბიჯით მოეშურება თავთავავსებულ პურისკენ; აქ სხვა მოდის, იქ სხვა. ახსენებს ღმერთს. დაუწყებს მკას; წამკის პატარას და შედგება, გახედ-გამოხედავს მობიბინე ყანას, გადაზომავს თვალით. ეტყობა, მძიმე პურია და მალე ულახავს ისეც ბევრი შრომისაგან დადუნებულ მაჯას. სულით და გულით ხარობს, რომ იმის ნათესს, თუმცა გვალვისაგან ვერ არის რიგიანად აღმოცენებული, სრული მარცვალი მაინც გამოუტანია.

«ღმერთმანი, _ ფიქრობს ისა, _ რად არის ეს ასე, რომ ყველას მე ვაძლევ და მე კი არავინ არას მაძლევსო». ეს ფიქრი უშხამავს გულ-მუცელს, წელსა სწყვეტს, მაგრამ მაინც კიდევ ვერ ართმევს მუშაობის ხალისს.

აიმართა მზე და მისი შუქი გაცხარდა, გამწვავდა, ფრინველთ შეწყვიტეს ხმა, მაგრამ მუშას კი ვერ აშინებს. ის არ უტყდება მზის მწვავე შუქს; ან რას დააკლებენ! მისი კისერი, მთელი პირისახე, ხელ-ფეხი იმ სისქედ არიან მზისგან დამწვარნი, რომ სიცხე ვეღარ ატანს; ის უფრო და უფრო უმატებს «ჰოპუნას», მოსჩანს აქა-იქ მგზავრი და სტკბება ამ მუშურის სმენით. მოისმის სხვადასხვანაირ ხმაზე ჭრიჭინი ურმებისა. აგერ გამოჩნდა ერეკლეს კარეტა. ეს არის მაიას და დარეჯანას ურემი. წინა კოფაზე ზის პატარა ბიჭი, ჩოხით, გულზე ჭრელი ხელსახოცი აფარია პერანგის მაგივრად და მიელალება ხარებს. მაიას ნათხოვარი კაბა პატიოსნურად ჩაუცვამს; ჭირისუფალსავით გულხელი დაუკრეფნია და ჩაუქინდრია თავი. ხან დაიღვრიმება: «ვაითუ, რომ დავბრუნდე, ჩემი შვილი გარდაცვლილი დამხვდეს; ეს მარცხენა თვალის თამაშობა ხეირს არას მიქადის». ხან მხიარულს სახეს მიიღებს: იქნება, ღმერთმა ბრძანოს და მკითხავმა გაიგოს მიზეზი იმის შვილის ავადმყოფობისა. წარმოიდგენს, რომ მკითხავმა უთხრა: შენი შვილი მორჩება, ნუ გეშინიან, აქა და აქ ალოცე, ხატის ნაბანი დაალევინე და გასაღდება. გაერთობა ამისთანა ფიქრებში. უცბად ამ ფიქრებისაგან ნუგეშცემული თვალებს გააჭყეტს;

ჰგონია, ჩემი შვილი განიკურნა და წინ მიდგაო. დარეჯანაც არ ჩამოურჩება უკან თავის თანამომგზავრეს მწუხარებაში. ესეც იმასავით მწუხარების შვილია; ესეც წუთისოფლისაგან მიწასთან გასწორებულია.

დარეჯანას პაწია პავლე, რაც შეუძლიან, ერეკება ხარებს; მაგრამ ისინი თავის ჩვეულებრივ დინჯ ნაბიჯს არ უმატებენ; დაიბრიყვეს პაწია პავლე! უღონდებათ გული, ასხამთ ჭირის ოფლს მგზავრებს, რომ მალე მივიდნენ იმ გაგლეჯილ მკითხავთან. პავლე გადააგდებს, თავის უხერხულობით, ურემს გაუვალს ლაფში. გაწყრა ღმერთი, ურემი შიგ ჩარჩა, უჯაჯგურებს პავლე ხარებს სახრეს, მაგრამ ბაიბური არა აქვთ, ყურებსაც არ ინძრევენ. გააჩენენ ბებრები ღვთის ვედრებას, ტირილს და ერთი ვაიუშველებელს.

_ ოოი, შე კურთხეულო ღმერთო! თუ დანაშაული გვაქვს რამე, იჩინე შენი სახელი, გამოგვიცხადე! _ გულგამწარებული ამბობს მაია.

_ რა ვიცი, რა ვქნა? ცუდი აზრი გულში არ გამივლია და რა წყალსა და ღვარს მივეცე!..

_ არც მე, ხო იცის ი გულთამხილავმა ღმერთმა!.. ნეტა ან მგზავრი სჩანდეს სადმე; ე რაღა ჩვენი უბედურებაა... ქა, აიმ სიმინდში ვიღაც მოსჩანს, მგონი, თვალიც აღარ მიჭრის. ბიჭო პავლე, აბა შეხედე!

პავლე ადგება კოფოზე და გაარჩევს, რომ სიმინდში კაცია და რწყავს. დაუძახებენ, მოეშველება; ამოათრევენ ლაფში ჩაფლულ ურემს. ამას დაეკითხებიან, თუ საით წავა გზა მკითხავის სოფლისა.

_ აი, დედი, ეგრე პირდაპირ გაიარეთ, ე სოფელი რო მოსჩანს, ეგ არი.

_ ოოი, შენ მოგცეს ზეციერმა მამამ კარგი და კეთილი, შვილო, ამ პატივისცემისათვის.

პავლე გააჭრიალებს ურემს, ბებრები პირჯვრის წერით გასწევენ.

VIII

რამდენიც უახლოვდებოდნენ ჩვენი ბებრები მკითხავის სოფელს, იმდენი მთქნარებას, ზმორებას მოუმატეს; გაუძნელდათ სულის მობრუნება, სუნთქვა; ეკალი აასხდათ ტანზე მოუთმენლობის გამო.

დადგა ურემი. მკითხავმა გაიგო; წამოწვება მუთაქაზე, ვითომ სძინავს და საშინელ ხილვებშია. მკითხავის სახლიდან გამოვა ვიღაც და ეტყვის:

_ დედი, ვინ გინდათ?

_ ჩვენა, შვილო, მკითხავი გვინდა. მოგვასწავლეს, აქა დგასო.

_ ჰო, აქა დგას. შევალ, მგონი ეხლა წასთვლიმა, გავაღვიძებ. _ შევა, შეატყობინებს. მკითხავი მრისხანე მბრძანებლის სახეს მიიღებს. შემოიწვევენ ბებრებს, რომელნიც მოკრძალებით ექცევიან მკითხავს.

_ რად გარჯილხართ? _ ეტყვის ეშმაკი მკითხავი.

_ ჩვენა გაჭირვებამ გაგვაბედინა წამოსვლა.

_ საიდანა ხართ? რა დაგმართნიათ, რო ავად გაგხდომიათ ისა... გაუფრთხილდებოდით, თქვენ ხატებს ნუ აწყენინებდით...

_ იშ, შენ კი მოგეცა დღეგრძელობა! როგორ გავფრთხილდეთ, ან საიდან ვაწყენინებდით. ელიის ხატი კი ახლოა. თუ იმას ვაწყენინეთ, იმისი არ ვიცი. სხვები კი _ წმინდა გიორგი ზედა-ჯვრისა და კუბოს ღვთის-მშობლისა _ მოშორებით არიან, _ წამოროტა საბრალო მაიამ. მკითხავმა თავის ქნევა დაიწყო,

ჩაიღიმა, კმაყოფილების ნიშნად თვალები აახამხამა და ტუჩები შეკუმშა; გამოჰკითხა მაცდურმა მკითხავმა დაწვრილებით უბედურ ბებერს ყოველისფერი, რაც კი საჭირო იყო იმისთვის.

_ მაშ გიკითხოთ რაღა, იმისთვის მოსულხართ?

_ დიაღ!.. გენაცვალე, ყველა კარგა გვიკითხე.

_ წმინდა სანთელი მომეცით; თქვენ ჩაასახელეთ.

მაია და დარეჯანა ტუჩებთან მიიტანენ სანთელს; მოჰყვებიან ტუტუნს, ტუჩების ცმაცუნს. მკითხავი აანთებს მუგუზალზე სანთელს; დაიჭერს ხელში და ჩააკვირდება; კუდიანურად, თხასავით აცმაცუნებს ტუჩებს. მოჰყვება თავის ქნევას. ბოლოს განრისხდება.

_ ოოო! და-და-დაა! რა ცოდვილები ყოფილხართ!.. ჩემი ბატონი, ღვთის დედა, მიჯავრდება, რად მოუშვი ცოდვილებიო!

აქ მკითხავი დაეცემა, შემოიყრის გულს, ხელებს და ფეხებს ახეთქებს დედამიწაზე, კანკალებს, ოხრავს, შემდეგ წამოჯდება, დაიწყობს ბუტბუტს ჩქარ-ჩქარა; პირისახეს იპოტნის. ბოლოს დაშოშმინდება; მოჰყვება ლაპარაკს ნელ-ნელა, გულდასმით, მოფიქრებით; თან ბებრებს ადევნებს თვალსა, პირისახეზე კითხულობს იმათ სულის მდგომარეობას. ალბათ იცის იმანაც, რომ პირისახე არის სარკე სულისა და სულის სხვადასხვა ცვლილებანი პირისახეზედ აღიბეჭდებიან. ჩვენმა ბებრებმა დააღეს პირები, მომაკვდავებივით დაიკრიფეს გულხელი; მწუხარე და თან განცვიფრების სახე მიიღეს: მაიამ თავი გვერდზე მოიქცია და ისე გულმოდგინედ მიაჩერდა, თითქო დამატკბობელ საუბარს უგდებს ყურსაო. დარეჯანა ზეზე დარჩა, მიებჯინა დედაბოძს; თვალები დააჭყიტა, თითქო ყელში თოკი წაუჭერიათო. სულის განწირვით ელოდნენ: აი ეხლა და აი ეხლა წარმოსთქვამს მკითხავი ჩვენს სასჯელსაო.

სადაც კი ღვთის-მშობლის ხატები იყო, მკითხავმა ახსენა იმათი სახელები, ზედ დააყოლა წმინდა გიორგები; მიუბრუნდა მაიას, შეხედა და შეაჩერდა.

_ ოჰოი! შენ შვილს ზედა-ჯვრის წმინდა გიორგისთვის რაღაც უწყენინებია... ღამე ყოფილა...

მაია წაჰკრავს დარეჯანს ხელს, ვითომ საიდან შეიტყოო.

_ ვაითუ ღამის-ხაროში რო იყო, ან გვერდზე გაუარა და პირჯვარი არ დაიწერა, ან ცუდი გაივლო რამე გულში... სახელიც რო სთქვა, ქალო!

_ ნუ ტუტუნებთ!.. ძიელ გარისხებულია. ზედაშესა გთხოვს; სანთელში გორვით ქვევრი ამოდის. თქვენ საზედაშე გქონიათ; მართალია, თუ არა? _ შეუტევს მაიას.

_ ჰო, საწყალი ჩემი უბედური ქმრისაგან ბევრჯერ გამიგონია, რო ზედა-ჯვრის ზედაშე გვაქვსო და შიგ კი არა გვყენებია რა!

_ აბა იმას უქნია კიდეცა! გერისთვის ხატი გეხმარებათ; იმის გამოისობით ზედა-ჯვარი აქამდის არას გიშვრებოდათ და აი ეხლა ერთად გიკრიფათ მიზეზები. ელიაც ცხვარსა გთხოვს... ღამე არ გითევნიათ... მიხვალ თუ არა, ფეხზე დაგხვდება.

_ ოღონდ კი მაგითი ელხინოს რამე, თორემ ზედაშესაც ჩავაყენებ და ცხვარსაც ვიყიდი.

_ ულუმბის ღვთისმშობელი, _ მოუბრუნდება დარეჯანას, _ თეთრებსა გთხოვს. გერისთვის წმინდა გიორგიც გარისხებულა. ბერად შეაყენე შენი სიძე, ხატს იამება _ ეს არის მორჩილების ნიშანი. დღეობას იმის კარსწინ გადირთვას თმა, სხვა არაუშავს რა. მიხვალ თუ არა, კაცი წინ დაგხვდება, რომ მორჩაო. აი გზა ამოდის და სახრიანი კაცი მოდის.....

მკითხავები საწყალ გლეხის ავადმყოფობას უფრო იმისთანა ხატებს აბრალებენ, რომლებთანაც ბევრი ხალხი დაიარება. ეს ხატები ხალხს ძლიერი მიაჩნია; ასე ჰგონიათ, დავიღუპებით, თუ დღეობას არ წავედითო. ამითი მკითხავები სარგებლობენ და საწყალ გლეხს ორნაირადა სძვრება ტყავი.

მისცეს ხატების მოურავს სამკითხაო ფული და ჩვენი ორივ ბებერი სიხარულით წამოვიდნენ: ეს არის, ვიპოვეთ უებარი წამალი, რომელიც განკურნავს ჩვენს ავადმყოფებსაო.

IX

სანდალა დარჩა მარტოდმარტო გამომწყვდეული ოთხკედელშუა. ამის ძმამ ადრიან, გაისტუმრა თუ არა დედა, ადგა, გამოიხვია ორი პური კალთაში, გაირჭო წელში ნამგალი და გასწია ყანის სამკალად. სანდალას ნუგეშისმცემელი და ყურისმგდებელი ღვთისაგან განაჩენი არვინ იყო. უკანასკნელი ღონით ებრძვის სიკვდილს, რომელიც თანდათან უახლოვდება. გარეტებულია სიცხისაგან, თავს ვეღარ იმაგრებს, მიდის ბურანში და აი უკანასკნელად ხედავს გუთნის ამბებს; ღამის მეხრეობის ცხოვრებას ერთი კიდევ ავლებს თვალსა, ხტის, წუწკუნებს, ბოდავს.

_ ეი, ეი! ხოსიავ! მოუარე, ე ოხერი ხარი სიმინდში არ შევიდეს. უჰ, რამოდენა ტარო მოგლიჯა ამ ქედძაღლმა... ჰე, შე მასაბძაღლო, შენა! მოგხვდა?!

ჩაჩუმდა პატარა ხანს, ხრიალებს. ბოლოს წამოიწევს, ამოიყრის მკლავებს, ფათურობს.

_ ხოსია, ხოსია! მგელმა წამოურბინა, მგელმა!.. ეეი! ე დალოცვილი, ბიჭო ხოსია, რა უღლადია ე შენი კამეჩი და! სწორეთ გემია, გემი! შეხე, შეხე, ი კვალში რანაირ მიანგრევს..... თფეე, ოჰო, სად მივა ე, დასწყევლოს ღმერთმა!..

ბოდავს, შფოთავს სანდალა, ებრძვის სიკვდილს, ელანდება სულ გუთნის ამბები; ღამისმეხრეობის ვაი-ვაგლახი. ბოლოს მოჰყვება ღიღინს «ოროველას» კილოზე; რამდენჯერმე დაიწყობს და გასწყვეტს: ურთავს შიგ ხვნეშას და ვაი-ვაის ძახილს. აი, სანდალა ჩავარდა ღრმა ბურანში; ის ხედავს ცხადლივ, ვითომ ზის გუთნისდედის ყორანა კამეჩზე და საშინელ უკუნა ბნელში მიუდის ჭალა-ჭალა გუთნეული; უცბად ჩავარდა ყორანა უზარმაზარ ხაროში. აქეთ ეცა სანდალა, იქით ეცა, გასავალი არ არის. კამეჩმა ფრთები შეისხა და ზევით ამოვარდა, სანდალა მოეკიდა კუდზე, მაგრამ მეგობარი ყორანა, დახე ბედსა, მტრად გადაექცა, ამოჰკრა რქა და შიგვე ჩააგდო. აქ სანდალამ დაიყვირა საზარლად და ქასქასით გამოეღვიძა. მიიხედ-მოიხედავს, სახლში არავინ არის. უკანასკნელად მოსდის ბრაზი თავის სილაჩრეზე, აჭრიალებს კბილებს, ხელებს ისრესს. პირველად და უკანასკნელად სცადა თავისი ღონე: წამოიწია, მაგრამ ისევ ლოგინზე დაეცა და შექნა მწარე ოხვრა. თავის თავის იმედი ჰქონდა, მაგრამ ამ დასაქცევმაც უმუხანათა. იქნებოდა შუადღე. ღამის მეხრეს ეწვია დაუპატიჟებელი სტუმარი _ სიკვდილი და გამოასალმა სანდალა სოფელს. სანდალამ უკანასკნელ წუთებში ესღა წამოილუღლუღა:

_ ვაიმე, ძმაო... დედა!.. ერთი ალ... ვე... ღარ... _ და ჩაბარდა სიკვდილს.

ღამის მეხრე ცეცო

I

სოფელი დ., მეტი სახელით _ ძაღლისხევა, რომელ წოდებასაც ვიხმარებთ ამ მოთხრობაში, ძიელ სახელგატეხილია ქართლში. იქაურს კაცთან რომ ახსენოთ სახელი «ბატი», უნდა მაშინვე თავს უშველოთ, თორემ ცუდად იქნება საქმე. ამბობენ, ვითომც ბატი ძიელ ჰყვარებოდეთ ამათ წინაპრებს.

თუმცა ასე სახელგატეხილია, საანდაზოდაც გამხდარი ძაღლისხევა, მაგრამ ხალხი საკვირველი მხნე და დაუღალავია მუშაობაში; ყოველნაირი ხელოსანი მოიპოვება; აქაური თიხის ჭურჭელი განთქმულია.

ძაღლისხევა მდებარეობს საკვირველად მაღლობს ადგილზე, მაგრამ სწორეზე; ორგან არის გადაჭრილი ხევებით, რომლებშიაც ჩაფენილია სახლები. სამასამდინ კომლი კაცი იდგება; მოსავალი დიდი იცის, მაგრამ მოუხვედრელ ალაგას მდებარეობს და ბევრს ვერას იყენებენ; სახლები ძაღლისხეველებს მომეტებულ ნაწილად დათვის სოროსავით მიწაში აქვთ; მინამ მგზავრი ზედ არ წაადგება, არ დაინახავს საბძლებს და შუაცეცხლის შაქრის თავივით მაღალ ერდოს, მინამ ვერ წარმოიდგენს, თუ აქ ადამიანი ცხოვრობს. არსად ხე, არსად წყალი, მხოლოდ ცარიელ-ტარიელი ნაგავი, ნეხვის მთები, ბაკების შესაზიზღარი წუმპეები გეჩხირებათ აქეთ-იქიდგან თვალებში.

ამ სიბილწესთან, საშინელ უსუფთაობასთან, ძაღლისხევას აქვს საუცხოო და სასიამოვნო ადგილები: შიგ სოფელში ოთხივ-კუთხივ არის მწვანე, ხავსის ფერი ბალახით შემოსილი მოედნები, საიდანაც სოფლის წვრილფეხი საზრდოობს; გადადგებით მაღლობზე და თქვენ თვალს წარმოუდგება დიდი ღელე, მთელი ხეობა, სიგანით ოთხი ვერსი და სიგრძით რამდენიმე ოცი ვერსი, ვიდრე მტკვრის პირამდე. ეს ღელე თავიდგან ბოლომდის ავსებულია ვენახებით; აქა-იქ ჰღელავს მრავალფოთლოვანი სიმინდი; ჰხედავთ კაკლის ჭალებს. ათასფრად გამოიცქირება ეს ღელე; დილით გადახედვა სწორედ თვალს მოსჭრის ადამიანს, ათასნაირად მობრჭყვიალებს დილის ნამი; სიამოვნებით გული უტოკავს კაცს, თითქო მაღლდება, აღტაცებაში მოდის, გული გასაფრენად ემზადება. ნიავი ცელქობს, ნაზად არხევს კაკლის ხის წვერებს, რომელზედაც შემსხდარან ფოხოლა ყვავები და ამაყად და მალხაზად, კისერ-გვერდზე მოქცევით, გადმოიყურებიან თავის სადგურიდან. ამ მშვენიერს, სასიამოვნოდ ატეხილს ჭალებს, სიმინდებს, ვენახებს შუაში ჩამოუთამაშებს მდინარე ფრონე, რომელიც ანკარა წყალს მოათამაშებს, მოაჩხრიალებს ჭალებში. მაღლიდან ეს მდინარე ერთს პიტალო სარკეს ჰგავს, რომელიც, როცა ეცემიან მზის სხივები, ათასფრად ბრჭყვიალებს და ციმციმებს. მთელი ის იმოდენა ჭალები, ვენახები შიგ გადაჰყურებენ ფრონეს, შიგ იხედებიან და ელამაზებიან თავებს, როგორც კოხტა პატარძალი. ამის მნახველი უნებლიედ იტყვის: «ოხ, რა მშვენიერი ხარ, ფრონევ, რომ ამ სიმშვენიერესთან ერთი სისაძაგლე არ გჭირდეს, ერთი ისეთი სიავაზაკე, რომლითაც შენ უკლავ გულს ძაღლისხეველებს!» ეს პაწაწა მდინარე ჰგლეჯს საწყალის გლეხის ვენახების გვერდებსა და ისეც ღარიბსა და დაჩაგრულს გულს უწყალავს. არაერთხელ დამიწყევლია მე ეს მდინარე ჩუმად, ჩემს გულში: არაერთხელ გამიფიქრებია: «ეს უსიტყვო, უხმო საგანი თითქოს ჰბაძავს, ეჯიბრება ბოროტმოქმედებაში მეტყველ ცხოველებს, იმ ცხოველებს, რომლებზედაც ამბობენ, ვითომც «ხატად და მზგავსად» სრულიად კეთილსა არიან გაჩენილნიო!

ძაღლისხევას ჭალები სავსეა გვრიტებით, ღუღუნა მტრედებით, კაკლები _ მოლაღურებით და სხვ. ჭალები შიგადაშიგ ფესვიანა ამოუწვავს, გაუახოებია გლეხს, და ამ ხამის, ღონიერის მიწის გულში ჩაუბნევია თავისი მაცხოვრებელი სიმინდი და ლობიო, დახამებულ ნიადაგს ამოუქანებია მსხვილღეროიანი სიმინდი, რომელსაც სასიამოდ გაუდის შრიალი და ღაღანი, რომელსაც აქანავებს და აცელქებს ნიავი.

დიდძალი სახნავი მამული არტყია ძაღლისხევას; მიწა შავია, როგორც მელანი, მაგრამ ურწყავია. თუ ცა გაურისხდა და პატარა ნამი არ მოაწოდა, შენი მტერი! _ ამათი საქმე ცუდად დატრიალდება ხოლმე: მოელით ათასი მწუხარება, ვარამი და კარს იასაული მამასახლისით გადასახადის წასართმევად. ბევრი თავმომწონე, შეღერებული, ულვაშშეგინგლული ძაღლისხეველი რჩება ხოლმე ჯვარდაუწერელი. სარწყავის გლეხი ძნელად მისცემს ძაღლისხეველს ქალს ცოლად. «გინდა შიმშილით და წყურვილით სული ამომირთვას ჩემ გომბიოსაო», ამბობს ისა.

უნდა კი გითხრათ, რომ _ როგორც ზემოთაც ვსთქვით _ ძაღლისხეველი ძალიან მშრომელია. გაზაფხულდება თუ არა, ამას სახლში ვერ დაინახავს კაცი, ის ხდება ჭალა-მინდვრების შვილად: იქა სძინავს, იქა შრომობს, იქ ასველებს სისხლის ოფლით მინდვრებს და ხან იქვეც ჩავა ხოლმე საფლავსა. ხელის სისქედ აქვს მზის სიდამწვრე ხელ-პირზედ გადაკრული; ფეხების სიდამსკრეში ხელი გამოივლება; ფეხების წყლულს, მიწა-მწვარას, დაშაშვრას, ეკალ-უკალში კენჭების ხვეწას ის არ უტყდება, შეურყევლად აშურებს სამუშაოს; უშველებელის რისხვისაგან, გაუქრობელის ვაების ცეცხლისგან ჩამწვარ, ჩაფერფლილ თვალებს აცეცებს გლეხი თავის სამუშაოს იმ იმედით, რომ ამ წელში სამადმოხრუკულს შრომა დაუფასდება და შიმშილი ისეც შეხუთულს სულსა აღარ ამოუხუთავს.

დიაღ, ბუნებამ თუ იძუნწა და დროზე არ გამოუგზავნა წვიმა და ფხვიერი, მზისგან დამწვარი მიწა არ გაამაგრა, ცუდად არის ძაღლისხეველის საქმე _ იმას დიდი შრომა დღიურ ლუკმას ძლივს აძლევს. იცის რა ეს, ძაღლისხეველი, რომ იტყვიან, უღმერთოდ მუშაობს.

II

ძაღლისხევა დღისით ცარიელია; ძაღლიდგან კაცამდე გაზიდულია მინდვრად; სოფელი რჩება დედაკაცებს და ამაყ მამლებს. თითქოს გრძნობენო, რომ სოფელი ჩვენ დაგვრჩაო, მამლები ამპარტავნულად დაიარებიან ბანებზე, იკრებენ გარს ცოლებს, მალ-მალ უპარტყუნებენ ფრთებს, ყივიან და არიან ერთ ვაი-უშველებელში; აქა-იქ, სიმინდის ჯიხურის ქვეშ, სხედან დედაკაცები, გვერდს უდევთ შხვეპლი ქათმების ასაქნევად, თითისტარს აპროწიალებენ, მალ-მალ გადიყრიან უკან კავებს და ჩამოისმენ სახეზე ხელს ხვნეშით: «იჰ, გენაცვალეთ, რა ცეცხლის კიდებაა!» მიიხედ-მოიხედავენ და ისევ შეაპროწიალებენ თითისტარსა.

აგერ გადიწია მზემ! დაიძრა გულის მალხინებელი, სიცხისაგან დათუთქულის გვამის გამგრილებელი მალამო _ ნიავი; ნიავმა ყველა სულდგმული გააცოცხლა, გამოაფხიზლა. აი, მოისმის ჟრიამული ახლო-მახლო მინდვრებიდან; ნაწყვეტ-ნაწყვეტად გადმოაქვს ნიავს გულის საკლავი «ოროველა», რომლის გამგონე კამეჩი ცოხნით და კუდის კლაკვნით მიაბოტებს. ნიავმა შეუქიქინა ფრინველთ და შეუგრილა გახურებული ტანი; გაჩნდა კიჟინა, შიშინი ქვემძრომთა.

აი, მზეც ჩადის, თითქოს მოსწყინდა ქვეყნის ცქერაო. აიშლება ხალხი მინდვრებიდან; მომკალი დაასვენებს ნამგალს და ოლეს ძირში მიწვება სულის მოსაოხებლად. ყოველი სულდგმული ეძებს თავის ბუნაგს დასასვენებლად: ჰხედავთ, მოდის სოფლისკენ ღორ-ხბო, ხბო ფუნდრუკით, კოწიაწით; ღორი _ გამალებული და დინგწაშვერილი, რომ სუნი დაიცეს რისიმე; ამათ უკან მოსდევენ პაწაწა მწყემსები ცალ ხელში იფნის სახრით, მეორეში სხარტით _ ჩიტების მტერი სასროლი ჯოხით; ზურგს ჰკიდიათ ხბოს გუდები, რომელშიაც ხრაგა-ხრუგი გაუდის მონარჩენი პურის ნახორხლებს; ტანთ აცვიათ ალაგ-ალაგ ამოფლეთილი ჩოხები. ზოგს, ვინც ყოჩაღად მოქცეულა და სხარტში სიმარდე გამოუჩენია, მოაქვს სახლში ღამის სამყოფი ულუფა _ დახოცილი ჩიტები, დაპტყვნილ-გამოწლულები; პროწიალობენ პაწია მწყემსები, სხარტებს სინჯავენ და შეჰკვეხნიან ერთმანეთს.

_ ქიტიავ! ჰაი, ქიტია! მაჩვენე ე შენი სხარტი! უჰ! რა მარჯვეა, გენაცვა, დედავ! რისაა, ბიჭო? სად მოგიჭრია, ჰა? _ უთხრა პალემ ქიტიასა და ზედ დააცეცა სხარტს თვალები.

_ შინდისაა, ბიჭო! ბატონიანთ წვრიმალაში მოვჭერ, _ მიუგო ქიტიამ. _ ეს დალოცვილი, ბიჭო, არ დასცდება. შიგ ფრთაში გავადენ ხოლმე ლაწანსა.

_ ჩემი კი ურიგოა თუ? აი რამდენი დამახოცია, ნახე ჭდეი! _ თავმოწონებით უთხრა პალელამ.

_ წადი ერთი, შვილოსა, იფანია შენი სხარტი. მაგასა, ჩემო ძმაო, ე ხრახნილი შორი-შორს აქვს, კიდევა იფანი ხელში იტყუებს, ზნექა იცის; აი ჩემ შინდის სხარტს ახლო-ახლო აქვს ხრახნილი და ისე გატყვრება ხოლმე, როგორც თოფი ტყვია. _ პალელამ ვეღარა სთქვა რა, გადაატრიალ-გადმოატრიალა თავისი სხარტი; გულში ეტყობოდა, ქიტიას სხარტი დაამჯობინა, და ხმაამოუღებლად ჩამოვიდა სოფელში. ქიტიამ კი გადაიკლაკნა თავისი სხარტი კისერზე, დაიწყო ზედ ხელები, ამოუშვა ზუზუნი, ვითომ დამღერისო, და ჩანჩალით ჩამოუძღვა ღორ-ხბოს სოფელში.

აი ხედავთ, მოდის მსხვილრქიანი საქონელი, მოსდევენ მოზრდილი მწყემსები, რადგან ამათ უფრო დიდი შეკავება უნდათ მინდორში, რომ არა წაახდინონ რა. წინ ნახირს მოუხტიან ფუნდრუკით ბოჩოლები; მობღავიან ძროხები, რომლითაც ისინი გამოსთქვამენ თავიანთ მშობლიურ სიყვარულს; უკან ხარ-კამეჩობა მოიზლაზნება და კუდით მოერეკება მოუსვენარ, ცელქ ქინქლაებსა, აქეთ-იქითგან მოდიან გუთნის მეხრეები მხარზედ გადაკიდებული გუთნის ღვედით, ხელში განუშორებელი მოქნილი სახრით, ტანისამოსშემოცვეთილი, პაიჭები ეკალ-უკალში და ჭალებში საქონლის ტარებით შემოციცქნილი; ალაგ-ალაგ კანჭებზე წითელი ხაზი აქვთ გავლებული. ეს უთუოდ ეკლის ნიშანი და უნარია: გავლის დროს ამ დაუნდობელს თავისი დაღი დაუსვამს, თითქოს სურვებია, ყოველ შემთხვევაში მოაგონოს, რომ ის მისი ყურმოჭრილი ყმაა; ქუდები ამოცვეთილი, რომელშიაც ბღუჯა-ბღუჯად ამოჩრილია თმა; ჩოხაზედ ჩამოკიდებულს ნაფლეთებს გაუდით ფარფარი. ერთი სიტყვით, შეხედულობა ამ მწყემსებისა მაშინვე წარმოგიდგენთ, რითიც ჯილდოვდება ამათი დაუცხრომელი შრომა და ოფლის წურვა, და აღგიძრავთ სიყვარულს ამ პატიოსანის მშრომელებისადმი.

მოლაპარაკობენ ხელში ჩეკებით და მოეშურებიან სახლისაკენ გუთნის დედებიც. მაგრამ სად არიან, რატომ არ სჩანან ღამის მეხრეები? რატომ ისინი კი არ მიეშურებიან სახლისკენ? იმათ სოფლად ჭერი არ აქვთ; იმათ ჭერს შეადგენს მაღლა _ ცა, ძირს _ დედამიწა; მათ სიამოვნებას _ მინდორი, ტყე, ღრე და ჭალა.

III

დაღამდა. ნელ-ნელა იკლო ხალხის ხმაურობამ; აქა-იქ მოისმოდა მქრალი და მკრთალი ბღავილი გადასხლეტილის ძროხისა; ისევ ბინდ-ბუნდზე მიეყარა საძილედ დაღალულ-დაქანცული ხალხი. პატარა ხანს მთელი სოფელი მოიცვა მკვდრის ძილმა; ჩამოვარდა გულშესაღონებელი სიჩუმე; ისე მიწყნარდა, ისე გაინაბა, გაიკმიდა ყოვლისფერი, სულიერი და უსულო არსება, თითქოს ძარღვის ცემა შესწყდომიათო, თითქოს ცხოველი არსება გამწყვარაო. «ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვაო», ნათქვამია. სწორედ ყველას ჩაეძინა. ერთი პირი დაისსვე, მხოლოდ ძაღლი, ეს ერთგული ყარაული სოფლისა, არა მდუმარებდა; ხანდაზმით წამოიყეფდა, წამოიწკავწკავებდა; ხანდისხან კი ხშირ-ხშირად მოჩქარებით წაუყეფდა. ეს ნადირის ყეფაა, უთუოდ მგელი შემოეპარათ ყარაულებს. ძაღლის ყეფას ხანდაზმით ბანს აძლევდა ციხის ჭოტი, რომელიც გულის საკვნესად, მკაფიოდ გამოიძახოდა: ჭოოტ-ჭოტსა! მშიშარა კაცისთვინ, რომელსაც ძილი უტყდება, ეს ხმა ჭოტისა სწორედ შიშის ზარის დამცემია; გულს უღონებს კაცს ის გაგრძელებული, გაუთავებელი ძახილი ჭოტისა; თითქო რაღაცას მწუხარეს ჩაჰკვნესის კაცის გულს; ამიტომაც ჭოტის ძახილთან ჩვენი ხალხისგან შეერთებულია ათასნაირი წარმოდგენები. ხმაურობაში, დღისით, ჭოტის ხმას გავლენა არა აქვს კაცის გონებაზე; მაგრამ ღამე, სიჩუმეში, საშინელ მდუმარებაში, ის ხმა სწორედ ელდაა: აპობს და არღვევს ამ სიჩუმეს და კაცს სწორედ ისარივით ხვდება გულში.

არ სძინავს ამ ღამეს მხოლოდ ერთ ოჯახს. ცოლ-ქმარნი სხედან ბაკის კარებთან ძარქვეშ; გვერდით მოწოლილია სასთუმალზე ესე თერთმეტ-თორმეტის წლის ვაჟი; ბაკიდან საურდულესთან მომჯდარა ახალგაზრდა, მოწიფული ქალი, თოთხმეტ-თუთხმეტი წლისა, რომელიც გულის ძგერით, მაგრამ სულგანაბული, თითქოს უნდაო, გულის ბაგა-ბუგი არ გაუგონ, უგდებდა ყურს ძარქვეშ მსხდომ დედმამასა.

_ არა-მეთქი, დედაკაცო, ნუ ხარ ე ჯიუტი; იყოს მარტოხელი, რა!

_ მარტოხელს ჩემ გოგოს ვერ გადაუგდებ, ვერ შეიტყე? ცათა და ქვეყანას შუა ე ორი ბავშვი გამაჩნია, მე მინდა, რომ კაი ყოფაში მყავდნენ. მარტოხელ ოჯახში რათ ჩავაგდებ ჩემ თამროსა, ენაცვალოს დედაი იმასა! მე შენ გითხრა, სილამაზე არვინ დაუწუნოს. თურაშაული ვაშლივითა აქვს დაბრაწული ლოყები...

_ ქალი ქებით გათხოვდებაო და პატარძალი ვის უნახავს რიგიანიო, ამისი არ იყოს, ჩემო ცოლო, მართალია, ჩვენ თამროს არავინ დაერიდება, კაი გოგონაა; შვილი ჩემია და არ ვიცი, რაც არი? ე რო დიდ ოჯახში ჩავარდეს, თავს ვერ გაიტანს, მურეხობაში სულს ამოართმევენ; რძლები, მაზლის ცოლები კვირტს არ გაუზრდიან. მარტოხელა ოჯახში კი თავისუფალი იქნება, როგორც უნდა, ისე თავის ნებაზე დააწყობს საქმესა. მერე ისეთი კაი სადედამთილო დედაკაცია ნენეი, რო...

_ მე არა ვიცი რა.....აქეთ-იქით ნათრევ-ნაწოწის შვილს ქალს არ მივცემ, არა!

_ დედაკაცო, _ დაანება ლუკმას თავი ქმარმა, _ ცეცოს არ მისცემ შენ ქალსა, ჰა? ცეცოსა?.. რა გელაპარაკო, დედაკაცს რო ჭკუა ჰქონდეს, რა უჭირს.

_ რა არი ე შენი ცეცო გოდერძიშვილი, ღამის მეხრეა, სხვა ხომ არაფერი?!

_ ჰოო, კიდევ ეგ არის, რომ ღამის მეხრეა. ამოდენა ხანია, რაც მე გუთანს მივდევ, არ მომიშორებია ეგ ღამის მეხრეთა. ერთი წყენა არ მამაგონდება; საქონელი,

გუთნეული ისე ებრალება, როგორც თავისი თავი. იმოდენა ანეული ისე გაივლის ხოლმე, რომ გუთნეულს არ შეეტყობა, ბმულა თუ არა გუთანში. ეს შემოდგომურები დავიწყეთ და სუ ბურთივით დარგვალებულები მოუდის საქონელი, ისე დააძღობს ხოლმე. ახლა ნახე, რა დღიურს გადავაბრუნებთ ხოლმე? რათა? რათა და იმათა, რო ღონიერი საქონელი გვიბია გუთანში და, რო ღონიერი გვიბია, ეს სუ ი შობელგანათლებული ცეცოს უნარია. ბიჭი-მეთქი, რო სულ ოქროა! მაგის მომდურავი კაცი ამ ხეობაში არ მოიპოვება; ამოდენა ხანია, ღამის მეხრეობს და ერთხელ ხარი არ შემოჰპარვია სხვის ნათესში. ამიტომაც ეხლავე, შემოდგურს რო ვეპირებოდით, გუთნისდედებს ცილობა ჰქონდათ: არა, ჩემთან უნდა დაუჯდეს, არა ჩემთანაო. აი, შეხე იი ჯიხურს, სიმინდით რო აქვს გასილავებული! ურიგოა, არა! შენს თამროს გულს მოსძმარავს.

თამროს გულის ცემამ მოუმატა, მამის ლაპარაკი მოეწონა; ამას თვალი ეჭირა კოხტა ბიჭ ცეცოზე; გული ისე აუტოკდა, ყელში მოაჯდა, რომ თამრომ უნებურად წამოახველა; ტანში დააზმორა და ხელებს მტვრევა და ტკაცუნი დააწყებინა. წამოხველებას დედამ ყური მოჰკრა და დაბლის ხმით უთხრა თავის ქმარს:

_ კაცო, დაბლა ილაპარაკე, ე გოგოს არა სძინავს, გაიგონებს. გულში არ ჩაუვარდეს, ცოდვაა!

_ ერთი ანდაზაა: «ტერტერ, ცოლსა გრთავენო», უთხრეს ქვრივ ტერტერას, იმან გაიღიმა და უთხრა: «მეც ეგ მინდაო», იმისა არ იყოს, მაგასაც ეგ უნდა; შენ რა იცი, რო მაგას თვალი არ უჭირავს ცეცოზე. რას იტყვი, ჰა, შენა, შვილო თამრო! _ დაუძახა ქალსა.

თამროს ჟრუანტელმა გაურბინა ტანში. თმა მაღლა აუვიდა; ლოყები აეტკიცა, ყურებში ცეცხლის ალი გამოსტეხდა და გულმა ისეთნაირად დაუწყო ძაგძაგი, რო, რომ არ ჩამომჯდარიყო, წაბარბაცდებოდა მთვრალსავით და შერცხვებოდა დედმამასთან. თამრომ მხოლოდ წაიბუტბუტა მამის სიტყვების პასუხად:

_ იჰ, ნეტავი შენაცა! მე ქმარს არ ვირთავ.

_ მაგის მეტი რა გეთქმის, რა...

_ ნეტა, ადამიანო, არ ატყდებოდე ხოლმე, რა შენი ტოლია რო ელაპარაკები, ან რა მაგის საქმეა საქმროს ამორჩევაი.

ასე ბაასობდნენ ცოლ-ქმარნი ვახშმობის დროს თავის საყვარელის ქალის თამროს ყისმათზე. ეს გუთნისდედა ზალიკა ახალკაცი თავისთვის კარგად იყო; კაი ხანია ორმოში ძველი პური არ გამოლევია, ღვინის ცვარსაც წლითი-წლობამდე არ გამოილევდა. ამას სოფელში შემძლებელი კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი და ამიტომ ლიტრიანებში ჰყვანდათ ჩაწერილი.

იმ ღამესვე, თუმცა ცოლი ძიელ უარზე იყო, გადასწყვიტეს, რომ თავისი საყვარელი ქალი იმ ნაქებ ღამის მეხრეს მისცენ; ახსენეს ღმერთი და მისდეს თავი სასთუმალზე. ის-ის იყო, შევიდნენ ბურანში, რომ უცბად ამოვარდნილმა ქარმა მიახალა ყურში ნაწყვეტ-ნაწყვეტად სიმღერის ხმა. მომღერალი გასაოცარის სუფთა ხმით იძახის სიმღერას, არაკრაკებს ხმას, სასიამოვნოდ გადადის ერთის ხმიდან მეორეზე. პირველმა მომღერალმა შემოსძახა:

«ა, ქალო, ვაშლი, რა ვაშლი!
უბეს ნადები, ნასეტყვი;
ამაღამ შენთან წამოვალ;
გულის ჭირიმე, რას მეტყვი?!»

მეორემ:

«წუთისოფელმა დღე ჩვენი
ძიმწარე დაგვალევინა.
არც მოგვკლა, არც დაგვარჩინა,
არც დღენი დაგვალევინა».

ისევ პირველმა მისძახა:

«ტოროლას მაინც არ მოვკლავ,
რაც უნდა იყოს წამალი,
საწყალი ღამი-მეხრისთვის
ის არის მინდვრის მამალი»

და სხვ.

ამნაირის სიმღერებით და ლექსებით ჩაიარეს გუთნეულით ორმა ღამის მეხრემ; პირველი რომ დაათავებდა ლექსსა და პირველ ხმასა, ზედ დასჭყივლებდა: «ჰა, ბიჭო, პაკო, გენაცვა!» როგორც ზემოთაც ვთქვით, ამ სიმღერის ხმამ გამოაღვიძა ახლად ბურანში შესული ზალიკა ახალკაცი.

_ ჰი! დედა, დედა! რომ არ შეიძლება ამგვარი ადამიანიშვილი, როგორიც ე ცეცოა?! ვერა სულდგმულიც ვერ აასწრობს მაგ ბიჭსა, ვერა. ღმერთო, სად უდგა სული? დუნიაზე არ იქნება, რა საჭიროა, დუნიაზე, მაგის ბადალი ღამის მეხრე, _ სთქვა სიმღერით გამოღვიძებულმა ზალიკამ, მწოლიარემ ბაკის კარებში, _ და ჩემი ცოლი კი ჩამცივებოდა, იმას როგორ მივცემ ქალსაო...

_ არი და ხოდაბუნიც მაგას უხაროდეს, _ მთქნარებით, გამოურკვევლად წამოროშა ცოლმა.

_ კიდეც ჭრის ე ჩემი ცოლი და კიდეც ჰკერავს; წეღან რას ამბობდა და ეხლა რას ამბობს... ღმერთმა მოახმაროს და შეარგოს ი ხოდაბუნები, როგორც თავის დედის ალალი ძუძუ! აი, ნეტავი არ იქნება, ე ჩემი ზაქარიაც მაგითანა მხნე და მარჯვე ბიჭი გამოვიდეს? ნეტა მაგი დედი ძუძუს, რო მაგითანა ბიჭი გამოზარდა.....

აქ იცვალა გვერდი და ცხვირი ბაკის კარს მიაბჯინა.

ცეცო გოდერძიშვილი იყო ობოლი ბიჭი, «საბრალო ნენეს შვილი», ასე ეძახდნენ ძაღლისხეველები. ამისი მამა გიორგი, ჯერ ისევ სიჭაბუკეში, ზამთარში ხეს დაეტანა ბატონიანთ ტყეში; ზოგი ამბობდა, რომ თავდაღმართზე მარხილი დაუქანდა, ქვეშ მოჰყვა და დაიტანაო. მაგრამ ცეცოსთვის ორივ ერთი იყო: ე მამა კი მოუკვდა, დარჩა ობლად, და როგორც უნდა მომკვდარიყო. ცეცო «საბრალო ნენეს» ერთი წლისა დარჩომიყო. ამაზე უფროსებიც თურმე ჰყვანდნენ ნენეს, მაგრამ ღმერთმა არ მისცა. დაღონდა და დაძმარდა ნენე: დარჩა მარტოდმარტო გამომწყვდეული ოთხ კედელ შუა, უარარაოდ, ულუკმაპუროდ _ ერთის წლის შვილით. თითონ ჯანი გავარდნილიყო, რაც უნდა მოსვლიყო, მაგრამ რა ექნა ბავშვისთვის!.. მეტი ღონე არ ჰქონდა ნენეს _ უნდა დღიურად ემუშავნა, ეგლახავნა და ისე დაერჩინა თავიც და შვილიცა. «გავალ, მივდგებ-მოვდგები, ქვეყანა განიერია». ითქვა, _ გათავდა.

პატარა ცეცო, აკვანში ჩაკრული, იწვა ხოლმე დერეფანში, როცა დედა მეზობლიანებში მიდიოდა სამუშაოდ, მხოლოდ ხანდისხან დახედავდა ხოლმე, მაგრამ ბევრჯერ მთელი დღით უსხავლნია ლექსას _ ნათლობის სახელი ცეცოსი _ უძუძურად; ბევრჯერ თურმე გადარჩა, რომ აკვანში არ ამოსჭამეს საბრალო ცეცო ღორებმა. მაგრამ მეზობლები იტყვიან ხოლმე, ცეცოსა ნენეს სიალალმართლემ უშველაო. აბა, რა დარჩებოდა ნენეს თავის ცეცოთი, რომ მარტო არ დაეტოვებინა? ზაფხულობით ნენე თითქმის ყოველდღე შემლებულ გლეხებთან მიდიოდა მუშად:

ქერის საგლეჯად, სიმინდის სარჩევად, ლობიოს საგლეჯად, ბოსტნის გასამარგლად, ხან თავისთვის თავთავის მოსაგროვებლად დადიოდა. როგორც ყოველ საქმეში, ისე აქაც, სამუშაოში, დედაკაცს მამაკაცზე ერთიორად ნაკლები სამუშაო ფასი ეძლევა: სამი შაურიდან ექვს შაურამდის. თუმცა ძალიან მხნე მუშა იყო ნენე, ვაჟკაცივით ირჯებოდა, მაგრამ ექვს შაურს არ აცილებდნენ. ზამთრობით კი პურისმცხობლობდა. ამასობაში ცეცოც წამოეზარდა. ახლა თან დაჰყავდა შვილი და ამიტომ უფრო უმატა მუშაობას. ბოლოს, იმისმა ბედმა ისე იმუშავა, რომ მღვდლიაანთ მოჯამაგირე დედაკაცად დაიჭირეს იმ პირობით, რომ ბავშვიც თან ჰყოლიყო. დაჰკეტა ნენემ თავის ბოსლის კარები, მაგრამ ცეცხლი კი არ გაუქრია: კვირაში ორჯერ-სამჯერ მაინც შევიდოდა ბოსელში და ბუხარში მიაჩუვლებდა ცეცხლს, რომ ბოლი ასულიყო და ქვეყანას ეთქვა, რომ იმის სახლში ჯერ ცეცხლი არ გამქრალა.

რის ვაინაჩრობით გამოჰკვება, გამოაჩოჩა ერთადერთი შვილი, გაამეხრევა. ცეცომ დაიწყო ახლო ჭალებში სიარული, ყოველდღე თითო გუდურა შეშა ფიჩხა მოჰქონდა; წყალს ეზიდებოდა, მერე დღის მეხრეობა დაიწყო; დედა ცალკე მუშაობდა; იშოვეს დაუყვედრელი ლუკმა.

სიღარიბემ, სიმარტოხელით გამოზრდამ თავისი დაღი დაასვა ცეცოს. ის იყო კანტი, ანუ, როგორც ჩვენში იტყვიან, სხარტი ბიჭი; იმის გამხმარ, მაგრამ სუფთა სახეს სიყვითლის ფერი დასცემდა. შავი თვალები, ზედ გადმოხურული გრძელი წამწამებით, შავი, გადაბმული წარბი და ფართო შუბლი, შემურული და შელანძული მზისა და ქარისაგან, გადმოსცქეროდა მის ცოტად კეხიანს ცხვირსა. ზემო ტუჩს უმშვენებდა ახლადაკოკრებული ულვაშები. ეს ტუჩი იმას მალი-მალ შეუთრთოლდებოდა, სახეც თითქოს ეკალს აუშვებდა, როცა არ მოეწონებოდა რამე ლაპარაკში. ეს იყო ბეჭედი მისი ნაილაჯობით გამოკვებისა. გულ-ღვიძლი დაუთუთქა, ნაღველა გაუსივა დედის ცქერამ, მისმა ტანჯვამ არსობითი ლუკმისათვის, რომლისთვისაც ის პირუტყვივით მუშაობდა. სიძულვილს ხალხისადმი ის სახის თრთოლვით ჰხატავდა.

ეს ცეცო იყო, რომ დასჭყიოდა სიმღერაში ამხანაგსა. ამხანაგი იყო პაკო კახნიაშვილი, ესეც ღამის მეხრე იმავე გუთნეულისა. აი, ამ ორმა ღამურა, ჩაუქმა ბიჭებმა, ნაბდის ქუდებით და რუსული ნამჯით, ჩამოიარეს ხევში, სოფელ-სოფელ, სიმღერითა.

IV

_ ჩუ!.. ის ოხერი ჭოტი იძახის ციხის უბანში; დასწყევლოს ღმერთმა, კაცო, რას ჩააცივდა მაგ უბანსა, ჰა? მინამ არ გაალაგებს სულა, კი არ მოეშვება თურმე; ჩამომტერება თურმე იცის… ი საწყალი კვირიკაანი სუ ერთიან ამოწყვიტა, ახლა უგრეხელაანთ მიჰყო ხელი, _ სთქვა პაკომ.

_ მა სად წავიდეს, მერე? მაგისი ადგილი ციხეა; დღე ვერასა ხედავს და ღამე მხიარულობს, მაგისი სიმღერა ეგ არის და რა ქნას, _ უთხრა ცეცომ.

_ არა, კაცო! იტყვიან, რომაო, რომელ უბანსაც ჩააცივდებაო, რომელი სახლისკენაც გადიკივლებს ეგ ბაიყუში ჭოტიო, იმ სახლში, ან უბანში, უთუოდ მოკვდება ვინმეო. მართალი არ არი, მერე? ე ციხის შუა უბანი სუ გაჩანაგდა, შვილოსა!

_ ჰო, მამაჩემიც მაგან არ მოჰკლა, დიახ! რას ამბობ, კაცო, სიკვდილი ხო წერაა: რაც შუბლზე აწერია, იმას ვერ წაუვა. მამაჩემს ეწერა შუბლზედ, რომ ხემ უნდა დაგიტანოსო და დაიტანა..... აი მთელი ელიის უბანი ამოწყდა და აიყარა, მაგრამ იქ ჭოტს კი არ უძახნია.

_ მა რათ ამბობენ, მერე?

_ რა ვიცი!

ერთს სწამდა, რომ ჭოტის ძახილი კაცს მოჰკლავს, მეორეს არა სჯეროდა, არა სწამდა. რადა სწამდა ერთს და რად არა სწამდა მეორეს _ ეს არცერთმა არ იცოდა და არც შედიოდნენ იმის გამოძიებაში.

_ რას იტყვი, ცეცო! ე გუთნეული სად სჯობს, რომ მივრეკოთ? პაატიანთ სააგურის ჭალაში ეხლა ბალახი გაჩნდებოდა. ძაან ხბოშუბლა არ იყო იმ დღესა იქა! _ უთხრა პაკომ.

_ ამოვიდოდა, მაგრამ, კაცო, მოთელილ ბალახს ისე გულიანად ვერა სჭამს საქონელი, როგორც ახალსა. აბა, შენ თითონ დაფიქრდი: კაი ლობიოს ჯამი მიაგდე, ვთქვათ, ფერდსაც მოხვდა ლაზათიანად, მაგრამ კიდენ..... ვალალს გაყრის მუცელი; ახლა როგორა ხარ ერთ ჯამ მაწონზე? ლობიოს მიიმატებ, თუ მაწონს ირჩევ?

_ ჰაი, ჰაი! გაგიხარიან, რო მე იმას დავაცხრე! მაგრამ... ეჰ, შენ, ძმაო, რაც გინდა თქვი, ლობიოთანა ჩვენი კაცისთვის არა არის რა; როგორც ის ამოჰყორავს მუცელსა, ისე სხვა არ გაგონილა.

_ საქმე შერგებაზეა, შერგებაზე!.. ჰო, შენ დარდი ნუ გაქვს. ცეცო მოგიკვდეს, ცეცო, თუ ემ დრამში საჩალეთის თავში არ დავბადო ე გუთნეული. გუშინ ლაშიდგან გადმოვიარე, უკეთესი კაცის თვალს არა ენახვება რა: ასეთი ღიჭა და ძურწა-ბალახია ი კორდიანზე, სიმინდის თავში, ჭალიანში, როგორც აბრეშუმი; სულ შრიალი გაუდის.

_ თუ ლაშელებს არ მიურეკიათ, კიდევ კარგი. ი ოჯახდაქცეულები, ი ლაშელი ღამისმეხრეები, თავიდან ბოლომდე სუ შფოთები არიან. შარშან მარმარა-ღელეში კინაღამ მიხა არ მომიკლეს! _ სთქვა პაკომ და აგრძნობინა ცეცოს, რომ ხიფათს არ შევემთხვეთო, რადგან ხშირად მოხვდებოდა ხოლმე ღამის მეხრეებში შეტაკება საძოვრის გამო.

_ ჯერ ერთი ესა, რომ ჩვენზე ადრე ისინი ვერ გარეკენ; მეორე ესა, მიხა, ჩემო ძამია, სისხლი-გუდა კაცია. აბა, კარგია, რო თავი ზედ დააჩეჩქვეს კომბლებითა? რო მომკვდარიყო, იმის ორ ბაღანას უნდა წიწილებივით ეწივწივნათ აქა-იქა...

ამ დროს მოისმა ლაწანი და შეაწყვეტინა ცეცოს ლაპარაკი. ამათი გზა ორღობეში გადიოდა, ვენახებს შუა; ლაწანის შემდეგ ვენახის ღობემ ჩხარი-ჩხური დაიწყო. პაკო შედგა, ცეცომ მოხედა გვერდზე და აგრძნობინა ამხანაგს, რომ უბრალო ლაწუნმა როგორ შეგაშინაო.

_ უთუოდ ვენახში ხილს ქურდობს მგზავრი. ამ ორღობეს ხო არ ასცდება ოსი, _ სთქვა პაკომ.

_ არა, ეს სულ სხვანაირი ხმაა. ეგრე ხანგრძლივად ქურდი როდი დაალაწუნებს.

_ რას ამბობ, კაცო! ეხლა ისევ დაისია, შეხედე ი ვარსკვლავსა: ჯერ არ ჩასულა.

ამ დროს მოისმა კიდევ ლაწა-ლუწი, გლიჯინი სხვა ადგილას.

_ იი, შენი გამჩენი კი დაიქცეს! ეს ხომ ი წუწკი ხარი იქნება, ი ხათაანთ წიქარაი.....ჩფვეოოო, წიქარა! აჰაი! _ შეჰკივლა ცეცომ და ხარმა დამფრთხალი ირემივით ბრაგვანი გადმოიტანა ღობიდგან. _ ე ჯულ-ძაღლი, განა არა, სუ

მაგონდება ხოლმე რო ეგ წინ არ გაუშვა, ე კამბეჩებთან ვატარო, მაგრამ სუ გულიდგან გადამივარდა. ერთი წაუარო და შემოვიტრიალო, აი სიმინდებში არსად შემეპაროს.

ცეცომ შემოატრიალა წუწკი წიქარა. ისე ჰყავდა დაწვრთნილი ხარები, რომ ერთი დაძახება და _ იმათი გაჩერება ერთი იყო. ამასობაში გუთნეული გავიდა ფრონის პირზე, რიყეზე. ღამე იყო უმთვარო, ბნელი. სიბნელე უფრო გააძლიერა დასავლეთიდან ამომავალმა შავმა ღრუბლებმა, ნიავმაც წამოუბერა; მტვერი პრო-წიალ-პროწიალით გააქანა მაღლა ჰაერში.

_ არიქა, შენი ჭირიმე, _ სთქვა ცეცომ. _ ეს წვიმის ნიშანია. კაი ხანია, არა ყოფილა და უთუოდ, შენმა მზემ, თქეში ან სეტყვა გატყვრება. ე ძაღლიც რო ფეხებიდგან არა გვშორდება და იბუზება, ეტყობა კოჭებში, რო ამაღამ ლაზათიანად დაგვალბობს.

_ პირველი არ არის და მეორე ჩვენი დალბობა. ნეტავი ერთი ნამი გაჩნდეს შენი დღეგრძელობითა, თორემ..... ი დალოცვილი, რა არის და! სუ ღაღანს არ დააწყებინებს ხოლმე ბალახ-ბულახსა!..

_ შენმა მზემ, რომ სწორედ ლაზათიანი შხაპუნა წვიმა მოვა. დახე, წინწკალიც წამოვიდა..... ჰეი დახე და, რა შავი ღრუბელი ამოვიდა ი საციციანოსაკენა! ეგ ჩვენი საავდროა აი! მთა-გორასავით არ წამომჯდარა ი დალოცვილი ღრუბელი!

_ დალოცვილი, სადა ჩნდება მაგოდენათ? ნეტა კი მანახვა და? აბა ეგ იქნება კაი სანახავი აი, _ სთქვა პაკომ და შეუბრუნდა ღრუბელს.

_ ღრუბელი ნაგლეჯი არ გინახავს შენა, პაკო? ისეა, ბიჭო, დახვრეტილი, როგორც კაი ცხავი; იქიდგან ჩამოდის წვიმაი...

_ ჰეიი! აი დიდება შენთვის, ღმერთო! რამდენი რამეა, რო ჩვენ არ ვიცით; ე რაღა მოსაგონებელი იყო?

_ მა ხომ უწვიმოთ დავიწოდით! «ცეცხლი ჩამოვარდას» რო იტყვიან, ის არი აი, უწვიმობა. დედამიწა სუ პირს დააღებს ხოლმე, თითქო შოშიას დასცხომიაო..... იცი? დედაჩემი იტყვის ხოლმე, რომაო ერთს წელიწადს ერთი ისეთი ცეცხლისკიდება გოლვა იყოო, რო სუ დაიდაგა ქვეყანაო, დედამიწამ ისე დააღო პირიო, რო კამბეჩებს ფეხი უვარდებოდათო. ატყდნენ თურმე ი სალავათძაღლი მკითხავები, რო ეს ჩვენი ცოდვის კითხვააო, მეორეთმოსვლააო; ხალხს საფლავებს ვიღა გაუთხრისო და ამაში ჩაცვივიანო. თურმე ჩვენმა მოძღვარმა, აი, მე რო ვებარე ხოლმე, იმანაც ჯვარით და სახარებით შემოუარა სოფელსა... მერე თურმე საიდღანაც, ისე, ანაზდად გაჩნდა წვიმა და სუ კოკისპირულად ასხა და, მე შენ მოგახსენო, თურმე ბიბინი შეაქნევინა მთა-ველსა...

ამ დროს დაიჭექა ერთი საზარლათ და შეიკლაკნა ელვა გველივით დასავლეთისკენ. ღამის მეხრეებმა პირჯვარი დაიწერეს. წამოუბერა ქარმა და დაატრიალა გოლვის სუნი. გოლვისა, მყრალი და აშმორებული წყლისა და გამხმარი ბალახის სუნი, ერთად შეერთებულნი, უღიტინებდნენ ცხვირს და უნებურად აფხლეკინებდნენ. სუნთქვა გაძნელდა, ჰაერი დამძიმდა. ქარის უცბად წამობერვამ და გრიალმა მკვირცხლი, მფრთხალი და მხდალი მტრედები შამი-შუმში მოიყვანა: კაკლის ხეებზე ფრთებს ფისტონივით გაუდიოდათ ტკაცა-ტკუცი. ამ სულდგმულის მოძრაობამ რაღაც სიამოვნების და ნუგეშის გრძნობა აღძრა ღამის მეხრეებში. ერთგული მურია შედგა ამ ტკაცუნზე და კუდგაბზიკინებული გაშტერებით შესცქეროდა ხეებს და თან მუნჯად იღრინებოდა. ჩაინაცვლეს

მტრედებმა კაკლის დაბლა ტოტებში, ამოუშვეს კრუტუნ-ღრუტუნი ძილმორეული ბავშვივით და მიეცნენ ძილს და განსვენებას.

ღრუბელი თანდათან ამოიმართა, დაჰფარა მთელი ცისქვეშეთი; შავს, ღვიძლის ფერს ღრუბელს ეტყობოდა, რომ ძალიან დატიკნილი იყო ნამებით ქვეყნის მოსაპკურებლად. ცეცო მალი-მალ ჩაქუქდებოდა, დახედავდა ბილიკს, რომ გზა არ შეშლილიყო. ელვაც ძალიან შველოდა მგზავრობას: როგორც კვესი აბედზე, ისე ბდღვრიალებდა ჭექის შემდეგ ელვის ნაპერწკლები ჭალაში და ცეცო ერთი თვალის დაკვრით იგებდა, საიდან დაეჭირა საჩალეთის გზა. პაკოს კი ის აზრი სტანჯავდა, თუ სად ჩნდება ეს ამდენი ღრუბელი...

_ სად არის, ბიჭო, ეს ამოდენერთა ღრუბელი, ჰა, ე? ეს არი, კაცო, გასაოცარი, რო თუ არი ღრუბელი მზა, რატო მალი-მალ არ მოვა ხოლმე წვიმა? ვაი ჩვენი ბრალი, ჩვენ გაჩენაში ღმერთი არ უნდა ერიოს, არა! ი დალოცვილმა გამოგზავნოს ხომე, რა ხარჯი გასდის... ესე მაინც იყოს, კაცო, დებულობა, რო რა არი... ი როცა გოლვაა, მაშინ ხარჯი არ იყოს, თუ არა და ყველა გახელდება ხოლმეL ერიც და მღვდელიცა. არა, ეს მითხარი შენა, რომა მე ვარ მღვდელი და ე ჩვენი მღვდელი კი გლეხკაცათაა, ან ი პრიტავი, მათრახის შლაპა-შლუპით რო ჰკრეფავს ხომე ნედოკებსა, _ რო მივიდე იმათთან, იამებათ, ჰა? შენა გკითხავ, ცეცო!

_ აი, ღვთის წყალობა გაქვს, მე იმათ შლაპუნი ავუტეხო გვერდებში, _ სთქვა ცეცომ ხმის თრთოლვით. _ მათრახი კი არა, კაი საკამეჩო იფნის სახრე და იმათი ჯანი, რომ საცა მოხვდეთ, სუ ძვლამდის დაალურჯოს, მაგრამ... ეეჰ, ჩემო პაკო! მაგას ჩვენ ვინ გვაღირსებს. და ვერც ვიქმთ შენ და მე, ჩემო ძმაო, აგრე უღმერთობასა; რო გავიგებ ხოლმე, ზიარების მადლმა, სუ გული ამიდუღდება და თვალები სისხამით ამევსება ხოლმე. აი იმ დღეს საცოდავ დალაქიანთ ქვრივ-ოხერ დედაკაცს რა საქმე დაუწიეს ორი შაურის გულითვისა: კინაღამ კიწიწებით ათრიეს. აბა, სად მოეხვეწებოდა საწყალ-ქვრივსა; ერთი მეხრე ბიჭი ჰყავდა და ისიც მოუკვდა. მართალია, ვენახიც აქვს, სახნავიცა, მაგრამ აი აგერა ჯერ ე ჩვენ, ძმაო, სისხლსა ვღვრით, წელებზე, _ რა არი, _ ფეხს ვიდგამთ და აბა მითხარი, რა გვრჩება, ი მზი შუქის მადლმა და ზიარება არ გამიწყრება, რომა წრეულ ხუთი კოდი პური ძველად ძლივს გამყვა. იმან რა ქნას, იმ ქვრივ-ოხერმა; ამ ოხერა სოფელში სამუშაოც არა არის რა, რო ლუკმა-პური იშოვოს. შარშან კიდენა ზოგან და ზოგან ქერები გახდა საგლეჯი და იქ მუშაობდნენ დედაკაცები. წლეულა? ეჰ, ზიარების მადლმა, ნაღვერდლით მევსება გულ-მუცელი, როცა წარმომიდგება ხოლმე, რომ დედაკაცი ფეხშიშველა ფეხით ამ გახურებულ დედამიწაზედ დილითგან საღამომდინ დაკუზული სდგას. არ დაიჯერებ, პაკო! იმ დღეს, აი იორდანესთვის გუთანი გვება საყარაულო სერზე, სამხრისა რო გამოუშვით და მე ლაშეზე ჩავირბინე წყაროზე, სწორედ ი ლაშის ფერდობზე ვნახე ქერში დაჩოქილი დალაქიანთ ეფემია, აი ორი შაურისთვის რო დაარბიეს. ვნახე, ძმაო, მაგრამ ნეტა არ მენახა: მდუღარე ცრემლს აბნევდა ამ სიცხე-პაპანაქებაში; ისე აუარ-ჩამოუარე, რო არც კი მოუხედნია. შევჩერდი, ბიჭო, და სულ ბაგი-ბუგი დამიწყო ცოდვით გულმა. მაშინ წამომიდგა ი დედაჩემიცა: მე რო მოვკვდომოდი-მეთქი, ხო ეგრე მოუვიდოდა იმასაც-მეთქი... ვოჰშიმე!!. _ ცეცომ აქ ერთი საშინლად ამოიხვნეშა, თითქოს უნდაო მოგროვილი, გაუგებარი ნაღველი ამოინთხიოსო. ამოხვნეშამ თითქოს წყლული მუწუკი გამოურწყო, ისე მოუფონა გული და მშვიდის ნაბიჯით წაუარა სიმინდისკენ მიმავალს ნიკორას. სწორედ არის ნათქვამი: «ოხვრააო შვება უბედობისა».

_ აბა, ბიჭო, რათა, რაო, ჰა? არა მაქვს, რათ მართმევ? რას შეგმატებს ქვრივ-ოხრის გაგლეჯაი? რა ჰქვიან, რო შეძლება იყოს ხომა, რა ხმა ამოგეღება... ნეტა ერთი რათ უნდათ, ბიჭო, სად მიაქვთ?.. ეგ კი არა და, ღმერთმანი, ეს ვერ გამიგია: ი რათ არის, რო ზოგი დუღს და გადმოდის და ზოგს კი შიმშილით კუჭი უხმება, ჰა ე?.. ჩვენი არ იყოს, ცეცო, ღმერთმანი, რომა ღამე და დღის გასწორება თუ არი, რა ჰქვიან, ვასწორებთ და, რა ვიცი, უნიათო კია ჩვენი ყველაფერი და! _ ჭოჭმანით უთხრა პაკომ.

_ მა რა იქნება, ბიჭო! ეს მამასახლისიო, ეს მღვდელი და დიაკვანიო, ის გზირიო. ე მენახირეს მისცეს კაცმა, კიდე ჰო! _ ალალია. აი, კიდევ დალაქსა, მაგრამ ე მამასახლისი რაო, რის ჩანჩალაა, რის მაქნისია, რას მიკეთებს!.. ერთი ვიღაც ოხერი ჩამოიკიდებს ჯაჭვსა, გასუქდება, სოფელს შესჭამს; ახლა სხვა, ახლა სხვა, და ჭამენ. შენ აძლევ, მე ვაძლევ, ისა, და წავიდა და გაკეთდა კაცი. ასეა, აი საქმე! გამდიდრდებიან მა რა მოუვათ! ღამი-ხარში რო ღამე გამიტყდება ხოლმე, წამომიდგება, რო რათა-მეთქი. ეს ჩემი ოფლი რათ მიაქვთ-მეთქი; თუ მომყავს მე, მაშ ჩემი უპრიანი არ არი-მეთქი; რატომ ჩემს ორმოში არ უნდა ეყაროს-მეთქი!

_ აი, დიდება შენთვის, ღმერთო! რაღაცა კია და!..

გავარდა ცაში ელვა, შორს, შორს შექმნა ცამ ნელ-ნელა გრიალი, თითქო ცარიელა კასრს მოაგრიალებენო. ჩამოვარდა ერთ წამს სიჩუმე: ხეებშიღა იყო შრიამული, შემდეგ გატყვრა უცბად ჭექა და ჩამოაკვესა ფრონის რიყეზე.

_ წმინდა არს, წმინდა არს! _ და გადაიწერეს ღამის მეხრეებმა პირჯვარი.

_ აღარა ხუმრობს, აი! ღმერთო შენს მადლსა, ერთი გვასხურე, შე კურთხეულო! _ სთქვა სასოებით ცეცომ. _ თურმე, ნუ იტყვი, ბიჭო, ბებიაჩემმა იცის, რომა ე რო ქუხს, ელია წინასწარმეტყველი ზის დროშკაში და დააჯირითებს ცაში და, ი ცა რო გაინძრევაო, მაშინ წამოვაო სხაპა-სხუპით წვიმაო. მეხსაც თურმე ისა გზავნის. რო გააქანებს ი დროშკას, თუ რაღაცას, წინ ი წყეული ეშმაკი აუძღვებაო, ცხენები თურმე უკან დაიხევენო; ელია, ვენაცვალე იმის მადლსა, აიღებს მეხსა და ესვრის ი წყეულსო; ის დაიკუზებაო და მეხი კი აქ ჩამოვარდება ხოლმეო. ნჰ! ი სალავათძაღლი, ისა!..

_ ღრუბლებსაც ის თუ აკეთებს, აი! _ სთქვა პაკომ.

_ ეგა, ბიჭო, ჭკუამიუწვდომელია. ეს კია, რომა სად _ ცაა, სად _ ჭექა-ქუხილია... ხანდახან რო ზედ თავზედ გვაკვესებს ჭექა-ქუხილი ი ელვასა!.. ეჰ, ე ხარებს გავერეკოთ, თორემ დაგვალბობს, მე ვიცი. ჯერ ხარი დავაძღოთ და მერე ჩვენ თავს ვინ ინაღვლის, პირუტყვი საქონელია...

V

წყალგაღმით იყო სააგურის-ჭალა (ასე ეძახიან ძაღლისხეველები ამ ჭალას). ერთ დროს ეს ჭალა ისე გაბურული და გაბმული იყო ბუჩქნარით, ეკალ-ბარდით, რომ ჩიტი ვერ გაძვრებოდა, ეხლა კი ძაღლისხეველებმა შიგადაშიგ ამოუწვეს ამ ჭალას გული, გაამინდვრეს, გააახოვეს და მოჰყავთ სიმინდი. ამ ახოების გვერდით და გარშემო მშვენიერი საძოვრებია; ერთადერთი ბილიკი გასდევს თავიდან ბოლომდის ამ ჭალასა. აქა-იქ აყუდებულა მრავალტოტიანი ვერხვი და ამაყად გადმოსცქერის დაბალ ბუჩქნარებს. ღამღამობით ძვირად გამოატარებს ღამის მეხრე ამ ჭალაში გუთნეულს, იმიტომ რომ აქ ბუდობს სხვადასხვა ნადირი: მგელი, დათვი, მელა, ტურა და სხვ. სააგურის მგელი თავის გაუმაძღრობით განთქმულია

მთელ ფრონის ხეობაზე. ღამისმეხრეები უფრო რჩევობენ, რომ მოატარონ სხვა გზით და საძოვარზე ისე მირეკონ.

ამ ჭალაში უფრო ჩამობნელდა შავი ღრუბლების გამო. გზა და კვალი არსად სჩანდა; ყველა სულდგმულმა იგრძნო, რომ დიდი თქეში მოვა; იფრთხიალეს ჩიტებმა და ბუჩქის ძირას დაეშვნენ; გვრიტებმა, რომლების სადგურს შეადგენს გაბმული ბარდანა მცენარეები, ჩაიკრუტუნეს; ბაყაყებმა გაახშირეს ყიყინი, რომლებიც გაჯავრებულებივით ქასქასებდნენ; ამ საშიშ ღამის საიდუმლოებას ბაყაყებიღა არღვევდნენ. ეს ხმა, შეერთებული ვერხვების ტოტების შრიალთან, გულს უწუხებდა კაცსა. აქ, ამ ჭალაზე, უდრო-უდროოდ ფრონისხეველი ძვირად გაივლიდა, რადგან სჯეროდა, რომ ვერხვებში ალები იმალებიანო. ძაღლისხევში გავრცელებული იყო ხმა, რომ ალები ამ ვერხვებიდან გამვლელს გამოელაპარაკებიან ხოლმეო, ხან ძაღლად მოეჩვენებიან, ხან ციკნად, ხან ცხვრადაო. ვითომ კიდეც ერთ გლეხს დაეჭიროს ალი ნაწნავებით და სახლში ჰყოლიყოს; მერე ალს ეთქვას: «ოღონდ გამიშვი და ბედსა გწევო. აი, ჩემი ფრჩხილი და თმა, ამეებით, საცა გიჟი გამოჩნდება ან ბნედიანი, მოარჩენო».

_ მა, შვილოსა, _ დაუმატებდნენ ზედ ძაღლისხეველები, _ აკი კიდეც იმიტომა აქვს იმ გლახას შეძლება, რო ავადმყოფები მოსდევენ.

იმას კი აღარ კითხულობდნენ საცოდავები: რჩებოდნენ გლახასთან გიჟები, თუ არა? ან მართლა თმა ჰქონდა და იმითი არჩენდა, თუ სხვა რამ საშუალებითა?

ამ საშიშ ჭალისათვის უთუოდ უნდა აექციათ გზა მგზავრებს, მაგრამ ჩვენი ღამის მეხრე ცეცო არხეინად გაივლიდა ხოლმე ბილიკაზედ. თუ მთვარიანი ღამე დაუდგებოდა, ამან იცოდა, როგორც დააძღობდა გუთნეულს შიგ ჭალაში, თუ არა და, ამ ჭალის ბილიკით გადიოდა მშვენიერ საძოვარზე, ნასიმინდრებში, ყველაზე უწინ. ამიტომ იყო, რომ გუთნისდედებს ცილაობა მოსდიოდათ ცეცოზე და უღელზე ერთ დღიურს მეტს აძლევდნენ.

VI

ცა გარისხდა: ჭექა-ქუხილმა დააყრუა ქვეყანა; ელვა გულსაკლავად იხლაკნებოდა შორს ცის სივრცეში. გავიდა ზლაზვნით საქონელი ჭალის პირას. «მამოჰოვა!» _ შემოუტია გუთნეულს ცეცომ და გააჩერა.

_ პაკო, როგორ გინდა? წინ წახვალ, თუ უკანა მოჰყვები? მე წინ წავალ. ოხერი ბილიკაა, ე ფოტოროზე არსად გადიჩეხო.

_ ანგრე იყოს.

გასწია ცეცომ წინ.

_ ბიჭო, ნელა უყა, ნელა! თითო-თითოდ გამოვიდნენ ბილიკაზე, არსად გადიჩეხონ! ნჰე! ე ვერანა, რა ჯურა ღამეა? რუხრუხი არ გაუდის ამ ტიალა ცასა!.. იი! რა ფეხებში მედები, შე რჯულ-დავარდნილო! აზგამო, გადი ისე!.. პაკო! მარჯვეთ იყავ, სწორედ ნადირია: ე ლეკვი ფეხებიდგან არა მშორდება. ი დიდი თოლია მაინც გამოგვყოლიყო.

_ ჰო და! ეშმაკს თვალთ არ უჩანს.

_ ფიქრი არ არის, ფიქრი! _ დაიწყო ისევ ცეცომ. _ ემ დრამში გავალთ ველზე და მერე თუ გინდ ხრო დაგვედოს, ირემა-კამეჩი აქ არ არის! ეს იყო, პაკო, რომ შარშან მგელი რქით გამოარბევინა ამ ჭალაში და სოფელში ბღლაძა გააყრევინა. ჰი! ე ქედნაკურთხი! ისე გაუფრთხილდება გუთნეულს, როცა ნადირი გაერევა ხოლმე, როგორც კაცი. ღმერთო, რა პირუტყვია! ოქროა სწორედ, ოქრო!.. ჩუ, პაკო, გესმის?!

_ აქ ღამის მეხრეებმა შეაფერხეს გუთნეული და წაუგდეს ყური. მოისმა მუშურის ხმა.

_ ჰეი-ჰეი! ღმერთო, რა კაცია ეს ხოსეი და! ვენახში წყალი უგდია, შენი ცოდო არა მაქვს; ამ წვიმამაც ლამის ზედ მოუსწროს, _ სთქვა ცეცომ ისე, თითქო შეშურდაო, რომ სოსე მუშაობს და ეს კი ეხლა მიდის, და გაუძღვა გუთნეულს.

_ ოჰ, ოჰ! გატიელდი და გაოხრდი, აჰაა!! ცეცო, მოიცა; ეს ოხერა ჯაგვის ცერზე დავაგე ფეხი, ქალამანი სუ თან გაიტანა. უჰ... _ სთქვა პაკომ და ჩაიქრო ხმა; იცოდა, რომ ვიშვიშით ვერას მოუმატებდა.

ცეცომ მიანება საქონელს თავი, რადგან ველზე გავიდნენ და იმავ დრამში გაჩნდა პაკოსთან.

_ ჰა, რას წაკუზულხარ? რა გიშავს, აი ველზე გავედით; ვერხვქვეშ დავისვენებთ.

აიკანჭურა საცოდავმა პაკომ ფეხი; გავიდნენ ველზე, მიუშვეს საქონელი ნებაზე; დაუწყეს კამეჩებმა ბალახს დღლეძა, თითქო ფესვებს ჰგლეჯენო. ცეცო დატრიალდა ჭალის პირში, მიჩინჩხვრ-მოჩინჩხვრა, ტალ-კვესით სასწრაფოდ დააგზნო ვერხვქვეშ ცეცხლი: მიბრუნდ-მობრუნდა, ეცა რიყისკენ, მოიტანა იღლიით ორი დიდი სამუთაქე ქვა; შესხნა პაკოს ქალამანი; წამოჰყარა ბატის ფეხის სამარილიდან მარილი, წააყარა ჭრილობაზე, რო სისხლი შესწყვეტიყო, და შეუხვია. მოუსხდნენ ცეცხლს. ბალახი კარგი იყო და საქონელი დადგა ერთ ალაგს და ხარბად დაუწყო ძოვა; წამოუბერა ქარმა და გადმოჰყარა მსხვილ-მსხვილი წინწკლები; ახლა კი დავლბებით, _ სთქვეს გულში მეხრეებმა და მიიკუნტნენ ვერხვის ძირში.

აი, დაასხა და რა დაასხა, რომ სულ ლიები წავიდა!.. გუთნეულს სანამ ძიელ არ გაუჭირდა, არ დაანება ბალახს თავი; როცა ძვალსა და რბილში გაუჯდათ და ბროტიალი დაიწყეს, წამოხტა ცეცო, მოირეკა გუთნეული ვერხვქვეშ. შედგა გუთნეული, ფერდი ამოივსო; იწყეს კუდების ქნევა და ბღვერვა და დეეყარნენ. ცეცხლი მინელდა. პაკოს მიეძინა და ხანდისხან «ვაი დედას» წამოიძახებდა ხოლმე, ცეცო კი თითქოს გულგრილად უცქეროდა პაკოს გმინვას, იცოდა რა, რომ აუცილებელია ამგვარი შემთხვევები გლეხისთვისა. «ბევრიც რომ ივიშვიშოს, არა მოემატება რა; მშველელი არსაით არის და თითონვე დააკლდება, თუ გული არ გაიმაგრა», ფიქრობდა ცეცო. თითონაც გაეხვია მაზარაში და მისდო თავი კამეჩის ფერდზე; კამეჩმაც თითქო შეიბრალა მეხრე, გვერდი გადიღო; ცეცოს კისერი შიგ ფერდში გადიწონა და ლაზათიანად გაიშხლარტა.

ცეცოს კარგა ხანს ეღვიძა, ათასნაირ ფიქრებს მიეცა: ჩემი ყანები საგაისოდ რო არ წამიხდინოს, კარგა ბლომა პურს ჩავყრი; ცოლს შევირთავ და ჩემ ბერ დედას გავახარებ. წარმოიდგინა, გადასინჯა გუნებაში საცოლოები და ბოლოს ზალიკა ახალკაცის თამროზე დადგა. «რა მაყვალსავით თვალები აქვს! ახლა მკლავები? შენ თქვი, ქალია და, ისე მოიდებს ხუთ-ექვს თუნგიან დორას, როგორც ერთს ჩარექიანსა. მადლიანია, მადლიანი! იმისი ჩაგორება მართლა რო ღირს!.. მაგრამ ე-ე-ე, ვაითუ ღმერთი გაუწყრეს, წამოუაროს რამემა და სულ ერთიან გააოხროს; ვირი ააგორეს რო იტყვიან, ის დამართოს, მაშინ? ე-ე-ი, მაშინ ცოლს კი არა და შავ ქვას შევირთავ»... ამოიოხრა, გადაბრუნდა და ძილს მისცა თავი.

_ პატარა წავლულო თვალი, თორემ სულ ტყუილია, _ წაილაპარაკა ცეცომ.

ჯერ ისევ ბურანში იყო, რომ შემოესმა ერთი წივილ-კივილი, ღრიალი, ხმაურობა.

_ რა იყო, კაცო, რა დაგემართა? ნადირი ხომ არ არის? _ უყვირის ზევით ერთი ამხანაგი მეორეს.

_ ნადირი კი არა და!

ამათ ხმაურობაზე ახლო-მახლო მყოფმა მეხრეებმა, ეგონათ რა, რომ ნადირი დაერიათ გუთნეულებს, დასაფრთხობლად იწყეს ღრიალი. «ჰაჰაა! სსი მაგას! სსი მაგას, სსი!!» მაღალი ხმაურობა შესწყდა, ყვირილი გაათავეს. ბოლოს მოისმა კიდევ ხმა, მაგრამ წყნარი. ცეცომ ყური დაუგდო, სმენად გადაიქცა.

_ რა დაგემართა, კაცო, რას კანკალობ? აჰი, შე გლახა, შენა! მაგისთანა ამბები გადაგხდენია? _ ეუბნება ერთი ამხანაგი მეორეს.

«უთუოდ ვიღაცამ იტკინა რამე», სთქვა გუნებაში თანაგრძნობით ცეცომ, დააპირა წასვლა, მაგრამ ამხანაგის დატოვებაც არ უნდოდა; იყოყმანა, იყოყმანა; გულმა ვერ მოუთმინა, წამოხტა, ჩქარის ნაბიჯით გასწია და მიაძახა:

_ რომელი ხარ მანდა?

_ ოჰ, ცეცო, შენა? მე ანდრო ვარ.

ცეცო ამ ხმაზე მიიჭრა; წინ დახვდა ყურებამდინ გაწუწული ანდრო, რომელსაც წვივიდან თქრიალით სისხლი მოსდიოდა.

_ კაცო, ე რა ამბავია? რას კანკალებ, შე გლახა!

_ ბიჭო, რაღა რას ვკანკალებ: ი ოხერი გიშერა ხარი წყლის პირას მიმფარებიყო. ვეძებე და ზედ კი წავეტაკე. რო შემოუტიე, ი სალავათძაღლი შიგ ღურღუმ მორევში კი გადაერია. წავდექ ფოტოროს პირას და სახრე მოუქნიე, ეგებ გამოვიდეს-მეთქი. ამასობაში ი ჩემი ცოდვით სამსე ფოტორო აკი მოიმზღვლა და შიგ ყვლაპანი მოვიღე. ე კანჭიც ჩავარდნის დროს თუ ჩავიღვლიპე... აი დასწყევლა ღმერთმა ეშმაკი!..

სველი მეხრე ცეცოს რჩევით კამეჩებს შუა ჩაწვა გასათბობად. ანდროს ამხანაგი ძალიან შეწუხდა. ცეცოც შეფიქრიანდა. ამას გაუკვირდა, რომ კაცი როგორ უნდა დასცეს, ააკანკალოს წყალში ჩავარდნამაო; მერე ღამის მეხრე, რომელმაც ამისთანა რამე რწყილის კბენის ოდენათაც არ უნდა შეიმჩნიოს, მაგრამ კაცს რაც აწერია შუბლზე ი დალოცვილი ღმერთისაგან, ის არის, იმას კაცი ვერ წაუვა. ამგვარად ფიქრობდა ცეცო, როცა გამობრუნდა თავის გუთნეულისკენ, სადაც მოსულიყო სოსე და ებაასებოდა გამოღვიძებულ პაკოს.

სოსე მიჰყუდებოდა ვერხვს, ბარი წინ თოფივით მიეყუდებინა, გაემართნა ჩიბუხი და, ის იყო, ცეცხლს ადებდა, რომ მოვიდა ცეცო.

_ რა ღრიალი იყო, კაცო? ვენახიდან გამოვიქეც.

_ დასწყევლოს ღმერთმა ამაღამდელი ღამე; აქ პაკომ წაიხდინა ფეხი, იქ ანდროს წაულეწია წვივი და წყალში ამოვლებულა; თუ სეტყვა არ იყო ამ თქეშის დროს, კიდევ კარგი, ამას არ ვინაღვლით.

_ არა, ერთი-ორიოდ კი წამოურია, მაგრამ ჩვენში არ იყო. ამ ზემოთ კი ტყის პირად დიდი რახი-რუხი და გრიალი მოისმოდა.

_ კაი დროს კი მოგივიდა შენც წვიმაი, აი, სოსე!

_ ჰო, დალოცოს ღმერთმა; მისწრებაა, მისწრება! დაასხა თუ არა ი კოკისპირულად, მაშინათვე მივუნაკადულე, ეხლა ბოლოში იქნება გასული; სველ მიწას ისე გაჰყვებოდა, როგორც ციგა ყინულსა; ის-ის იყო, ჩაუგდე.

_ კარგა გისხია? ამბობენ, ამ გვერდიძირის ვენახებს ძალიან ასხიაო, _ უთხრა ცეცომ.

_ ჰო, ყოველთვის ე გვერდიძირის ვენახები სჯობიან. ჯერ ერთი ესა, რომ მზვარი ადგილია, მეორეც ესა _ იალბუზი ვერ ახდენს, ვერ სცემს და! სხმით, ღვთის წინაშე, აბა, რა დასამალია, კარგა მისხია. ნეტა არამ წამოუაროს, შენი დღეგრძელობითა; ი ბიჭის დაქორწილება მინდა; რა ვქნა, თუმცა ჩემ ბიჭს დრო არა აქვს, ჯერ ბალღია, ცოლის ყადრი რა იცის, მაგრამ სამ-სამ ქალში ეგ ერთი ბიჭი გამაჩნია; მეც მინდა მოვესწრო რასმესა; სიკვდილ-სიცოცხლეა, _ სთქვა სოსემ და ჩიბუხის ბოლებას უმატა და კანჭებიდგან ტალახის ფშვნეტა დაიწყო, რომელმაც ცეცხლთან მიფიცხების გამო მოუჭირა.

_ რაღა უდროვოა, ჩვენმა კაცმა უნდა ადრე შეირთოს ცოლი, რომ შვილი მოესწროს: რაც ბევრია გლეხკაცის სახლში ხალხი, მით ბედნიერია. აი ახლა ჩემი ცხოვრება რა ცხოვრებაა: სახლში ვარ _ გარეთ აღარა ვარ; გარეთ ვარ _ სახლში აღარა, _ სთქვა ცეცომ.

_ ეგ ნაკმაზი ზოგი შენ წიწილებსაც დაუყარე; მე რომ მირჩევ, შენ რაღას უყურებ? მე და ჩემმა ღმერთმა, დედაშენი ცას დაეწევა, შენ ცოლს რომ ნახავს... კაცო, ე შენი გუთნისდედის გოგო შეირთე. რა გოგოა!! მდევია, მდევი! რა საჭიროა, ძმაო, მთელი სახლია და ისა...

_ მერე, ზალიკა მამცემს?! ოჯახიშვილები სთხოვენ და მე კი ერთი ღერი ბიჭი ვარ.

_ აბა, კიდეც ღერი ბიჭია საქმე! თამრო, თუ ჭკუა აქვს ზალიკასა, შენისთანა კაცს უნდა მისცეს. კაცო, შენ ზემო უბანში დგეხარ, რა იცი ზალიკას ამბავი, მე იმის მეზობელი ვარ; მე მკითხო? იმას შენ უნდიხარ.

_ ცეცო, ვერ ატყობ, ი გუთანზე რო გადმოგიგდებს ხოლმე სიტყვას ზალიკაი? _ უთხრა პაკომ.

_ რას ამბობ, პაკო! გულში აქვს-მეთქი ზალიკას, გულში! რას მასწავლით.

თამროზე ლაპარაკის ჩამოგდებამ ცეცო ააღელვა, გულმა სულ ბაგი-ბუგი დაუწყო, სუნთქვა გაუძნელდა; თავს იკავებდა, მალი-მალ ჩაახველებდა, რომ ეს გულის შფოთვა გაექარწყლებინა. ისეთი ნეტარება იგრძნო ცეცომ, რომ ძნელი ასაწერია კალმით. მაშ, იფიქრა იმან, ეს სოსე უთუოდ მაჭანკლად არის მოგზავნილი; ზალიკასაც გულში სდებია. თამრო მადლიანი გოგონაა; ზალიკა იმის სოფლელია; კარგ მოკეთეობას გაუწევს: გუთნეულს საკუთარს შეაბამენ და ცეცოს ორმოები აევსება.

ახლა დედა ნენეს როგორ გაეხარდება თავისი შვილის ქორწინება! უყურეთ, როგორ ჩამოპროწიალდება, როგორ ჩაალეკურებს ამ სიბერის დროსა! მერე თავის რძალს _ თამროს გამოითხოვს ქალებიდან სათამაშოდ და ის კი თავჩაღუნული გამოვა; უყურე, ტოლ-ბიჭები როგორ სიხარბით დაუწყებენ თამროს ცქერას და ერთმანეთს ტაშისკვრის დროს გადაელაპარაკებიან, როცა თამრო ლეკურს ჩამოუვლის.

წარმოიდგინა კიდევ, რომ ის გაითამაშებს ბიჭებში და ჩაჰკვანწავს ფეხებს «ცანგალ-გოგონაზე». გამოვა თუ არა, მაყრები «ცანგალ-გოგონაზე» დასძახებენ ლექსსა:

«ეს ბიჭი კარგა თამაშობს,
კარგა დატრიალდება;
ამან რო ფეხი იტკინოს,
მე და შენ დაგვბრალდება!»

VII

უღრუბლო, მოწმენდილი ღამეა; ვარსკვლავები ლაჟვარდ ცაზე ციმციმებენ, კაშკაშებენ, შორით ერთმანეთს სალამს აძლევენ, ეთამაშებიან. ჭალას ზედ დაბდღვრიალებდა ციმციმით ეს ვარსკვლავთ გროვანი, ესაყვარლებოდნენ მორცხვი პატარძალივით, შორით ესროდენ მკრთალ სხივებსა. იმათ სხივებს პასუხს აძლევდნენ ქვემძრომნი შიშინ-ჭრიჭინით. მაღალი ვერხვი, მრავალტოტოვანი, ამაყად გადმოსცქეროდა მთელს სააგურის-ჭალას, ნელად არხევდა კენწეროს ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ; ხანდისხან ფოთლებს შრიამული, ფრფინვა შეუდგებოდათ ნიავის წამობერვით. ვერხვი თავის ფოთლებით თითქოს ეარშიყებაო მოღიმარე ვარსკვლავებს და იწვევდა, იპატიჟებდა ძირს, დედამიწაზე. მახლობელის მინდვრებიდან ხანდაზმით ისმოდა ტორუას «ტრრრ, ტრრრ», რომელიც მიყუჩებულ-მიკმენდილ ღამეში მანუგეშებელია ადამიანისათვის, რომელიც მგზავრს სიამოვნების ნიშნად გულს უტოკებს და შემაწუხებელს, კაცის დამაფიქრებელ ღამეს ძალას უკარგავს. ამ ღამეს მწყრები, ეს «პურის მტრები», შეუწყვეტლად ჭუკჭუკებდნენ; ეტყობა, საცოდავები ღამე ქურდულად იკრიბებიან, რომ თავის სამშობლო ქვეყანაში გაიპარნონ, რათა იპოვნონ მოსვენებითი ცხოვრება. მაგრამ ამ წუთისოფელში, განა ან სამშობლო ქვეყანაში მოსვენება აქვს ვისმეს?! იქაც მოელით მწყრებს დევნა და წამება; მაგრამ მაინც და მაინც სამშობლო ტკბილია, მიაშურებენ მისკენ.

სასწორმა ვარსკვლავმა კარგად შემოიმაღლა; ზეკარა დაიძრა და შფოთვა შეუდგათ ფოთლებს; შეაგრილა ბუნება; ხეებმა ყნოსვადამატკბობელი სუნი გამოსცეს. ამპარტავანი ვერხვის გვერდზე სინათლე გაჩნდა; ნაპერწკლები მას თავს ევლებოდნენ, პროწიალ-პროწიალით გარბოდნენ ცის სივრცეში. სინათლის წინ ჩრდილები გარბოდ-გამორბოდნენ.

_ «ბიჭო! ველზე, ველზე!» _ გაკრთა ხმა ვერხვის ძირში, რომელიც კრიალით გავარდა ჭალაში თავიდგან ბოლომდე და ყოველმა ხემ ბანი მოსცა. ამ ხმაზე რამდენსამე წამს ყველა ჩაჩუმდა. მაგრამ ხმაურობის რამდენჯერმე გამეორებამ თითქო ყველა გამოაფხიზლა, ყველა შამი-შუმში მოვიდა, ყველას ესიამოვნა, ყველამ შიშის ფარდა აიხსნა! ქვემძრომთ შიშინს მოუმატეს; ტორუა გაქანდ-გამოქანდა ჰაერში ჭიკჭიკ-გალობით; ვარსკვლავებმა თითქოს უმატეს ციმციმს და ბრჭყვიალს: ზენაქარმაც გაბედვით შემოუბერა და ვერხვს რხევა დააწყებინა; მისი ტოტები მთვრალი კაცივით დაქანაობდნენ, სდრეკდნენ თავებს და თითქოს ეხვეწებოდნენ ჩრდილებს, _ ზევით ამოდითო.

ფარვანა და პეპლის ჯარი დაეხვა ცეცხლს, რომელსაც შორიახლო უსხდა რამდენიმე ყმაწვილი, მოხდენილი, სხარტი ბიჭი. ეს იყო _ ცეცო თავისი ამხანაგებით. გუთნეული ველზე გამოეკრიბნათ, თვითონ ვერხვის ძირში მოესვენათ. რაღაც ტრიალში და ფაცი-ფუცში იყვნენ. მოიხსნა გვერდს შემოკრული გუდა ერთმა და წამოყარა ნედლი კაკალი და სიმინდები; გაიხსნა სხვა გუდებიც. ვახშამი ჩაღდება.

_ მიხა, სად გიშოვნია, ბიჭო, ე ნედლი სიმინდები? _ ჰკითხეს ამხანაგებმა.

_ ეგ ბიჭმა მიხამ იცის! _ სთქვა ამაყად მიხამ და გადაფრცქვნა ტაროები.

_ ეგ ხომ თავის დღენი არ მოისვენებს, სულ უნდა ქურდობაში ატაროს! _ უთხრა პაკომ.

_ ნწ-არა! სულაც არ არის ქურდობა: შენ და მე თითო-ოროლა ტარო რომ მოვამტვრიოთ ვისიც გინდა სიმინდში, აქ მოვიტანოთ და შევჭამოთ _ რა ქურდობაა! ის სიმინდი, ის მიწა ან შენი ოფლითაა შემუშავებული, ან ჩემით, ან მისითა. მე და შენ რომ განზრახ წავიდეთ, ჩემო პაკო, კარგა ვიზურგოთ, ავიტანოთ სახლში და მოვიხმაროთ _ აი, ეს იქნება ქურდობა. ჰა, ბიჭებო, რას იტყვით? აი ახლა მე ვახშმისათვის წავალ და ცოტა ყურძენს მოვიტან, ვისიც ვენახიდგან იქნება, მაგრამ ქურდულებრ კი არა, ისე გულღიად შევალ, თითქო ჩემიაო, _ სთქვა ცეცომ და წამოხტა, _ თქვენ მინამ სიმინდები შეწვით და კაკალი დაკუჭეთ. ლექსა! ლექსა! შენ თითქო მწყრები გქონდა, შეწვი რაღა! _ ცეცო გაქანდა. მოარბენინა რამდენიმე მტევანი ყურძენი; მიუწყეს ცეცხლს სიმინდები; ლექსამ დააწყო ნაღვერდალზე მწყრები, შეაფიცხა, ხელდახელ დაპტყვნეს და წააყარეს მარილი. შეაპროწიალეს მწყრები ხის შამფურებზე. ძაღლებმა სუნი დაიცეს მწვადისა და ჭოტებივით წამოყვეს თავები. პურის ჭამაში ძაღლიც გაჩუმდებაო. ყველანი ჩაჩუმდნენ. მხოლოდღა ჭაპა-ჭუპი ისმოდა. ღვთის მოწყალება ყველაფერი ჰქონდათ, მაგრამ უსასმელობა უუშნოვებდათ სუფრასა.

_ მაჩვენეთ მათარები, _ უთხრა ცეცომ. ყველამ გაიკრა მათარას ხელი. გადაუყარეს ცეცოს, რომელმაც აკრიფა და წყლის ასავსებლად წავიდა. _ სიმინდი არ შეჭამოთ კი. ეე, ოხრებო!

ყველამ სათითაო მათარა მოიდო მუხლის ძირას; შევიდნენ ქეიფში.

_ ეს ღმერთმა ხელი მოუმართოს, ბიჭებო, გაჭირვებულ კაცსა. რამდენი კაცია ამ ღამეს გაჭირვებული! იმ დღეს, გახსოვთ, პაკო, შენ რო ფეხი დააგე ცეტერსა და ე ანდრომ კანჭი რო ჩაილეწა, რა ბაბაყული ღამე იყო და! _ სთქვა ცეცომ.

_ ეჰ, ჩვენი კაცი სულ გაჭირვებულია, _ სთქვა პაკომ.

_ ეგ რა სათქმელია, მაშ არა და მოსვენებულია! იმიტომ გაუჩენივართ ღმერთსა, რო ვიტანჯოთ.

_ დალიეთ და! რა დროს დარდებია, მაგის რჯულიც ამოვარდესა, _ სთქვა უდარდელმა მიხამ.

_ კაცო, ეს საქონელი არ იშლება და ხარიპარიამ კი ძაან გამოანათა, მამლისყივილი იქნება.

_ რო არა უჭამიათ რა, იმიტომ! ამ ნასიმინდვრებს ხედავთ, რა ბალახებია!

_ რამოდენერთა სიმინდები იყო წელსა და! ეს ამოდენი ღელე გავსებული იყო, ვარაუდით სულ რამდენი დღისა უნდა იყოს? _ სთქვა ანდრომ.

_ აქ რამდენი ღამის მეხრე ვართ? ექვსნი, არა? ეს ზემოუბნისა. შუა და ქვემო-უბნისაც ოცი ჩააგდე, _ სთქვა ცეცომ, _ საგაზაფხულოს, საანეულოს და საშემოდგომოს თითო გუთანი რას მოხნავს? ორასი დღისა ჩააგდე თითოზე... ჰმ! რამოდენი იხვნის და ითესება ამ ოხერ სოფელში, და!

_ თუ იხვნის, იმიტომ გვრჩება რამე! რა ვიცი, ე ოხერ კუჭს კი ძლივს ვიძღობთ და!

_ რა გაგიძღობს, შვილოსა, მეოთხედი სხვას მიაქვს. შარშან ათასხუთასი კოდი სიმინდი და ქერი შეუვიდა ჩვენ გამგებელსა, ახლა პური ამოდენივე, ხუთას კოკამდე ღვინო! ი ბეღლები სულ დაილიცლიცეს; ურემი-ურემზე მიდის ღალა-კულუხი.

_ ცეცო, ეხლა გამგებელი აღარ იქნებაო, იმ დღეს მღვდელმა სთქვა, რომაო, ისევ ბერძნის ბერები მოვიდნენო.

_ მოვიდნენ და უხაროდეს ისაკა ბღუნძელაშვილსა. ადრევ გვატყავა, ჩვენი ნაგლეჯ-ნაცარცვით იმან სახლკარი წამოიჭიმა, კერატივით გასუქდა, შვილებს მამულადგილი დაუნაწილა და ეხლაც ფეხს გაჰყოფს. ღვთის მადლით, მალე კი დაიფუკა იმის ოჯახი!..

_ მა რა, ნაარმევი ვის შერჩენია: ქარის მოტანილს ისევ ქარი წაიღებს. როცა ჩვენი ცარცვა-გლეჯა მოაკლდა, ჯიბეს ვეღარ იტენიდა, ოჯახიც გაუბრუნდა; შვილებიც, ვენაცვალე ღვთის მოწყალებას, ბედოვლათები გამოვიდნენ. ეხლა, თუ ფეხი გაყო ისაკამა, ისევ ადრინდელი დღე დაგვადგება, და თუ გაყოფს ფეხსა _ ეს ისევ, შვილოსა, ჩვენი უხეირობის ბრალი იქნება. ჩვენ თითონა ვართ უთაურები და უხერხულები. ხალხი უნდა შევიყარნეთ, ავიღოთ და დავიღოთ, ვირჩიოთ, რომ ეგ არ მოჰყვეს სასახლეში მოურავად. ხო გაგიგონიათ, რო არ გვზოგავს. ხო ჩვენი კაცია, ჩვენი სოფლის შვილია, ჩვენი მეზობელიც არი, მაგრამ ჩვენი სისხლის მწოვნელი კია, ჩვენი სისხლით გასუქებული კია! _ სთქვა გულგაბრაზებით ცეცომ.

_ რა გინდა ჰქნა, ცეცო! ზოგიერთა ავყია ხალხი მიმხრობილი ჰყავს, იმათ სიკეთეს ჰპირდებიან და ჩვენ დანარჩენები კი ფეხებზე ვკიდივართ.

_ ჰო და, ეგ ეგრე არ უნდა იყოს, _ სთქვა ცეცომ. _ ჩვენ, ძმაო, სამასი კომლი კაცი ვართ ძაღლისხეველები. სამას კომლ კაცს თუ პირი ექნება, როგორ გადაუდგება წინ ათი და ოცი კაცი. აბა, ერთი მითხარით! ჩვენ თუ მაგათ კრიჭაში ჩავუდგებით, ავლაგმავთ, თავს ვაჩვენებთ, შიში და რიდი მიეცემათ.

_ ჩვენ ვინ რას გაგვიგონებს, ჩვენ ჯერ ისევ ლაწირაკებს გვეძახიან; უფროსი ხალხი კი არას დასდევს.

_ უფროსი!.. მე შენ მოგახსენო, ტოტობაური და მგელბაბია გაგიძღვება წინა!.. როცა დაინახავენ, რო ე ლაწირაკები იმათ სარგოს ვლაპარაკობთ, მაშინ ზურგს მოგვყუდებენ.

_ ეგ ყველა კაი. მაგრამ ჯერ, სინამ ბერობა დაგვიდგება, ე უპრავლიაიუჩი გვიჭირებს საქმესა, _ თავის ქნევით სთქვა მიხამ.

_ ის კი არ გვიჭირებს, თუ მკითხავ, ჩვენივე მეზობელი გვიჭირვებს საქმეს, ჩვენი! აძაღლებული ფიდუა ეშმაკურაშვილი ჩვენის ხელით ანწუხზეა ასაგები, ანწუხზე! _ დაიწყო კვლავ ცეცომ ხმის თრთოლვით და კბილების ღრჭიალით; _ ის არაკაცი, ის ულვაშშერცხვენილი, ისა! უპრავლიაიუჩმა რა იცის, ვის რამდენი დღისა აქვს ნახნავი, დღიური რამოდენაა, რა ალაგას და რა მიწას რა ფასი სდევს; სულ ჩვენებით ვიღუპებით, სულ და სულ! ხიდათ ეგენი ედებიან და იმასაც რა ენაღვლება: «სხვის სახრე და სხვის კამეჩი ვისთვის რა საშურელიაო».

_ ვოჰიმე! მაგი ოჯახი დაიქცეს, მაგი! პირში, ბიჭო, ე მაგითანა ხალხი როგორ გიკვდებიან, თაფლივით გადნებიან პირში. ეგ სალავათძაღლები, ეგა! _ სთქვა მიხამ და მოადგა პირს სიბრაზის დორბლი.

_ რა საჭიროა, კვირას ყველანი სოფელში ვიქნებით; კანცელარიასთან ხალხი მოიყრის თავსა, კაცობა იქ გამოჩნდება. აქ ლაპარაკს, იქ ვილაპარაკოთ ჩვენი დარდები..... ნუ გვღუპავენ, ნუ! ხალხმა ხელში მოგვცეს ი ჩვენი დამღუპველები; თუ ჩვენები არიან დამნაშავენი, საქვეყნოთ ლაფი დავასხათ თავზე. და თუ უპრავლიაიუჩია, იმასაც... ჰმ... იმასაც მოურიგდებით... დედა შეერთოს ცოლად, ვინც ერთმანეთს უღალატოს, დედა!!.

_ აგრე იყოს, აგრე იყოს! _ შეჰყვირეს.

_ ღამეს და დღეს ვასწორებთ, ვხნავთ და ვთესავთ _ ეს არის ჩვენი მისამართი, ამასაც ხელიდან გვაცლიან. რაც ერგებათ, წაიღონ, რა გაეწყობა. მაგრამა, შე ავო

კაცო, შე პირისკომლ-გასაწყვეტო, _ ხელიც იმათკენ და პირიცა, _ ე მეტს რაღად ითხოვ, ჰა, ე მეტსა? თავისი ღალა წაიღოს, მეტი რა უნდა?

_ ჰაი, ჰაი! გაგიხარიან, კარგი მაშინ იქნება!

_ არ იქნება და გაგიხარიან, მიხას ჯერ კომბლის ხმარება არ დავიწყებიყოს... ასე დაუფრთხობ ი ანგელოზებსა, რო ჰქმნას კი არა და, მეტიც მოუვიდეს.

_ მაშ ასრე. კვირას გავუსწოროთ ანგარიში, _ სთქვა ცეცომ.

ასე ბაასობდნენ გულდამწვარი ბიჭები. სოფელი ძაღლისხევა ძველადვე მეფეებისგან, თუ კერძო პირისგან, შეუწირავთ ეკლესიისთვის _ ქრისტეს საფლავისთვისა. ქრისტეს საფლავის მონასტრის ბერები უვლიდნენ მამულს, ყველაფერი იმათ ხელში იყო. შემდეგ სახელმწიფოდ გადავიდა; რამდენიმე წლის განმავლობაში «ჩინოვნიკის» ხელში იყო ეს სოფელი; შემდეგ ისევ ბერებს დაუბრუნეს. სოფელს ორნაირად სწეწენ: ერთი _ პირდაპირი ბატონი, მეორე _ მისი ხელქვეითები _ მოურავები; რაც ბატონს მიაქვს, ერთი იმდენი მოურავს ხვდება. გლეხკაცობა ძიელ შეწუხებულია. ძაღლისხეველები ბევრჯერ გასწორებიან მოურავებს და ბატონებსაც, მაგრამ, რაც წასულია, იმას თავი დავანებოთ.

აი, ეს შეწუხებული მდგომარეობა იყო მიზეზი ღამის მეხრეების გათქმისა.

როცა გულდამწვარმა ბიჭებმა ეს რჩევა და პირობა დაასკვნეს და თვითეული მათგანი შემდგომ ამისა ტკბილ ოცნებებს მიეცა. სწორედ ამ დროს სამმა კაცმა, რომლებიც მაზარებში იყვნენ გახვეულნი, ხელში კეტებით, საჩქაროდ ჩამოირბინეს სერი, რომელიც ჭალას ზედ გადმოსცქერია. კაცები შეჩერდნენ, მოიწურეს ოფლი და ჯოხებს დაენდვნენ.

_ რა ვქნათ, ღმერთმანი, ვის მივმართოთ? ეს ამოდენერთა მინდორი სულ შემოვილაწლაწეთ, მაგრამ არ იქნა, ღონეს ვერსად გავხდით, _ სთქვა ერთმა.

_ რას ამბობ, კაცო, ხმა ჩვენი აღარ არის ამოდენა ღრიალით და მუხლი, _ დაურთო მეორემ.

_ ბესო, ერთი დააკვესე. პატარა თუთუნი მაინც მოვწიოთ. როგორ თქვა ი დედამ: რაო, რატომ არ მოვიდაო?

_ რა უნდა ეთქვა; რო იცოდეს მიზეზი, ხო თავს აღარ მოიკლავს; აბა რა სათქმელია, შენგან არ მიკვირს! მგონი, ისიც გაიჭრა მინდვრად.....აჰა, ი აბედი...

_ მაშ თუთუნიც მასვი ერთი მოწევა, ჩემო ბესო!.. რაც გინდა, თქვით: ალი-კვალი კი ვერ გავიგეთ და! მეტი ღონე აღარ დაგვრჩენია, უნდა ე ჭალაზე ღამის მეხრეებს მივმართოთ; ცეცო ეხლა მანდ იქნება... იმას ხო არ ეძინება და!.. სარისტიანი ბიჭია, იქნება იცოდეს რამე, ან იქნება იმათთან მიეგდო... იიჰ, ხედამთ ი ცეცხლსა, აი, შეხეთ ილიკოს ახოს თავში, ეგ ცეცხლი ღამის მეხრეებისაა.

_ შენი მტერი, ნადირს რო გაეფუჭებინოს ი საცოდავის შვილი, შენღა მიუხვალ იმი დედას კარზე!..

_ ნეტა შენცა, ნიკო! ჩვენ რა ვუყოთ... ერთი ე ჭალაში გადავიკივლოთ, არ იქნება, რო ხმა არავინ მოგვცეს.

გადიკივლეს ერთი _ არაფერი, მეორე, მესამე... მოუხშირეს ძახილს. ღამის მეხრეებმა ყურები აცქვიტეს.

_ სუ, _ სთქვა ცეცომ, _ ეს ბესოს ხმაა.

_ ჰო, ის არის... მაიცა!.. ეს პეტრეა, მჭახეთ რო იძახის... მესამე კი ვერ ვიცან.

_ მესამე... დასწყევლა ეშმაკმა... აი ჩვენი... აჰჰ!.. ისემიანთ ბერიძიანთ ნიკუა _ სამნი არიან. რა უნდა იყოს? საქონელი თუ გაურეკეს ბაკიდან, _ სთქვა ცეცომ და თოფნაკრავივით წამოვარდა და მიაძახა:

_ რომელი ხარ? რა გაღრიალებს?

_ ჩვენა ვართ: პეტრე, ბესო და ნიკო, _ გადმოჰყვირეს ფერდობიდან.

_ რაო, კაცო, რა ამბავია?

_ თუ ღმერთი გწამს, ცეცო, აქ უნდა ამოიარო!

_ აი დიდება შენდა, ღმერთო!.. რა ენდომებათ ამ უდროვოდ? _ წაელაპარაკა ცეცო ამხანაგებს.

_ საქონელი თუ დაჰპარეს ი ღდინძაღლმა ოსებმა. სწორედ საოსე ღამეა, _ მიატანა სიტყვა პაკომ. _ მერე წელს მთა დაიმშა და მაგათ ქურობას საზღვარი აღარ მიეცემა.

ბევრი ძახილის შემდეგ ცეცომ დაიყოლია, რომ ისინი ჩამოსულიყვნენ; დაეშვნენ სერზე ხმაურობით და შუქზე მიაგნეს ღამის მეხრეების სადგურს.

_ ძაან ნამი არ გააგდო!.. მერე ეხლანდელი ნამი სეტყვასავით ცივია, _ სთქვეს მგზავრებმა. _ ნეტა ეხლა რა დრო იქნება?

_ რა დროს ეგ არის, კაცო! ღრიალით გასკდით: აი ამოდი და აი ამოდიო, ეხლა კი არხეინათ ხართ, _ უთხრა ცეცომ. _ სთქვით: რა ამბავია? მდევრები ხომ არა ხართ?

_ მდევრები კი არა, _ დაიწყო პეტრემ, _ ი ტასია ყურშავაძის ბიჭი არ დაიკარგა ისე ანაზდეულად, აი _ პეტრეი, უნცროსი ბიჭი; გუთნიდან შინ აღარ დაბრუნებულა; სამი კაცი აქეთ წამოვედით საძებნელად; ძმა და კიდევ სხვები სხვა მხრივ წავიდნენ, ტყის პირისკენა. ვეძებთ, ვეძებთ და ვერას გავხდით; იქვე დაისს წამოვედით. ვეღარც შინ დავბრუნებულვართ, ცარიელები, და ვართ ასე, დავბოტიალებთ.....რა უნდა იფიქროს კაცმა, ღმერთმანი!

_ ისა, რო ფრუტუნაა! ძილიგუდა ბიჭია; შარშან ჩემთან რო უჯდა გუთანზე, ჩემი თქმა იმასთან სულ ის იყო, რო არ სძინებიყო ისე ბევრი, სამხრის ხარს ჩარეკავდა წყალზე, დაეძინებოდა და ერიჰაა! _ გუთნეულს გაუშვებდა ღვთის ანაბარს! ეხლაც დაეძინებოდა სადმე. ეს ცივი ნამი იმასაც კი გამოაღვიძებდა და უყურე შენ, რა საცოდაობა იქნება!.. ¾სთქვა ცეცომ.

_ ვინ იცის, ცეცო, იქნება, ნადირმაც გააფუჭა.

_ თუ ტირილსა და ღრიალს არ მოჰყოლია და სადმე ბუჩქებში მიწვა, მგელი იმას ვერ მიაგნებს, სუნის დაცემა ხომ არ იცის და ...

_ ბიჭებო, უნდა გვიშველოთ რამე, აქ გვეგონა და არ გამოჩნდა.

ცეცოს და ამხანაგებს გული დაეწვათ; ნერწყვი გაუშრათ დარდისა და მონაწილეობისაგან; ცეცომ გააშტერა თვალი, თითქო იგონებს რასმეო, დაავლო მაზარას ხელი, გაიდო მხარს კომბალი, ამხანაგებს უთხრა, რომ გუთნეულები აეშალათ და ნელ-ნელა ძოვნით მიეყოლებინათ; გაიყოლა მიხა, რადგანაც ეს უფრო მარჯვე და გამბედავი ბიჭი იყო, დაუწრუწუნა ძაღლს, რომელიც ელდასავით წამოვარდა და გაეშურა პატრონისაკენ. წავიდნენ საძებნელად.

_ ყველა უნდა იფიქროს კაცმა, _ სთქვა ნიკომ, _ ვინ იცის; მაჯლაჯუნაც დააწვა და დაარჩო ის საცოდავის შვილი. უბედური სოფელია ეს ოხერი, ყველა უბედურება აქა ხდება.

_ ეგ არ შეიძლება, ¾დაურთო ცეცომ, _ მაგრამ, თუ გულაღმა არ იწვა, მაჯლაჯუნა ვერ დააწვებოდა. გულაღმა რომ წევს კაციო, მივაო და ზედ ლავაშივით გაეკრობაო, ასე გამიგონია, თორემ მე, სწორედ გითხრა, რაც თავი შემისწავლია, არც ერთი არ გამომიცდია. რა ვიცი, გულაღმაც ბევრჯერ მძინებია და პირქვეც... მაინც საითკენ უფრო სძებნეთ?

_ სერზე, საცა გუთანი ჰბმიათ. რა საჭიროა, ძმაო, ოლის ძირი არ დაგვრჩენია, რომ არ დაგვეთვალიერებინოს.

_ თეთრ წყაროზე იყავით?

_ არა. ის აქავ სოფლის პირშია, რაღა მანძილი ჰქონდა სახლამდისა!.. ზედ ი წყაროს თავი გადმოვიარეთ ყვირილითა დაისსვე.

_ ჰო და, კიდეც ეგ არის საქმე, რო დაისს გადმოგივლიათ, ის მაშინ ღრმა ძილში იქნებოდა. აბა, მომყეთ და ჩემი სიმტყუნის გულისთვის ჩავიდეთ ი თეთრ წყაროზე, თუ იქ არ იყოს მიყუჟული. ბავშვი ხომ აღარ არის, აგერ თოთხმეტ თხუთმეტის წლის მეხრეა.

სთქვა და გაეშურა; მიჰყვნენ მეზობლები. დაუახლოვდნენ თუ არა წყაროს, ცეცომ მიაყვირა და მიაყვირა. ძაღლმა სუნი დაიდო, დაადო ცხვირი ბილიკას და ტუსტუსით გაქანდა.

_ იქ არის-მეთქი, თქვენი ცოდვა არა მაქვს! ძაღლს ხედამთ, როგორ დაიტიშა!..

ჩავიდნენ ხევში, საიდანაც შემოესმათ წყაროს ჩხრიალი. წყაროსთან მდგარს დათვის პანტას ხევის ქარისაგან შრიალი გაუდიოდა და გადმოსცქეროდა ჩირგვებს, რომელიც ჯგუფ-ჯგუფად შემოხვევიყო წყაროს. ძაღლი მივიდა პანტას ქვეშ, აიღო მაღლა თავი და კუდგაბზიკინებული შესცაცქანებდა.

_ პეტრე, ბიჭო, პეტრე! _ დაუძახა ცეცომ.

პატრონის ხმაურობაზე ძაღლმა წაუყეფა.

_ აქ არის! _ ყველამ ერთხმივ წამოიძახა.

ძაღლმა რომ წაუყეფა, ბიჭმა, რომელიც შიშის გამო პანტაზე აცოცებულიყო, ჩამოსძახა:

_ გაცი, გაცი!

_ აი გაცი შენა და შენ თავსა! არა, შე კვდარძაღლო, ხმა არა გაქვს, რო გამოგვხმაურებიყავ, ჰა! _ შეუტია ბესომ.

_ დახე, სად ამძვრალა, და! ბიჭო, შვილო, როგორ მოგივიდა, შე უღმერთო! რაღა დიდი მანძილი იყო სახლამდისა, ჩაეთრეოდი... ღვედი რა უყავ?

_ ემანდა გდია... ჩამძინებიყო. მერე, ნამი რო გააგდო, გამამეღვიძა, უნდა შინ წამოვსულიყავ, მაგრამ მხარი მამექცა, აღარა გავიგე რა, მე მეგონა, რომ ლაშისწყაროზე ვარ-მეთქი; მერე პანტაზე ავედი.

_ ეგეც კარგია შენგანა, შე ბანდიანო! _ უთხრა ცეცომ, რომელიც წყაროს ჩაუჯდა.

მიეხვივნენ ყვლანი, პირს წყალი შეიშხაპუნეს. ამ დროს აღმოსავლეთს სიბნელის ფარდა ნელ-ნელა ეხდებოდა; ტორუებმა სიხარულით გალობა-ჭიკჭიკს უმატეს! აქა-იქ ტყის გზაზედ მოისმოდა ურმის ჭრიალი და შოლტის ტლაშუნი, ზედ განუშორებელი ტკბილი ურმულის ღუღუნითა.

_ ვენახს როგორ გისხია, ნიკო! _ პირის წმენდით უთხრა ცეცომ.

_ ჰაი, გაგიხარიან, მე იმას მისხია, მაგრამ ამ ჩვენი მოურავების ხელში რაც გინდა იყოს: როგორც ღალები გასწერეს უღმერთოთ, ისე კულუხსაც გასწერენ.

_ მოურავები კი არა, ისევ ჩვენი მეზობლები გვიშვრებიან ამ საქმესა. თითონ თავს იძვრენენ და ამოდენა ხალხს ღუპავენ სულ ოთხი-ხუთი კაცი; ბღუნძელაშვილი და კიდევ სხვები ასრე არ დაკეთდნენ?

_ თქვენ ღამის მეხრეები ხართ, გუთნისდედების ჩამოღმა თქვენ ბევრს გიხნავენ. რამდენათ მეტი უნდა გქონდეთ თქვენა ნახნავი ბღუნძელაშვილზე, თუნდ ეშმაკაშვილზე? მაგრამ რა გიჭირავთ ხელში? იმათ, ეს მამაძაღლის-ტიელა, ძველათაც გასდევთ, კიდევაც ჰყიდიან, საქონელს და სახლ-კარს მოუმატეს, _ ეს

საიდან? იქიდან, რომ თითონ გათარხნებულები არიან ბატონებისაგან, უპრავლიაიუჩისთან შეძვრნენ; ჩვენ დღიურსა ორ დღიურად აწერინებენ, კულუხს ორი კოკის ალაგას _ ოთხს და ხუთს აწერინებენ; ზოგს თითონ ზიდვენ სახლში და ზოგს ბატონს აძლევენ, _ სთქვა ბესომ.

_ მე სულ იმას ვამბობ, რო ე მაგითანა მკვდარძაღლ ხალხს უნდა მუხრუჭი მოვუჭიროთ: სოფელმა ეგენი უნდა აიბუოს, სამეზობლოდ აღარ გაიცადოს, ხელი იოტიტელა საქმეში აღარ გაუმართოს; კრიჭაში ჩაუდგეთ; კვირტი არ უნდა გავუზარდოთ, კვირტი.

_ ეეხ, შე მამაცხონებულის შვილო! მერე, ცეცო, ეგრე რო ვუყოთ, უფრო უარესს გვიზამენ. მოურავებთან ენის ზიდვას დაიწყებენ და უფრო გაგვანიორწყლებენ.

_ ვერც გაგვანიორწყლებენ და ვერც ბუზს აგვიფრენენ, ვაი არ ჰქონდეს მიხასა! მთელ სოფელს რას გვიზამენ დაბეზღებით და ენის სარსალითა! როცა კარგა გავსახრამთ, მაშინაც ჩავლენ დასაბეზღებლად?

_ დაიცა, მიხა, ფიცხი ნუ ხარ, ჯერ გასახვრა არას ივარგებს; სასოფლოდ მოვილაპარაკოთ, როგორც წეღან ვთქვით, ავიღოთ-დავიღოთ, ე მაგითანა ხალხი, ვინც არის ჩვენში, ავარჩიოთ და მერე მოვურიგდეთ. ამას სიჩუმე არ მოუხდება, არა! ყურისწაგდება არ ვარგა: «ღორის ტილი ფეხზე რო დაისვა, თავზე აგაცოცდებაო». ჩვენი გლეხკაცი, თუ პატარა სული მოიდგა, სულ ასეა, სულ დაუდევარია. გულში დარწმუნებულია, რომ იმას აწუხებენ, ეჯავრება ეს შეწუხება, ბრაზი მოსდის, უნდა საქმეს მოუაროს საითმე და ხმას არ იღებს, მეორეს უცქერის; აცა, დაიცა, ჯერ იმან ამოიღოს ხმაო, მე რაზე მივეცე სამართალს ხელშიო, მეორე კიდენ მესამეს უცქერის, მესამე _ მეოთხესა. ასე ყველა გაჩუმებულია, ყველა ერთმანეთს შესჩერებია პირში. სწორედ ცხვრის ფარა ვართ; წყალზე რო არ მირეკენ საბანაოდ, გაიბოტებიან, უწინ არავის გადახტომა არ უნდა, თუმცა კი გააგრილებს, სასარგებლოა; ერთმანეთის რქენაში ამოსდით სული, მინამ პატრონი უკანა ფეხებში არ სწვდება ერთ-ერთს და არ გადააგდებს, არიან ისე გაჩუმებულები და გაბოტილები ერთ ალაგასა. თუ ხმა არ ამოვიღეთ, სუ კუდამდინ ტყავს აგვაძრობენ.

_ მა, კაცო, უნდა. თუ ეხლა მოსავალს გვართმევენ, მერე მამულსაც წაატანებენ ხელს.

_ ვინ მამაძაღლი და თავმკვდარი არ ამოიღებს ხმასა! ოღონდ კი ხმა ამოიღოს ვინმემა, და!

_ აი აღდგომა და ხვალაო; ვნახოთ, კვირა მალე მოვა და გამოჩნდება, _ უთხრა მიხამ.

_ ი კვირის ბარძიმის მადლი გაუწყრეს და ი მზის შუქი რისხამდეს, ვინც აქ არ მოვიდეს და უნარი არ ჰქნას, _ ერთმხრივ წარმოთქვეს, ერთმანეთს გამოემშვიდობნენ და თავის ქექით და ჩეჩით ყველა თავთავისთვის წავიდა.

ცეცომ და მიხამ დაისველეს თმები, მაზარები მარჯვნივ მოიგდეს, აითრიეს კომბლები და თავის ვარცხნით შეუდგნენ სერს, სადაც იმათ გუთნეულები და გუთნისდედები ელოდნენ.

მიხა უნდა გაკვრით გავაცნო მკითხველს, რადგანაც შემდეგში ცეცოს მხარში ამოუდგება. მიხა აზნაურის შვილი გახლავთ; მამული ძალიან ნაკლებად დაუტოვებია მამას, სულ დავიდარაბაში გაუტარებია ცხოვრება და მამული თითქმის სულ მიუყიდ-მოუყიდნია. მაგრამ მანამ ცოცხალი იყო ედიშერ გვარაძე, მამა მიხასი, ყოჩაღად თურმე ცხოვრობდა. გუთნეული გამოულეველი ჰყავდა. მაგრამ ერთხელ შეუდგა თურმე ჭირი და სულ ერთიანად გააჩანაგა, ასე გასინჯე,

ელიის ზვარაც კი მოუკვდა. გაბრაზდა თურმე გულდამწვარი ედიშერა, აითრია ლეში და საყდარში მიიტანა, აჩეხა და ძაღლები დაახვია; რათ მიყა ეს საქმე, ე შენს ზვარას მაინც გაფრთხილებოდიო, _ უთხრა ელიას. მას აქეთ ედიშერას დასჩემდა გულის ჩქროლვა, სულ ბრაზობდა, სულ ჯავრობდა; თავის სახლობაზე ყრილობდა ბრაზს, უფროსი შვილი თურმე ცემით დააშავა, ბოლოს მოკვდა სიღარიბეში; ცოლ-შვილი ლუკმა-პურის თხოვნით აბეზრებდნენ თავს მეზობლებსა. წამოიზარდა მიხა, მიჰყო მხნეობას ხელი. ოჯახი შემოიტრიალა, მაგრამ იმისი უფროსი ძმა დაწვრილშვილდა; ცოლ-შვილი მიხას შემოახვია. სწევდა ესეც უღელს. მიხა გლეხისგან არაფრით არ განირჩეოდა. სულ იმათთან იყო. იმათი ჭირი თავის ჭირად მიაჩნდა და ლხინი _ ლხინად. გლეხობასაც ძიელ უყვარდა. სულს არ იშურებდნენ მიხასთვისა. მწუხარების, გაჭირვების დროს დაუფასებელი იყო; «გაჭირვების ტალ-კვესია ე ჩვენი მიხაო», იტყოდნენ ხოლმე, «რომ ცოტა შარი არ იყოსო», ცოტა ამაყს კაცს, პირში მთქმელს, პირდაპირს, ბევრგან სოფლად «შარს» ეძახიან. მაგრამ მიხა სრულიადაც არ იყო ამისთანა. ცუდი საქმე, ცუდი ვისიმე საქციელი იმას ერთ წუთას მოთმინებიდან გამოიყვანდა ხოლმე, მაშინვე ყრონჭში მივარდებოდა კაცს. ამას სურდა ყველაფერი მუშტით და კეტით გაესწორებინა.

მიხა ძალიან მოხდენილი, სასიამოვნო სანახავი ბიჭია; მაღალი, განიერი მხარ-ბეჭი, მაგრამ თხელი; ქერა სახისაა, თმა ხუჭუჭი, თითქოს ძალად გაუკეთებიათო, გადმოყრილი ჰქონდა ფართო და მაღალ შუბლზე; ცხვირი ნამდვილი ქართული, სურათი ცოტათი შუა ალაგას აკეხილი, თვალები ცისფერი, რომლებითაც კაცს რომ უცქერის, ელაპარაკება, მანამ ლაპარაკს დაიწყებს, თვალები გაგრძნობინებს, რის თქმაც სურს მათ პატრონსა. მიხა საშინელი თავდაუზოგველი, გამბედავი და ამასთან გასაოცრად მარდია; ხეზე როგორც ფრინველი ისე ავარდებოდა ხოლმე. შემთხვევის დროს, მაგალითად, ჩხუბში, ოც კაცთან რომ მოსვლოდა ჩხუბი, ერთს ჯოხს არ დაიკრავდა, სხვები კი სულ თავებდამტვრეულები წავიდოდნენ. მერუე შეაწუხებდა გლეხს და თავის დროზედ არ მისცემდა წყალს, _ გაუჩნდებოდა მიხა და ტალახში ამოსდებდა; ურია მოატყუებდა პატარძლებს ფართალში, აქაც მიხა _ და არშინით ბეჭებში ბრაგი-ბრუგით დასძრავდა. მოურავი შეაწუხებდა ხალხს, _ დახვდებოდა მიხა სადმე ორღობეში და კარგა გასახრავდა. ერთხელ ერთმა სისხლის-ჯვრიანმა მოურავმა ძიელ შეაჭირვა ძაღლისხეველები. მიხას ყელში მოადგა ბრაზი, შეხვდა ორღობეში და გადაუღობა გზა.

_ მომეცა, შე მხეცო, გზა დამიცალე! _ უჭყივლა ჯვრიანმა.

მიხამ არც აცივა, არც აცხელა და მოაყოლა სახრეები, ააგლიჯა ჯვარი და ტალახში ისროლა.

_ კიდევ დააწიოკებ ქვრივ-ოხრებსა, კიდევა, ჰა? _ და სცემს, რაც შეუძლიან.

ცეცო უფრო ჭკუით მოქმედებდა, სარისტიანი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი; მიხა უფრო გულს უჯერებდა. მალე აღელვებდა ყველაფერი უმსგავსოება. ორთავენი ძიელ ნამუსიანი ბიჭები იყვნენ; მოზარდი გლეხობა ამ ორ ბიჭს ძიელ უგონებდა; ყველას ესენი ატრიალებდნენ. ვისაც მიხა დაჰკრავდა, ის თავს ვეღარსად გამოჰყოფდა. დაჰკრა _ გათავდა. მტყუანია დაკრული; თავს ვეღარ გაიმართლებდა სოფელში. რასაც ცეცო ეტყოდა, ხალხი თავს ვეღარ გააქნევდა. ცეცო ელაპარაკებოდა მათ ჭკუას, მათ ტვინს იმას, რაც თვითონ ედოთ ფიქრად; მიხა ასრულებდა იმას, რაც ხალხს უნდა შეესრულებინა, მაგრამ ვერ ბედავდა. ორი ერთპიროვანი ბელადი ჰყვანდათ ძაღლისხეველებსა.

VIII

გათენდა, გაიღვიძა ბუნებამ. აგერ მზე ამოციმციმდა, ამოისროლა სხივები; ბალახს, წინა ღამით უხვად ნასხურებს, დააწყებინა ბრჭყვიალი. ზურმუხტისფრად იცქირებოდა მთელი ჭალა-ვენახები. გაისმა სერებზე «ჰოროველას» ხმა, _ გუთნები გავიდნენ სახნავად. აქ გაიჭიმა გუთანი, იქ გაიჭიმა; გადმოშხლარტეს გულაღმა მადლიანი დედამიწა. მზემ შეიმაღლა; მოახურა და მოახურა დედამიწა; ხალხმა ჯიბრზე უფრო უმატა მუშაობას; მეხრეებმა გაახშირეს «ჰოროველა».

იქვე, სოფლის თავში, ვენახების ამოსწვრივ, ზალიკა ახალკაცს გუთანი ება. მეხრეები წუხანდელს შემთხვევაზე ბაასობდნენ. ყველას უკვირდა, რომ ისე საღად გადარჩა ის ბავშვიო: ან არა დაეცა რა, ან მაჯლაჯუნა არ დააწვა, ან წყეულებმა არ დაახრჩეს, მაგრამ შუბლზე არ სწერებიაო.

_ საკვირველია, ღმერთმანი, _ ამბობდა ზალიკა, _ ძაან გადურჩა წუხანდელ ღამეს ი ბიჭი, ალბათ იმის დედ-მამას რამე კეთილი მიუძღვის ღმერთთანა. აი, კაცო, დიდი ხანი კი არ არის, რაც სულგანათლებული, _ ღმერთმა ნათლით მოიხსენიოს, _ პაპაჩემი ბერიკა გადაიცვალა. ერთ ღამეს მოდის თურმე ე კვირა-ცხოველის ხევში, რუს პირას; ღამეა თურმე ისეთი ბნელი, ისეთი ბნელი, რო თვალთა წინა არა სჩანს რა. ე-ე-ე მოდის, შენი ჭირიმე და შენ ხარ ჩემი ბატონი!.. პაკო, პაკო! კვალში ჩააგდე ე კამეჩი, აწვება, ქედი არ წაიხდინოს. ჰაჰაი! შე... ჰო, მოდის. მოვიდა თუ არა ი კვირაცხოველის ასკილებთანა, ხიდი რო დევს რუზე, სწორეთ იქა... ხიი, ტფეოჰო, შე!..

_ სად მივა, ე! _ და გააწნა პაკომ ურჩ კამეჩს სახრე.

_ როგორც თურმე გადავიდა ხიდიდანა, ამ ასკილებიდან კი ვიღაც სწვდა ქუდში და ქოჩორიც თან ააყოლა. პაპაჩემი თურმე ხელმარჯვე და ახოვანი ვაჟკაცი ყოფილა. აი, დალაქიანთ ბაბიაზე კიდევ ზორბა. ბერიკას ერთი საშინელი დაეყვირნა, ემრო ხანჯალი და დაძრულიყო სახლისკენა. მორბის და მოსდევს ი წყეული. მორბის და მოსდევს. აი ტა-ტა-ტა, ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ! _ და ამოვა ხათქა-ხუთქით სოფლის პირში. ძაღლის ყეფა რომ მოესმა თურმე, გული მოიცა, შემოტრიალდა, მიუშვირა ხანჯალი და თურმე ი წყეული, ჯვარი აქაურობასა, ძაღლად კი იქცა!.. მა, კაცო! _ ვიარეო, ვიარე ისე კურტუკუღმა სახლამდინაო... მერეც თურმე, რო მოიგონებდა, სუ ჟრჟოლა აიტანდა ხოლმე პაპაჩემსა.

_ გადარჩა, გადარჩა?

_ მა, გადარჩა. კიდევ კარგი, რომ ი წყაროსთან კარგი ფუზია, თორემ ი ბავშვი წუხელ წყეულს ვერ გადაურჩებოდა. რამდენჯერ მძინებია ღამით ი წყაროს პანტის ქვეშა.

ასე ბაასობდა წყეულ სულებზედ ზალიკა ახალკაცი.

ამასობაში დღემ საშუადღეოს მოატანა. გუთნიდან ორი დღის საქცევს იქით, ხნულებს შუა, ჩასდევდა თავიდან ბოლომდის მშვენიერი, მწვანით მოსილი ველი, რომელზედაც შიგადაშიგ იდგა კუნლის, ასკილის და უფრო მაყვლის ბუჩქები. შუა ალაგას ამ ველზე იდგა კარგა მოზრდილი მაჟალო-პანტა. პანტის ძირში მიედო მაზარა მუთაქად, ზურგი მზისკენ მიეშვირა და ისე იწვა ერთი ახალგაზრდა ბიჭი. მზემ რომ აგრძნობინა ბეჭებს, მეხრე გადმოტრიალდა. ცალი მუხლი გაშალა, ცალიც ააყუდა; უბეში ხელი შეიყო და გულზე ცაცუნი იწყო. მზემ სხივები თვალებში ჩაუციმციმა. ეწვალა, ეწვალა, ატრიალა თავი, ხან აქეთ მოიკოტრიალა, ხან იქით, მაგრამ მზე თანდათან მაღლა ამოდიოდა და გამოჯიბრებული ისარივით

ესროდა წამწამებში სხივებს. გამოიღვიძა; წამოჯდა, შეხედა მზეს და შენანებით წამოიძახა:

_ ვაი დედი ჩემის ღმერთსა!.. მზეს ძაან ამოუვაკებია.

წამოხტა, მადიანად გაიჭიმა, გადიგდო მხარზე ფარაჯა და გასწია ზალიკას გუთნისკენ. ეს იყო ჩვენი ცეცო.

_ აგერ, ცეცოც მოდის. ძაან გამოიძინა. აი მაგას თუ შეეშინდეს რისამე! სწორედ ჭინკაა: ღამურა-კაცია, ღამურა! ღამურასავით დაძვრება ჭალებში. რა გგონია, ზალიკა, წუხელ ეგ რო არ ასძღოლიყო იმ ბიჭებს, იქნება ვერ ეპოვნათ.

_ მადლიანი ბიჭია. მარჯვენა ნაკურთხია!.. ჩავცივებივარ იმ ჩემ დედაკაცს, _ ხმამოდაბლებით დაუწყო ზალიკამ პაკოს, _ რო ეს ჩვენი თამრო-გოგო ე ცეცოს მივცეთ-მეთქი და პირ-ჯვარი ვერ დამიწერინებია. მე, სწორე გითხრა, გულში ჩამივარდა. სარისტიანი კაცი დაჯდება.

ცეცო მოვიდა, შეუხტა საძირის კამეჩებზე; იგრძნეს ცეცოს მოსვლა; თვალებს ბრიალი დაუწყეს, აფეთებდნენ დამფრთხლებივით, კუდის წმაწვნას მოუმატეს; ცეცოს სახრის აღება და იმათი გუთნის აგლეჯა ერთი იყო.

«მე შენ გითხრა, სახრის დაკვრა მოუნდება! თითქო ე გუთნეული პატივს სცემსო! ბიჭია და ბიჭი! ბადალი არავინა ჰყავს», _ სთქვა გუნებაში ზალიკამ და გადასწყვიტა, რო თავის თამროს უთუოდ და უთუოდ მიათხოვებს ცეცოსა, თუნდ იმისი დედაკაცი ჯავრით პოპოქივით გასკდებოდეს.

მზე საშუადღეოზე აიმართა; საქონელი გამოუშვეს; დღის მეხრეებმა ჩარეკეს წყალზე; გუთნისდედა ღამის მეხრეებით პანტის ქვეშ გადავიდა. ჯერ არ დამსხდარიყვნენ, რომ წყაროს ხევიდან ამოვიდნენ ამ სერზე ორნი: ერთი ვაჟი, ესე თერთმეტ-თორმეტის წლისა, რომელსაც პარკი ეკიდა ზურგზე; მეორე იყო ქალი. ეს იყო უკვე მოწიფული, როგორც იტყვიან, მოჩიტული, მზა სადედოფლო ქალი; ამას ხელში ეჭირა საჯერო; სუფთა წინწკლიანი ჩითის კაბა ეცვა; ხელებზე თითებს შუა სახსრებამდე შავი ქიშმერის თათმანები ჰქონდა წამოცმული; დასცხომოდა, ნიკაპთან თავშალი გამოეხსნა, რომელიც ჩამოშვებულიყო, და ნელი სიო აქანავებდა; სახე გასწითლებოდა, გაოფლიანებოდა, მაგრამ სიომ მალე შეუშრო. ლოყები და ღაბაბი ისე ჰქონდა სიცოცხლით სავსე, ისე ჰქონდა გატიკნილები, რომ დასკდომას ლამობდნენ. იმის შავი, ცელქი, მარბენალი თვალები თავის ისრებით გულში ძალად გიცვივდებოდნენ და გამოუთქმელს სიტკბოებას ჰბადებდნენ. ამ ქალს ბეჭებს უმშვენებდა ოთხი მოკლე, მაგრამ მსხვილი, გიშრის ნაწნავი, რომლებსაც ჩატანებული ჰქონდა სათვალე და ღვრინჭილა, რომ თვალი არავის ეცა და ეს მშვენიერი გიშერა თმა არ გასცვივნიყო.

ეს იყო ლამაზი, უმანკო თამრო, ზალიკას საყვარელი ქალი, თავის პატარა, ერთადერთი ძმით, რომლებსაც გუთნის ჯერი _ სამხარი მოჰქონდათ.

მეგუთნეები ჩამწკრივდნენ; თიხის ჯამებმა ჩხარუნი მოიღეს; პარკიდან არაყის ბოთლი ამოაძვრინეს. ცეცო სულ კანკალმა აიტანა: სახეზე ცივმა ჟრუანტელმა აუარა, სასიამოდ დაუწყო გულმა რაკ-რაკი. დაისხეს ბატის ხარშო; ცეცომ იმდენი იცოცა, რომ თამროს პირდაპირ დაჯდა: ღვთის წინაშე, ზალიკასაც კი ეს ედო გულში. თამრო მალი-მალ გადმოიწევდა კაბის კალთას მუხლებზე, წინ დაიხედავდა, ხომ ტიტველი არა მიჩანს რაო. ცეცოს პურის ჭამა ცეცხლი იყო: აიღებდა ლუკმას და გაპარებით, შუბლქვეშიდან გაავლებდა ხოლმე თამროს თვალს. თამროც მოკეცილი იჯდა მამის გვერდით, სალოკი თითის ფრჩხილი შეედო კბილებში და აცოდვილებდა. ცეცომ დინჯად დაუწყო პურს ჭამა. მეხრეებმა

ჩაღუნეს თავები, თითქმის ჯამებში ჩაძვრნენ; იდროვა ცეცომ, იხელთა დრო და ის იყო, გააპარა და გააპარა კატასავით თამროსკენ თვალი. რამდენიც შეხედა, იმდენი ამის თვალი თამროს თვალს შეხვდა, და უცბად, ერთ დრამში, ისე ჩაჰკიდებდნენ თვალებს. შეაჩვიეს ერთმანეთს თვალები; ცეცო წათამამდა; თამამად შეაკვირდა თამროს მსხვილ და მაყვალა თვალებს, მაგრამ იმ წყეულმა თამრომ ისე დაუნდობლად, დაუზოგველად, ჟრჟოლით შეხედა ცეცოს და დაჭიმა წამწამები, რომ ცეცო უნებურად შეკანკალდა, თვალები ცრემლის გუბედ გადაექცა და, რომ ჩაეფუჩეჩებინა, სთქვა:

_ უჰ, ეს ოხერა, ძვალს კბილი დავადგი! _ ვერავინ მიუხვდა ცეცოს ეშმაკობას თამროს მეტი, რომელმაც შეკუმშული ტუჩებით შეიღიმა.

_ «შენმა რა მიყოს, _ სთქვა ცეცომ თავის გუნებაში, _ თუ შენ გაგიშვა; ეს ეს არის, მე _ მე შენ თავს უსიკვდილოდ ვერავინ წამართმევს».

_ გენაცვალოს, შვილო თამრო, შენი მამაი! აალაგე, შვილო, და წადით შინა. ვენახსაც ჩახედეთ; კაკლებს მოუარეთ, ეხლა ბევრი ეყრება. აქ მე არას გამიკეთებთ.

თამროს გზა ზედ თეთრ წყაროზედ გადადიოდა; გუთნის ჯერიდან დაბრუნებული ქალები, თუ ბიჭები აქ უთუოდ ჩამობრუნდებოდნენ, ჯამებს და ქოთნებს დარეცხდნენ, აავსებდნენ წყლით და ისე გაუდგებოდნენ შინისკენ.

ნასამხრევს ცეცომ მოიგონა, რომ ერთი ე ჩემ ვენახში ჩავირბენ და ცოტა წითელა მსხალს ამოვიტანო. აიღო კომბალი და ვენახისკენ მიმინოსავით მოსხლტა; გადახტა საჩქაროდ, მიიჭრა მსხალთან, მიუხალავა და მიუხალავა კომბალი; მსხალი ხრიალით ჩამოცვივდა ძირს; საჩქაროდ გაიტენა უბეები და აჩქარებით, ღელე-ღელე წყაროსკენ მსხლის ჭამით გასწია. ამასობაში თამრო წყაროზე ჩასულიყო და ჯამებს რეცხდა. იმისი პატარა ძმა პანტის ქვეშ ტრიალობდა, კავიანი ჯოხი ეშოვნა, იწევდა მაჟალოს, ტოტი გეეშვებოდა და ხელახლავ მიჰყოფდა დაწევას. ცეცო მიწის მგელსავით გაუჩნდა თამროს, მივიდა და წყაროს პირს ჩამოუჯდა; ჩაღუნა თავი, დაუწყო მსხალს ჭამა, ერთმანეთის გულის ცემა ორთავეს ესმოდათ. თამრო გაშრა, გაბუცდა; რომ ვეღარა მოახერხა რა, თავზე მოსახვევს დაუწყო სწორება. ცეცოს უნდოდა ეთქვა რამე, მაგრამ გული უწუხდა, დიდის ღელვისაგან გუნება გაებერა, ბოლოს რის ვაი-ვაგლახით მიაწოდა მუჭით მსხალი და უთხრა:

_ აჰა, თამრიკო, მსხალი არ გინდა? _ რამდენიმე წამს ჰქონდა ხელი გაშვერილი; თამრო გაშეშდა, ჩაბღუჯა ნაწნავი, თითქო იმისგან შველას მოელოდესო, მიიღრიცა თავი და ბოლოს გვერდზე ოდნავ წამოაწვდინა ხელი და ჩამოართვა მსხალი.

_ მოეთრიე, ე ქოთანი აავსე და დროით წავიდეთ, _ უთხრა ძმას მთრთოლვალის ხმით თამრომ.

_ მე არა ვიცი რა, ე მსხალი უნდა დავაყრევინო.

_ ჯერ შინ ჩამოდი, ყვიციანო!

იმათ ლაპარაკში ცეცო წამოხტა, აავსო ქოთანი და დადგა.

_ თამრო, ერთი შენ გაზრდას, ე ჯამი მათხოვე, წყალი უნდა დავლიო.

_ ქოთანი მანდ არა გქონდა, თუ არა და, მუჭით დავლევდი რა!

_ დასვრილი ხელები მაქვს. თიხის ჯამით წყაროს დალევა, თამროჯან...

თამრო განზრახ ინაზებოდა, გულში კი სულ სხვასა ფიქრობდა; ფიქრში უყვარდა, მაგრამ ის კი ვერ წარმოედგინა, თუ როგორ შეიძლებოდა ასე ლაპარაკი უცხო პირთან. მარტივმა, უმანკო სიყვარულმა დასძლია და თამრომ ჯამი წააწოდა და აჩქარდა წამოსასვლელად. აი გამგზავრდა. ცეცომ, თამროს საქციელით

გულდათუთქულმა, თვალი გააყოლა; ტკბილის, მშვენიერის და თანაც ნაღვლიანის კილოთი სიმღერა გაადევნა უკანა:

«ხელსახოცსა გადმოგიგდებ, გოგოჯან!
ოქრომკედით მოქარგულსა,
შიგ გაგიხვევ გულსა, სულსა,
შენთვის დამწვარს, დადაგულსა!»

_ ნჰე! შეხე, შეხე, რა გითხრა? თუ შენ, თამრო, დედას იმას ეტყვი, მეც ამას ვეტყვი, იცი თუ არა? _ უთხრა ძმამ.

_ მეხი კი დაგეცა მათ თავში! _ სთქვა ტუჩის აბზუკვით თამრომ ცეცოზე. ეს სიტყვები გამოსთქვა, მართალია, მაგრამ გულში კი სხვას ფიქრობდა: «უი, უწინამც დღე დამლევია, რომ მაგას მეხი არ დასცემოდესო».

IX

ირიჟრაჟა!.. ვარსკვლავთ ფერი ეცვალათ, დაჰკარგეს სიბრწყინვალე და სიკეკლუცე, მერე სრულიად გაჰქრნენ; აღმოსავლეთისაკენ ბინდმა სინათლეს დაუთმო ადგილი; მხოლოდ დასავლეთისკენ ცას შერჩა ერთიღა ვარსკვლავი, რომელიც დღის მომავალ სინათლეს თითქოს ეჯიბრებოდა. გათენდა, გაიღვიძა ბუნებამ. კვირა დღეა და გლეხკაცობა ჯერ არ იშლება: მზე ამოსასვლელს არის და აი, აიშალა ხალხი; ჩავარდა სოფელში ხმაურობა, საქონლის ბღავილი, ხვიხვინი ცხენთა. სოფელი სდუღს დილის სიცოცხლითა; მიერეკებიან საქონელს სანახიროსკენ; პაწია მწყემსები მიჩანჩალებენ გუდების ხრაგა-ხრუგით; თავშალწაკრულ გოგოებს ფეხშიშველა ფეხით დაუთითოებიათ ხბორები, წაუვლიათ კუდებში ხელი და მიარბენინებენ. ხბორები, რძით დამაძღრები და ნასიამოვნები მშვენიერი დილით, ფუნდრუკით და კოწიაწით გარბი-გამორბიან და მიათრევენ გოგოებს. აი აგერ! _ დაეცა ერთი ნამიან ბალახზე; აი მეორესაც დაუსხლტა ხბოს კუდზე ხელი და პირქვე გაიშხლარტა მიწაზე; საბრალოს პირი მიწით აევსო; იწმენდს, იხედავს ხელზე, ტირის, იჩიჩქნის თვალებს; ბრაზი მოსდის, რომ იმისმა ამხანაგებმა ბრაგვა მიატანინეს სანახიროზე ხბორებს და ამას კი უბედურობა დაემართა. ჩერდება ერთ ალაგას და ტუჩი ჩამოუშვია. ხალხი ხარხარებს ამის დანახვაზე; ტაშსა სცემს, «ჰიი, ჰიი», _ ეუბნება. აი ტოლი გოგოები მოვიდნენ, ხელი წაჰკრეს, გაეხუმრნენ; დაჩაგრულმა ერთი უცბად შესცინა, გადაიყარა დარდი და ჰაიდა! _ გაქანდა პროწიალ-პროწიალით.

მირეკა სანახიროზე მთელმა ძაღლისხევამ საქონელი; საბძელთან შეიყარა ხალხი, რიგი ამთქნარებს, რიგი იჭიმება, სალამს აძლევს; ხუმრობენ, ლაზღანდარობენ.

_ ჰნე! მოგვატანეს ამ კვირა დილითა; შეხე ი მღვდელსა, დიაკვნისთვის რო აუკიდნია ტომარა და ჩანახი.

_ მოსე ურია კი არ მოაჩლატუნებს თუ ცხენსა ამ ადრიანათა!..

_ მამაო, დღეს წირვა არ იქნება?..

_ დახე ამ ჩვენ დიაკვანსა და! ასეთი სმა ეცოდინება, რო!..

_ ხელობა მა რა არის, _ უპასუხა დიაკვანმა.

აიარეს ზემოთ.

_ ასეთი ალალი ღვინის სმა იცის მა დიაკვანმა, რო შენი მოწონებული; ერთი კი გადისვამს ულვაშზე ხელსა და ის არის, ისე გამოწიფამს, თითქო თავის დღეში შიგ არა მდგარა რაო, _ გაიხუმრა ვიღამაც.

_ ღვინოში, მე შენ მოგახსენო, მღვდელი კი ჩამოუვარდება, _ იყო პასუხად.

_ სოსიკა, ი რა კაი მოზვრები მოგირეკია, ბიჭო! ძაან დალოცვილი ქედი უჩანთ; ჩემი ბიჭი გავგზავნე ქალაქსა და ნეტაი შენი სიცოცხლით არ მოატყუონ კი; გამოუცდელია და!.. მე ხეტიალის თავი აღარა მაქს... _ სთქვა ბერიკამ.

_ მოტყუებას კი ნუ იტყვი, ძმავ! ძლივ დავაღწიე თავი, ძლივს. კაი ფასიც მივეცი... იძახდნენ იაფია, იაფიაო! და სად არის? _ კაი ცხრა თუმანი დამათვლევინეს, _ სთქვა გულნატკენად სოსიკამ.

_ ეჰეი _ ჰე! _ გაისმა ხალხში. _ ჰაი დედასა! ამ ათი წლის წინათ ყევარს კაი თარაქამულს იყიდდა კაცი მაგ ფასათა.

_ ათი რად გინდა, _ სთქვა ბერიკამ, _ ხუთი თქვი; ჩემ კამეჩებში ხუთი წლის წინათ ათი თუმანი არ მივე, ეხლა ოცდაათსაც არ ვათქმევინებ, ჰო, თავი არ მომიკვდება!.. ეს ტასიას ბიჭი არ არი? აი, ე რო გარბის?.. ღმერთმა უშველოს, უპოვნიათ. იმ ღამეს შენმა ნათლისდედამ მითხრა, რო ესე-ესეო, ტასოს ბიჭი დაეკარგაო. ღვთის წინაშე, დავაპირე წამოდგომა, მაგრამ წელი ვეღარ ავიტანე; გამტეხა ჯაფამ და სიბერემა.

_ ღამის მეხრეები შესწრებიან, იმათ მიუკვლევიათ, თორე, ვინ იცის, თუ რა საცოდაობა დატრიალდებოდა: ეშმაკს თვალთ არ უჩანს, ათასი რამე სდევს ადამიანის შვილსა. ცეცოს და მიხას უპოვნიათ... მერე მეხრე ბიჭია და!.. _ სთქვა სოსიკამა.

_ ღმერთი, ჩემო სოსიკა, როგორც გააჩენს, ისეც დაარჩენს: ღმერთს გაუგზავნია ი ცეცო... მადლიანი დედ-მამის შვილია. მაგასაც ღმერთი უშველის... ასეთი სათნო კაცი იყო ცეცოს მამაი, რო სოფელში ცალი არა ჰყავდა.

_ მე შენ მოგახსენო, ბერიკა, ცეცო კარგი ბიჭი დგება; რა საჭიროა, სოფელში მაგი ბადალი ბიჭი არ დადის; სწორედ გაჭირვების ტალკვესია.

ბერიკასა და სოსიკოს ლაპარაკის დროს ხალხი ნელ-ნელა მიიშალ-მოიშალა; სოსიკა და ბერიკა ერთად წამოვიდნენ ბაასით; შემოიარეს მიხა გვარაძის სახლისკენ. მიხა ურემს თვლებზე სდგამდა, ცეცოს მაზარა და სახრე მიეგდო გვერდზე და შესჯდომოდა ღერძს, რომელსაც მიხა თვალს უდგავდა.

_ დილა კარგა ყოფნისა! _ მიესალმა სოსიკა. _ ბიჭო, თქვენში კვირა არ იციან?

_ რას დაუშლის კვირასა; ხედამდი ი ხუცესსა, როგორ ტომარააკიდებული გარბოდა ამ დილაადრიანა. მე შენ მოგახსენო, იქადაგებს! იმ დღეს, ღმერთი არ შემარცხვენს და ი ზიარების მადლმა, _ სთქვა ცეცომ, ანება ღერძს თავი და შეხედა ცას, _ ეკლესიის გვერდით, ი კანცელარიის კარებზე, ვიდექით ტოლ-ტოლი ბიჭები; გამოვიდა საყდრიდან ე ჩვენი მღვდელი და დაგვდგომია: სირცხვილი არ არისო, რო კვირა დღეა და საყდარში წირვა არ მოისმინეთო, თქვე თათრებოო! სწორედ ამ სიტყვითა თქვა, ღმერთი არ შემარცხვენს... მაინც ე მოზარდი ხალხი საყდარს არა სწყალობთო და ღმერთიც თავის მოწყალებას მოგაკლებთო... ი თვალებში სიბ-რაზით სუ ნაპერწკლები გამცვინდა. ქუდი დავდოთო და სამართადა ისე ვქნათო, ამისი არ იყოს: წირვაზე მღვდლისა არა ისმის რა და დიაკვნისა; ღმერთს ვერხვქვეშ კი ვერ შევეხვეწები?

_ კვირაც გატეხილია და უქმეცა; ეს ოხერა, კაცი კაცს აღარა ჰგავს, _ ჩაურთო მიხამ, რომელიც დოინჯშემოყრილი შესცქეროდა კოხტათვალებიან ურემსა.

მზემ კარგად შეიმაღლა. იქნებოდა ათი საათი. შუა სოფლიდან ხმაურობა, ღორღალი შემოისმა, ხანდისხან ხანგრძლივი ხარხარი რომელიმე ხერხიანად ნათქვამ სიტყვაზე, ხანდისხან «ტყუნი დედას და ტყუნი მამას» და «აბა დაიფიცეს» ძახილი. კანცელარიასთან შეყრილიყო ხალხი და ერთი კვირის ანგარიშს ასწორებდნენ ერთმანეთში: ვის ვისთვის რა დაეშავებინა, ვის ვინ დაეჩაგრა _ ეხლა ასწორებდნენ.

კანცელარიის წინ, ქვაზე იჯდა და ჩიბუხს შეექცეოდა ხმელ-ხმელი მაღალი კაცი, წაყვითანო ფერისა, ახლად წვერმოპარსული პირით, რომელიც დალაქს ნიკაპთან ძალზე ჩაეკორტნა; ფეხებზე ახალი ჩუსტები ეცვა; ტანთ ემოსა ახალივე შალის ჩოხა-შარვალი, წითელი გულისპირიანი პერანგი ზედ შავი ჩაფარიშით; თავზე მაგრა ჰქონდა ჩამოცმული შავი იმერული ცხვრის ტყავის ქუდი. ხუთი-ექვსი კაცი შემოხვეოდა, პირში ხელს აქანებდნენ, ის კი გაჩუმებული ცივად, როგორც ის ქვა, რომელზედაც იყო ჩამომჯდარი, იჯდა და პასუხის მაგივრად აპურჭყებდა. შეხედულობა ამ კაცისა საზოგადოდ შესაზარი და შესაზიზღი იყო. როგორც ვთქვით, ყვითელს და გამხდარს სახეს შეიღმეჭდა ისე, რომ პირის კანს თვალებამდე აიტანდა, კაკლის ფოთოლივით მწვანე თვალებსა, რომლებიც მუდამ წამს გველსავით გინესტრავდნენ გულსა, საშიშრად დააჭყეტდა ხოლმე, _ ეს იყო მისი გაბრაზების ნიშანი.

ამას გვერდს უდგა უფრო დარბაისლურად ჩაცმული კაცი, ყომრალი მაუდის ჩოხით, ამ ფერისავე ახალუხით; შავ შარვალს მიხაკისფერი ჩითის სათავე ეკერა; ფეხთ ეცვა ძველებური ჩაღილული ხარაზის წაღები და თავზედ ბუხრის ქუდი. ეს იყო პირბუტაყი წითელი, როგორც ახლად მოხარშული კიბო; თვალები, როგორც იტყვიან _ ცხვრისფერი, მუდამ ყვითელი კილოებიდან ბაიებამდის; შუბლი ჰქონდა ვიწრო და შუაში თითქო შედრეკილი, საიდანაც იწყობოდა ნაოჭ-ნაოჭად დაწყობილი ნაკეცი ტყავისა ცხვირის კაკნატელამდე; ჯმუხი, ტანად ერთობ დაბალი, ისე დაბალი, რომ საღორიას ბოძს მოგაგონებდათ; ხელები მუდამ წინა ახალუხის ჯიბეში ჰქონდა ჩაწყობილი და მუდამ ჩაფიქრებული და თავჩაღუნული დადიოდა; ლაპარაკი ცოტა ენა მოჩლუნგებით, ანუ, როგორც ჩვენში იტყვიან, მოლუკლუკებით იცოდა. ამას ჰქონდა სოფელში დუქანი და ამისი ჭკუა-გონება იმაზე იყო მიპყრობილი, რომ რაც შეიძლება ბევრი გაება ობობასავით ქსელში.

პირველი იყო ფიდუა ეშმაკურაშვილი და მეორე ისაკა ბღუნძელაშვილი. ესენი ის ბატონები იყვნენ, რომლებზედაც ღამე ცეცოს თავის ამხანაგ ღამის მეხრეებთან ჰქონდათ ბაასი, როგორც სოფლის მჩაგვრელებზე, სოფლის მჭამლებზე, რომლებსაც მიმბაძავი თანდათან უჩნდებოდათ და სოფელს ამყრალებდნენ.

ღორღალის ხმაზე ცეცომ და მიხამ ყურები ცქვიტეს; გაემზადნენ წასასვლელად; გზაზე სხვა ტოლი ბიჭებიც მოემატნენ; ნელ-ნელა მიუახლოვდნენ კანცელარიას. ამ დროს წირვის ზარი დაირეკა; ყველამ ქუდები მოიხადა და პირჯვარი გადისახა.

_ ღმერთო პატრონო! _ სთქვა ყველამ გუნებაში.

_ კვირის მადლო და ძალო, შენ გაუწყვიტე პირისკომლი ავ კაცსა, _ სთქვა ცეცომ.

_ ჰო და ჰო! _ დაურთო ყველამ ერთხმივ.

ამ დროს შემოესმათ მაღალი, რიხიანი და უფრო შხამიანი ხმა:

_ კიდეც შევრეკამ და თვალსაც მოგთხრით!

_ ი ღმერთს შეხედე და ისე ილაპარაკე! _ შეტევით გამოელაპარაკა ვიღაცა.

_ რა ჩემ ფეხებს ყვირი; რის იმედით სჩრი, შვილოსა, ყველას პირში ბურთსა, შე ცარიელო სისხლის გუდავ, შენა! _ შემოუტია მეორემ. _ აბა ერთი შერეკე!

პირველი ხმა იყო ფიდუასი. ცეცოსა და მიხას ეს ხმა შხამიანი ისარივით დაეტაკათ გულში, რომელმაც ფართხალი შექმნა, თითქო ჰლამის ბუდიდან გადმოვარდნასაო.

_ არიქა! ჩხუბია! _ შესძახეს და, რომ გზა შეემოკლებინათ, ბანი-ბან გადირბინეს და ერთ წუთში ქასქასით და ქაქანით დაერჭვნენ კანცელარიის წინა.

ცეცომ ცალი ხელი უბეში შეიდო და ცალით მიწაზე დანდობილს სახრეს პროწიალი დააწყებინა; მიხა ჩხუბის მიზეზის უცბად გაგებამ ისე ააჟრჟოლა, რომ სახეზე სიცივის ეკალი აასხდა.

_ კაცო, მამასახლისი არა ხარ შენა? რატომ ხმას არ იღებ, ა? _ უთხრა ხალხმა.

_ მე რა ხმა უნდა ამოვიღო, ე კაცი ამბობს, რო არ შემირეკიაო.

_ აი ისემც გიშველის ე დღევანდელი წირვის მადლი, ჰოდა ისრე!.. ხალხნო! მაგან არა თქვა, რო შევრეკამ და თვალსაც მოგთხრითო!.. ვთქვათ, რო ეგ ერთი ამბობს, რო არაო. ბიჭო, ეგ ერთი ამბობს და ჩვენ მთელი სოფელი ვამბობთ, რო წუხელ ამის საქონელმა ჩემი ვენახი ამოაგდო. თითონ ამის ძმა იყო... შეერეკა კაკლებქვეშ ყევარი ხარი, მიუნებებია, კაცო, თავი და შესულან სავსე ვენახში... ემ დილით ვნახე, ძმაო, _ მიუბრუნდა მოჩივარი ცეცოს და მიხას, რომელიც სულ ტუჩებს იკვნეტდა სიბრაზით (ცეცო კი დინჯად ყურს უგდებდა). _ ვნახე, მარა ნეტა არ მენახა, თვალები მეტკინა, თვალთ დამიბნელდა. მტერი ხომ მტერია, თავი არ მომიკვდება, თავი _ აბა, ტყუილი რა სათქმელია _ მტერიც კი ატირდებოდა, _ სთქვა გულდათუთქულმა ბესო ზერეკიძემ.

_ რას მეუბნები, მთელი წლის ფეხისმოსავალი, ძმაო, სუ ბუნუთივით არი მოფშვნეტილი, _ შეეწია ბესოს მეზობელი ილო.

_ არა, რო გეუბნებიან ეს ამოდენა ხალხი, რატომ არ გჯერა, მამასახლისო! პირველი ნუმრა ხო არ არის ფიდუას ეს საქმეები, _ ჩაერია ხმის თრთოლვით ბაასში ცეცო. _ მთელი სოფელი ამოგდებულია ამისაგანა; ყველას ესა სჩაგრავს. იმ დღეს რაღა იყო, რო მაგის მოჯამაგირისაგან თავგატეხილი პავლე ბეციაშვილი მოგაყენეს კარსა! დაახვედრა ბიჭი, თითონ ვენახიდამ აქეზებდა; საწყალი ობოლი ბიჭი კინაღამ რუში ჩაახრჩობინა, თავიც გაუჩეხეს და შენ ხმაც არ გაგიცია; აბა, თუ საკანონო გადაგიხდევინებია რამე! შეძლება აქვს, მუდამ კვირია ყელმოღერებული ზიხარ მაგის სუფრაზე და იმიტომ?

_ რას ელაპარაკებით, ხალხნი არა ხართ, კაცო! _ მიიჩრდილა მიხამ შუბლზე ხელი, რომელიც მეტი სიბრაზისაგან უკანკალებდა. _ როდის რა გაურიგებიათ მამასახლისებსა!.. საკანონოც სოფელმა დასდოს და სხვა ყველაფერიცა.

_ შენ ეი, ცეცო, მისამარას თავში ნუ იცემ, თორემა...

_ თორემ რქადეკეულები არ გამოურეკო ბაკიდამა! _ სთქვა და წამოუმხარდამხარდა მიხა.

_ შენ ხო აზნაურის სისხლი არ დაგაყენებს, _ წასძახა სისხამით ფიდუა ეშმაკურაშვილმა.

_ შენ ჩემ აზნაურობასთან საქმე არა გაქვს ეხლა; მე აზნაურის სისხლი მაქვს, თუ გლეხისა _ ეს რა შენი საკითხავია... უკან გაბრუნდი, _ შემოუტია მიხამ.

_ დაიცა, დაიცა! _ დაუჭირა ხელი ცეცომ. მიხა შესდგა. _ ჩვენ ეს უნდა გავიგოთ, _ განაგრძო ცეცომ, _ რაღა შენ და ე ბღუნძელაშვილი აოხრებთ და ჰბრიყვობთ ამ სოფელსა; ერთისა _ ძმები და მოჯამაგირე, მეორისა _ ლაწირაკი შვილები...

მამულია და ჩაიგდებთ ღარიბ-ღატაკს ხალხსა და შვილიდარ მიწებს სცინცლავთ, ვენახი არ დარჩება, ყანა, სიმინდი, რო თქვენმა გასატიელებელმა საქონელმა არ ააოხროს; კაცი არ არის, რო თქვენ წყალი არ წაგერთმიოთ; ე ბღუნძელაშვილია და სუ სული ამოგვართვა...

_ მართალია, მართალი!! _ შეჰყვირა გულგაკეთებულმა ხალხმა, _ ან ჩვენ უნდა ვიყვნეთ ამ სოფელში და ან ეგენი, სულთა დგომა აღარ არის, სულთა დგომა.

ბღუნძელაშვილმა დაატყო, რო ცუდადაა საქმე, კუდი ამოიძუა; ამას მამასახლისიც აეტორღიალა, ამოიჩარა იღლიაში ჯოხი და კისერწაწვდილი გაჰყვა ნელის ნაბიჯით ბღუნძელაშვილსა.

_ მამასახლისები ჩვენ საქმეს არ გვირიგებენ. აბა, ერთმა ვინმემ დაასახელოს, ვის რა გაურიგა. თუ მსუქანი კაცის საქმეა, გაგიხარიანთ, რო მაშინ ეგენი გაფხიზლდებიან; გზირიც მაშინ ფეხმარდდება, იასაულიც, მამასახლისიც, ეგენი მარტო იქ არიან მარდები, საცა თავიანთი სარფაა: აბა ჩინოვნიკი მოვიდეს, როგორ ყველაფერი უხვად მოჰკრიბონ, და ვისგან? ვის მიადგებიან და მიუტალახებენ კარსა? ჩვენ, ღარიბებს... ე გულხელი რო დაგიკრეფნია, _ მიუბრუნდა გაცეცხლებული ცეცო ფიდუასა, _ ვითომ და აქ არაფერი ამბავიაო; თუ კაცი ხარ, იტყვი, რო, ერთხელაც არი, ერთადერთი კვერცხი მიგეცეს; ჩვენა გვბრიყობთ, რაღა?.. მართალია, თუ არა? _ მიუბრუნდა ცეცო ხალხს.

_ მართალია!.. აი, შენი დედ-მამა განათლდეს, შენი!

_ კაცო, რა საჭიროა, ჩვენ ძველ ადათს მივყვეთ. მოსწრებული კაცი არავინა ხართ, წამოდექით წინა, _ სთქვა მიხამ.

_ რაო?

_ ისა, რომა სოფელმა დავაყენოთ ჩვენი კაცები მეველეებად: მერუობაც იმათ ჩავაბაროთ; მოვალეობად დავდოთ, რომა ნახნავ-ნათესს ყური უგდონ და ემაგითანა იუდის კერძის ხალხისაგან დაგვიფარონ.....

ფიდუა შეიღმიჯნა, თავი გადააგდ-გადმოაგდო.

_ ემანდ, რაღაცას არ აკანტურებ ე თავსა მომაკვდავი გველივითა, გაბრუნდი, თორემა ისე გაგაჭრელებ, როგორც გველი; აქ დაიცინები კიდეცა!

_ ე ულვაში ნუ მსხმია ე ფიდუასა, თუ თქვენ უნარი ვერ გიყოთ...

_ ულვაშიც შეგირცხვეს და ე პირიცა, _ და აქ შეუღერა მიხამ სახრე.

_ დაიცა, მაგის დროც მოვა, _ ჩასჩურჩულა მიხას ცეცომ, _ ე მიხასი არ იყოს, ძველ ადათზე გავიაროთ: ავირჩიოთ სანდო პირები, _ აქ ბევრი კაი კაცი გვყავს, _ მეველეებად და მერუეებად; ემითანა კაცებს, _ უჩვენა თითით ფიდუაზე, _ სახლის კარი შეუკრათ; მეზობლად ნუ გავატარებთ; გუთანში ხარს ნუ შეუბამთ; მუშად ნუ გავყვებით, შენ ხარ ჩემი ბატონი; ჭირსა და ლხინში ნუ მივხედავთ. რა არის, ვითომ ნუ ყოფილან ეგენი სოფელში, ისე ვიანგარიშოთ.....ჰა, ხალხნო, რას იტყვით? კარგი იქნება?

_ აი, მე და ჩემმა სიყმემ, მართალი სიტყვა, _ დაიძახა ხალხმა.

_ უწინ სუ ეგრე არ იყო, _ სთქვა ჩვენმა ზემო ნაცნობმა ბერიკამ, _ შეუკრამდით სახლსა და გაგიხარიან მალე მოვარჯულებდით ხოლმე! ადამიანი ხო ეშმაკი არ არის, პეპელა ხომ არ არის, რო კედელს მიეკრას, უმეზობლო გლეხკაცს ერთი წუთის გაძლება არ შეუძლიან.

_ მაშ, ხალხნო, ე კუბოსა ღვთის-მშობლის მადლმა ამოსწყვიტოს იმის ცოლ-შვილი, დედა შეერთოს ცოლათა, ვინც ეს პირობა არ დასდოს და არ შეასრულოს, _ დაიძახა ცეცომა.

_ ანგრე იყოს, ანგრე! _ შეჰყვირა ხალხმა ცეცოს პასუხად.

ამოირჩიეს მარჯვე ბიჭები მეველე-მერუეებად; ამოირჩიეს ის პირნიც, რომელთაც ყური უნდა ეგდოთ, რომ იმათ, ვისაც სახლი შეუკრეს, ხელი არავინ გაუმართოს. ხალხი დაიშალა; ნელ-ნელა წავიდ-წამოვიდნენ; ცეცოს უბნელები, ესე ოცამდე კაცი, დაადგნენ შუა სოფლის გზას და ლაპარაკით წამოვიდნენ.

_ ახლა ეს კულუხი სჭირს; თუ კიდე შარშანდელსავით მოგვიჭირა ი უპრავლიაიუჩმა, სწორედ სახლში ზედაშე გაგვიწყება, _ დაიწყო ერთმა.

_ ქართველი კაცი მაინც იყოს, თავს მაინც არი შეაბრალებს კაცი, ცოტაც არი ღმერთს მოაახლოვებინებს; აბა, ერთი გადმოვარდნილი ვინმე რას დაგიდევს, თუ მე და შენ შიმშილით მოვკვდებით; რო გიცქერის, თითქო უნდა შეგჭამოსო, სუ კბილებს აკრჭიალებს: «გრუზო ფინთი, გრუზო ფინთი, მამაძაღლი», სუ ამას გაიძახის, _ სთქვა ხელების შლით და ნაღვლით სავსე ხმით მოხუცებულმა ბერიკამ.

_ მაგი მეტი კი არა იცის რა, _ დაუმატეს აქედ-იქიდან.

_ ე უცხომ რო არ დაგვინდოს, კიდევ გასაკვირველი არ იქნება; ე ჩვენი ხალხი ხო უფრო უარესია! ჩაიცვამს თუ არა რუსულ ფარაჯას და ი ვარსკვლავიან ქუდს დაიხურავს, სუ რუსულად გიშტრიალებს; ე ჩემ ნათესავებზე ხო გამომიცდია, გვარაძეებს მაგი მეტს კი ნურას მოჰკითხამ.

_ ჩვენ პეპესაც რო ეს რუსული ფარაჯა ჩაუცვამს; რუსობანა უნდა ამასაცა აი, _ გაიხუმრა ვიღაცამ პეპეზე, რომელსაც წითელ-გალუნიანი სალდათის სერთუკი ეცვა, _ ისეთია, კაცო, რო სუ რაღაც სუნითა ჰყარს.

_ ეს ოხერი რამდენჯერ გავამზევე, რო არ გამოელია.

_ სუნი რო აგრე ჩაჰკვდომია და აღარ ეშვება, უცხო კაცი რა გავამტყუნო, რო ჩაგვაკვდეს, _ სიცილით სთქვა ცეცომ.

_ ღმერთი, რჯული, ცეცო, დამიჯერეთ: ერთი კარგა გავსახროთ სადმე ყველანი, ე ბატონიც ზედ მივაყოლოთ და თავს დაგვანებებენ, ვაი არა აქვს მიხასა!.

_ ჰოდა, რა არი! წეღან ხედავდი, ი ბღუნძელაშვილი რარიგ კუდამოძუებული წამოვიდა... ფიდუასაც კი ენა ჩაუვარდა...

_ ყველას თავის დრო აქვს... რუსის კანონი არ იცით თქვენა... ჩემი დროც მოვა, უმაგისობა კი არ იქნება. მაგრამა ასე კი უნდა ვცემოთ, რო თავ-ბედი იწყევლონ და ჩვენ სამართალში არ მიგვცენ; მიხა წეღანვე აიმრიზა. რო გეცემა, საქმე წახდებოდა.

ხალხი გაიფანტა; ცეცო და მიხა გამარჯვებულები, გულზე ცოტა დარდმოშვებულები, რო საქმე ცოტაც არი გააკეთეს, შევიდნენ ცეცოსთან სადილის საჭმელად.

X

თამროს და მის პაწია ძმას გზაზე, წყაროდან რომ წამოვიდნენ, ძალიან შეუგვიანდათ: ძმა პეპლების ჭერას გამოუდგა; თამროც იმას შესცქეროდა და არა ერთხელ შეუკურთხა:

_ შე გულკვდარო, თავი დაანებე, თორე მოგკალ!

ძმა ყურსაც არ იბერტყავდა და მისდევდა პეპელებს.

_ ყვიციანო, ყვიციანო! მაცა, მაცა! _ მიაყარა სიტყვები სიბრაზისაგან მოთმინებიდან გამოსულმა თამრომა.

თამროც არ იყო უსაქმოდ; ის იგონებდა ცეცოს; ჯერ ისე ახლოს არ ენახა, გულში რაღამაც ჭიასავით ფუთფუთი დაუწყო; არც სრული შეყვარება ეტყობოდა, არც თუ

შეუყვარებლობა; ადრინდელს მშობლების ლაპარაკს ცეცოზე ეს შეხვედრაც ზედ დაერთო და თამროს გულს დაატყო; მას ეხლა გული უღელავდა; ტანში აზმორებდა, რამდენიც კი წარმოიდგენდა ცეცოსა. ამ ტკბილის ფიქრებით და თანაც გულის აღმაქშინავი ღელვით ჩამოვიდა სახლში. ლოყის თავები დაუკვერდა, თვალები სიცხისაგან აემღვრა; მკერდი ხშირ-ხშირად ასდიოდ-ჩასდიოდა: ეტყობოდა, რომ თამროს გულში რაღამაც დაიჭირა ალაგი.

დედა შინ არ დახვდა. იმას მოსწყინდა მარტო გდება სახლში, ჩვეულებისამებრ სათიბელა და აპეური წაიღო ვენახში; ჩავხედავ ვენახსაც და ხბორებს და ბატებს პატარა ღიჭას ამოვუტანო, იფიქრა იმან; წაუყარა კარებს ურდული და წავიდა. თამროს იამა, რომ დედა შინ არ დახვდა; ძმას როგორმე დაუყვავებს, რომ ამბავი არ მოუტანოს.

თამრო გარეთ გამოვიდა. ძარის ქვეშ ჩაჯდა; თავშალის ყურები თავზე გადიყარა; სახე აეხადა, სრულ გამოუჩნდა და ამომავალი მთვარესავით დაუწყო ელვარება. ამოიღო ჯიბიდან მსხალი და გათქვლიშა; მერე უცბად წამოვარდა, როგორც დამფრთხალი ნადირი, შეირბინა დარბაზში, ახადა ხის ყუთსა, ერთი ბორა ვაშლი ამოიღო და ჯიბეში ჩაიდო. გამოვიდა და დაჯდა ისევ ძარის ქვეშ. რომ დედას უსაქმობაზე არ მოესწრო, პაიჭის ქსოვა დაიწყო. ზაქროს, ამის ძმას, დერეფანში მოეთოხნა, ნედლ ნაჭიან კაკალს ამტვრევდა და შეექცეოდა.

_ ზაქრო, ჰაი ზაქრო! _ დაუძახა დამ.

_ რა გინდა? _ ბუზღუნით ჰკითხა გაბუტულმა ძმამა.

_ მე შენთვის იცი რა მაქვს?

_ რა?

_ გამოდი აქა და გაჩვენებ.

ზაქრო წამოფრინდა და დასთან ჭუტსა დაერჭო; პირი გამოტენილი ჰქონდა ნიგვზით, აექაფებინა პირში და რომ ვეღარ ეტეოდა, ლაშებზე გადმოსდიოდა.

_ უიმე, გენაცვალეთ! _ უთხრა ღიმილით და ლაქუცით დამ და თანაც ორი თითი ტუჩებზე მიიდო განცვიფრების ნიშნად; _ რას აგიქაფებია ე ნიგოზი, თითქო გოჭს ქერი უჭამიაო!

_ გოჭიცა ხარ და არცა რა იცი რა, _ და ზურგი შეუშვირა.

_ აი ჰო, არ გინდა! _ ძმა მოტრიალდა და თამროს ხელში დაინახა დიდი ბორა ვაშლი.

_ მამეცი, მამეცი! _ შეჰღიჭინა ძმამ და მივარდა ხელებში.

_ იმას ნუ ეტყვი დედასა და...

_ რასა?

_ აი წყაროზე რო თქვი, რო ვეტყვიო; ცეცო რო იყო. _ ცეცოს ხსენებაზე თამროს შეაჟრჟოლა, ცხელმა ალმა აჰკრა სახეზე და პირი წითელი ატლასივით გაუხდა; გულმა ჩქარი, მაგრამ სასიამოვნო ძგერა დაუწყო.

_ არ ვიტყვი.

_ აბა, მაშ დაიფიცე.

_ ზიარები მადლმა.

_ აბა, დედა დაიფიცე!

_ დედაც არ მომიკვდება.

_ მაშ კარგი, _ და მისცა ქრთამი ზაქროსა, რომელმაც შეაგდო ჰაერში ვაშლი და პროწიალით, ყირა-ყირა გამოუდგა იმას; ითამაშა, ითამაშა და რომ მოსწყინდა, როგორც კატას თაგვის თამაშობა, დაუწყო ვაშლს კბეჩა.

თამრო გამსუბუქდა, რომ დარდი მოიშვა გულიდან. სახე გაუმხიარულდა; თვალებმა ციმციმი და რბენა დაუწყეს; სუნთქვაც თავისუფალი შეექმნა; მოჰკიდა პაიჭს ხელი და გაჩქარებული, ხალისიანად ქსოვა დაუწყო. წააქსოვა ტოტი და უცბად ხელები ჩამოუვარდა, აწითლდა, პირი ღია დარჩა და თვალები გააშტერა. წინ და უკან ტანს რყევა დააწყობინა, თითქო უნდა წასწვდეს რასმესო: წარმოუდგა ცხოვლად წყარო და წყაროსთან ქვაზე ჩამომჯდარი ცეცო გაშვერილის ხელითა,რომლითაც მსხალს აწოდებდა; წარმოუდგა, რომ მის წინ დგას ყმაწვილი სხარტი ბიჭი, რომელსაც ამშვენებდა ახლად ამწვანებული ულვაში, წითელის თავშლით წაკრული თავი და ზედ თავზე მოგდებული ნაბდის ქუდი ალაზათიანებენ თამროს წარმოდგენაში მის სურათსა. აი, ამან გააშტერა ქალი, რომელსაც სიყვარული თანდათან შეეპარა გულში.

ერთ ამ ზემოაღწერილ მდგომარეობაში იყო, როდესაც გამოჩნდა დედა, რომელსაც მხარზე ედო ბალახის კონა, ბალახზე თათრული გოგრა; ერთი გოგრაც მეორე ხელში ეკავა.

_ რას გამოშტერებულხარ, გოგო, და დაგიღია პირი! _ უთხრა დედამ, რომელიც ისე წამოადგა თავს, ჩამოიღო ბალახი და ბრაგუნით მიჰყარა კუთხეში გოგრები, რომ თამროს სრულიადაც არ შეუნიშნია, ისე იყო ჩაყლაპული, გართული ცეცოს სურათთან არშიყობით და ტრფობითა. დედის გამოხმაურებაზე ის შეხტა, პირზე ხელი მოისვა, და სწრაფად აიღო ხელში პაიჭი და გაჩქარებული დაუწყო ქსოვა.

_ იშ, დავიღალე ამ ოხერ გვერდაზე ასვლა-ჩასვლითა; მარჯვენა მოვარდეს, ვინც პირველად აქ ბარი დაჰკრა და სოფლად დააწესა; რა სასოფლო ალაგი იყო. _ რიდის ყური მიისვ-მოისვა და ოფლიანი სახე შეიმშრალა; სად იყო და სად არა, გაჩნდა ზაქრო, რომელიც ღორ-ხბოდან ახლად მოსულ ხბოს კუდში ხელწაკიდებული მოაფუნდრუკებდა; დაინახა თუ არა დედა, უშვა ხბოსა, მიუცუცქდა და მიუალერსა დედასა.

_ დედა, შენი ჭირიმე, მსხალი მაჭამე; ჩვენ ბორბალას ეყრებოდა.

_ ადე ჰო, პაწაწა ხო აღარა ხარ, რო უბეში მივარდები; აჰაანდე! _ მისცა ორი მსხალი და ორიც თამროს გაუგორა. _ კარგი, ზაქრო, ადე, გენაცვალოს დედაი, ე კვახები გოჭებს დაუჭერ. აკი გეხალისება ხოლმე. შენც, შვილო თამრო, რაღა თქმა გინდა, ყველას თავის დრო აქვს, _ აუშვი ქსოვა, ხბორები შერეკე, ე ღიჭა დაუყარე, მინდორში აღარა მოიძევება რა; მშივრები დაეხირებიან ამ დღივ.

თამრომ ფიცხლავ შეასრულა დედის თხოვნა, მარტო ის კლავდა, რომ ზაქროს არ დაეღუპნა საიდუმლოს გაცემითა, მაგრამ, ამის და საუბედუროდ, ზაქრომ სწორედ იმ დროს, როდესაც თამრო საიდუმლოს გამხილების ფიქრში იყო, უცაბედად წამოაყრანტალა:

_ უჰ, ჭიანია!.. ვაიმე, დედავ, მატლი გავკვნიტე! თფუ, თფუ!.. არა გამს ი მსხალსა, აი, წეღან რომა გვაჭამა წყაროზე მე და თამრიკოსა ცეცომა. ისეთი იყო, ისეთი იყო, რო-რო სუ პირში მადნებოდა, _ სთქვა ზაქრომა. გაახსენდა პირობა და შეინანა. ნიშნად შეცდომისა და შენანებისა გააღო პირი, ენა გამოყო და კისერი ჩაიძვრინა. დედამ ამ ცეცოს გაგონებაზე ცეცხლივით იფეთქა.

_ რაო, რაო? _ წაატანა დედამ, ჩამოიშალა წაკრული თავშალი, ნიკაპთან შეიწია და წამოიწია ასადგომად.

თამროს, ამ დროს მიწა რომ გასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო, ის ერჩივნა; დაასხა ცივმა ოფლმა, თვალი სრულიად დაუბნელდა, ჩაჯდა დერეფანში ბალახის კონასთან: გაშეშდა, მის თავში ფიქრი შესწყდა, სისხლი თითქოს გაუშრა.

_ ჰაი, შე გულმკვდრის შვილო! ეგებიც შეიძელ თითის ტოლა გომბიომა, ჰა? _ დააცხრა როგორც ძერა წიწილას და წაჰკრა წიხლი. აქ ღა მოვიდა თამრო გონს, წამოვარდა და დარბაზისკენ გაიქცა. მიჰყვა გააფთრებული დედა «ჰა»-ს ძახილითა. _ არა, შე თათრის შექმნილნაშობო, რა ხელი გქონდა ცეცოსთან, რა, ჰაა? მითხარი!! _ მიითრია თმით კუთხეში, სცემა, სჯგვლიმა და, რა რომ ხელები ეტკინა, წაიძრო ფეხიდან ფლოსტი და სულ თავ-პირი აუწვა.

_ ვაიმე, დედილო, მოგიკვდი! _ გაჰკიოდა მტკივნეულობისაგან შეწუხებული თამრო.

_ მოკვდი, რომ აღარ იყო, მოკვდი! რაზე მამჭერ თავი; თავზე ლაფი რაზე დაგვასხი, შე გულმკვდრის შვილო-ო, ნუღარვე, _ გააგრძელა თამროს დედა მაგდანმა ტირილის კილოზე, _ თქვი, თორემ სული ამოგაძრე, თქვი, ვინ იყო კიდევ წყაროზე?..

მაგდანი აღარ შორდებოდა, სწიწკნიდა თამროს, როგორც ნადირი თავის მსხვერპლსა.

_ ვაიმე, დედილო! _ შეჰყვირა ჩქმეტისგან ნამწვავმა თამრომ. _ ვინ უნდა ყოფილიყო! სად მიწაში უნდა ჩავმძვრალიყავ... წყაროზე მოვიდა და რა მექნა...

_ ოოიჰი! წყაროზე შენ და შავი ქვა მაგ გულზე, ნუღარვე _ ეს სულ ი დარბაისელმა მამაშენმა შემძღვნა; მოვიდეს აქა, ჩემს შვილებს ჰქონდეთ დღე, რომ მე ის კარგა შევამკო.

რას ამბობდა და რას არა, აღარა ესმოდა რა დედა მაგდანსა. ადგა გაალმასებული, ხან რას წასწვდა, ხან რას, იქ კოკა წააქცია და წყალი დაღვარა, აქ ქოთანი გადააბრუნა; სამჯერ-ოთხჯერ მივიდა კარებთან, თან გაქანებული იწყევლებოდა, იმუქრებოდა, იგინებოდა. დიდ ხანს იქნებოდა ამ მდგომარეობაში, რომ ძროხების ბღავილს არ გამოერკვია.

_ აი, გადაგრიოთ ჩემმა დამბადებელმა, როგორც მე ვარ ეხლა გადარეული. ზაქრო, ზაქრო! _ გაჰყვირა შვილსა. _ რას დარბიხარ, შე სიყმე შავო! მოეთრიე და ი საწველელი გამომიტა.

ზაქრო შევარდა დარბაზში; კუთხიდან შემოესმა თამროს ბზუკუნი და სლოკინი. შეეცოდა პაწია ძმასა, ვეღარა აწამარა! მთლად დადუმდა საბრალობელი; მოწყენით აიღო საწველელი და ჩუმად, ფეხაკრეფით გამოვიდა. კარზე ბავშვს ფიქრები მალე გადაეყარა, გაქანდა ბავშვებში.

_ მოეთრიე-მეთქი, შე!.. რატომ საწველელში წყალი არ ჩაგისხამს; ბევრი გყამთ თქვენმა თვალების ვარდნამა, ნუღარვე, ესენიც გაგიშრეთ და აგემსებათ და აგებმევათ ე სამიწე თვალები, ნუღარვე!!. შეეთრიე, ჩაასხი!..

XI

მზე ის-ის იყო ჩავიდა; ჰაერში სითბო ისევ ტრიალებდა; დასავლეთს ალისფრად გაჰქონდა ღაჟღაჟი «მკვდრის მზისგან». შორს გაბნეულს ღრუბლებს წითელყვითელი ფერი მიეცათ მზის დაშთენილი სხივებისაგან. დაკვირაძალდა; ხალხი ადრე შემოიკრიბა სახლებში.

ზალიკა ახალკაცი ჩეკით ხელში მოადგა სახლის კარებს იმ დროს, როდესაც მისი ცოლი მაგდანა წიკვინებდა. დღის მეხრეებმა, რომლებიც ზალიკას თან მოჰყვნენ, გუთნის ღვედები შეიტანეს დერეფანში. ზალიკა ჩამოჯდა ძარს ქვეშ ქვაზე; მოიხადა ქუდი მთქნარებითა, რომელიც პირის წლაპუნით დაათავა. მთქნარების დროს პირზე ჯვარი გამოისახა, რომ ეშმაკი არ ჩასძრომოდა.

_ რას წიკვინებდი, ადამიანო! შენი ხმა სოფელ გარეთ გამოდიოდა... რა მოხდა?

ზალიკას ეგონა, რომ უთუოდ ვენახში შესულა რამე, ან იქნება მეველეებმა ხბორები ჩაამწყვდიეს, რომ ასრე წიკვინებსო. მაგდანმა ხმა არ გასცა, მხოლოდ ხბოს ამოუტყაპუნა პირში, რადგან უშლიდა წველაში.

_ ოგეჩო, შე ბღუნძელავ, შენა!.. _ შეუტია ხბოს.

_ სად არიან ეს ბავშვები? თამრო, შვილო, შვილო! ერთი წყალი მასვი, წყალი! _ დაუძახა მამამ.

თამრო დერეფანში გამოსულიყო, იჯდა და ცხვირს იჩიჩქნიდა, რომელიც ერთობ დასწითლებოდა ხელის კიდებით. თვალები მეტის ცრემლით ჩაღვიძლებოდა. ტკივილები ჩაუყუჩდა, მხოლოდ ბჟუილსღა გრძნობდა; მშვენიერი ღაწვები ჩამოხაზული ჰქონდა ცრემლითა. მამას თავჩაღუნულმა მიაწოდა წყალი. ზალიკამ შეატყო, რომ იმის თამროს სახე დაჟირჟვებული აქვს.

_ გოგო, ე რა დაგმართნია?

_ დედამა სცემა. ისე მიჩეჩქვა, ისე, ისე, რომა, _ უთხრა ზაქრომ, რომელმაც ის იყო, საიდღანაც მოირბინა, ჩაიჩოქა მამასთან და დაენდო მის მუხლებსა.

ზალიკას ეს ამბავი არ იამა: თავის დღეში პირუტყვისთვისაც არ დაუკრამს გამომეტებით სახრე და შვილებისთვის ხომ თითი არ დაუკარებია.

_ კიდეც იმის წიკვინი ჰქონდა..... ადამიანო! რას გაქვავებულხარ, არ მეტყვი მიზეზსა?

_ აი გაქვავდით კიდეცა და გაკლდევდით კიდეცა! _ დაჰკრა ძროხას ჯოხი, ადგა და საწველელი შეიტანა; მალე გამობრუნდა, აკარწახებული კაბა ჩამოიშალა და მოჰყვა ბუზღუნსა: _ ამოწყვეტა და გადაშენება, ნუღარვე, ამის თავსა და კისერსა, _ მიიღო ხელი თამროზე. _ სუ შენგან არიან ესრე თავგასულები. რაც მოგივა, ახია შენისთანაზე.

_ ახა ვაგლახთა!.. ამ ადამიანმა დამაბერა, თორე რა დამაბერებდა, კლდე კაცი ვიყავი... ახლა, მაგდანო, არ იტყვი, რა იყო?

_ რათ ბერდები... ღმერთმა რო არ მისცეს მეტი დღე ემის თავსა... რაღა რა იყო... _ აქ მაგდანი ჩაჯდა, კილო ლაპარაკისა შესცვალა, ორი თითი ტუჩებზე მიიფარა განცვიფრების ნიშნად და გააგრძელა: _ ამოდენა გომბიომ ეს როგორ უნდა მიყოს, ქვეყანაში თავი მამჭრას... შეეთრიე შინა, ი რძე აადუღე!.. ადამიანო, _ მაგდანმა ხმა მოუდაბლა, _ თურმე... ღმერთო, დამიხსენ ამ ცეცხლისაგან!..

_ დიდება შენდა, ღმერთო! ვეღარ გაათავე? _ მოუთმენლად უთხრა ზალიკამ ცოლსა.

_ თურმე... ე რო მეზობლებმა გაიგონ, ისღა გვინდა!.. თავს ვეღარ გამოვყოფთ, თავსა... უნდა ჩიქილამოხდილი ვიარო გომბიოს გულისთვისა!.. თურმე!.. ოოი, დადექით, თვალებო! იმ დღეს, ი გუთნის ჯერი რო გამოგიგზავნე, წყაროზე თურმე ცეცოს ელაპარაკებოდა ეგ მზებნელი, ეგა!.. მაა!.. გაიგონე? თითის ტოლა გოგო ელაპარაკება შეღერებულ ბიჭსა, მერე ისიც ცეცოსა!.. დადექით, თვალებო, დადექით!.. გაგონილა? თქმულა რათ მოგვივა კაი დრო! სათათრეთშიაც არ მოხდება მისთანა ამბავი, სა...

_ დედაკაცო! ნუ შეუკიდე, ნუ! რა არი ახლა, ცა და ქვეყანა დაიქცა, რო ცეცო შენ ქალს წყაროზე შეხვდა?… აცა, დაიცა, მამიშენის ცხონებასა, თამრომ რა დააშავა, რო დაგილილავებია, აბა ერთი, ერთი მითხარ, ჰო, მითხარ და! თამრომ დაიბარა, უთხრა აქ ჩამოდიო, თუ რა? ე მამაძაღლი ტიელა, თავიც იქა მქონდა და ფეხებიცა, მე რატო არა გავიგერა, თუ ეგრე იყო. ნუ აზვიადებ; მე ზვირთიყარია ადამიანი

მეჯავრება... მე კაციც ავირჩიე, ამაღამ უნდა მაჭანკლად მივუგზავნო... ან რა, ღვთის წინაშე, რა მაჭანკლობაა საჭირო, მეც ვიცნობ და ისიც მიცნობს, მარამ წესია და ადათი.

_ ნეტავიღა მე, იჰი, ჰი!.. ვერ შეიტყე, რო მე იმას ქალს არ მივცემ-მეთქი... ნაწოწი დედი შვილსა.

_ რას ატრაკუნებ, ნეტავი ერთი ვიცოდე! შენმა მზემა, ბატონიშვილი მოვა შენი გომბიოსთვისა! არა?.. ცეცოს დედისთანა მანდილოსანი ადამიანი, აბა, რომელია, ერთი დამისახელე?.. მარამ რაკი ერთი დაიჟინე, ის არის, _ სთქვა ახლა კი მართლა ბრაზზე მოსულმა ზალიკამა. _ ზაქრო, მიირბინე და ზერეკიძიანთ სოსიკას დამიძახე... შენ ბევრი იცი!.. ასეთი კაცი დადგება, ზალიკას მზემა, რო ბადალი არა ჰყამდეს. კვირას უნდა გენახა, რანაირ დაპროწიალდა სოფლი გულისთვისა! მე შენ მოგახსენო, დალაგებული სიტყვა-პასუხი არა აქვს თუ!.. ნაწოწი დედის შვილი?! _ გააჯავრა ცოლს, _ კიდეც ი წოწვაში, ი გვარაძიანთსა, მაგი დედა რო იყო პურისმცხობლათა, კიდეც იქ ისწავლა ი სიტყვა-პასუხი და ჭკუა.

მადანა გაჩუმდა; შეატყო, რომ აღარა გაუვა რა ქმართან, რომელსაც გადაუწყვეტია ცეცოსათვის ქალის მითხოვება; დაეყრდნო მკლავზე და ფიქრებს მიეცა. ზალიკა მალ-მალ იხედებოდა გზისკენ, მოუსვენრობდა, ეტყობოდა, ძიელ სურდა საქმის ჩქარა გათავება.

მოვიდა მაღალ-მაღალი, ხმელი აპუხტივით და შავგვრემანი სოსიკა; ერთი კვირის წვერმოუპარსავობა უფრო შავ ფერს აძლევდა მის ალანძულს სახესა. სოსიკას ძაან მაჭანკლობის სახელი ჰქონდა დავარდნილი ძაღლისხევაში. ბეჯითი და ტკბილი მოლაპარაკე იყო; ისეთს გულის საკლავს კილოს მისცემდა ლაპარაკსა და ისე მიზნექ-მოზნექდა თავის მაღალ ტანსა, რო არ შეიძლებოდა არ დაერწმუნებინა თავის ნათქვამის სინამდვილეში.

_ სოსიკა! დაჯე ერთი... იმ დღესაც გელაპარაკებოდი. ხო იცი გლეხი კაცის ცხოვრება, თუ საქმე არ მოიმარჯვიანა, არ იქნება..... ე ჩემ თამრო გოგოს აღარა ეგვიანება რა, მინდა ე ცეცოს მივათხოვო.....

_ ჩემო ზალიკა, რაც ადრე მოიშორებს კაცი ვალსა, ისა სჯობია; მუწუკი რო გამოგერწყობა, შეღავათი გეძლევა... მე და ჩემმა სიყმემ, ი ცოლ-შვილი ნუ გამიწყდება, რო მაგითანა არჩევანს ძე ხორციელი ვერ იზამდა, ვერ იზამდა და!

_ ჩემ თვალში კი, აი, _ ორი თითით წაავლო კაბას და ასწია, _ აი ემის დანაფასევადაც არ მიღირს, _ სთქვა მაგდანამ.

_ იჰ, იჰ, იჰ! აბა დახე, აბა დახე!.. მადანო, მადანო! და-ძმობას, მაგას ნუ იტყვი, _ დაიწყო დიდის განცვიფრებით, მაგრამ საშინელის რწმუნების კილოთი. _ ნეტავი შენი დღეგრძელობითა ერთი მოსწრებული ქალი მებადოს და ცეცო შეირთამდეს, თორე ვინ თავლაფიანი სიხარულით არ მისცემს. აბა, რა შემოგფიცო, რა ვთქვა: ერთი ვაჟი გამაჩნია ი სამ ქალში, იმაზე გენახოთ შავებითა, თუ მე თქვენთვის ცუდი მოვინდომო.

_ ჰო, ჰო, კარგი, კარგი! აბა, რა სათქმელია; ღმერთმა ნუ მოგასწროს..... შენ ეს გამიგე, ქრთამად რას მოიტანს, ნურც ძლიერ გამოეკიდები; რაკი ჩემი გახდება, იმისი ხარჯი ჩემი ხარჯი იქნება.

სოსიკა მძიმე-მძიმედ წავიდა: ამისი საქმე ყველაზე ნაღდი იყო; გარიგდებოდა, თუ არ გარიგდებოდა, სოსიკას სადილ-ვახშამი არ ასცდებოდა.

_ მადანო, მადანო! _ უთხრა ტკბილად ზალიკამ. _ პატარა მოგვიმზადე რამე ვახშმათა.

_ მხალიცა გვაქვს, მამა! _ უთხრა ზაქრომ.

_ უჰ, უჰ, აგაშენათ ღმერთმა.

დიდხანს არ გამოუვლია, სოსიკა მოვიდა; სახე უბრწყინავდა გამარჯვების გამო.

_ საქმე გავჩარხე. იმი დედა სუ ცას დაეწია; ცეცოს ხო ძიელ იამა; სიტყვა გაუშრა, ტუჩებზე დააკვდა... ქრთამად ოთხი თუმანი ფული, ორი კოკა ღვინო და კაი ჭედილა.

_ მაშ ნიშნობა ე შემოდგომაზე გავაჩაღოთ, ქორწილი სააღებოთ იყოს.

_ რაღა მეაღებება! რახან აღარა ჰქენი, ბარემ შემოდგომაზედ იყოს, უხვობაა ყოვლისა.

_ ხა, ხა, ხა! _ ჩაირახრახა ზალიკამ; _ მოხველ ჩემს ჭკუაზე... ანგრე იყოს!.. შვილო თამრო!..

_ აი, აი! ეხლავე ეცემა, ნუ გააგებინებ, ცოდოა!

_ არა, ზალიკო, არ ვარგა, გული დაეთუთქება; ნორჩ ბალახს რო მზე დახედავს, სუ ყურებს ჩამოაყრევინებს ხოლმე. ეეიი! სიყვარული, მე შენ მოგახსენო, ადამიანს სუ სთუთქავს. ნწარა, ჩემო ზალიკო, თავი დაანებე.

მეზობლები შეჰყვნენ ვახშამს; მოიგონეს ბატონის სამსახური; თავიანთ ესრედ წოდებული გლეხებისგანვე «თავი კაცების» მტრობა, მინდვრებს მოვრჩით, მაგრამ ახლა კულუხს რამოდენას შეაწერს. ვინ იცისო? იქნება ბევრს ზედაშეც გაუწყვეს. შუაღამე იქნებოდა, რომ მეზობლები გაიყარნენ. ზალიკამ მოსვენებით მიიძინა, მაგდანსაც გული მოუბრუნდა, შეურიგდა თავის ბედს, მიდო თავი სასთუმალზე და ამანაც მალე აასტვინა ცხვირი და მიუბანა თავის ქმრის ხვრინვა-ფშვინვასა.

XII

ცეცო დაინიშნა თამროზე, რომელზედაც ფიქრებით არა ერთი ღამე უძილოდ გულაღმა ვერხვქვეშ გაუთენებია. ცეცო თითქო გამოსცვალა ახალმა ცხოვრებამ. დამშვენდა, თითქო უფრო გალაზათიანდა; მას მუდამ წითელი გულისპირიანი პერანგი, წითელი თავშალით თავი წაკრული და ზედ ნაბდის ქუდი გვერდზე მოდებული, კოხტად ამოსხმული ბატი-ფეხური ქალამანი არ მოუშორებია ტანიდან. წადილი ნახევრობამდის შეუსრულდა; აღელვებით, გულის ჩქროლვით ფიქრობდა, ფიქრებში გადადიოდა იმ დროსთან, როცა იმას სამუდამოდ შეუსრულდებოდა იგი; შემოდგომაზე ქორწილი ვერ უხერხდებოდა და ეს უფრო სწამლავდა იმას. ცეცო მალი-მალ აირბენდა ხოლმე სიმამრის სახლში რომელიმე ავეჯის სათხოვნელად, მაგრამ მიზეზი კი თამრო იყო; თამროზე თვალის დაკვრა უკვდავება იყო. ცეცო პატარა ცოლის ძმას დაუწყებდა ცელქობასა. მაგრამ თვალი კი თამროსკენ ეჭირა, რომელსაც ხანდისხან გამოელაპარაკებოდა ხოლმე. თამრო გაიღიმებდა; შველივით გაუხტებოდა და თავჩაღუნული შევარდებოდა საკუჭნაოში, რომელიც დარბაზს ჰქონდა მოდგმული. თამრო საკუჭნაოს საურდულედან გამოიჭყიტებოდა და სტკბებოდა თავის დანიშნულის ცქერითა: ის ამ წამებში უზომოდ ბედნიერი იყო. საბრალო ცეცო ვერ ხედავდა საკუჭნაოში მოფარებულს თამრიკოს და გულით ათასს ჯოჯოხეთურს შეჩვენებას უგზავნიდა თავის სიდედრს, რომელიც, ერთ წამსაც არი, არ შორდებოდა ხოლმე დარბაზსა. მინამ ცეცო არ გამოვიდოდა, ბაიყუშივით პირში შესცქეროდა. თამრიკო სულ ცხვირაფხლეკილი ადგა დედას თავსა, ვითომდა აქ აღარაფერი ამბავიაო; ათასს მიზეზს მისცემდა კარზე გასასვლელად, მაგრამ მაგდანს აგრე ადვილად ვერ მოატყუებდნენ.

ძაღლიხევაში რთვლები ძალიან ადრე იციან, ენკენისთვის გასულს იმოდენერთა ვენახები ჩაკრეფილია და ხალხი საფარცხავად არის გასული. სოფელში გავარდა ხმა, რომ ბატონმა კულუხის გაწერა მიანდო სოფლის მოხელეებს და ამათ შემწედ მისცა ბღუნძელაშვილიო და ეშმაკურაშვილიო. ცეცო თავის ამხანაგებით, თითქმის მთელი სოფელი, დაასმინეს და ბატონმა თურმე სთქვა, რომ მე მაგათ, _ ცეცოს ამხანაგებით, _ სოფლიდან გავაძევებინებო. სოფელს კი აღარა ჰკითხავდა: გააძევებდა?!

გათავდა აღწერა. ვენახს, რომელიც ადრევ კოკას იღებდა, ეხლა ორი შეაწერეს: ნაწყვეტები უფრო ცეცოსა და იმის ამხანაგებს მოხვდა. სოფელი გაინძრა: იგი გაითქვა, რომ რაც უღიათ, იმაზე მეტს ნუ მისცემენ. თუ ძალიან ძალას დაგვატანენ, მაშინ მეტი ღონე აღარ არის, მივცეთ, მაგრამ იმათ დაუსჯელებს ნუ გაუშვებთო. ცეცოს რჩევით, რომ უფრო მტკიცე ყოფილიყო იმათ შეთქმულება, ზემო უბანმა ღამე ჩუმად მოიყარა თავის ელიის ეკლესიაში და ქვემომ კი წმინდა გიორგისაში; იქ იმათ დაიფიცეს, დაადგინეს, რომ ერთმანეთს არ გასცემენ. ამოირჩიეს ექვსი კაცი. სამი ზემოდან _ ცეცო, მიხა და პაკო _ და სამიც ქვემოდან, რომელთაც მიანდეს მტარვალების დასჯა რითიც იყოს. ითქვა, შესრულდა.

აგერ გახშირდა რთვლები. მუდამ საღამო მოისმოდა ვენახებიდან ყაყანი, ღრიალი, ჩხუბი, დარბევის ხმა.

_ არ მოგცემ, შვილოსა, არა! რაც აქნობამდე მიღია, იმაზე მეტს ვერ გავიღებ, თუნდ რო პოპოქივითაც დასკდეთ.

არ გაიღებ და გაჩვენებენ გზასა.

ვისაც ერეოდნენ, ართმევდნენ და არბევდნენ. ზოგნი კი ფიცის გამო ზედ აკვდებოდნენ საწნახლებსა და კი არ აძლევდნენ. გაჭირდა საქმე. ფიდუა და ბღუნძელაშვილი ეახლნენ ბატონსა და გამოუცხადეს, რომ თუ ის არ ივლის, ცუდად არის საქმე.

_ ოჰ, _ სთქვა ბატონმა, _ ეს დაწყევლილი ყმები! _ დააღრჭიალა კბილები მხეცივით, მიიხედ-მოიხედა და რომ წინ სდგომოდა ვინმე, ცხენივით ჩაჰკბეჩდა მის ხორცსა. _ ყაზახებს მოვაყვანინებ, ყაზახებს, და სულ ზურგის ტყავს ავაძრობინებ მათრახის ცემითა! _ განაგრძო კვლავ კბილების კრჭენით გამხეცებულმა ბატონმა.

ეხლა დადგა ცეცოს და მისი ამხანაგების განჩინების დღე, ეხლა უნდა ეჩინათ თავი: ან სიკვდილი, ან სიცოცხლე. «ამისთანა სიცოცხლეც ამოვარდეს,» გაუელვებდა ხოლმე ცეცოს თავში, მაგრამ ხათა ეს იყო, მის გულში სხვამაც დაიჭირა ალაგი, სხვა სიყვარულმაც შედგა ფეხი. ახალი ყველა კარგია და ადვილად ვერ დასთმობს ადამიანი. ცეცო იმის მოგონებაზე, რომ სოფელს პირობა მისცა _ გაითქვნენ, რომ რითიმე გადაუხადონ მტარვალებს და მდევნელებს, თრთოლდებოდა, ირყეოდა, რადგან თამროს სიყვარული, მისი მოგონება, მისი მშვენიერი სურათი მას აყენებდა, აბრკოლებდა; მეორეს მხრით, ის წარმოიდგენდა თავისსა და თავის მოძმეთა დაუღალავს შრომასა, მუდმივ ოფლის წურვასა, რომლის შემდეგი ნამუშევარი უსირცხვილოდ სხვას მიჰქონდა და მიაქვს, და გული ევსებოდა შურისძიებით. როცა მიხა ჰყავდა გვერდით, როცა ის ცხარედ დაიწყებდა ხოლმე ლანძღვა-გინებას მტარვალებზე, ცეცოს სულ ავიწყდებოდა თამროც და მომავალი ბედნიერებაც.

_ «რა ვქნა, მე კიდევ, კიდე, მაგრამ მიხას რაღა სჯის?» _ დაეკითხა ცეცო თავის თავს. _ «ის ხომ აზნაურია, იმის მამულს ხომ ღალა-კულუხი არ ერთმევა და რაზე იწირავს სოფლისათვის თავსა?»

მაგრამ მიხა იმიტომ იკლავდა თავს, რომ მისი მამულები სულ ბღუნძელაშვილსა ჰქონდა ხელში ჩავარდნილი თავისი სულელის ძმის წყალობითა; ერთი ვენახი ფიდუას ეჭირა; ბერძნის ბერებმა მის მამა-პაპას სული ამოართვეს მამულის დავაში. თუმცა ვერ ჩამოართვეს, მაგრამ იძულებული იყვნენ, რომ მამულები გაეყიდნათ ნემსის დანაფასევად, რადგან დავიდარაბაში ფული იყო საჭირო. ყველა ეს იყო დარჩენილი მიხას გვარში; ყველა ამას ეუბნებოდა თავის შვილებს და ამიტომ, როგორც მიხას, ისე თვითეულს მის საგვარეულთაგანს, სძაგდათ ბერების მოადგილე «უპრავლიაუიშჩები» და მათი შემწე გლეხები, რომელნიც ხალხის ხარჯით სცხოვრობდნენ და რომელთაც ხალხისავე ცარცვა-გლეჯით შეიძინეს ქონება. გლეხობასაც ეს გვარეულობა საშინლად უყვარდა, ხათრი ჰქონდა, პატივსა სცემდა.

XIII

აღმოსავლეთის მხრივ სოფელ ძაღლისხევის ზემო უბანს უდევს კარგა ფართო მოედანი, რომელსაც ზაფხულობით გადაეკვრის ხოლმე მშვენიერი მწვანე, დაბალი ბალახი ხავერდის ყდასავითა. მთელის ზემოუბნის ოთხფეხი, თუ ორფეხი ცხოველი ზაფხულის დილით გამოიშლება ხოლმე მოედნის ნამიანს ბალახზე: დარბიან, ჩიჩქნიან დანამულ მწვანესა; ბატები, რომლების მოშენებას ამ სოფელში ძალიან მისდევენ, სისნიან გახელებულად მატიტელასა; ქათმები დასდევენ კალიებსა. უწინ მოედანი გარს შემოზღუდული ყოფილა მცხოვრებლებით. ამის ძეგლად ნასახლარები დარჩენილა; დღეს ნასახლარები ძაღლებისაგან ჩატანილის საქონლის ძვლებით არის სავსე. მოედანი იყო და არის დღესაც ადგილი ძაღლისხეველების ლხინისა, გართობა-თამაშობისა. აქ შეიყრიდნენ ხოლმე თავს სოფლის შეღერებული ბიჭები, მღეროდნენ, თამაშობდნენ, ბურთაობდნენ, ყმაწვილობდნენ. ბევრი ბიჭი გამოიჩენდა და ისახელებდა ხოლმე თავს თამაშობაში, რომელსაც «წრე-ბურთას» ეძახიან.

ხალხი ამბობს, რომ ამ მოედნის ნასახლარების მცხოვრებნი აჰყარა წმინდა ელიის ხატმაო. «პატარა მოედანი მაქვს, მინდა გავაფართოო საჯირითოთაო», ამბობს წმინდა ელიაო. ხალხი, ასე გასინჯე, ასახელებდა იმ კაცის სახელსა და გვარსაც, რომელსაც ვითომც ელიამ ეს სიტყვები უთხრა.

მოედნის აღმოსავლეთით, ზედ სერის პირზედ, ყოფილა ნანგრევი წმინდა ელიის ეკლესიისა, რომელიც დღესაც ეტყობა. შემდეგში აზნაურ გვარაძეების საგვარეულოში ერთს მღვდელს ნანგრევზე ფიცრის ეკლესია აუშენებია და დაუყავრნია. ეკლესიას წინ პატარა ვაკე აქვს, რომელიც ხალხს თავის სასხდომ ადგილად და სალაყბოდ ამოერჩია. უკეთესი სასიამოვნო თვალისათვისა, გრილი, ამასთანავე შავი ფიქრების გამქარვებელი ადგილი არ არის მთელს ფრონის ხეობაზე, როგორც ეს წმინდა ელიის ეკლესიის ვაკე ადგილია: აქედან თვალი ხედავს ვიწროს, სოფლებით და ვენახებით, ხეხილისა და კაკლის ჭალებით დაფენილს, ზურმუხტისფერ ღელესა. კავკასიონის უმთავრესი მთაგრეხილი დაფიქრებული, ჭაღარა შერთულის თავით შიგ ჩამოსცქერია ამ მშვენიერსა და ვიწრო ხეობას.

წმინდა წინასწარმეტყველის ელიის ეკლესიის დასავლეთით, სწორედ მოედნის პირში, იდგა ძველი ხის სახლი, რომელსაც ზედ მოგდებული ჰქონდა ძველისძველი დარბაზი. ყავარი ალაგ-ალაგ აეგლიჯნა ძლიერს ქარსა, რომელიც თითქმის მუდამ ჰქრის ამ სოფელში, და დაეუშნოვებინა ისეც მოძველებული სახლი, როგორც უკბილო ადამიანი. ამ ფიცრულის გარშემო სხვადასხვა შენობა ბლომად მოსჩანდა: ორ-ორი ბოსელი, ორ-ორი მარანი. ბოსლისა და ერთი მარნის ბანები ჩანგრეულიყო, ეტყობოდა, პატრონი აღარ საჭიროებდა, ან ხელმოკლეობისა გამო მიუტოვებია და აღარ გაუახლებია. ნანგრევებზე ეტყობოდა, რომ უწინ აქ შემძლე ოჯახი სახლებულა. მაგრამ ჟამთა ბრუნვას ესეც მიუნგრ-მოუნგრევია.

ამ სახლის პატრონი ამჟამად იყო ვასილ გვარაძე. თავის საგვარეულოში ვასილი ყველაზე კარგად ცხოვრობდა: სახნავი მიწები საკმაოდ ჰქონდა თავისთვისა და კარგი ვენახებიცა. მაგრამ რაც კარგი და კარგი იყო, ზოგი ბერძნის ბერებისაგან ჰქონდა ამასაც წართმეული, ზოგიც გაყიდული იმათთან დავიდარაბაში. ვასილი რომ მოიგონებდა ხოლმე წართმეულს მამულებსა, მოიგონებდა, თუ რანაირად ჩამოართვეს მის მამა-პაპას მამულები და სხვას მიჰკერძეს, ცეცხლი მოეკიდებოდა გულზე და მთლად ბრაზით აინთებოდა ხოლმე. ვასილ გვარაძეს გათავებული ჰქონდა სწავლა ერთს რომელიღაც დაბალს სამხედრო სასწავლებელში, რომელიც კეთილშობილთა შვილთათვის გამართეს ჩვენს ქვეყანაში. ვასილს ახსოვდა, მოესწრო იმ დროს, როცა მისი მამა-პაპა ცხარედ ებრძოდა ბერძნის ბერებსა მამულის თაობაზე; ის დღე იყო და ის დღე, ახალგაზრდა ვასილს ჩაენერგა გულში ბოროტების დევნა. სასწავლებლიდან გამოსვლის შემდეგ ის ხან სად იყო, ხან სადა; ბოლოს დაბრუნდა სახლში. სოფლელებს ეგონათ, რომ ვასილი შიმშილით მოკვდებაო, რადგანაც არც ფული ჰქონდა, მამულ-დედულიც გაპარტახებული დაჰხვდა და სახლ-კარი მინგრეულ-მონგრეული. ვასილმა ტყავი გადმოიბრუნა: გლეხურად დაიწყო დღედაღამ მუშაობა; მამული მამულს დაამგვანა: გააკეთა სამი ვენახი; ჰყიდა ღვინოები; იყიდა წისქვილი და ვენახი _ სულ თავის ოფლით, თავის პატიოსანის შრომის ნაშოვნის ფულითა. ხალხმა შეიყვარა სულით და გულით ვასილი; ხალხისთვის ვასილის მეტი არავინ იყო მისამართი: იგი იყო მათი ფარი და ხმალი, იმათი დამრიგებელი, ჭკუის მწვრთნელი, ყოვლის საქმის გამკეთებელი.

მიხა გვარაძის სახლი იქვე, ვასილის სახლის გვერდით იყო; ვასილი და მიხა ღვიძლი ბიძაშვილები იყვნენ ერთმანეთისა. ვასილს მოსწონდა მიხას გამბედაობა, თავგანწირულობა, რადგან იგი თავის ყმაწვილკაცობას აგონებდა.

დაღამდა ერთი შემოდგომის დღე. მიხა შინ იყო; მალი-მალ გამოდიოდა დერეფანში; სახეზე აღელვება ემჩნეოდა. ქვრივს რძალს მიხასას უკვირდა მაზლის ამგვარი ყოფა. სახლს ანათებდა მხოლოდ ბუხრის სინათლე. მიხა მივიდა ბუხართან, მაგრამ მსწრაფლად გამობრუნდა. ქუდი დაიხურა, იპოვა ჯოხი და საჩქაროდ გამოვიდა დარბაზიდან. კარებში მიხას ცეცო შეეტაკა.

_ ეჰ, მე კი სული დამალევინე და!.. პაკო რაღა იქნა?

_ აგერ მოდის... კაცო, ეხლა არ იყო ჩემთან შენი ძმისწული, რა ხანს გაუვლია... მერე რაზე აბობოქრებულხარ?

_ უკანვე გაბრუნდი, გასწი რაღა!.. ვახშმად სხვაგანა ვართ... ნუ მამიცდით, _ შესძახა მიხამ რძალსა და გამოაჯახუნა დარბაზის დეევრხანა კარები...

_ ვასილი მარტოკანაა სახლში; ჯალაბი შინ არა ჰყავს, პატარა ვაჟის მეტი; მოველაპარაკოთ ჩვენს საქმეზე, გამოცდილი კაცია.

_ ურიგო არ იქნება, _ უპასუხეს მიხას ამხანაგებმა.

შეეხმაურნენ ვასილსა. ხმაურობაზე აივანზე გამოვარდა პატარა ვაჟი ვასილისა, რომელმაც ცქრიალით ჩამოირბინა კიბეზე.

_ მამა შინ არის, დავუძახო? _ ბავშვი შეტრიალდა კიბეზე და ელდასავით შეირბინა სახლში; ამ დროს თვით ვასილიც გამოვიდა აივანზე.

ვასილი შუა ხნის კაცი იყო; ჭაღარა შერთვიყო მის თხელ თმასა; პირი ძველებურად ქართულად ჰქონდა ხოლმე მუდამ სუფთად გაპარსული; მშვენიერი ქართული ცხვირი, ფირუზი თვალები, გრძელი, სუფთად მოვლილი და ჩაგრეხილი ულვაშები _ ყველა ესენი ერთად შეერთებით გვიჩვენებდნენ, რომ ვასილი ერთს დროს ძლიერ სასიამოვნო შეხედულობისა უნდა ყოფილიყო.

_ ამოდით, ამოდით..... ჰა, ცეცო, მოგილოცო ნიშნობა? ღმერთმანი, მამაშვილობამ, რომ ძალიან ჭკვიანური საქმე გიქნია; თამროს კაი მამა ჰყავს, შვილიც კარგი იქნება; მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამონახეო, ნათქვამია ძველთაგან. მეზობელია, რაც უნდა იყოს, ეგ ემჯობინება.

თითქო დანა დასცეს გულში, ისე შეკანკალდა და შეინძრა ცეცო, როცა თამროს სახელი გაიგონა; აეფუტკნა თავში ათასგვარი მწარე ფიქრები, რომლის ასრულება თამროს დააკარგვინებდა, სამუდამოდ მოჰგლეჯდა გულიდანა.

_ ბიძაჩემო, _ დაიწყო მიხამა, _ შენც გულდამწვარი, მეც აგრეთვე, სოფლის ხალხი ხო უარესად, და სულ ვისგანა, რო იცოდე...

_ დაჯექ, შვილო, პაკო, ვის ერიდები, შენი სახლია, _ უთხრა ვასილმა და უჩვენა, რომ ტახტზე დამჯდარიყო. _ ჰო, მერე?

_ მერე და მერე... სულ ვისგანა ვართ გულდამწვარი? მოგეხსენება, ბიძაჩემო, იმდღევანდელი ჩვენი ამბავი: მასუკან კიდენა ე იჯარადარი რო მოვიდა და უღმერთო კულუხი შააწერა ვენახებსა, გავითქვენით რამდენიმე კაცი, რო, რითაც იყვეს, გადავუხადოთ მაგ წურბელას. აბა, რითი, რითიო? ჩავარდა ხალხში ლაპარაკი; გადავწყვიტეთ, ვცემოთ.

_ ეგ რო ვიცით, უფრო გული გვეძლევა და გვიკეთდება, _ დაიწყო ცეცომ. ახლა, როგორც მიხამაც მოგახსენათ, შენი ჭირიმე, გადავწყვიტეთ, გაუსწორდეთ იჯარადარს. ორიოდე ბიჭი ავირჩიეთ, სულ ტალიკ-ტალიკი ბიჭები; აი, ეს პაკოა; უწინ ხომ სულ ჩემთან იყო ხოლმე ღამის მეხრეთა; ეხლა კი ბერძნების იჯარადართან გახლავს, მოჯამაგირედ დაუდგა. პაკო იმასთან იქნება; ისე გვაქვს სახეში, რო...

ვასილმა შეიტყო ამათი განზრახვა, პირი გააღო სალაპარაკოდ, მაგრამ ცეცომ შეაყენა.

_ მოითმინეთ, ნათლია... ასე გვაქვს დაწყობილი, რომა ვინიცობაა, სადმე შემოგვეფეთოს... ჩვენ უნდა მუდამ ღამე ორღობეში მიუდარაჯდეთ... ვინც კი შემოგვეფეთება და ხელში ჩაგვივარდება, _ იჯარადარი იქნება, თუ ფიდუა, ან ბღუნძელაშვილი, _ ცემა როგორც მოხერხდება, არ ასცდებათ... პაკო იჯარადართან არის, იმას ახლავს... ახლა ნათლია-შვილობასა, გამოცდილი კაცი ბრძანდებით, უნდა დარიგება მოგვცე, როგორ მოვიქცეთ.

ვასილი, თითქმის მოხუცებული, თითქოს გაყმაწვილდა, თითქოს თმა გაუშავდა, მოკეცილმა ცმუკვა დაიწყო, მომუჭა ხელები და კალთაში მუხლებზე ჯიჯგნა და მტვრევა დაუწყო; გული აუვიდ-დაუვიდა. მთლად აუკორკოტდა; ვასილი ასდევდა გულის ცემას და ირყეოდა მთელის ტანითა.

_ ჯერ ეს მითხარით, ვინ რა უნდა გააკეთოთ, ან როგორ გიდევთ გუნებაში?

_ მე ვეუბნევი, რო როცა ანგარიშის გაწევა გვენდომება, ხურჯინები გადავიკიდოთ და ვითომ სხვაგან მივდივართ, ისე ვაჩვენოთ სოფელსა; ჩვენზე ეჭვს ვერ მოიტანენ. ცეცო კი ამბობს, რო ასე ნუო, ასე არ ივარგებსო.

—მეც ცეცოს აზრისა ვარ: ეს იცოდეთ, თუ სხვებზედ არა, ე თქვენ ორზე მაინც ეჭვს მოიტანენ და მოიტანენ. იქნება კიდეც დაგიჭირონ, _ სთქვა ვასილმა, _ ყველაფერს უნდა მოველოდეთ.

ცეცოს თავიდან დაჰკრა ჟრუანტელმა და ფეხის ფრჩხილებამდე ხლაკვნით ჩაუარა; სახე შეუბუსუსდა, შუბლზე ჭირის ოფლი ააჩნდა: ცეცოს ის ჰკლავდა და აღონებდა, ის უმუწუკებდა და უსერავდა გულსა, რომ დაინიშნა; რომ თამრო დაეკარგება, სამუდამოდ გამოეთხოვება იმას, ვიზედაც არა ერთი ღამე გაუთენებია და დღე დაუღამებია ტკბილს ოცნებაში. ჯვარი რომ დაეწერა, იქნება კიდევ ჰქონოდა თამროსთან შეყრისა და ნახვის იმედი. ეხლა? დანიშნულია; აშარი სიდედრი ცეცოსი თამრიკოს მაშინვე სხვას მიათხოვებს; ცეცოს სიდედრს კიდევაც გაეხარდება, იმიტომ რომ თამრიკო ცეცოსთვის არ ემეტებოდა. ამ მწარე ფიქრს მიეცა ერთ წამსა, მაგრამ თავი ჩაიქნია, კბილები ჩააკრაჭუნა და გადასწყვიტა, მწარე ფიქრები მოეშორებინა თავიდანა.

_ მე ვეუბნევი, _ დაიწყო ცეცომ, _ გავიყვნეთ-მეთქი ამხანაგები.

_ პაკოს იმედი გაქვთ, რომ არ გაგცემთ? _ ჰკითხა ვასილმა.

_ ჩვენ ყველანი ერთს ტაფაში ვიწვით: პაკოს ვენახი ბღუნძელაშვილს არ უჭირავს!..

_ ვაიმე, ვაიმე! ნათლი, მაგას რას მიბრძანებ, შენი ჭირიმე! ცეცოს და მიხას რო უღალატო, მაშ ვიღასღა ვეძმო, და რომ ვუმუხანათო, იმ გრძელ სოფელს ღმერთთან რა პასუხი უნდა გავცე?! _ სთქვა გულმოკლულმა პაკომა.

_ დიახ, პაკო იქ იქნება; მე და მიხა კი, _ განაგრძო ცეცომ, _ ორღობეში ჩავუსაფრდებით; დანარჩენი ბიჭები იმ ვენახში, საიდამაც კულუხს წამოიღებენ.

_ დამაცა, დამაცა... სწორედ ეგრე უნდა, ცეცო, სწორედა. კულუხს ვინ სწერს და რწყავს?

_ მამასახლისი თავისი გზირით, ფიდუა და ბღუნძელაშვილი, _ უპასუხეს ვასილსა.

_ მე ვიცი, რო ჩემს ვენახზე დაიწყობენ დავი-დარაბასა და მაშინ გვაქვს დროი, _ სთქვა ცეცომ.

_ არა, ისე უნდა მოხერხდეს, რომ ამ ექვსის კაცის ვენახში თქვენ ექვსის გულისათვის არ შესრულდეს თქვენი განზრახვა, თორემ ეჭვს შემოიტანენ და ხელს დაგადებენ. სხვის ვენახში რო მოხდეს, ემჯობინება. აი, ყური დამიგდეთ, მგონი ასე ემჯობინება: პატარა ორღობეში შენ და მიხა ჩაუსხედით; დანარჩენები ზერეკაძიანთ ვენახებთან. ეხლა იქით სწერამენ; ისინი ხომ ვენახ-ვენახ, ბილიკებზე წამოვლენ; პეპეს ვენახის გადმოსასვლელში ჩაუსხდნენ კულუხის ამწერლებსა; თქვენ კი, როგორც წეღანაც გითხარით, იმათზე კარგა მოშორებითა, პატარა ორღობეში იჯარადარსა.

_ აგრე ძალიან კარგი იქნება, შენმა მზემა, _ წამოიძახეს სამთავემა.

_ მაინც და მაინც იმ ორღობეში ხალხი გვიან შეგროვდება. თუ სხვანაირად დაიჭერ საქმესა, კვალს თქვენზე მოიტანენ. როგორც მიხას უთქვამს, რო მას თავი ვაჩვენოთ, ვითომც სხვაგან წავედით; ღამე მივბრუნდეთ და ანგარიში გავუწიოთ, _ თავს არ მოვა. თქვენ უსათუოდ დაგიჭერენ: სად იყავით? ვისთან იყავით? ჯერ ეხლა იმ დღევანდელ ლაპარაკისათვის «პრიგოვორს» თურმე ადგენინებს და მაშინ

ეგრე რო ჩაიდინოთ, ხსნა აღარ გექნებათ... იჯარადარს უნდა სცემოთ, თუ სხვაფრივა გწადიანთ რამე?

_ ვცემოთო? _ წამოიძახა მიხამ ზიზღით.

ვასილი წამ-ერთს გაშტერდა; მაგრამ მოიგონა თავისი ყმაწვილობა, თავისი უნარი, არ გაჰკიცხა და უთხრა გასაფრთხილებლად:

_ ეეე, ბიძავ, თუ ყოჩაღათ არ მოიქეცით, ციმბირი აქეთ დაგრჩებათ...

_ შე დალოცვილო, იმიტომ გიახელით, რომ ციმბირს ავცდეთ, _ სთქვა ცეცომ.

დაასკვნეს, ვასილის რჩევით, რომ პატარა ორღობეში უდარაჯონ.

XIV

ძაღლისხევაში გახურებული რთვლებია... როგორც მოთხრობის დასაწყისში ვთქვით, სოფელი მაღლობზე სდგას; ვენახები კი ძირს, ღელეშია ჩაფენილი. ხალხი დატანჯულია ძირიდან მაღლა მოსავლის ზიდვითა; ბევრი ზურგით ამოზიდავს ხოლმე ტკბილსა, რაკი ურემს ვერ მიუყენებს ხოლმე. შემოდგომაზე, ენკენისთვეში, მთელი ძაღლისხევა ვენახებში ჩადის: იკეთებენ მშვენიერს ქოხებს; ზოგი ორსართულიანს ქოხს წამოსჭიმავს ხოლმე. დღისით ბავშვები ხმაჩაუღებლივ უქაქანებენ ძაღლებსა, მაგრამ თვით ძაღლზე უარესობენ.

დაღამდა. ხალხი ვენახებშია. შინ რჩებიან მოხუცებულნი, რომელთაც ჯანი გასტეხიათ, უკვნესით და თავი აღარა აქვთ აქეთ-იქით წოწიალის და ყარაულობისა. აგერ ერთის ქოხის წინ ანთია ძლიერი ცეცხლი; გარს რამდენიმე კაცი უზის. ამათთან სხვებიც მოვიდნენ. ქოხი ზალიკა ახალკაცისაა, ცეცოს სასიმამროსი. მაგდანი, ზალიკას ჯალაბი, ცეცხლა-პირას ფუსფუსებს; ქარი კომლს თვალებში უბერავს, მაგრამ მაგდანი თავისას არ იშლის, ურევს ციცხვით ქვაბსა, ისრიმის ჩიხითმას აკეთებს. მაგდანას თავისი, ახლად დანიშნული ქალი თამრო თან არა ჰყვანდა, ნათლიასთან გადაეყვანა. ვინ რას ეტყოდა, ხომ პირში ჩააფურთხებდნენ მაგდანასა, ხომ მანდილი მოეხდებოდა, რომ ახლად დანიშნული თამრო ვენახში ეტუნტულებინა.

მაგდანამ წამოდგა ხონჩა, რომელზედაც მადიანი თონის პურები ეწყო, ხახვის ფოჩი, ორი ბებერი კიტრი და მოხარშული კვახი. პატარა ზაქრომ დედის ბრძანებით თიხის ჯამებს წყალი მოავლო.

_ ე ძაღლის ტიალა, მამა-პაპანი აქ დაბერებულან და აქ დახოცილან, ამითანა ამბავი კი არ გაგონილა; ნეტა სხვაგანაც ასეა? ყველაზე ღალა უნდა ავიღოთო, _ ასე გაუჩენიათ, _ სთქვა ზალიკამა.

_ შენ ესა თქვი, კაცო, რომა ეს უპრავლიაიუჩია, თუ რაღაც იჯარადარი, თუ რაღაც ჯანაბა და დოზანა, ხელიც იმათკენა და პირიცა, _ ჰო, მინამ მოვიდოდეს, ხო ვენახის მოსავალი უნდა მოვაგროვოთ; თუ მოუცდით, ხო სუ შიგ ჩავიდა და ჩაიფშვნა, _ სთქვა ზალიკას მეზობელმა.

_ ნჰი, ეს კი არ არის, აბა, ჭკუის კოლოფი! აქ არ არის ფიდუა და ბღუნძელაშვილი? მე შენ გითხრა, ვერავის იშოვნიან აი, რო აკრიფონ ყველაფერი!..

ზემო გადაწყვეტილებამ თუმცა სოფლის ხალხი ააღელვა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს _ სული ტკბილია! _ ჩაჩუმდნენ, დაემორჩილნენ სვე-ბედსა და ურჩი კამეჩივით მაინც გაჰყვეს უღელში თავი და ჩოქით გასწიეს ტვირთსა.

ის ბიჭები ცეცოს ქოხში შეიყარნენ.

დარაჯობა შეიქმნა; ღამ-ღამობით უსაფრდებოდნენ დანიშნულ ალაგას. დაისი გადასულია; აზნაურის ვახშმობას აღარა უკლია რა; შემოესმათ ერთის ვენახიდან

რაღაც ყაყანი; ოთარას ბიჭი არ იძლეოდა ტკბილსა. პაკო, რომელიც ფიდუასა და ბღუნძელაშვილთან იყო ვენახში, წამოვიდა, ჩასაფრებულ ამხანაგებს ნიშანი მისცა და სწრაფად აირბინა სოფელში.

დიდხანს აღარ გაუვლია, იჯარადარმა ცხენდაცხენ, თქარა-თქურით ჩამოირბინა ორღობეში და მიიჭრა ოთარას ბიჭის ვენახში. მეკულუხეებმა კარგა ხანს შეიგვიანეს. ამ დროს განმავლობაში დასავლეთის ძლიერმა ქარმა დასძრა ღრუბლები და შავბნელად გადაეკრა მშვენიერს მოციმციმე ცასა; იმავე ქარმა მალე გადაზიდა ღრუბელი აღმოსავლეთისაკენ და შავად დააწოლა მთის წვერებსა. ხანდისხან აქა-იქ გამოაცურებდა ხოლმე თხელს ლეგა ღრუბლის ნაწყვეტებსა, საიდანაც წვრილ-წვრილად ცვარავდა. ცივმა შემოდგომის ქარმა შეჰკუჭნა ხალხი ქოხებში.

ბიჭები უცდიდნენ განაბულნი, ყურწაგდებულნი, გულის ცახცახით, როგორც მონადირე ნათვალევს ნადირსა. რომელთაც აი წამს დაუცივდებოდათ ხელ-ფეხი და ფრჩხილებში ოფლი წაჰხეთქდათ. ხან ცხელი ალი აჰკრავდათ თავპირში; ალი შუბლზე ცხლად გაუვლიდათ, თითქო გახურებული რკინა გაატარესო. ერთმანეთის გულის ბაგი-ბუგი ესმოდათ; პირში ნერწყვი შრებოდა ლოდინითა. აგერა მოისმა ცხენის ფეხის ხმა, მათრახის ტლაშუნი... ფიდუა და ბღუნძელაშვილი გამოიქცნენ ძუნძულით. ფიდუამ გზაზე სარი წაჰგლიჯა ვაზსა. ფიდუას ფეხდაფეხ მოსდევდნენ ბღუნძელაშვილი, მამასახლისი და გზირი. ფიდუა შედგა ღობეზე ორღობეში გადასახტომად. ამ დროს ღობეს გარეთ მდგარმა შეთქმულთაგანმა დაჰკრა მძლავრად თავში კეტი იჯარადარს, გადმოატრიალა და ორღობეში ზღართანი მოაღებინა. შეთქმული შეხტა ღობეზე, გადახტა მეორე ვენახში და _ ჰაიდა! _ მიეფარა.

მამასახლისს ეგონა, რომ ფიდუა თავისით უცაბედად გადავარდაო, რადგანაც ხმაამოუღებლივ დაეცა; შედგა ღობეზე და უკან ბღუნძელაშვილი აჰყვა.

_ ეეჰუუ! ეს ხუმრობა აღარ არის, დაგვხოცეს. ეს სულ იმათი უნარია, _ შეჰკივლა მამასახლისმა, _ იმ... _ მაგრამ წამოუარა მესამემ, დაჰკრა ბღუნძელაშვილს და ორნივე გადაცვივდნენ. გზირმა კი გაქცევა იკადრა, ჩაირბინა ოთარას ბიჭის ვენახამდის, სადაც იასაული ტკბილს მოუყენეს. გულამომჯდარმა გზირმა უამბო იასაულს თავგადასავალი.

_ არიქა, მიეშველენით; თავებდამტვრეულები ჰყრიან. ეჰეი! რა დროს შევესწარით და! სწორეთ ლეკიანობაა, _ ყვიროდა გზირი, რომელიც ჯანზე და ფეხზე ჯერ სრულიად არ იყო მოსული. _ არ გესმით? მიეშველენით იჯარადარს, კაცო, ქრისტიანები არა ხართ?

XV

188 _ წელსა, აპრილის გასულსა, დილით ერთი ჩოჩქოლი იყო ცეცო გოდერძიშვილის კარებზე: ხალხში მითქმა-მოთქმა და ჩურჩული იყო, თავის ქნევა და გულში მუშტების ცემა.

დერეფნის ტახტებზე ცეცოს დედა თმაგაშლილი იჯდა, მწარედ იმდუღრებოდა და მოსთქვამდა; გვერდზე უჯდა მაგდანი, ცრემლგამშრალი; წინ, ძირს, მიწაზე მოეკეცნა ზალიკასა, რომელიც მალი-მალ იმართავდა ჩიბუხსა, მალი-მალ სცლიდა, სჩიჩქნიდა, არ ასვენებდა. დერეფანშივე იყვნენ რამდენიმე სოფლის ქალი და კაცი.

_ რა არის, ქა? ზოგი სამუდამოდ ეთხოვება თავის გულის საყვარელსა, შენი ცეცო ხო, _ ღმერთმა სიკვიდილისაგან დაიფაროს, _ ხო ცოცხალია, პირში სული ხო

მაინც უდგია! ქა, წინდაწინ თავი ვის მოუკლავს, რო შენ მოიკლა, _ ანუგეშებდა მეზობელი ქალი.

_ ის არის, ჩემო ნათლიდედა ელენე, საწუხარი, რო არც მკვდრებშია ეხლა ჩემი კოხტა ცეცო და არც ცოცხლებშია; დედა მოუკვდეს, რაღა აცოცხლებს, გენაცვალეთ, ჩემს ლამაზს, კოპწია და ცქრიალა ბიჭსა სალდათების ხელშია... ოი, შენს დედასა, შვილო! გარს თურმე სულ შტიკიანი სალდათები ახვევიანო... უჰი, შენს დედასა!.. ცეცხლი-გენია ჩაუვარდეთ, შვილო, ჩემის ლეჩაქითაც დამჯდარა ბღუნძელაშვილის გადღრენილი ცოლი!..

_ ნუ გეშინიან, ნენე, რამაც ღმერთმა დაარჩინა, ის ღმერთი უშველის, _ ანუგეშეს აქეთ-იქიდამ.

_ ღმერთი იმისმა მადლმა და ძალმა, ღმერთი! _ სთქვეს სხვებმა მთქნარებითა.

_ ე მაგაზე იტყვიან, რო ობლის კვერი ცხვაო და გვიან გამოცხვაო... გვიან გამოცხვება ცეცოს კვერი, მაგრამ ისე კი გამოცხვება, რო...

—თვალი მე დამიდგა, თორემ სხვა არა ვისა, _ სთქვა ტუჩის აბზუკვითა მაგდანმა, ცეცოს სასიდედრომა.

_ უიმე, გენაცვალეთ, რა მოხდა აგეთი? ვინ არ დაუჭერიათ? პირველი მაგალითი ხო თქვენ არა ხართ? _ ანუგეშებდნენ კვლავად მეზობლები.

_ არა, გენაცვალეთ, მე მაშინვე გული შემომკვნესოდა, არ მაძლევდა ეს ოხერი გული ნებასა, რო ჩემი თამრო ცეცოსათვის მიმეცა და დახე... გენაცვალეთ, ამას რას მოვიფიქრებდი, თუ ჩემი თამრო, ჩემი ლამაზი გოგო, დანიშნული დამიქვრივდებოდა... სუ ე ჩემი დარბაისლისაგან დამესხა ცეცხლზე წყალი, სუ! _ გაიძახოდა ზალიკას ცოლი მაგდანი.

_ აიბე, აიბე, აიბე! რა დაგესხა, ადამიანო! გამოვა და ისევ ის ცეცო იქნება, რაც იყო; თავს არავინ მოსჭამს და ფეხებსა. ჩემი წილი ღვთისაგან იმედი მაქვს, რომ იმის სიალალმართლეს შეხედავს და დაიხსნის, _ სთქვა ჩიბუხის ბოლებით ზალიკამა.

_ ოოჰ, ელისაბედ, შენ იხარე შენის შვილითა სამზეოს ქვეყანაზედ! მობძანდი, გენაცვალე, მობძანდი; გვიშველე რამე, ნათლიდედ, გვიშველე!! _ შეჰბღავლა ნენემ ახლად შემოსულს ელისაბედსა.

ელისაბედს ქადაგივით თეთრი კაბა ეცვა, ამნაირივე თავშალი ეხვია; ფეხშიშველი იყო, კაბა წაკარწახებული ჰქონდა სარტყელში. ელისაბედი შუა ხნის დედაკაცი იყო; იგი ძაღლისხეველების მკითხავია, მისამართი ყველასი და გაჭირვებისას ექიმიცაა. აი, ეს ელისაბედი შემოჩიკორდა დერეფანში.

_ წინდაწინ თავის მოკვლა რას მიქვიანო! ჩვენ ჩვენი საცადი ვეცადოთ; ღმერთსა და მის წმინდა ხატებს შევევედროთ, რო მალე დაგიბრუნდეს შვილი. ქა, არ გამიგონია? მიხას რძალმა რაღა უნდა ჰქნას... ის უფრო აზნაურშვილი არ არის... ღარიბი კი, მაგრამ მაინც აზნაურშვილი ჰქვიან... ჰო, იმან რაღა ჰქნას-მეთქი, რო სამ-სამი ობოლი თავს დააწვა; მარჩენალი მაზლი თავს აღარ ადგია, მაგრამ, ჩემის შვილების ლხენამა, ისეა, თითქოს ბუზიც არ აფრენიაო, _ დაიწყო ელისაბედმა ნუგეშინის კილოზე. მოითხოვა საცერი და ლობიო; შემდეგ აიღო ნახშირი და ლობიოში ჩაურია. ნენეს უთხრა, ჩაასახელეო. მოჰყვა ტუტუნსა და ტუჩების ცმაცუნსა. ხელაპყრობილმა რამდენჯერმე სასოებით სავსე თვალებით მაღლა აიხედა.

დერეფანში მყოფნი ელისაბედს გარს შემოერტყნენ; დედაკაცები წამოყუყდნენ, ჭოტებივით წაიგრძელეს კისრები და გადაჰყვეს თავები საცრისაკენ, თითქო შიგ

უნდათ ჩაძვრენაო. ასე გასინჯე, დინჯმა ზალიკამაც კი ანება ჩიბუხს თავი და ცქერად გადაიქცა. ალყაშემორტყმულმა ელისაბედმა ჰყარა ლობიო საცერზე. მკითხავი აღარა სჩანდა, მხოლოდღა ისმოდა მისი მაღალი, მაგრამ წვრილი და კაჟივით მტკიცე ხმა.

_ დიდება შენდა, ღმერთო! _ დაიწყო ელისაბედმა, _ ნენე, რაზე იკლავ თავსა და ჭირისუფლობ! შენი ცეცო დაჭერილია; აი, აიი, ე ლობიოები რო შემოხვევიათ _ ესა, ქალო, რუსის ჯარია; აი, ეს ჭოტა ლობიო, აი ცალკე რო გახტა, მტერია, დაჰშორებია; ფიქრი არ არის ამისი, დედაშვილობის მადლმა. აი გზაცა... უიმე, უიმე, გენაცვალეთ! გიო არ მოუკვდეს თავის დედას ელისაბედსა, გიოი, რო ცეცოს არა უშავდეს რა, აბა, რა სათქმელია... აი, ქალო, ეს ლობიო რო წამოჰტორღიალებია, აი, სწორედ ეს ლობიოი, _ ვენაცვალე იმის მადლსა და ძალსა, _ წმინდა ელია ღრუბელთა წინამძღვარია; ეხმარება, ზვარასა სთხოვს შენს ცეცოსა, ჰო, დედაშვილობამა.

_ ვენაცვალეთ წმინდა ელიასა! _ გუგუნით წარმოსთქვეს იქ მყოფთა.

ელისაბედმა მეორედ ჰყარა ლობიო.

_ აი, ხედავთ? _ ელისაბედმა პირჯვარი გადიწერა; სასოებით და ზეახედვით სხვებმაც გამოისახეს ჯვარი. _ აი ახლა ხედავთ? ცეცო მარტოკა დარჩა. _ განაგრძო ელისაბედმა. _ ეს ჭრელი ლობიო რატომ არა შორდება; წეღანაც გვერდით ახლდა; ნეტა თუ ვინ უნდა იყოს? _ იკითხა ელისაბედმა.

_ მიხაი, ქა, მიხაი! _ მიაძახეს ყველამა.

_ ჰა, მართლა, მიხაი!..

ჰყარა მესამედ და ეხლა კი სულ ერთიანად დაჭეშმარიტებით მკითხავმა ელისაბედმა, რომ ცეცო და ჭრელი ლობიო, მიხა, აგერ გზას ადგანან და ამ სამ-ოთხს დღეში შინ მშვიდობით დაბრუნდებიანო. ელისაბედმა მოატანინა კოშტი წმინდა სანთელი; ჩამოჰქნა კაცის სიგრძე პატრუქზე, ჰაერში რამდენჯერმე შემოავლო, თითქო თავს ავლებს ვისმესო და ელიისათვის გადაადებინა.

საზოგადოება დამშვიდდა; ნენემ გულხელი დაიკრიფა და გაშეშდა ტახტზე; ელისაბედის მკითხაობამ, ცოტა არ იყოს, გულს დარდები მოაშორა, აღუძრა იმედი შვილის დაბრუნებისა. მაგდანსაც სიამოვნება დაეტყო და ზალიკა ხომ სულ ლაპარაკად გადაიქცა, სიხარულით ამოიდგა ენა და ხან ამ მთისას გაიძახოდა და ხან იმ მთისასა.

_ მე რო გითხარით, რომა ჩემი წილის ღმერთის იმედი მაქვს-მეთქი, რაო, ტყუილად ვამბობდი? იმის მადლის ჭირიმე, იმი, როგორ გამწირავდა ღმერთი ალამართალს კაცსა! მა! არ მოხერხდება, ნენე, დედი, არა!!.. ცეცო, შენი შვილი, ალალი კაცია, ეს არის აი, _ უჩვენა ხელის გულზე; _ ჩემი თამრო მტრედივით უმანკოა... ღმერთო, ნუ დაგვკარგავ, ნუ! _ და გადიწერა სასოებით ზალიკამ პირჯვარი.

_ ღმერთო პატრონო! _ შეჰღაღადა ხელაპყრობით ნენემ და რამდენიმე წამს დარჩა ამ ყოფაში.

XVI

ცეცო და მიხა, როგორც უწინასწარმეტყველა ვასილ გვარაძემ, დაატუსაღეს და ჩასხეს მაზრის საპყრობილეში. იმათზედ ეჭვი მიიტანეს სოფლის თავკაცების ჩვენებითა.

ორივე ჩაჰყარეს საპყრობილეში, რომელიც ჯერ ხანად სკოლაა არა გასწორებისა, კაცის აღდგენისა, არამედ ყველა სიავაზაკისა, ყველანაირის უნამუსობისა, გარყვნილობისა და სიბილწის შეძენისა.

მიხა, როგორც აზნაური, გაიყვანეს საკეთილშობილო ოთახში; ცეცო კი შეაგდეს ავაზაკებთან. შესვლის უმალვე ყველა ტუსაღები დამწკრივდნენ.

_ უცხო მოვიდა! აბა, ჰა! _ დაიძახა ერთმა ტუსაღმა. სთქვა თუ არა ესა, მისცვივდნენ ცეცოსა: ზოგი თავში სცემდა, ზოგი ფეხს უწევდა. გაუძალიანდა ცეცო, მაგრამ რას უზამდა ორმოც-სამოც კაცსა. ბოლოს გაიგო, რომ ყველა ახლად შესულს საზოგადო ოთახში თურმე ასეთის ალერსით დაუხვდებოდნენ ხოლმე.

საღამ-საღამოობით თვითეული ტუსაღთაგანი მორიგად დაიწყებდა ლაპარაკსა თავის თავგადასავალზე, თავის ავაზაკობაზე. ერთს საღამოს კვლავინდებურად გაჩნდა ბაასი. ცეცო, როგორც ახლადმოსული, ბოლოს დასვეს. ილაპარაკეს ათასგვარს გარყვნილობაზე. ღვთის წინაშე, ზოგს ტუსაღს ჯერედ კიდევ არ დაბნელებოდა და არ დაკარგვოდა სრულიად სინდისი; ჯერ კიდევ უღვიოდა პატიოსნება, მისი ლამპარი ჯერედ კიდევ ბჟუტავდა. მაგრამ სამოცს კაცში ერთი ორი თუ იყო ამგვარი, დანარჩენნი გარყვნილების მორევში ტრიალებდნენ; ერთმანეთს სწვრთნიდნენ, ავარჯიშებდნენ ავაზაკობაში შემდეგისათვის.

_ დიდი ღამეებია, რა გაათენებს. აიმ ყარაულის ცქერა გულსა ჰხეთქს... რანაირ იჭყიტება და ოჰ, შენი სახე... მაშ დავიწყოთ, ვის რა უქნია; რო გავალთ, გამოგვადგება. აბა, შენ კი, ბათათავ, მოჰყევ, დაიწყე რაღა, ქათმებს როგორ იპარავდი, _ სთქვა ბელადმა-ტუსაღმა ბრძანებითა.

ცეცო ჯერ ხანად ვერ ბედავდა თქმასა, მაგრამ რა ნახა, რომ ყველა გულწრფელად ამბობდა თავის თავგადასავალსა და შიში არ იყო გაცემისა, უამბო თითონაც თავის თავგადასავალი. ბელადს მოეწონა ცეცოს ბიჭობა და ბრძანა:

_ ადექით ყველანი და პირზედ აკოცეთ ამ ახლად შემომატებულსა.

ყველანი დაემორჩილნენ.

მოცლილ გონებას მოსწყენოდა მუდამ ქურდობა-ავაზაკობაზე და მის შესწავლაზე სჯა და ბაასი; ან რა უნდა მოეგონებინა? რა ჭკუის საზრდოს მისცემდა დაკეტილს სახლში ყოფნა? თავს ხომ ვერ ახლიდნენ კედელსა?

_ შენ რა განზე გამჯდარხარ, ღოჯავ? _ ჰკითხეს ღოჯასა, რომელიც ტახტის ბოლოზე მიმჯდარიყო და რაღაცას ხეხდა.

_ მე იმას მივჯდომივარ, რომ მინდა ემაგ ცუდად ყოფნასა და ცუდად ყაყანს მოგარჩინოთ, ადრევ გავაკეთე კამათლები საპნისა, ყველისა, პურის გულისა, მაგრამ არ გამოდგა, ეხლა კი ცხვრის ძვლისას ვაკეთებ. აი, შეხედეთ, თვლები ნევსით შემოუხაზე და ნახშირით ჩავაშავე.

_ ბიჭოს, ბიჭოს! ჰხედავთ ღოჯასა? _ გაიკვირვეს ტუსაღებმა. _ მერე, ღოჯა?

_ მერე ისა, რომ ეს კამათლები ავყაროთ ხოლმე და ვისაც მეტი მოუვა, ის მოიგებს.

გაჩნდა ციხეში ამის შემდეგ კამათლების კეთება, ყველა ოთახში გავრცელდა და რამდენიმე თვე ამის კეთებასა და თამაშობაში გაატარეს დრო. ამასობაში ცეცო თავის ბედს უცდიდა; უცდიდა წელიწადი; მაგრამ სად არის საქმის გარჩევა! გაყვითლდა, გახდა; თავის საყვარელ თამროზე ფიქრმა ხომ სანთელივით დაუდნო და დაულია გული; მაგრამ როცა სასიმამრო ჩამოვიდა სანახავად, გული გაუკეთა, უთხრა, ოცი წელიწადი რომ იყო ციხეში დამწყვდეული, ჩემს თამროს შენ არ გამოგწირამო. ზალიკას მადლიანმა სიტყვამ დაჭიანებული, დარდებისაგან

შევიწროვებული და გალეული გული გაუნელა, სხივი იმედისა ჩაასკვნა. და აი ამ იმედით გამხნევებულმა ცეცომ დაუწყო ლოდინი თავის საქმის გათავებასა.

XVII

188 _ წელს, თებერვლის გასულს, შიოობა დღეს, ყველიერში სოფელ ძაღლისხევაში დიდი სმა და პურობა იყო. ამ დროს სოფლად ოჯახს ვერ ნახავთ, რომ სახლში თავშედგმული ხონჩა არ იდგეს ქადებით და ხაჭაპურებითა. დარმაც ხელი მოუმართა ხალხსა. თებერვლის მზემ კარგა ლაზათიანად მოახურა დედამიწა. ძაღლისხეველები ბანებზე გამოიშალნენ; ეკალაშვებული საქონელი მიიყუჟა მყუდროზე საბძლებთან და მზეს შეუფიცხა გვერდები. გათბა ნიკორა, კუდს იწმაწნის ნიშა; ნიკორამ ფეხიც გაჭიმა, ზმორება დაიწყო; მოფრინდა კაჭკაჭი, შეახტა ნიკორას ხტუნია და ხერხემალზე მედიდურად აუარ-ჩამოუარა. ხტუნია ყელყელაობს, თითქოს ამბობს, ამოდენა მხეცს ვიმორჩილებო. კაჭკაჭი სწიწკნის ნიკორას ხერხემლის კანსა, ნიკორას იამა კანის ხილვა, ასე რომ, ორივე სიამოვნებაში იყვნენ.

ბანებზე გუნდ-გუნდად იდგა ხალხი; ერთის მხრივ იდგნენ ქალები, რომელთაც წინ პატარძლები ჩამოემწკრივებინათ, უტყაპუნებდნენ ხარის ფაშვის დაირასა და აჭყვიტინებდნენ ბუზიკასა.

_ ტაში, ტაში, გენაცვალეთ! _ იძახის მედაირე.

_ დაუარეთ, ჰა! ჰა! გენაცვალეთ, ჰა! _ ყვირის მებუზიკე.

მოთამაშეებზე ცოტა რამ მოშორებით ხანში შესული გლეხები სხედან, გაუჩაღებიათ ჩიბუხები და წინ ფურთხის გუბე დაუყენებიათ. მასლაათობენ ამ მთისაზე, იმ მთისაზე. მეორე ბანიდან მოისმის საშინელი კიჟინა და კისკის-ხარხარი _ ჩალიჩსა თამაშობენ, ჩალიჩის ტკაცანი და ლაწი-ლუწი მოისმის.

_ აბა, ჰა, დაუარე. ბიჭო, დაუარე! მარჯვეთ იყავ, არ გაგჭრან! _ ყვირის ერთი მეჩალიჩე, წრეს გარეთ მყოფი.

_ გაიჭრა, გაიჭრა! _ დაიძახეს ხალხში.

_ არა, არა! _ იძახიან სხვაგნით სხვანი.

_ ბა, ბა, ბა! რა ბიჭია, და! ციბრუტივით არ უვლის მამაცხონებული, _ აქებენ მეჩალიჩეს.

მეჩალიჩეებში ერთი ახალგაზრდა ბიჭი ირჩეოდა ყველაფრით სხვებისაგან _ მოხდენილობით, სიმარდით, სიჩაუქით, ჩაცმა-დახურვით, მოსწრებული სიტყვა-პასუხით. ამ მოჩალიჩეს, კისკას ბიჭს ტანთ ეცვა შავი ქალაქური ჩოხა, რომელსაც ნაწიბურებში და ჩაქებში ოქრომკედი ჰქონდა ჩატანებული, შავივე შალის შარვალი ჩაკეცილი ჰქონდა აჭრელ-დაჭრელებულს საცვეთებში, რომელიც ახალ ჩუსტებზე იყო დასმული; შიგნითა წინწკალა ჩითის პერანგზე ეცვა სხვა, წითელგულისპირიანი პერანგი დოშლუღის მაგივრად, გარე პერანგის საკინძი ჩახსნილი იყო და მკერდს ელამუნებოდა. კალთები ჩოხის უკან ჰქონდა გაკეცილი. ეს კოპწია ერთობ კისკასად, ერთობ სწრაფად უვლიდა ჩალიჩის წრესა. ვისაც კი დაარტყავდა, უთუოდ კანჭს მაღლა ააღებინებდა ააკვანჭალებდა. პროწიალში შარვალი მალ-მალ ჩამოეშლებოდა, მაინც არ ფერხდებოდა, გარბოდა, ცალფეხა იმაგრებდა ჩაშლილ შარვლის ტოტს წვივსაკრავში.

_ შავარდენი ბიჭია! ალალი კაცია! კაცმა სიმტრით არა უნდა სთქვას რა მაგაზე. ალალს მუშას ღმერთი როდი დაჰკარგავს რომა, _ სთქვა ჩვენმა ნაცნობმა სოსემ

წითელგულისპირიანზე. _ ალალი კაცი ქვეყნის მოკეთეა, აკი ღმერთმაც არ დაჰკარგა ჩვენი სოფლისთვისა.

_ ოღონდაც, სოსე, ოღონდაც, ღმერთმა სიკეთე ნუ მოუშალოს, _ წამოიძახეს ერთხმივ გლეხებმა.

_ მაგისი მამა რო კვდებოდა, თურმე ანგელოზი ჩამოვიდა, ი სულთამხუთავს რო იტყვიან, ისა, თავს წაადგა მაგის დედას ნენესა და ასე თურმე უთხრა: «ნუ გეშინიან, ნენე, შენი შვილი სხვა ვარსკვლავზეა დაბადებული, დიდ ბედს ეწევაო», _ სთქვა მეორე მოხუცებულმა გლეხმა.

_ ე რა მაგ სიტყვის პასუხია და საწყალი მაგი მამა რო სულს ებრძოდა, მე იქ ვიყავი და...

_ გახსოვს კი შენა, ჰა, ოთარა? _ გააწყვეტინეს ოთარას ლაპარაკი.

_ რას ამბობთ, კაცო! ნენეს ქმარი ნინიკაი ჩემი კბილის კაცი იყო... ასე იანგარიშე, მე დიდ ხორველობას რომა მეხრე ბიჭი ვყოფილვარ, კაი შენი მოწონებული მეხრე ბიჭი და შენ ხარ ჩემი ბატონი, და... ჰო, მე იქ ვიყავი ნინიკას რო სული ხდებოდა, და ნინიკამ სწორედ ეგრე უთხრა თავის დედაკაცს ნენესა... ი დალოცვილმა ანგელოზმა თუ ჩააგონა.

_ ზალიკაც ჩვენში ძაან მადლიანი კაცია, მართალი; ზალიკამ თავის დონის კაცი იშოვნა... საცა დოვლათი დაიბუდებს, ძმავ, ის არის! ჯოჯოხეთის მუგუზლითაც ვერ გამოაგდებს. ზალიკას ძველადგანვე დოვლათი მოსდევს; მაგისი გვარი სუ ეგრე დოვლათიანი ყოფილა ყველაფერში. ალალი უყოს ღმერთმა... კაციშვილივით გაზარდა, იცოდა, რაც კაცია, როგორი გამრჯელია, როგორი გულისა და...

_ კაცს შუბლზევე აწერია თავისი კაცობა, _ ჩამთქნარებით სთქვა სოსემა.

_ გაიჭრა, გაიჭრა! _ გაისმა წრიდან ხმა და მოხუცებულებს შეაწყვეტინა ლაპარაკი.

_ ასე არა!!

_ რათა, ძმაო, საცვეთში მომხვდა, ტყუილი რის მაქნისია, _ სთქვა გაჭრილმა.

_ აბა, მაგ ზემოუბნელსა. ზემოუბნელსა, კანჭები შეუხურეთ, ჩვენი უბნის ქალი ჰყავს; აბა ჰა! კანჭები შეუსისხლიანეთ, რომ სისხლი ავიღოთ, _ ჰყვიროდა ხალხი.

წრის ახლო ქალებიც იდგნენ; ერთი ხანში შესული მანდილოსანი მხიარულის კაბით ერდოს ჭდეულზე ჩამომჯდარიყო და აღტაცებით შეჰფრფვინვიდა წითელ გულისპირიანს მეჩალიჩესა. ამ მანდილოსანს გვერდით უდგა ლამაზი, სავსე სახის პატარძალი, რომელსაც ორი თითი ტუჩზე მოედო და ჩუმად კუჭკუჭებდა მეჩალიჩეების ხტუნაობაზე. ლამაზს პატარძალს მარცხნივ მოდგომოდა ჭაღარაშერთულ კაცი, დარბაისლურად ჩაცმული. მოხუცებულს მარჯვენა ხელთ ჩიბუხი ეჭირა, მარცხენა იდაყვით ჯოხზე დაეყრდნო და მარჯვენისათვის ბოძად მიეცა.

_ ნეტავი შენს დედასა, _ სთქვა ერთმა მანდილოსანმა, როცა წითელგულისპირიანმა ციბრუტივით დაუარა და ერთხელად არ დაიკრა ჩალიჩი.

_ უი ჩემს თვალებს, ქა! რა პასუხია?! რა დაგემართა, შენი მეზობელი იყო, ხელიდან როგორ გაუშვი და შენი საბედა არ მიეცი, _ უთხრა პირველს მეორემ.

_ ნეტა შენაცა, ნატრობ! ზალიკას ჩემოდენა კუდი დასთრევს; რაკი მოუსვა, ის იყო, გათავდა!.. მაგრამ ღმერთმა ისე გააბედნიეროს, როგორც თავისი დედის ალალსა და ქვრივ-ოხერს ძუძუებს უნდოდეთ, _ სთქვა გულწრფელად საბედას დედამ.

ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, ამ შიოობა დღესა სულ წითელგულისპირიანზე ლაპარაკობდნენ. იმ დღის ვარამიც ის იყო და სიხარულიცა. ეს წითელგულისპირიანი იყო ჩვენგან უკვე ცნობილი ღამის მეხრე ალექსა გოდერძიშვილი, ჩვენი ცეცო, რომელიც საპყრობილედან გამოეშვათ რამდენიმე წლის უკან და რომელსაც იმედი შეუსრულდა და ჩაიკონა შავთვალებიანი თამრო.

ცეცოს ქორწილის შემდეგ სიმამრ-სიდედრის სახლში შიოობა დღეს ფეხი ებრუნა და, სოფლის ჩვეულებისამებრ, ახალი სიძე, ზემოუბნელი ცეცო, შუაუბნელებს ჩალიჩში ჩაეყენებინათ გამოსაცდელად და ყველანი თვალგაფაციცებით, სიყვარულით და სიამოვნებით შესცქეროდნენ ცეცოსა.

<u>ცვრევაზე</u>

I

შემოდგომაა!.. მზეს მოაკლდა ძალა. იგი ეხლა მხოლოდ სასიამოვნოდღა ათბობს ქვეყნიერებას. ბუნებასაც დაეტყო მზის მიერ გზის შეცვლა; უმალ ფრინველთ იგრძნეს იგი ცვალება ბუნებისა; აქვთ გუნდ-გუნდად მისვლა-მოსვლა, ტრიალი, მზადება; მიეშურებიან სამშობლო ქვეყნისაკენ მის შესამკობლად და გასახარებლად. ტყე-ველს შეეპარა სასიკვდილო სენი: ხეებს ფოთოლი გაუყვითლდათ; ველმა მწვანე ხავერდი გაიხადა; აქა-იქ ცარცვაც დაუწყო ხეებს ამ დაუნდობელმა სენმა. ქარიშხალი ავსებს ჰაერს მოწყვეტილი ფოთლებით, რომლებსაც ათამაშებს, აპროწიალებს ცის სივრცეში. მერე კვალად ბრუნდებიან მიწაზე და მიწაც ტვირთულობს, როგორც თვის სისხლ-ხორცს; ჰკლავს, ალპობს, მითი ორსულდება და საგაისოდ ჰბადებს ახალს ცხოვრებას. «შენ რასაც სთესავ, არ გაცოცხლდების, თუ არ მოკვდების», მართლად უთქვამს პავლე მოციქულს. ნელ-ნელა იცარცვება ბუნება, ცვლილობს ფერს, იხდის ძვირფას და საამო სამოსელს და იმზადებს გაფხოკილს ტყავს. მინდორი და ველი, ვენახი და ჭალა რჩებათ კაჭკაჭებს, ჭილ-ყვავებს, ფოხოლა-ყვავებს და სხვა მტაცებელ ფრინველებს. ქვემძრომნი სოროებში მოექცნენ, იშვიათადღა თუ გამოვა ხვლიკი მზეზედ; წიწილა აღარსად სჩანს. კაჭკაჭები და ფოხოლა-ყვავები დაფაცურობენ, დაძვრებიან კაკლის ხეებზე, აგროვებენ დარჩენილ კაკლებს, ხვრეტენ ნისკარტით და სუსნიან ნიგოზს. ესღა შერჩათ საზრდოდ.

ყოველი სოფელი ქართლისა ამ დროს წარმოადგენს უზარმაზარ თივის და ფუჩეჩის გროვას. ყველას კარს უდგია თივა, ფუჩეჩი, დერეფნის კარს ჩაუჩხორია ჩალაგადაფარებული ძარი, რომელიც სიმინდით გასილავებულია. გლეხს ერთი სამუშაოღა დარჩენია, ყველა სამუშაოზე სასიამოვნო და სახალისო. ეს სამუშაოა _ რთველი.

ფრონის ხეობაზე სოფელი ბატეთი ყველას უკან ჩამორჩება ხოლმე რთველში. საქმე ის არის, რომ ხსენებული სოფელი, როგორც სხვა მრავალნი ჩვენს საქართველოში, საეკლესიოა, ანუ, როგორც სოფლელები ეძახიან, საბეროა. ვენახებს გლეხები კულუხის გაუწერლად ვერა ჰკრეფენ. როცა ბატონი გააწერს ვარაუდით თვითეულს ვენახს კულუხს, მხოლოდ მაშინ შეუშვებენ ხოლმე რთველს. მთელი სოფელი მაშინ ვენახებშია მოფენილი.

ამ სოფლის გლეხი გაბრიელ ხარებაშვილი ერთჟამად ძლიერ გაკეთებული ოჯახიშვილი იყო; განსაკუთრებითს მოხარჯეს წარმოადგენდა მთელს სოფელში გაბრიელი: მარტო გაბრიელი იყო ორლიტრიანი მოხარჯე კაცი. მის ოჯახში სამოცდაათი სული ითვლებოდა; ხარი, კამეჩი, თხა-ცხვარი, ღორი, ფუტკარი საკმაოდ ბლომად ჰყვანდა. ოჯახი სდუღდა და გადმოდიოდა. ღმერთს თავისი უბე-კალთა გაბრიელას ოჯახზე დაებერტყა. მაგრამ ძმებმა აღარ უაჯეს; რძლებმა ოჯახი ყირას შეაყენეს; აირივნენ ერთმანეთში და გაბრიელი იძულებული იყო, თუმცა კი ძლიერ უმძიმდა, გაყოდა ძმებს და, სანამ სიძულვილი გაძლიერდებოდა, სიამტკბილობით გამოსცლიყო. დაინგრა დიდი ოჯახი გაბრიელისა! ესა და უმცროსი უცოლო ძმა ცალკე გავიდნენ. მას ოთხი ერთიერთმანეთზედ მომდევნო ვაჟები ჰყვანდა. უფროსი მათგანი კიდეც ღამისმეხრეობდა. ოთხი ვაჟის გარდა მის ოჯახში ორი ქალი იყო: მისი ჯალაბი ელისაბედი და ქალი ნინო. თუმცა ძმებს გაეყარა, მაგრამ მხნე და სარისტიანი გაბრიელი მაინც უკან არ ჩამორჩა; სოფელში მაინც ის ითვლებოდა თავკაცად. თავის ნახევარი დღის ვენახს ერთი დღის ნაფუზარიც შეუმატა, გაავსო ვაზით, გააპატივა და ეხლა იმის ბადალი ზვარი მთელს სოფელში აღარ მოინახებოდა.

აი, გაბრიელას ვენახში რთველია: ნახევარი კიდეც მოუკრეფიათ; ვენახში კიჟინი და ხმაურობაა. საწნახელი გაუსილაკებიათ და ღარში გამოსწვეთს ტკბილი. საწნახელს გადმოჰფარებია ასწლოვანი კაკლის ხე; მის ქვეშ ცეცხლი ანთია და სადილი მზადდება. იქაურობა დაკრიალებულია; მეზობლების პატარა ბიჭები, რომლებიც მოუწვევია გაბრიელას უმცროს ვაჟს, ორმოობას თამაშობენ კაკლებითა. მეორე ვენახში სხვა ბავშვების კიჟინა ისმის; კვახის თაღარი გაუმართავთ, მისივე გეჯა ღარი და ტკბილს სწურავენ. კაკლის აღმოსავლეთით საურმედ ღობე იყო გახსნილი, ურემი შებოლავებული ეგდო და ზედ ჩამოკიდებული იყო რუმბი.

გაბრიელას ვენახში ხალხი ბლომად იყო; ბოლოში მოისმოდა ღორღალი, გაუგებარი, ყრუ ხმაურობა; მის სამ შვილს გოდორი გოდორზე მოჰქონდათ და მარდად სცლიდნენ საწნახელში. ამათი და ნინო კი საწნახელის ყურისმგდებლად იყო მიჩემებული; საწნახელთან, თაღარის გვერდით მოეკეცნა; პირი მზისკენ ჰქონდა შექცეული და კომშსა ფცქვნიდა ხორცის დასაყრელად; კომში რომ დააყარა, ჩამოჯდა საწნახელის პირად, ხელებზე ნახევრობამდე გაიკეთა შავი თათმანი და წინდას დაუწყო ქსოვა. ნინო იქნებოდა თხუთმეტ-თექვსმეტის წლისა, გავსილი სისხლ-ხორცით, გაფუფუნებული, სახე გავსებული და გაბადრული, როგორც თხუთმეტი დღის მთვარე. მის ფართო და შემრგვალებულ შუბლზე იხატებოდა სიამაყე და გამბედაობა. ტანთ სუფთად ეცვა; თავზე ნახევრობამდე მოშლით ეხვია წითელი, თეთრ-ყვითელ ყვავილებიანი თავშალი, რის გამოც შუბლი გამოსტკვლეცოდა და მზის სხივებზე უკაკაჩებდა; ოთხი მსხვილი, მაგრამ მოკლე, ინითნაღები ნაწნავი ირხეოდა ბეჭებზედ და აჟღრიალებდნენ თვალ-ღვრინჭილას, რომელიც კეფასთან ჰქონდა შებმული; გრძელი, შავი და შვილდივით დაჭიმული წამწამები ღაწვებზე გადმოჰფენიყვნენ და მათ თეთრ-წითელ ფერში ციმციმებდნენ. რაღაც მადლი მშვიდობა ჰკრთოდა მის დინჯ, დაფიქრებულს და ღონიერს სახეზე. ყურძენს კრაზანა დახვევიყო. ფინია, რომელიც ნინოს ფერხთით უწვა, მალი-მალ წამოხტებოდა, შეიბერტყავდა ყურებს, ჩაუკაკუნებდა კრაზანას და ისევ წაყოფდა ფეხებს შუა ცხვირს. კრაზანა ხშირად მიუბზუვლებდა ნინოს მიტყუპულ ტუჩებს; ისიც უქშევდა, მაგრამ ბუზი-ბზუილა მეტის ალერსით და

ტრიალით ელამუნებოდა ორს უმანკო ძოწს, რომ დაჰკონებოდა და გამოესრუტნა მათგან დამატკბობელი ნექტარი.

გაბრიელას ვენახების აღმოსავლეთით იწყებოდა სასიმინდეები და ჭალა-მინდორი. ზედ ამ ვენახის გვერდზე ერთს ახალგაზრდა, შეღერებულს, ესე ოცდაერთს თუ ოცდაორის წლის ბიჭს თხა-მცხვარი მოერეკნა საძოვრად. დაფიქრებული, საქმეში გართული ნინო რამდენჯერმე აახედეს თხებმა, რომლებიც ღობეზე ასულ სვიას ჰკორტნიდნენ. ამათი მწყემსი, გიორგი რაზმაძე, მეორე ოჯახის შვილად ითვლებოდა გაბრიელას შემდეგ. ზოგნი კიდეც ამჯობინებდენ. გიორგი პატარაობითვე მშობლებმა თხა-მცხვარს მიაჩემეს; სხვა სამუშაო არც კი ეხერხებოდა. გიორგი თავმომწონე ბიჭი იყო; ძალიან კოხტად იცვამდა ტანისამოსს, რომ სოფლის გოგოებს მოსწონებოდა: თეთრი, შავ ჩაფარიშშემოკერებული ჩოხა, ნაბდის ქუდი, წითელ დოშლუღიანი პერანგი, სუფთა, ბატისფეხურად ამოსხმული ქალამნები, რომლებზედაც ჩაკიდებული ჰქონდა აბრეშუმის ჩახსაკრავი; მხარიღლივ გადაკრული ყომრალი ყაბალახი; წელს შემოკრული, სუფთად გახდილი, მოწმენდილი, დაჭრელებული ხალთას გუდა, რომელსაც ჩამოკიდებული ჰქონდა ბატის ფეხის სამარილე და მათარა, უფრო საკოხტაოდ ჰქონდა, ვიდრე საგძლის შესანახად; თეძოზე მოქცეული ხანჯალი მუდამ შემობრუნებით ეკიდა, _ აი, ესენი შეადგენდნენ მწყემსის სამკაულს. გიორგი სახითაც დასაწუნი არ იყო. მუდამ გარეთ ყოფნით სახე მზისგან თუმცა ალანძული ჰქონდა, მაგრამ ლაზათს არ იყო მოკლებული; მისი მარბენალი, მალხაზი თვალები შლიდნენ სახის ალანძულობას და ეშხით და მარილით ავსებდნენ. ტანსაცმელი და გარეგანი სახის გამომეტყველება გიორგის სახეს გაბედულობის და თავგანწირულობის ბეჭედს ასვამდა. ლოყები შემოსოდა წვერით, ულვაშის ადგილი კი ახლად აყვავებულიყო. მოსწყინდა მწყემსს ნასიმინდარში წოლა და იფიქრა ვენახში გადასვლა საცვრევლად. ერთი ვენახიდან გაბრიელას ვენახში გამოვიდა. რამდენიმე კუფხალი კიდეც მოიმცვრია, გაისველა პირი და ამასობაში საწნახელს დაუპირდაპირდა. გაბრიელას ნინო გიორგის ბევრჯერ ენახა, მაგრამ გაკვრით არ დაშტერებია. ეხლა სრულიად მოულოდნელად, ვენახ-ვენახ, მოადგა საწნახელს. ნინოს სახემ, როგორც ღრუბლიდან გამოსულმა მთვარემ, შეანათა ვაზებში და გიორგის მკერდს სხივი შეადგა. ეს სახე ეუცხოვა და ქვანაკრავივით შეფერხდა, გამელა სული. ყურძნის კუფხალს მძიმედ, თითო მარცვლობით დაუწყო ჭამა; ფეხაკრეფით წამოდგა წინ; ბრწყინვალე სახეს დაუახლოვდა. გიორგი გაოცებამ აიტაცა: თავის გაჩენაში ვერ წარმოიდგენდა, თუ შეღერებული ნინო ის ნინო იყო, რომელიც წინათ უნახავს. ნინოს სახემ მისი გული მიიზიდა ანდამატის ქვასავით, გული აუტოკა; სული აღუშფოთა; სუნთქვა გაუძნელდა; გულისთქმანი აღეძრა; ოცნება აუფრთოვანდა; თვალები დაუწყლიანდნენ; მიმოივლო თვალში ხელი და მოისრისა, მაგრამ ნინოს სახით ნატყორცმა სხივმა კვლავ მელნის ტბით აუვსო. კოხტა გიორგის ანაზდეულად გაურბინა თავში ნინოს ცოლად შერთვის აზრმა. მიმოავლო თვის ცხოვრებას ფიქრი, გამოზომა, დარწმუნდა, რომ ვერაფერი დაბრკოლება ვერ დაუდგება წინ: «ოჯახიშვილი ვარ, მეც თავად არა მიშავს რა, რად დამიწუნებენ», იფიქრა.

_ ოოჰ, შე დასაქცევო! რამდენჯერ ამივსია შენთვის წყაროზე წყლის კოკა! სად იყო მაშინ ეგ მადლიანი სახე! _ წაიზმუკუნა გიორგიმ და გადასწყვიტა საწნახელთან გასულიყო, მაგრამ ერთობ ფრთხილობდა, რომ მისი გასვლა ქალს არ შეემჩნია. წამოიწია წინ; ვაზის ტოტი, რომელიც ხელში შერჩა ოცნების ჟამს, წინ

წამოწევისას გამოიწია და ძალზედ დააფართხუნა. ფინია წამოვარდა და ყეფად გადაიქცა. ნინო წამოდგა და ჯეირანივით გაჭიმა ტანი. იგი სახტად დარჩა, მოჩვენებად მიიღო მწყემსი, რომელიც მის წინ თითქოს მიწიდან ამოძვრა. ნინომ სწრაფად მოივლო თავშალს ხელი, გადმოიწია შუბლზე და წვერებით პირი გაიკრა.

_ ვინა ხარ?.. ჩვენები ქვეით არიან... _ ამის მეტი ვეღარა მოახერხა რა. მიიღ-მოიღო თავი, უნდოდა გასცლოდა, მაგრამ მისგან ჯერედ უცნობმა ძალამ შეაყენა; მხარი მიიქცია გვერდზე და წინდას დაუწყო ქსოვა. გიორგი აღელდა, გულის ბაგა-ბუგი ესმოდა, ენა აღარ ემორჩილებოდა და ნერწყვის ყლაპვით წარმოსთქვა:

_ განა ვერ მიცნობ? ნუ გერიდება, გიორგი ვარ... _ მწარის ღიმილით განაგრძო მწყემსმა, _ რამდენჯერ ამივსია შენთვის წყალი... მახსოვს, მე იქ თხა-მცხვარი მეყარა ხოლმე, ი წყაროსთან, პანტის ქვეშ... რა ბევრი ყურძენი დაგრჩენიათ... სამ მტევნამდე მოვიცვრიე.

ნინომ გვერდზე გახედა გიორგის და ეხლა უფრო გარკვევით გაარჩია იგი, რომელიც ამჟამად ჩობახზე ცალიღლივ დაბჯენილიყო და ფეხი ზედ შემოეკლაკნა. ამისთანა სურათი მოხდენილის, კოხტა ბიჭისა, რომელიც მას ხარბი თვალებით მისჩერებიყო, თითქოს სურს სულში ჩაუძვრესო, ჯერ არ ენახა ნინოს. ამ სურათმა მას ტანი გაუელვარა, თვალნი დაუბურუსა. მეტი ერთად ყოფნა არ შეიძლებოდა: ნინო ქვაბისკენ წავიდა; გიორგიმ მარდად მოავლო მარგილს ხელი, შავარდენსავით გადაფრინდა თხებთან და ფინიას ფაფხური ტყუილად შერჩა. გიორგი იქვე ახლოს წამოწვა და გულის ქშენით სალამურს მიმართა ახალის დარდების გასაქარვებლად.

II

მზე საშუადღეოზე გაიმართა. გლეხის სამხრობაა. მერთვლეებმა კრეფას აუშვეს; ხარხარით და ბაასით წამოვიდნენ. გაბრიელს რთველში, სხვათა შორის, თავის მეზობელი აზნაური დარისპან გველესიანიც მოწვეული ჰყავდა სადილად.

_ ნათლია დარისპან, მგონი სადილი დაგიგვიანეთ... ძაან გავერთენით კრეფაში.

_ რას ჰქვიან დაგვიანება; ახი დროა... წრეულს კარგი რთველობაა. მოგივა, გაბრიელ, ერთი სამოც-ოთხმოცი კოკა?

_ წელს მიაჭრის ოთხმოცამდე, მაგრამ ძალიან კულუხი კი დამაწერეს: ოცი კოკა, თქვენი რისხვა არა მაქვს.

_ ნუ მეტყვი, გაბრიელ!

_ ე ყურძნის წვენის ზედაშის მადლმა და აი, მზი თვალი არ გამიწყრება... ოცი კოკა, ნათლი, ხუმრობა საქმე არ არის.

_ რას იზამს ადამიანი, _ ჩაერია ლაპარაკში გაბრიელის ჯალაბი ელისაბედი, _ სამართალიც ხელში აქვთ და კანონიცა. კიდე კარგი, თუ მაგას დაგვაჯერეს. წელს კიდე ამხდური გვაქვს; იქნება მოცდენილიყო.

_ ნუ წუწუნებ, ჩემო ელისაბედ, ღმერთი მოწყალეა, გული ნუ შეგიშინდება, საცა არა იქნება რა, არც არა დაიღვრებაო, ნათქვამია. მე კიდე, ღვთისა და ქვეყნის წყალობით, მაქვს; ღმერთს მოუცია ერთი ორი ლუკმა პური; მაგრამ ვინც ხელმოკლეა, სანაღვლი ის არის... რაც უნდა იყოს, ნათლია დარისპან, შენი სისხლ-ხორცია, შენი მეზობელი, გული აგეტირება, რო ხელმოკლეობით ღონე არა აქვს გაისტუმროს ან მტერი და ან მოყვარე. სათქმელი კი არ არის, მაგრამ სიტყვამ მოიტანა, თუ შემძლებია, არავინ უბრალოდ არ დამიჩაგვრინებია, ხელი წამიწვდენია.

_ აკი იმიტომ დაგიმადლებენ ხოლმე... ვინ გიხედავს მერე, _ სთქვა ელისაბედმა და გვერდზე მიიგრიხა სიკაპასით ცხვირი.

_ ღმერთი ხომ ხედავს, მე ისიც მეყოფა.

_ ღმერთმა კი ნუ მოგაკლოს და აკი იმიტომ გაქვს სახლში დოვლათი. _ ლაპარაკის დროს თან სუფრას შემოუსხდნენ.

_ ე ჩვენებური ხალხი, ღმერთმანი, ძაან თავაქალი ხალხია, ე ღვინის ხელი რო არ იციან; ალაგას ვენახები კარგია, მაგრამ აქაური ღვინო გაზაფხულს ვერ გაატანს. აი ე შენი ღვინო კი, ღვთის წინაშე, ძაან შენახულა, _ სთქვა დარისპანმა.

_ ჩვენი ხალხი, შენი ჭირიმე, უფრო ხვნას მისდევს; ჩვენ აგრე რიგად ვენახს არა ვმუშაობთ. იმდენი ღონე აღარ არი, შენი კვნესამე, დარისპან, რო სუ ბოლომდე გავაწვდინოთ მინდორთ, მინდორი-ჰეი! _ სახნავ-სათესი ილევს ჩვენ ღონეს, _ სთქვა ერთმა გლეხთაგანმა, გაბრიელის სტუმარმა.

_ მერე რა? ჩვენი მინდორი ურწყავია; თუ ბლომად არ მოხან, თავს არ მოდის: გოლვას რო დაგიჭერს, უნდა მოაგროვო რამე, თუ არა, ჰაი! გაგიხარიან, წვიმიან წელიწადში აქ ძნები გადიჭიმება ხოლმე! პურადაც გვყოფნის ხოლმე და ღვინოთაცა... ღვინო რა, იმდენი ხო მოგვდის, რო აღება გაგვატარებინოს, _ ჩაერია ლაპარაკში მეორე გლეხი.

_ მე თქვენ მოგახსენოთ, ე ხეობის სერები რო სარწყავი იყოს, ჩვენ საქართველოში ამას ადგილი არ ემჯობინებოდა.

_ შენ ისა სთქვი, გაბრიელ, რომა თარხანი მამულები იყოს, რომა...

_ ნხე! _ გააწყვეტინეს დარისპანს ერთხმად გლეხებმა. _ ეგ ხომ კოვზით ზიარება იქნებოდა. მაშინ აზნაურებს სულ უკან ჩამოვყრიდით, მაგას ვინ გვაღირსებს... ღმერთმანი, საწყენად კი არ მოგახსენებთ, ამ აზნაურებს არაფერი არ აწუხებთ და რად არიან ისე ნიათგამოლეულები?

_ იმიტომ, ჩემო ზურაბო, რომა არ მუშაობენ, არაფერსა კადრულობენ. მე და შენც რო სუ მუშით ვაკეთოთ ჩვენი საქმეები, სიღარიბეს ვერ ამოუვიდოდით. აი, ე დარისპანი, პირსაფერისად არ მოვახსენებ, თვითონ რო არ ირჯებოდეს, ლუკმა ექნება სახლში გამწყდარი..... რასაც მაგათი ჯალაბი, ჩვენი სვინა, ქალებში საოსტატოს აიღებს, ის სხვაა კიდევ, _ გაიხუმრა გაბრიელმა და სიცილით გადახედა დარისპანს.

_ ერიჰა! გაბრიელ, ეგ ვერ მოგივიდა. შენ ნინოში არას ავიღებთ, ნუ გედარდება. ჩემი შემოსაწევარი ეგ იყოს ნინოს ქორწილში; საოსტატოს არ გამოგართმევთ.

_ მე რაზე გამომართმევ, სიძემ იცეს თავში, _ სთქვა ელისაბედმა.

_ მაინც გული დაგეწვის.

_ ჰა, შვილო ნინო! შენ ქორწილშიაც კი ჩავკრავთ!

_ უყურე ჯამის ტრიალსა!..

გიორგის ესმოდა ეს ლაპარაკი. ერთსა და იმავე დროს გიორგისაც და ნინოსაც გულში ცეცხლის ალი ენთოთ, როდესაც ქორწილს შეეხნენ. გიორგიმ მხოლოდ აქ შესწყვიტა სალამური, რადგან გულმა ცემას უხშირა. ნინოს ფერი შეუკრთა და კაკალ ქვეშ დაიწყო ბროტიალი, რომ არავის შეემჩნია სახის ცვლილება.

_ ააგროვე, ააგროვე, შვილო, კაკალი და სანიშნობო ჩურჩხელა გააკეთე... სირცხვილია, აჰაა, ეს მეცხვარეს ერთი ყანწი ღვინო მიაწოდე.

_ რომელია? _ იკითხეს.

_ გიორგაა რაზმაძიანთი, _ უთხრა თავჩაღუნულმა და ვითომ კაკლის გროვებაში გართულმა ნინომა.

_ ვაი შენ ჩემო თავო! ოჯახიშვილია, გადასძახე, გადმოვიდეს, ეს როგორ მოგვივიდა, ელისაბედ...

ნინოს იამა; სწრაფად გაქანდა ღობისაკენ და ჭყეტა დაიწყო, მაგრამ ელისაბედმა სიტყვა მოასწრო.

_ აქეთ მოდექ, გოგო, რა შენი საქმეა... შენც რომ ეგ არ დასაქმო, ვეღარავინ იპოვნე? ყმაწვილი, შეღერებული გოგო ვაჟკაცთან რა მისაგზავნია... ადე, პეტრე, და შენ დაუძახე.

_ ცეცხლი და აბედი ხომ არ არის, რო მოეკიდოს.

_ უარესიც არის.

_ მე კი, ღვთის წინაშე, ჩემი ელისაბედი ვნახე თუ არა, მაშინვე გული შემივარდა, _ გაიხუმრა გაბრიელმა.

«ქურდს რა უნდა და ღამე ბნელიო», სთქვა გიორგი რაზმაძემ გულში, შემოვიდა კაკალ ქვეშ და სალამი მისცა; დაჯდომამდე ერთი ყანწი გამოაცლევინეს. გაბრიელმა უნცროსები წამორეკა და ყურძნის საკრეფად გაგზავნა, თვითონ კი გააბეს ბაასი.

_ შვილო ნინო, აბა კაი ყურძენი აგვირჩიე, სუფრის ლაზათია... შენც მოდი და ე დედაშენთან დაჯექ, პურის ლუკმა აიღე და მერე ჩაეშველე საკრეფად, ახლა ჩვენი რიგია ყარაულობისა.

ელისაბედს ქალის იქ დაჯდომა არ ეჭაშნიკა, მაგრამ აღარ აუხირდა. ნინომ თავშალი გაისწორა; ფართო, სპეტაკი შუბლი გამოიჩინა. გიორგის გულში ცეცხლი დაენთო, ცალი ხელი ხანჯალზე დაებჯინა, ცალით მალი-მალ ქუდს ისწორებდა და ულვაშის გინგლს იგრეხავდა, თუმცაღა საგრეხად არ იყო მოყრილი. გონება აერია; აზრი აზრს ვერ მიუყენა, რომ გადაეწყვიტა რამე. თავში მხოლოდ ნინოს სახე უტრიალებდა. ღვინომ თანდათან შეუკეთა; ამან დაბურული, დარეტიანებული თავი გაუბრწყინა, აზრები გაურკვია, ენა აუხსნა. ახლა კი გადასწყვიტა: რაც უნდა დაბრკოლება დაუხვდეს, არ შედრკეს, არ შეეპუოს, ნინო ამ დღიდან მის გულში დაინიშნა; გიორგის გულში პირველად და პირველი აღბეჭდილება მოახდინა; პირველად ნინოს სახე დაიხატა გიორგის უმანკოების სადგურში.

_ მე ისევ იქა ვარ, _ დაიწყო გაბრიელმა, _ რომ თუ გლეხის სახლში რამდენიმე კაცი ტრიალებს, იმას არა უშავს რა. აი ეხლა, თუნდა, ჩემი სახლი ავიღოთ; გუთნეული ხო შინა მყავს; მე შინა ვტრიალებ: ურემს და გუთანს ვაკეთებ; ვენახში ვტრიალებ, ვასუფთავებ, ვფურჩნი; ჩემი ძმა სიმინდებს უგდებს ყურსა; გუთნისდედად ჩემს საკუთარ გუთანს სხვა მისდევს, მაგრამ ე ჩემი უფროსი ვაჟი ღამის მეხრედ დასდევს გუთნეულს, ორიც დღის მეხრედ; გუთნისდედას, უხარო კაცია, რვა დღისას უხნავთ; მეორე ღამის მეხრეს, ისიც უხარო კაცია, ექვსი დღისას _ ეს ანეულობას, _ დანარჩენი ჩვენია. ახლა გაზაფხულისა, ახლა კიდევ შემოდგომისა იანგარიშე. ესე ხალხმრავლად რომ არა ვყოფილიყავით, სიღარიბეს თავს ვერ ავართმევდით, მამული რო შენი საკუთრება იყოს, მაშინ ხალხს არა უშავს რა... აი ეხლა, რაც მე საბერო მამული მიჭირავს, რო ჩემ საკუთრებად შევიძინო, მაგდენს აღარ გამოვეკიდებოდი, ამდენს აღარ მოვხნამდი. რასაც ეხლა ღალას ვიღებ, ის შინ დამრჩებოდა... ეხლა თქვენა, ე კეთილშობილებს, მამული გაქვთ და თქვენ კი არა ხნავთ. ვისაც ისე ბევრი აქვს, რო ბევრი ღალა შეუვა, კიდენ ჰო, მაგრამ მაგარი ის არი რო, ვისაც ცოტა აქვს, ისიც დიდი მემამულის ყაიდაზე მიდის. რათა, ძმაო, რა გაგიფუჭდება, რო გუთანს მისდიო.

_ სულ მართალს ამბობ, ჩემო გაბრიელ, _ უთხრა დარისპანმა, _ ჩვენ ეგრე დავჩვეულვართ თავიდანვე. უწინ სულ სხვის ხელით ვაკეთებდით და ეხლა გვეჩოთირება. აკი ვინც თვითონ ირჯება, ცხოვრებაც აქვს. ეხლა თანდათან კი ეჩვევიან, რაკი მეტი ღონე აღარ დარჩენიათ... ჩვენი კაცი სწავლაში იღუპება. აი ეხლა მე: ვიყავ, ვიყავ სკოლაში და გამოველ, ვერ გავათავე; კიდევ კარგი, რომ სოფლური მუშაობა შევძელ. აგერ ჩემი შვილიც გამოაგდეს, რაც ისწავლა, ის ფუჭია, არც შინაური საქმე ეხერხება. დღე ერთია და ჩხუბი ათასი. ის ყურს არ მიგდებს და სამტრედაოდ დადის ამ ცეცხლისკიდება მუშაობის დროს. მე კი ვერ მიბედავს და თქვენ ნათლისდედას კი ჩასცივებია, ცოლი შემრთეთო. აბა რა უნდა იყოს, მე უნდა დამაწვეს... ეხლა მოვიფიქრე, მელიციაში ჩავაწერინო. შინ გდებას და ნაცარქექიაობას გარეთ გავიდეს, და თუნდ მოკვდეს და თუნდ კაცად იქცეს.

_ ჰეი! რა ცუდი დრო შეგვექმნა და! უსწავლელი კეთილშობილი ერთს მანყულად არა ღირს.

_ ისეთს სკოლაში რო მიმეცა, რომა ე მამულის ხელი მაინც ესწავლა...

_ აიბე, მაგითანა სკოლაც არი, განა? აი დიდება შენთვის, ღმერთო, რა სალმასტერი ხალხი გახდა ქვეყანაზე! ეგ კი კაი ამბავია, მაგრამ ე ჩვენ რო არ გვისწავლია, _ გააწყვეტინა ზურაბმა.

_ მა დედი მუცლიდამ დაგყვა აი? _ უთხრა ღვინისაგან გათამამებულმა გიორგიმ. _ რატომ მე არ ვიცი ვენახის მუშაობა, გუთნის აგება, ურმის დასხნა? იმიტომ, რომ არ მისწავლია.

_ ეგეც კაი, მე და ჩემმა სიყმემ, მა რა არის, თუ არა ვსწავლობთ.

_ ყველაფერი სწავლით არის, _ სთქვა გამოცდილმა გაბრიელმა.

_ მერე ი სკოლაში იმას კი არ ასწავლიან, რო ე ურწყავ მამულში გოლვის დროს კარგი ყანა მოიყვანონ, _ სთქვა ზურაბმა.

_ ახლა კი დათვრა ჩვენი ზურაბაი, _ გაიხუმრა გიორგიმ.

_ გოლვის წამალი წყალია, _ უთხრა დარისპანმა.

_ მაგითი გვჯობნიან ჩვენ სარწყავის ხალხი, თორემ ჩვენი მამული ოქროა, ოქრო.

_ უწინ თურმე სარწყავი ყოფილა ჩვენი სალთვისის მინდორი.

_ კაცო, განა არ ეტყობა ი ნარუალი, ნაკედლარზე რუს კვალი გასდევს; ადვილი გადმოსაგდებია, რო კაცმა მოინდომოს.

_ უწინ რო გამოუყვანია, ჩემო ზურაბო, თამარ მეფეს გამოუყვანია; ეხლა, მე შენ გითხრა, თეთრუაანთ ოთარა გამოიყვანს. რო გაჭირება იყოს, კაცი კაცს თავს ვერ მოუყრი.

_ ნწა, არა, გაბრიელ, მეფე ერეკლეს გამოყვანილიაო... ჰეჰეი! ი მეფე ერეკლე კი არა ყოფილა ერთი ვაჟიკაცი თუ! ერთხელ, თურმე, ე ჩვენი საყდრის გალავანში მოასწრეს ლეკებმა, მოვარდა თურმე ი წუწკი ბელადი გალავანზე, წამოყელყელავდა და იხედება, მერე თურმე შემოურბინა, კარი უნდა ეპოვნა. წამოხტა თურმე ერეკლე მეფე, გაივლო ხმალს ხელი, შემოუქნია ი გალავნის პირად და ყველივით მოთლილი ბელადის თავი, თურმე ნუ იტყვი, ზედ სუფრაზე კი გადმოუგორდათ.

_ თურმე პატარა კაცი კი ყოფილა ის დალოცვილი, _ სთქვა დარისპანმა.

_ იმი გამჩენის ჭირიმე, იმი! პატარა ყოფილა, მაგრამ უნარიანი.

_ ერთხელ თურმე, _ დაიწყო ისევ ზურაბმა, _ ე ჩვენი ციხიდამ გავიდა და მძევალი აღარ გაუშვა მტრისა, ისე თურმე გაავლო მუსრი. ჯარს თურმე სუ ფრენით

წაიყვანდაო... ეხლა, შვილოსა, ჟანგიანი დანაც კი აღარავის მოგვეძევება მთელ გლეხობაში. ე გიორგას თუ აქვს იარაღი... ეეჰ! _ ამოიოხრა მოხუცმა ზურაბმა. _ ხალხიც უწინა ყოფილა და ქუდიც იმათა ხურვიათ. ეხლა სუ დაქალაჩუნდა ხალხი, სუ!

_ შენ აგრე გგონია, ჩემო ზურაბ. დარისპანის მზემ, თქვენ არ დაგიფიცავთ, რო შენ ქართველ კაცს არ იცნობ: უწინ ისეთი დრო იყო, რომ უფრო მტერთანა ჰქონდა საქმე, ეხლა მტერი აღარ არის და შრომასთანა გვაქვს საქმე. მტერი ნუ გამოგვიჩნდება, ჩემო ზურაბ, თორე ხანჯალიც გაგიჩნდება და თოფიცა. აბა, შენც მოგიკლას ვინმემ შვილი, ან ცოლი, ან ძმა, როგორც უწინ უხოცდნენ, ისეთი გააფთრდები, როგორც ძუ ლომი.

_ ჰეიდა ჰეი!.. ბა, ბა, ბა!.. ჭკუაზე ახლოა, შენმა მზემ.

მზე გადიწვერა: ლეგა ღრუბელი გაჩნდა და მზე შიგ შეცურდა; ქარმა მძლავრად დაუწყო ხეებს ზნექა: ჰაერი საგრძნობლად შეგრილდა; გაბრიელის სტუმრები აიშალნენ; ლაპარაკით წავიდნენ ვენახის ბოლოში; გიორგიც აედევნა, რომ ერთი კიდევ გაეკრა თვალი თავის მკვლელი ნინოსათვის, რომელმაც ასე უცნაურად შეჰბოჭა მისი გული და დაიდო მუნ შეურყეველი ბინა.

III

ერთ დღეს, სამხრობის დროს, შეიკრიბნენ ტოლი გოგოები და გასწიეს საცვრევლად ვენახებში. ამათთან ნინოც იყო. გოგოები ხითხითებდნენ, პროწიალობდნენ, ერთმანეთს აზიზღიანებდნენ, გაჯიბრებული დარბოდნენ ვენახებში; ერთს კუფხალს რამდენიმე ერთად მისცვივდებოდა და ჰქონდათ ერთი ფოციაკალი და ვაი-უშველებელი. როდესაც გოგოები პატარა გორაკიდან ფუნდრუკით და კოწიაწით ჩაეშვნენ დაბლა ვენახებში, ამ დროს ამავე გორაკზე, ძეძვის ბუჩქთან, თოფით ხელში წამოწოლილიყო ერთი ახალგაზრდა, ჩერქესკით და მაღალი ჩუსტებით ჩაცმული. ამ ჩერქესკიანმაც მარდად ჩაირბინა გორაკი, უყელა გოგოებს და კაკლებ ქვეშ მოექცა. აქ ამას შეხვდნენ სხვა გლეხებიც და მათში გიორგი მწყემსიც. ამ ვენახის პატრონი ჭაჭას ჰჭაჭავდა. რთვლები მთლად გათავებული იყო, ვაზის ფოთოლი სრულიად ჩაყვითლებული და ჩამხმარი იყო, რომელიც ქარს ელოდა, რომ გაეცარცვა მისი საფარი.

_ რას ნადირობ, ალექსანდრე; ეხლა რაღა დარჩენილა, ყვავებს თუ დახოც, _ უთხრა გიორგიმ ალექსანდრე გველესიანს, დარისპანის შვილს.

_ შენ რა გეკითხება; წამალი არ გეხარჯება და ტყვია. თუ არა შემხვდება რა, ე გოგოები ხომ აქ არიან.

_ ნჰე, აზნაურიშვილურმა წამოჰკრა, _ სთქვა ერთმა გლეხმა.

_ გოგოები რა, ალა-ალა ხომ არ არის, _ გაიხუმრა მეორემ.

_ ეს ქალაქი კი არ არის, რო ეგრე ლაპარაკობ, _ სთქვეს სხვებმა.

_ რა გოგოებიო, ვინ გოგოებიო? _ წამოდგა გიორგი და გაოცებით გამოელაპარაკა. გიორგის გულმა უწინასწარმეტყველა, რომ უთუოდ გოგოები არიან აქ სადმე საცვრევლად და იქნებ მისი გულის მპყრობელიც მათში ერიოსო.

_ ერთი ჯელგა გოგოები ჩამოვიდნენ, აი, აიმ ვენახში; ერთი კაი ბიჭი მაგათ ეხლა, _ ღრეჭით სთქვა გველესიანმა.

_ იქნება ვისნი არიან, რათ ლაპარაკობ აგრე, ჩემო ნათლია; რაც უნდა იყოს, მეზობლები არიან და რათ უნდა ახსენო ეგრე უწმაწურათა, _ უთხრა ვენახის პატრონმა.

_ რაც უნდა იყოს, ღმერთმანი, ბერო, ცოლშვილიანი კაცი ხარ და არც შენ დაიწუნებდი გაბრიელას გოგოს; ისეთია, რომ ლოყები სულ თურაშაული ვაშლისავით უღაჟღაჟებს, ლამის ზედ დაასკდეს.

_ აი, შეგარცხვინოს ღმერთმა და თავს ლაფი გესხას!.. კარგი ვინმე ყოფილიყავ, სკოლას თავს არ დაანებებდი, _ უთხრა ბესომ და ყურძნის ქაჯვა შეაყენა.

მწყემსი გიორგი რაზმაძე ვერ წარმოიდგენდა, თუ იმ უმანკო არსებას, რომლის სახე მას, აგერ რამდენიმე დღე იყო, რაც გულში ჩაეხატა, რომელიც მას სიფრთხილით დაჰქონდა, რომელიც თვალთა წინ აჩრდილად ეფეთებოდა და მას დასდევდა _ ვერ წარმოიდგენდა, თუ შეუგინებდა ვინმე, ჩირქს დასცხებდა ვინმე ნინოს ფიფქ ხატს. მას გული აემღვრა; ცამ და ქვეყანამ მისთვის ამ წამიდან შესწყვიტეს ცხოვრება; მისთვის მზე აღარ ანათებდა; ძარღვებში სისხლი აუდუღდა და გული გასქდომას ლამობდა. და როდესაც პატარა აზნაური ბეროს საყვედურის სიტყვებმა გააბრაზეს და გაიწია მისკენ დასაკვრელად, გიორგი გადაეღობა წინ, გადაგრიხა წელში, დაჰკრა ღონივრად ჩობახი და უსულოდ დააწვინა დედამიწაზე.

_ უწინ ჩემი სიკვდილი ნახეთ, სანამ შენ გაბრიელის ქალზე გალაპარაკო. _ გაშმაგებულმა გიორგიმ აღარ იცოდა, რა ექნა; ამოიწია ხანჯალი, უნდოდა უკანასკნელი წვეთი სისხლისა ამოეცლია პილწი პირიდან გველესიანისთვის იმისი სატრფოს ცუდად ხსენებისათვის, მაგრამ ამ დროს მოულოდნელმა შემთხვევამ შეაფერხა: ღობესთან მომდგარიყვნენ ცვრეველი გოგოები და პირდაღებული შეიჭყიტებოდნენ. გიორგიმ მოავლო თვალი ნინოს და ფერმიხდილი კაკალს მიეყრდნო.

_ ნინო ჩემია, ვერავინ წამართმევს, მასზე არავის გავახარებ და არც ვალაპარაკებ, _ წაიბუტბუტა გიორგიმ. ნინომ ეს გაიგონა. იგი შიშმა და სირცხვილმა აათახთახა; მაშინვე გამოეშურა სახლისაკენ, მას მოჰყვნენ დანარჩენი გოგოებიც და ერთი თვალის დახამხამებაზე გადაფითრებულ-გადაყვითლებულები ამოცვივდნენ სახლებში. ეს ამბავი ტყვიასავით გავარდა მთელს სოფელში, და რომელსაც მიეცა მასალა ჭორიკანობისა და კილვისა.

_ დაუდგა თვალები ელისაბედსა, თავი მოეჭრა მაგ უბედურსა, გენაცვალეთ, და ეს იყო. ან, ქა, რაღა დროს ოსტატთან იმის ყოლა იყო, ქა, გასათხოვარი ქალისა!

_ ახლა შენცა, ქა! რა იცოდა, თუ ესეთი წყეული და შეჩვენებული შვილი ეყოლებოდა... მერე, ქა. შენა თქვი და შენ მოიგონე: პეტუაი, ი გაბრიელას პეტუაი, დარისპანის ხელით არის მონათლული.

_ აი, არ გაახაროს და არ გააცინოს ნათელ მირონობის მადლმა და ძალმა; მატლად გადაუქციოს იესო მაცხოვარმა ის მირონი, რომელიც გაბრიელის ოჯახზე მიუღიათ.

_ რაზმაძიანთ გიორგა რო არ შესწრებულიყო, ვინ იცისო, იქნება უნამუსობაც ეჭმია ვისთვისმეო.

_ ჰა, იცით, იმას რა უთქვამ? ნინო ჩემი საცოლეაო; მაშ, ქა! იმიტომ გამოუდვია თავსა.

_ ეგ ნინო გოგო ისეთი შუბლისაა, რო წმინდა წყლისა არ უნდა იყოს. თითის ტოლა გოგოსთვინ რაები მოხდა.

_ დედაშვილობამა, რო ლამაზ ქალს ათასი საფრთხე სდევს, ცხრაკლიტულში რო გყავდეს, იქაც გაიგებენ. ვინ იცის? იქნება ქალი ცამდინ მართალიც არის, მაგრამ ეხლა კი სახელი გაუფუჭდა... ახლა საბრალო ალალ-მართალი მშობლების ცეცხლი

თქვით ზოგი... მთელი სოფლის გაჭირვების ტალკვესი გაბრიელი იყო და არის. რაღა მაგას დაატეხა ი დალოცვილმა ღმერთმა ასეთი ბრიაბრუობა.

ასე სჯიდნენ და ასამართლებდნენ სოფლის დედაკაცები მომხდარ საქმეს.

IV

დილაა, დასავლეთის ცივი ქარი ჰქრის, თან მოაქვს ლეგა ღრუბელი, ჰგლეჯს და აქეთ-იქით დაარბევინებს, გადააქვს აღმოსავლეთისკენ. მალე ნაგლეჯი ღრუბლები გადაიბნენ და მთელი ცა ტყვიისფრად მოიგრაგნა. მაგრამ გიჟი ქარი არ უსვენებს, ჰფანტავს, არ აყენებს ერთ ალაგას; მიაქანებს ღრუბლის მთებს მზესთან და აბნელებს ქვეყანას; უცბად ხდის ფარდას და მანათობელი ქვეყნისა გამოვარდება ათასფრად აბრჭყინებული. არა უაჯა ქარმა ქვეყანას, არ დაანება, რომ ეწვიმნა, დაელბო მიწა და მით გლეხის გული მოეგო, რომელიც გულხელდაკრეფილი შესცქეროდა ცის ნამს, რომ დაეფარცხნა ხნულები. მხოლოდ ხანდისხან კი მზე პირს წაიბანდა ხოლმე, სცრიდა წვიმას, რომელსაც მალე ისვამდა გახარბებული მიწა. უგემური, დაღრეჯილი _ თუ შეიძლება ასე თქმა _ დღე იყო. კაცსაც აუგემურებს, აწუხებს, გულ უკვნესებს. ხალხი საბძლებთან შეგროვილიყო, ცას მალი-მალ ავლებდნენ თვალს, ენატრებოდათ წვიმა, რომ ფარცხი გაეტანათ და უსაქმურობას მორჩენოდნენ.

გაბრიელა ხარებაშვილს კი საქმე გაეჩინა: დერეფანში ურმის თვლებს ჰკვერცხავდა. მალი-მალ იმართებოდა, რამდენსამე წამს გაშტერდებოდა, თვალი წაუვიდოდა შორ-შორს და კვალად ხელეჩოს მიმართავდა. ელისაბედი კი კვახებს აბინავებდა დერეფნის ხარიხებზე. ცოლ-ქმარნი შეწუხებულნი სჩანდნენ, გაბრიელს ჩვეულებრივად სახე აღარ უცინოდა და შუბლზე ჭმუნვის ნისლი მიმოუქროდა; ამ რამდენსამე დღეში თითქო კიდეც მობერებულიყო.

_ კაცო, რა ყური წაგიგდია; უნდა იფიქრო რამე თუ არა ამ გულმკვდარ გოგოზე, ამ ჩვენ ცოდვისშვილზე. თავი მოგვეჭრა, ოჯახი გაგვიუნამუსოვდა... შავ და უკუღმა ის დღე და საათი, როცა მე ეს, _ მიიშვირა ხელი ნინოზე, რომელიც საპერანგეს ჰკერავდა, _ მივაბარე გველესიანს ოჯახში. ესეც კი შენი ბრალია, თორემ ოხრებულიყო სახლში და რაც ესწავლა, ესწავლა. მე თუ წიგნი ვიცი, მე შენ მოგახსენო, ძრიელ ბევრს კი მადგება...

_ რაც იცის კაცმა, ჩემო ელისაბედ, მუქთად არა ჩაუვლის რა, _ დაიწყო გაბრიელმა მშვიდობიანად, არ უნდოდა ლაპარაკის აშლა, გაბოროტებისა ეშინოდა. _ მე განა იმიტომ ავიხირე და მივაბარე ოსტატსა, დარისპანის მეუღლესა, — განაგრძო იმავე კილოთი გლეხმა, _ რო ეს დღე დამდგომიყო. ეშმაკს თვალთ არ უჩანს; რა ვიცი, მთელი სოფლის გოგოები სუ ეფემიას სახლში დაიზარდნენ, მაგრამ ეს საქმე კი არავის დამართნია. განა ისინი კი არ სწუხან? ისეთია დარისპანი, რო დანა ყელს არ უხსნის. იმისმა მარჯვენამ იხაროს, ი გიორგისამაო, რო წელი აათრევინაო.

_ ერთი კიდენ ეგა, რომ ი რთველში მოიყვანე ი გიორგაი და ჩამომიჩაჩხე ყმაწვილ ქალთან.

_ არა, დიდება შენდა, ღმერთო! რას მოიფიქრებს ადამიანი: ხალხიც გაუკუღმართდა და დროცა. აბა, რას მოიფიქრებდა კაცი, თუ... ადე, შვილო, შინ შედი... _ მიუბრუნდა გაბრიელი ნინოს და შემდეგ გაწყვეტილი სიტყვა განაგრძო: _ რას მოვიფიქრებდი, თუ ჩემი ქალის შერთვა ედო გულში. ეგ რაა, კიდენ, თურმე,

დარისპანის შვილს უთქვამს, რომ უსიკვდილოთ ნინოს თავს ვერავინ წამართმევსო, _ სთქვა ნაღვლიანად, სვენებ-სვენებით გაბრიელმა და აიმართა.

_ ისემც უკვნესია იმასა! დიახ! _ წაიდუდუნა ნინომ, ჩავიდა დარბაზში და იქვე კუნჭულში საურდულესთან ჩაჯდა, რომ ლაპარაკი გაეგონა.

_ გაურცხვდა ქვეყანაი, გა! ხედავ, როგორ გამოგეპასუხა... ახლა ე ბრიაბრუობა როგორ უნდა ავიხადოთ თავიდან, არ იტყვი, ადამიანო?

_ რა ბრიაბრუობა, რას ამბობ, დედაკაცო. თუ თქვეს რამე, მოსწონებიათ და თქვეს: მთელი სოფლის ბადალია ჩემი ნინო. რო იტყვიან, ნეფეს ეკუთვნის ცოლათაო, სწორედ ნინო არის... რა ბრიაბრუობაა! პური ბევრი, ღვთის მოწყალება, და ღვინო... ამ შემოდგომაზე დავაქორწილებ და ის იქნება... ასეთი ოჯახიშვილები მთხოვენ, რო შენი მოწონებული, სულ სარწყავის ხალხი... წავა და ყველას დაავიწყდება ეს ამბავი... ჰმ, არა, ი დარისპანის შვილი რო ახირებულა, რო მე ვერავინ წამართმევსო... ნჰი! ამასც მოვესწარი, რომ აზნაურიშვილი გლეხკაცის ქალს ირთავდეს.

_ რათ მოგვივა კარგი დრო, აბა! _ წაიწუწუნა ელისაბედმა.

_ არა, რო არ გაგონილა ადამის ჟამიდგან ესა!.. მერე როგორ უნდა შეიფეროს აზნაურის ოჯახი, ან ჩემი ქალი როგორ უნდა შეიფერონ; ორ დღეზე მომიკლავენ, ამოიჭამენ იმათი ნათესავები; შვილსაც დავკარგავ და მზითევსაცა. შვილს დავკარგავ, თორემ სხვას ვინა ჩივის... ნწარა! როგორც გვიწირავს, ისე უნდა იყოს... თუმცაღა კი, ღვთის წინაშე, ისიც კაცია და მეცა... რათ უნდა იყოს ასე... ნწა! ეეეი, არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო; რაც არ ექნას პაპა შენსაო, ნურც შენ დახევ მარმაშებსაო. ნწ!.. თუმცა კი ჩემი ქალი ნასწავლია, საკერავი, წიგნი...

_ ადამიანო, რას გადასცემ! ჩვენ მთხოვნელები არ დაგველევა ამ გოგოსი. ერთი მითხარ, ვინ დაგვერიდება? იმ დღესაც არ იყო, გვთხოვდნენ. მერე, რა ოჯახის შვილი! ქილებით თურმე სულ ძველი პრიალპრიალები უდგია.

_ საჭირო არ არის; მე არც აზნაური მინდა და არც ქილით ფულები; მე კარგად ვიცი, ვისაც შევირთავ, _ გამოაღო ნინომ დარბაზის კარები, მშობლებს წაელაპარაკა და გვერდ-გვერდ, ტუჩის ბზუკვით, მოღრუბლული სახით, რომელშიაც მრისხანებაც გამოსჭვივოდა და გაბედულობაც, გავიდა ბანზე. გაბრიელ და ელისაბედი გაშეშდნენ, გაშრნენ; გული დაუთუთქათ მათ ქალის სიტყვებმა. ქმარი ცალი ხელით ხელეჩოზე დაეყრდნო, ცალი ქამარში ჩარჩა! ცოლმა თავშლის ყურები ჩამოიშალა სიმწარით. ორივე ხელი მოკეცილ მუხლებზე დაიბჯინა და ცოტად წამოიწია მიწიდან. ორთავე გაოცებით, გამოცეტებულებსავით გაიყურებოდნენ დერეფნის კარისკენ, სადაც მათი დამთუთქი ნინო გავიდა. რამდენსამე წამს დარჩნენ ამ უძრავ, გაოცებულ მდგომარეობაში, არც ერთს არ ეჯერებოდა ნინოს სიტყვები, ერთსა და იმავე დროს გაბრიელმაც და ელისაბედმაც გაიფიქრეს, რომ უთუოდ ეშმაკეული თუ მოევლინათ, რომელსაც სურს მათი მშვიდობიანი, აუღელვებელი, მყუდრო ცხოვრება აუმღვრიოს, მოუშალოს და ეს ნაქები და დოვლათიანი ოჯახი პირქვე დაამხოს... ერთსა და იმავე დროს ორთავ ცოლ-ქმარმა პირჯვარი გამოისახეს. ორთავეს გული გაუქანდათ სალოცავებისაკენ. ვერ წარმოიდგინეს, თუ ის სიტყვები ნინოს ეკუთვნოდნენ. ელისაბედს გულმა აღარ მოუთმინა, წამოდგა, ჩავიდა დარბაზში, რომლის კარები სიფრთხილით შეაჭრიალა, თითქოს არავის შეწუხება არა სურსო, უნდა დარწმუნებულიყო: ნინო იქ იყო, მართლა ის გამოვიდა, იმან გააშმაგა და ცეცხლი მოუკიდა მშობელს ძუძუებზე, თუ მართლა ბოროტი სული გამოეცხადათ. ელისაბედი მსწრაფლ

გამობრუნდა, მივარდა ქმარს, როგორც გაალმასებული ძუ ვეფხვი და დაბალის, მაგრამ გამწარებულის ხმით უთხრა:

_ ოჯახი დაგვეღუპა; ეს რას მოვესწარით... რა მიარბევინებდა მაგ წყეულს საცვრევლად, რა! ნეტა ყურძენი თავს საყრელი მაინც არა ჰქონოდა მაგ გველის წიწილსა, მაგ!.. ნეტავი, შვილო, გველი მეშობნა და შენ არა... _ ელისაბედმა ვეღარ შეიმაგრა თავი, ადუღდა, ჩაკუჭკუჭდა და მდუღარება გადმოსკდა თვალთაგან.

_ შენმა მამისულმა რა მიყოს, შენმა მამისულმა, თუ შენ რა გიყო! ცხვარი ცხვარიაო, თუ გაცხარდა, ცხარეაო, დამაცა, დამაცა და! _ შეელაპარაკა გაბრიელი თავის ქალს დერეფნის ერდოში, საიდანაც მისი კაბის ჩრდილი ერდოში ჩამომდგარ მზის სვეტში ციმციმებდა. _ შენს ფეხს დავიკრავ თავზე, თუ მე შენ რაზმაძიანთ გიორგას მიგცემ, _ გაათავა გაბრიელმა წყრომით და ხელეჩოს რახვანი მოადინა.

V

უკუნი ბნელი იყო; თვალთა წინ აღარა სჩანდა რა; თუმცა ღამის გუშაგმა დაისსავე ერთი ამოანათა, მაგრამ მალე ზედ გადაეფარა სქელი ღრუბლის საბანი; სრულიად დააბნელა ქვეყანა, წაართვა მას მნათობლობა. ღრუბელი თითქმის მიწამდე დავიდა; წვრილი, ჭიოტა წვიმა სცვარავდა ღრუბლიდან; ქარი ნებას არ აძლევდა, რომ ნებივრად, ნება-ნებად ჩამოსულიყო ცის ნამი ნიადაგზე და მის გულში გამჯდარიყო; ქარი აქეთ-იქით დააქანებდა ჭიოტა ცვრებს, ჰაერში ააპროწიალებდა, უფრო აკნინებდა, მტვრად ჰხდიდა და ამ მტვრადნაქცევი ცვარებიდან ბუქს აყენებდა. ქარი, ეს განუშორებელი სტუმარი შემოდგომისა, ხან თითქო შესდგებოდა, ხან მშიერი ნადირივით დაიღმუვლებდა, შორს, შორს გადიოდა ზუილით და ბოლოს სიმივით სწყდებოდა. ამ დღეს მთელი სოფელი საფარცხად იყო გასული.

ღამის ცხრა საათი იქნებოდა; სწორედ ორი კვირის შემდეგ მას აქეთ, რაც გაბრიელის გულს მისმა ქალმა დაღი დაასვა. გაბრიელის სახლში ამ ავს ღამეს ათიოდე კაცი იყო ვახშმად; ისინი ფარცხვიდან მოსულიყვნენ; შუა ცეცხლთან ისხდნენ და გატალახიანებულ გაზებს იფშვნეტდნენ; საკიდელზე ყურიანი ქვაბი ეკიდა; ელისაბედი მოსდგომოდა ციცხვით და წვენს უქარვებდა, რომ არ გადმოსულიყო; სტუმრებს უმზადებდა შემოდგომის საყვარელს საჭმელს _ ბატის ჩურჩიანს და დანიგვზულ ხარშოს. დალაგდნენ. გაიშალა ლურჯი სუფრა. დარბაზის დედაბოძზე პატარა ლამფა იყო ჩამოკიდებული, რომელიც ანათებდა იქაურობას. დედაბოძზე მიტყლეჭილი აღდგომის წითელი კვერცხი ლამფის შუქზე ათასფრად ბრჭყვიალებდა და აფერადებდა ბოძს. ყველანი დასხდნენ სუფრაზე, ქალების გარდა. ელისაბედი რაღაცას დაფუსფუსებდა, შედიოდ-გადიოდა; ბოლოს ქმარს ამოუჯდა მუხლთან და ნაზად დაუწყო პურს კიკნა. ნინო დედაბოძს უკან, რომლის ჩრდილი მას აჰფარებიყო, კიდობანსა და სალოგინეს შუა მდგარ ზანდუკზე იჯდა და ცალი ხელით დაყრდნობოდა კიდობნის თავზე. იგი ხშირად ახედავდა ხოლმე ბანს, საიდანაც ჩამორბოდნენ წვიმის წვეთები, ცეცხლის სითბოში ორთქლად ქცეულნი, კვალად უკან ბრუნდებოდნენ ცის სივრცეში, რომ ისევ ჩარეულიყვნენ წვიმის ნამებში. ნინო ხედავდა, რომ ბანზე გადარბოდნენ უზარმაზარი შავი ღრუბლები, რომლებიც მას გულზე ლოდივით აწვებოდნენ და თავს უმძიმებდნენ. იგი მოშალა ამ საშინელმა ღამემ, შეაძრწუნა: ამ ღამეს დაპირებულია გავიდეს თავის გიორგის სანახავად, რომელიც მას ცდას

დაუწყებდა. გიორგი ცვრევის შემდეგ და უფრო მაშინ, როდესაც ნინოს გამოესარჩლა და მისთვის თავი გასწირა, გახდა ნინოს საყვარელ საგნად. მან გადასწყვიტა, არ დარჩეს გიორგის მოვალედ, გადაუხადოს სიკეთე საუკუნოდ მასთან შეერთებით. ელის გულის ფაცფაცით ვახშმის გათავებას, ელის მოუთმენლად შინაურების დაძინებას; წამები დღეებად მიაჩნია; ვახშამი მთელ საუკუნოდ გადიქცა მისთვის. მას სიბრაზე და მოუთმენლობა გულზე აწვება, ჭია უღრღნის გულსა და სულს; იხედება აქეთ-იქით; გადასცქერის მალი-მალ სუფრას.

მაჭარმა მფარცხველები შეაჭიჭინა; ყველას გული გაეღო, ენა აეხსნა; ასე გასინჯე, პატარა პეტუაც კი ჩაერია ლაპარაკში და ტიკტიკს მოჰყვა.

_ ე წვიმას რო არ მოესწრო, მე შენ მოგახსენო, დღეს სულ ჩავფარცხავდით, აგვიტალახა და. ამაღამ რომ გადიკაროს, ხვალ სადილს შემდეგ კაი საფარცხი შეიქმნება. ისე კი დაბუჟბუჟდება, რო... ღრუბელივით კი შეუსვამს. ეს არის, რომ წვიმის ცდა გვინდება, თორემ სარწყავის ხალხზე ჩვენ უფრო ადრე ვრჩებით, იმათ დიდი ჯაფა უნდებათ. ბელტი მაგარია და გვიან ლბება. ამ ურწყავის ხნულს მოხვდება თუ არა ნამი, ი დალოცვილი კირივით დაიშლება ხოლმე.

_ ეგრე, მაგრამ ისინი რო წყალს მიუგდებენ და ჩვენ ცას შევყურებთ, ესა?.. იმათი შრომა ფასდება, მუდამ მოსავალი მოაქვს.

_ მოსავალი ხო იცი, მაგრამა ი წყალი თურმე ძიელა ლახავს მიწასა, რეცხავსო, კაცო, ჰო, თავი არ მომიკვდება! ჩემმა მოყვარემ მითხრა, რომა დიდი ჯაფად გვიჯდებაო. თუ ორი-სამი წლის შემდეგ არ გავაპატივეთ, არა მოგვივა რაო. მერე თუ მოვა, ი დალოცვილი, როგორც ბრინჯი ისე მოვა. იქაური ერთი დღიური აქაურს სამს დღიურს უდრის მოსავალში.

_ ე ხალხი კი ღარიბია უფრო ჩვენზედა და!

_ ვერ ერევიან, გაბრიელ, სამუშაოსა; იქ რო ერთი დღისა შეიმუშაო, აქაურს იმ ხანში ხუთი დღისას შეიმუშავებ, წყლისაგან გაჭანარებულია ნიადაგი; მეორეც ესა, იქაური მამულები სულ სამეოთხედოა; ჩვენ რა გვიშავს... იქ ზოგან ძიელ შეჭირვებაში არიან. რა მაგ სიტყვის პასუხია და იმ დღეს მკითხავთან მივდიოდი. ი თქვენი ნათლული რო იყო ავათა... წინ ერთი ლიახვის ხეობის გლეხი შემეჩეხა, მკითხავთან გხლებულიყოთ ისიცა; გავაჩერე, უნდა გამეგო მკითხავის უნარები. იმან არც აცივა, არც აცხელა და ასე კი მითხრა: ერთი გულქვა, აჯამი კაციაო, ხმელს ხილისტოტს ვერ შევიტანთ სახლში, თუ ნახევარი იმას არ მივართვით, ხახვის ფოჩს ვერ მოვგლეჯთ იმის შიშით. ნეტა ჩაძვრეს მიწა და თან ჩაგვიტანოსო. ახლა მკითხავთან გამგზავნა სოფელმა, აკითხვინე, არა ეშველება რა ამ ჩვენს ასეთს გაჭირვებასაო? ღმერთთან მაინც გვითხოვოს, რო თუ შეიძლება ჩაძვრომა, ე ჩვენი სოფელი ჩაძვრესო. ასე კი მითხრა მკითხავმაო: მე მაგისთანა მკითხაობა არ ვიციო; მეორეც ესაო, ვთქვათ რო ჩაძვრესო, ისიც თან არ ჩამოგყვებათო და რა სარფაში იქმნებითო: მკვდრებსაც არ მოგასვენებთო...

_ ხა, ხა, ხა! აიბე, აიბე! _ ჩაიცინეს შეზარხოშებულმა გლეხებმა და თავები ჩაჰკიდეს.

_ ასე კი მიამბო... აი, სარწყავია, წადი! დახე, რა გაჭირვებული ცხოვრებაა.

_ ზურაბო, _ სთქვა გაბრიელმა, _ რაც უნდა იყოს, _ სარწყავის კაცი დაიმედებულია, ჩვენ კი უნდა ვუცადოთ, მაისი რას იტყვის... მწ! ის სულ სხვაა, რას მასწავლით.

აიშალნენ ვახშმიდან და ბრაცუნით გავიდნენ დერეფანში. ნინოს ზურგიდან ტვირთი მოეხსნა; გულიდან ლოდი მოეშვა, კაეშანი ნახევრობამდე გაუქარდა;

სასთუმლები კიდეც გაასწორა ელისაბედმა; დასაწოლად მოემზადნენ. ნინომ იქვე ზანდუკთან ჭილობი მიიგო, კაბა მიიხურა და მიწვა.

_ გოგო, შვილო! გასაწყრომი ჩვენა გვაქვს და პირიქით შენა წყრები და იბუტები? ადე, სწორედ დაწექ! ვაი რა ვქნა, ჩემი მატლი ხარ, თორემა... _ სთქვა მთქნარებით შეზარხოშებულმა გაბრიელმა.

_ არაუშავს რა, ეგეც მეტია მაგაზე, _ ჩამოართვა სიტყვა ცოლმა. _ შენ ნუღარ დაფარფატებ; დაღალულ-დაქანცულები ხართ, დაეყარენით, რო ხვალ დროიანად მიხედოთ საქმესა.

ელისაბედმა ცეცხლი წაფლა, ლამფა გააქრო და გახდა დაიწყო.

_ პეტუა, შვილო, გარეთ კარები დერეფნისა ჩაკეტილია?

_ მე ჩავკეტე, _ იცრუა ნინომ და ხმა გაიკმინდა.

უცნაურმა ხვრინვამ და ათას ხმაზედ ცხვირის სტვენამ შეატყობინა ნინოს, რომ შინაურები მძიმე ძილმა მოიცვა. პირველი ძილი, ძილი დაისისა, მაგარია. მეორე ძილი დაღალულ-დაქანცულისა, მუშა კაცისა, რომლის ყოველი სხეულის ასო მოდუნებულია და სრულს დავიწყებამდე მისული, განსვენებას ეძლევა. ნინომ იდროვა, წამოჯდა და ხვრინვას და ცხვირთა სტვენას ყური წაუგდო. ჩაიცვა კაბა, კაბის შრიალზე შესდგა და კიდევ ყური წაუგდო. ადგა, მივიდა კარებთან, ჩაჯდა, ურდული სიფრთხილით გამოსწია და კარების გამოღება ვეღარ გაბედა. გულმა ძაგძაგი დაუწყო; გრძნობდა, თუმცა კი გამოურკვევლად, რომ მოსაწონს საქმეს არ ჩადის. ისეთს საქმეს სჩადის, რომლის მსგავსი იმათ სოფელში არ მომხდარა. ურდულის გამოწევის დროს თავში მოუვიდა აზრი: რად სჩადის ამ დედ-მამის უნებურს საქმეს? წაუგდო ისევ ურდული, მაგრამ გულმა სხვა უთხრა: თვალწინ გაუშალა სცენა კაკალქვეშ საწნახელთან, წამოუდგა კოხტა გიორგის სურათი და ხელის კანკალით გამოუყარა ურდული. გაჩერდა კარების ამყოლთან რამდენსამე წამს მკვდარი, დათუთქული, უარაქათო; მას აღარა ესმოდა რა; ყურები უბჟუოდნენ, ნერწყვი უშრებოდა, აღარ ესმოდა საშინელი ხვრინვა-სტვენა შინაურებისა. სიყვარულმა სძლია; გულმა აჯობა გონებას. გაბედვით გადგა ფეხი დარბაზის კარებიდან. ძარს ქვეშ მას ფინია მიესალმა საყვარლის მაგიერ და შესწკმუტუნა. ცივმა ქარმა და შხაპუნა წვიმამ გამოარკვიეს ქალი. ნინო მოცნობილდა, მოცოცხლდა. სახლის აღმოსავლეთით მოედანი იწყებოდა; მოედანი წყდებოდა სერის პირზე, რომელიც დაბლა ვენახებს გადასცქეროდა. ზედ ამ სერის პირზე გიორგის ფარეხი ჰქონდა გამართული; თითონაც მახლობლად სახლობდა. ნინოს ორასი ნაბიჯი უნდა გაევლო, რომ საყვარლის ბინაზე მისულიყო. ჯიხურის ქვეშ შეჩერდა; მიიხედ-მოიხედა; თვალი მოიგარეულა და შველივით გავარდა და სულ ფრენით წავიდა. პირქარი წვიმას უშხაპუნებდა სახეში. მას თვალთან თეთრი რაღაც გაუკრთა, თვალიდგან ხაზივით გაება და დაეხატა თეთრტანისამოსიანი ადამიანი. დახუჭა თვალი, აახილა და კვლავ თეთრი წრე გაეკლაკნა. შესდგა, შეშინდა, უკან დაიწია ერთი ნაბიჯით. ლამის შიშმა სძლიოს! ამ დროს მოესმა სანატრელი ხმა:

_ ნინო!

_ გიორგი! _ იყო პასუხად.

და ორი ნორჩი, ედემს ნაზარდი ალვის ხე, ხელგაპყრობილნი გაქანდნენ და შეიწმახნენ, როგორც ფათალო ხეზე; ტუჩი ტუჩს დააწებეს, როგორც მტრედი შეაწებებს ხოლმე ნისკარტს თავის ხუნდს, როდესაც მიაქვს მასთან საჭმელ-სასმელი. ხმაამოუღებლით, მუნჯად იდგნენ კარგა ხანს; მიეცნენ სრულ თავის

დავიწყებას, სრულს ნეტარებას; გული გულს შეუერთეს და სული სულს ჩაურთეს; ერთიმეორის გულს ჩაძვრნენ. ქარი მძლავრად უბერავდა მათ, არხევდა, მაგრამ ისინი ვერას გრძნობდნენ; აყრიდა წვიმას, შურდა ორთა _ ნორჩ არსებათა მდგომარეობა; ნეტარებაში დავიწყებულთ გულის ძაგა-ძუგი და ფშინვა-სუნთქვა უხშირდებოდათ, ქარი ეწევოდა ამ შემთხვევას, მაგრამ იგინი ვერ განაშორა, დაუნდობელმა არ დაზოგა უმანკო მათი სიყვარული, გახადა ფარდა მთვარეს, რომელმაც მოულოდნელად თავისი სპეტაკი შუქი სვეტივით ჩააყენა შეყვარებულთა წიაღში. მიჯნურნი მსწრაფლად გამოერკვნენ, შეერთხორცებულნი გაორდნენ, გამოფხიზლდნენ და მუხანათ მთვარეს მტრულის თვალით შეხედეს: თითქოს სინათლისა შერცხვათ, ერთმანეთს ხელი გაუშვეს და ნელ-ნელა დაეშვნენ სერის პირად.

_ მამაჩემი დიდ უარზედ სდგას, არ მივათხოვებ გიორგისაო: აქაურს ღრუბელს არ დაგანახვებო, _ ჩალაპარაკებდა ნინო გიორგის თვალებში და ხელი კისერზედ მოეჭდო.

_ მეტი ღონე არ ექნებათ, სოფელში რომ გახიახდება ჩვენი საქმე, დაყაბულდებიან... ნაყოფს რომ დაინახავენ, ჯანიც გავარდებათ...

ამ დროს მამალმა დაიყივლა: ყველა საიდუმლოების ფარდა აეხადა; დღის სუნი დატრიალდა; გული მიჯნურებისა შედრკა და წამოცვივდნენ. გიორგიმ გაავლო ნინოს მხარიღლივ ხელი, გააქანა სახლისაკენ და ერთს წუთს ძარქვეშ მოექცნენ. მაგარი და მასთან ტკბილი, უმანკო კოცნა იყო მათი პირობა ცოლქმრობაზე და მოწმად სიმინდის ჯიხური და ფინია, რომელიც კუდაბზიკინებული შესცაცქანებდა გადაკონებულ მიჯნურთა.

ერთხელ შემოდგომაზე გაბრიელ ხარებაშვილის კალოზე ბლომად იყო მიყრილი სიმინდი; გაეკეთებინათ კალო სიმინდის კონებით გარშემორტყმული; ყველას სათითაო ჩხირი დაეჭირა, არჩევდნენ, ლაღობდნენ, მხიარულობდნენ. რამდენიც ჭრელმარცვალა სიმინდი გამოერეოდა, ერთმანეთს სიხარულით აჩვენებდნენ: ამდენს ძარს სიმინდს ავავსებთო. ბევრი მოსავალი გვექნებაო. ამ ხალხს ხელისხელ საგოგმანებლად ჰყავდათ ერთი წლის ფუნთუშა ჩვილი. იგი გაბრიელს ეჭირა ხელში და ეალერსებოდა, ჩვილი მას ეალერსებოდა, აპოტნიდა თავ-პირს და «პაპა»-ს შესძახოდა. ჩვილი იყო ნინოს ვაჟი, შვილისშვილი გაბრიელისა, პაწია გაბლია რაზმაძე, რომლის დედ-მამა იქვე ისხდნენ და საზოგადო მხიარულების თანაზიარნი გამხდარიყვნენ.

ჯორ-ზაქარა
(ბატონყმობის წინ და შემდეგ)

I

_ მაშ ვერა ბედავ, ჩემო პეტრე, კვარხეთში ქალის გათხოვებასა?.. შენ ტყუილად გვწუნობ ჩვენ, კვარხელებსა.

_ ღმერთი გაუწყრეს, ჩემ-თავადა, დამწუნებელსა, მაგრამ ხომ გითხარი, მეშინიან, ძმაო, თქვენი ბატონისა... რად დავაჯიჯგნინო ჩემი გოგო იმ გულმურდალს თქვენს ბატონსა... არა, ძმავ, მე შვილი მაგისთვის არ გამიზრდია! _ უთხრა პეტრე ჯიღაურმა მაჭანკლად მოსულს სოსეს.

სოსემ თავი ჩაჰკიდა: დარბაზში შუაცეცხლი ენთო, სინათლე ცეცხლისა დაციმციმებდა სოსეს ჩაფიქრებულს სახეზე; სოსეს ლუკმა პირში გაუჩერდა, ყელი აღარ უშვებდა დაბლა, ჩაშტერებოდა ცეცხლს, თითქო სურს იმის ალსა და ნაკვერჩხლებში ამოიკითხოს მიზეზი თავის ბოღმებისაო.

_ აჰა, ჩემო სოსე, გადუსვი ე ჯამით მაჭარი, ცოტა შევჭიჭინდეთ, თორემ ბოღმამ ლამის მეც წამიღოს.

_ ოჰიმე, რა სიცოცხლეა ჩვენი სიცოცხლე, რა!!. რად გაგვაჩინა გამჩენელმა... ის არა სჯობდა, ისევ პირუტყვ-მხეცებად ვყოფილიყავით! მშურს, როცა ვუცქერი, რომ ისინი ხარობენ თავის შვილებითა, ხელს არავინ უშლის, არავის მურდალი ხელი მათ ნამუსს არ ეხება... ჩვენა ვართ მხოლოდ დაწყევლილები; ჩვენ გავჩენილვართ მხოლოდ ბატონების ლუკმადა, ნამუსი გაგვიწყეს! _ სთქვა თავჩაქინდრულმა სოსემ და ბოღმამორეული ხარბად დაეწაფა მაჭრით სავსე ჯამსა. გამოწაფა, გადმოატრიალა ჯამი და ენით ტუჩ-ულვაში ჩაიწუწნა, _ ასე მტერი დაგეცალოს, ჩემო პეტრე, _ დააყოლა სოსემ და ჯამი გადააწოდა.

_ ჩვენს მტერს რა დასცლის!.. გაიხედე, რამდენი ახალგაზრდაა ამ ჩვენ სოფელში უცოლოდ დარჩენილი, რამდენი ქალია გაუთხოვარი!.. კაცს ქალი ვერ უთხოვნია ბატონის შიშითა პირველი ღამე კანონით ჩემიაო... წადი და შენ სამართალი და კანონი სთხოვე...

_ კანონიც მაგათი დაწერილია და სამართალიცა, _ დაურთო შეჭიჭინებულმა სოსემ და პირს ღიმი მოადგა. _ ჰაი, ნეტა ერთი დღე მეცა მქნა ბატონი, ვაჩვენებდი ი დიდ ქალბატონს სეირს...

_ ხა, ხა, ხა! _ გადაიხარხარა პეტრემ, _ ჰაი თუ, ჰაი თუ... მაგრამ ვინ მოგვცა ეგ ბედი. აი ჩემი შვილი სულ გაიძახის, ბატონყმობა საცაა გადავარდებაო. ჩემ ცოლს მაშინ მოვიყვანო...

_ რომელი შვილი?

_ აი, ჩემი ზაქარია! ისეთი გოგო ვუთხოვე ახალსოფელში, როგორც მარწყვი, იმის ნახვას არა სჯობიან რა, მაგრამ ძმაო, ჩემი ბატონის შიშით ვერ მომიყვანია... აივლის და ჩამომივლის: პეტრე, რატომ რძალი არ მოგყავსო! მეც ვეუბნევი «რა ვქნა, შენი ჭირიმე ბატონო, შავ და უკუღმა ის დღე, როცა ჩემმა ზაქრომ იქორწინა ი ახალშენელ ქალზე. ჭირკოტიანი გამოდგა და რა ოხრად მინდა. ი რო სახლში მოვიყვანო-მეთქი»... «ჰაი, შენ დიდი კუდიანი ხარო, მეუბნევა ბატონი მუდამ, ალბათ ლამაზი იქნება და მიმალამო, სად წამიხვალ, როდემდის დამიმალამო»...

_ ახლა, პეტრე, კარგი, ვთქვათ, ბატონყმობა გადავარდა, როგორ გგონია, კარგი იქნება, ან როგორ უნდა გადავარდეს...

_ რა ვიცი, როგორ იქნება და რა იქნება...

ამ დროს დერეფნის კარმა ჭრიალი მოიღო; მაჭრით შეხურებულმა მობაასეებმა ყურები ცქვიტეს. პეტრე მიხვდა, უთუოდ ზაქარა დაბრუნდა მოყვრებიდან, თორემ სოფელს სძინავს და ამ დროს ვინ მოვიდოდა ძაღლების შიშითაო.

_ რომელი ხართ შინა, ერთი მკვარი გამომისინათეთ.

პეტრემ იცნო შვილის ხმა, გაფიცხებულ მკვარს წალდის ყუით თავი დაუჩეჩქვა, მიადო ნაკვერჩხლებს, დაუბერა და მკვარი სანთელივით აენთო.

შემოვიდა ზაქარა დარბაზში; ის შარვალში იჯდა, ჩოხა შემოკაპიწებული ჰქონდა, მხარ-იღლივ საპირისწამლე, წინ ხანჯალი, წელში დამბაჩა და მარჯვენა ხელში თოფი, რომელიც ჯოხივით დაიბჯინა და გაჩერდა ცეცხლის პირსა.

_ ძაან დავგვიანდი; მინდორმა შემიქცია ნადირობით, ერთი მელა გამოვასალმე წუთისოფელსა და ორი კურდღელი; ვენაცვალე ჩემს ჯეირანას, სწორედ ქორივით აიყონა სამივენი...

_ აი, შვილო, ეს სოსე ხმიადაშვილია, ჩამცივებია, ი ქალი მიათხოვე ჩემს სახლიკაცსა, კაი ოჯახიშვილიაო... მაგრამ რა ვქნა, ერთი ახორმაზი ბატონი ჰყავთ, სვავივით გაუმაძღარი: ვერც ვერავის გაათხოვებენ, ვერც ვერავის რძლად მოიყვანენ იმის შიშითა... რა ვქნა, სიბერემდე ნამუსიანად მიცხოვრია და ეხლა სიბერის დროს საეშმაკოდ რად გავიხადო სული.

_ ფიქრი არ არის, მამაჩემო! ეხლა მე გადავსწყვიტე, ნადირის მაგივრად ბატონებზე ვინადირო... რა არის ჩემი სიცოცხლე! ორი წელიწადია, ცოლი შევირთე, შვილიც გამიჩნდა და ჯერ ჩემის სახლის ჭერს არ გაუცინია!.. ეხლა მე გადავსწყვიტე, დღეისწორებში მომყავს ჩემი ცოლი, ქორწილი უნდა გადავიხადო, მოვიდეს ჩემი ბატონი ესტატე და, თუ ბიჭია, გაბედოს რამე. აი ეს ჩემი სიათა გასცემს პასუხს. მოიყვანე შენც, სოსე, ჩვენი სასიძო... თაფლო, გამოდი აქეთ... აი ჩემი დაი, კაი გოგონაა, თუ ჩვენი სასიძოც კაი ბიჭია, ფიქრი არ არის ბატონისა... ჩემი სიათა იმასაც ეყოფა.

_ ბიჭო-შვილო, ეს ერთი თვეა, მე შენ ვეღარ გცნობ... რა წერას აუტანიხარ... დაგიჭერენ, შვილო, კოსტროში გაგატარებენ და მერე იმ ოხერ ციმბირში გიტუცამენ თავსა.

_ უნამუსოდ სიკვდილს ყველაფერი სჯობიან. ერთხელ ამოსასვლელი სული უნდა ერთხელ ამოვიდეს...

_ ე ოხერი ბატონყმობა რო გადავარდება, მაშინაც ასე იქნება?.. აქეთ-იქით დადიხარ, შეიტყობდი რასმესა, _ ჩაეკითხა სოსე ზაქარასა და ისეთნაირად ჩაშტერდა თვალებში, თითქო შიგ უნდა ჩაუძვრესო.

_ ჰმ... არც იმისაგან იქნება ხეირი, თორემ ეს დღე ნიშანი იყოს, ეს ცხვირი მომჭერით, თუ ხეირი იქნება რამე...

_ მაშ ასე უნდა ვეწვალოთ ჩვენი დღენი?!. _ ერთად წამოიძახეს პეტრემ და სოსემ.

_ ვინც ჩვენ გვაწვალებს, ჩვენც ვაწვალოთ: მომკლამს, მოვკლამ; გულის საყვარელს მომგლეჯს გულიდან, მეც ამოვგლეჯ...

_ მერე, ადამიანო, ის ოხერი კოსტრაი, ი ოხერი ციმბირი!..

_ ხა, ხა, ხა! _ გადაიხარხარა გულიანად ზაქარამ და ტაში შემოჰკრა, _ თქვე დალოცვილი შვილებო, ეხლა სულ მუდამ კოსტრაში არა ვართ? ციმბირი არა გგონია, რო მუდამ ტყე-ღრეში ვმალავთ დედაკაცებსა? ერთხელ გავლა სჯობია ბეწვი ხიდზე ათასჯერ კანკალსა...

_ რას ამბობ, კაცო! _ ერთხმად შესძახეს სოსემ და პეტრემა.

_ ჰო, ზიარების მადლმა, მართალს ვამბობ... ი ხვალინდელი მზის თვალის მადლმა!.. ახლაც არ დაიჯერებთ!

პეტრეს პირი ღია დარჩა და ლუკმა პირში გაუშეშდა, სოსე ქანდაკებად დარჩა: მაჭრის ჯამი გაშვერილი, თვალები გაჭყეტილი და მარცხენა ხელის მაჩვენებელი თითი წაკაკული.

_ ნწა-არა! ეგრე არ შეიძლება, ნუ იცი ე ახირებაი შენა... ტყუილად კი არ დაგარქვა სოფელმა ჯორ-ზაქარაი: რასაც აიხირებ გაქირ ჯორივითა, უკან აღარ დაიხევ, _ უთხრა მამამ. _ მე ისევ ესეთი წვალება მირჩევნია ი ოხერ კოსტრას და ციმბირსა... ჰეჰეი! მე რომ კოსტრაში გატარებული კაცი მინახავს!!. დედა, დედა!..

ღმერთმა ნურავის აჩვენოს... ხორცის ნაფლეთები სულ ცაში ადიოდა, კანსა და ბისტს რო კოსტრო დაჰკრეს...

_ ი კოსტროში ერთხელ მოკვდება კაცი, ჩვენ კი ჩვენი დღენი სულ სიკვდილში ვართ, სულ ვკვდებით და ვკვდებით, სულ ერთთავად სიკვდილს ვუცქერით... საწყალი კაცის ხარს, ხომ იცი, კისერი მოღლეტილი აქვს მუდამ უღლის ტარებითა, ჩვენც ისე ვართ...

¾» ბატონყმობა უნდა გადავარდესო... გლუხარიჩს ჩამოუტანია რუსეთიდან ამბავი, რომაო უნდა ბატონებმა ყმები გააზატონო, ისინი თავისთვის იქნებიან, ჩვენ ჩვენთვისაო... თურმე გლუხარიჩს კიდევაც გაუაზატებია თავისი ყმებიო.

_ ბაკში რომ საქონელს დავამწყვდევთ, ისიც თავისუფლად დადის ბაკში, ეხახუნება ბაკის კედლებს, ერთმანეთს ებუჩავებიან; ჩვენ ერთი ბაკიდან გამოგვიშვებენ და მეორე ბაკში შეგვამწყვდევენ... ის კი დაგავიწყდა, ჩვენმა ბატონმა ესტატემ რო გვითხრა: ლაპარაკობენ, ბატონყმობა გადავარდება, მაგრამ მამული კი ჩვენი იქნებაო... ეხლა რამდენსაც დავერევით, იმდენსა ვხნავთ, მერე თუ ბატონმა არ მოიპრიანა, ერთ კვალსაც არ მოგახნევინებს... არა, თვალი სხვანაირად მითამაშებს, გული სხვაფრივ შემომკვნესის.

_ შენ ქრისტეც ვერ დაგაჯერებს, ქრისტეი! _ წყრომით უთხრა მამამ. _ სოსე, დალიე: ეს ღმერთმა გაუმარჯოს შენს მაჭანკლობასა, ისეთი გოგო მოგცეთ, როგორც მარწყვი, როგორც მოწყვეტილი ვარსკვლავი.

_ ჩვენი ბიჭი რაღა გგონია რა, ისეთია, როგორც მერცხალი.

ამ დროს ვიღაცას ძაღლები მოედვნენ, დარბაზის ბანზე შემოაგდეს და ყეფით ძალზე მისდიეს.

_ ნადირის ყეფა არ არის... სწორედ ვიღაც გაჭირვებული კაცი მოგვადგა... ადე, შვილო, ძაღლებმა არა აწყენინონ რა, სტუმარი ღვთისაა, თუნდ მტერიც იყოს, შემოიყვა, ღვთის მოწყალება ყველა გვაქვს...

მინამ ზაქარა ადგებოდა, ბანში ჩამოჰკიდა ვიღამაც თავი და ჩამოიძახა:

_ პეტრე ჯიღაურო, შინა ხარ?

_ რომელი ხარ, კაცო!.. დერეფნისკენ მოიარე...

_ ძაღლებმა ალყა შემომარტყეს და ფაცური ვერ მიქნია... მე და ნაცვალი ვართ, კარის-კარს დავდივართ...

_ ნინიკა, შენა?.. რა იყო, კაცო?

_ ოჯახი რომ დაექცეს ჩვენი დიამბეგის იასაულებსა, _ ჩამოიძახა გზირმა ნინიკამ. _ ყველა ბატონის კაცებს გამოუცხადეთ, რომელიცა რომაო ამ თვის რვაშიო... ნაცვალო, რა თვეა ეხლა?..

_ გიორგობისთვე.

_ ჰო, გიორგობისთვის რვაში ყველა ბატონის კაცები უმეტ-ნაკლებოდ გორში გამოცხადდნენ ნაჩალნიკთანაო, უნდა რვაში გამოუცხადონ ხემწიფის ბრძანებაო... ბატონყმობის გადავარდნაო.

_ ოჰო-ჰო! ბა, ბა-აა! _ გააბეს ქვემოდან პეტრემ და სოსემ, მაშ შენ და ნაცვალს სამახარობლო გერგებათ... შემოდით, ერთი მაჭრით ჩაისველეთ პირი.

_ მაშ არა და, ოქროებით ამომიტენ პირსა! _ ჩასძახა ნინიკამ.

პეტრეს ოჯახში ჟრიამული ჩამოვარდა, პეტრეს ჯალაბიც გამოძვრა დარბაზის კუთხიდან, თავი წამოყო პეტრეს გოგომაც. ყველას სახე გაუსხივიანდა. დანაოჭებული სახიდან დარდი გადაეყარათ. რაღაც სიამეს გრძნობდნენ, მაგრამ რა იყო ეს სიამე, ამისი გულიდან გარეთ გამოტანა ვერ შეიძლეს.

მხოლოდ ჯორ-ზაქარა შეუცვლელად დარჩა: იმის სახეს არც სიამე, არც წყენა არ დასჩენია.

II

თუმცა შემოდგომის სუსხიანი დილა იყო, მაგრამ უქარო იყო, მყუდრო, მზემ ნელ-ნელა მოახურა არე-მარე; აქა-იქ ხეებს კიდევ ჰქონდათ შერჩენილი ფოთლები, სოფლის ბეღურა ჩიტები ამ ფოთლებს დახვევიყვნენ, პროწიალობდნენ, ხტოდნენ, ჟივჟივებდნენ და თან მზეზე თბებოდნენ. აბუზული პირუტყვი საქონელი მყუდრო ადგილებს ამოჰფარებოდა, მზეზე თბებოდნენ და ილოკავდნენ გვერდებსა. აქა-იქ ხალხიც გამოვიდა საბძლებიდან რუსულ ფარაჯებში გახვეულნი და ლეკურ ნაბადწამოსხმულნი. უფრო მეტმა ხალხმა მოიყარა თავი დუქნებთან, რომელიც შიგ შუა სოფელში იყო გაშენებული. ჩავარდა ხმაურობა, სიცილ-კისკისი, ერთი დუქნიდან მეორესკენ გადასვლა. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დასდევდა ერთს კაცსა. ეს კაცი ხან ერთ ალაგას მიჰყავდათ, ხან მეორესკენ. ბოლოს ერთი დუქნის წინ შეჯგუფდნენ ყველანი; პატარა ბიჭები ჯგუფში ძვრებოდნენ; ასე გასინჯე, სოფლის დედაკაცებიც კი გამოსულიყვნენ სეირანზე, პირები თავშლის წვერებით წაეკრათ, ხელები უბეში ეწყოთ და ცნობისმოყვარეობით გაიცქირებოდნენ იქითკენ, სადაც რაღაც იყო შეჯგუფული და ვიღაცას ლაპარაკს ყურს უგდებდნენ. ამ ხალხში მეტი წილი გლეხობა იყო, ერივნენ შიგადაშიგ აზნაურებიც, ხოლო ბრწყინვალეთაგან კი არც ერთი. ბოლოს ხმაურობა ნელ-ნელა დაწყნარდა. ჩიტებმაც შესწყვიტეს ჟრიამული, მიყუჩებულ ბუნებაში ისმოდა მხოლოდ ერთის კაცის ბოხის ხმით ლაპარაკი; ამ კაცს ხალხიდან კითხვას კითხვაზე აძლევდნენ და ისიც მკვირცხლად აძლევდა პასუხსა.

ეს კაცი იყო ჯორ-ზაქარა, რომელიც სხვათა შორის დაესწრო გორში ბატონყმობის გადავარდნის ამბავსა.

_ ტევა აღარ იყო გორში, _ დაიწყო ჯორ-ზაქარამა, _ ჯერ მარტოკა იმდენი ქორ-მეძებრები იყო ბატონებისა, რო ის ეყოფოდა; ეხლა ბატონების ცხენების მხლებლები; ყველა კუთხიდან ნიაღვარივით მოსკდა ხალხი: ქალი, კაცი, გოგო, ბიჭი. რა ვიცი, რა მილეთის ხალხი არ იყო. დაიარეს მთელი გორი იასაულებმა და ცხვრის ფარასავით მიგვრეკეს რუსების მეიდანზე, აი, სალდათებს რომ ათამაშებენ ხოლმე, იქა. ბატონებიც ცხენდაცხენ მოვიდნენ, ზოგი დამწუხრებული, ზოგი გახარებული, _ «რას ამბობ, კაცო! ქეციან ყმებში ეხლა კაი ლამა-ლამაზ ოქროებს ჩამიჩხრიალებენ ჯიბეში, ფული არ მირჩევნიან წილიან-წირპლიან კაცებსა», _ ამბობდა ერთი თავადი...

_ ჰეიჰე... კაცო! მაშ ჩვენ გვყიდიან, _ წამოიძახა ერთმა და გააწყვეტინა ლაპარაკი ზაქარასა...

_ დამაცა, კაცო, მე ყველაფერი გავიგე ი გორშია, _ დაიწყო ჯორ-ზაქარამ, _ ხელმწიფეს უფიქრია, ქვიშაზე უმრავლესია ე თავადაზნაურობაო, ყმები რო ჩამოვართვა, დამესევიან და სულ შემჭამენო; მოდი, არც მწვადს დავწვავ, არც შამფურსაო. თითო სულზე ფული გადაუწყვეტია; ფულს რო დავპირდებიო, სულ ელეთ-მელეთი მოუვათო. ეხლა თურმე ყველას, ვისაც კი ყმა ჰყოლია, ყველას ფულს მისცემენ... ჰო, იმას ვამბობდი, ზოგი კი ძალიან დაღონებული იყო. ერთმა თავადმა, რო გადახედა რაზმად დაწყობილს მოედანზე გლეხობასა, მწარე სიცილით სთქვა: «ჰაი რა დრო დაგვიდგა! ჩემს ნაყმევს ხელს ვერ შეუბრუნებ, კვლავინდებურად დანაშაულისათვის კბილებს ვერ ჩავამტვრევ, ბოსელში ვერ

გამოვამწყვდევ, ჯურღმულში სულს ვერ ამოვხდიო». ეს ისევ ჩვენი ძმების საქმეაო, სულ გლუხარიჩის ბრალია თურმე... აბა, თავადიშვილი ხემწიფის წინააღმდეგი რო გახდება, ციმბირში თავს ამოაყოფინებენ და მერე ისევ დატრიალდება, რა ხეირს მოიტანს ისაო. გლუხარიჩი პირველი ბუნტოვჩიკი კაცი იყო და ხემწიფემ, იმას გაუგონაო»... «მერე იმ დალოცვილმა ხემწიფემ, _ უთხრა მეორემ, _ რატომ ჩვენ მამა-მზეს არ ჰკითხა, ყაბულს იყვნენ თავადები თუ არა». ბოლოს ხალხმა უცებ დაიძახა: მოდიან, მოდიანო.....მოვიდნენ ვიღაცა კაცები, სულ ოქროთი მოქარგულ-მოვარაყებულ ტანისამოსითა; მოედანზე, შუა ალაგას ამაღლებული ადგილი იყო, იმაზე ავიდნენ; დეკანოზმა ლოცვა გადაიხადა... აბა, ისიც კი ყოფილა ლომ-კაცი, ის დეკანოზი; რა გითხრა, ძმაო, სწორედ კაცნახევარი სიმაღლე აქვს, ამასთან წამოსადეგობა. რო გაათავა, მერე გაშალა ქაღალდი, წაიკითხა და ისე წაიკითხა ამ მამაცხონებულის შვილმა, რომ ადამიანს ერთი სიტყვა არ გამოეპარებოდა: ჩვენ, რუსეთის მავანმა და მავანმა ხემწიფემაო... ესეო და ესეო, დღეის უკან...

_ ჰეი ვენაცვალე რუსის ხემწიფესა და! _ წამოიყვირა ხალხმა, ქუდები მოიხადეს, პირჯვრის წერა მორთეს.

_ ბატონი თავისთვის იქნება, _ განაგრძო ზაქარამ, _ ყმა თავისთვინაო; ვეღარცა სცემს, ვეღარც დააგირავებს, ვეღარც გაჰყიდის და ვეღარც ნამუსს შეურცხვენსო...

_ ეგრე წაიკითხა იმ დეკანოზმა? სწორედ ეგრე წაიკითხა? _ ჩაეკითხნენ აქეთ-იქიდან.

_ არა, კაცო, იმან წაიკითხა, რომაო ხელმწიფემ ბრძანაო: მე, შენ ხარ ჩემი ბატონი, ბატონყმობა გადამიგდიაო... მერე სწავლული ხალხი, ი ოქრომკერდიანები ლაპარაკობდნენ, კანონები დაიბეჭდაო, რომ ვეღარც სცემოსო, ვეღარც ნამუსს შეურცხვენსო; ერთი სიტყვით, მთა და ბარი გასწორდაო, _ მწარედ სთქვა უკანასკნელი სიტყვები ზაქარამა.

_ ეხლა მაშა, ზაქარო, ვეღარ გვამუშავებენ, ვეღარც ბეგარას გამოგვართმევენ, ტყეში და ველში თავისუფლად ვივლით, ვეღარც ღალა-კულუხს წაგვართმევენ, არა? _ ჩაეკითხა მოხუცი კაცი, რომელიც ნიკაპით ყავარჯენზე იყო დაყრდნობილი და დაფიქრებით ლაპარაკობდა, თითქო არა სჯერა გლეხობის განთავისუფლება ბატონის ბრჭყალებისაგანაო.

_ კაცო, შენ რაღას ამბობ?.. რაკი ხელმწიფეს უბრძანებია, ვენაცვალე იმის მადლსა და ძალსა, მერე ისიც რუსთ ხელმწიფესა... მერე იცი რა არის რუსის ხელმწიფე? მთელი ალიოსმალო სულ ააწიოკა, ფეხებქვეშ განირთხო... ჰო, რაკი იმას უბრძანებია, რომაო ნუღარ სცემთო, ნუ გაყიდითო, ნუ გააძევებთო, კიდევ რაო, ზაქარო?.. ჰო, ერთის სიტყვით, ბატონი და ყმა გათანაბრდესო, მაშინ ბატონი ვეღარაფერს ვეღარ შეეხება... ჰაი, მომეცა ღვთის წყალობა, ჩემი ვენახი დღეის შემდეგ ავაყვავო და ნაფუძვარი გავაპატივო! _ სთქვა ერთმა თავმომწონე გლეხმა.

_ მაგისი კი რა მოგახსენო; მამულის თაობაზე ხეირიანად ვერა გავიგერა, _ სთქვა ჩაფიქრებით ზაქარამა, _ სულ ბატონს დავდევდი ფეხდაფეხა; საცა კი ლაპარაკი იყო, ყველგან სულგანაბული ვუგდებდი ყურსა, მაგრამ მამულისა ვერა გავიგერა. სწორედ ეგა მწვამს გულსა; ყველაფერი სთქვეს და ე მამულისა კი კრინტი არ იყო. გზაზე გადაველაპარაკე ჩემს ბატონს ესტატესა, ერთი ისეთი გადმომიბღვირა, რომ ენა მუცელში ჩამივარდა; ვიფიქრე, ამ ბატონყმობის გადავარდნისას გულის ბუხარი ჩემზე არ იყაროს-მეთქი. «დედითქვენის თიეზსაო, ახლა ჩემ ზვრებს და ნაფუზრებსაც თქვენ მოქცემენო. შიმშილით რომ

დაწყდებოდეთ, ერთ კვალსაც არ მოგახვნევინებთო. ჯერ ერთი ფული ჩავიჩხრიალო ჯიბეშიო; თქვენი თავი, მარტო გატლეკილი თავი გამოისყიდა ჩვენგან ხელმწიფემაო»... აი, ხალხნო, აქ არის ის ფონი, რომელიც არჩობს... მერე კიდევ მამასახლისებს, სუდიებს თქვენ აირჩევთ და თქვენ საქმეებს თქვენ თითონ გაასამართლებთო...

_ ნწარა! მამულიც ჩვენი იქნება, კაცო! მარა ცარიელა გატლეკილ თავს რას ვაქნევ.

_ მარა ი დალოცვილი ხემწიფე რად აძლევს ფულებსა! იმიტომ რომ მამულიც ჩვენი იქნება, ესე იგი რომელიცა რომ ჩვენ გვიჭირამს დღესა და საღალო-საკულუხოდ ვმუშაობთ, _ ჩაერია ლაპარაკში სოფლის ნაცვალი.

_ სულ ერთი-ორი კვირის საქმეა ე ბატონყმობის გადავარდნა, და ჯერ საქმე ისევ ძველებურ ყაიდაზეა, ჯერ ისევ ბატონყმობაა... ჩემი ბატონი ესტატე ისევ ძველებურად გაჰკივის და იცემება. გუშინ ხაბაზს სულ ყბები შემოამტვრია, პური უღვივარი მოგსვლიაო... მოვიცდით, ვნახამთ, _ დაათავა ზაქარამა.

_ შენ როგორღაც არ გეჯერება! კაი ბოლო არ უნდა ჰქონდეს ამ საქმესა...

_ კაი კი ექნება, მაგრამ ბატონყმობა კი ისევ იქნება... მე გული სულ სხვას მეუბნება.

_ იიი, მაგას რო ყური უგდო, სულ გადაირევით, _ წარმოსთქვა ნაცვალმა: _ რასაც აიჟინებს, გადათქმა აღარ შეიძლება მაგისი... ტყუილად არ გეძახიან ჯორ-ზაქარას...

_ მა, კაცო!.. ხემწიფემ ბრძანაო, ამბობს... და კი აღარა სჯერა-რა ხემწიფისა. რაკი ბრძანა, გათავდა _ სულ ჩვენია...

_ მოიცადეთ, ვნახოთ, _ კვლავ ჩაფიქრებით სთქვა ზაქარამ და გამოშორდა ხალხსა.

III

მთელ სოფელ ტორტლაში პეტრე ჯიღაურის ოჯახი ქებული იყო დოვლათით, პურ-მარილით და შეძლებითაც. ერთადერთი ჯიღაურების ოჯახი იყო საეკლესიო გლეხი, მაგრამ პეტრეს პაპამ ჩააგდო ეს სახლი აქაურ ბატონის ხელში. შეუყვარდა ბატონიანთ ლამაზი გოგო ვაშლა და თავი მოიკლა, მინამ შეირთავდა; ბატონმაც იმ პირობით მიათხოვა, თუ იმისი ოჯახი იმას ეყმობოდა. სიყვარულმა თავისი გაიტანა და ჯიღაურის ოჯახი, მხოლოდ ეს ერთი კომლი, ყმად გადიქცა, დანარჩენი ჯიღაურები კი საეკლესიო გლეხებად ითვლებოდნენ ბატონყმობის დროსაც, მაგრამ რაკი ერთს სოფელში ცხოვრობდნენ ყმა-გლეხებთან, ამათაც ხშირად გამოუცდიათ აქაური ბატონის სუსხი და მუქარა.

ჯიღაურებს ძალიან კარგი მამული ჰქონდათ და ბლომადაც ეჭირათ; საკუთარი ეკლესიაც ჰქონდათ თავიანთ უბანში; საბოსტნე ადგილები, კარგი შემუშავებული ვენახები... თვით პეტრე ჯიღაურსაც ჰქონდა კარგი მამული და კარგადაც შემუშავებული; ოჯახშიაც ხალხი მრავლად იყო; ზაქარას გარდა სამი ვაჟიშვილი კიდევ ჰყავდა, საკუთარი გუთნეული, უხვად წველა-დღვება, წვრილფეხი საქონელი და ორმოში პური გამოულეველი.

ასე შეხვდა ეს ოჯახი ბატონყმობის გადავარდნას.

ჯორ-ზაქარა მართალი, პირდაპირი და ამასთანავე ერთობ ჯიუტი და ხასიათმოუტეხელი იყო, რომ იტყვიან _ «თავის ნება კაციო»; თუ თავისი გული არ ეტყოდა, ისე საქმეს არ დაიჭერდა. ბატონყმობის გადავარდნისას ჯორ-ზაქარამ, ისედაც თავისუფლების მოყვარემ, მინდორ-ველის თავისუფალმა შვილმა, უფრო

ღონივრად ამოისუნთქა, ხელები გაეხსნა, თავისი სახლის ჭერიც გააცინა ცოლ-შვილის მოყვანითა; ოჯახი უფრო მოკეთდა, ხელის ძალა მოეცა, გაღონიერდა ზნეობითა.

ბატონის აურ-ზაურიანობასაც ცოტა ყუჩი მოსტყდა, ცოტა შეტკბა ბატონი, თუმცა გული მისი ბოროტებისაგან გაწმენდილი არ იყო, ღვარძლს და სიძულვილს ჯერ კიდევ ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები ბატონის გულსა და ღვიძლში.

ახალგაზრდა ბატონიშვილები მაინც კიდევ დაიარებოდნენ სოფლად, დააქროლებდნენ ცხენებსა და უწრუწუნებდნენ ქორებსა, მაგრამ გლეხებმა, რაკი იგემეს თავისუფლების სიტკბოება, აღარ დაუთმეს ბატონიშვილებს და ბევრჯერ გაუსახრიათ კიდეც ურჩი და გალაზღანდარებული ბრწყინვალეთა ძენი.

ერთი ჩვეულება იყო ბატონობის დროს; იშვიათი იყო ისეთი ბატონი, რომელიც მისდევდა საქონლის მოშენებას, ჯოგების ყოლასა, შინაური ფირნველების გამრავლებასა, ან კი რად უნდოდა: მთელის სოფლის საქონელი, თუ ჯოგი, ფრინველი იმის საკუთრებას შეადგენდა; როგორც უნდოდა, ისე ცხოვრობდა. მაგალითად: აი, ეწვია ბატონს სტუმარი ვინმე, თუნდ დიამბეგი, მაზრის უფროსი; გამოვიდოდა მოურავი ბიჭებით, დაერევოდა სოფლის ძროხა-ხბორებსა, ბატ-ინდაურებს, ერთის სიტყვით, რაც მოეწონებოდა, დაიჭერდა და მიჰქონდა ბატონის სახლში. აი ეს ჩვეულება ისევ დარჩა კარგა ხანს კიდევ სოფ. ტორტლაში. მთელი სოფ. ტორტლა, ჯიღაურების ოჯახის გარდა, ბატონისა იყო. ტორტლას კიდევ ორი პატარა სოფელი ეკრა დასავლეთ და ჩრდილოეთის მხრივ, ეს სოფლებიც იმავე ბატონისა იყო. თვით ბატონი შუა ტორტლაში იდგა, იდგა მეფურად, ძვირფასად მოწყობილ სახლ-კარში.

ბატონყმობა გადავარდა, ხალხს საკომლო მამული მიუზომეს, ზოგან მიუსაჯეს მეოთხედი, ზოგან მეტ-ნაკლები. ტორტლაში კი სულ სარწყავი და ნაფუძარი ადგილები იყო, ამიტომ მეოთხედი გადაუწყვიტეს. ისეთი უდიერი გამოდგა აქაური ბატონი, რომ ვენახის მოსავალზედაც კი მეოთხედს ართმევდა: კიტრზე, ვენახის ლობიოზე და სიმინდზე, მწვანილზე, ხილზე ხომ, რასაკვირველია, გლეხს არ შეეძლო ერთი ხიჩატელი რამ მოეგლიჯა ვენახში, მინამ ბატონის მოურავი სოსიკა პურიჭამიაშვილი არ ჩამოივლიდა სოფელში და არ დასწერდა მეოთხედსა. ეს სოსიკა ისეთი წყეული იყო, რომ სოფელ ტორტლას დღესაც ახსოვს იმისი ბოროტი სახელი.

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც სოსიკა მოურავი დათარეშობდა სოფლის პირუტყვ საქონელზე: დახოცდა ინდაურებს, ქათმებს, დაიჭერდა კაი ლამაზ გათამამებულ და გალაღებულს, ღიჭით გასუქებულს კვებულა-ხბოსა და მოემზადებოდა ბატონის სახლში ძველებურად სტუმრების დასახვედრად. სოფელი არ უთმობდა ადრინდებულად: გამოცვივდებოდნენ ქალები, მეხრე ბიჭები და გაჩნდებოდა ერთი ჩხუბი, თავ-პირის ჩეხა-მტვრევა.

_ სოსიკა, ბატონყმობა გადავარდა; ბატონი ჩამოგვეხსნა და ახლა შენ, ჩვენი სისხლი და ხორცი, მოგვევლინე ბატონად და ამაწიოკებლად სოფლისა. ჩამოეხსენ სოფელს, ნუ აწიოკებ, თორემ იაფად არ დაგისვამ მე ამასა... რას მიყურებ? მე ჯორ-ზაქარას მეძახიან... მე ისე ამოგამტვრევ მაგ ცხივრ-პირსა, რომ სთქვა, ეს რას გადავეყარეო.

_ მაშ ეს ულვაში ამიწიე და შიგ ჩამაფურთხე, თუ მე შენ უნარი არ გიყო! _ დაემუქრა თავის მხრივაც სოსიკა.

_ ძრიელ ნუ იკვეხამ თავსა. ბურთი და მოედანი გამოაჩენს ვაჟკაცობასა! _ მწარე ღიმილით წარმოსთქვა ჯორ-ზაქარამ.

მალე, ძალიან მალე შეხვდნენ ერთმანეთს ჯორ-ზაქარა და სოსიკა. ბატონს ბლომად ეწვივნენ სტუმრები, სხვათა შორის, ძველი ნადიამბეგარი, დიდი პურმარილის კაცი და ქებული სოფელში სიტყვაწყლიანობითა იასე რამანიჩი*.

დატრიალდა ბატონი. დაპროწიალდა სოსიკა. ჯორ-ზაქარას გულზე რაღაცამ უკბინა: ამოდენა ზღვა სტუმრებს, რომლებიც, ვინ იცის, რამდენს დღეს დარჩებიანო, მთელი სოფლის ხბო-გოჭები და ქათამ-ინდაურები მოუნდებაო.

_ ბიჭებო, დღეს მე გული მეუბნევა, სოსიკა მოურავი ჩამოუვლის სოფელს დავლისათვის და მარჯვედ იყავით, სახრეები მოიმარჯვეთ, მე თქვენი სხვა არა მინდა რა, როცა დავკრა და წავაქციო, მაშინ მომეშველენით და იმის ბიჭებს ნუ გაახარებთ ჩემზედა.

აი, აღრიალდა სოსიკა, დაერია სოფელსა. ისმის აქეთ-იქიდან დედაკაცების წყევლა-ქოქვა, ლანძღვა-გინება. გადმოდგა დარბაზის ბანზე ჯორ-ზაქარა. სოსიკას იქნება ამ დღეს აზრადაც არ ჰქონდა ჯორ-ზაქარას დაწიოკება, მაგრამ რაკი ბანზე დაინახა, გაახსენდა იმის მუქარა და გაქანდა ზაქარას კარ-მიდამოსაკენ.

_ რასაც მიზამ, შევიტყობ! _ დაიწყო თავის ქნევით სოსიკამ და თვალები სისხლით დაეგუდა.

_ მე კი უკან დაბრუნებას გირჩევ, _ უთხრა დინჯად, აუჩქარებლივ ზაქარამ.

_ ღორის ტილი ფეხზე დაისვი, თავზე აგაცოცდებაო, სწორედ შენზეა ნათქვამი... წამოუარეთ, ბიჭებო, ემა კვებულასა! _ დასჭყივლა სოსიკამ.

ის-ის იყო გაშალეს ბიჭებმა ხელები, სოსიკამ სახრე დაატრიალა და შემოურბინა ზაქარას ხბორებსა. მაშინ ზაქარა, ეს დინჯი ზაქარა, ფრინველად იქცა, თითქო ფრთები შეესხაო და ბოხის ხმით დასჭყივლა:

_ თითონ შენ ღორის ტილო! შენ ხარ ჩვენის სისხლით გაუმაძღარი, ცხენის წურბელასავით გაბერილი სისხლითა, მე შენ დაგცლი მაგ სისხლისაგან. _ თქმა იმისი და ჯოხის დარტყმა ერთი იყო: სოსიკას დაჰკრა თავში კომბალი ისე მძლავრად, რომ ის კალმახივით გადატრიალდა ჰაერში და ზღართანი მოსძვრა მიწაზე, წამოიწია ერთი ხელობა, მაგრამ აქ ანაზდეულად გაჩნდნენ ზაქარას ძმები სახრეებით და გველივით გააჭრელეს სოსიკა მოურავი.

როცა ის ჭილობზე დასვენებული კვნესა-გმინვით გაატარეს, სოფლის გოგო-ბიჭების მხიარულებას საზღვარი არა ჰქონდა.

_ აი, იხაროს იმისმა მარჯვენამ, ვინც ეგ სიყმე დაგიშავა! _ ამბობდნენ მანდილოსნები.

_ ვენაცვალე იმის მარჯვენას, ვინც ამოგაშხამა ჩვენი დარბევა-აკლებაი! _ დასძინეს ბერიკაცებმა.

_ ქა, გაიგეთ ვის მიუბეჟნია?.. ჯიღაურიანთ ჯორ-ზაქარასა. მივიდა ნამგალი და დახვდა ქვაო!.. ჩვენსავით არავის დაებრიყვება ზაქარაი!.. უი იმის მარჯვენამ იხაროს ცასა და ქვეყანაზე, გაიხაროს თავის ცოლ-შვილზედა! _ იძახდა ხალხი და იმათ სიხარულს და კიჟინას დასასრული არა ჰქონდა.

გაწყრა თავადი ესტატე, გაწყრა, ისე გაწყრა, რომ სულ ცოფები ჰყარა პირიდან და ისეთი ჩიბუხი დაამტვრია ბალკონზე კოწიაწითა, რომ ფასდაუდებელი. ამან უფრო გაამწვავა: თურმე ის ჩიბუხი ბარიათინსკის ცოლის ნაჩუქარი ყოფილიყო. სტუმრებიც ძალიან შეწუხდნენ.

_ მომგვარეთ აქა, მომგვარეთ ის წყეულ-შეჩვენებული ზაქარა ჯიღაური! მაშ მე კაცი აღარ ვყოფილვარ!.. ციმბირს წავალ და მაგას კი არ შევარჩენ! _ ყვიროდა თავადი ესტატე.

_ კნიაზო ესტატე! «წარვიდენ დრონი, ნაქებნი მტკბარად, მარად და მარად! « _ სიცილით უთხრა იასე რამანიჩმა. _ შე დალოცვილო, მე რომ სოფელში შევიდოდი დიამბეგობის დროს, ძაღლებიც კი ყეფვას შესწყვეტდნენ, ისეთს შიშის ზარს შევიტანდი ხოლმე. ეხლა კი წილიან გლეხებს გვერდით მოვისვამ-ხოლმე და გულით ცივცივ ღვინოს ერთად შევექცევით. ჩემო ესტატე, ხელი ხელსა ჰბანს, ეხლა უერთმანეთოდ არ ვარგივართ; რაც იყო, წავიდა, წინა ნაფეხურს უკანა ჰშლის.

_ შენში აზნაურის სისხლი ტრიალებს, ჩემში თავადიშვილის; შენ ბევრით არ განირჩევი გლეხკაცისაგან; მე კი სულ სხვა ვარ, ჩემი სისხლი იმას ვერ მოითმენს, რასაც შენი და გლეხისა.

_ მე კი მიყივლია, მამლისა არ იყოს, და დანარჩენი შენ იცი, იყავნ ნება შენი! _ უთხრა დაცინვით იასე რამანიჩმა.

დიდხანს იბობოქრა ესტატემ. ვერ მოისვენა, არ გაუგონა არც კნეინა ქეთევანის მუდარასა. «მამგვარეთ და მამგვარეთ ზაქარა!» სულ ამას გაიძახოდა.

მოვიდა მოციქულად გაგზავნილი კაცი და მოახსენა:

_ ზაქარამ ასე მოგახსენათ: მე მოსასვლელი რა მაქვს ბატონთანაო, იმისი მოურავი მეკობრესავით დამეცა, მეც პასუხი გავეციო. სახლს ბატონყმობის დროსაც ვერავინ ამიკლებდა და ეხლა ვის ავაკლებინებო... ასე კი მოგახსენათ.

_ ძაღლი ძაღლის ძვალს გასტეხს განა!.. რატომ ძალაზე არ დაუდექი, შე წუწკის შვილო! _ დაუშტიალა ბალკონიდან ესტატემა.

_ შე დალოცვილო, გინდა ჩემთვინაც სოსიკას დღე დაეყენებინა!.. ჯორ-ზაქარას ტყის დათვები ვერას აკლებენ და იმასთან ჭიდაობა სად შემიძლიან! _ უთხრა მოციქულად გაგზავნილმა.

_ მაშ მე დავეჭიდები! ან მე უნდა ვიყო ამ სოფელში, ან ეგ ჯორ-ზაქარაი... მაშ, ულვაში ნუ მსხმია, თუ არ შევასრულო ეს ჩემი მუქარა.

_ აბა, შენგან არ მიკვირს, რომ თავს უყადრებ გუშინდელ ყმასა, _ უთხრა ლმობიერად ესტატეს თანამეცხედრე ქეთევანმა. _ შენ მაინც ბატონი ხარ და გლეხს თავი არ უნდა გაუყადრო. სცემ? კანონი დაგსჯის. აბა, შენ გენაცვალე, რად უნდა ჩაიგდო თავი ამისთანა ყოფაში, რად უნდა ვათქმევინოთ სოფელს, რომ ბატონს აღარაფერი მნიშვნელობა და ძალა აღარა აქვსო. თუ ჯორ-ზაქარას გაუმკლავდები, სწორედ ასე იფიქრებს სოფელი, სოფელს კი ამისთანა აზრი არ უნდა ჩავადებინოთ თავში, თორემ ჩვენ აქ არ გვედგომინება.

_ შე დალოცვილო, _ უთხრეს აქეთ-იქიდან სტუმრებმა, _ სუდი და პალატა შენ ხელთ არის, სულ შენი მოკეთეები სხედან, მოუდე რამ მიზეზი და აქედან ააბარგვინე მაგისთანა მოწინააღმდეგე კაცი. მაგისთვის რად იბოროტებ თავსა. მაგისი სული ხომ შენ ხელშია, მამულში ნუ გაუშვებ, სული ამოჰხადე და თვითონ მოვა შენთან, ძაღლის ლეკვივით მოგელაქუცება და ფეხებზე ლოკვას დაგიწყებს.

დამშვიდდა გარეგნად ბატონი, მაგრამ სისხლი ისევ ბობოქრობდა და შურს ეძიებდა.

ჯორ-ზაქარა იმ დღეს ხალხის თვალში ერთიორად გაიზარდა, ამაღლდა, სიყვარული და პატივი დაიმსახურა. პირველი მაგალითი იყო, რომ ბატონის კაცს სოფელში ხელი შეახეს და როგორ შეახეს? სიკვდილის პირზე მიაგდეს ბატონის

დაახლოვებული კაცი, მისი მარჯვენა ხელი. ჯორ-ზაქარამ კარგად იცოდა, რომ ეს ამბავი მუქთად არ ჩაუვლიდა, მაგრამ არ ეშინოდა, გული სალი კლდესავით მაგარი ჰქონდა. ამისათვის სოფელმა შეიყვარა, უიმისოდ არავითარ საქმეს არ დაადგებოდა, უთუოდ ამისათვის უნდა ეკითხნათ დარიგება. სიკვდილი იყო, თუ სიცოცხლე, ჭირ-ვარამი თუ მხიარულება, გაჭირვება თუ დალხენა, სოფლის შეწუხება ვისგანმე, მიმართავდნენ ჯორ-ზაქარას და ის ისე სარისტიანად მომართავდა საქმეს, რომ ყველა გაოცებაში მოჰყავდა. სოფელმაც დააჯილდოვა, დიდი ხვეწნა მუდარის შემდეგ ჯორ-ზაქარა მამასახლისად აირჩია სოფელმა. ორჯერ გადაადებინა ზაქარას არჩევა თავადმა ესტატემ. მაგრამ სოფელმა თავისი გაიტანა და თავისი საყვარელი ზაქარა გაამამასახლისა.

IV

ტორტლის მებატონის სახლ-კარი, როგორც ვთქვით, შუა სოფელში იყო. წინ დიდი მინდორი ჰქონდა დატოვებული. მერე მისდევდა ვიღასიც ნავენახარი და შემდეგ იწყობოდა ზაქარა ჯიღაურის სახლკარბინადრობა, ისე რომ ახლო მეზობელი ესტატე მარუშიძისა იყო ზაქარა. ვერც პირუტყვი, ვერც ადამიანი ესტატე მარუშიძის სახლის წინ მდებარე მოედანს ვერ ასცდებოდა.

სოფელ ტორტლას შუაზე ჰყოფდა დიდი რუ, გამომდინარე მდინარე ლიახვიდან. ეს რუ გამოდიოდა მარუშაძის სახლიდან და ჩამოდიოდა ზაქარას ბაღ-ვენახს გვერდითა. ჯიღაურების ოჯახმა ეს რუ კარგად გამოიყენა: გაჰყო ორად, ერთი ნაწილი ეკლესიის გვერდით გაიყვანა, ზედ წისქვილი გამოჭიმა და მეორე ნახევარი ისევ ძველ კალაპოტში მიდიოდა; ისე მოაწყო ზაქარამ ამ რუს ორივე ტოტი, რომ ქვემოთ მდებარე მოსახლეებს წყალი არ აკლდებოდა.

ესტატე მარუშიძემ უბრძანა ბიჭებს და ერთ ღამეს სახლიდან სხვა გზით გადაახევა რუ და მოუწყვიტა ზაქარას წყალი; მაშინვე გაცვივდნენ ჯიღაურები და წყალი ისევ გადმოაგდეს. შეიქნა მიხლა-მოხლა; აქეთ ჯიღაურები, იქით თავადი ესტატე მარუშიძის მოურავი სოსიკა; ბევრჯერ ამოასველეს რუში სოსიკა, დაუჩეჩქვეს ცხვირ-პირი.

მთელი სოფელი ყალყს დადგა. მარტო ზაქარა ჯიღაურს არ მოსდიოდა ზარალი, მთელ უბანს აკლდებოდა წყალი, თუ რუ სხვა გზით წავიდოდა.

ზაქარა ჯიღაურმა, როგორც მამასახლისმა, აარჩია მარჯვე ბიჭები და ღამღამობით მიუჩინა რუს ყარაულადა და ბატონ ესტატეს მოახსენა:

_ უხსოვარ დროიდან, იმ დროიდან როდესაც, ვინ იცის, არც შენი გვარი იყო სოფელ ტორტლაში, არც ჩემი, ეს რუ ასე მოდის; ამას ამტკიცებს რიყე, რომელიც რუს დაუდვია ქვეშა. შენ ეხლა გინდა წყალი აღმა ააბრუნო და მთელი სოფელი ამოარჩო. ჩემთან შურისა და მტრობისათვის მთელს სოფელს უნდა ამოხადო სული. თუ ბატონყმობისას ეს რუ თავის სადინარით მოდიოდა, ეხლა უფრო ივლის; კანონია და სამართალი; წადი და თუ ეხლანდელი კანონი იტყვის, ტორტლის რუ აღმა წაიყვანეთო, მაშინ ბატონი ბრძანდებით.

_ მამული ჩემია, ამ რუს სათავე ჩემ მამულშია, მთელი რუ ჩემ მამულზე გამოდის; რაკი მამული ჩემია, მაშ წყალიც ჩემია: მინდა მოგცემთ, მინდა არა, _ სთქვა ამაყად და თავისა და თითის ქნევით თავადმა ესტატემ, კაბის სახელო კისერზე შესტყორცნა და ახალოხის ყოში გადიწია, თითქო საბრძოლველად ემზადებაო.

_ მამული შენია, მაგრამ წყალი ღვთისაა, ქვეყნისაა... გაბრუნდი, ბატონო, შენსა მზესა, სისხლს ნუ გვაძლევ!! _ შუბლშეკვრით უთხრა ზაქარამ და ჯოხი მაგრა დააბაკუნა მიწაზე.

_ მე შენ გასწავლი ჭკუასა მაგ ახირებული ლაპარაკისათვის, _ გადუბრიალა თვალები ესტატემ.

_ თუ ჭკუას მასწავლი, დიდი მადლობელი ვიქნები, _ უთხრა ზაქარამ, ქუდი მოუხადა და მდაბლად დაუკრა თავი ესტატესა, _ მაგრამ მე კი არა, თუ სოფელს წყალს წაართმევ, მაშინ სისხლი დაიღვრება და მიზეზი შენ იქნები.

_ აა, მამასახლისი და მაგისთანა ლაპარაკი?! აქ შენ ხალხს აქეზებ განა? მაშ კარგი! მაშ კარგი!..

_ ხალხო, რა ცხვრის ფარასავით გაშტერებულხართ! მე მართმევს მარტო წყალსა თუ თქვენცა?

_ შენ ართმევ ხალხსა წყალსა, შენა! _ დასჭყივლა სოსიკამ, _ შენ რომ ამ სოფელში ამოვარდები, ყველა მოისვენებს.

_ ხალხნო, მართლა ასეა?! მაშ მე ვარ თქვენი დამღუპველი?.. თუ ასეა, მე შემიწირავს თავი: ჩემ სახლკარბინადრობას სოფლის ბოლოს გადავიტან ხვალვე, ოღონდ თქვენ ჩემი გულისათვის უწყლოდ ნუ დარჩებით.

_ ვაი, შენ ჩემო თავო! როგორ თუ აიყრები! ვინც კაცია და ბუზს აგიფრენს! _ იგრიალა ხალხმა და მიიწია სოსიკასკენ, რომელიც ბზობის ყვავივით სადღაც გაჰქრა.

_ ზაქარა, ხალხს ნუ აქეზებ, მამასახლისის ჯაჭვისა გერიდებოდეს! _ უთხრა ხმამაღლა ესტატემ და გვერდშებრუნებით გადახედა ზაქარას.

_ ჰა, ეს მამასახლისის მენდალი და ჯაჭვი, შენმა ბიძაშვილმა ჩამომკიდა და უკანვე წაიღეთ, მე ძალიანაც არ მეპიტნავება მამასახლისობა! _ გაიკრა ზაქარამ ხელი, ჯაჭვი გაგლიჯა და მენდლიანად ფეხებქვეშ შეუგდო თავად ესტატესა.

ესტატემ ახლა კი იკადრა გაბრუნება, ნელის ნაბიჯით შეიარა სახლისკენა, მალ-მალე დგებოდა გზაზე. ღელავდა, თითქო მოტრიალება უნდა ხალხისკენო. გრძნობდა თუ არა დანაშაულს, ძნელი გამოსაცნობია; იქნება კიდეც გრძნობდა, მაგრამ ხალხთან პირის შერცხვენა არ უნდოდა, არ უნდოდა სახელი გასტეხიყო. ეტყობოდა, თავის კნეინის დარიგებას დაადგა, ეს კი იყო, რომ მეორე დღეს წყალი თავისუფლად მოჩუხჩუხებდა თავის ძველ კალაპოტში.

მუცელს აქორებ _ ქორიაო, აღორებ _ ღორიაო, ნათქვამია. თავადმა ესტატემ არა თუ მარტო თავისი მუცელი ააქორა და ააღორა. თავისი ქვენა გრძნობანიც კი ააქორ-ააღორა: მოინდომა ისევ ისე პარპაში, როგორც ბატონყმობის დროს. სხვა ხერხს მიმართა ზაქარას დასამცირებლად და მისი ოჯახის შესალახავად. ზურგი მაგარი ჰქონდა და როგორ გაუჭირდებოდა ზაქარას დამარცხება: ერთი ბიძაშვილი მაზრის უფროსი იყო, მეორე _ მომრიგებელი შუამავალი, სიძე _ ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე, ათასგან ჰქონდა ქსელები გაბმული.

_ სოსიკა, მაგ ზაქარას ჯავრს ნუ შემაჭმევ... დღე ხომ სახლში არა გდია, ყველანი მინდორ-ველად არიან; მერე ეხლა არეულობაა, გუთანზე ყრიან, სახლში პეტრეს ცოლი და ბავშვები თუღა არიან; მინდა ერთი როგორმე ზაქარას ცოლი ვიგდო ხელში; დიდი ხანია ჯავრი მჭირს, ძალიან სანდომიანია; რომ მოვიგონებ, სულ ნერწყვი მომდის პირში, ერთი როგორმე მოვიგდოთ ხელში. დავიჯერო, არსად არ გადის? _ ჩაეკითხა ესტატე ერთგულ სოსიკასა.

_ მალე მტერი მოგიკვდეს და მეც მომიკვდეს, მალე მე იმას შეგახვედრო, აი ხვალვე, უნდა მეოთხედები დავწერო ხილისა... ჰო!.. ეს კარგად მომაგონდა, ამ საქმეში დიდი გამოცვეთილია ჩვენი დალაქი ხოხელა, დიდი გაიძვერაა, ყველას ოჯახში დაძვრება... ზაქარას ვენახი კარ-წინა აქვს, ზაქარას მარინეს გადავატყუებინებ ვენახში... ჰმ, რას ვამბობ! რამ გამამყრუა!.. მარინეს ხომ ამ ზაფხულს სულ ვენახში ვაშლის ქვეშ უდგია აკვანი და იქვე ხელსაქმობს...

_ აბა, მაშ კარგა ყოფილა საქმე!.. ერთი იმას ჩემებური თილისმა მოუსვა, _ სთქვა ესტატემ.

_ რა თილისმა უნდა? ბატონო, გლეხი ქალი ცხვარია, რო დაგინახავს, სულ ცახცახს დაიწყებს, ენა ჩაუვარდება, იქვე შევათრევ ვაზებში და... _ ამ დროს თვალი მოჰკრა დალაქ ხოხელას და ხელი დაუქნია. _ აქეთ იარე, აქეთ!

ხოხელა მოიჭრა.

_ ჩემო ხოხელ, რას დაცანცალებ, შე კუდიანო, შენა!..

_ რა უშავს-რა, შენი ჭირიმე, ბატონო, საცა ლამაზი ქალი და გოგოა, ამას არ ასცდება, ყელამდე დაცურავს შიგა, _ ეშმაკურად და თვალის ჩაკვრით წარმოსთქვა სოსიკამ.

_ რატომაც არა, ქვრივი კაცია, უნდა დროება გაატაროს, _ სიცილით უთხრა თავადმა ესტატემ.

_ აი, ბატონს ვენაცვალე!.. ბატონს ვებრალები, მოურავს კი შურს, _ სთქვა დალაქმა ხოხელამ.

_ ჰოდა, ჩემო ხოხელ, ჩვენც უნდა წილი დაგვიდო!..

_ შე დალოცვილო, მანდაც ხომ მეოთხედი არ გინდათ! _ სიცილით უთხრა ხოხელამ და თან თვალ-წარბში დაუწყო ცქერა, ბატონი ხომ არ გავანაწყენეო.

_ ამოგაგდოს ღმერთმა! ეგ კარგი მითხარ!.. სწორე გითხრა, ზაქარას მარინეს სამეოთხედოდ არ დავიწუნებდი.

_ ოჰოჰო! _ პირის წკლაპუნით სთქვა დალაქმა, _ უნდა მოგახსენოთ, რომ სწორედ თარაქამული ძროხაა; ორი შვილის დედა რომ მაგისთანა ლამაზია, მკვრივხორცაა, გასათხოვარი რა იქნებოდა. ამ ოჯახდაქცეულს ლოყები სულ ზედ ასკდება, გულ-მკერდი და გავა, უნდა მოგახსენო, კარგ გათამამებულ დეკეულსაც არ ექნება იმისთანა... აჰ, იმისი დაძმუძვნა რა მადლია... მაგრამ ისეთი ქოფაკი ძაღლი ადგია თავსა, რომ იმის შიშით ვინ მიუდგება! _ წარმოსთქვა დალაქმა.

_ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია... ჩემო ხოხელ, არც მე დავიწუნებდი იმ ქოფაკის ცოლსა...

_ რას სწუხარ, ბატონო, ხვალვე გაჩვენებ, _ თავგამოდებით უთხრა ხოხელამ.

_ რა ძნელია, შე დალოცვილო! _ გაუადვილა დალაქმა. _ ბატონი ხარ, ის ყმაა; რა ძალა აქვს! ვენახში მიბრძანდი! მეც იქ გავჩნდები; პეტრეს ცოლს მაინც უნდა წურბელები მოვუტანო... ამას მოვიმიზეზებ, მე იმას შევიქცევ, თქვენ თქვენი საქმე გააკეთეთ.

სამთა კავშირი დაისკვნა...

V

ზაფხულია, მკათათვის თვეა, სოფელი მინდორ-ველად არის გაკრეფილი, სოფელი დარჩენია ქალებს, ბავშვებს, ბებერ ძაღლებს და ამაყ მამლებს. მინდორ-ველიდან მოისმის ჰოპუნას ხმა: ყანას მკიან, ტკბილი ოროველაა, ანეულს ხნავენ.

ზაქარას სახლის წინ ნიგვზის ხის ქვეშ ჭილობის ნაგლეჯზე წევს და ძილს მისცემია პეტრეს მოხუცებული ჯალაბი, მარინეს დედამთილი; იქვე ახლოს სძინავს იმისავით ბებერ ჭრელას; ძილისგან მოთენთილა, ხანდისხან დუნედ ამოიფხანს ფეხით გვერდებს, ხან კბილებით მოიჩიჩქნის მკერდს, რომ მკბენარი მოიშოროს. იქვე ორ-სამ ნაბიჯს იქით ღობეა გავლებული და ზაქარას ვენახი იწყება. შესავალში სდგას უზარმაზარი ხართუთა, ვენახს შუაში ხეივანი აქვს. აქეთ-იქით ხეხილი. ხართუთას ქვეშ დაცუნცულებს ოთხი-ხუთის წლის თმახუჭუჭა შავგვრემანი ბიჭი, დასდევს პეპლებს, ბუზებს და დატრიალებს ბალახებში. იქვე ჭილობზე ზის მარინე, ზაქარას ცოლი, ქალი ლამაზი, მხნე შეხედულობისა; წინ უდგია აკვანი, ცალის ფეხის ორი თითით აკვნის საგოგავი უჭირავს და არწევს ბავშვსა; ხელთ უჭირავს თითისტარი, საჩეჩელზე გაწმენდილს მატყლს ართავს, თითისტარი პროწიალობს, ბზუის. მარინე არხეინად და უდარდელად არის. ხანდისხან თვალს ავლებს პატარა გიგლას, რომ შორს არ წავიდეს და არამ დაჰკბინ-დასუსხოს.

უცბად ღობემ ლაწუნი მოიღო, მარინემ ყელი მოიღერა და თვალი მიავლ-მოავლო; გიგლას გაშლილი ხელები ჰაერში დარჩა; ჭრელამ კაკალ ქვეშ შეიზმუკუნა.

კვლავ ლაწუნი მოიღო ღობემ. მარინე წამოფრინდა, თავშალი ჩამოიშალა, ნიკაპთან ანაზდეულად შეიკრა და სარტყელში ჩაკრული კაბაც ჩამოიშალა.

უცნაური სანახაობა წარმოუდგა თვალ წინ. მის წინ გაჩნდა დალაქი ხოხელა სადალაქო იარაღით და დოქით, რომელშიაც წურბლები უსხდა.

_ ნათელი-ჯალაბს ვახლავარ! შენს დედამთილს წურბლებს დავპირდი...

_ სახლის გზა დაგვიწყებიათ!!. ვენახზე ღობე რომ არ გადმოგემტვრია, განა არ შეიძლებოდა, _ უთხრა უკმეხად მარინემ.

დალაქი წავიდა განგებ მარინეს დედამთილთან. მარინემ ვერც კი მოასწრო ჭილობზე დაჯდომა, რომ გაჩნდნენ ბატონი და მისი სოსიკა.

მარინე აენთო, სახეზე ალმურმა აჰკრა, თმა აებურძგლა, ყალყს შეუდგა. თვალებიდან წითელი წინწკლები სცვივოდა, რომელნიც საპნის ბუშტებივით პროწიალობდნენ მის თვალების წინ.

_ ხილის მეოთხედისათვის მოვედით... საკალოე მსხალი ძალზე შემოსულა, _ უთხრა სოსიკამ.

_ ჩემი კაცი შინ არ გახლავს*, ეს მისი საქმეა, _ უპასუხა მკვახედ მარინემ, გულხელი დაიკრიფა და ღაზლშემოხვეული თითისტარი მარცხენა იღლიას ამოიფარა.

_ მე დავბერტყავ მსხალს და შენ გაჰყავ, _ უთხრა ალერსით თავადმა, ახლოს მიიწია და კისერგადაგდებით სახეში შეაშტერდა.

ბატონს უხვად მოადგა ნერწყვი ვნება-ღელვისა, თავი ვეღარ შეიკავა და ნიკაპში მაგრა მოჰკიდა თითები მარინესა.

_ იქით, შე უსირცხვილო! _ და ისე მაგრა ამოუქნია ხელი, რომ ბატონი ძალაუნებურად უკან შესდგა და თითები ჰაერში შერჩა... დასტაცა აკვანს ხელი, გიგლა წინ გაიმძღვარა და გააშურა ვენახიდან. მაგრამ სოსიკა დასწვდა უკნიდან, შემოატრიალა. ბატონმა იდროვა და თავ-პირი დაულოშნა მარინეს კოცნითა.

მარინემ იბრძოლა ძუ-ვეფხვივით, დაავიწყდა აკვანიც და გიგლაც, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაიწია, დააფრინდა კბილებით, გაუძვრა ბატონს ხელიდან; ბატონს შერჩა ხელში მარტო მარინეს მანდილი.

მარინეს დალალ-კავები აებურძგლა, სახე გაუმრისხანდა, თვალები სისხლით აევსო და გააბა კივილი.

სოფელი ცარიელია. კივილზე მხოლოდ ინდაურებმა მისცეს ბანი და სოფლის პატარა წვრილფეხობამ.

მარინემ მოიმარჯვა საბრძოლველად თითისტარი, კვლავ წავიდა აკვნისკენ, რომელშიც ბავშვი ჩხაოდა.

ქვენა-გრძნობით აბობოქრებულმა ბატონმა და მოურავმა განიზრახეს მარინეს ვაზებისაკენ გათრევა. აი, ორივემ მიიზიდეს. ამ დროს მარინემ გამეტებით და მძლავრად დასცა სოსიკას გულში თითისტარი და შიგ მიამტვრია; ნამუსის შერჩენა არჩია შვილებსა: მივარდა ვენახის კარებს, გავარდა გარეთ ყვირილით, კაკლის ქვეშ მუხლმოკეცილი დაეცა და მეტის მღელვარებით გულს შემოეყარა...

VI

კვირა დღეა... სოფელი ტორტლა თავმოყრილია ეკლესიის მოედანზე. ხალხი ერთმანეთს არ აცლის ლაპარაკსა, ხმამაღალი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმაა. ქალებს ცალკე ჯგუფი შეუდგენიათ, ესენიც ცხარედ ბაასობენ. ქალსაც და კაცსაც გაცხარებული მსჯელობა აქვთ ზაქარას ოჯახის შეურაცხყოფის გამო.

_ ჯერ კიდევ ბატონყმობის კუდი არ არის გასწორებული. მაინც გვხვდება ეს კუდი და გვსუსხავს კვლავინდებურად; დიდხანს არ გასწორდება; სწორედ ძაღლის კუდია, თუგინდ კალაპოტშიაც ჩასდო, არ გასწორდება; სანამ ძირში არ გასწყვეტთ... ხელის შეშვება არ ვარგა, თორემ ბატონობას ბოლო არ მოეღება, ბოლო... მე იმისთვის კი არ ვამბობ, რო გული მეწვის და ჩემი ოჯახის შეურაცხყოფა მოინდომეს. სულაც არა! თუ კი მე, რომელიც კრიჭაში ვუდგევარ ბატონსა და მის სისხლიგუდა მოურავსა, ასე მიშვრებიან, რას უზმენ საწყალს, უილაჯოს, ან ობოლ ოჯახსა, _ ასე ამბობდა გაცხარებით ზაქარა ჯიღაური.

_ ოღონდაც, ოღონდაც! _ გაიხმაურა ხალხმა.

_ კანონის წინაშე გავერთიანდით, გვეგონა მთა და ბარი გასწორდაო, მაგრამ ფუჭი გამოდგა ჩვენი იმედი: მამული ბატონს დარჩა; უმამულოდ კი ფრთა შეკვეცილს ქათამს ვგევართ, რომელიც ისეც ფრენას გადაჩვეული, ღობეზედაც ვეღარ შეფრინდება... ჯანი გავარდეს, ამ უმამულობასაც როდისმე მოუვლით; სოფელი განიერია, მივდგებ-მოვდგებით, მაგრამ ნამუსს როგორ მოვუაროთ, როგორ დავიცვათ მყრალი მგლებისაგან, აი, ეს არის საფიქრებელი! _ განაგრძო ზაქარამ. _ ბატონყმობის დროს ვინ რას გვკითხავდა; ჩვენი ქალები იმათი იყო... მაგრამ ეხლა?.. კანონის წინაშე ერთნი ხართო, ეგენი კი, ე ბატონ-მოურავები, თავისას არ იშლიან. სოფელმა თუ თავი არ გაიმაგრა, ნამუსი გაწყვება სოფელში, სირცხვილს ვჭამთ და ჩვენი სოფელი თითით საჩვენებელი გახდება...

_ ოღონდაც, ოღონდაც! _ დაჰკრა კვერი ზაქარას სიტყვებს ხალხმა... _ უნდა ავლაგმოთ ეგენი, უნდა ავლაგმოთ: წამოაყენეთ ჯერ ის ჩვენი გამყიდველი დალაქი ხოხელა! მოიყვანეთ აქ, უნდა დღესვე გავასამართლოთ ჩვენის სამართლითა! _ ყვიროდა ხალხი და ბობოქრობდა.

_ ჩავქოლოთ, ჩავქოლოთ ის შეჩვენებული ხოხელა! _ ამბობდა ერთი.

_ სახლი თავზედ დავაქციოთ, სახლი! _ ყვიროდა მეორე.

_ არა, საქვეყნოდ ლაფი დავასხათ, გამოვწყვიტოთ ჩვენში. ავიძულოთ ჭირიანივით, დეე ტყე-ტყე იაროს მგლებთან და დათვებთან. ერთხელ სიკვდილი მაგისთვის ჯილდო იქნება; ეგ უნდა ნელ-ნელა კვდეს, სიკვდილი მუდამ თვალწინ

უდგეს; იკვნესოს, გაილიოს, გაიხვეწოს ძაფივით სიკვდილის ლოდინში, _ ამბობდა მესამე.

_ მარტო დალაქს კი არა, სოსიკასაც არ აწყენს ლაფის დასხმა! _ გაიხმაურეს ქალებმა. _ ის არის ქვეყნის დამქცევი და ამომგდები. იმისი გაბრიყვებული იქნებოდა ეგ უბედური, ქარაფშუტა ხოხელაი.

_ სოსიკას მე მოურიგდები, ის მე დამანებეთ! _ წარმოსთქვა ზაქარამ ულვაშის გრეხითა.

ხალხის მსჯავრი სწრაფი და მკვეთრია: შუადღის ჟამს რუს პირას ხალხს გაეკეთებინა ლაფი შემდგარი სხვადასხვა უწმინდურებისაგან. მზე საშუადღეოზე იდგა და ძალზე იკბინებოდა. ხალხს დიდი წრე გაეკეთებინა. შუა რუში იდგა წელამდე გატიტვლებული ხოხელა დალაქი, ხელები უკან ჰქონდა გაკრული, იდგა თავშიშველა, ხალხისაგან შეჩვენებული და განრისხული; ადამიანის სახე აღარ ედო. თვალები დაეხუჭა, თავი ჩაექინდრა და გულში ჯოჯოხეთის ცეცხლი უტრიალებდა. ეტყობოდა, პირი უშრებოდა, ენას მალ-მალ ტუჩებზე ივლებდა დასასველებლად, მაგრამ ენასაც სისველე აღარ ჰქონდა... როგორც იყო, თავს ძალა დაატანა და წამოილუღლუღა:

_ მაპატიეთ, ხალხო, მაპატიეთ! დანაშაული ვარ! _ მუხლებზე დაეცა წყალში, თავი ჩაჰკიდა და ცრემლი ნაკადულსავით გადმოსკდა თვალთაგან და ჩაერთო რუში. რუმაც კი არ მიიკარა ეს ცრემლი სინანულისა, ზეთივით მოიგდო ზედაპირზე და ნაპირისკენ გაასრიალა.

მაგრამ ხალხი ულმობელია, როცა მის წმიდათა წმიდას შელახავს ვინმე. აი, სათითაოდ დაასხა ყველამ ნიჩბებით ლაფი დალაქ ხოხელასა. გათავდა თამაშობა. ხოხელას ნება მისცეს წასულიყო სახლში. ტალახში ამოვლებული დარეტიანებული ამოვიდა რუდან და მთვრალი კაცივით ტორტმანით გასწია სახლისაკენ.

ხალხი სდუმდა; კრინტი აღარავის დაუძრავს: მინამ მიეფარებოდა ხოხელა თვალთაგან, იმის გზას შესცქეროდა; მერე ნელ-ნელა უსიტყვოდ დაიშალა და სახლში წავიდა.

რასაკვირველია, ბატონმაც გაიგო ეს ამბავი. მისი სოსიკა ალეწილი იყო, გული ეწვოდა, თითქო ღველფი ჩაუყრიათო _ ორნაირი ცეცხლი ეკიდა იმის გულსა: შიშისა და შურისძიებისა.

ბატონიც ვერ იყო ქეიფზე. რაც უნდა იყოს, სხვა დრო დადგა, ვინც გაიგებს, რას იტყვისო, ამბობდა გულში თავადი ესტატე, მაგრამ რა ექნა, ჩვეულებამ, სისხლხორცში გამჯდარმა ჩვეულებამ, თავისი ქნა და თავის კვალზე წაიყვანა.

კნეინა ქეთევანიც ცეცხლის ალში ატარებდა თავის ქმარსა. როცა მარტონი იყვნენ, მალ-მალ აგონებდა ამ ამბავსა, ამრეზილი ადგა ქმარსა, ბუტიაობა შეეჩვიათ და მთელი დღე გაბღვერილები იყვნენ. როცა სტუმარი გაჩნდებოდა ვინმე, თავად ესტატესათვის დღეობა დადგებოდა ხოლმე. მაშინ ცოლ-ქმარნი, რომ არ ეგრძნობინებინათ სტუმრებისათვის, ბუტიაობას იქით გადასდებდნენ და შეექნებოდათ მხიარულება.

_ შენ ისეთი საქმე ჩაიდინე, რომ ჩვენ სოფელში აღარ გვედგომება, ჩემო ესტატე, ეხლა ხომ ფული ბლომადა გვაქვს, ჩავიდეთ ქალაქში და იქ ვიცხოვროთ; სოფელს სოსიკაც გაუძღვება. გეუბნებოდი, სოფელს თავს ნუ გაუყადრებ-მეთქი, მაგრამ შენ შენი არ დაიშალე, გლეხკაცი გულჩახვეულია. იმას წყლული გვიან გაუმთელდება; თუ გაუმთელდება, წყლულისაგან ტკივილები ისევ ახსოვს, გულზე აქვს

დაჭდეული. ახლა რამდენი ჭდე აქვს გულზე ტკივილებისა და მწუხარებისა! ამას ვინ დასთვლის... ავიკრათ ბარგი და ქალაქში გადავსახლდეთ: რაც უნდა იყოს, სულ დიდკაცობაში ვიქნებით და ამ ტეტიების ცქერას მოვრჩებით. ზაფხულობით ჩამოვალთ სოფლად გასართობად და ჰაერის გამოსაცვლელად, ხალხი გულიდან გადიყრის ჩვენს სიძულვილსა. ხომ მოგეხსენება, როგორც თვალი შორს, ისე გულიც შორსო. თორემ თუ ჩვენ სოფელს ჩავაცივდებით, კარგი არ იქნება. მაინც ჩვენ რა უნდა ვაკეთოთ სოფელში? მუშაობას და მურეხ საქმეს მიჩვეულნი არა ვართ. იდიდოს ხელმწიფე იმპერატორი, თითო სულზე ოცდახუთი მანეთი გადაგვიკვეთა: მამულები რაც მისაზმონი იყო, მიუზმონეთ ჩვენს ნაყმევებსა, დანარჩენი მამულები ხელუხლებელია; როგორც ჩვენ გვენებოს, ისე გავცეთ; ჩამოვიყვანოთ ჩვენი მთიდან ოსები და სულ იმათ მივცეთ იჯარითა... მერე ვიცხოვროთ ხელმწიფურად... მეორეც ესა, შვილებისთვისაც კარგია ქალაქში ცხოვრება, იქვე სასწავლებლებია... სოფელს ჩვენი ერთგული სოსიკაც ეყოფა. სოსიკა არ იქნება, მაგის ფერი სხვა იქნება, მაგისთანა ძაღლებს ქვეყანაზე რა დალევს.

კნეინა ქეთევანის აზრი ჭკუაში მოუვიდა თავად ესტატესა. დაასკვნა ქალაქში გადასახლება.

დადგა სოსიკას ბატონობის დღე.

VII

თავადი ესტატე მარუშიძე დიდი მამულის პატრონი იყო, ყმაც ბევრი ჰყავდა; გლეხებს საკომლო მოუზომეს; ზოგს ერგო ათი დღიური, ზოგს ნაკლები. ზაქარა ჯიღაურის ოჯახს ათი დღიური ერგო დებულებითა (უსტავნი გრამოტითა). არ ეყო ხალხს საკომლოდ მიზომილი მამული (ნადელი). ისინი ძალაუნებურად გადიოდნენ ნაბატონევის მამულში; ერთმანეთის ჯიბრზე უმატებდნენ ღალა-კულუხსა, ოღონდ კარგი მამულები ეგდოთ ხელში; მოქრთამეობა, მოურავის მოსყიდვა, მლიქვნელობა, გაიძვერობა, ძღვენები და პატიჟი მოურავისა, მოურავის დანათლიება სანატრელი გახდა.

ჯიღაურების ოჯახი სულ სხვა მდგომარეობაში იყო. თუმცა ზაქარა ნაყმევი იყო, მაგრამ საეკლესიო მამული ჰქონდა თითქმის სამოც დღიურამდე. ამისი საბუთიც ჰქონდა: თვით ის ნაფუძარი, რომელიც კარწინ ჰქონდა, საეკლესიო იყო, ამიტომ ზაქარას ნაბატონართან და იმის მოურავთან სახვეწარი არა ჰქონდა რა.

გავიდა ხანი და ჟამი იმის შემდეგ, როცა თავადმა ესტატემ შეურაცხყოფა მიაყენა იმის ოჯახსა. ზაქარას თუმცა გულიდან გადაყრილი არა ჰქონდა სოსიკას ჯავრი, მაგრამ მაინც თავის საქმეს დამშვიდებით შეუდგა; პეტრე ისევ ყოჩაღად იყო და გუთნისდედობდა ოჯახში; ზაქარას ძმები წამოიზარდნენ, ორი კიდეც დაქორწილდა; ოჯახი ძაან დააწინაურეს; ყოველწლივ ღვინოსა და პურს ბლომად ჰყიდდნენ; სოფელში სუფთად გამოდიოდნენ. გლეხობის კვალობაზე პირველი ოჯახი იყო ტორტლაში. ფუფუნებდა და ხარობდა ოჯახი.

ბუნებაშიაც ხშირია ასეთი ფუფუნება და მხიარულება: ცა ლაჟვარდოვანი; იგი კიდითკიდემდე მოკრიალებულია; მზე ეტრფიალება ცას და ქვეყანას, ანათებს, ათბობს, სხივებით ეთამაშება, თავს ევლება ცას და ქვეყანას; ყველა სულდგმული ხარობს, აღტაცებაშია ბუნების სილამაზე-სიმშვენიერით.

აი, ოდნავ იჩინა თავი მთის მწვერვალებზე თეთრმა ნისლმა; გრილმა სიომ დაუბერა; ნელ-ნელა თეთრი ქულა ნისლები შექუჩდნენ, ფერი იცვალეს,

დალეგავდნენ, დევებივით წამოიყუყნენ მთებზე, მოიცვეს მთა და ბარი, მოგრაგნეს მთლად ლაჟვარდოვანი ცა...

ჩამობნელდა, იჭექა, გამოჰკრთა ელვა და კლაკვნით წავიდა ცის სივრცეში; ჭექა-ქუხილმა ჰაერი შეარყია, შეაზანზარა, თავზარი დასცა მხიარულს ცხოველებს; ჰაერის რყევას მოჰყვა ღაპაღუპით მსხვილი წვიმა. ყველა გულხეთქებით გარბის ბუნაგისკენ. ადამიანი ელვა-ჭექისაგან შეშინებული პირჯვარს იწერს და შესთხოვს წმ. ელიას მშვიდობასა და შეწყნარებასა.

ერთს წამს შეირყა ბუნების მხიარულება... ერთს წამს შეწუხდა ცხოველი არსება... შეეხუთა გული ერთს წამს ადამიანსაც... ყოველი ცვლილება ასე არყევს და აწუხებს ადამიანსა...

ზაქარა ჯიღაურის ოჯახის გარშემოც ნისლი მიადგა, გაიზარდა, მეხად იქცა და ანაზდეულად თავს დაატყდა.

შუადღე გადახრილია... პეტრეს კარწინ ნაფუძარში გუთანი უბია... გუთნისდედა მეხრეებით სამხარს შეექცევიან ნიგვზის ხის ძირში, დღის მეხრეებს გუთნეული რუს პირად საძოვრად ჰყავთ. ზაქარა, რომელიც კარებზე საბარო ურემს ამზადებდა, მოუჯდა მამას და მეხრეებს და ესეც სამხარს ტკბილად შეუდგა.

აგერ დღის მეხრეებმა გუთნეული ნიგვზის ხესთან მორეკეს, ახლა ამათ ისამხრეს... გუთანი კვლავ შეიბა... გაჩაღდა ოროველა, დასვენებულმა გუთნეულმა ხალისიანად გასჭიმა ჭაპანი. ოროველა გაიბა: გუთნეულმა სახრე აღარ დაირტყა... აი, გავიდა გუთანი ბოლოს, შემოტრიალდა პეტრე გუთნით მეორე კვალისაკენ, კვლავ აუბა გუთანი.

ამ დროს ორღობიდან გამოვიდა თავად ესტატეს ცნობილი მოურავი სოსიკა ორის შეიარაღებული ოსითა. მოვიდა გულადად გუთნისდედასთან და თამამად უთხრა:

_ ბატონისაგან მომივიდა ბრძანება, რომ ამ მამულს ხელი არ შეახო, შენ საკომლოდ (ნადელად) ათი დღიური გაქვს მოცემული, დანარჩენი ბატონისაა; ის არ გიშვებს სხვა მამულში; ვისაც უნდა გამოართვას და ჩემს მამულში კი დღეიდან ფეხს ნუღარ დასდგამსო...

პეტრეს ეს ამბავი სიცილად არ ეყო. ზაქარამ, რომელიც ამ დროს კაკლის ხის ქვეშ საბარო ურმის თვლებს ჰკვერცხავდა ხელეჩოთი, თავი მაღლა აიღერა, მარცხენა ხელი ქამარში გაივლო, მარჯვენა მხარზე ხელეჩო გაიდო და დაუწყო ცქერა.

_ გააჭიმინეთ ჭაპანი, ბიჭებო, რას გაშტერდით... გაუჯავრდით წინა ხარებსა.

_ აუშვი-მეთქი, გეუბნევი... ნაბრძანები მაქვს! _ გადაუდგა სოსიკა წინ გუთნეულსა.

ზაქარა ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა, თვალი ჩაუკრა ძმებსა და ღამისმეხრეებსა, მივიდა მამასთან, გამოართვა გუთანი და დასძახა:

_ აბა, ბიჭებო, გაუჯავრდით!..

_ სისხლს ნუ იძლევი, ზაქრო! _ შემოსჭყივლა სოსიკამ.

_ თითონ შენ ნუ იძლევი სისხლსა!.. ეს მიწა და სხვა ამისთანები ჩემი საკუთრებაა, საეკლესიოა, მე იგი საბუთებით მიჭირავს... შენ თითონ იცი, რომ ბატონყმობის დროსაც გვჭერია, მაშინ არავინ შეხებია და ეხლა ვის რა ნება აქვს?

_ წადი და იჩივლე, რაზე მაკვდები!.. აუშვი გუთანი, თორემ ვეტყვი ბიჭებსა და კარგა გავასახვრინებ შენს თავსა.

_ გეუბნევი, ამ მიწის საბუთები მაქვს-მეთქი. თქვენ თითონ იჩივლეთ, მე საჩივარი რა მაქვს... მე საბუთს სასამართლოს წარვუდგენ.

ბიჭებმა შეუტიეს გუთნეულსა; წინა ხარებმა გაჰკრეს ჭაპანსა და სოსიკა მიწაზე გაანარცხეს. წამოფორთხდა, იძრო ხანჯალი და უნდა დაეცა ხარისათვის, მაგრამ ღამის მეხრემ გაუქნია სახრე, გაარტყა მაგრა შიგ ჩონჩხში და ხანჯალი გააგდებინა. ამავე დროს ზაქარამ უშვა გუთანს ხელი და მძლავრად დაჰკრა ხელეჩოს ყუა სოსიკას მხელებელს, რომელმაც ჩაიჩოქა, დარეტიანდა და წამოდგომა ვეღარ მოახერხა. მეორე მხლებელმა იერიში ვეღარ მიიტანა. გადგა განზე და თავის თავის დაცვას შეუდგა. მეტი ღონე აღარ იყო, უნდა დამორჩილებულიყო სოსიკა ბედსა.

ერთი კვირის შემდეგ მოვიდა ქალაქიდან მომრიგებელი მოსამართლე, ღვიძლი ბიძაშვილი თავად ესტატე მარუშიძისა და გამოუცხადა ზაქარა ჯიღაურსა:

_ შენი ოჯახი ესტატეს ნაყმევია; თქვენს ოჯახს კანონითა და სამართლით მიეცა ათი დღიური, დებულებაში, უსტავნი გრამოტაში ასე გიწერია... დანარჩენი მამული ბატონისაა; უნდა მოგახვნევინებს, უნდა არა, ეს სრული იმის ნებაა... ეს ნაფუძარი უსტავნი გრამოტაში ხომ არ გიწერია?.. _ ჩაეკითხა მომრიგებელი მოსამართლე.

_ არ მიწერია...

_ ჰოო, გაცოცხლა ღმერთმა! რაც არ გიწერია, შენი არ არი, ბატონისაა. ხელმწიფე ვერ წაართმევს და შენ როგორ უნდა წაართვა.

_ ეს მამული საეკლესიოა; ესტატეს ყმა გახდა პაპაჩემი, მაგრამ იმას საეკლესიო მამულებიც შერჩა, როგორც სხვა ჯიღაურებსა. ჩვენ ამისი საბუთები გვაქვს.

_ მაშ წარმოადგინე საბუთი.

_ უკაცრავად კი გახლავართ, ბატონო, მაგრამ ვერ წარმოგიდგენთ... ესტატემ მიჩივლოს და სასამართლოს წარვუდგენ...

_ როგორ თუ ვერ წარმომიდგენ? მაშ მე არ მენდობი, მე მოსამართლე არა ვარ?.. ეს საქმე საკუთარი ჩემი საქმეა, მე მეკითხვის ბატონყმის არიგება და შენ კი...

_ ანწუხზედაც რომ დამაგოთ, აიმ ხეზე რომ ჩამომახრჩოთ, მე იმ საბუთს თქვენ ვერ ჩაგიგდებთ ხელში... თქვენ იმისი ღვიძლი ბიძაშვილი ხართ... არ დამინდობთ, იმ საბუთს გამიქრობთ და ამ მამულს ხელიდან გამომაცლით... რომ ეს მამული ბატონისა ყოფილიყო, უსათუოდ ნადელში მოვიყოლიებდი. ეს მამული რო წამერთოს, უნდა სული ამომეხუთოს, სახლიდან გამოსასვლელი გზა აღარ მექნება; მაშინ მერცხალივით უნდა ბანიდან ავფრინდ-ჩამოვფრინდეთ...

_ მე განაჩენს შევადგენ, რომ არ მემორჩილები, წარვუდგენ სადაც ჯერ არს და შენ ციხეში ამოგაყოფინებენ თავსა.

_ ციმბირშიაც მზად ვარ წავიდე სიმართლისათვის.

_ მაინც მე გირჩევ, შეაყენე ამ მამულის ხვნა-თესვა... სამართალი გაარჩევს საქმეს და ვისაც იგი აკუთვნებს, ის მოუვლის...

_ ეგ სამართალი და ეგ ბატონი: წავიდეს, იჩივლოს და თუ აკუთვნებენ, დავინახავ, _ უთხრა მტკიცედ ზაქარამ.

_ შენთან ლაპარაკი წყლის ნაყვაა სწორედ... შენ რასაც გეუბნევიან, უნდა გაიგონო... დაჰკათ, ბიჭებო, ამ მამაძაღლსა, ამას! _ დააბდღვიალა თვალები მომრიგებელმა მოსამართლემ, თავადმა ვარდენ მარუშიძემ, თვით მიიწია ზაქარაზე და სილა გაჰკრა; ამ დროს წაეშველნენ იასაულები, სოსიკა ბიჭებით და დააყარეს ზაქარას მათრახი და ჯოხები.

რას იზამდა: ათი ერთს სცემდა, დევიც რომ ყოფილიყო, ვერ შესძლებდა წინააღმდეგობასა, თუმცაღა თითონაც ვისაც მოასწრო, კეთილი არ დააყარა.

_ აღარ გაბედო ამ მამულში შესვლა... მამასახლისს გამოუცხადებ, რომ ხელი არ ახლო... მე შენი საბუთებისა არა ვიცი რა... სოსიკა! თუ ეს მიწა კიდევ მოუხნავს... ეს სახნავიც შენ დააფარცხვინე ესტატესათვის... ვეტყვი ესტატეს და ვაი შენს დღესა!..

_ ეგრე კი მიბრძანეთ და ვაჩვენებ მე მაგას სეირსა... მთელი სამი სოფელი ბატონისაა, ახლა ე ჯიღაურებიც ბატონობენ, ჩვენ საეკლესიო გლეხები ვართო... ჰაი, მე ი ბატონისა ვიყვე, ყველა ჯიღაურებს ავაბარგვინებ აქედანა...

_ გლეხს ვინ მისცა საკუთრება, _ დაიწყო ვარდენ მარუშიძემ, _ ღმერთს ვედრება შესწირეთ, რომ ხელმწიფემ საკომლო გიწყალობათ... შენ კიდევ სხვასაც ეპოტინები...

ზაქარა თითქო ქვად იქცა, ხმას აღარ იღებდა. ის სხვა ფიქრებმა გაიტაცეს; აღარ გრძნობდა ტკივილებსაც; სისხლი ღვარად ჩამოსდიოდა შუბლიდგან; სისხლის ღვარმა მკერდზე წითელი ზოლი გაავლო და პერანგსა და შალვარ შუა დაგუბდა... გარს ეხვეოდნენ ცოლი, დედა, ბავშვები...

პეტრემ და სხვა ამისმა შვილებმა ზაქარას მარცხი გვიან შეიტყვეს; მოიჭრნენ ისინიც.

ზაქარა მიიყვანეს კაკლის ქვეშ, დასვეს ჭილობზე. ცოლმა მოჰბანა სისხლი, იარები მოუწმინდა და ერბოში მოშუშული ბამბებით შეუხვია. ზაქარას ერთიც არ დაუკვნესია, კრინტი არ დაუძრავს. ცოლის და მშობლების ლაპარაკი არ ესმოდა.

_ რა ვქნა, ეს რა მომივიდა!.. შვილო ზაქარო! შენ გენაცვალოს დედა, ხმა ამოიღე!.. აი, ჩაუგდოს ენა ჩემმა სასო ღვთისმშობელმა სოსიკა მოურავსა და იმ ტურა მოსამართლესა!.. შვილო, მარინე!.. გაირბინე დალაქიანთ მოსოსთან, ერთი შეშინებულისა შეულოცოს... სწორედ ენა ჩაუვარდა და რაღა ვქნა! _ ოხრავდა და იკაწრიდა ზაქარას დედა სახესა; მარინე უხვად აბნევდა ცრემლსა, ხოლო მამა პეტრე და ძმები გულხელდაკრეფილნი და მწარედ დაძმარებულნი შესცქეროდნენ გაყრუმუნჯებულ ზაქარასა.

ზაქარას სახეზე ნისლი გადაეყარა; თვალებზე ხელი მოისვა და წამოვარდა.

_ თოფი!.. ჩემი თოფი!.. ოოჰ,.. კაცის სისხლში უნდა გავისვარო ხელი!.. უნდა სისხლით მოვრწყო ეს ნაფუძარი... _ დაიწყო ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკი.

_ ნუუ, შვილო, ნუუ!.. უწინამც დღე დალევიათ შენს მტრებსა!.. იმათის გულისათვისა რად უნდა გაიხადო, შვილო, თავი საციმბიროთა, _ ეუბნებოდა დედა და დამჭკნარს ძუძუებში იყოფდა შვილის ხელებსა.

_ კარგი, კარგი!.. ერთი წყაროსთან მიმიყვანეთ...

გავლამ სისხლი აამოძრავა, წყაროს ცივმა წყალმა გული გაუგრილა, გამოაფხიზლა.

მთელი ტორტლა საღამო ჟამზე პეტრე ჯიღაურის კარ-მიდამოზე გაჩნდა: ყველა კითხულობდა იმის ამბავსა, ყველა ნუგეშს სცემდა, ზოგი მასხარაობდა, რომ ზაქარა ხალისზე მოეყვანათ.

_ წყალი აიმღვრა!.. ეს ამბავი მუქთად არ ჩაივლის... სოფელში დიდი ცოდო დატრიალდება: მაგ საწყალ ზაქარას მოუკლავს არ გაუშვებენ, მერე ჩაიგდებენ საწყლის ოჯახს ხელში და სულ დაანიავებენ, _ ლაპარაკობდა გზადაგზა ზაქარას მეზობელი.

_ ვინ ვის მოჰკლავს, კაცმა არ იცის... ზაქარა ჯიღაურს ნუ ეხუმრებით. მთელ ხეობაში კაცი არა სჯობიან, თავმომწონე კაცია, _ უპასუხა მეორემ.

_ რაღაც კი დატრიალდება და! _ კვლავ სთქვა მოხუცმა.

_ მართალია!.. ეს საქმე უბრალოდ არ ჩაივლის, _ დაეთანხმნენ მოხუცს სხვები.

VIII

ზაქარა ჯიღაურს სასამართლოებში სიარულით გამოუღამდა. თითქმის ყოველ თვე დაათრევდნენ გორის მომრიგებელ თუ ტფილისის ოლქის სასამართლოებში. თუმცა მომრიგებელმა უარი უთხრა ესტატე მარუშიძეს და როგორ ის ნაფუძარი, ისე სხვა მამულები, რომელიც კი საეკლესიო საბუთით ეჭირა ზაქარას და სხვა ჯიღაურების ოჯახსა, მიუსაჯა ზაქარას და მის სახლიკაცებს საბუთის ძალით, მაგრამ ესტატეს რა გააჩერებდა; საქმე გადიტანა ოლქის სასამართლოში. აქ კი საბუთი სადღაც გაჰქრა. ათასნაირად ატრიალა საქმე ნათესავების შემწეობით და ზაქარას ოჯახს სულ ტყავი გააძრო «სუდებში» თრევითა და უბრალო ხარჯითა.

ზაქარაც მოუთმენელი და ჯიუტი იყო, არას უთმობდა, ხშირად ლანძღავდა ბატონს და წელიწადში ამის გამო ორჯერ-სამჯერ იჯდა ციხეში. გამოიცვალა ჯორ-ზაქარა, სახეზე შეიშალა, ოჯახი წელში გატყდა, ნელ-ნელა ვალებში ჩაჯდა. წყეულმა ადვოკატებმა ხომ ბატონზე უარესად ამოსწოვეს ტვინი; გაურიგდებოდნენ, გამოართმევდნენ ნახევარს ხელფასისას წინდაწინ, რაღაც უბრალო ქაღალდს დაუწერდნენ; მერე ერთი ორი თვის შემდეგ ეუბნებოდნენ: ამ საქმეს ხელს ვერ მოვკიდებთო; ჯერ ერთი იმიტომ, რომ ესტატე მარუშიძე მძლავრი კაცია, მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღვარია, ოლქის სასამართლოში და პალატაში ნათესავები, მოკეთეები და კეთილის მყოფელები ჰყავს, ჩვენ ხელს ვერ მოვკიდებთო.

ეწვალა, ეტანჯა ასე წოწიალითა და სიარულითა. სასამართლომ მამული თავად ესტატეს მიუსაჯა. როცა უკანასკნელად წააგო და განაჩენი გამოუცხადეს, ზაქარამ თავი ვეღარ შეიმაგრა, ცრემლი მოადგა და ნაკადულივით გადმოსკდა თვალთაგან და უთხრა მოსამართლეებს:

_ თქვე დალოცვილებო! საბუთი დამიკარგეთ, მაგრამ ადგილობრივად მაინც გასინჯავდით იმ მამულსა. დაწყივ-დაბადებიდამ ჩვენი ოჯახი იმ ნაფუძრის პირს ცხოვრობს, უიმისოდ ჩვენ ცხოვრება არ შეგვიძლიან. როცა ეკლესიას ის მამული მოუცია ჩვენი ოჯახისათვის და იქვე დაუსახლებია, ის ჰქონია სახეში, რომ უმამულოდ ცხოვრება არ შეიძლებოდა და სწორედ იმიტომაც მიუცია ეკლესიასა. თქვე დალოცვილებო, მერცხალი არა ვართ, ბანიდან ავფრინდ-ჩავფრინდეთ სახლში, ბუზი არა ვართ, კედელს მივეკრათ და ისე ვიცხოვროთ უსახლკაროთა, სად წავიდე, როგორ შეველიო მაგისთანა მამულსა? ავიყარო იქიდან, სხვაგან გადავიდე? მერე სადა მაქვს შეძლება, რომ ახლად მოვეწყო კუდამდი ტყავგამძვრალი. ღმერთო! ამისთანა სამართალი გაგონილა!!.

_ სამართალს ჩვენსას უკადრისად ნუ ეხები, თორემ ამა და ამ კანონის ძალით ციხეში იქნები ჩასმული, _ უთხრა ერთმა მოსამართლეთაგანმა.

_ რაღას ვაქნევ ჩემს თავსა: მე ციხეში ყოფნა და იქ სიკვდილი მირჩევნია ასე გათახსირებასა და სულის წუხილსა...

წაართვეს ზაქარას მამული... მაგრამ ერთი ღონე კიდევ სცადა: მიმართა უმართებულეს სენატს ქაღალდითა, რომელიც ვიღაც მადლიანმა კაცმა დაუწერა...

ამ ქაღალდისა ეიმედებოდა; გადაწყვიტა სისხლი დაეღვარა მამულში, შიგ მომკვდარიყო ბარემ და მერე თუნდაც წაერთმიათ, არ ინაღვლებდა.

ზაქარა სოფლად აღარ გამოდიოდა; გულხელდაკრეფილი იდგა კარებზე თითქმის მთელი საათობით გაჩერებული, ჩაფიქრებული; ფიქრს დაჰყავდა იგი თავის ყოვლადშემძლებელ ფრთებით ათასგან _ ხან აიყვანდა ცად, ხან ჩააფრენდა ქვესკნელში, ხან ტკბილად გაუღიმებდა, ზოგჯერ კი ჯოჯოხეთის ცეცხლს დაუნთებდა-ხოლმე გულ-მკერდში. ყოველივე ეს მის სახეზე იხატებოდა, მის სახეს დაღს ასვამდა.

_ რაღაა ჩემი სიცოცხლე! _ იფიქრა ზაქარამ, _ აგერ ორმოც წელს გადავაბიჯე, ბატონყმობის გადავარდნიდან აქამომდე ამ მამულის გამო ერთი ნათელი დღე არ მინახავს; მოვდივარ და მოვიწვ-მოვიდაგვი. ერთი კევრი არ მოტრიალებულა ჩემს თავზე, წისქვილს არ დაუტრიალნია, თორემ სხვა ყოველივე გადამხდა. აი, სულიღა შემრჩა, ცარიელი სული და ესეც მუდამ წუხილშია, მუდამ ქენჯნაშია... უნდა ჩამოვიცალო გზიდან ეგ წყეულები, უნდა ჩამოვიცალო... ერთადერთი გზაღა დამრჩენია; სისხლით, ადამიანის სისხლით უნდა შევისვარო ჩემი მარჯვენა. ამოდენა ხნით კაჩხაზე ჩამოკიდებული ჩემი სიათა უნდა ავახმიანო.

ერთ ღამეს გაიმზადა ყველაფერი; დუმა, საშალე, საპირისწამლე, სხვადასხვანაირი კაჟი. გატყდა ღამე... სახლში ყველას სძინავს... ჩამოიღო დაჟანგებული სიათა; მოუშალა ჩახმახი; გადუმა ლულა, ჩახმახი გაწმინდა ნაცრით, გამოწმინდა ლულა, დაასხა ჩახმახი, შეურჩია ისეთი კაჟი, რომელიც ნაპერწკლებს უხვად სცემდა: სცადა რამდენჯერმე, ფალია მარჯვედ ჰფეთქავდა, არც ერთხელ არ აუწვავს. წვრილ-წვრილად გაასორსოლავა ტყვიები, დასჭრა საფანტად, ჩაალაგა საპირისწამლეში. მეორე დილით თოფი მზის გულზე ჩამოჰკიდა, რომ დუმა გასჯდომოდა, ჟანგი მზეს მოეჭამა. ერთი კიდევ გასწმინდა შალითა და ნაცრითა და ისევ დაჰკიდა გარეთ ბოძის ყბაზე.

ყველას ეუცხოვა ეს ამბავი. აქამდე ზაქარას ხელეჩოსა და გუთნისთვის ხელი არ უშვია, მთელი სოფლის ურმის ამსხმელი ის იყო, ქებული გუთნისდედა, სოფლის მოკეთე, ეხლა კი ყველას თავი დაანება და სახლში ჩაიკეტა.

_ კაცო, ზაქარო! ე თოფი რას გამოგიმზევებია? _ ეკითხებოდნენ მეზობლები.

_ ძველი ხელობა, მონადირეობა უნდა დავიწყო! _ ისიც დინჯად უპასუხებდა; _ რაღა დამრჩენია, რა? მამული ადგილი წამართვეს. ვივლი მინდორ-ველად, ტყე-ღრედ. მგელს მოვკლავ, მელას თუ დათვს, ტყავს ბაზარში გავიტან, სხვა ნანადირევს ოჯახში მოვიხმარ.

_ მგონი, კიდეც გადაეჩვიე სროლასა? მაინც რამდენი ხანია, რაც აღარ გისროლია თოფი? _ ჩაეკითხა ერთხელ მეზობელი.

_ აბა, როგორ გითხრა? _ უპასუხა ზაქარამ. _ ბატონყმობის შემდეგ ერთი ოთხი წელიწადი კიდევ დავეხირებოდი სანადიროდ, კიდევ ჩვეულება თვისას არ იშლიდა. მაშინ ოცდაორის წლის ბიჭი ვიყავი... ჰო, ესე ოცდაორი წელიწადიც უნდა იყოს... თუ მეტი არა, ნაკლები მაინც არ იქნება. ეხლა უნდა გავიხსენო... ერთი ორჯერ-სამჯერ რომ გავისვრი, ისევ დამიტრიალდება სიმარჯვე თვალისა და მკლავისა, თუმცა მკლავი ისე მტკიცე აღარა მაქვს, მაგრამ თვალი უფრო მიჭრის თითქო... ამითი მაინც გავაყოლიებ დარდიან გულსა... _ სთქვა ზაქარამ.

თავადი ესტატე მარუშიძე ამ დროს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი იყო. ქალაქში ყოფნის დროს ძალიან გამოიქნა, სამშობლოსა და ხალხის სიყვარულზე მაღლა ყვიროდა, თუმცა ორივე ფეხით სთელავდა ხალხსა, სულს ართმევდა, მაგრამ თბილ ოთახში ესეც ტაშს უკრავდა სხვა მაღლა მყვირალებს მამულის და ხალხის კეთილდღეობაზე. თავადი ესტატე ხშირად მღეროდა

«მრავალ-ჟამიერს»; «ყანწით ვსვამ ღვინოს, თქვენ სადღეგრძელოს და გაუმარჯოს ჩვენ საქართველოს»; ან კიდევ: «მე შენი მომწონს შავი თვალები, შენ გენაცვალნენ რუსის ქალები», მაგრამ ღვინო ერჩივნა საქართველოსა და, იქნება, რუსის ქალები მართლა არ უყვარდა, მაგრამ რუსის ჩინოსნების წინ კი ძლიერ უყვარდა წაკაკვა და მლიქვნელობა.

დიახ, თავადმა ესტატემ წინამძღოლობის დროს უფრო მაღლა დაიწყო ყვირილი საქართველოსა და ერზე, სულ კორიანტელი ააყენა; იაფფასიანი ჩვენი მწერლები _ ლიტერატორები ესტატეს ტაშს უკრავდნენ და იმის სტვირზე თამაშობდნენ. ამ მხრივაც ესტატემ ზურგი გაიმაგრა, ყველას თვალში ნაცარი ჩააყარა, დააბრმავა. ამავე დროს, იგი რომ თავის გლეხებს აწიოკებდა, ის კანონიერად მიაჩნდა იმის მწერალ მეგობრებსა, ხოლო ტეტია გლეხის გმინვა და ტანჯვა მოგონილ ამბად.

სოსიკა მოურავი ამ დროს დიდი კაცი გახდა: თავზე კალმუხის ჩატეხილი ქუდი ეხურა, კვირა-უქმით «ენიანი_ კაბით დადიოდა და ისე სადაგ დღეში მუდამ ჩექმაში და მოკლე ქართული შავი შალის ჩოხით გამოწყობილი. იმის ქამარ-ხანჯალს, მასრა-ყაწიმებს, საუცხოოდ დასევადებულს, ფასი არ ედო. სამოურაოში რო წავიდოდა, შორიახლო მისდევდა ბიჭი ცხენითა; თითონაც, რასაკვირველია, სანაქებო ცხენზე იჯდა. იმ დროს ბატონიც იყო სოსიკა, პატრონიც და ერთიც კიდევ ზედმეტი რაღაცა. ეხლა თავადი ესტატეც და ხალხიც სოსიკას აღარ ეძახდნენ, ეხლა ის ყველასათვის «იოსებ პაატიჩი» გახდა, და ვაი იმის დედას, ვისაც სოფელში წამოსცდებოდა «სოსიკა», სულ მათრახით გააჭრელებდა ხოლმე და თან დააყოლებდა: «შე მამაძაღლო, მე შენი რა სოსიკა ვარ, ჰა!!.»

ყველა სოფელში სოსიკას, აწინდელ «იოსებ პაატიჩს», თითო მსუქანი ნათლიმამა ჰყავდა; ამ ნათლიმამებთან ჩამოხტებოდა ხოლმე; აქ მოჰქონდათ ძღვნები: ცივ-ცივი ღვინო სველი ხელადებით, ცივად მოხარშული დედლები და ჩახრაკულ-ჩაბრაწული ვარიები. სოსიკა გასუქდა წიფელნაჭამ ღორივითა, კისერი მორგვივით ჩამოურგვალდა. მუდამ ხალისიანად იყო, უდარდელად, და ალაგებდა ჯიბეში ფულებსა, ბეღელ-ორმოებში ხორბალსა, სდუღდა და გადმოსდიოდა. თავად ესტატეზე ნაკლები შეძლება არა ჰქონდა... იმასავით გიმნაზიაში ზრდიდა შვილებსა. ჩაცმა-დახურვით, შეხედულებით თავად ესტატეს და «იოსებ პაატიჩის» შვილები არც კი განირჩეოდნენ.

თავად ესტატეს და მის კნეინას თავი მწვანე კიტრივით მოჰქონდათ, რომ სოსიკა, რომელიც ერთს დროს ღორის ტილივით დაძვრებოდა, ეხლა ისე გასუქდა, თავს მოექცა ყველა გლეხს და «იოსებ პაატიჩად» გახდა. აბა, მეტი სამშობლოს და ერის სიყვარული უნდოდა კიდევ თავად ესტატეს!.. ერთი კაცი გააბედნიერა. სოფელს თავზე წამოასვა, თავისთან ისვამდა სუფრაზე და სტუმრებთან «იოსებ პაატიჩს» უწოდებდა. სრული ბედნიერება თავადისა თუ გნებავთ ეს იყო.

სოსიკაც აფასებდა ბატონის სიყვარულსა: ტყავიდან ძვრებოდა, ოღონდ კი ბატონისათვის ესიამოვნებინა, შეემატნა რამე იმის ქონებისთვის, გაემდიდრებინა იმისი სახლი, რაკი თითონაც გემო გაიგო სიმდიდრისა, თითონაც ფეხი ჩადგა ბატონყმობაში, რაკი ისე დააყენა ყველგან საქმე, რომ «ბატონ მოურავს ვახლავართ, ბატონი მოურავი ადღეგრძელა ღმერთმა», _ სულ ეს ესმოდა გლეხებისაგან, უფრო და უფრო უმატა მხნეობას, გლეხების ყვლეფასა. შებრალება და შეწყნარება ვისიმე, ტკბილად, დაძმურად მოპყრობა, ქვრივ-ობლის გაკითხვა იმის დროშაზე არ ეწერა, მხოლოდ, როგორც ზემოთაც ვთქვით, თითო სოფელში კაცი ჰყავდა გააზატებული, ნათლიმამად მოკიდებული, რომ მყუდრო ბინა ჰქონიყო. ეს ნათლიმამაც იმ

სოფელში ერთ რამეს ნიშნავდა: სოფელი ეფერებოდა და ხანდისხან ხიდად ხმარობდა მოურავთან საქმის გასაკეთებლად.

თავად ესტატე მარუშიძეს ამ ბოროტ სოსიკას წყალობით მთელს მაზრაში, მაზრაში-მეთქი, მთელს გუბერნიაში, კაცი აღარ სჯობდა შეძლებითა. ორი-სამი წლის ნამკალი, თორმეტ-ცამეტი ძირი ბჯა პურის ძნისა მუდამ იდგა იმის კალო-საბძლის წინა. ახალი ძნა რჩებოდა, ძველი ილეწებოდა სალეწი მანქანებითა. თავად ესტატეს საქონელი: ხარ-კამეჩი, ჯიშიანი ძროხები, იმისი ხეხილის ფერმა განთქმული იყო მთელს მაზრაში.

ფუფუნებდა, სდუღდა და გადმოდიოდა თავადი ესტატეს ოჯახი... ფუფუნებდა, სდუღდა და გადმოდიოდა «იოსებ პაატიჩის», ბოროტი სოსიკას ოჯახიც...

მაგრამ არა ნაკლებ ფუფუნებდა სოფლის გულში შური, მტრობა და სიძულვილი ესტატესა და სოსიკასადმი. ბოღმა-ვარამმა, ჭირმა და ვაებამ აავსო სოფლის გული, იწყო დუღილი სოფლის გულმა და ფიალა მოთმინებისა აავსო.

IX

ათას რვაას სამოცდაათსა და ოთხმოციან წლებში სოფელ-სოფელ გამოჩნდებოდნენ ხოლმე თითო-ოროლა «ერთობის» მქადაგებელნი; სთესავდნენ «თესლსა კეთილსა», თესლსა «ერთობისასა». ხალხის გული სალი კლდესავით შეხვდა ამ ერთობის მთესველებსა, არ იკარებდა თვისთა მოყვასთა სიტყვებსა და სდევნიდა კიდეცა, მაგრამ თითო-ოროლა ისეთიც იყო სოფლად, ვის გულსაც ღრმად ჩასწვდა კეთილი სიტყვა «ერთობა» მქადაგებლებისა, იპოვა ამ ზოგიერთების გულში კეთილი ნიადაგი, ღრმად გაიდგა ფესვი; იზარდა იგი, იზარდა და შტო გამოიღო. ეს შტო ერთის გულიდან მეორეზე გადაიმყნო და ნელ-ნელა ხალხის გული ერთობის ბაღად _ წალკოტად გადაიქცა; იხარა, იფეთქა ხალხის გულში «ერთობის» ძალამ, ხელი ხელს მისცეს, პირი პირს, გული გულს შეაჭდეს და თამამად შესძახეს:

_ გაუმარჯოს ერთობას, თავისუფლებას!.. სოფელი რად უნდა ემორჩილებოდეს ერთსა, ერთი ათასის ბატონი რად უნდა იყოს? თავისუფლება საერთოა, ყველას უნდა ათბობდეს იმისი სხივები, სიყვარული საერთოა, ყველა თანაბრად უნდა გვიყვარდეს; მიწა ყველასია, თითო-ოროლას ჩაუგდია ხელში და მთელ ხალხს ტვინსა სწოვენო.

მოედო ნელ-ნელა სოფელს ასეთი აზრები. სოფელ ტორტლაში დიდი ხანია ამ აზრების წარმომადგენელი ჯორ-ზაქარა იყო; ჯერ ბუნდად ჰქონდა წარმოდგენილი ყველა ეს ღვთიური აზრები; მაგრამ ნელ-ნელა გაუჯდა; ცხოვრებამ, ტანჯვა-ვაებამ, თავადმა ესტატემ და მისმა სოსიკამ სისხლსა და ტვინში გაუთქვიფეს ზაქარას ეს აზრები.

_ მუსრი ჩვენს სისხლის მწოველებს, მუსრი! _ იმეორებდა ზაქარა გულში და ხალხს კი ჯერ-ჯერობით ვერ უმხელდა. _ ხალხი სიტყვით მოგვყვება, მაგრამ სიტყვას საქმედ ვერ გადააქცევს და საქმე წახდებაო, _ ამბობდა ცხოვრებისაგან გამობრძმედილი ზაქარა. _ მაგალითებია საჭირო. უნდა დაუმტკიცო, რომ ბატონი ესტატე და მისი მოურავი სოსიკა ისე საშიშარი არ არიან, როგორც ხალხსა ჰგონიათო. _ გადასწყვიტა, გასტეხიყო ერთ-ორს თავის თანამოაზრე გლეხსა და ისე დაეწყო ბატონების გამუსვრა.

რაც დღე გადიოდა, სოფელი უკან-უკან მიდიოდა, ღარიბ-ღატაკდებოდა; ვისიც ოჯახში ხალხი მრავლად იყო, იმას კიდევ არა უშავდარა; ვინც მარტოხელი, იმის

საქმე მთლად დაღუპული იყო: სული გაუთავისუფლდა ხალხს, ხორცი კი ბატონს დარჩა; სულის ძალა ჯანის სიმრთელეზეა დამყარებული; თუ ხორცი უძლურია, სულიც უძალოა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ხალხის სულიც ბრჭყალებში ჩაიჭირეს და მისი სულის თავისუფლება გალიაში ჩამწყვდეულ ბულბულის ყოფაში ჩავარდა. ყოველ მხრივ შეეზღუდა თავისუფლება; საითაც კი გაიწევდა, მაგარ კედელს აწყდებოდა, როგორც გალიაში ჩიტი-ბულბული.

ბატონებმაც გააბეს ჯაჭვი მონობისა, ხალხის შეწუხებისა და ქენჯვნისა. ამათ ტაშს უკრავდნენ იაფფასიანი მწერლებიც, რომლებიც მსუნაგი ძაღლივით დაეძებდნენ იმათ სუფრაზე გდებასა, ბოლოში მაინც «ბერი ქედანივითა».

ზაქარას ოჯახი სრულიად დაინგრა, გაღარიბდა სასამართლოებში თრევითა; ის ნაფუძარი, რომელსაც ზაქარამ თავისი სიყმაწვილე, თავისი ოჯახის კეთილდღეობა შესწირა, ეგდო უპატრონოდ, მოხვნის ნება არა ჰქონდა და არც ბატონი მისი ესტატე ხმარობდა. ავი ძაღლივით არც თვითონ სჭამდა, არც სხვას აჭმევდა. მარტო ზაქარა არ დაიღუპა, მთლად მის საგვარეულოს, საეკლესიო გლეხებს წაეკიდა და იმათაც წაართვა მამული.

_ ფიალა მოთმინებისა აივსო, _ უთხრა ერთხელ ზაქარამ თავის მოაზრეებსა, _ უნდა გზიდან ჩამოვიცალოთ ბატონი ესტატე და მოურავი სოსიკა. თქვენ ნუ გეშინიანთ, მე ვკისრულობ, მხოლოდ თქვენ ნუ მომაკლებთ თქვენს მეგობრობას, თქვენს სიყვარულსა. სოფელი სულით დაცემულია; მე მესმის, იმათი გული სავსეა ბრაზითა, ჯავრის ამოყრა სწყურიან, მაგრამ ძალა არ შესწევს. ის, რაც მე უნდა შევასრულო, ხალხს შეადრკობს, შეაშინებს. მაშინვე პირში და ხელში მიაჩეჩებენ დამნაშავესა. მე არც ამისი მეშინიან, სოფლის ჭირის სანაცვლო ვიყო, მაგრამ არ მინდა ხელში ჩაუვარდე მტერს იმ დრომდე, მინამ არ შევასრულებ ჩემი გულის წადილსა, მინამ სრულიად არ გავუკაფავ სოფელს გზასა...

_ მაგას ჩვენ მოვახერხებთ, _ უთხრეს ამხანაგებმა.

_ თქვენ მარჯვედ იყავით, დარაჯად გაუხდით შემდრკალს სოფელსა და მე გზიდან ჩამოვაცლი მტარვალებსა... მაშ, ბიჭებო: დედა შერთვია ცოლად, ვინც ერთმანეთს უღალატოს!..

_ დედამც შერთვია ცოლადა! _ მკვირცხლად და ერთად მიარტყეს პირში ზაქარას ამხანაგებმა.

ამ წამიდან ზაქარას ბუნება სრულიად გადაუბრუნდა; მშვიდი ზაქარა, გუთნისდედა ზაქარა, გამოვიდა ახალ ასპარეზზედ; განიზრახა სოფლის განთავისუფლება მტარვალებისაგან. ზაქარა ამ წამიდან გავიდა სოფლიდან: დღე ტყე-ღრე დადიოდა, ათასში ერთხელ ღამე მოვიდოდა სოფლად; სადაც დაუღამდებოდა, იქვე უთენდებოდა.

დიდხანს ებრძოდა თავსა: გავისვარო კაცის სისხლში ხელი, თუ არა? ყოფნა მტარვალებისა, თუ არყოფნა? სახესაც დააჩნდა სულის ღელვა. ზაქარა ჩამოთხელდა, ხორცი დაჰყარა, ნელ-ნელა შეაჩვია გული თავის ჭკუა-გონების გარდაწყვეტილებას და ბოლოს ჟამმაც დაჰკრა.

_ რომ დამიცდეს, რომ ჩემმა თოფმა ფალია აიწვას, მაშინ წახდება საქმე; სოსიკა ბიჭებით იქნება, შემომეხვევიან, მომკლამენ და სოფელს მთლად აიკლებენ... ასჯერ ზომვა, ერთხელ ჭრაო, ნათქვამია... უნდა იარაღი გამოვცვალო, ახალი თოფი ვიშოვნო; სოფელში ბევრია... _ ფიქრობდა ზაქარა, არიგებდა თავის თავს და აფრთხილებდა.

X

შუა ზაფხულია, კალოობაა გახშირებული. ურემი ურემზე მოდის ბატონისას ღალები; სოსიკა გაფაციცებით დარბის სოფელში; იმისი ყვირილი თავზარს სცემს სოფელსა. თავად ესტატეს სახლში მუდამ სტუმრიანობაა, ღრეობაა, ყველა მონატრული იყო იმის სახლში ყოფნასა.

_ რა პურ-მარილის კაცია!.. იშვიათი კაცია, შენმა მზემ, იშვიათი!.. მოკვდება ესტატე და ძველებური ადამიანი მოისპობა. მხოლოდ ზღაპრად დარჩება ქართული პურმარილიანობა, ძველი ქართველი თავადიშვილის ოჯახის ძლიერება... ეხლანდელი თაობა რის მაქნისია? ღმერთი აღარა სწამთ, ხემწიფე და მღვდელი... აი თვით ჩვენი შვილები ამას ლაპარაკობენ და რა გავამტყუნო მღვდლის და გლეხუჭა ბიჭები... _ ასე ამბობდნენ ხოლმე ესტატეს პურმარილით მოყირჭებული სტუმრები.

სოსიკა მოურავმა, სოფელში რაკი მოისაქმიანა, ახლა მთისაკენ გაემზადა. მთაც ზანზარებდა იმის შიშით; მთის სოფლები გულის ფანცქალით უცდიდნენ სოსიკას; ვის დაატყდებოდა მისი ძლიერი მეხი _ ყველა ამას ფიქრობდა.

მტრედის ფრად ირიჟრაჟა.....სოსიკა ორი ბიჭით, შეიარაღებული, გაემგზავრა მთისკენ რამდენიმე დღითა. მთა იყო, რაც იყო: ყველი, ერბო, მატყლი, საბალახე ცხვარი, ძროხა, თუ სხვა პირუტყვი _ სულ იქიდან მოჰქონდა და მოუდიოდა... სოსიკას გზა ტყე-ტყე მიდიოდა; ჯონჯლის ტყეს გზის პირი ისე ჰქონდა შეკრული და გადაქოლგავებული, რომ მზე ვერ ატანდა თავის სხივებს მიწამდე. სხივები ფოთლებზე დაფარფატებდნენ და თუ ნიავი ფოთლებს შეარხევდა, მხოლოდ მაშინ თუ ჩაანათებდნენ ძირამდე სხივები.

ზაქარაც ამ ტყეში ელოდა თავის მსხვერპლსა. ერთ ალაგას გზა ხევიდან სერზე ადიოდა, სერზე მხოლოდ თითო-თითოდ შეეძლო ცხენიანს მგზავრს გავლა; პირისპირ რომ შეხვედრიყვნენ, საძნელო იყო ერთმანეთის აქცევა; ამიტომ სერზე ამოსულს მოსახვევისკენ უნდა ხმა მიეცა მომავალი მგზავრისთვის, რომ შეელოდნა მოსახვევთან. აქ კი ასახვევი გზა იწყებოდა. ამ მოსახვევთან მთა მთას უერთდებოდა და იმ ალაგას, სადაც ერთდებოდნენ, თვით ბუნებისაგან კარი იყო დატოვებული სარკმელივით, რომელსაც ხალხი «გარდაკვეთილს» ეძახის დღესაცა. ეს ხვრელი აქეთ-იქიდან ტყით იყო მიბურული. გზა შედიოდა შიგ. მიადგება თუ არა კაცი ამ სარკმელს, «გარდაკვეთილს», საოცარი სანახავი წარმოუდგება: გაჰყოფ თავს სარკმელში, თვალს ხვდება დიდებული მთები, მყინვარი თავის თეთრი ჩადრითა, ზღვედ დაწყობილი მთები, სავსე საბალახოდ მორეკილი ცხვრის ფარებითა. «გარდაკვეთილიდან» იწყება საშინელი დაღმართი, კაცი უნდა ცხენს ჩამოუხტეს, რომ დაბლა ჩავიდეს; «გარდაკვეთილიდან» დაღმართისკენ ტყეც თავდება, იწყება ხავერდისავით ბალახი, მშვენიერ სუნოვანი.

აი ამ «გარდაკვეთილთან» იმ მხრივ, საითაც მოდიოდა სოსიკა მოურავი ბიჭებით, ტყიან, მიბურულ ადგილას საფარი გაეკეთებინა ზაქარას. აქ უცდიდა იგი მტარვალსა. ზაქარამ გამოიანგარიშა, როგორც კარგმა სარდალმა: თუ დამიცდა თოფი ნიშანში, შემფთხვალი მსხვერპლის ცხენი გაფრთხება და მოსახვევს იქით თვით გადავარდება კლდეზე. თუ მტერთან შეჯახება მომიხდა «გარდაკვეთილში», სარკმელში გავალ და იქით ჩავუსაფრდებიო. იქით ჩასაფრება უფრო საიმედო იყო, მაგრამ ზაქარას პირისპირ უნდოდა შეხეჩება.

სოსიკა ღიღინით მიდიოდა ტყე-ტყე ვიწრო გზით; უკან ორი ბიჭი მოსდევდა თითო-თითოდ, შორიახლო. მოღიღინებდა და თან მათრახს ხის ტოტებს სცემდა და ფოთლებს აყრევინებდა.

ზაქარას გულმა საათივით ჩამოჰკრა და სული ყელში მიებჯინა.

_ შესდეგ! _ დაუძახა მტკიცე ხმით სოსიკასა. _ ან შენ, ან მე!.. პირისპირ შეგვყარა ღმერთმა.

სოსიკა შესდგა, ტორტმანი იწყო, დაიბნა, თითქო ხმა ჩაუწყდა.

_ დაემზადე, თუ ბიჭი ხარ!.. ნუ იყოვნი, ერთად ვესროლოთ ერთმანეთსა... სოფელში მამაცო, ლაჩარო მთად!..

სოსიკამ ფათური დაიწყო თოფისა, რომელიც ბუდეში უჯდა და ლაჯს ქვეშ უნაგირზე ჰქონდა გაკრული: ვერ მოახერხა გამოღება...

_ არიქა, ბიჭებო!.. მიშვ...

აღარ აცადა ზაქარას თოფმა სიტყვის დასრულება, იჭექა თოფმა. სოსიკა ცხენზე შეტორტმანდა, უზანგებზე დაეკიდა. ცხენი გაფრთხა და გაიტაცა; სისხლი და ტვინი მახლობელ ხეს შეასხა.

ბიჭები აირივნენ, ვერ მიაგნეს, ვინ მოჰკლა ამისთანა ყრუ და უხვედრს ადგილას სოსიკა მოურავი. ძალიან არ შეწუხებულან, საწუხრად მხოლოდ ის შეექმნათ, რომ რას გვეტყვის ბატონი, ჯავრს ხომ ჩვენზე იყრისო. როგორ წაგივიდათ ხელიდან მკვლელიო.

გოგრაგამოფიტული სოსიკა წამოიღეს ცხენზე დაკრული.

გავიდა «გარდაკვეთილში» ზაქარა, დაეშვა თავდაღმართზე და მინამ ბიჭები სოფელში ჩავიდოდნენ და სოსიკას მოიტანდნენ ბატონთან, ზაქარა უკვე ჩავიდა ტორტლაში და გაუზიარა ამხანაგებს თავისი ამბავი.

XI

როცა ჩაირბინა ზაქარამ დაღმართი, ძირს დახვდა მშვენიერი წყარო; ხარბად დაეწაფა კალოს ხარივით, გაძღა, მერე ხელ-პირი გაიგრილა და ხეობით წამოვიდა სახლისაკენ.

_ კარგად ვქენ, თუ ცუდად, რომ მოურავი გამოვასალმე წუთისოფელსა? ადამიანის სისხლის დაქცევა ცოდვაა, დიდი ცოდვაა!.. ქრისტიანმა კაცმა არ უნდა ჩაიდინოს!.. ცოლ-შვილმა რა დააშავა? _ იფიქრა ამ საკითხზე დიდხან მომავალმა გზადაგზა. იდუმალად ეკითხებოდა თავის თავს მკვლელობის გამო. ჭკუა-გონება სრულიად კვერს უკრავდა ზაქარასა: შენმა ძმამ სოფლის სისხლს რომ წოვნა დაუწყოს, ბედშავი მოძმე არ დაინდოს, იმისი ჭირი ლხინად მიაჩნდეს, ლხინი კი ჭირად, მოსპე, მოჰკალი და მისი სისხლით შეისყიდე სისხლი ათასთა, უდანაშაულოდ დაღუპულთა იმისი ხელითა. სტიროდა დღე მუდამ სოფელი სოსიკას ბატონობისაგან და კიდევაც დიდხანს იტირებს, იტირონ ახლა მისმა ოჯახმა და თავადმა ესტატემ.

გულსაც ყური მიუგდო ზაქარამ; გულმა მხოლოდ ერთხელ ჩამოჰკრა ზაქარას მაშინ, როდესაც სოსიკას თოფი გაუღერა სასროლად. გული არ უშლიდა ზაქარას, წინ არ ეღობებოდა, მხოლოდ გააფრთხილა: მსხვერპლი ხელიდან არ წაგივიდესო. ეხლაღა, როცა მსხვერპლმა ზაქარას წინ ხეს მიასხა ბოროტი ტვინი, გული იოტის ოდენადაც არ შეჰკვნესდა ზაქარას, არ ამხელდა და არა ჰქენჯნიდა იმასა. ამიტომ ზაქარა ერთობ არხეინად მოდიოდა სახლისაკენ. მოკლე გზით მოსჭრა გრძელი

სავალი და ჯერ გუთნის გამოშვების დრო არც კი იყო, რომ სახლში გაჩნდა. თავის სიათას ჭდე გაუკეთა და თავის ალაგას ჩამოჭკიდა.

ზაქარა თუმცა ერთობ დაღლილი იყო, მაგრამ შინ არ გაჩერდა, გაიარა სოფელში, დაენახვა სოფელსა, ასე გასინჯე, ბედად ბატონი ესტატეც კი წინ შეეხეჩა. ზაქარას თანამოაზრეები, მასთან გაფიცული მეზობლები შეხვდნენ, გაუზიარა ამათ სოსიკას მოკვლა.

_ სოფელი მაგრაა, ნუ გეშინიან, ზაქრო, ნუ! როგორც ერთი კაცი, ისეა მთელი სოფელი. თუ ჩვენს სოფელს შესდეს პირად იმის სიკვდილი, ყველა ცულებს ავისხავთ და მთლად ბატონის სახლს ძირს დავუშვებთ.

_ სოფელს ბევრი რამ და დიდი რამ შეუძლიან!.. _ დიდი ხანია გვეუბნებოდნენ ერთობის კაცები, მაგრამ არ გავუგონეთ... ერთხელ კიდევაც სცემეს საწყლებსა: ხელმწიფემ ძლივს ბატონყმობა გადააგდო და თქვენ კი იმის წინააღმდეგ ლაპარაკობთო, ასე ეუბნებოდა სოფელი იმ ჩვენ მოკეთეებსა. ეხლა, სანამ კუდამდე ტყავი არ გაგვძვრა, სანამ სული არ შეგვიწუხდა, ხმა არ ამოვიღეთ. კაცო, სოფელს რა გაუძლებს, რა...

დეე, დაგვხოცონ, დეე გვარბიონ, გვაწამონ, ერთი მაინც დარჩება სოფელში მძევლად. აი, ეს მძევალი ისეთს ყლორტებს ამოიხეთქს, მძლავრ ყლორტებს სისხლით გაპოხიერებულ ნიადაგიდან, რომ იმისი მოსპობა არაფრით აღარ შეეძლოთ...

ზაქარა ამხანაგებით სოფლის დუქანთან მივიდა, ჩასხდნენ კარწინ და მოსავალზე დაიწყეს ლაპარაკი.

_ მოსავალი, ძმაო, სოსიკამა და ბატონმა გაიხარონ... შეხე ი ბატონის შარშანდელ ბჯებსა. როგორ გაჭიმულან... ი დასაქცევი სოსიკა ხომ ყველის გუდასავით არის გატენილი, ყელამდე ცურავს დოვლათში, _ გამოელაპარაკა ტორტლელი გლეხივე. _ არც მე მაკლებენ გადასახადსა; მალი-მალ შემოთვლის სოსიკა: ესა და ეს გამოგზავნე, მეც ვუგზავნი და მომცემი ვინ არის...

_ დედა ვაცხონე მაგათი და მამა, რატომ უარესსაც არ გვიშვრებიან! _ დაიწყო ზაქარამა, _ სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოო. ჩვენ ყველანი ყურწაყრუებულნი ვართ; გვცემენ, ხმას არ ვიღებთ, პირში გვაფურთხებენ, ულვაშს გვირცხვენენ, გვაწიოკებენ და ჩვენ გავყრუებულვართ, ხმას არ ვიღებთ. აბა, სოფელი დაირხეს, შეინძრეს, ხმა ამოიღოს, სიმართლე მოითხოვოს, თუ ყველა ეს შეწუხება არ მოისპოს, წყალივით არ გადავარდეს...

მზე ჩაესვენა. საღამოს სიომ დაჰკრა არემარესა. მინდვრიდან დაიძრა ნახირი; ბღავილით მოადგნენ ძროხები სოფელსა, იმათ ბანს აძლევდნენ ლოდინით მოქანცული ხბორები; ღორებმა მიაშურეს სასუნალ ბაკებსა. პირუტყვმა საქონელმა აახმაურა სოფელი; გამოცვივდნენ დერეფნიდან მანდილოსნები, ზოგი მოერეკება ხბორებს, ზოგი ძროხებს, რომ ხბომ არ მოუწოვოს, ზოგი ღორებს ერეკება საღორისკენ.

მოისმა დუქნის ზემოდან, შარაგზაზე ბავშვების ჟრიამული. მოდის ურემი. უკან მოსდევს ორი ცხენოსანი; ურემს გარს შემორტყმიან სოფლის გოგო-ბიჭები; ასდევნებიან დიდრონებიც; სინჯავენ ურემში მწოლარეს.

ჩავარდა სოფელში ხმა, სოსიკა მოურავი მოუკლავთო. შეიქნა ალიაქოთი. ურემი აღარ სჩანდა, ხალხი ჭილყვავივით დაედო. ყველა ნატრობდა გაეგო, რომლის მადლიანმა მარჯვენამ მოუსპო სოფლისჭამიას დღეო.

ზაქარას ულვაშებში ეცინებოდა. მის თანამოაზრეებს კი გულში ეცინებოდათ.

სოსიკას მხლებლები უჯავრდებოდნენ ხალხსა, ერეკებოდნენ ურმიდან, მაგრამ ხალხი აჩერებდა უსულო სოსიკასა. ზოგი თითსა ჰკრავდა სახეში და სინჯავდა, ზოგი მუჯლუგუნს გვერდში; არა სჯეროდათ, თუ ის ბაიყუში კაცი მკვდარი იყო.

ურემი გააჩერეს დუქნის ქვემოთ, საყდრის მოედანთან. სოსიკას ერთი მხლებელი დაწინაურდა ბატონის შესატყობინებლად. თავადი ესტატე თავშიშველა გარბოდა, თან მისდევდა კნეინა თავ-მანდილის სწორებითა.

მოიჭრნენ ურემთან წეწვა-გლეჯით სოსიკას ცოლ-შვილი. ჩავარდა ესტატეს და სოსიკას ოჯახში ალიაქოთი, წივილ-კივილი.

სოფელი გულდამშვიდებით შესცქეროდა იმათ წივილ-კივილსა. «ახლა თქვენ სცადეთ, როგორია მწუხარება-ვაება, სხვის სისხლის და ტვინის წოვნაო», ამბობდა მთლად სოფელი და თითქო სტკბებოდა იმათი მწუხარებითა.

აქამდე თავად ესტატეს და სოსიკას ოჯახს მწუხარება არ ენახათ, სულ ფუფუნებასა და განცხრომაში იყვნენ. ამ ამბავმა თავზარი დასცა, ფიქრები ათასგან გაუფრინდათ.

_ გაიხარეთ, გაიხარეთ, ხალხნო! ხომ მოუღეთ ბოლო ამ ჩემს ერთგულს კაცსა!.. ნახავთ თქვენს სეირსა!..

_ ჩვენ რა, მერე! უალაგო ალაგას, მთაში ვიღამაც ეგ მოჰკლა, ჩვენ რა პასუხის მგებელნი ვართ, _ დაიწყო ერთმა ზაქარას თანამოაზრემ, _ მთელი დუნია მომყრალებული ჰყავდა და მაშ რა ეგონა...

_ ოჰო, ჩემი კაბითაც დამჯდარა ამისი სიყმის მომსპობი! _ დაიწყო სოსიკას ცოლმა და თან სახეს იკაწრავდა.

_ რამდენი ოჯახია მისგან შავი კაბით დამჯდარი, ვინ მოსთვლის! _ წამოიძახეს აქეთ-იქიდგან.

_ ჰეი, ძალიან მარჯვედ არ უსროლია ი მარჯვენანაკურთხსა, იმასა. ბიჭმა თქვა, შიგ მარჯვენა საფეთქელშია ტყვია ნაკრავიო, ნატამალი ტვინი აღარ დარჩა თავში, სუ ხეს შეესხაო... მერე სად დახვედრია და! აი, გარდაკვეთილთანა... იქ ძე ხორციელი ადამიანი ვერ ნახავდა... ყორნებისა და არწივების მეტი სხვა არა მოიპოვებარა. ჰაი, თუ ყორნები ფერხულ დააბამდნენ სოსიკას სისხლთან და კენკვას დაუწყებდნენ იმის ტვინსა, _ დაიწყო ერთმა პირწყლიანმა გლეხმა.

_ მაგის ლაპარაკის დრო არ არის, _ დაიწყო ზაქარამ, _ ეხლა სოფელს მისდგებიან, ეგზეკუციას ჩაგვიყენებენ. სოფელმა უნდა თავი გამოიდოს, გვეყო ამდენი მორჩილობა, ამდენი სიჩუმე, ამდენი ლაჩრობა. ყველა უნდა ერთის პირობით შევიკრათ. უნდა გავერთიანდეთ მთელი სოფელი, როგორც ერთი კაცი, ერთ პირზე უნდა დავდგეთ: შეგვაწუხებენ, შევაწუხოთ, დაგვკრავენ, დავკრათ, მოგვკლავენ, მოვკლათ... ვაჩვენოთ ჩვენც ქვეყანას, რომ კაცნი ვართ და ქუდი გვხურავს, რომ არც ასე ადვილია ჩვენი დაბრიყვება, როგორც ჰგონიათ. აი, მე სოფლის ჭირის სანაცვლო ვიქნები... თქვენი გულისათვის თავს არ დავიზოგავ; გავიფიცნეთ აი აქ ყველანი, რომ ერთმანეთს არ ვუღალატებთ. ის ღმერთმა გაატიალოს, დაანიავოს, ვინც უღალატოს ერთობასა!

_ ამინ! _ დასძახა მთლად საყდრის მოედანზე მდგომმა ხალხმა.

_ დაარისხეთ, ბიჭებო! ვინც უღალატოს ერთმანეთს, ქრისტე გაუწყრეს, იმისი რისხვა იყოს იმის თავზე!

სამჯერ ჩამოჰკრეს საყდრის ზარი, დაარისხეს, კვლავ დაიძახეს: «ამინ» და დაიშალნენ.

XII

სოფელმა ტორტლამ და მთლად თავად ესტატეს საყმომ მოისვენა სოსიკას მოურავობისაგან; თითქო თავისუფლად ამოისუნთქა, მაგრამ დიდხანს არ გასტანა ამ ქარის ამოღებამა. ბატონმა ესტატემ გაიჩინა მთელი რაზმი ჩაჩნებისა, რომელნიც თავითფეხამდე იარაღით იყვნენ შელესილნი, ერთი ზარბაზანი არა ჰქონდათ, თორემ სხვა არა აკლდათრა. ერთი სოსიკას ნაცვლად გაჩნდა სოფლად ერთი დუჟინი სოსიკა. თვით ბატონი ესტატე დაბინავდა სოფლად და ქალაქში ცხოვრებას დაანება თავი. ან რაღას გააკეთებდა ქალაქად: ორი შვილი უკვე სტუდენტი ჰყავდა, სოსიკას შვილიც ათავებდა აგერ გიმნაზიასა და ისიც სტუდენტთა სიაში გამოიჭიმებოდა. ახლა უჯობდა სოფლად ცხოვრება, რომ სოსიკას დაწყობილი საქმეები არამცთუ ჩაშლილიყო, არამედ უფრო მეტი სიმტკიცე მისცემიყო. დღე მუდამ მუხრუჭს უჭერდა სოფელსა თავადი ესტატე, რომ წესრიგს არ გაჰქცეოდა, რომელიც დამყარებული იყო ტორტლაში და მთლად თავადის მამულ-დედულში. ამ მუხრუჭს ხალხის ტოკვა მოჰყვა, ურჩობა, ბატონის შეურაცხყოფა; შური და მტრობა იზრდებოდა და ბოლოს ღელვად იქცა. ჩაჩნები შეუბრალებლად ხოცავდნენ სოფლის პირუტყვ-საქონელსა. მუდამ გამოულეველი ჰქონდათ ხორცი; როგორც საყასპოს კარზე, ისე იმათ ბანის კარზე მუდამ ფეხშო-ფეხშო ხორცი იყო გამოკიდებული. მაგრამ რამდენსაც ჩაჩნები მოჰკლავდნენ, ნახავდნენ მეორე დღეს, რომ ბატონის რომელიმე ძვირფასი ძროხა, ან ცხენი ეგდო სადმე გამოფაშული და სამგლედ დაგდებული. თავადი ესტატე სულ ტუჩებს იკბენდა, ჩუმად ხორცებს იგლეჯდა ტანზე; მატულობდა იმისი სიძულვილი სოფლისადმი და განსაკუთრებით ზაქარასა და იმის ამხანაგებისადმი. კარგად იცოდა, საიდან მომდინარეობდა მის წინააღმდეგ ტალღა. ჩაჩნებიც სულ ალესილი და თვალებში სისხლმორეულნი დააქროლებდნენ ცხენებს სოფელ-სოფელ, სისხლი სწყუროდათ, მაგრამ ხალხი ისე იყო გაწვრთნილი, რომ ცხად მიზეზს არ აძლევდა სისხლის წყურვილის მოკვლისათვის. გადასწყვიტეს ჯერჯერობით იდუმალად მოქმედება.

თავადმა ესტატემაც გადასწყვიტა ზაქარას და იმისი ერთი მუჭა თანამოაზრეების განადგურება. «რაკი იმ საზიზღარ ჯორ-ზაქარას ჩამოვიცლი გზიდან, სოფელი შეჩერდება; შედრკება; გლეხი ნადირივით, ბავშვივით მიჰყვება ყველასა. ბავშვს კი ვინც დააშინებს, იმას სცემს პატივსა. შიში შეიქმს სიყვარულსა, უთქვამთ ძველებსა,» ასე ფიქრობდა თავადი ესტატე და გულში აწყობდა სხვადასხვა გეგმას, რომ ზაქარა მოეკლა და სოფელი ცალ ხელში მაგრად ჩაეჭირა.

მაგრამ მოსტყუვდა ანგარიშში. ზაქარამაც პატარა რაზმი დაამზადა სოფელში, რომელიც სისხლისგუდა ჩაჩნებს არ ჩამოუვარდებოდა. ამ პატარა რაზმმა, სულ ზაქარათი ცხრა კაცმა, ჯერჯერობით ცხადლივ არ დაიწყეს ბრძოლა. ზაქარას აზრი ის იყო, ყოველ დარბევაზე ბატონ ესტატესა და მის ჩაჩნებისათვის ჩუმად გაეცათ პასუხი. გაჩნდა ორსავე მხრივ დევნა. აღარ ხუმრობდნენ ჩაჩნები: ცხადლივ თუ მალვით იკლებდნენ სოფელს და შვილისადარ პირუტყვ საქონელს უხოცავდნენ, ნათესში ცხენებს აბამდნენ; ხშირად შიგ შუა ვენახში ჩაუბამდნენ ცხენებს, რომლებიც იქაურობას სულ ნაცარტუტას ადენდნენ.

არ ეძინა ზაქარას რაზმსაც. ერთს საღამოს, როცა ჩაჩნები ძილ-ღვიძილში იყვნენ, მიიყვანა ზაქარამ რაზმი ბატონის ზვარში. გადასწყვიტეს, ერთად უნდა გავარდნილიყო ცხრა-ცხრა ტყვია და ჩაჩნების ცხენები დაეხოცნათ; ჯერ კაცის სისხლის დაქცევა არ უნდოდათ. იცოდნენ ესეც, რომ ჩაჩნები მაშინ არიან ყოჩაღნი,

როცა მსხვერპლს პირისპირს უიარაღოს ჰხედავენ; საფარიდან ნასროლი ტყვია იმათ სულ თავგზას დაუბნევდა. ესეც იცოდნენ, რომ ისინი ისე სწრაფად ღამე იერიშს ვერ მიიტანდნენ და რაზმი ნელ-ნელა აუჩქარებლივ უკან დაიწევდა სამშვიდობო გზისაკენ. იცოდა ზაქარამ, რომ ამას ზეკუცია მოჰყვებოდა, მაგრამ ცდა აღარ შეიძლებოდა და გამოსაშვები სისხლი უნდა გამოშვებულიყო.

_ აბა, ბიჭებო, ფეხაკრეფით იყავით! _ უთხრა ზაქარამ, როცა ბინაზე მოიყვანა თავისი რაზმი, _ გულმაგრობაა ყველაზე დიდი ვაჟკაცი... ერთად უნდა გავარდეს და ნიშანს მოხვდეს ცხრავე თოფი, მაშინვე ცხრავე მსწრაფლად გამზადდეს და მეორე ცხრავე ვისროლოთ...

შუაღამე გაწურული იყო; ბატონის გრძელ საბძელთან არხეინად ახრამუნებდნენ ჩაჩნების ცხენები თივასა; თვით ჩაჩნები ბინაზე იყვნენ და ის იყო პირველ ძილს მიეცნენ. ბატონ ესტატეს სასახლეში კი ჯერ ისევ ღვიძილში იყვნენ. ის გულგაღეღილი დადიოდა ბალკონზე და კრიალოსანს ათამაშებდა; საზოგადოდ სიწყნარე იყო ბატონის ოჯახში, თავადი ესტატე, ვინ იცის ამ დროს რა ფიქრებში იყო. იქნება მეფე ნერონივით ნატრობდა, ნეტა ერთის შემოქნევით, ერთის ხმლით გავაყრევინებდე მთელს ტორტლას თავებსაო, ან არა და ნეტა ერთს დღეს ყველა კელაპტრებივით ამენთოს და ვტკბებოდე იმათის წვითა და ხრაკვითაო. გასაკვირველი არ არის, თუ ასეთი ფიქრები დააფრენდნენ იმას აღმა-დაღმა. ამ დროს ესტატეს ძაღლმა რაღაც ალღო აიღო და ბალკონიდან ზვრის მხარისაკენ ზმუკუნით გაირბინა; ესტატემ შეატყო ძაღლს და ნელ-ნელა გაჰყვა თანა.

სწორედ ამ დროს იგრიალა თოფებმა. ესტატეს მუხლთ მოჰკვეთა და ძლივს შეეთრია ოთახში. ძაღლმა ასტეხა ყეფა. ცხენები ზოგი უსულოდ დაეშვა, ზოგმა დაწყვიტა თოკები და გაფრთხა. აირივნენ გამოღვიძებული ბიჭები. ერთი ცხრა ტყვიაც დააყოლეს არეულ ბიჭებს, და ნელ-ნელა დაიწიეს უკან; ხელახლავ ჩააწყვეს თოფებში ტყვია და სამშვიდობოს გამოვიდნენ.

სოფელს არ გაჰკვირვებია თოფის ხმა, არავინ არ გამოიხედა ხმაურობაზე. ზაქარას რაზმი დაბინავდა. ესტატემ მწარე ღამე გაათენა. ჩაჩნები კბილებს იმტვრევდნენ სიბრაზითა. ცხენებს არ სჩიოდნენ. სირცხვილი სჭამეს სისხლით და უდიერებით ქებულმა ჩაჩნებმა; ცხენები დაუხოცეს, ორი ამხანაგი დაუჭრეს და მესამე სიკვდილის პირზე დაუტოვეს. დანარჩენებმა იარაღი აისხეს და მთელი ღამე ჩასაფრებულები ისხდნენ.

ესტატემ დილა-რიჟრაჟზე სტუდენტი შვილი ორის ჩაჩნით თავის საკუთარის ეტლით აფრინა ქალაქისკენ მაზრის უფროსთან.

XIII

ხალხის ღელვა, აბობოქრება, ზღვის ღელვასა და აბობოქრებასა ჰგავს, არა თუ მიაგავს, ნამდვილად ჰგავს. ხშირად ზღვის შუა გულში იწყობა დუღილი, არევ-დარევა; ზედაპირი მაშინ ჭმუჭვნას შეიქმს; ცოტა რამ სიო, მცირე ქარი და ზედაპირი ზღვისა სრულიად შეიცვლება; ძირიდან მონაწოლი ტალღები აქოთდებიან, იქცევიან მთებად, გარბიან ღრიალით და ეხეთქებიან ნაპირსა. სარკესავით წმინდა წყალი ზღვისა, რომელშიაც რამდენიმე ადლის სიღრმეზე ადამიანის თვალი არჩევს საგნებსა, ღელვის დროს ნაცარტუტასავით ხდება, შავდება, ჭუჭყიანდება, ზედაპირზე მოიგდებს, როგორც წყალი ზეთს, ყოველნაირს ჭუჭყს, ქაფსა. დაუნდობელია აბობოქრებული და აზვირთებული ზღვა: ანგრევს და ანადგურებს ყოველივეს, რაც კი მას იმ დროს წინ გადაეღობება; დიდრონს გემებს

ნაფოტივით ათამაშებს და შურდულის ქვასავით ისვრის ნაპირისკენ და ვაი იმ გემს, რომელსაც კლდის ნაპირს მიახეთქებს! ლუკმა-ლუკმად აქცევს და ანაჭუჭებს.

ხალხის გულშიც მოგროვილია ათასი დარდი და ვარამი, ყველა უსამართლობა ეჭდევა იმას გულზე. ხშირად აბობოქრდება, იწყებს მისი გული ღელვას, სახეზე იბეჭდება; იჭმუჭნება კაცის სახე, სწუხდება გულის ღელვისა გამო. აღარ ეტევა მის გულში უსამართლობა, მიყენებული ბატონისა, მღვდლისა, მოხელისა და ათასი სხვა მტარვალისაგან, რომელნიც მთავრობამ კისერში წურბელასავით დაასხა. აი, ამ დროს, როგორც ზღვაში სიო, მცირე ქარი, შემდეგ ქარიშხლად ქცეული, საჭიროა მცირე რამ სიტყვა, სიტყვა კეთილი, სიტყვა ერთობისა და საბოლოო ნუგეშისა, სიტყვა, რომელიც ხალხს თვალს აუხელს, გააცნობს აწმყო ცხოვრებასა, უჩვენებს გზას მონობიდან თავის დახსნისა, გააკაფვინებს ეკლიან გზას, რომ თუ თითონ უეკლოდ ვერ გაივლის, მომავალს მოდგმას მაინც შეაძლებინოს უეკლოდ სიარული.

ასე დუღდა ჩვენი ქართველის გულშიც ბოღმა, უსამართლობისაგან დაგუბებული. მოაწვა იგი ხალხის გულს. აი აგრე იხრჩობოდა იგი ამ უსამართლობისაგან, რომ გაუჩნდნენ ხალხს მოციქულნი ერთობისა. ამათ დაჰკრეს კვერი ხალხის გულს, გადმოსკდა ბოღმა გულიდან. იწყო ხალხმა ღელვა, ბობოქრობა, გაისმა კიდითი კიდემდე:

«მიწა და თავისუფლება!..»

«მიწა იმისია, ვინც მუშაობს, ვინც ოფლს აწვიმებს შიგა. ხალხმა თითონ უნდა უპატრონოს თავის თავსა; კმარა, რაც ხანი ედგა უღელი და ათასი გადიები და ძიძები, მამინაცვალ-დედინაცვლები ხედნიდნენ იმას, სიცოცხლეს უმწარებდნენ, ხორცს აგლეჯდნენ ცხელის შანთებით და ცოცხლივ დღისით, მზისით სჭამდნენ იმას გაუმაძღარი სვავები».

ხალხმა იხრიალა სოფელ ტორტლაშიაც. გამოცხადდა აქაც სრული თავისუფლება; სოფელს განაგებდა თვით სოფელი, მისგან რჩეულნი.

აი ჯორ-ზაქარა და მისი მოაზრენი განაგებენ სოფელსა. უკვე ხანში შესული ზაქარა გაყმაწვილდა, ახალი ძალა შეემატა მის სულსა, იგი აღფრთოვანდა.

თავადი ესტატეც აბობოქრდა, მაგრამ ეხლა ის ცალად დარჩა, აქნამდე ძლიერკლანჭებიანი უკლანჭო ლომს დაემგვანა. მაინც ეხტიბარს არ იტეხდა. ეგონა, ეს-ეს იყო ზეკუციით სული ამოვართვი და როგორ გაბედავენ რამესო, მაგრამ ის ზეკუცია იყო, რომ ერთობის მოციქულებს ხელი შეუწყო და ხალხის მუწუკი მალე გამორწყო.

ახლა უფრო საშინელება განიზრახა თავადმა ესტატემ; გამოსთხოვა მთავრობას ყაზახ-რუსები, რომ მათი შემწეობით ხალხი აელაგმა, დაწყობილი ღელვა შეეყენებინა.

სოფელმა შეიტყო ეს ამბავი. მსწრაფლ შეიყარა საყდრის მოედანზე.

_ დღეს პირი პირს მისცეს მებატონემ და მღვდელმა, ვაჭარმა და მოხელემ, ყველა ჩვენზე ამხედრდება. იმათ ზურგი მაგარი აქვთ ჯარითა; ჯარი, რომელიც ჩვენი შვილებისაგან არის შემდგარი, იმათ ეხმარება, განსაკუთრებით ყაზახები. რა არის დღეს ყაზახი? ძველად თავისუფლების მოყვარე, თავდადებული იმისათვის, თავგანწირული თავის მოძმისთვის, დღეს იგი, ყაზახი, განხორციელებული ტარტაროზია, წყეული სულია, რომელიც ისე დალევს ადამიანის სისხლს, როგორც წმინდა ზიარებასა, ისე დაჰკლავს ბავშვს, უსუსურ ბავშვს აკვანში, როგორც კრავსა. იგი მხეცია, არაკაცია, კაცთა გარეგანია. აი, ამისი იმედი აქვს მთავრობასა, აი,

მაშინვე იმათ მიმართავენ ხოლმე თავადები, მღვდლები და ათასი წურბელა და სისხლისმსმელი სოფლისა. რამ გარდაჰქმნა ძველად თავისუფლების მწყურვალი ყაზახი დღეს სისხლის მსმელად? თვით მთავრობამ: დაასახლა მდიდარ ადგილებში, მისცა უხვად მიწა, იმდენი, რამდენსაც დაერევა კაცი; გააზატა ყოვლიფრისაგან, მხოლოდ ჯარისკაცად უნდა გამოვიდნენ; აქაც მეტი პატივისცემა აქვთ, ვინემ სხვა ჯარისკაცებს; «შენ მიერთგულე და აი, რაც გინდა, წაიღეო». ერთადერთი გლეხი, რომელიც უზრუნველად ცხოვრობს მთელ ამოდენა რუსეთის სახელმწიფოში, ყაზახია; ერთადერთი გლეხი, რომელსაც მთელ ამოდენა რუსეთში კუჭი არ ეწვის შიმშილით, ყაზახია. ვისი ბრალია მისი ასეთი ყოფა-ცხოვრება? მთავრობისა. ყაზახიც მადლს უხდის. მადლიც არის და მადლიც. ბოროტს ბოროტით უხდის მადლს, სისხლის მსმელს უმანკოთა სისხლით უკლავს წყურვილსა. აი, ამათთან გვაქვს დღეს ჩვენ საქმე, _ დაიწყო ერთმა ერთობის მოციქულმა. _ დიდი შეწუხება მოგველის, დიდი ბრძოლა... მაგრამ თუ არ ვიბრძოლებთ, არავინ არას მოგვცემს. დაწყივ-დაბადებიდან ჩვენ დაბეჩავებული ვიყავით, გვხედნიდნენ, გვჭამდნენ, სისხლს ნელ-ნელა, წვეთ-წვეთად გვწოვდნენ. ჩვენ ეხლა უსულო საგანს წარმოვადგენთ, ცარიელს უსისხლო ლეშსა. ისედაც მკვდარი ვართ, მაშ გავინძრეთ და დიდებით მოვკვდეთ. ბოროტება იმის ბოროტებაა, რომ სიმართლე არა სწამს; ნათელი სიმართლისა სწვამს იმასა, თვალებს უბრმავებს. ნუ შეგეშინდება ძალისა, თოფისა, ყაზახის მათრახის, მისი უდიერობისა. თვით ქრისტეს, რომელმაც თვისში განახორციელა ღვთაებრივი სიმართლე, ერთობა, სიყვარული და თავისუფლება, თვით ქრისტე, ეს განხორციელებული სიყვარული ყველასადმი, ჰგვემეს, სცემეს, გაამათრახეს და ბოლოს ჯვარს აცვეს... აი, ამ წამსაც რომ აქ იყვეს იგი, განხორციელებული სიმართლე _ ქრისტე, რომელსაც ცისმარე დღე საყდრებში ხელგაპყრობილნი ემუდარებიან, შესთხოვენ ათას სიკეთესა თავისა თვისისთვის მხოლოდ, და შესთხოვენ ხალხის მყვლეფელნი, ხალხის სულის ამომხდელნი, თვით იმ ქრისტეს-მეთქი ჯვარს აცმენ, გაამათრახებენ ის წყეულნი, ის მუდამ ჟამს იმის სახელის მხსენებელნი!.. მაშ ვიყვიროთ კიდით-კიდემდე: მიწა და თავისუფლება!.. გათანასწორება, გაერთიანება ყველასი!..

_ ხალხნო, _ დაიწყო ჯორ-ზაქარამა, _ მე აგერ სიბერე მეთქმის; ჩემი დღენი თქვენთან გავატარე; მარტოდმარტო ვიბრძოდი ბატონებთან, მოხელეებთან, ბევრი მწარე დღე ვნახე; ბევრჯერ ვხეხე ციხის, სატუსაღოს კედლები. სამართალი ვერსად ვპოვე; ალერსიანი სიტყვა ვერსად გავიგონე; ყველასაგან გლეხია დაჩაგრული. ის დაბალი ღობეა და ყველა ზედ გადადის, ამტვრევს იმას, სწიხლავს. ყველას ჩვენ ვაცხოვრებთ: თავადს, მღვდელს, მოხელეს, ვაჭარს, თვით იმ ჯარს, რომელიც ჩვენ დასაწიოკებლად ჰყავთ გამოყვანილი; ჩვენ ერთს დღეს ხარჯი რომ არ გავიღოთ, ამ წუწკ ქვეყანას ღერძი გამოეყრება, ჩაინგრევა ის ტახტი, რომელზედაც ტკბილად განისვენებს ჩვენგან განებივრებული დიდკაცობა... შევინძრეთ, შევირყეთ ერთად და შევარყიოთ იმ განცხრომილების ცხოვრება, გავუმწაროთ წუთისოფელი... მართალია, დიდი განსაცდელი მოგველის: წვა-დაგვა, დარბევა-დაქცევა, ნამუსის შერცხვენა, ხოცვა-ჟლეტა; ეს არასდროს არა გვკლებია, მაგრამ არ გავმწყდარვართ. მძევალი მაინც დარჩენილა და კვლავ ყლორტი ამოუტანია... ძალას ძალა ვუფაროთ; ხალხს რა გაუმაგრდება, თუ მთელი ხალხი გადიბმის ჯაჭვით, პირს მისცემს ერთმანეთს და ერთგულად შეებმის გაბატონებულ ბოროტებასა... შევისხათ ჩვენც იარაღი, აღვიჭურვოთ, ვისაც რითი შეგვეძლოს და მტერს

მედგრად შევხვდეთ. მომყევით, ძმებო, მომყევით!.. მე ცუდის გზით არ მივლია, არც თქვენ გატარებთ... დღეიდან ვსპობთ ყოველივე კავშირს ბატონებთან, მღვდლებთან, მოხელეებთან; დღეიდან სოფელი ტორტლა თავისუფალი ქვეყანაა. ის თვით განაგებს თავის საქმეებსა... ძალა ერთობაშია. თუ ერთად ვიქნებით, ერთ პირზე ვიდგებით, ისე დაიმსხვრევა ძალა მთავრობისა, როგორც კიდეზე მიხეთქებული გემი...

_ ყველაზე საშიშია, _ დაიწყო ერთობის მოციქულმა ქალმა, _ ქალთა მდგომარეობა. ყაზახობა ნამუსს ხდის დედაკაცებსა... ამიტომ ყველა ქალმა, ყველა ოჯახის დედამ უნდა მამაკაცებს მივბაძოთ. დროებით უნდა გადავდოთ თითისტარი და ნემსი; აკვანიც მივდგათ გვერდზე, მოვიკრიფოთ სულის ძალა; თუ იარაღით ვერა, ბასრის ფრჩხილებით შევებრძოლოთ უსამართლობას, ბოროტებას. სისხლი სისხლით უნდა მოიბანოს. სისხლს სისხლი მოსდევს, მსხვერპლს მსხვერპლი, გარდავაქციოთ სახლი, კარი, ბაღ-ვენახი და თვით ეს ჩვენი გულისფიცარი ციხესიმაგრედ, სალ კლდეთა. დეე, მოვიდნენ ჩვენზე ბნელი ძალებით იერიშითა. ნუ შევუდრკებით: ბნელს სინათლისა ეშინიან; ქურდი, ავაზაკი, ყველანაირი მტარვალი სინათლეს გაურბის; მივიტანოთ ჩვენც სიბნელეზე იერიში, ვიდინოთ მკერდიდან სისხლი თავისუფლებისათვის. მტარვალი მხდალია, ხალხი კი მძლავრი, სავსე ზნეობით, სათნოებით და ქვეყნისადმი სიკეთითა, ხალხი ცხრათავიანი დევია. რა გაუმაგრდება იმას, თუ მოინდომა, თუ გაიწია და დაამტვრია უღელტაბაკი მონობისა!..

ერთობის მოციქულთა მადლიანი სიტყვა მოეფინა სოფლითა-სოფლათ. ხალხი აზვირთდა, აბობოქრდა. ადგა ქარიშხალი და დაუწყო მტვრევა აქა-იქა შეყუჟულს გემებსა. მოიკუნტნენ გემთა პატრონნი, აღძრეს ტკბილად ბაგენი, იწყეს ღიღინი «ახალ მოდაზე», მაგრამ ნემსკავმა თევზი ვეღარ დაიჭირა: ტკბილ სიტყვებში რამდენი ბალღამი ერია, «ახალ მოდაზე» ღიღინში რა გესლი იყო ჩართული, სოფელი მიხვდა და აღარ მოტყუვდა.

XIV

ახალმა სიომ, მოძრაობამ ხალხისამ თანდათან იმატა; აქანამდე დაბრმავებული თვალი აუხილა ხალხსა, უცნაური სანახაობა ანახვა, გული და გონება გაუნათლა და გაუნათა მოძრაობამ, ერთობის ხმამ, თავისუფლების დროშის ფრიალმა.

ერთი ხანი სოფელი ტორტლა და ყველა მის გარემო მდებარე სოფლები სამოთხედ გადაიქცა; დაემკვიდრა ის სასუფეველი ღვთისა, ის სასუფეველი სიმართლის, სიყვარულისა და ძმობისა, ერთობის და სათნოებისა, რომელიც ქრისტემ ცით ქვეყნად ჩამოიტანა, როგორც ამირანმა ცეცხლი, რომლის დამყარებას კაცთა შორის თავი შესწირა და ჯვარს ეცვა.

აღარ იყო სოფლად ქურდობა, ავაზაკობა, ცილისწამება, მრუშობა, ერთმანეთზე საჩივარი, კიცხვა-დაცინვა, გაუკითხაობა ურთიერთისა; აღარ აწუხებდა ამ სოფლებს მამასახლისი და გზირი, მღვდელი და ბერი, მთავარი და მედავითნე, იასაული და ყაზახი, ბატონი და მისი მოურავი.

მთელ ამ სოფელს თავისუფლების სხივი დაადგა თავზე შარავანდედად, გულს სიყვარულისა და ძმობა-ერთობის სხივი სვეტად ჩაადგა. ყველა წყნარად და მშვიდად მუშაობდა. შემოვიდა, დამწიფდა მინდვრისა და ბაღ-ვენახის მოსავალი. სოფლად რთვლობაა.

თუ სოფელში სამოთხე დამყარდა, ურთიერთობის სიყვარულით გაიმსჭვალა ყველა, თავად ესტატეს სულსა და გულში ჯოჯოხეთის ალი ტრიალებდა. მის სულში და გულში დაისადგურა ტარტაროზობამა, ბოროტმა სულმა. მას ხელს უმართავდნენ შვილები, მეზობელი მებატონეები. თავად ესტატეს რთვლობის დროს ხალხმა გამოუცხადა: «იმდენს ღალა-კულუხს ვეღარ მოგცემთ, რაც გვიძლევია; არსად მთელ საქართველოში ვენახის მოსავალზე, ლობიოზე, კიტრზე, ნესვზე, სხვადასხვა ხილზე ღალას არ იღებენ, თქვენ კი თითო კვალი ხახვისა და კართოფილის ღალასაც კი გვართმევთ, ხახვის ფოჩს თავისუფლად ვერ მოვგლეჯთ პურის შესატანებლად. დღეის შემდეგ ხელს ნუღარ ახლებ ვენახის მოსავალს, გარდა კულუხისა, და ამასაც მეათედს მოგცემთ, სახნავ-სათესიდანაც მეათედი მიირთვი. არ დაყაბულდები და სულაც არაფერს მოგცემთ. ნებაყოფლობით გავათავოთ საქმეო...

თავადმა ესტატემ შორს დაიჭირა: «ერთს მუჭასაც არ დავიკლებ, ერთს მუჭასაო», შემოუთვალა.

_ შენ ნუ გველაპარაკები, _ შეუთვალა სოფელმა ბატონსა, _ გამოგვიგზავნე შენი შვილები, ახალგაზრდები არიან, სტუდენტები, ქვეყნიერობის ავ-კარგი უეჭველია გაცნობილი ექნებათ; მოვიდნენ, იმათ მოველაპარაკებით; კმარა, რაც სისხლი დაიღვარა; ეყოფა ხალხს ამდენი ტანჯვა-ვაების გამოვლა. ღმერთი მოიახლოვეთ, მოვრიგდეთ და დავზავდეთო.

სოფელი მართლაც ბევრჯერ იწვევდა, ეხმაურებოდა ესტატეს ორს შვილსა, უმაღლესის სასწავლებლის სტუდენტებსა, მაგრამ ისინი არ ეკარებოდნენ სოფელსა.

_ მე თქვენ ყაზახებს გამოგიგზავნით მოსალაპარაკებლად, _ შეუთვალა ბატონმა ესტატემ მამასახლისის პირითა. _ ვიღაც წუნკალებს უნდათ საუკუნოებით ჩემი კუთვნილი მიწა-წყალი წამართონ. ვის შეუძლიან სისხლითა და ოფლით ნაშოვარი, მეფეებისაგან ბოძებული სიგელ-გუჯრებითა, ვინმემ წამართოს. თვით რუსთ ხელმწიფემ ვერ გაბედა მამულის წართმევა და გლეხუჭები ვინ ოხრები ყრიან, რომ წამართვანო.

_ მამასახლისო, მამულის დათმობა როგორ შეიძლება! არც მამაჩვენი იზამს იმას, რომ შეუძლებელი და ხელმოკლე დაახრჩოს, შეღავათი არ მისცეს, ღალა-კულუხი არ აპატიოს. მიწა ჩვენიაო, მიწა და თავისუფლებაო; მიწა იმისია, ვინც შრომობსო, რომ ყვირიან _ ეს სულ ტყუილია. მიწა იმისია, ვინც თავდაპირველად სისხლით იშოვა იგი. არც ერთი თავადი და აზნაური არ არის, რომლის ოჯახს რამდენიმე შვილი არ შეეწიროს მსხვერპლად მამულისათვის, საქართველოსათვის. თავადაზნაურობა სისხლსა ღვრიდა თავის ქვეყნის და სარწმუნოების დასაცავად მგლებივით მოსეულს მტრებისგან, _ დაიწყო მჭევრმეტყველურად ესტატეს შვილმა სტუდენტმა არჩილმა; _ აი, ამ სისხლის ნაცვლად მეფე ასაჩუქრებდა თავადაზნაურობას მამულებითა, ყმითა, ღირსებითა.

_ მაშ, ბატონო, მაშ!.. ეგ სულ მართალია. თქვენ რომ არ იყოთ, თავი არ მომიკვდება, სოფელში ძაღლსაც არ შემოესვლება, არა თუ კაცს, _ უთხრა ცბიერებით მამასახლისმა.

_ ახლა, შე დალოცვილის შვილო, _ წამოუმხარდამხარდა არჩილს შინა მოსამსახურე და უთხრა: _ განა მარტო თქვენა ღვრიდით სისხლს! ჩვენ სადღა ვიყავით? აი სწორედ ჩვენა ვღვრიდით მაშინაც სისხლსა, ჩვენ ვიცავდით ქვეყანასაც და სარწმუნოებასაც, მაგრამ სახელი თქვენ დაგრჩათ, სახრავი ჩვენა... აი

ეხლაც სისხლის ოფლს ვაწვიმებთ, წელებზე ფეხს ვიდგამთ, მოსავალი მოგვყავს, თქვენ მიგაქვთ, ჩვენ მშრალზე ვრჩებით თევზივით და მშიერი კუჭით დავწოწავთ ქვეყნად...

_ დახე, დახე, ამ... წუწკის შვილსა, ამას! _ შემოუტია ესტატემ, _ სულ კბილებს ამოგამტვრევ...

_ ვერც ამომამტვრევ და ვერც ვერაფერი! ამომამტვრიო რა, შენი მჭადით ხომ არა ვარ გაზრდილი. შენ ხარ ჩემით გამოზრდილი და გაბერილი, და არა მე! _ უთხრა რიხიანად ბიჭმა და ცალი ხელი ქამარში ჩაირჭო.

_ სახლში მყოლია მტერი, სახლში!.. წადი ჩემი სახლიდან, წადი!..

_ მე დღეს ისედაც მივდიოდი, შენი დასტური არ მინდა, _ უთხრა ბიჭმა და განშორდა ბატონის სახლსა.

_ აი წადი და ელაპარაკე ამათა, _ სთქვა არჩილმა, _ ჩემ თავში არ ვარჩევდი. სულ გვერდზე მიჯდა ფაიტონში ხელგადახვეული და დახე რეები სთქვა!

_ არა, ყაზახი მაგათ, ყაზახი!.. _ დაიღრიალა ესტატემ.

XV

თავადი მარუშიძის სახლი არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა; აგერ წელიწადი გავიდა, რაც სოფლად დაბინავდა, და ამოდენა სტუმარი ჯერ არ ყოფილა იმის სახლში: აივანზე, კარმიდამოზე, ბაღებში ფუსფუსით ირეოდნენ. ძმა ძმისთვისაო და ამ დღისთვისაო, ნათქვამია. გაჭირვების დღისთვის შეჰყარა მთელი მდიდარი და გავლენიანი ნათესაობა: ბიძაშვილი შუამავალი, სიძე ოლქის სასამართლოს, თუ პალატის წევრი, ამისი შვილები _ მომრიგებელი მოსამართლენი, ახლა ამათი მხლებლები წვრილ-წვრილი ჩინოსანნი: მაზრის უფროსი ბოქაულებით, კაზაკების ოფიცრები და ერთი ასეულიც კაზაკი. დიდი ხმაურობა, მითქმა-მოთქმა, ხან სიცილ-ხარხარი, ხან მუქარა გამოისმოდა ესტატეს კარ-მიდამოდან. ყველა ეს ხალხი სოფელ ტორტლის დასაზავებლად იყო მოსული.

_ არ გაგონილა, ყმაწვილებო, ასეთი საქმე: იდიდოს იმისი სახელი _ ხელმწიფე იმპერატორმა გამოგვართვა ყმა, ჩამოგვაშორა, კანონის წინაშე ყველანი ერთნი გაგვხადა; ქვეყნის ოდენა კანონები გამოიცა, ყველა ამ კანონებს უნდა ემორჩილებოდეს. იმპერატორმა რომ ჩამოგვაშორა ყმა, სამაგიეროდ მამული დაგვიტოვა ჩვენ საკუთრებად, ყმასაც მოუზომა საკომლო, რომელიც იმის საკუთრებად დარჩება, როცა გამოსყიდვას შეიძლებს. აჰა, ჩემო ძმაო, გამოისყიდე და ღმერთმა მოგახმაროს. ჩემსას რად მართმევ? _ ასე ჩიოდა თავადი ესტატე სტუმრებთან. _ ეს არ მაკმარეს: საუკეთესო ერთგული კაცი მომიკლეს, ჩემი სოსიკა, ის დიდებული მოურავი, თავიანთივე გლეხი, თავიანთივე ღვიძლი შვილი, დამიწიოკეს ბიჭები-ჩაჩნები: ცხენები დაუხოცეს, ერთი მომიკლეს, ორი დღესაც სავსაობენ, ძლივს გადაურჩნენ სიკვდილსა. ამითი სოფელს ჩემი შეშინება უნდა, მაგრამ ჩემს გვარს შიში არ უწერია თავის დროშაზე, თავის საგვარეულო სიგელში! ჩემ წინაპრებს ვაჟკაცობისათვის აქვთ ბოძებული ეს მამული. ეხლა კი სოფელი მეუბნევა: აიკრიფე ბარგი და მიბრძანდიო: მიწა ჩვენიაო. ჰაიდა-ჰაა!.. რა კარგია და!.. კარგია შენმა მზემ, მეც ვიტყვი: დუნია სულ ჩემია, მიბრძანდით ყველანი-მეთქი... ამ თქმას საფუძვლად კანონი უნდა ედოს. ყვირილით რა იქნება...

_ მართალს ლაპარაკობ, ჩემო ესტატე, _ უთხრა თავადმა პეტრემ, ცოლის ძმამ, _ მაგრამ დრო მიდის, ცხოვრებაც იცვლება, რთულდება, კანონებიც ამისდაგვარად ნელ-ნელა, თანდათან იცვლება, ცოტა რამ ჩვენც უნდა დავუკლოთ გლეხებსა,

ცოტა რამეს ისინი დაიკლებენ და მოვრიგდებით. აურზაურით არა გამოვა რა; როგორც ცხვირი პირისაგან არ მოიჭრება, ადამიანი დასახიჩრდება, ისე გლეხი და თავადი ვერ ჩამოშორდებიან ერთმანეთსა, ესე იგი უერთმანეთოდ ცხოვრება იმათი სიმახინჯე იქნება. ჩვენ ისტორიის მსვლელობას ვერ შევაყენებთ; ის თვით მოიტანს, რის მოტანაც საჭიროა...

_ ჰოო, ვაცხონე შენი დედა-მამა! _ გააწყვეტინა ესტატემ. _ მეც სწორედ მანდა ვარ!.. კაცო, შვილო, ძმაო! რად უსწრებ ისტორიასა? ყველა იმას, რასაც შენ თხოულობ, დრო მოიტანს. მოთმინება იქონიე. როგორც ყმობიდან გაგანთავისუფლა იმ სულგანათლებულმა ხელმწიფე იმპერატორმა, ისე კიდევ მამულს მოგცემს, გამოგისყიდის მამულსა და შენ შენთვის იქნები, მე ჩემთვის... არაო, შენ უნდა ამოსწყდე, ქვეყნის პირისაგან აიგავოო და მე უნდა ვიპარპაშოო... სად გაგონილა ამისთანა ამბავი... აბა ერთი ქვეყანა დამისახელე, რომ მთა და ბარი გასწორებული იყოს; მდიდარ-ღარიბი, მამულიანი და უმამულო, გლეხი და თავად-აზნაურობა არ იყოს? _ ცხარობდა და კითხვას კითხვაზე იძლეოდა თავადი ესტატე.

_ ჰოდა! კიდეც ეს მიმართულება, წინამასწარობა გლეხებისა და მუშებისა უნდა აილაგმოს, ჩადგეს ძველს კალაპოტში, და რასაც დრო მოიტანს და მთავრობა თვით დაინახავს თავის დროზე საჭიროდ, ისე გაწესრიგდეს მაგათი ცხოვრება. ყველა რიგიანი კაცი, მთავრობისა და ხალხის გულშემატკივარი, ამას უნდა ეცადოს. ეხლა ჩვენ ყველა სოფელი უნდა გავმარგლოთ; დავიჭიროთ მოთავე კაცები, რომელნიც სოფელს რევენ, და ცივ ქვეყნებში ამოვუყოთ თავი, ციხეებში გავგზავნოთ. ჩვენი მისსია, ჩვენი დანიშნულება ეს არის, _ სთქვა კაზაკ-ოფიცერმა. _ რასაც ვერ შესძლებს კანონი, იმას მათრახი შესძლებს! _ დაიქნია მძლავრად მათრახი და ჰაერს ზუზუნი შეაქნევინა.

ესტატეს სახე გაუბრწყინდა, კრიალოსანი რამდენჯერმე სიამოვნებით შეაპროწიალა და ყარაულ-სალდათივით ამაყად დაიწყო აივანზე ბოლთა. კნეინა მისი ხომ სიამოვნებით კინაღამ სულ ერთიანად დადნა. ამათი სტუდენტებიც არ ჩამორჩნენ დედ-მამას, აქეთ-იქით შემოუდგნენ ოფიცერს, მკლავი-მკლავში გაუყარეს და ტკბილად მოახსენეს:

_ თქვენზეა, გაბრიელ ევტევიჩ, დამყარებული ჩვენი იმედი და ნუგეში.

_ თქვენ მაგის დარდი ნუ გაქვთ: როგორც ქორი, ისე ავკრებ, ავმარცვლავ სოფლიდან ყველა «ბუნტოვჩიკსა».

სადილობა მოტანებულიყო; სახლიდან ისმოდა ჭურჭლის რახარუხი; სამზარეულოდან სხვადასხვა საჭმლის სუნი ტრიალებდა და მადას უღვიძებდა სტუმრებსა. იმ დროისთვის თავადმა ესტატემ რამდენიმე ქვევრს მოშვლიპა თავი, სადილობამდე დააჭაშნიკეს ღვინოები. სტაქანი ჭაშნიკისა უწინ ძვირფას სტუმრებთან მიჰქონდათ, ხოლო ძვირფასი სტუმარი ოფიცერი იყო, რომელიც წესიერების დამცველს იარაღს, მათრახს არ იშორებდა და მაჯაზე ჰქონდა ჩამოკიდებული, როგორც ძვირფასი რამ ნივთი.

_ ნუ გედარდება, ჩემო კნიაზო! სადილს უკან ერთიან ბოლოს მოვუღებთ თქვენს საქმესა. რა ძალა აქვს გლეხსა! იმისი სული ჩვენს ხელშია. თითო-ოროლა კაცი ურევს სოფელსა. თქვენ ისინი გვაჩვენეთ, დავიჭერთ, ჯერ კარგა გავამათრახებთ, რომ სამუდამოდ ახსოვდეთ, და მერე ციხეში ამოვაყოფინებთ თავსა. თქვენ, რასაკვირველია, იცით ვინც არიან? _ ჰკითხა მაზრის უფროსმა.

_ რას ბრძანებთ, როგორ არ ვიცით, სულ თითებზე ჩამოგითვლით. ან რად გვინდა ჩამოთვლა. ერთი კაცია აქ, სულ ის მირევს სოფელსა; ის რომ წავიყვანოთ, მორჩა და გათავდა! სოფელი კრინტს ვეღარ დასძრავს... ეს ამრევია ზაქარა ჯიღაური, რომელსაც მეტსახელად, როგორც ჯიუტს და შეუპოვარს, ჯორ-ზაქარას ეძახიან. აი ეს კაცი მოვაშოროთ სოფელ ტორტლის საზოგადოებას და ყველანი მოვისვენებთ, _ უთხრა ესტატემ.

სადილზე დიდი მხიარულება ჩამოვარდა: სიცილი, კისკისი, სადღეგრძელოები, სხვადასხვა მრავალ-ჟამიერები. მოურავები და ჩაჩნები შერბოდ-გარბოდნენ სახლში, ეზიდებოდნენ საჭმელს, ცივ-ცივ ღვინოებს.

სოფელი ამ დროს მთლად მინდვრად იყო, იცოდა კი სოფელმა, რომ ყაზახები მოვიდოდნენ. ბატონთან დიდი წვეულება, ღრეობა და თათბირი იყო. სოფელი თავის საქმეს აკეთებდა ჩუმად, წყნარად. მინდვრიდან მოისმოდა «ჰოპუნას» ძახილი, კიჟინა მომკლებისა, ტკბილი გუთნური «ოროველა».

სოფელი შრომობდა. ქვეყნის პატრონნი ქეიფობდნენ.

სოფელს შრომის ოფლი ჩამოსდიოდა; გულ-მკერდზე შუბლიდან წურწურით ჩადიოდა ოფლის წვიმა ყანაში, ხნულში.

ესტატეს სახლში კი ხარხარი იყო. ღვინით შეხურებულს და შეოფლიანებულს შუბლს სტუმრები ნელსაცხებელში დასველებულის ხაიათის ხელსახოცებით იწმენდნენ.

სტუმრების კიჟინას გალიაში დამწყვდეული იადონები დასჭიკჭიკებდნენ; შეხურებული სტუმრების ყურს არ ესმოდა ჩიტების კვნესა-გოდება, რომელსაც ისინი სიმღერაში ხატავდნენ და თან ეხეთქებოდნენ გალიის კედლებსა.

მინდვრად მუშებს ხშირ-ხშირად გადუვლიდნენ თავზე ჩხავილით ჭილყვავები; კირკიტები ჩამოჰკირკიტებდნენ ზემოდან ყანებს, ხელებში ჩამოსცქეროდნენ მუშებს და, ამოფრინდებოდა თუ არა კალია, ან გამოსრიალდებოდა ხვლიკი, მაშინვე დაექანებოდნენ და პროწიალ-პროწიალით მიჰქონდათ ჰაერში. ხანდისხან ტოროლა ამოფრინდებოდა ბამბი-ქულას ბუჩქიდან, წავიდოდა ისარივით ჰაერში გალობით და ახარებდა ეს თავისუფალი ბუნების შვილი ოფლში გაწურულ მუშის გულსა. მუშა ერთ წამს შედგებოდა, შეხედავდა თავისუფალ ფრინველს და მადლობას უხდიდა გამჩენელს, რომ ათასში ერთხელ მაინც ესალმუნება რამე იმის გულსა. შეიტანს გულში სიამოვნებას და ერთს წუთსაც არის დაავიწყებს ჭირსა და ვაებას.

აიშალა ესტატეს სახლში სტუმრობა. შეჟინჟღილებული სტუმრები გამოიშალნენ აივანზე; ჩრდილებში გაიშალა ნარდი, ქაღალდის სათამაშო სტოლები; ყვითელ ოქროებს სტოლზე სრიალი გაუდიოდა.

მაზრის უფროსს განკარგულების მიცემა არ დაავიწყდა, აფრინა ჩაფრები მამასახლისთან.

მამასახლისი ისაკა ტეტუნაშვილი სულ ცუნცულით მოიყვანეს.

_ ამ წუთში, აღარც აცივო, აღაც აცხელო, წაიყვა ჩაფრები და ზაქარა ჯიღაური და ყველა ისინი, ვინც სოფელს რევენ, აქ მომგვარე. გესმის? _ გადმოხედა გვერდზე მაზრის უფროსმა და თან ქაღალდს ატყაპუნებდა სტოლზე.

_ მინდვრად გახლავან, შენი ჭირიმე, აი აგერ გუთნის გამოშვებაა, საცაა მოვლენ და გაახლებ.

მაზრის უფროსს და ყაზახის ოფიცერს ქართული არ ესმოდათ, თარჯიმანი უთარგმნიდა.

_ მე გიბრძანებ, ამ წუთში აქ გააჩინე-მეთქი.

_ მანამ შევაგროვებდე, აქა-იქ დაფანტული არიან, მოვლენ სოფელში და გაახლებ.

_ ააა, ჯიუტობ კიდეც! ჩემს ბრძანებას არ ასრულებ?..

_ მოითმინეთ! _ მკლავი დაუჭირა აფიცერმა მაზრის უფროსს... მაგას ამას ჩავაყლაპებ... ბიჭებო, მათრახი მაგას!.. მხოლოდ რბილ ალაგას.

მგლებივით გამოცვივდნენ ყაზახები. მათრახმა ზუზუნი იწყო. მამასახლისი ისაკა სიმწვავისაგან ხტოდა და სულ ასკიკუკას უვლიდა.

სტუმრები იცინოდნენ. ესტატე ხარობდა.

_ კიდევ, კიდევ!.. ჩლიქებში, ჩლიქებში!.. ჰო ეგრე, ეგრე!.. _ ეუბნებოდა ოფიცერი, რომელსაც მაგრა ჰქონდა ჩაბღუჯული სათამაშო ქაღალდი ხელში.

_ წავალ, ბატონო, წავალ! _ გაიძახოდა ისაკა.

ისაკა ხვითქში გაცურდა, ძალა გამოელია და ჯოხის ბჯენით ლასლასით წავიდა. თან გაჰყვნენ სოფელში ჩაფრები და, სანამ ესტატეს სახლს მოეფარებოდნენ, ისაკას მუჯლუგუნებს სცემდნენ.

XVI

შუაგული კალოობაა!.. დათარეშობენ, როგორც მტრის ბანაკში, ყაზახები, დაათრევენ თან ისაკა მამასახლისს და აგროვებენ ღალას. ავსებით აივსო თავადი ესტატეს პურის ბეღლები, კვლავ გაიჭიმა იმის საბძელ-კალოს პირზე ბჯები. ესტატე ცას ეწევა სიხარულითა, ნიშნს უგებს სოფელსა. სოფელი კი გაყრუმუნჯებულია, თითქო მთელს ტორტლის სოფლის საზოგადოებაში ხალხის მაჯის ცემა შესდგაო; ძალას აღმართი ახნევინა თავადმა ესტატემ: ყაზახები ცემა-ტყეპით ართმევდნენ ღალას; არ ინახებოდა სოფელში არც ერთი ადამიანის სული, რომ დასახიჩრებული არ ყოფილიყოს ყაზახის მათრახისაგან. განსაკუთრებული იერიში მიჰქონდათ ზაქარა ჯიღაურის და მთლად ჯიღაურების ოჯახებზე. ზაქარას დარბაზის ბანი მთლად მოუნგრიეს, ბოსელი ჩაუქციეს, ვენახი აუოხრეს ყაზახის ცხენების შიგ ჩაბმითა. ქალები ხომ ვერ ჩნდებოდნენ; ბოლოს ეს ხერხი იხმარეს: ყმაწვილი ქალები გახიზნეს მეზობელ სოფლებში ნათესავებთან, ნათელმირონებთან, კეთილ მეზობლებთან; დარჩნენ ხნიერი დედაკაცები და ისინიც ღამე ჯიხურებში იმალებოდნენ და დღე, დილაადრიან, ქმარშვილებს მისდევდნენ მინდორ-ველად, კალოზე ერთად მუშაობდნენ.

_ მე დღეიდან ხალხისა აღარ მეშინიან! _ კვეხულობდა თავადი ესტატე, რადგან ძალა შესწევდა საქადილოდ. _ მერმისიდან სულ პატარ-პატარა «კაზაკები» მოედებიან სოფლად. იმათი შერეული სისხლი გასწმენდს გლეხების ღვარძლსა და ტორტლა თავის დროზე აივსება ყაზახის ჩამომავალთა სისხლითა. სრულიად გადავქმნი მე ტორტლელებსა.

თუმცა ასე კვეხულობდა, მაგრამ მაინც გულში შიში ჰქონდა და უყაზახოდ ვერ დადიოდა; იმისი შვილები ხომ სულ ყახაზების უფროსთან (ოფიცერთან) ერთად დასეირნობდნენ ხან ცხენებით, ხან ეტლითა; უკან შეიარაღებული და თოფებგაწვდენილი ყაზახ-რუსები მისდევდნენ. ყოველ საღამოს იყო ერთი ჟრიამული, სიცილ-კისკისი ესტატეს აივანზე. სტუმრებიც არ აკლდა; ახლომახლო მეზობელი მემამულეები აქ იყრიდნენ თავს, ესტატეს ჭერქვეშ პოულობდნენ მყუდრო ბინას და შენატროდნენ. ესტატეც გულღიად უხვდებოდა და თან აგრძნობინებდა:

_ ჰაი, თქვე ლაჩრებო! ჰხედავთ, როგორ დავარჯულე ჩემი სოფლები. როგორ აღვადგინე ისევ ძველი წესწყობილება! თქვენც ასე მოიქეცით!

მაგრამ არც იმდენი ყაზახი იყო, რომ ყველა სოფელში ერთი ასეული გაეგზავნათ და არც იმდენი გაბედულება და გავლენა ჰქონდათ მთავრობასთან, რომ იმათაც გამოეთხოვნათ მცველად ყაზახები.

ესტატეს ოჯახმა გული გულის ალაგას დაიდო... სოფელი კი ჩუმად ღელავდა, კვლავ გროვდებოდა იმის გულში ბოღმა-ვარამი და ლამობდა ამოხეთქვასა.

აი, შუაღამე გაიწონა... სოფლის ბოლოს, სამების ეკლესიის ეზოში, რომელიც გარშემორტყმულია დიდრონ ცაცხვებით და რცხილებით, ხალხს ზიმზიმი გაუდის.

_ მოთმინების ფიალა აივსო, ამხანაგებო, _ დაიწყო აწ მოხუცებულმა ჯორ-ზაქარამ, _ წელში გაგვწყვიტეს, მამულ-დედული გაგვიოხრეს, ნაშრომ-ნაჭირნახულევი წაგვართვეს. კვლავ ივსება ესტატეს ოჯახი ჩვენის ნაშრომ-ნაჭირნახულევით და ჩვენი, ისეც დაცარიელებული ოჯახი, მთლად გამოიფიტა, გამოიფშუტა. ხომ გინახავთ ობობისგან გამოფშუტული ბუზი!.. რომ ნახავ, ბუზია როგორც ბუზი, მაგრამ თითები რომ გაუსვა, ბურნუთივით გახდება. ჩვენც ესე გამოგვფიტეს ყაზახებმა ესტატეს წყალობითა. ჩვენ გავძვალტყავდით, ღმერთმანი, არ ვხუმრობ, და ვინმე მკლავღონიერმა რომ მოგვიჭიროს ხელები, ბურნუთივით მოვიფშვნიტებით... თითქო ერთობა ჩაქრა ჩვენში, მისი ძალა აღარ გვასულდგმულებს. ნუთუ ყაზახთა ძალამ ჩააქრო ჩვენში ერთობის ძალა! ძალას ძალა უნდა ვუფაროთ, ნუ დავქალაჩუნდებით... ბარემ ერთს დღეს დავიხოცნეთ, უცბად მოვისპოთ სიცოცხლე, ასე წვეთ-წვეთად დაწრეტას სისხლიდანა...

_ «გასწიე, ბერო მინდიავ, მუხლი მოიბი მგლისაო, გაიყოლიე უმცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო», _ შესძახეს ჯორ-ზაქარას ახალგაზრდა გლეხებმა.

_ მე, ამხანაგებო, მოვხუცდი, სისხლში ხელს ნუღარ გამასვრევინებთ...

_ შენ წინ გაგვიძეხ, შენი გამოცდილებით გვასულდგმულე და ჩვენ ვიცით, რასაც ვიზამთ.

_ უნდა თავზედ დავანგრიოთ სახლ-კარი... სულ ერთიანად გადავბუგოთ მისი ძნები: ნურც ჩვენ და ნურც იმას! _ აყვირდა ხალხი.

_ წყნარად, ამხანაგებო, წყნარად, ნუ ახმაურდებით!.. უნდა მოვსპოთ, ძირიანად ამოვაგდოთ ესტატეს სახლ-კარი. ჩვენ იმის წინაშე დანაშაულნი არა ვართ. ჩვენ ვსთხოვეთ მორიგება, შეთანხმება ღალა-კულუხზე, იმან არ ინება და ძველი გზით დაიწყო სიარული, უფრო ტყავი გაგვაძრო. ეს არაფერი: ნამუსი შეგვიგინა. კვეხულობს, რომ ჩვენს ქალებს ნამუსს ახდის და «პატარა ყაზახებს» გაამრავლებს...

_ სიკვდილი, სიკვდილი!.. ცეცხლი, ცეცხლი!.. _ გაისმა ერთხმად მთელ კრებაში და არემარემ ხმა გამოსცა, ყოველივემ ირგვლივ გაიმეორა: _ სიკვდილი, ცეცხლი!!.

გადაწყდა!.. სიკვდილს და ცეცხლს თხოულობდა ხალხი! _ სიკვდილს და ცეცხლს თხოულობდა მთელი არემარე, ბანს აძლევდა ხალხის გულს, ტაშს უკრავდა და ამხნევებდა...

ტკბილია სისხლით ნაშოვნი თავისუფლება.

XVII

თავადმა ესტატემ ჩაჩნებისა და ყაზახების წყალობით ძალიან გაიმაგრა მამული; რამდენიმე ჩაჩან-ყაზახი ეყენა ფერმაში; ეს ფერმა ჰქონდა სამ ვერსზე სოფლიდან, თავის სახლიდან; ფერმა იქნებოდა ასე ორმოცი მძლავრი დღიური, ირგვლივ

შემოვლებული მაღალის ქაცვის ეკლის ღობითა; ფერმაში ხილის ბაღი ცალკე იყო. შვეიცარული ძროხების ბინა ცალკე, სხვადასხვა ჯიშის ღორებისა, ქათმებისა და სხვა ორფეხა ცხოველებისა ცალკე. ჰყავდა ყველა ეს. ხარობდა, მხიარულობდა იმათით. არც სოფელს, არც ვისმე სხვა თავისსავე მსგავს მეზობელს არ გაუჩინა არც თავისი ძროხის ჯიში, არც ღორისა და არც სხვა ცხოველებისა. მხოლოდ მარტოდმარტო თვით სტბებოდა; ბოლოს ყაზახ-ოფიცრებს თუ უფეშქაშებდა-ხოლმე გოჭს, წიწილებს და ხანდისხან ხბოსაცა.

ყოველ საღამოს თვით და კნეინა მისი ეტლით, შვილები, ოფიცრები და უკან ყაზახ-რუსები იორღა ცხენებით ჩაისეირნებდნენ ფერმაში; იქ დიდებულად მომზადებული საღამოს საუზმე დაუხვდებოდათ, იქეიფებდნენ და როცა გულს მოიჯერებდნენ სიამოვნებით, ბრუნდებოდნენ ისევ სასახლეში (ასე ეძახდა სოფელი ესტატეს სახლ-კარსა). სოფლის კვნესა ესტატეს ოჯახისთვის ლხინი იყო, ხოლო სოფლის ლხინი კვნესას შეჰყრიდა ხოლმე მთელ ესტატეს ოჯახსა.

_ რატომ არ იძლევი ღალასა? _ ჰკითხა აივნიდან გადმომდგარმა ესტატემ გლეხს, როდესაც ის თავპირდასისხლიანებული მოიყვანეს ყაზახებმა.

_ აი ეს ცარიელი ნაგვემ-ნაცემი თავიღა შემრჩენია, თუ გამოსადეგია რაშიმე, სისხლიღა შემრჩა ცოტა რამ ძარღვებში, აი, დალიეთ! _ უთხრა გაბოროტებულმა გლეხმა.

_ თქვენ მაინც თქვენს სიჯიუტესა და ბოროტებას არ იშლით... რომ პოპოქივით გასკდებოდე, უნდა მამცე: შენ რომ გაპატიო, სხვაც მამთხოვს. ყველას სად ვაპატიო, მე ცხოვრება არ მინდა?! _ უთხრა ცალ დოინჯ შემოყრილმა ესტატემ, რომელიც მეორე ხელით ქარვის კრიალოსანს აპროწიალებდა.

_ ბატონო, შენ ღმერთმა მოგცეს, სდუღ და გადმოდიხარ, რაღა ჩემისთანა კაცის გაგლეჯა გინდა.

_ მაშ მე შენ გგლეჯავ, ჰა, გგლეჯავ! _ პირში ხელები ჩააქანა ესტატემ ნაწამებ გლეხსა და თვალები გადაუბრიალა.

ყაზახებმა, რომლებიც თვალ-წარბში შესცქეროდნენ ესტატესა, შენიშნეს რა ბატონის წყრომა, მოუბრუნდნენ გლეხსა, მათრახები მოუღერეს. გლეხმა წარბიც არ შეხარა.

_ სჯობია, უბრძანო ამ კაციჭამიებს, რომ შენ ფეხთ წინაშე ბარემ მომკლან და მომაშორონ წუთისოფელსა! _ უთხრა ხელგაპყრობით გლეხმა.

_ ეგრე დაიტანჯები, სანამ იჯიუტებ... წადი, იშოვე, ისესხე და ისე გადაიხადე... მომიტანე და გაპატივებ, ისევ უკან მოგცემ, დაგიბრუნებ. ხალხს უნდა დავანახვო, რომ მე ყველას ვართმევ ღალასა და არავის არ შევაწევ.

_ ისესხე!.. ვის ვესესხო, რომ ყველა ჩემს ტაფაში იწვის...

_ კიდევ?.. _ შეუტია ესტატემ და თვალები ისე გადააბრიალა, რომ ყაზახებმა შეაზუზუნეს ჰაერში მათრახები და უწყალოდ დაუშინეს გლეხსა.

საბრალო ჩაიკეცა, გული წაუვიდა და გულშეწუხებულს მაინც არ ეშვებოდნენ ქორივით ყაზახები. ამჟამად მხოლოდ ოფიცერმა გამოიჩინა ლმობიერება და დაშოშმინებით უთხრა ყაზახებსა:

_ ეყოფა, ძმებო! მოსულიერდეს და თუ საჭირო იქნება, კიდევ იხმარეთ გამომაფხიზლებელი საშუალება. გლეხს ძაღლის ხორცი აქვს, აგრე ადვილად არ მოკვდება.

გლეხმა სოსემ როდის-როდის მოითქვა სული, მოცნობილდა და ფორთხით წამოდგა.

_ წადი, დღეს ეგ გეყოფა და, არ მოიტან ღალასა, ხვალ სხვა იქნება! _ უთხრა ოფიცერმა.

გლეხკაცი ფარფატით გაუდგა გზასა.

თავადმა ესტატემ დინჯად დაიწყო აივანზე სიარული. არ ეტყობოდა, თუ გლეხის ტანჯვამ იმის სულს რამე კვალი დაამჩნია, პირიქით, თითქო კმაყოფილება იხატებოდა იმის სახეზე, რომ ხასიათი გამოიჩინა, გული გაიკლდევა და აჩვენა გლეხს სოსეს, რომ იმან უთუოდ უნდა მოუტანოს ღალა, თუნდა სიცოცხლედ დაუჯდებოდეს.

_ მაგათ ჯიშს მე კარგად ვიცნობ, _ უთხრა ყაზახ ოფიცერს თავადმა ესტატემ. _ რამდენსაც სცემ, უფრო თავს მოიკატუნებს, უფრო თავს შეგაბრალებს, რა არის, გული მოიბრუნო იმისკენ და აპატიო დანაშაული.

_ უნდა მოგახსენო კი, რომ ძალიან ამტანი ყოფილა ქართველი გლეხი, ჩვენებურს რუსის გლეხს არ ჩამოუვარდება. ვირი რა არის, ვირი ვერ აიტანს ამოდენა ცემასა... სცემ, სცემ. მაგრამ ის მაინც თავისას გაიძახის... ოჰ, რომ შემეძლოს და ერთის მათრახის შემოქნევით ყველას თავებს წავაწყვეტდე! _ კბილების კრჭიალით დაიწყო ოფიცერმა.

_ ყმაწვილო, მაგათ რა გააწყობს ქვეყანაზედ? ერთ ბაღლინჯოს მოჰკლავ, აგერ მეორე გამოცოცდება. მაგათ კაცი ვერ გააწყობს. სწორედ, ბაღლინჯოს ჯიშისანი არიან: მყრალი, საძაგელი და ერთობ ჯიშიანი გამრავლება-მოშენებაში. მაგათ რა გააწყობს, შავი ჭირის მეტი! _ ბრძანა თავადმა ესტატემ.

_ ოჰ, ჩემ ხელთ რომ იყოს, შევუშვებდი სოფლად შავს ჭირსა, რომ ბარემ სულ გაწყდნენ და ჩვენც მოვრჩეთ ამდენს დავიდარაბასა! _ სთქვა აღელვებით ოფიცერმა, _ თორემ რასა ჰგავს ჩვენი ყოფა: მთელი დღე მათრახის ტრიალი, ცემა-ტყეპა; ჯერ ნახევარ დუჟინი მათრახი დამიგლეჯნია მაგათ ზურგზედა... მკლავები აღარ მერჩის, სწორედ მომწყინდა მათრახის ტრიალი... ოჰ, თავადო, რა კარგად სთქვი: შავი ჭირი, შავი ჭირი!!. ოჰ, სადა ხარ, შავო ჭირო, სად! _ ამბობდა გონებააღერღილი ოფიცერი.

_ ყველა ეგ კარგია, მაგრამ გლეხობას გაწყვეტა კი არ უნდა, _ ჩაერია ლაპარაკში სტუდენტი, შვილი ესტატესი. _ გლეხი რომ გაწყვეს პირისაგან ქვეყნისა, მაშინ აღარც სახელმწიფო იქნება; იგი ფუძეა, რომელზედაც სდგას სახელმწიფო; მოსპე ხალხი, სახელმწიფოს მკვებავი, მისი ჩარხის მტრიალებელი, მოისპობა თვით სახელმწიფოცა. ჩვენი სანეტარო ის არის, რომ ხალხი ხალხადვე დარჩეს, მაგრამ ჩადგეს, ანუ ჩაყენებული იქნას ისეთს კალაპოტში, რომ იგი ისევ მკვებავი იყოს სახელმწიფოსი, მთავრობისა, მისი მოხელეებისა, ბატონებისა, სხვათა და სხვათა. რასაკვირველია, უნდა მიეცეს მამულიც იმდენი, რომ ეყოს თვითონაც და იმყოფინოს იმ ხარჯებისათვის, რომელსაც მისგან სახელმწიფო ითხოვს... მთავრობა გამოუყიდის მამულებსა... მაშინ მოისპობა ხალხის, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, გლეხობის ყვირილი: მიწა და თავისუფლებაო!.. მიწა დიდიხნიდან საკუთრებაა მემამულეებისა, სახელმწიფოსი, ეკლესიისა. საკუთრებას ვერავინ შეეხება, იგი მესაკუთრისაა. მესაკუთრეს შეუძლიან შეღავათი მისცეს მისი საკუთრებით მოსარგებლესა. ეს მისი ნებაა, მაგრამ ძალას ვერავინ დაატანს, ასე და ასე მოიქეციო. გლეხს ვინ მისცა უფლება მოითხოვოს, ბატონის მამული ჩემიაო. აი აქ უნდა აილაგმოს გლეხის სურვილი და კალაპოტი გაუკეთდეს, აქ უნდა ჩაიგდოს დიდი სამანი, რომლის იქით გადასვლა აღარ უნდა შეეძლოს. თორემ კარგია, შენმა მზემ, ვისიც არ მინდა საკუთრებას წავსწვდე. ეს ჩემია-მეთქი. ასე თუ დავიწყეთ,

სახელმწიფო დაინგრევა... გლეხმა დაიხსნას მამული, ჩვენც ხელი მოვუმართოთ, და იგიც მესაკუთრე გახდება თავის დროზე; მერე კიდევ საგლეხო ბანკისაგან იყიდის მამულებსა, წავა და ღმერთი უშველის.

_ ჰოო, სწორედ ჩვენც მანდა ვართ, _ ერთხმად კვერი დაუკრეს თავადმა ესტატემ და ყაზახ ოფიცერმა, _ რაც მართალია, მართალია! თუ არა და, მოჰყოლიან: მიწა ჩვენიაო!!. არა, შე ყურუმსაღო, როდის იყო შენი, ჰა! _ დაუმატა გაცხარებით ესტატემა. _ მე გაყურებინებთ სეირსა და გაჩვენებთ, ვისიც არის!..

XVIII

გაიხრწნა მთლად სოფელი ტორტლა; სოფლად ჰაერში მხოლოდ მათრახის ზუზუნიღა გაისმოდა; ხალხს მხოლოდ მათრახის ზუზუნი უდგა ყურში.

ხალხი საშინელმა უკიდურესმა მოძრაობამ, მთავრობისა და ბატონების გულქვაობამ, სიკერპემ უმაღლეს უკიდურესობამდე მიიყვანა; იგიც გაგულქვავდა, გაკერპდა, ულმობელზე ულმობელი გახდა.

დაიმშა სოფელი, საზრდოს მოპოება უნდა; შიმშილი ყველაზე დიდი ავაზაკია; დამშეულმა ხალხმა ბატონების ორმოებს მიმართა; გაჩნდა ქურდობა, ავაზაკობა; მშრომელი, მშვიდობიანი ხალხი ავაზაკთა ბრბოთ გადაიქცა.

დაუზოგველად იხოცებოდა ხალხი, არც ყაზახ-სტრაჟნიკებს ადგათ კარგი დღე.

უარესად წაუჭირეს სოფელს თოკი ყელში; ხალხს ხრიტინიღა გაუდიოდა.

_ ერიჰა, ძმებო! ესე დალაჩრება არ ივარგებს. მითქვამს და ვამბობ: ბოროტებას ბოროტებით უნდა ვეომოთ, მოვსპოთ ჩვენი მომსპობი, მოგვიკლან, მოვკლათ, აღარავისი დანდობა აღარ შეიძლება, _ დაიწყო ჯორ-ზაქარამ ხალხის იდუმალ კრებაზე. _ ჩვენს ხორცსა სჭამენ, ჩვენც უნდა დავიწყოთ ჩვენი მტრების ჭამა: მე, ამ დღეს უკვე თეთრწვერა კაცი, ვისაც შევხვდები, არ დავინდობ; შამფურზე შევწვავ და შევჭამ, ცოცხალს დავმარხავ, ღორივით გამოვფაშვავ. დღეიდან დანდობა აღარ შეიძლება, აღარ!..

_ აღარ შეიძლება, აღარ! _ იგრიალა ხალხმა.

_ მაშ შეუდგეთ საქმეს!.. მაგრამ ვინც ჩვენს საიდუმლოებას გასცემს, იმას ძაღლივით სიკვდილი უწერია, ჩამოხრჩობა, ჩაქვავება! _ წარმოსთქვა მრისხანედ ჯორ-ზაქარამა.

_ თავად ესტატედან უნდა დავიწყოთ, ის უნდა გამოვასალმოთ წუთისოფელსა, ის არის თავდაპირველი მიზეზი ჩვენის განადგურება-განიავებისა, _ დაადგინა კრებამ.

_ ამინ, ამინ! _ დაიგუგუნა კრებამ.

არც მოწინააღმდეგე მხარეს ეძინა: გაფრთხილებული იყო, ციხე-სიმაგრეებს ამზადებდა, ადგენდა მოწინააღმდეგეთა სიებსა, ზოგს იჭერდნენ, ზოგს ხოცავდნენ.

გაზაფხულია; ბუნება ახლდება, ახალის სამოსით იმოსება; ყველა ხარობს, რაც კია მიწად თუ ცად: ჭია-ღუამ გაიღვიძა მიწაში, გაყინული სისხლი გაუთბა, თავის სოროს ბანი ახადა, ამოღონღილდა ზემოთ. გვერდები გაუთბა, ცხოველმყოფელმა ჰაერმა გუნება შეუცვალა და ჩაება ჭია-ღუაც საერთო სამხიარულო ფერხულში...

_ ნეტავ შენ, ჭია-ღუავ! შენ, მშრომელო ჭიანჭველავ!.. შენ, ბზუილა ფუტკარო! შენ, ბეღურა ჩიტო!.. შენ, ვარდის ჩიტო, გაზაფხულის შემამკობელო!.. მხოლოდ თქვენ სტკბებით თავისუფლებით! მხოლოდ თქვენშია ხელშეუხებლობა

პიროვნებისა, თავისუფლება სიტყვისა, დატკბობა ერთობითა და სიყვარულითა... მართალია, თქვენც გყავთ მტერი, მაგრამ მტერი ერთ ორს თუ გამოაკლებს თქვენში, მეტს ვერა. დიდი უმრავლესობა კი თქვენი ისევ თავისუფლებას ელტვის, სტკბება იმით, ხარობს და მთელი ბუნების ბატონ-პატრონია... ვაი ჩვენდა!.. მეტყველს ხალხს ყოველივე უფლება ჩამორთმეული აქვს და პირუტყვად იქცა!.. ვაი ჩვენდა!.. შემოგნატრით, მინდორ-ველის შვილნო, თქვენს თავისუფლად ჭიკჭიკ-ფრენასა! _ ასე ფიქრობდა სოფელი.

დიახ, გაზაფხულია!.. აღსდგა ყველა ახალის ცხოვრებისათვის, მხოლოდ ადამიანიღაა ჩამრჩვალი ძველს ჭაობში, ხავსი აქვს მოკიდებული მის სულსა და გულსა.

აყვავდა მთლად ბუნება, გაიფოთლა მცენარეულობა, აღსდგა, გაფუფუნდა მცენარეთა სამეფო!..

პირუტყვიც ხარობს ბუნების აღდგომით... მწვანით მოსილს ველზე კოწიაწობენ, ხტიან, ბუჩაობენ ხბორები, ბატკნები, გოჭები; სიამოვნებით შესცქერიან აღტაცებასა და დიდის სიამოვნების ნიშნად ძროხები ზმუკუნებენ, ბატები სისინებენ. ბუნების განახლებამ, გაზაფხულმა, მისმა ცხოველმყოფელმა სიო-ჰაერმა ყველანი აღადგინა, განაახლა, სისხლში სიცოცხლის ახალმა ძალამ ჩუხჩუხი დაიწყო. ბუნების აღდგომას ყველა «დიდება მაღალთა შინას» უგალობს...

აი დღეს, თუ ხვალ, ეკლესიაც იგალობებს: «აღსდგა ქრისტე და მოგვანიჭა ჩვენ ცხოვრება საუკუნო»!.. ეკლესიამაც ბუნების აღდგომას შეუფარდა აღდგომა ქრისტესი და დღესასწაულად მიუჩინა გაზაფხული...

ქრისტემ განაახლა კაცთა ცხოვრება: აღადგინა კაცი ახალის ცხოვრებისათვის; შემოაცალა ადამიანის სულს ძველი ქერქი, ძველი ჭუჭყი, ათას წლობით მობეგებული ხავსი. ახალი სული ჩაუდგა, ახალი სამოსლით შემოსა და რომ დაემყარებინა ქვეყნად ეს ახალი ცხოვრება, რომელსაც იესო ტკბილი უწოდებდა «სასუფეველსა», იტვირთა ყოველივე შეურაცხყოფა, ჯვარზე ავიდა და წამება-ტანჯვით დალია ჯვარზე მილურსმულმა იესომ თავისი სიცოცხლე. ამ სიკვდილით დასთრგუნა სიკვდილი ხალხისა და აღადგინა ახალის ცხოვრებისათვის.

ეს აღდგომა, ეს გაზაფხული სულისა ძლიერთა ამა სოფლისათა არ იწამეს, ზამთარი დაუყენეს და იესო ტკბილი მუდამ ჯვარზედ ჰყავთ გაკრული...

XIX

აღდგომაა!!. სოფელს, დამშეულს, მშიერ-მწყურვალს სოფელს, ტორტლას რა ეაღდგომება!.. მაგრამ ხალხის გული მაინც ნუგეშობს ქრისტეს აღდგომითა. სული რაღაც ახალს მოელის, რიღაცის იმედი აქვს.

სოფელმა ტორტლამ მოიკრიფა სულის ძალა, მიდგა-მოდგა, რომ ქრისტეს აღდგომას პირნათლად შეხვედროდა. დედაბრები ხეხვენ, წმენდენ ჯამ-ჭურჭელსა, ქვაბ-ქოთნებსა, ჰგვიან და ასუფთავებენ კარ-მიდამოს. მეხრე ბიჭები დადიან ვენახებში, ენდროს სთხრიან კვერცხების შესაღებად. აქა-იქ ამღერდნენ. მეჭონეებმაც ჩააწკრიალეს «ჭონა», მაგრამ ხალხის ის აღტაცება, ის ტკბილი მოლოდინი, რომლითაც წინათ ღარიბი ხალხი შეეგებებოდა-ხოლმე «ქრისტე აღსდგასა», აღარ ემჩნეოდა სოფელსა, მხოლოდ ბჟუტავდა, ოდნავ ციალებდა ხალხის სახეზე მოლოდინი ქრისტეს აღდგომისა.

დიდი სამზადისი იყო თავად ესტატეს სახლში. ძალიან გაიჭიმა თავადი. აბა, როგორ არ უნდა გაჭიმულიყო და არ დაენახვებინა ძვირფას სტუმრებისათვის _ ყაზახ-რუსებისა და მის უფროსისათვის თავისი გულუხვობა, დიდებული მასპინძლობა. თავადის დიდი ეზო აივსო ბატკნებითა; ძუძუს გოჭები სიმსუქნით დატიკნულიყვნენ და ძლივსღა დაბაჯბაჯებდნენ. უშობელი ხომ მორთულ პატარძალსა ჰგავდა; ჩვილი ხბორები ერთთავად რძეზე იყვნენ მიშვებულნი. თავადის ოჯახი თუმცა კანტიკუნტად ინახავდა მარხვასა, მაგრამ მაინც სულის კაწკაწით მოელოდა გამხსნილებასა, განსაკუთრებით თავადის «კნეინა», რომელიც მხოლოდ თევზეულით იმხსნილებდა და ხორცზე კბილს არ ადგამდა. «ადამიანი მოხუცებაში ვარ და ხორცის ლეშისათვის სული როგორ წავიწყმიდოო», ამბობდა ხოლმე კნეინა. თავადი ესტატე მუდამ ასე გამოეხმაურებოდა-ხოლმე:

_ ბარემღა სული გიკაწკაწებს, მაგრამ რაკი ერთი თქვი, სიტყვა არ უნდა გასტეხო.

_ კაცები ხართ მხოლოდ სულწასულები, არც ღმერთი გწამთ და არც ხატი; არ გინდათ სუფთად შეეგებოთ ქრისტეს აღდგომის დღესა, _ ეტყოდა-ხოლმე კნეინა სახუმაროდ აღერღილ ქმარსა.

ამით თავდებოდა ამათი კინკლაობა.

თავად ესტატეს თუმცა ახალ დროში ედგა ფეხი, მაგრამ მაინც ძველი ყაიდის კაცი იყო; პირის პატივი ძლიერ უყვარდა და მადის გასაღვიძებლად სულ ეზოში დაუდიოდა საკლავი წვრილფეხი, სოფლად ნადავლი, თუ საბალახეში ანაყვანი.

_ გაბრიელ ევტევიჩ, სწორედ თერთმეტ საათზე უნდა გავიხსნილოთ აღდგომა, _ უთხრა ტუჩების ტლაშუნით თავადმა ყაზახ-ოფიცერსა.

_ როგორ იქნება, ჯერ ლიტანია უნდა გათავდეს და მერე შეიძლება... უკურთხ სუფრაზე ხომ ვერ დავჯდებით, _ უთხრა ცოტა არ იყოს უსიამოვნოდ კნეინამ.

_ მართალია, ჩვენ, რუსები, უკურთხად არა ვჭამთ-ხოლმე აღდგომის პურსა.

_ რა არის ადამიანი! ყველა მხეცზე დაუნდობელია! რავდენი წვრილფეხი უნდა გამოასალმოს წუთისოფელსა... ოჰ, იმათი ბღავილი, ჭყვიტინი, ზმუკუნი, ფთხრიალი!.. როცა დანას დააჭერენ ყელში, ან გულში ჩასცემენ, მე გული წუხილს დამიწყებს, ავძაგძაგდები-ხოლმე იმათი საცოდაობისაგან! _ წარმოსთქვა კნეინამ და სახემ მთლად თამაში და თრთოლვა დაუწყო შეწუხებისაგან.

_ მართლა და შესაბრალისია! _ სთქვა ოფიცერმა. _ რას ვემართლებით პირუტყვსა... მე რომ პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისა ვიყო, სასტიკად ავკრძალავდი პირუტყვების ხოცვასა. რავდენი პირუტყვია, რომ ადამიანის უმჯობესია.

_ ოღონდაც რომ არის, _ სთქვა კნეინამ.

_ აკი ძველად კიდევაც ფასი ჰქონდა პირუტყვსა, _ სთქვა ესტატემ და დოინჯი შემოიყარა. _ წარმოიდგინეთ, აი, ერთი ისტორიული ამბავი: აი, ის პატარა სოფელი, თეროვანი, უღელ კამეჩად უყიდნია პაპაჩემის მამას ნოშრევანსა. თავად რატისა და ბიბილასი იყო თურმე. თავად ნოშრევანს უღელი ასეთი კამეჩი ჰყავდა, რომ მთელ დუნიაზე ბადალი არ იყო. ფერით ყორანა, რქებით ჩანგალა. ახოვნებით, ძალოვნებით და სიფიცხით უბადლონი იყვნენ თურმე. გადაეკიდნენ თავად ნოშრევანს, უნდა დაგვითმო და უნდა დაგვითმოო. რას იზამდა? რატი და ბიბილა სახელოვანი თავადები იყვნენ, უარი არ გაეწყობოდა, მისცა და სოფელი თეროვანი გამოართვა ოცი კომლი გლეხითა. ჯერ ეხლა რა არის გლეხი და მერე მაშინ ჩალის ფასი არა ჰქონდა... უფრო კარგა გითხრა: ეს სულ ახლო ამბავია. განსვენებულმა

მამაჩემმა უღელ მწევარში ექვსი კომლი გლეხი მისცა თავად ვარდენ ჭიმიაშვილს. მაგრამ უნდა გითხრა, რომ სწორედ კალმით ნახატები იყვნენ. აი, ჩემი მწევრები სულ იმათი ჯიშისაა... წარბა, წარბა! _ დაუწრუწუნა ესტატემ. მწევარი წარბა მოიჭრა ბატონთან და ძაღლურად მიუალერსა... _ აი, გაბრიელ ევტევიჩ! რა ლამაზია! ძველი დრო რომ იყოს, არც ათი კომლი დაიშურება ამისთანა ძაღლში. ეხლაც, რომ შეიძლებოდეს, ამისთანა ძაღლში, თუნდ სხვა კარგ პირუტყვში, დიდი სიამოვნებით მივცემდი ზაქარა ჯიღაურის სახლობასა და მთლად ჯიღაურებსა.

_ მშვენიერია, მშვენიერი! _ სთქვა ოფიცერმა, ხელი გადაუსვა თავზე სუფთად მოვლილ-დაწმენდილ წარბასა.

_ თუ მოგწონს, ამის ჯიშის ლეკვებს მოგართმევ დედალ-მამალსა!

_ ძალიან კარგი, მაგრამ სად წავიყვანო? მთელი დღეები აქეთ-იქით წოწიალში ვართ...

_ შეგინახავ, ბატონო, შეგინახავ!.. თქვენ მთხოვეთ რამე და შესრულება ადვილია... თუ გნებავთ, მთლად ჯიღაურებსაც მოგართმევთ, _ უთხრა სიცილით და ვითომ ოხუნჯობით თავადმა ესტატემ. _ ისეთი ლამაზი გოგოები ჰყავთ იმ ჯიღაურებსა, რომ როგორც მწყრები, _ სთქვა ესტატემ და სიამოვნების ნიშნად თითები კოცნით ჩაიწუწნა.

_ გოგოებისა კი რა მოგახსენოთ, იმათ კი არ დავიწუნებდი, სწორედ მოგახსენო, _ სთქვა ოფიცერმა, თვალები სისხლით აევსო და მსუნაგი ძაღლივით დაიწყო პროწიალი.

_ აი ნააღდგომევს ვინადიროთ იმათზე.

_ ურიგო არ იქნება, შენმა მზემ.

_ გავუსიოთ ყაზახები და მწყერებივით ვიჭიროთ ლამაზ-ლამაზი გოგოები.

_ სად გახლავან მერე? _ ჩაერია ლაპარაკში კნეინა. _ თქვენ ყურზე გძინავთ, მთელი სოფლის ქალი სულ გახიზნულია თურმე.

_ ნუთუ მართლა?! _ გაოცებით სთქვა ესტატემ და ოფიცერს გადახედა.

_ ვიპოვნით, მივაგნებთ! _ სთქვა არხეინად ოფიცერმა და გადიხარხარა. _ ვხუმრობთ, კნეინა, ვხუმრობთ!.. ცუდაობისაგან გულს ვაყოლებთ; თავი შეგვაბეზრა ერთფერობამ: ქეიფი და ქაღალდის თამაში, მათრახი და გლეხის ზურგი, ჭირივით მომბეზრდა ასეთი საქმე.

_ მართლა რომ მოსაწყენია! მაგრამ რას იზამს კაცი, რომ ვერ გავტეხეთ მაინც ხალხი.

_ ჯიუტია, როგორც ჯორი, _ სთქვა ოფიცერმა. _ ცემა არას შვრება; ჩეხვა, ხოცვა და ჩეხვა, სისხლი!!. მინამ ნადირი სისხლს არ დაინახავს, არ შედრკება, არ გაიფანტება. გლეხიც ასეა...

_ ნადირს რა უშავს, ბატონო! იმასთან ან თოფი გაგივა, ან ხანჯალი, ამათთან კი არაფერი, _ დაურთო ესტატემ.

ვინ იცის, რამდენ ხანს გასტანდა ამ ქვეყნის გულშემატკივართა ბაასი, რომ ერთს ახალ ამბავს არ შეეცვალა კილო იმათის ლაპარაკისა.

ესტატეს შვილმა, სტუდენტმა არჩილმა, და მისმა მოურავმა ჩაჩანმა ისმაილამ თქარათქურით შემოარბენინეს ეზოში ეტლი; არჩილი გადმოხტა და საჩქაროდ აირბინა სახლში: ისმაილამ უყივლა სხვა ჩაჩნებსა, ყველანი შეიყარნენ, გადაუკრა თვალი ისმაილამ, ყველა იარაღში ჩაჯდა.

არჩილი მირბოდა კიბეზე, თან ხელსახოცით შუბლს და თავს იწმენდდა. თავადი ესტატე, მისი კნეინა ქეთევანი და გაბრიელ ევტევიჩი მისცვივდნენ კიბის ამოსავალთან.

_ რას გადაფითრებულხართ? _ სამივემ ერთხმივ მიაძახეს არჩილსა, რომელიც თეთრი სერთუკის ღილებს იხსნიდა და თან ფშვინავდა დაღალულობისაგან.

_ ფერმაში დაგვეცნენ წითელი რაზმელები, საუკეთესო ძროხები და დიდი მოზდოკური ბუღა მომიკლეს. მე და ისმაილამ, როგორც იყო, გამოვასწარით. მოგვაყოლეს ზუზუნით ტყვიები, არც ისმაილა ჩამორჩა, ჩვენც ვისროდით... უეჭველია აიკლებდნენ იქაურობასა... ეს კი ხუმრობა აღარ არის... დათმობა აღარ შეიძლება... ვიცი, ვინც არიან ეს ვაჟბატონები... ერთი ზაქარა ჯიღაურის ბიჭია, ნასალდათარი... ცუდ აღდგომას გავუთენებ მე იმათა... ისმაილ, დაამზადე ბიჭები!

_ ნუ, გენაცვალოს დედა! ნუ, შვილო, შენ, ნუ!.. აი, ბიჭები გაუსიოთ... აი, გაბრიელ ევტევიჩი აქ არ არის? _ უთხრა დედამ და გულში მიიხუტა არჩილი...

_ დათმობა აღარ შეიძლება!.. მე ძმასავით ვექცევოდი, ვისაც არა მგონია ხელს გადავხვევდი, იმათთან ვჭამდი, ვსვამდი, არა ვზიზღობდი იმათთან ყოფნასა და ასე კი მიყვეს...

_ დაგვაცა ჩვენ, ყმაწვილო კაცო! მეცნიერების სწავლა და ცოდნა შენი საქმეა, გლეხების დამშვიდება და დარბევა ჩვენი...

ამაღამ საეჭვო სახლებს შემოვივლი და ყველას გავთოკავ... ეი, მზად იყავით საღამოსთვისა, მზად! _ დაუყვირა ოფიცერმა ყაზახებს და მათრახით მძლავრად შეარხია ჰაერი, რომელმაც ზუზუნი იწყო.

ყაზახებში ჩოჩქოლი ჩავარდა, ჟრიამული შეუდგათ, სახეზე ღიმი ააჩნდათ და ტანში სიამოვნების ჟრუანტელმა გაურბინათ: ერთი კვირაა კაცის სისხლი არ დაუქცევიათ, ადამიანის ხორცი არ უღეჭნიათ. ამ ბრძანებამ ფრთები შეასხა, მადა გაუღვიძა და სულის კაწკაწით ელოდნენ განავარდებას სოფლად საღალოდ და საჟლეტად.

XX

შუა აპრილი იყო 1906 წლისა; გაზაფხული სამეუფეო ტახტზე იჯდა; ბუნება ხარობდა: ბალახი სასიამოდ ბიბინებდა, ბრჭყვიალებდა, ნამი ათასფრად ღვიოდა და უფრო ალამაზებდა ნორჩს მცენარეულობასა. ფრინველთა ჭიკჭიკ-სტვენას საზღვარი არა ჰქონდა. დასრიალებდნენ ჰაერში მერცხლები, ეზიდებოდნენ ჩალაბულასა და ბუდეებს სდგამდნენ. გაზაფხულის მკბენარა მზე კონა-კონად აფრქვევდა ქვეყანაზე თავის სხივებსა, სიცოცხლის ნექტარს აწვეთებდა ყველას, მცენარეულობა ანაზდეულად იზრდებოდა, კეკლუცად იღერებდა შტოებს, თითქო მადლი უნდა გადაუხადოს თავის მაცოცხლებელ მზესაო. ყველა შესტრფის მას: მცენარე, ჭია-ღუა, ფრინველნი, გაჭირვებული მუშა, ძონძებში გამოხვეული მათხოვარი; შესტრფის ყველა იმიტომ, რომ ერთნაირად ათბობს ყველას, ერთნაირად სწვავს, ერთნაირად უგზავნის ყველას სხივებსა. იგი მეფეა ცისა და, როგორც მეფე, ერთნაირად უგზავნის ყველას თვისს უხვს მოწყალებასა. იგი ცისაა და ცა ხომ ყველაზეა გადაფარებული.

ცისქვეშეთში კი სულ სხვა იყო იმ დღესა... სოფელი ტორტლა ბუნების ფერხულში არ ება, იგი გაყრუმუნჯებული იყო, მშვენიერება ბუნებისა სასიამოდ არ უტოკებდა გულსა; ტორტლაში სიცოცხლე შეწყვეტილიყო, ტორტლას მაჯა აღარ უცემდა; ძაღლის ყეფა, მამლის ყოყლოჩინობაც კი არ ისმოდა და არ არღვევდა სოფლის ყრუმუნჯობასა.

ჯორ-ზაქარას კაკლის ხის ქვეშ რამდენიმე ტორტლელი შეკრებილიყო, ზოგი ჯოხზე იყო დაბჯენილი, ზოგი სახრეს აპროწიალებდა; ჯორ-ზაქარა კაკლის ძირას ქვაზე იჯდა, ხელში ჩეკი ეჭირა. მიწას სჩიჩქნიდა, რაღაც ხაზებს ავლებდა. ხმა-კრინტს არავინ სძრავდა. მათი სახის გამომეტყველება მოწმე იყო იმისი, რომ ისინი რაღაც ღრმა, მოუნელებელ მწუხარებას შეეპყრო. უცნაური სიჩუმის დარღვევა არავისა სურდა. ყველა დაუსრულებელ ფიქრს მისცემოდა. ეტყობოდა, სოფელ ტორტლას რაღაც ახალი უბედურება დაატყდა თავსა და ხალხის გული შებოჭა, განსაცდელსა და საგონებელში ჩააგდო.

ფოხოლა ყვავი კაკლის კენწეროში ბუდეს ხლართავდა, მამალს მოჰქონდა კლერტები, დედალი დურგლობას ეწეოდა. ერთ ხანად მამალი მხიარულად მივიდა და დიდი ხმით დაიჩხავლა: ყვაა!

_ აი, ოხრობა შენი!.. შენღა გვაკლიხარ გულის გასახეთქათა! _ შეუკურთხა ვიღაცამ მუშაობით გაძეძევებულს ყვავსა.

კვლავ სიჩუმე, კვლავ ნაღვლიანობა, კვლავ გულჩათუთქული ყოფნა კაკალ ქვეშ მყოფთა...

ამ დროს ვენახის კარმა გამოიჭრიალა; გამოჩნდა მანდილოსანი, შემოკარწახებულ კაბის კალთები აევსო ჭინჭრითა და სხვა მხალეულობითა. მანდილოსანი შესდგა, დაბეჩავებულად მდგარი ტორტლელები რომ შეამჩნია.

_ ლეჩაქებს თქვენ მოგახვევთ და დღეიდან მამაკაცობას ჩვენ ვიკისრებთ, _ რიხიანად უთხრა მანდილოსანმა. _ რას ჩაგიქინდრიათ თავები ჭირიანი ინდაურებივითა! განსაცდელი კარზე მოგდგომიათ; თქვენ ცოლ-შვილს ნამუსის ახდას უპირობენ. ესღა შეგვანარჩუნა ღმერთმა და ამასაც ხელიდან გამოგლეჯას ემუქრებიან. სოფელი გაატყავეს, საწყალმა სოსემ მათრახ ქვეშ დალია სული... იცით, რომ სოსე მოკვდა! იცით, რომ იმისი ცოლ-შვილი წყალში გადასაყრელად დარჩა... ოიი! იმის კაბითაც დამჯდარა ესტატეს ცოლი! ჰო-და-ჰო!!.

_ ვიცით, მარინე, ვიცით!.. ჩვენც მაგ ამბავმა ჩაგვყარა საგონებელში, ვფიქრობთ და თავი ვერ გაგვირთმევია.

მარინე ჯორ-ზაქარას ჯალაბი იყო, მთელი ტორტლის გოგოების ამზრდელი და მასწავლებელი, ერთადერთი მცოდნე წიგნისა, წერა-კითხვისა; სოფლის გოგოებს ის ასწავლიდა ანაბანასა, ყველას უყვარდა, ყველა მოწიწებით ეპყრობოდა და «დედა მარინეს» ეძახდა.

_ დიდი ლარი და ხაზი არ უნდა ჩვენს საქმესა. დღეს სოსე მოჰკლეს მათრახ ქვეშ, ხვალ მეორეს სახლის ბანს დააქცევენ თავზედა, ზეგ თოფით მესამეს დახვრეტენ. ჩვენს სიტყვას და ვედრებას გასავალი არა აქვს. სოფელმა თვით უნდა იზრუნოს თავისთვისა, დღეს შევყრი ტორტლელ მანდილოსნებსა, ჩვენ, ჩვენის სუსტის ძალით გავუმკლავდებით ძუ ლომებივით და ნამუსს დავიცავთ ჩვენი ოჯახებისას. სიკვდილი რით არ სჯობიან ჩვენის შვილების ნამუსის ახდის ცქერასა.

ჯორ-ზაქარა წამოდგა, გამოერკვა, სხვებიც შეიშმუშნენ, სიცოცხლის ნატამალი აღჩნდა მათში.

_ მეც მაგაზე ვარ გაბოროტებული. ხსნა არსაით არის. სამართალს და სიმართლეს ვერ ვპოულობთ და ვერც ვიპოვით. ჩვენის სამართლით უნდა ვეძიოთ სიმართლე... ყველა აღვსდგეთ: ქალი და კაცი, დიდი და პატარა, გავიფიცნეთ სამების საყდარში სოსეს საფლავთან, რომ არავის არ შევარჩენთ ჩვენს უწყალოდ

გაქელვასა... წავიდეთ, ხალხო! _ დაიძახა ჯორ-ზაქარამა და ჩეკის ტრიალით გაუძღვა ამხანაგებსა.

სისხლმა ჩქეფა დაუწყო ყველას, ყველამ ანაზდეულად მძაფრი სახე მიიღო, ხალხს აუქოთქოთდა სული და გული და სტიქიონად იქცა.

XXI

სოსე ინაური იქნება ყაზახების მათრახებს გადარჩენიყო, ესტატეს ახალი მოურავი ვანო ქებაძე რომ არ გადაჰყრიყო. აქაოდა, რად მეურჩეო, მათრახებით გაჭრელებულს სოსეს ვანო ქებაძემ კიდევ დაურთო მათრახი და წიხლი, გვერდები ჩაამტვრია ქუსლიანი წაღებითა.

სოფელი ტორტლა მთლად ააღელვა ამ ყოვლად საწყალი, ღარიბ-ღატაკი და უდანაშაულო გლეხის სიკვდილმა, სიკვდილმა წამებითმა, სიკვდილმა ძალადობისამ.

ჯერ სოსეს სახლკარბინადრობის სანახაობა აუკვნესებდა ადამიანს გულსა და მისი სახლობის ხილვა ხომ სრულიად შხამავდა ადამიანის სულსა და გულსა...

მინამ ზედ არ წაადგებოდა კაცი, ვერ შეატყობდა, თუ ამ სოროში სულიერი ადამიანი იდგა. ამ სოროს ვიწრო შესავალი ჰქონდა; აქედან შეხვიდოდი ოთხკუთხიან პატარა მიწურ ჯურღმულში, სადაც უკუნო სიბნელე გამეფებულიყო; მინამ კარგად არ მოაშინაურებდი თვალსა, ჯურღმულში ვერაფერს ვერ გაარჩევდი. ერთ კუთხეში იყო ბუხარი, გარდიგარდმო ქვაბის საკიდელი იყო გაჩხირული, იქვე ეგდო პატარა ყურიანი ქვაბი, გაშავებული, გამურული, ჩაჟანგებული, მეორე კუთხეში იდგა ნეხვით გალესილი გოგროხი, რომელიც საფქვილეც იყო, სახორბლეცა. ბუხრის გვერდზე იდგა სასთუმლიანი ტახტი და ერთი რუსული ფარაჯა. თახჩაზე დამხობილი იყო ორი ჯამი, ქოთანი და ერთი პირამომტვრეული ციცხვი.

სოროს პირდაპირ იდგა ძველი, მიღრეცილ-მოღრეცილ ბოძებზე შემდგარი სასიმინდე ძარი, რომელშიაც აქა-იქ მხოლოდ ცარიელი ნაქუჩებიღა იყო გამოჩრილი. სასიმინდეს გვერდით ჩაურბოდა პატარა რუ. ღორებს მის გარშემო წუმპეები გაეჩინათ და შიგ ტკბილად განისვენებდნენ, რასაც მათი წყნარი ხრუტუნი ასაბუთებდა.

სოსემ ვნების ორშაბათ დილით დალია სული. მისმა ჯალაბმა თინამ, თავის შვილის სოლოს პირით ამცნო სოფელსა. მამის სიკვდილს მხოლოდ სოლო გრძნობდა და მისი დამწვარი დედა თინია. სოლო უკვე მეხრე ბიჭი იყო, გუთანზე იჯდა და წელიწადში ერთს ანეულს აძლევდნენ და ერთს დღიურს კიდევ გაზაფხულისას. სოლომ იგრძნო, რომ რაღაც ჩასწყდა, ეგდო ძარს ქვეშ და ჩაჰბღუოდა მიწასა.

სოფელი დატრიალდა, ყველას მიჰქონდა შესაწირავი. პავლე კახნიაშვილი, სოფლის დურგალი და ხურო, დილითვე მივიდა, მუხის ფიცრები მიიტანა და ხელეჩოთი მუყაითად სთლიდა და კუბოს ამზადებდა. მისი ხელეჩოს კაკუნი შორს გაისმოდა; პავლეს შუბლიდან კუბოს ფიცრებს ოფლი ეღვენთებოდა და ფოლაქებად აჩნდებოდა ზედა.

_ ეეჰ, ღმერთმა გაცხონოს, სოსე, ღმერთმა!.. ვის რათ უნდოდა შენი სიკვდილი, ვისა, შე საწყალო, უენო ადამიანო?!! ვის რა შეშურდა შენი!.. ვაჰი, სოფელო!! _ სთლიდა პავლე ფიცრებსა და თან ასე ჩაჰლაპარაკებდა.

სოსეს ექვსი წლის გოგო კი სრულიად ვერა გრძნობდა მამის სიკვდილსა; თმა ქაჯივით გაბურძგნოდა, ფეხები და კანჭები შერუჯოდა და ზედ წუმპეს ტალახი შემხმარიყო. ხელეჩოს კაკაკუკზე მელა-გოგოს ჩვილი, უმანკო გული აუტოკდა, პირით «ჩივთი-უთო» დაუკრა და ძარს ქვეშ კოხტად ლეკური ჩამოუარა. მისი პაწია ძმა ზაქრო სწორედ გოჭსა ჰგავდა: მთლად წუმპეში იყო ჩურჩხელასავით ამოვლებული, ტანზე ჭუჭყისაგან შეჭმულ-გალესილი პერანგის ნახევი ეცვა, ცხვირზე ბოტოტები ჩამოსდიოდა, ვიღაცისაგან მოცემულს ფეტვის მჭადსა ღუღნიდა და ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად...

_ ღუღნე, ღუღნე, პაწიავ, ფეტვის მჭადი!.. იცეკვე, იცეკვე, პაწია მელო!.. ჩაბღუვლე, ჩაბღუვლე, პაწია სოლო, მიწასა!.. თქვენც ოდესმე გაიგებთ სოფლის მუხანათობას. _ ჩაილაპარაკა პავლემ... პავლე კი აკაკუნებს ხელეჩოს, მუყაითად უმზადებს მეზობელს საუკუნო სამყოფელსა. ძლივს ეღირსება სოსეს ახალი მყუდრო ბინა, ტანჯვა-ვაება მოეხსნება ზურგიდან.

XXII

სოფელმა შემოსა სოსეს ცოლ-შვილი, სამების ეკლესიის ცაცხვ ქვეშ გაამზადა სოსეს მოსახსენებელი სადილი. ვის რაც გააჩნდა, ცაცხვთან მოჰქონდა: ჯამ-ჭურჭელი, დოქებით ღვინო, ხახვი, ღოლო; ლობიოს და მუხუდოს დიდი ქოთნები მიადგეს ცეცხლსა. ჯორ-ზაქარას ცოლი მარინე თონეს თონეზე ახურებდა და ნამცხვარს ამზადებდა.

ზარმა მწუხარედ გაიზრიალა, სოსე ჩასჭედეს პავლეს გამოკუთხულ კუბოში. ცოლი წიოკობით მისდევს მიცვალებულს. სოლო-ბიჭი დიდი ხმით ბღუის. მელოს და ზაქროს გულმაც კი იგრძნო რაღაც გამოუთქმელი ბოღმა. მელო ძარის ბოძს მიჰყუდებოდა, ზაქროს თავი მიედო მელოსთვის და ორივენი იმდუღრებოდნენ. ხანდისხან ბავშვური სიცელქე მოუვლიდათ და აკვიატებულ ბუზს დასაჭერად მიმართავდნენ, ღიმი ააჩნდებოდათ ტუჩებზე, მაგრამ ეს წუთიერი ღიმი მალე ითუთქებოდა.

_ ნუ ტირით, შვილებო, ნუ! მამა ისევ დაბრუნდება, დედა-შვილობამა, _ ატყუებდა მარინე, რომელმაც პავლე კახნიაშვილს კარზე გამოაყრევინა ტახტი და სოსეს მაზარა.

_ ტირილი, მარინე, შვებაა; ნუ უშლი, ნუ! დეე, იტირონ მაგ საცოდავებმა, _ უთხრა პავლემ, _ თუ სხვას ვერ მოულბობენ გულს, თითონ ხომ მაინც ეშეღავათებათ.

ამ დროს ესტატე მარუშიძის სახლის აივნიდან სიცილ-ხარხარის ხმა მოისმოდა, საუზმეს შეექცეოდნენ. გაბრიელ ევტევიჩი რაღაცას მღეროდა, ცალკე არჩილიც რაღაც რომანსს დამღეროდა ფორტეპიანოზე.

ესტატე დიდს ჩიბუხს აბოლებდა და თავის ცოლის ძმას პეტრე ერკემლიძეს შორს მდგომ კაკლის ხეზე უთითებდა.

_ აი, ის ჩემსაში დგას, ვერას გზით ვერ ვიხსენ ზაქარა ჯიღაურის ხელიდან. პირველი ადგილია ეგ ადგილი მთელს ტორტლაში. ხვალ მინდა ღობე გავუვლო ზედ კარწინ და აი ის კაკლის ხეც შიგ დავატოვინო.

ზარის სამგლოვიარო ზრიალმა ლაპარაკი შეუცვალა.

_ ეს რა ამბავია, მოურავო? _ შეეკითხა ესტატე.

_ სოსე ინაურს ასვენებენ.

_ ჰაა! ჩაკვდა? ეგრე მოუვა ყველა ურჩსა.

_ თქვენი რისხვა ყველას უწევს, ჩემო ბატონო! _ უპასუხა მოურავმა ვანო ქებაძემ.

_ ახლა ჯერი ჯორ-ზაქარაზე მიდგა.

_ მინამ ეგ სოფელშია, შენი კვნესამე, ბატონო, სოფელი არ დაწყნარდება, მუდამ ყალყზე იდგება. თქვენი რისხვა არა მაქვს, ი სოსეც მაგის გაბრიყვებული იყო, მაგან იმსხვერპლა.

_ ხვალიდანვე, ხვალიდანვე, ჩემო მოურავო... ოღონც შენ და ეს ჩემი ჩაჩნები ყოჩაღად იყავით, რომ ერთი მაგასაც ზურგზე ბოლი ავადინოთ. ვნახოთ, მაგათი ერთობა რას მიზამს.

_ რა ამბავია, ამოდენა ხალხი ვის მოსდევს? _ გაოცებით იკითხა ოფიცერმა გაბრიელ ევტევიჩმა.

_ სოფელი მარხავს სოსე ინაურსა; დიდი აურზაურია სოფელში, _ დაიწყო მოურავმა, _ მე მემუქრებიან: ცოცხლივ დავმარხავთ მოურავსაო; სოსეს მკვლელებს არ გავახარებთო. აი, მინამ არა ჭამონრა, მინამ მე მიზამდნენ რასმესა. თქვენ კარგადა მყვანდეთ, თორემ მალე მტერი მოგიკვდეთ, მალე მე ი ჯორ-ზაქარა მოვტეხო და თქვენ წინ ქედი მოვახრევინო.

_ მე კი ვიტყვი, საქმეს ნუ გაამწვავებთ. აი, მე ამ ხალხის ყრილობაზე ვამჩნევ, რომ რაღაც მზადდება. თუ მდაბიო ხალხი აზვირთდა, სტიქიონად იქცევა და ყოველივეს წალეკავს! _ ჩაერია ლაპარაკში ესტატეს შვილი არჩილი.

_ შენ სულ ი ოხერა წიგნები გალაპარაკებს, ჩვენ კი როგორც გვიწირავს, ისევ ისე ვწირავთ. გლეხი უნდა მუჭაში გვეჭიროს, შიგ უნდა მოახრჩო. თუ შვება მიეცი, თავზე დაგაჯდება... ეგ ჩვენ ვიცით... შენ გზიდამ ჩამომეცალე... წადი, იმსახურე ხელმწიფის სამსახურში, აქაურობა კი მე და მოურავს მოგვანებე.

_ სწორედ დემონსტრაციაა ეს, სწორედ! _ გაიძახოდა ყაზახის ოფიცერი. _ თქვენ ეი, მოდით აქ, _ უბრძანა ყაზახებსა. _ წადით სასაფლაოზე და თუ ვინიცობაა შეატყოთ რამე, მაშინვე მათრახი და თუ საჭირო გახდეს _ იარაღიც.

_ მაგ გაფრთხილებას კი არა უშავს რა, _ სთქვა არჩილმა.

_ არა, შვილო, _ ჩაერია ლაპარაკში კნეინა, _ დაე იტირონ და დამარხონ მიცვალებული ისე, როგორც იმათ უნდათ. თუ რამეს ჩაიდენენ, მერეც გავუსწორდებით.

XXIII

_ თავადი ესტატე დროთი სარგებლობს, სოფელს სულის ამოხუთვას ემუქრება. აი მეც გამიღობეს კარ-მიდამო, საუკუნოებით რომ სჭერიათ ჩემს მამა-პაპასა. სიკვდილს თურმე მიპირობს ვანო მოურავი, ჩვენივე სისხლი და ხორცი, ჩვენივე გლეხი, ღორად ქცეული, _ დაიწყო ჯორ-ზაქარამა.

_ დაყოვნება აღარ შეიძლება, ჩვენც უნდა ვაჩვენოთ ჩვენი ძალა და უნარი, _ ჩაერია ლაპარაკში მარინე.

_ რითი, ნათლიავ ჩემო, რითი? ძალაც იმათ ხელშია და სამართალიცა! _ მწუხარებით ჩაილაპარაკა ერთმა მხცოვანმა გლეხმა.

_ მაშ ავიყარნეთ აქედან, ავიყარნეთ! არ ავიყრებით და ნამუსს შეგვიგინებენ, ქალიშვილებს გაგვიუპატიურებენ; ცემით სულს ამოგვხდიან. აი გავიფიცნეთ ამ წამებული სოსეს საფლავის წინაშე, რომ ბატონს არაფერს არ მოუთმენთ, სიმართლის ხმას ღმერთამდის მაინც მივაწვდენთ, _ მტკიცედ დაიწყო მარინემ. _ როგორ თუ ძალა იმათ ხელშია? ჩვენცა გვაქვს იარაღი: დედის გული, ვიხმაროთ

ფრჩხილები, კბილები, ქვა და გუნდა, ბარი, თოხი, ხელი, ფეხი, _ წარმოსთქვა მტკიცედ მარინემ, კალთა ჩაიკრა სარტყელში და ქორივით შემოავლო თვალი ხალხსა.

ხალხი აზრიალდა: დედაკაცი იწვევდა საბრძოლოდ. ეს არ მომხდარა მის დღეში: დედაკაცი შვილს ზრდიდა, მამულს გმირს უმზადებდა. მამაკაცი კი, დედის რძესთან გმირობაში აღზრდილი, თავს იცავდა, იცავდა მამულ-დედულსა და დედასთან პირშავად არ გამოდიოდა. ახლა კი მამაკაცი დალაჩრდა, ქალის მანდილი დაიხურა და დედაკაცმა ვაჟკაცობა იწყო. ხალხმა, სოსეს საფლავის წინაშე თავჩაკიდებულმა, იგრძნო საყვედური მარინესი.

_ არა, მარინე! _ იგრიალა ხალხმა. _ ვფიცავთ წამებული მეზობლის საფლავსა, რომ არავის შევარჩენთ ჩვენს დაბრიყვებასა!

_ ამინი ვთქვათ, ხალხნო! _ გულდინჯად წარმოსთქვა ჯორ-ზაქარამ, ქუდი მოიხადა და საფლავთან დაიჩოქა.

_ ამინ, ამინ! _ შესძახა ხალხმა და ყველამ დაიჩოქა.

_ წმიდაო სამებაო, შენ იყავ მოწმად ამ გაფიცვისა, _ ხელგაპყრობით მიმართა სამების საყდარს მარინემ და დედათა სქესმა ყველამ სასოებით ხელი განაპყრო.

XXIV

_ თქვე დალოცვილო, ბუზი ხომ არა ვარ, კედელს მივაჯდე, მერცხალი ხომ არა ვარ, ბანიდან ჩავფრინდ-ამოვფრინდე!.. რად მხუთავ სულსა... მიწყივ-დაბადებიდან გუშინდლამდე ჩემს კარმიდამოს და ზედ მოდგმულს ნაფუძარს არავინ შეხებია... ცოცხლობდნენ, იყვნენ თქვენი პაპანი, მამანი, ჩემს კარ-მიდამოსა და ნაფუძარზე ხელი არავის წაუტანებია. თქვენ რაღათ ინებეთ წართმევა? _ დინჯად და დალაგებით დაუწყო ლაპარაკი ძირიდან აივანზე მდგომს თავადს ესტატეს ჯორ-ზაქარამა.

ზაქარა ჯიღაური ჩეკზე იყო დაბჯენილი, თავშიშველა და ისე ზრდილობიანად ელაპარაკებოდა.

თავადი ესტატე აივანზე იდგა, ხელში კრიალოსანს აპროწიალებდა. ბიჭი გძელი ჩიბუხით განზე იდგა და ელოდა, როდის ინებებდა ბატონი ჩიბუხსა. ზაქარას ლაპარაკზე თავად ესტატეს ხან ეღიმებოდა და ხან სახეზე ალმური აჩნდებოდა.

_ მე მამა-პაპას რას დავდევ, _ დაიწყო ესტატემ, _ მე ეს ვიცი მტკიცედ, რომ გლეხი ბატონისა იყო სულითაც და ხორცითაც, მას საკუთრება არა ჰქონდა; შენ კი მიგითვისებია სამი-ოთხი დღის ნაფუძარი და უშველებელი კარ-მიდამო.

_ ჩვენი გვარი საეკლესიო ყმა გახლდათ, _ დაიწყო ისევ აუჩქარებლივ ზაქარამა, _ ჩვენ ქათალიკოზის სიგელი გვაქვს, ჩვენი წინაპარი მღვდელი ყოფილა და ქათალიკოზს ეგ ადგილი უბოძებია: ის სიგელი მთავრობისაგან განხილულია; ალბათ თქვენმა წინაპრებმა იცოდნენ ქათალიკოზის სიგელი და არ ეხებოდნენ დღეს თქვენგან წართმეულს მამულსა; ნუ ინებებთ, ბატონო, უსამართლობასა; სამოსამართლოთ ნუ გამიხდით საქმესა, თქვენსა მზესა და თქვენის ცოლ-შვილის დღეგრძელობასა! _ უთხრა თავაზიანად ზაქარამა.

_ მამა გიცხონდა, ყურებზე ხახვი არ დამაჭრა!.. _ უთხრა მკვახედ ესტატემ, ბიჭს ჩიბუხი გამოართვა და ღელვით წრუპვნა დაუწყო ჩიბუხსა.

_ მამა რომ მიცხონდეს, ძალიან მესიამოვნება, ყურებზე ხახვის დაჭრისა კი რა მოგახსენო. თქვენი ბრძანება იმასა ჰგავს: არას მამცემ, ყბასაც მამტეხო... ნუ ინებებთ, ბატონო! როგორც სიამტკბილობით ერთმანეთში მამა-პაპას უცხოვრიათ,

ისევ ისე ვიცხოვროთ... იცოდეთ, ბატონო, მე მუქარას არ შევუშინდები, ყურებზე ხახვს თუ დამაჭრის ვინმე, იქნება მე უარესი ჩავიდინო... პირიდან ლუკმას არავის გამოვაცლევინებ.

_ ხა, ხა, ხა! _ გადიხარხარა თავადმა ესტატემ, _ დახე, დახე! ეს ღორის ტილი რაებს მიბედავს. შენ თუ გგონია, ყაზახ რუსები ამ სააღდგომოდ რომ წავიდნენ, მით მე ძალა გამომელია? ჩემი მოურავი?! ჩემი ჩაჩნები?! დაგისევ და, მამაჩემი არ წამიწყდება, ისე გავაგუდინებ შენ თავს, რომ გაძახო: ვაი, დედაჩემს დაველიეო! _ ისე მაღლა დაიძახა ეს სიტყვები ესტატემ, რომ კნეინას გული გაუფთხა და შვილი არჩილი აივანზე გამოვარდა პირის წმენდითა.

_ რა ამბავია, რა ამბავია? _ ჩაეკითხნენ ესტატეს ცოლ-შვილი.

_ ჰმ, რა ამბავი?!.. მამული ჩემიაო, ბრძანებს, რად გამიღობე და რად მართმევო.

_ უი, დამიდგა თვალები! _ მიიდო ორი თითი ტუჩებზე კნეინამ და წყრომით წარმოსთქვა: _ საკუთრება გლეხს ვინ მისცა, ქა! მამულიც ჩვენია და შენც ჩვენი ხარ.

_ არა, გლეხს საკუთრება როდისმე ჰქონიყო, შენს ლაპარაკს კიდევ ფასი ექნებოდა, _ დაიწყო არჩილ მარუშიძემ. _ მაგრამ რაკი გლეხს არასდროს საკუთრება არა ჰქონია, მამული ბატონისაა...

_ მე მოვახსენე ბატონსა, რომ მამული ეკლესიას უბოძებია ჩემი წინაპრისთვისა, ამისი სიგელი მაქვს.....თქვენ ყმაწვილი კაცი ბრძანდებით, ნუ ინებებთ ჩემს აწიოკებასა, სისხლს ნუ დამაქცევინებთ.

_ რაო, რაო? _ წამოყელყელავდა აივანზე არჩილი, ხელებით დაებჯინა და შუბლშეკვრით გადასძახა: _ იმუქრები კიდეც?!. ჩემს მამულს ისაკუთრებ და სისხლის დაქცევას მიქადნი?!. ნუ მეხუმრები!!. გასწი აქედან, გასწი!.. თორემ წითელ კვერცხივით შეგიღებავ მაგ გველაძუა თავ-პირსა.

_ ჩიტსაც ვერ ამიფრენ, ჩიტსა! _ უთხრა ზაქარამ დინჯად, დაუჩქარებლივ. _ მართალია შენს ხელში ძალადობაა, მაგრამ ჩემს ხელში სიმართლეა; სიმართლისათვის უკან არ დამიწევია, ეს ჭაღარაშერეული ზაქარა უკან არც ეხლა დაიწევს.

_ მოურავო, ჩაჩნები!!. პანღურის ცემით გააგდეთ აქედან, ნუ აპილწვინებთ ჩემს მიდამოს მაგის წანკლიანს ენასა.

ზაქარამ ქუდი დაიხურა, შეიშმუშნა მხოლოდ და ადგილიდან არ დაიძრა. ჩაცვივდნენ მოურავი და ერთი ჩაჩანი. როგორც კი გაშალეს ხელი და მათრახი უნდა ეშხუილნათ ზაქარასთვის, მან ანაზდეულად დაჰკრა მძლავრად ჩეკი მკლავში ჯერ ერთსა და მერე მეორესა. ორთავეს მაჯები დაუდუნა და ნელის ნაბიჯით წავიდა. დაადევნეს სხვა ბიჭები. ზაქარამ ჩოხის ქვეშ მიმალული ხანჯალი იძრო, აალაპლაპა მზეზე და მაღალის ხმით შესძახა:

_ თქვენ ღმერთს აპატივეთ, ამ წითელ პარასკევს სისხლში ხელს ნუ გამასვრევინებთ!

ბიჭები შედრკნენ. იცნობდნენ ზაქარას, მის გულადობას, შეუპოვრობას, იცოდნენ, რომ თითონაც მოკვდებოდა და დამცემთაც იმსხვერპლებდა.

_ მაცალე, მაცალე და როცა შენ სხვის სისხლში ხელი გაგასვრევინო, მე არჩილს ნუღარ დამიძახებ... ჩემში მარუშიძის ძველი სისხლი ტრიალებს.

_ მობძანდით და დაგიხვდებით! _ მიაძახა ჯორ-ზაქარამა.

XXV

დიდ შაბათს თავად ესტატეს მიუვიდა ამბავი, რომ ჯორ-ზაქარამ შემოაგლიჯა თავის კარ-მიდამოს და ნაფუძარს მისი ბრძანებით შემოვლილი ღობე, რომ სოფელი მთლად ღელავს და ვინ იცის, რა ბოლო ექნება ბატონისა და გლეხების უსიამოვნებასაო.

თავადის შვილი არჩილ მარუშიძე დიდი მომხრე იყო საკუთრებისა. ერთს გოჯს მიწას არ დაუთმობდა არავის, თუ დარწმუნებული იყო, რომ იგი მის საკუთრებას შეადგენდა. დარწმუნებული იყო, რომ ჯორ-ზაქარას კარ-მიდამო, დიდი კაკლის ხე მისი სახლის წინ და ზედმოდებული ნაფუძარი თავად ესტატესი იყო, რადგან გლეხი ბატონის საკუთრება იყო, როგორც უბრალო რამ ნივთი. მთავრობამ იგი გაათავისუფლა და საზრდოდ მიუგდო თითო-ოროლა დღიური მიწა, ისიც თავის დროზე გამოსასყიდი. მარუშიძენი სრულიადაც არ უწევდნენ ანგარიშს იმ გარემოებას, რომ ჯორ-ზაქარა ჯიღაურის ოჯახს ის მამული ჰქონია მიკუთვნილი ძველად საეკლესიო უწყებისაგან.

ახალგაზრდა არჩილი აღიჭურვა საკუთრების უფლების დასაცავად და გადასწყვიტა, თუნდ სიცოცხლედაც დასჯდომიყო, წაერთმია უკანვე მამული და ისევ შემოერაგვა. წაიყვანა ჩაჩნები, მოურავი, თვით შეიარაღდა რევოლვერით და ეწვია განრისხებული ზაქარას ოჯახსა.

ამ დღეს მთელი სოფელი შინ იყო თითქმის, ემზადებოდა ბრწყინვალე აღდგომის დახვედრასა; ყველა ოჯახის წინ გამოფენილი იყო სარეცხი, ყველა დიასახლისი ჰგვიდა და ასუფთავებდა კარ-მიდამოს, რეცხავდა ჯამ-ჭურჭელსა, ხეხდა ქვაბებსა. სოფლის გოგო-ბიჭები გულის ფანცქალით მოელოდნენ დაღამებასა, რომ აღდგომა დილას, ლიტონიის დროს, ახალი რამ ჩაეცვათ: ვის ახალი წუღა-ჩუსტი, ვის კაბა, ვის ახალუხი. ყველას სიხარულის კანკალი მოსდიოდა.

ჯორ-ზაქარა ქალაქად წასულიყო საჭირო საქმისთვის. სახლში იყვნენ მისი ცოლი, შვილები და ძმები.

მოულოდნელი იყო ზაქარას ოჯახისათვის არჩილის თავდაცემა, მაგრამ მარინე არ შედრკა; მაზლები და შვილები ვენახში რაღაცას საქმიანობდნენ.

არჩილმა მისვლისვე უმალ, პირველმა უჩვენა მაგალითი მხლებლებს: აიღო მარგილი და თავის ადგილას დაარჭო. მხლებლებიც შეუდგნენ ღობის აღდგენას, ხოლო ორი ჩაჩანი თოფებზე დაყუდებულნი დარაჯობას ეწეოდნენ.

მარინე სახლის წინ იდგა და გამშრალს სარეცხს აგროვებდა.

_ ბატონო, რად ღებულობთ მძლავრობას, _ დინჯად უთხრა მარინემ არჩილს მარუშიძეს, _ უფროსი შინ არ არის, საცაა გაჩნდება ქალაქიდან. მოითმინეთ, იქნება სიამტკბილობით გავათავოთ საქმე.

_ რა დედაკაცის საქმეა ჩარევა... თითქო არ იცოდეს თავის ქმრის სიჯიუტე... მე მსურს აღვადგინო ჩემი საკუთრება. არავის ვალაპარაკებ.

_ ძალიან კარგად ვილაპარაკებ, _ და დოინჯშემოყრილმა მარინემ წინ წამოიწია. _ ნუ შვრები, მოურავო, თორემ სისხლი დაიქცევა! _ შეჰკივლა ახლა კი გულზე მოსულმა მარინემ.

_ იქით, დედაკაცო! რა შენი საქმეა.

დაიძრა უცბად სოფელში ხმა, ზაქარას ოჯახს დაეცა თავს ბატონის შვილი არჩილი და აკლებას ლამობსო; მოზღვავდა მთელი სოფელი. გამოცვივდნენ

ვენახიდან ზაქარას ძმები და ვაჟიშვილები, გადაეღობნენ წინ. შეიქნა ჩოჩქოლი. მიწევ-მოწევა, ღორღალი.

_ მიწა ჩვენია!! _ იგრიალა ხალხმა. _ ჩვენ ვამუშავებთ, ჩვენ ვაწვიმებთ ოფლსა, ოფლით ვანაყოფიერებთ და ოფლითვე ვკრებავთ მოსავალსა.

შედრკნენ არჩილი და მისი მხლებლები, მაგრამ შედრკომა თავადმა იუკადრისა, შეჰყვირა მხლებლებს:

_ მოიმარჯვეთ იარაღი! მე ვაჩვენებ ამ ღორებს სეირსა; რაც ჩემია, ჩემი უნდა იყოს, რაც მაგათი, მაგათი იყოს, მე არავის საკუთრებას არ ვეპოტინები. _ არჩილმა იძრო რევოლვერი და ჰაერში შეათამაშა: _ აი, ამითი გულს გაუხვრეტ, ვინც ჩემს საკუთრებას ხელს შეახებს!

ამ დროს მარინე და მისი შვილი ეცნენ თავადს არჩილს რევოლვერის წასართმევად.

_ აბა, ბიჭებო, თოფი!..

დაიგრიალა წყვილმა თოფმა და მარინე და მისი უფროსი შვილი უსულოდ დაეცნენ მიწაზე.

გლეხის «შავი» სისხლი რუდ წადგა ხალხის თვალწინ, წითელი ზოლი გაავლო მიწას, ჩაეხვია მას გულში და შეუერთდა იმ ოფლს, რომელიც ნაწვიმი იყო იმავე მიწაზე.

XXVI

ხალხში რწმუნებაა: აღდგომის გარიჟრაჟზე ცაზე, მზის ამოსვლის ალაგას, ნორჩი ბატკანი გაჩნდება, ხტის, თამაშობს, მზის ამოსვლას შეჰხარისო. ეს ბატკანი, ბატკანი უმანკო, ქრისტეს აღდგომას გვახარებსო.

ბევრჯერ ჩემის ყურით გამიგონია სოფლის გოგო-ბიჭებისაგან:

_ აიგერ, აიგერ! მზის გარშემო, ღრუბელში ბატკანი როგორ ხტის და ეთამაშება მზის სხივებსაო.

ისე მძლავრია ხალხში ასეთი რწმენა, რომ ეს რწმენა მართლაც მოაჩვენებს ხოლმე იმ საგანს, რომლის დანახვა იმათ სწამთ.

მაგრამ იმ აღდგომა დილით, როცა ზაქარას სახლში ორი მსხვერპლი აჯამობისა და გულქვაობისა ესვენა, გარიჟრაჟისთვის არავის სცალოდა შეეხედნა აღდგომის ბატკნის დასანახავად. მთელი სოფელი აღდგომა დღეს მგლოვიარედ შეხვდა, შურისძიებით იყო შემსჭვალული.

აღდგომის ზარი დაირეკა!..

მღვდელი სალიტანიოდ ემზადებოდა ღვთისმშობლის ეკლესიაში, რომელიც თავად ესტატე მარუშიძის მეზობლად იდგა. მთელი სახლობა თავად ესტატესი ხელში ჯვარგაპყრობილ მღვდელს მოსდევდა.

_ ქრისტე აღსდგა, ქრისტე აღსდგა! _ შესძახა მღვდელმა.

ამ დროს ჯორ-ზაქარას და მისი უმცროსი შვილის თოფებმა იჭექეს.

თავადი ესტატე და მისი ძე არჩილი მიწას გაერთხნენ. დაიქცა «ალისფერი» სისხლი თავადებისა.

_ სტყუი, მამაო, ჯერ ხალხისათვის ქრისტე არ აღმდგარა, მაგრამ მწამს, იგი ოდესმე აღსდგება და მოგვანიჭებს ჩვენ სასუფეველსა.

მჭექარედ წარმოსთქვა ჯორ-ზაქარამ, წასდგა ხალხის წინ და დაეყრდნო თავის ერთგულს სიათასა.

ხალხი სდუმდა, მაგრამ გული კი მისი ქოთქოთებდა.

ცაზე აღდგომის ბატკანმა თამაში დაიწყო და მზის შუქებში ჩაყურჭუმავებული გაცისარტყელდა.

«და შეჰფიცეს»

I

ერთ ზაფხულის დილით უჩვეულებრივო მოძრაობა იყო სოფელ ნაკედლარში. ბუნებაც უჩვეულებრივოდ იცქირებოდა: მზეს თითქო სხივი კვლავინდებურზე მეტად გაბრწყინვებიყო, ფრინველნი მთლად ჭიკჭიკ-გალობად გადაქცეულიყვნენ, თითქოს იმ დღეს იმათ სხვა საზრუნი არა ჰქონდათ რა. ხალხით სავსე იყო დიდი, გადაფენილი ეზო, დაჩრდილული მუხის ხეებითა. ეზოს შუა ალაგას ბუნებით ამაღლებული იყო ერთი ადგილი, თითქოს განგებ კათედრა გაუკეთებიათო. შეკრებილ ხალხს ზიმზიმი და ზრიალი გაჰქონდა, ასდევ-ჩასდევდა ერთ ახალგაზრდა კაცსა, თვალით ზომავდა იმას და რაღაცას გამოელოდა მისგან. ზაფხულის დილას არც ის ახალგაზრდა კაცი ჩამოუვარდებოდა სიტურფითა: ის იყო მაღალი, წერწეტი, ბეჭებში გადგმულ-განიერი, სახე ახლად ჰქონდა შემოსილი გაზაფხულის მდელოსავით. ახალგაზრდას მოუსვენრობა ეტყობოდა, სახე აბუსუსებოდა, მიდი-მოდიოდა. გვერდიდან არა შორდებოდა ძაღლი, რომელიც მას პირში შესცაცქანებდა. ახალგაზრდაც წყნარად ხელს უსვამდა თავის მეგობარს თავზე, მეგობარიც ალერსს იფერებდა.

ეს ახალგაზრდა იყო მუშა ილიკო; ნაკედლარელი გლეხი, ლუკა მშველიძის პირმშო შვილი.

ილიკო უცებ შესდგა ბუნებისაგან განმზადებულს მაღლობზე, ირემივით მოიყარყარა კისერი და გლეხებით გაზიმზიმებულ ეზოს თვალი მიავლ-მოავლო.

_ სუ-უ! სუ უ-უ! ხალხნო!.. _ გაისმა ერთხმივი ზრიალი ხალხში და ყველამ, როგორც ერთმა კაცმა, გაკმინდა სული.

_ დღეს მე იესოს სიტყვებით დავიწყებ ბაასსა. მაშ სმენა იყოს და გაგონება: «ნეტარ ხართ თქვენ, რომელთა გშიათ აწ, რამეთუ განსძღეთ, ნეტარ ხართ, რომელნი სტირით აწ, რამეთუ იცინოდეთ»... ამხანაგებო, ვიცი, ბევრჯერ გსმენიათ საყდარში ეს სიტყვები იესოსი, მაგრამ თქვენს გულს არ მოხვედრია, არ უნუგეშებია დღემდე თქვენი დაწყლულებული გული და შეწუხებული სული. დღეს გვშიან ჩვენ, ვტირით და ვვაებთ იმიტომა, რომ ყოველივე წართმეული გვაქვს, ჩვენ ვმუშაობთ, ოფლს და სისხლს მიწას ვაწვიმებთ, სხვა კი ჩვენს ნამუშევარს იმკის, სხვას მიაქვს; აბა, მიიხედ-მოიხედეთ, რას არ ვამზადებთ, ყველაფერი ჩვენგან არის გამზადებული, სხვა კი ძღება, სუქდება. მადლობისა და შეწყალების მაგივრად, გვლანძღავენ, გვაგინებენ, ცხვირში ძმარს გვადენენ. ყოველივე ეს ჩვენი ქალაჩუნობის ბრალია. გამოცდილებით ვიცით, რომ ყველა პირუტყვი, ყველა მწერი, სულ პაწაწინა ჭიანჭველაც კი მხედრდება იმის წინააღმდეგ, ვინც იმას ხელს შეუშლის. ყველა რამეს მოიმარჯვებს პიროვნების დასაცველად. აი ძაღლი, ბროლია, რომელიც ფეხთან მიწევს; იგი ჩემი ერთგულია, ჩემი მონაა დღეს, მაგრამ ისიც კი შემომიღრენს, კბილებს დამიღრჭენს, როცა უსამართლოდ ვეკიდები ხოლმე... ჩვენ კი, როცა გვაწამებენ, როცა პირში

გვაგინებენ, როცა ცხვირში ძმარს გვადენენ, ფეხქვეშ ვუცვივით ჩვენს მტარვალებს, ხელფეხს ვულოკავთ, რა არის, არ ჩამოგვართოს მიწა, ის მიწა, რომელიც ჩვენია, ხალხისაა და არა რომელიმე კაცისა. მივბაძოთ პირუტყვებს. ხელი შევუბრუნოთ მტარვალებს, გვეყო შიმშილი, ახლა განვსძღეთ სულითაც და გულითაც: გვეყო ტირილი, ახლა ვიშვათ, ვიხაროთ სულითა და ხორცითა. შიმშილს გაძღომა მოსდევს, ტირილს მხიარულობა, ორთავეს _ შიმშილსა და ტირილსაც ჩვენვე უნდა ვუწამლოთ. იმ დღეს გიამბეთ, სხვა ხალხებსაც ჩვენსავით შიებიათ, ჩვენსავით უტირნიათ, მაგრამ თავისი წყლულისათვის თვითვე უექიმნიათ, ჭირი მოუშორებიათ და შვებას მისცემიან. ერთობის ძალა ძლიერია, მაშ შევერთდეთ და მოვიპოვოთ შვება სულისა...

_ გაუმარჯოს ერთობას!.. დედაც შერთვია ცოლადა, ვინც უღალატოს ერთობას! _ დაიზრილა ხალხმა და გაქანდ-გამოქანდა.

_ აი, ერთი მაგალითიც. აი, რას გვასწავლის ზღაპარი ერთობის შესახებ: იყო ერთი მეფე, ცხრა ვაჟიშვილი ჰყავდა, სიკვდილის ჟამს დაუძახა შვილებსა. ერთობით და თანხმობით იყავითო, ეს არის ჩემი ანდერძიო. მოატანინა ორი კონა მშვილდ-ისრისა. ცხრა მშვილდ-ისარი ცალ-ცალკე დაამტვრია, მერე მოსწია ერთ კონად შეკრული ცხრა მშვილდ-ისარი, მაგრამ ვერ გასტეხა, საძრაობაც ვერ უყო. თუ დაიქსაქსებით და ერთობა არ გექნებათ, მტერი ასე ადვილად დაგძლევთ და დაგამსხვრევთ, როგორც მე, ავადმყოფმა და მოხუცმა, ადვილად დავამტვრიე ცალ-ცალკე მშვილდ-ისრებიო; უკეთუ ერთად იქნებით, ერთობით გაიმსჭვალებით, მტერი ვერას დაგაკლებთ, ვერ გაგტეხთ, როგორც მე ერთად შეკრულს ცხრა მშვილდ-ისარს ვერა დავაკლე რა, _ უთხრა მამამ შვილებსა. _ ჩვენც ასრე უნდა მოვიქცეთ: ჩვენ უნდა ყველანი, მთლად ყველა სოფელი გადავაბათ ერთობის ჯაჭვითა, მაშინ ვერაფერი ვერ დაგვძლევს. მართალია, არ დაგიმალავთ, ეს ერთობა ბევრს ჩვენგანს შეიწირავს, ბევრისაგან ბევრი უმანკო სისხლი დაიღვრება, მაგრამ გამარჯვება ჩვენია, ბრძოლის ველიდგან ბოლოს და ბოლოს ბევრისაგან ბევრს გავიტანთ. ამხანაგებო! ღმერთს არ გაუჩენია არც ბატონი, არც ყმა, არც მონა, არც მდიდარი და არც ღარიბი. ყველა ეს ჩვენი გაჩენილია, ყველა ეს ჩვენი უგუნურობის ნაშობია... მიწა, აი ეს დედამიწა, ჩვენი სისხლითა და ოფლით მორწყული, არავის საკუთრებად არ გაჩენილა, ამას ერთი ვინმე ბატონ-პატრონი არ ჰყოლია; იგი ჩვენისავე უგუნურობით რამდენისამე ხელში ჩავარდნილა. მიწა იმისია, ვინც იმას ამუშავებს, ვისაც იმაში ოფლი და სისხლი უწვიმებია და ასე უნაყოფიერებია იგი... მაშ მიწა ხალხისაა, საერთოა!.. მაგრამ რას ვაქნევთ, ამხანაგებო, ცარიელ-ტარიელ მიწას, თუ თავით კაჩხაზე ყაზახის მათრახი გვეკიდება, თუ ბატონის ჩიბუხი კვლავ კბილებს ჩაგვამტვრევს, თუ კვლავ ჩვენი სული და გული მარწუხებში იქნება გათანგული!.. მაშ მიწასთან თავისუფლებაც უნდა, რომ ხალხმა ფრთა გაშალოს... მაშ, ამხანაგებო, მიწა და თავისუფლება!..

_ ოი, დიდხანს ალაპარაკოს ეგრე ტკბილათ შენი ენა-პირი ჩვენმა ღვთის მშობელმა! _ აღაპყრეს ხელი მანდილოსნებმა და ღაღადით წარმოსთქვეს.

_ გაუმარჯოს მიწას და თავისუფლებას! _ დასძახეს ერთხმად და ხალხის ხმას მთა-ბარმა ბანი მისცა.

_ მოვიპოვებთ მიწას და თავისუფლებას, _ განაგრძო კვლავ ილიკომ, _ მოვიპოვებთ შვებას, სიცოცხლეს, სიხარულსა, მოვრჩებით ტირილსა და ვაი-უშველებელსა... მაშ «ნეტარ ხართ თქვენ, რომელთა გშიან, რამეთუ განსძღეთ;

ნეტარ ხართ, რომელნი სტირით, რამეთუ იცინოდეთ!.. « _ ხალხი აზრიალდა და დაუსრულებელი «ვაშა» გაისმა.

_ მაცხოვარს ეგრე არ უქადაგნია, _ დაიბღვრიალა ჩასუქებულმა სოფლისჭამია ისაკამ, რომელსაც ულვაშის ღერი სითამამ-სიმსუქნით ყირას შესდგომოდა...

_ იქადაგა კიდეც და ამისათვის შენისთანა წუნკალებისაგან ჯვარსაც ეცვა... ჩვენც ჯვარს ვეცმით და სისხლით მოვიპოვებთ შვებასა! _ შესძახა ხალხმა.

_ ის დალოცვილი ქრისტე ერთი კიდევ გამოჩნდეს ქვეყნად და აჩვენოს თავის ძალა, _ გულამოსკვნით სთქვა ბებერმა გლეხმა და ჩოხის კალთით ულვაშები გადაიწმინდა.

_ ეჰ, ნათლი! ჯვარზე გაკვრა არ ეყო ი ქრისტესა, რო ეხლა ყაზახის მათრახით არ აჭრელონ!.. შენ გგონია, ღმერთს კი არა სცემენ ეგ მხეცები?!. ურჯულო კაცისათვის არც ღმერთია, არც სამართალი: ბავშვები რა დასახოცია, რო ჟლეტენ. უწინ თურმე უსჯულოები ჩვენს ბავშვებს ძნად შლიდნენ კალოში და ზედ კევრს ატარებდნენ. ეხლა კი ცხენის ქვეშ ლეწავენ.

_ მართალი ხარ, შვილო, მართალი!.. ქრისტე რომ მოვიდეს, ის წყეული ყაზახები სწორედ კაი დღეს არ დააყრიან!.. შეგცოდე, მაცხოვარო, შეგცოდე, რომ ასე უღირსად გახსენე, _ თავის ქანაობით ჩაილაპარაკა ბებერმა გლეხმა.

_ ამხანაგებო! ჩასუქებულ ისაკას და მისთანებს მე იესოს სიტყვებით გამოველაპარაკები: «ვაი თქვენდა, გამძღარნო აწ, რამეთუ გშიოდეს; ვაი თქვენდა, რომელნი იცინით აწ, რამეთუ იგლოვდეთ და სტიროდეს». აი თქვენზეა ეს ნათქვამი, მდიდარნო და ფუფუნებაში აღზრდილნო, თქვენ ნებით არ დაემოჩილებით ერთობის ძალას, ამიერიდგან დადგა დრო თქვენის შიმშილისა, თქვენის გლოვისა და ტირილისა; იგემეთ, როგორია შიმშილი, როგორია შრომა, როგორია სისხლის ცრემლით ტირილი.

ილიკო ასე სოფელ-სოფელ დადიოდა თავის ბროლიათი, მოედო სოფლებს ახალი მოძღვრება, მიძინებულმა დევმა გაიღვიძა, შეკრულ-შებოჭილმა ამირანმა ხელები აითათა და აი, თავისს ახს ითხოვს...

მაგრამ ილიკოს თან იუდაც სდევდა...

II

მზე და მთვარე კვლავინდებურად ყველას ერთნაირად, განურჩევლად ჰფენდნენ სხივებს... «ვარდთა და ნეხვთა მზე სწორედ მოეფინების», ნათქვამია... მიწიერ მტარვალთ ხელი ვერ მიუწვდებათ, თორემ მზესაც და ყველა ციურ მნათობთა ამ დიდებულ თვისებას წაართმევდენ...

დიახ, მზე სწორედ ეფინა მთელს ნაკედლარს; ლუკა მშველიძის სახლიც ბრწყინავდა მზის სხივებით გარშემორტყმული. იმ დღეს ყველა ჩვეულებრივად მიესალმა დილასა, ილიკოს ბროლია წელში გაიჭიმ-გაიზმორა, მეგობართან მოიჭრა, ხელები დაულოკა და თავით ბუჩაობა დაუწყო. ის-ის იყო ილიკო წასასვლელად ემზადებოდა, ბროლიამ ალღო აიღო, იამა, წკმუტუნს მოჰყვა და კუდის ქიცინს უმატა.

მაგრამ იუდა ჟამს ეძიებდა...

ბროლიამ ილიკოსთან ალერსს ანება თავი, ანაზდეულად შეტრიალდა, სხვა რამ ალღო აიღო, ისარივით გავარდა ეზოდან და ვიღასაც სამტროდ მიუყეფა...

უცებ იგრიალა თოფებმა და ილიკო, ოთხი ტყვიით განგმირული, უსულოდ დაეშვა იმ ადგილას, საიდამაც ხალხს ერთობის სიტყვებს უხსნიდა...

მზემ ამ დროს უღალატა თავის თვისებასა, თითქო შებნელდა სხვა მხრისაკენ და აქ კი შარავანდედად დაადგა ილიკოს თვისი სხივები და მერე ცისარტყელად შემოერტყა იმის უსულო გვამსა...

ილიკოს კი სიმწრის ცრემლი ეღვენთებოდა ღია თვალებიდან...

არ გასულა ხუთი წუთი თოფის გავარდნის შემდეგ და ძლიერი ცეცხლი მოედვა ლუკა მშველიძის სახლ-კარს, ცეცხლმა ჩანთქა მთელი არემარე, გადარჩა ღობე, რომლის მარგილებზე ორი ქილა იყო პირქვე ჩამომხობილი, სტრაჟნიკებმა ილიკოს თავი გვამს მოაშორეს, ქილებთან ისიც ჩამოაცვეს მარგილებზე.

მტარვალები ხარხარებდნენ და ილიკოს თავს და ქილებს ნიშანში ესროდნენ.

ბოქაული მაღალდაძე ტაშს უკრავდა და ვაშას დასძახოდა!..

III

იმ ღობესთან, რომლის ერთ მარგილზე ჩამოცმული იყო ილიკოს თავი, ყოველ ცისმარა დღე ატუზული იყო რუსულ ფარაჯაში გამოხვეული კაცი; იგი ქანდაკებას ჰგავდა; ხელში დიდი და მსხვილი ჯოხი ეჭირა, ხელები და ნიკაპი დაყრდნობილი ჰქონდა ამ ჯოხზე; არავისი არ ესმოდა რა, გაყრუმუნჯებული და გასალკლდევებული იყო; ბევრი დგომისაგან ხანდისხან მუხლები აუცახცახდებოდა და ჩაიკეცებოდა, მაგრამ რის ვაი-ვაგლახით და ფორთხვით კვლავ ადგებოდა, გვერდით მიეყუდებოდა ღობეს და კვლავ ეყრდნობოდა ჯოხსა. თავზე ნაცარი ეყარა, თუ ქარი გადმოუბერტყავდა, კვლავ ახალს დაიყრიდა. ენა აღარ ემორჩილებოდა, ვისიმეს გამოლაპარაკებაზე მხოლოდ ღიმილით გასცემდა-ხოლმე პასუხს.

იქვე ახლო იწვა ეზოს ძაღლი, ფერდი-ფერდს მიჰკროდა, იწვა მკვდარსავით, დაღონებული, დაძმარებული, თვალები დაჰსწირპლოდა და ცრემლი სდიოდა, ცრემლებს თვალებიდან ცხვირის ნესტოებამდე კანი დაეღარათ და ნაკადულ ნადენ ადგილს ჰგავდა. ძაღლს წინა ფეხებში ჩაედო ცხვირ-პირი და მალ-მალ გმინავდა, ხანდისხან ცხვირს მაღლა აიღებდა, სუნავდა ჰაერს და საზარლად ყმუოდა.

ეს გასალკლდევებული კაცი იყო ლუკა მშველიძე. როცა პირმშო შვილი მოუკლეს, სახლ-კარი გადაუწვეს და ცოლი ნენეც შიგ გამოუხრაკეს, ლუკა შინ არ იყო; დაბრუნებისას, რა ნახა თავისი უბედურება, ენა ჩაუვარდა და მუდამ იმ მარგილთან იდგა, რომელზედაც ნიშანში ილიკოს თავი იყო ჩამოცმული და მტარვალები ნიშანში ესროდნენ თოფსა. ილიკოც აქვე ასაფლავია, ლუკა მუდამ დღე ჩაჰბღუოდა შვილის მიწა-აკვანს და სისხლის ცრემლს აღვენთებდა შვილის საფლავს. ბროლია ძაღლიც არ ჩამორჩა ლუკას მწუხარებაში: ისიც მწარედ გლოვობდა თავის მეგობარს ილიკოსა, ისიც დამუნჯდა, აღარ ჰყეფდა, აღარც წკავწკავებდა, მხოლოდღა ღმუოდა.

ერთს დღეს სოფელმა უცნაური სანახაობა იხილა: თავდადებულ ილიკოს საფლავზე დიდი ხის ჯვარი იყო ამართული, ლუკას ენა ამოსდგმოდა, გადმოყუდებულიყო ჯვარზე და გატაცებული ლაპარაკობდა.

ბროლიაც გამოფხიზლებულიყო, ჩაცუცქებული, ცხვირ მაღლა აღებული თვალებში შესცაცქანებდა ლუკასა, გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს იმის ცხარე ლაპარაკსა, თითქოს სურს ლუკას სიტყვები არ გამომეპაროსო; ბროლიაც კი გრძნობდა, ლუკას სულში და გულში რა ცეცხლი ტრიალებდა.

მოზღვავდა სოფელი; ხალხს ზიმზიმი გაუდის. ლუკა სდგას შვილის საფლავზე, ჯვარზე გადმოყუდებული და გატაცებული იწვევს ხალხს საბრძოლველად მიწისა და თავისუფლებისათვის.

ბროლიაც ღმუილით კვერს უკრავს.

_ უსამართლობამ პირუტყვიც კი აალაპარაკა..... ისიც კი ღმუის, მაგისი მწარე ღმუილი უფრო საგულისხმიეროა ლუკას ლაპარაკზე, _ გაისმა ერთგნივ.

_ დედაც შერთვია ცოლათა, ვინც ერთობას უღალატოს. _ გაისმა მძლავრი ხმა მეორეგნივ. _ თუ ენას მოგვჭრიან, ამოგვაძრობენ, ძაღლივით ვიღმუვლოთ, ძაღლივით, და თავს კი ნუ დავანებებთ ბრძოლასა.

_ ხალხნო, დავიჩოქოთ წამებული ამხანაგის საფლავის წინ; მისი წამებული და ნაგვემი თავი, მისი სისხლით შეღებილი საფლავი გვავალებს არ შევდგეთ და განვაგრძოთ ბრძოლა. მაშ, შევფიცოთ ილიკოს გასისხლიანებულ საფლავსა, რომ იმის აზრებს არ ვუღალატებთ და ერთობით ვიქნებით... _ წარმოსთქვა ერთმა ახალგაზრდა გლეხმა ილიკოს საფლავზე.

და შეჰფიცეს...

<u>დიდ ზალაში</u>
<u>(პროვინციალური სურათები)</u>

მეჯლიშია. დიდი კაცის ზალა გაჩაღებულია; ქუჩიდამ ფანჯრებს ხალხი მისდგომია და შესტრიალებს; ზალაში ჩრდილები ირევიან; ხალხი ამათ აყოლებს თვალს.

ისმის მუზიკის გრიალი _ ვალსს პროწიალობენ. ფაიტონი ფაიტონზე, კარეტა კარეტაზე მოადგა ზალის დერეფანს. ქალები, ძვირფასს ფარჩებში ჩამსხდარნი, მარდად ფრინდებიან კარეტებიდამ და დაბუზარავებულნი მითამაშებენ კიბეზე, მითამაშებენ გულის ცმუკვით, რომ მალე ჩაერივნენ «პროწიალობაში».

აგერ გაისმა ჩვენი ტკბილი დუდუკის ხმაც. ქუჩიდამ მაყურებელს ხალხში ხმაურობა და არევ-დარევა ჩავარდა. დუდუკმა ესენიც გამოაფხიზლა; ყველა სმენად და ყურებად გარდაიქცა: ზოგი ქვაზე დგება, ზოგი თითის წვერებზე, რომ დაინახონ ლეკურის თამაში; ქონდრის კაცები კი კმაყოფილდებოდენ მხოლოდ ჭერზე ჩრდილების ციმციმის დანახვით.

ამსებით აიმსო დიდი კაცის დიდი ზალა მშვენიერის სქესით. არც ლოველასები აკლდნენ: მოცლილი ხალხია, ვინ არ წავა; მერე ისიც, დიდი კაცის მეჯლიშში, სადაც მთელი ქალაქის ლამაზი, პაწაწა ფეფებ-თათებიანი იქნებიან თავ-მოყრილნი, სადაც ქალების მდევარი არა ერთხელ აითრთოლებს და აიჟრჟოლებს გულს ფურცელივით, რომელშიაც ნეტარების ნაპერწკალი ისარივით გაუსლიკინებთ ხოლმე; სადაც დიდ-კაცს პატარა კაცუნები ხელს ჩამოართმევენ და იმის ღაბუა ქალს გამოელაპარაკებიან და მით გულს დაიტკბობენ.

ქალები ბლომად არიან; ჩამწკრივებულან რიგზე; ზოგ კავალერს სამი-ოთხი შემოხვევია გარს; გაჯიბრებულები ელაპარაკებიან: რუსულად, ფრანციულად, ხან, _ ვინც კოჭლად არის რუსულ-ფრანციულზე, საცოდავ ქართულსაც ჩაურევენ ხოლმე, მაგრამ ჩაურევენ მორცხვობით, ენის მოკიდებით, თაკილით. რომელი რომელს დაასწრობს სიტყვას, რომელი უფრო მახვილად ეტყვის, რომელი უფრო

მოაწონებს თავს, აღარ იციან. ზოგი იგრიხება, ზოგი კისერ გადაგდებით ხარხარებს და სატაცურივით იმტვრევა, რასაკვირველია, განგებ; ზოგი _ ვითომ და რა! _ სერიოზნობს; «პარდონ» და «მერსი» ხომ წელში გადასწყვიტეს და ცხვირები დაიხეთქეს. კავალერიც თავგამოდებულია, ყველას პასუხს აძლევს, ყველას უცინის, ყველას ლაპარაკში თავს ევლება; არც ერთი კი არ უყვარს, ყველას ატყუებს. გაცვეთილია, იცის ქალის გული; იცის, იმიტომ ევლებიან ფარვანასავით, რომ თავი გაისაღონ, გათხოვდენ და შემდეგ სხვა ქმარი გაიჩინონ.

ზალის აღმოსავლეთის კუთხეში ზის თეთრებში ჩაცმული ქალი, ისე გამოწუთხული, ისე გამოკრული კაბა-კარსეტში, რომ დრეკის სავატობა აღარა აქვს; ზის გაჭიმული, მარჯვენა იდაყვი აქვს დაბჯენილი სკამის მოაჯირზე, მარცხენაში მარაო უპყრია და კალთაში ნაზად იფართხუნებს.

იგი თეთროსანი დაფიქრებულია. თითქოს ზალაში არავის ხედავს; იმისთვის აქ ბნელა; იმის თვალში არაფერს მნიშვნელობა არა აქვს; არავინ არად ეპიტნავება. სიყვარულისაგან ხომ არ არის დაჩაგრული? გული ხომ არავინ ატკინა? ან იქნება კავალრებმა ყური არ ათხოვეს? აბა ერთი ახლო მივიდეთ ამ ანგელოზთან, ავხადოთ იმის გულს დარდების ფარდა და ჩავიხედოთ.

ნჰ! ღმერთო ჩემო!! ჩემი ნაცნობი ლიზიჩკა არ გამოდგა!

ლიზიჩკა საშინელი წერწეტი ტანისაა; იმისი წელი სწორედ მუჭაში გაძვრება; რომ დადის, სული მიგდით, გული გიღონდებათ: აი აგერ, აი აგერ წელში სატაცურივით გადიმტვრევაო. ამის ტანი ერთს ქალად ჰღირს, მაგრამ, რა გინდა ჰქნა ამ ოხერ წუთი-სოფელში?! თუ სულ თავიდამ ფეხებამდე ლამაზი არა ხარ, ზედ არავინ შემოგხედავს. ღვთის წინაშე, არშიყობით კი გაგეარშიყებიან და, _ თუ მშვიდობაა, რა ვიცით, კაცნი ვართ, ისე როგორმე მოხდა, _ ბადეშიაც გაგაბმენ, მაგრამ იმ ოხერ ბედნიერებას რომ ეტყვიან _ ბედნიერებას კი ვერ ეღირსები.

ლიზიჩკა სურმაძის ქალი სწორედ ამ ნაირი იყო. საბრალო ეხლა ოცდაათის წლისაა; თმა წაბლის ფერი; სახე ცხვირსა და ლოყებს შუა მოღმენჭილი, კანი მოშვებული; ლოყები გუდა ლეღვივით დაშვებული, რომლებიც სიარულის დროს თამთამებენ; ქვედა ტუჩი ერთობ დაშვებული _ უკაცრავად კი ნუ ვიქნები «ბარიშნა» ქალებთან _ გამაძღარი ცხენივით; და რომ ტუჩს უმგზავსოება დაუკარგოს, არ მიაქცევინოს თაყვანისმცემლებს ყურადღება, თუ კი გამოჩნდებიან, წითელი წამლით ისე იღებავს, რომ მაისის ვარდივით კაკაჩი გაუდის; ცხვირი ჯუკა და ისე დაღრენილი, რომ ნესტოებში ჩიტი თამამად შეფრინდება; სახეზე აქა-იქ აყრია ფერის-მჭამელეები; შუბლი ვიწრო და სამად შეხმუჭვნილი; თვალები ღრმად წასული ფოსოებში, რომლებსაც, უნდა კაცმა სთქვას, ჰფარავენ ისარივით გაწონილი წამწმები; კბილები უსწორ-მასწორო.

მზითევი, ამ უფულო დროს შესაფერად, ძალიან კარგი აქვს: ოთხასი თუმანი ქისაში გამოკრული; ახლა ზინათი, ფარჩეულობა, მაგრამ რაკი ერთხელ და ერთხელ დაუძვირდა ბედი, დარჩა და დარჩა: ჯერ ის იწუნებდა ყველას, ყველას ტუჩი ჰკრა; მერე ის დაიწუნა ყველამ. რამდენმა გაცვეთილმა აფიცერმა სდია და დაითათბირა, რამდენმა მისცა შერთვის პირობა, რამდენმა სდია, სდია და ბოლოს საბრალო ლიზიჩკა მიატოვეს.

როდესაც ლიზიჩკა ზემო-აღწერილს მდგომარეობაში იყო და ზალაში დამა-კავალრებს გაჰქონდ-გამოჰქონდათ ერთმანერთი, დაღალულობით ქასქასებდნენ, ამ დროს შუბლის წმენდით და ქასქასით მოადგა ლიზიჩკას სკამს მაღალ-მაღალი, წარმოსადეგი, ულვაშებ გამწვიტინებული ვაჟ-კაცი სამხედრო ტანისამოსით. ამ

ვაჟ-კაცს მოციმციმე, მუდამ მოარშიყე თვალებს, უშვენებდა ოქროს სათვალეები; ქვედა ტუჩს ქვეშ ჰქონდა შერჩენილი წვერი, რომელსაც ერთობ უდიერად სტანჯავდა ბაასის დროს; სათვალეებს წამის-წამ ჩამოიგლეჯდა, თითებზე შეიპროწიალებდა; წამის-წამ ისევ წამოიცვამდა და მაყურებლებს თავ-აღებული, ამაყად დაუწყებდა ლაპარაკს, რომლის დროსაც ზედა ტუჩს მუდამ იფხლეკდა, მაღლა იწევდა ბრაზიანი ძაღლივით, რომ დაენახვებინა შუშა-შუშა კბილები, რომლებიც ისე დაწმენდილი ჰქონდა, რომ ბროლს მიაგვანდნენ. ეს კავალერი, მოადგა რა სკამს, ჩაელაპარაკა:

_ აა, ლიზიჩკა, როგორ გიკითხოთ?

_ უჰ! შენა ხარ, შენა!! _ მიატანა ლიზიჩკამ სიტყვა და მკლავები კალთაში გადმოიყარა; სიხარულმა ისე დასთუთქა, თითქო დაღალულიაო, თითქო ავად-მყოფი ამდგარა და სკამს მისვენებიაო.

_ რა იყო? მემდურები, თუ გიხარიან, ჰა?.. რას ნიშნავს ეს: «უჰ! შენა ხარ, შენა!!» _ უთხრა კავალერმა და მიიცოცა ლიზიჩკასთან სკამი; _ არ გეგონა, რომ აქ ვიქნებოდი?

_ რა მამაგონებდა, მიტია, თუ მოხვიდოდი და უწინ მე არა მნახავდი! მაგას არ მოველოდი. გახსოვს შენი პირობა? გახსოვს ის ნეტარი დღეები? გახსოვს ის მთვარიანი ღამეები, რომლებსაც ისე ტკბილად კლავი-კლავს გაყრილნი ვატარებდით? მპირდებოდი: მალ-მალ წერილს მოგწერო; მაგრამ როგორც თვალი შორს, ისეც გული შორსაო, ნათქვამია. იქ შენ, მიტია, სხვებს იშოვნიდი და მე..... მე რაღად მოგაგონდებოდი... _ წარმოსთქვა ლიზიჩკამ ყვედრებით.

_ ხომ იცი, სულიკო, რომ მე წერაში ზარმაცი ვარ; ჯერ ჩემს სამსახურში ქაღალდებზე ხელი ვერ მომიწერია და წერილი სად გავაჭრელო. დარწმუნდი, რომ ჩემს გულში, სხვათა შორის, თქვენც გიკავიათ ალაგი. ჩემი გული ვერას დროს ვერ დაივიწყებს იმ ნეტარებას, რომელიც თქვენ მიერ მას შეუსვავს და შერყეულა ძირამდინ სიამოვნებით.

_ ჰმ, სხვათა შორის, სხვათა შორის! _ რამდენჯერმე ჩაიმეორა გულში ლიზიჩკამ ეს სიტყვები. «ამას ეტყობა სხვა უყვარს, სხვას დაუბამს ამის გული. მე კი ისე უყვარვარ რაღა, ჩვენში რომ იტყვიან _ საყველ-პუროდ; ეე, უბედურ ეტლზე ვარ დაბადებული, უბედურზე», ფიქრობდა ლიზიჩკა.

_ რას ჩაფიქრდით? თქვენი თვალები კვლავ სიამოვნებით იცქირებოდნენ, მუდამ ეშხის ნაპერწკალს ისვროდნენ და ეხლა კი ამღვრეული გაქვთ, თითქო ბოროტი საქმის ჩადენა სურსო, _ უთხრა დაცინვით კავალერმა.

_ ერთიც და მეორეც თქვენი ბრალია. თქვენ არ იყავით, რომ დამპირდით, პირობა..... მიხვდით თუ არა? პირობა მა.....

_ მომითმინეთ ცოტა ხანს, _ წაართვა სიტყვა კავალერმა, ხომ იცით, რომ მე სამსახურში უკან ჩამორჩომილი კაცი ვიყავ, ე. ი., როგორ გითხრათ: ჩემს გვარიშვილობას არ შეშვენოდა ის ადგილი.

_ უადგილობას არ შეგამჩნევინებდი: ფული ბევრი და გული პატიოსანი, შენი სიყვარულით ავსებული. მაგრამ.....

_ მათქმევინეთ: მე ამ ქალაქიდამ მეორე ქალაქში წაველ ბედის საძებნელად; მივაწყდ-მოვაწყდი საზოგადოებას; გავიცან ერთი მაღალ-გვაროვანი ოჯახი _ უდარდელაძე. უნდა მოგახსენო, სხვა მაღალ-გვაროვან ოჯახებთან, ნუღარ მეტყვი, შედარება არ აქვთ: ვინ გინდათ, რომ იმათი ნათესავი არ იყოს; სად გინდათ, რომ იმათი ნათესავი არ იჯდეს უფროსად. აქ გამიღიმა ბედმა, აქ დავინახე ჩემი

წადილის შესრულების დღე. აბა, ჰა, მიტო მეთქი, უთხარ ჩემს თავს, ეხლა გმართებს ბიჭობა და გამჭრიახობა მეთქი.....დაუწყე უდარდელაძიანთ ქალებს დევნა. დედამ მითხრა, თუ შენი თავისთვის ბედნიერება გინდაო, ჩემი უფროსი ქალი შეირთეო. მე, რა უნდა მეთქვა. მე ქალი კი არ მინდოდა, ადგილი მინდოდა. უნდა მოგახსენო, რომ ის უფროსი ქალი, ეხლანდელი ჩემი ცოლი, ცოტა კი არა და ძალიან ჭკუაზე თხლად გახლავთ, თუმცა ჩემი ცოლი კია, როგორც მოგახსენეთ. რას ვიქმოდი. შევირთე გიჟი ქალი, მაგრამ არა მკითხავთ, მზითევში რა გამოატანეს სიგიჟესთან: «ნაჩალნიკობა!» მააშ!! ჯვარის წერის შემდეგ, მეორე დღესვე მე «ნაჩალნიკობა» გამოვიხვიე კალთაში და შევუდექ გზას, _ სიტყვას «ნაჩალნიკობა» ისეთის ეშხით, ისეთის კბილების კრჭიალით ამბობდა, თითქოს ქვეყანა ამ სიტყვაზე სდგასო.

_ მაშ ყველა შენი ჩემთან ლაპარაკი, მსჯელობა, ახალ-ახალის აზრების რახა-რუხი, ათასნაირი პირობანი სულ ორპირობა, სულ სიცრუე იყო!? _ წარმოსთქვა ლიზიჩკამ და მეხივით დაუწყო სიტყვებს სროლა. კავალერის ყურში ბაიბურიც არ იყო. _ მაშ ეგრე? ოჰ, დამბადებელო! ამას რას ვხედავ, ამას რას ვხედავ? შენმა სიყვარულმა, შენზე ფიქრებმა _ აი ხედავ? _ როგორ დამადნო, და შენ კი გამცვალე ვიღაც გიჟზე, არა, გიჟზე არა, _ ადგილზე, სამსახურზე? ფუ, შენს ვაჟ-კაცობას, შენს ახალგაზრდობას! რაღა პირით მიცქერი და მელაპარაკები? რაღას მაკვეხებ მაგ შენს გარყვნილობას! რაღაც ბედად მოვარდნილხარ აქ და სარგებლობ, რომ სიცრუის ბადეში გამაბა? ობობას ხელობა დიდი ხანია დაგიჭერია და მე კი ეხლა შეგიტყე. გთხოვთ, ობობავ _ ნაჩალნიკო, შენის უნამუსო პირით მომცილდე აქედამ; შენი სახის დანახვა მკლავს მე.....

ეს უკანასკნელი სიტყვები ისე მაღლა, ისეთის აღელვებულის ხმით წარმოსთქვა ლიზიჩკამ, რომ მთელი ზალა ფეხზე დადგა. კავალერმა ურცხვად გაიკასკასა, ხელების მტვრევით გაიარა და ჩაერია ხალხში.

II

ჩრდილოეთით ზალას აქვს დერეფანი, რომელსაც აკრავს ბნელი ოთახი, წოდებული «საგრილობელ ოთახად», რადგანაც სიცხისა და დაღალულობისა გამო დამა-კავალერი საგრილობლად გადიოდნენ. ანეტა იაზონოვნა ძიელ დაქანცულიყო და ამ ოთახში მწყერ-ჩიტასავით გამოგოგდა. კავალრები მოჰხიბლა, დასწვა და გადარია ამ დასაქცევმა. იმდენად ლამაზი არ იყო, რამდენადაც მარილიანი, კოპწია, თამამი და გამგიჟებელის მიხვრა-მოხვრისა. მარტოდ-მარტო თვალები ჰქონდა ლამაზი, ჟუჟუნა, მუდამ წყლიანი, ისე შავი, თითქო მელნის ტბა აგუბიაო, ისეთი დიდრონი, თითქო მსხვილი გიშრები ჩაუსხავთო. აი ეს თვალები ჰხიბლავდნენ კავალრებს, თუმცა ამაღამინდელს ღამეს ბევრი კავალრები დასჭრა თვისის გიშრის თვალების ისრით, მაგრამ ისიც კი იქმნა დაჭრილი, ისე გაგიჟებული, რომ მტკიცედ განიზრახა გულში თვისს ახლად შექორწინებულ «კნიაზისათვის» ეღალატნა და ქერა კავალერისთვის ეჩუქებინა თვისი გული. სულ მესამედ შეხვდა ამ კავალერს, მაგრამ დაადნო, გონებიდამ გამოიყვანა. კავალერიც ანეტასავით კოპწია, თამამი, იმისავით ქარაფშუტა და ტუტრუცანა იყო. ჭკუა ჭკუას მოხვდა. ანეტას შეუყვარდა პახომ პროხორიჩი _ ეს სახელი ერქვა მის სანატრელ კავალერს. პახომ პროხორიჩის გულში კი გაკვრა-გაგლეჯის სიყვარულმა დაიბუდა, თუ შეიძლება ასე ითქვას. იგი ანეტას ჯადოსნურ ბადეს ესროდა, რომელშიაც გაება კიდეცა. ანეტა იაზონოვნა სულ მთლად ირევოდა, როცა პახომი იმის ახლო იყო:

ვალსი, რომელსაც ანეტა გასაოცრად აპროწიალებდა; მაზურკა, რომელშიაც შნოიანად დაფუნდრუკებდა; ლეკური, რომელსაც გასაოცარის ფეხის სიმარდით და თამაშით უვლიდა ხოლმე, _ სულ ერთიანად ერევოდა, ეშლებოდა, იქნამდე გართული იყო პახომითა. ერთობ მგრძნობიარე იყო ჩვენი ანეტა. ზოგზე სრულიად სხვა გვარს გავლენას აწარმოვებს ამ ნაირი მიზეზი. ამ მდგომარეობაში ზოგი უფრო ცდილობს, რომ გამოიჩინოს ხელოვნება, ყველაფერი მოაწონოს მოტრფიალეს. ამ გვარი ადამიანი უფრო ჭკუას ემორჩილება, ანგარიშიანი და გულცივია. ამ ჟანგიანებს არ ეკუთვნოდა ჩვენი ანეტა იაზონოვნა: ვისაც გულს მისცემდა, გათავდა! _ თავ-დავიწყებამდე დაეწაფებოდა ნეტარების წყაროს.

იგი ძლიერ აღელვებული გამოვიდა ოთახში. სარკემ აცნობა ეს მდგომარეობა და სახეზე ხელი მიისვ-მოისვა. მელნის სადგურნი მოისწორა, ისარს შვილდი დაუჭიმა, რომ ნადირი დაუკოდავი არ წასვლიყო. დიდ ხანს არ ილოდინა. კავალერი ლომივით თავ-აღებული შემოვარდა, თითქო შუაზე გაგლეჯა ჰსურს მშველის ნუკრისაო. იღლიაში იგდო ანეტა და ერთი შემოავალსინებინა ოთახში. კავალერი გვარად ჩრდილელია, მაგრამ ქართულს სუფთად ლაპარაკობს, სამხედრო პირია; დეზებს მალი-მალ აჩხარუნებს და მუდამ კოპწიაობს.

_ პახომ პროხორიჩ, გიყვარვარ? მე კი გამაგიჟე და! ჩემი თავი აღარ მახსოვს.

_ ანეტა იაზონოვნა, რას მიბრძანებთ? თქვენ განა კაცს არ შეუყვარდებით? ეს თვალები, ეს შავი თვალები, ოჰ! _ მისწვდა და თვალები თითებით ამოზიდა.

_ ოჰ, პახომ პროხორიჩ! შენმა სიყვარულმა დამღუპა: ლამის ქმარ-შვილი შემაძულოს.

_ ნუ თუ ეგრე ყმაწვილი ხარ, რომ თქვენს გულში ორი სიყვარული ვერ მოგითავსებიათ. თუმცა პოეტები სწერენ, რომ სიყვარული ერთიაო, ერთის მეტს ვერ დაემორჩილება გულიო, მაგრამ “"ნჯ ლელრბ, ჩემო ანეტა..... აი ეხლა მე რამდენი მომითავსებია ამ პაწია გულში.

_ ვინა სწერენ? პოეტები რა არის, აქ არის ვინმე?

_ პოეტები, სულიკო, მწერლები არიან, აი ლექსებს რომ ბღაჯნიან, ისინი.

_ ბეჩა, მე ვინ მეგონენ: მე კაცები მეგონენ..... ეხლა ამ ზალაში ვინ უფრო მოგწონს? შენი გული ვის უპყრია?

_ ბევრს, მაგრამ უფრო თქვენ; ვერ წავუვედი ამ თვალებს, ვერა.

_ ეჰ, ნეტა მე ქართველი არ ვიყო, უფრო შემიყვარებდი, _ სთქვა და შესაბრალისად გადააგდო პახომის მხარზე კისერი.

_ ვაჰ, რას ამბობთ, ქალო? შესაყვარებელი ქართველია და! ჩვენ მაგითი მოგვაქვს თავი, რომ ქართველი ქალები გვწყალობენ..... ეგ სიყვარულს რად დაუშლის.

_ მაინც რაც უნდა იყოს… თავის დღეში შენსავით არავინ არ გამარშიყებია. ჩვენებმა არ იციან, ყტდტ;ლს, დაიკარგნონ, ეჰ, რუსულიც არის მაინც ვიცოდე კარგად, რომ გეჭუკჭუკო. ქართულად არ მეხერხება ალერსი. აი ეხლა ქართულად რომ იტყვი: «სულიკო»! არ ვარგა, დამაზიზღებს ხოლმე, «Lეირფ» კი სიამოვნების ჟრუანტელს მომგვრის ხოლმე.

_ მაშ დღეიდამ «Lეირფ»-ს დაგიძახებ... არა, მე და შენ ქართულადაც კარგად ვიჭუკჭუკებთ.

_ ნეტა რუსული მასწავლა და! მაშინ ხმას აღარ ამოვიღებდი ქართულად. ვიცი კი, მაგრამ ძიელ მინდა ვისწავლო, ისე, ისე, როგორც ვალსი ვიცი. _ ეძგერება პახომს და შემოპროწიალდებიან. ამ დროს ბიჭს მაროჟნი მოაქვს.

_ «დუშკა», პახომ პროხორიჩ, ერთი კოვზით ვსჭამოთ.

_ ღფრ ვχ;ყχ, ქალო, სირცხვილია.

_ ჟხტყმ ვχ;ყფ^ χხტყმ ვχ;ყფ! _ კოვზს გადაუგდებს. _ χერ შენ აიღე, მერე მე ხოლმე. მე მინდა შენი ნაპირალი კოვზი; მე მინდა გულში ჩაგიტანო, შეგჭამო.

_ შეგჭამოვო?! ეს რომელი სიტყვის ნაწილია, ქალო?

_ იშ, რა ვქნა, ქართული ბორძიკი ენაა, _ გაბუტვით და ტუჩ დაშვებული უთხრა. _ ემაგიტომ მინდა, რომ რუსული ვისწავლო. რამდენχერ გამაწითლებს ხოლმე. Gჰფნბდყფ!.. მამა ჩემს კი ოცდა ათი თუმანი შეაწერეს სკოლისა და ამისთანა ბორძიკი ენა კი უნდა ასწავლონ. Aბ^ გჰფნბდყფ!

_ რა გემრიელია შენი ნაპირალი! ვარდია რაღა, ვარდი!..... იცი, ჩემთან იარე ხოლმე, ანეტა იაზონოვნა, და რუსულს და ფრანციულს გასწავლი. მე ბევრს რამეებს გასწავლი.

_ შენ იარე, შენა! ჰო, ივლი, პახომ პროხორიჩ?.....ვიშ, ვიშ! პახომ პროხორიჩი რა სახელია და! თაფლია, თაფლი, ნეტა შეიჭმებოდეს. არა ჰგავს ამ სახელებს: არჩილ, ლუარსაბ, ვახტანგ, ერეკლე, ელიზბარი.....აი თუნდა მამი ჩემის სახელი _ იაზონ, _ სულ რაღაც უცნაურებია. Aბ^ რფრმ გჰფნბდყფ!

_ მერე, რომ ვიარო, შენი ქმარი?

_ ჩემი ქმარი, იმისმა მზემა! იმას ღვინო მიუდგათ, გამოვათროთ და მერე მე და შენ ვისწავლოთ.

_ ბალა ეგ არის, რომ მე უფრო ვეწყობი და მერე ოტკას.

_ ჩემი გულისთვის პახომ-χან, ჩემი გულისთვის! ნახავ, როგორ თვალები დაუდგებათ აქაურს ქალებს. χერ ერთი იმიტომ, რომ შენ ჩემი კავალერი ხარ, მეორე იმიტომ, რომ რუსულს კარგად ვისწავლი, _ გადაუდებს სანატრელ პროხორს მხარზედ თავს და შემოპროწიალდებიან; _ იცი, ჩემ პაწია ქალს სახელი შენ აურჩიე.

_ ორინა, პრასკოვია, კატერინა.....

_ კატო არა, არა; ორინა, ჰო ორინა! დუშკა, ეს სახელი რა პრელესტია და!

ამ დროს მუზიკა ვალსს უკრავს და ეს ორი ქარაფშუტა ოთახიდამვე პროწიალით გაქანდებიან ზალისკენ.

III

მუზიკა გრიალებს; იატაკი ზანზარებს; ყურთა სმენა აღარ არის; დამა-კავალერთა ბრძოლას საზღვარი არა აქვს. თითქო ამ ღრიანცელს ყურს არ უგდებენო, თითქო ამ საზოგადოებას არ ეკუთვნიანო, განცალკევებით სხედან სასტუმროში ერთი დამა კავალერით. დამა მისვენებულია დივნის ხარიხაზე, სამოსელი ერთობ აფერადებული აცვია: ქვედა ტანი კაბისა თეთრი ფარჩისა წითელი არშიებით, შუა ტანი მუქი ლაჟვარდი ხავერდისა, მერე წითელი, ყვითელი და სხვა შვიდ ფერამდის. თმაში ცოცხალი ვარდები ატანია; იგი გაყმენდილია, არ ერევა ტლინკვაში; აგრე რიგად არ ეწყობა ტანცი-მანცებს. ტოლ ქალებს არ უყვართ.

_ «მოდნის ქალი არ არის, ყველას გვწუნობს. არც კი სცხვენიან, თავადიშვილის ქალია და ტანისამოსს თვითონ იკერავს. ეს რა კიდევ! თურმე სხვასაც უკერავს. ღმერთო, დამბადებელო! რა დრო შეიქნა», _ ამბობდნენ ხოლმე ამ ქალზე. მაგრამ იგი ამ ოხვრა-გოდებას ყურს არ ათხოვებდა.

სახით ეს დამა ლამაზია, ერთობ ნაზია, წყლიანი მოლაპარაკე, მშვიდობიანი, ჭკვიანი, მაგრამ თვალები, თვალები _ ეს მკვლელები კავალრებისა _ არ უვარგოდა. იგი ცოტა რამ ელამია; ელამს თვალს ჰკიჟავს, დახელოვნებით ხმარობს, მაგრამ წყეული მაინც და მაინც აუშნოვებს. იქნება ეს თვალებიც იყვნენ მიზეზად, რომ იგი

არ გაჰყვა ქარავანს და სხვა გზა მონახა, გზა შრომისა, გზა პატიოსანი. ვინ იცის, ან რა ჩვენი საქმეა _ ბუნება ერთი ხელით რომ ძუნწობს, მეორეთი ასაჩუქრებს.

ეს ქალი იყო კნიაჟნა ელისაბედ ამაყაძისა, რომელსაც ყველანი ზიზოდ უწოდებდნენ. კავალერიც ამ ნაირივე მშვიდი, დაფიქრებული, სასიამოვნო გამომეტყველებით. იგი იყო პირხმელი, თეთრ-ყვითელი: ჩრდილოეთს თვისი ბეჭედი დაესვა. იგი იყო ნამყოფი რუსეთის უნივერსიტეტში. აცვია სუფთად; სახეს ქალივით უფრთხილდება; ფრჩხილებს სუფთად ინახავს, მალიმალ ისინჯავს და ზედ იხედება. როცა ლაპარაკს იწყობს, ემზადება, ტუჩებს იკვნეტს, იწყლიანებს, თუ ვით უფრო კარგად, მოსაწონად ილაპარაკოს. უყვარს ყველა თავისი; ცდილობს რითიმე გამოადგეს თავისას. ჩამომავლობით ეკუთვნის ერთს უძველესს აზნაურიშვილის გვარს. მისი გვარი თურმე ერთხელ ერისთაობდა, მაგრამ ჟამთა-ვითარებას ჩამოუგდია მაღლა კიბიდამ, როგორც სხვანი მრავალნი. სანაცვლოდ კნიაჟნა ზიზო დიდ-გვაროვანი იყო. ყველას უკვირდა, რომ აზნაური ვასილ კავკასიძე დაიარებოდა ზიზოს სახლში, უკვირდათ მისი ასეთი დაახლოვება. ზიზოს დედ-მამა ერთობ ამპარტავნები იყვნენ: დაბალი კაცის შვილებთან კავშირი არა ჰქონდათ. თვით თავადებსაც კი არ კადრულობდნენ, თუ არ თავისი გვარისას, დანარჩენები მათ კაცუნებად მიაჩნდათ. ვასილის დაახლოვება ზიზოზე იყო დამოკიდებული. რითაც იყო, იძალავა და თავიანთ ფეოდალურს ოჯახს დაუახლოვა; საკვირველი ეს იყო, რომ ზიზოს ესრეთი გაბედული, არა თავადიშვილური მოქმედება მშობლებს არ აკვირვებდა, თუმცა კი სწყინდათ: «დრომ მოიტანა, დრომაო, რომ თავადიშვილის ქალი თავის ხელით თავს ირჩენსო; უწინ ხელსაქმეს ვსწავლობდით, მაგრამ არა სხვის მოსახმარისად!» როგორც იყო, ზიზო და ვასილი დაახლოვდნენ, დამეგობრდნენ, სული სულს შეატკბეს.

ვასილი დივანზე გვერდით მოსჯდომოდა ზიზოს, მუხლი მუხლს შამოედო და დაწყნარებით ლაპარაკობდნენ. მხოლოდ ხანდისხან დუდუკის ხმა თუ შესწყვეტდა ხოლმე მათს ბაასს. მაშინ კი ჩადგებოდნენ ხალხში და უცქეროდნენ ლეკურის თამაშს. ამათის მშვიდის, წყნარის ბაასის დროს ბევრჯელ დინჯად გამოიფხაკურებდნენ ხოლმე კნეინა დარეჯანები კრიალოსნის ჩხაკუნით; ყურ-გამახვილებულები აუვლ-ჩაუვლიდნენ დივანს, რომ ერთი სიტყვისთვინაც არის, მაინც მოეკრათ ყური, რომ დანარჩენი თვით ჩაეკერებინათ და ახალი ამბავი დაებადნათ ქალაქის საღადადოდ. საქმეს კი უფრო უჭირვებდნენ ამ ორს განდეგილს იქაური ვაჭრის ცოლები, რომლებიც მასპინძელს მოეწვია.

_ ვინ უფრო შესაბრალისნი არიან: ჩვენ, თუ სკამები, რომლებზედაც ეგენი სხედან? _ ჩაეკითხა ზიზო ვასილს, როდესაც ორმა ჩაკურატებულმა ვაჭრის ცოლმა ამოუარა ამათ თვალების ბღვერით, რომლებიც (თვალები) ქონის ბადით ჰქონდათ გაკრული: მათი ფშვინვა ნიავს აყენებდა სასტუმროში და მათგან ამონაფშვენი ცხვირს უსიამოვნოდ აკოტებდა.

_ ერთი ოცი ათასი ამისთანა ღორი? _ ინატრა ვასილმა.

_ მაშინ ონანოიც აღარ გვეჯობინებოდა, _ უთხრა ზიზომ ღიმილით. _ ნეტა ესენი რაღას აკეთებენ; საცოდავებს პირის ლანჩები დაეხათ მთქნარებით.

_ ქალებს უცდიან. ახლა როგორი ნასიამოვნები წავლენ, რომ დიდი კაცისას იყვნენ და მათი დაღიპული ქალები კავალრებთან ძუნძულებდნენ.

დირიჟორმა ილაჯი წაიღო: გამგელებული ყვიროდა, ჩლიქებზე დგებოდა. ამ დროს ზიზო და ვასილი თვის შეუღლებაზე ბაასობდნენ.

_ შენ სხვას არ გაჰყვები, ხომ? და უნდა საქმე ისე მოვაკვარახჭინოთ, რომ ერთმანეთს არ დავსცდეთ.

_ შენ დარწმუნებული იყავ, რომ ჩემი თვალები შენზედ უკეთესს ვერავის დაინახავენ, მაგრამ უნდა გაგიტყდე, ერთი უბედური ხასიათი მაქვს: დედ-მამასთან ძიელ ვსუსტობ, მალე მიყოლიებენ, როცა საქმე ეხება ჩემს გათხოვებას. გულ-წრფელად გეუბნები: მე აზრად არა მაქვს შენი დაწუნება, მაგრამ ჩემი გვარეულობის სენი მეც გამომყვა; ასე მგონია, ჩემზე დაბალი კაცის შვილს რომ მივთხოვდე, ერთი რაღაც მოხდება მეთქი, თუმცა კი, დარწმუნებული ვარ, არა მოხდება-რა. რაღაც უცნაური, ჩემმიერ გამოურკვეველი ძალა მაბრკოლებს, ხელს მიჭერს თითქო. უნდა ძალა მოვიკრიბო და შევებრძოლო ამ სენს, თუ კი შევიძლებ.

_ დიაღ, ჩამომავლობითი სენია; დიდ-გვარებს მოსდგამთ ეს სენი... მაგრამ ამ სენსა და მართლა ჩამომავლობითს ავადმყოფობას შუა დიდი ზღვარია. ეგ სენი, ეგ ავადმყოფობა მართლა ავად-მყოფობა კი არ არის, _ ეგ გაკერპებული, გაქვავებული, უმოძრავო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვეულებაა. საზოგადოდ ამ გვარ კერპად გახდილ ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლა ძნელია, მაგრამ აქაო და ბრძოლა საძნელოა, უნდა აღვირი მიუშვათ?

_ ვეცდები ამ ჩემი სუსტი ძალით შევეჭიდო მაგ კერპს, _ სთქვა ზიზომ ხელების შლითა, ეშხიანად გაიღიმა და ბროლ-ფიქალთ წყობა გამოაჩინა... _ იცი, ვასილ, რა გითხრა? მაგალითი არ არის, ჩვენი გვარის ქალი დაბალი კაცის შვილს ჰყავდეს.

_ რა კარგს შვრებით... მე თუგინდ ხუთს, ექვსს ჩამოგითვლი.

_ ვისა? რომ არ ვიცი.

_ ვრალოვი, პსაროვი, სკვერნოვი...

_ ხა, ხა, ხა! _ ჩაიკასკასა ზიზომ და თვლა შეაწყვეტინა ვასილსა, _ ეგენი ხომ ჩვენებურები არ არიან. მე გეუბნები ქართველებზე, რომ ქართველ დაბალი კაცის შვილს არ ათხოვებენ მეთქი. ეგენი ჩვენში ჩასათვლელები არ არიან. მაგათ ნაირს ხალხს ჩვენები, ე. ი. ჩვენი გვარეულობა სულ სხვა თვალით უცქერის.

_ ღმერთო, შემიწყალე! ეხლა, ზიზო, ჩვენ აზნაურები ვართ და, ნუ კი გეწყინება, თქვენებს ბევრით ვსჯობივართ.

_ იქნება, მაგრამ აბა ჩემს მშობლებს გავუხსენო შენი ქმრად შერთვა! «ვის დაკარგვიაო; ჩვენ აზნაურს უნდა ქალი მივცეთო; როდის მომხდარა ეს ამბავიო», ასე მეტყვიან.

_ საკვირველია. მაშ ძალიანი დაბრკოლება ელის ჩვენს შეუღლებას. იქნამდე მოვიცდით, მაშ მინამ დრო ნებას მოგვცემდეს.

_ ესე იგი მშობლების დახოცვას მოუცადო, არა? მაგრამ ჩვენ რომ უფრო უმალ დავიხოცნეთ. ან იქნობამდე ვინ დამაყენებს. ყმაწვილო, თავადიშვილები მთხოულობენ, მშობლები ყურებში თითს იცობენ ამის გაგონებაზე. თუ არ დიდი, უპირველესი საქართველოს თავადი, არ შეიძლებაო. გუშინდელს გათავადიშვილებულს როგორ მივცემთო. უპირველესნი მე არ მთხოულობენ, შენისთანას არ მაძლევენ და ვარ ასეთს გამოურკვეველს მდგომარეობაში.

_ მე მაკვირვებ; თუ კი ბევრს საქმეში შენი აზრი გაგიყვანია, აქ რაღა გაბრკოლებს.

_ ის, რაც წეღანაც გითხარი; მეც წილი მიდევს იმ კერპის შექმნაში, რომელიც გვაბრკოლებს..... ხა, ხა, ხა! მართლა შესანიშნავი საამბობი აკი დამავიწყდეს ლამის: წარმოიდგინე, ყმაწვილო, სასაცილობა ჩვენებისა. თუ გახსოვს, შარშან ჩვენსას ერთი მასწავლებელი პოტაპენკო დაიარებოდა: ვატყობდი, რომ

მოვსწონდი. იმას ეხლა რაღაც უფროსობა მიუღია; მოუწერია მამიჩემისათვის რუისის სიგძე ეპისტოლე. წარმოიდგინე, ჩვენები გაგიჟებულები არიან, უნდა იმას მიგცეთო; სტატსკი სოვეტნიკო, დიდს პენციას დაიმსახურებსო, რაც უნდა იყოს, ის სულ სხვააო. ის გადაბრუნდება, მოკვდება და შეგრჩება ცარიელი სტატსკი სოვეტნიკობა. მაგათ ხომ ვერას დააჯერებ... მერე უნდა მოჰყვე და ხელ-გაშვერილი იარო, რომ ორიოდე გროში მოგცენ საცხოვრებლად, აი მაგათი შეხედულობა.

_ ეეჰ, მაშ ცუდად ჩვენი თათბირი და ხელოვნება.

_ არა, ერთს ვცდი კიდევ, პირს უკითხავ და მერე დაუკითხავად წავიდეთ საყდარში საქორწინოდ. ხელი დაჰკარ... არიქა კატელიონს ათავებენ... ჩვენ ბარემ გავიდეთ, თორემ ხალხი აირევა.

<u>წითელი სარჩული</u>
<u>(ვუძღვნი ვ. გუნიას)</u>

I

ნუ გაგიკვირდებათ, რომ ამ ჩემის მოთხრობის გმირს სახელად იუდა ჰქვიან. ეს თავისი ბრალი არ არის: ულმობელი კალენდრისა და მამა მისის თადეოზის ბრალია; კალენდარში ეს სახელი ამოვიდა; მამა იუდასი კი ისეთი თაყვანისმცემელი იყო კალენდრისა, რომ თუმცა ელენე, ცოლი თადეოზისა, ბევრი ეხვეწა, შვილს პაპის სახელი ასლანი დავარქვათო, მაგრამ თადეოზმა თავი მოიკლა, დღეს კალენდარში იუდა მოციქულის დღეობა ამოვიდა და განგებას როგორ უნდა ვაწყევინოო.

მოგეხსენებათ, როცა იესო ქრისტემ ახალი სწავლით ქვეყანა განაახლა, ძველი აღთქმა ახალით შესცვალა, იმას, სხვათა შორის, მოციქულებად ორი იუდა ჰყავდა: იუდა ისკარიოტელი და იუდა, ძმა იაკობისა, ნათესავი თვით იესოსი. რომელს იუდას ჩამოჰგავს ჩვენი იუდა, ამას ეხლავე ვერ მოგახსენებთ, მეტიჩარობაში ჩამომერთმევა. ვიტყვი კი, რომ ჩვენი იუდა არც ისკარიოტელია, არც ძმა იაკობისა, იგია ნამდვილი ქართულის თოხუმისა, გასარევი არ არის იმ ორ იუდაში, სრულებითაც არა ჰგავს იმათა. იუდა ისკარიოტელმა მოძღვარი გაჰყიდა, შეიგნო დანაშაული, ხეზე ძაღლივით ჩამოიხრჩო თავი და ამით კაცობრიობას ამცნო: «სადღაც კუნჭულში სინიდისის მიმქრალი ნაპერწკალი დამრჩა, გული დამწვა მხილებითა, თავი შემაზიზღა და ამიტომ თავს ვიხრჩობო». მეორე იუდა ცნობილი მქადაგებელი იყო თავისი მოძღვრის იდეებისა. ჩვენი იუდა კი... მაგრამ წინამასწარობას რა მსჯის, ხე ნაყოფისაგან იცნობების.

მაშ გავიცნოთ.

იუდა თადეოზის ძე ღეჭიაშვილი, _ თუ შეიძლება ასე ითქვას, _ სამმაგი ბუნების ადამიანია. გარეგნობით კაცია, როგორც სხვა კაცი, ხატად და მსგავსად ღვთისა შექმნილი. სახე ბადრი, მშვენიერი, სასიამოვნო. იტყვით: რადგან სახე სულის სარკეაო, ამ კაცის სულიც მშვენიერი და ნარნარი, წყაროს წყალივით ანკარა და წმინდა იქნებაო, მაგრამ ვაი, რომ ასე არ არის: იუდას შიგნით, გულში, ორი სხვა კაცი უზის და ამგვარად, ვამტკიცებ მე, იუდა ჩვენი ერთია, მაგრამ სამბუნებიანი, ანუ სამპიროვანი: ერთი გარეგანი კაცი, ორიც შინაგანი, ამგვარი

ადამიანები ალბათ ყოფილან ქვეყანაზე, თორემ ხალხი არ გამოსთქვამდა სიბრძნესა: «გველი გარედან არის ჭრელი, ხოლო კაცი შიგნიდანაო».

იუდა, როცა მოიზარდა, იუკადრისა იუდობა, ე.ი. სახელი ეჩოთირებოდა; ბევრი ატრიალეს, ხან ირودი დაარქვეს, ხან იობი; ბოლოს იმდენი იძაღლა, რომ დოკუმენტში იობ, იგივე იუდა და ირودე ჩააწერინა, მაგრამ ხალხში მაინც ზოგი იუდას ეძახდა, ზოგი ირودესა. ჩვენც მივბაძოთ ხალხსა, ნუ ვაწყეინებთ და რომელიც მოგვხვდეს, ის დავუძახოთ.

უბრალო კაცი არ გეგონოთ ბ. ღეჭიაშვილი: ჯერ ერთი ესა, რომ ტახტის აზნაურია; თუმცა ჯერ შეუწყნარებელი აზნაურია, მაგრამ მაინც აზნაურია; მეორე _ დიპლომიანია. როცა უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა რუსეთში, დიპლომი არშინნახევრიან არყის ჯოხზე დაახვია და ისე წამოიღო საქართველოში, ბეჭედი არ გაუტყდეს და ქაღალდი არ დაიღეჭოსო. ნაქებმა მოხისელებმაც ერთხელ თურმე მთავარმართებელთან მისართმევი ქაღალდი ურმის ჭალებზე მიაკრეს, ყევარი ხარ-კამეჩი შეაბეს და ისე ჩამოიტანეს ტფილისში, ბევრი რამე სწერია შიგა, მძიმეა, ერთი კაცი ვერ ზიდავს და ვაითუ გზაში ქაღალდი დაიჭმუჭნოსო, ღეჭიაშვილიც მოხისელებისავით მოიქცა.

ღეჭიაშვილს სწავლის ნიშანი მარჯვნივ არ აკრავს, არამედ მარცხნივ, ზედ გულთან, ძუძუს თავზე. ნიშანიც ნიშანს ჰქვიან: სწორედ ერთი გირვანქის წონა იქნება და უფრო ვირის ნალსა ჰგავს, ვინემ ნიშანსა.

ღეჭიაშვილი ანგარიშის კაცი იყო. შეგირდობიდანვე იმის ცდაში იყო, რომ შეეძინა სარჩო-საბადებელი, ამიტომ დიპლომი ჩამოიტანა თუ არა, მაშინვე თანამეცხედრის პოვნას შეუდგა, იპოვნა კიდეც მზითვიან-მამულიანი ქალი, თუმცა ცხოვრებაში ვერა რიგდებოდნენ, მაგრამ მაინც ხომ იშოვნა.

იუდა ზოგიერთებისავით სამშობლოს სამსახურს არ გაჰყვა. თავის ცხოვრების დევიზად გაიხადა შემდეგი: «ისე უნდა ვიცხოვრო, რომ ერთის ხელით, გინა პირით, სამი კურდღელი დავიჭირო». ამ დევიზს ხშირად იმეორებდა.

_ შენ გენაცვალოს ჩემი თავი, იაშო! _ ცოლი ასე ეძახდა; _ თავი ნუ მამაბეზრე მაგ შენი უგუნურის დევიზითა. არ გაგიგონია: ორი კურდღლის მდევარი მწევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო. შენ კი სამის დაჭერას აპირებ. კაცი ერთს რამე განსაზღვრულ საქმეს უნდა დაადგეს და პირნათლად და შეგნებულად მიიყვანოს ბოლომდე, _ უთხრა ერთხელ ცოლმა.

_ ჰმ!.. ვინა სთქვა, დედაკაცი იგივეა რაც მამაკაციო; უნდა გავათანასწოროთო... ერთს დროს ქალების ემანსიპაციით ყურები გამოგვიჭედეს... აბა, ჩემო კარგო, რას ჩმახავ! მწევარი ძაღლია, პირუტყვია; ორის კურდღლის დაჭერას ერთად მოახერხებს. კაცი კი ძაღლზე ძაღლია: თუ ცხოვრებაში გაიწაფა, სამს კი არა, ოთხსაც დაიჭერს...

_ არა, მაგას ვინ მოგახსენებს! თუ ნამუსსა და სინდისზე ხელი აიღო, იქნება მეტიც დაიჭიროს, მაგრამ ნამუსი, სინიდისი?..

_ ნამუსი, სინიდისი?!. ჰმ!.. ნამუსსა და სინიდისს ისეთს სქელ ფარდას ჩამოვაფარებ, რომ თვალითაც ვერავინ დაინახოს. აი ნახავ, ჩემო ნინუცა, თუ რა ვქნა: ერთის მხრივ ჩემს ხალხს ვასიამოვნებ, მასთან სახელს გავიკეთებ..... უკვე ჩავყარე იმისი საძირკველი ხალხის გულში..... ღმერთმა მომცა გონება, ჭკუა და გარეგნობა, ყველა ეს სწავლით შევაზავე; «ჭკვა სწავლით მოიხმარებისო», «ჭკვა უხმარ არს ბრიყვთათვისო», ამბობს დავით გურამიშვილი. მეორეს მხრივ, ჩემს მთავრობას ფეხქვეშ გავერთხობი, მის წინ დავდნებ დავხორავიჭდები. თავს

ანგელოზად მოვაჩვენებ. თუ ასე არ მოიქცევი, წინ არ წაგწევენ და დერეფანში გდებით და ხოხვით სულს ამოგართმევენ. მესამე მხრივ, არაფერს და არავის არ დავზოგავ, ყველას ცეცხლ-ნავთში გავატარებ, ვინც კი ჩემი სურვილების შესრულებას წინ გადაეღობება... აი, დღეს მე პატარა ჩინოსანი ვარ, ხვალ დიდი კაცი შევიქნები; რა სალდათია ის სალდათი, რომელიც გენერლობას არ მოელის. აი, ამ ჩემს პალტოს, _ მიუთითა იუდამ საკიდელზე ჩამოკონწიალებულს პალტოზე, _ გესმის? აი, ამ ჩემს პალტოს-მეთქი წითელ სარჩულს გამოვაკრავ. _ მივიდა გაბრაზებული, ჩამოიღო საკიდლიდან პალტო, მიუტანა ცოლს თვალებთან: _ შენ შხამიანად გეღიმება ჩემის რწმენის გამო, მაგრამ გეუბნევი; კაცი არ ვიქნები, თუ აი ამ ჩემს პალტოს წითელი სარჩული არ გამოვაკრა, წითელი, _ და აქ იუდამ ისეთი დაიყვირა, დააბდღვრიალა თავის მსხვილი თვალები და ისე მაგრა დაჰკრა იატაკს ფეხი, რომ თითონვე შეკრთა, ყური წაუგდო, თავი წანაბა, სახლი ხომ არ დამეცა თავზეო.

უნდა მოგახსენოთ, რომ «იაშა»ფაფხურთან საშინელი მხდალიც გახლდათ.

_ ეგ არის შენი ცხოვრების პროგრამა? აი, შენი ვაჟკაცობის ჭირიმე, შენი!!. _ ზიზღით უთხრა ცოლმა. _ მცოდნოდა ეგ შენი საძაგელი პროგრამა, ცოლად არ გამოგყვებოდი. მაგრამ ახლა რა ვქნა, რა ვუყო შვილებს, გაგშორდე და შენ დაგიტოვო, რომ მაგ საძაგელ პროგრამაზე აზარდო? შე უბედურო, შენა! უფროსებისა ისე გეშინიან, როგორც თაგვს კატისა, შენი აჩრდილისაც კი გეშინიან და კვეხულობ კი, სამი კურდღელი უნდა დავიჭიროო. ხალხიც შეიძინო, უფროსებიც მოინადირო და წითელი სარჩულიც ამოუდო შენს პალტოსა, გენერლობა მიიღო, რაღა!.. მე ხალხის სიბრძნით გაგცემ პასუხსა: ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო. მაგ შენს პროგრამას მამალივით დიდი ბოლო აქვს და ვაითუ ვერსად მიაფარო... იაშა, როცა შენ მაგ გზით, რასაც შენ ადგიხარ, სამი კურდღელი დაიჭირო უვნებლად, სულის აუშფოთებლად, საფლავში ჩამომძახე... მე შენს ხელში დიდი დღე არა მაქვს. არ შემიძლიან შენს იუდობას ვუყურო, მუდამ მისი მოწმე ვიყო... თუ ღმერთმა ნებით არ ამომხადა სული, ძალით ამოვიხდი.

იუდას ცოლის მხილება და კიცხვა ბაიბურშიაც არ მოსდიოდა, თვალწინ ედგა თავისი დევიზი, რომლის თავი და ბოლო წითელი სარჩული იყო.

_ ნამუსი, სინიდისი?!. იმ ნამუსს და სინიდისს რომ მივყვე, რომელსაც ფილოსოფოსები გვიქადაგებენ, შიმშილით სული ამოგვძვრება. ეხლა გამეფებულია სხვაგვარი ნამუსი და სინიდისი, ქვეყანა მას მისდევს, მას ადგია. სინიდისი მეუბნევა, ხალხს უანგაროთ ემსახურეო. სხვაგვარი სამსახური ნუ გინდაო, მაგრამ მე ამნაირი სინიდისი მოვდრიკე, წელში მოვკაკვე და ახლა ასე ვალაპარაკებ; ხალხს თვალები აუბი, თვალში ნაცარი ჩააყარე, უფროსების წინ მოიკაკვე, ხელ ფეხი გაულოკე, იფლიდე, იცრუე, ანგელოზად ეჩვენე, იმის წინ ქვემძრომივით იხოხე.

_ მაგისთანა საქციელისათვის ბევრი მოგხვდება, _ გააწყვეტინა ცოლმა.

_ ოჰოჰო!.. ბევრს ვინაღვლი... ძაღლი უსინდისობას სჩადის, როცა ჯამში წვენს ენას ამოჰკრავს და სუფრიდან ლუკმას მოგტაცებს, ან ღორი რომ წიწილებს ჩასანსლავს, ან ცომს შეუჭამს გლეხის ცოლსა! ძაღლს სახრით გვერდებს აუჭრელებენ ხოლმე, ღორს დრუნჩს მიუჩეჩქვენ ამისთანა საქციელისათვის. მაგრამ მაშ რა ჰქნას ან ძაღლმა, ან ღორმა, ცხოვრება უნდათ; ცხოვრებამ ისე მიმართა და მიდრიკა იმათი სინიდისი, რომ თუ ერთმა ენა არ ამოჰკრა სადმე და მეორემ დრუნჩი არსად წაჰყო, მეტი გზა არა აქვთ. ადამიანიც ასეა: ბევრი მოხვდება

ცხოვრებაში; ზოგან ქიმუნჯს წაჰკვრენ, ზოგან წკიპურტს, იქნება სახრეც მოხვდეს, მაგრამ აწინდელ ცხოვრებას მაინც არ უნდა ჩამორჩე. უნდა იწიო მაღლა-მაღლა და ახვიდე სამსახურის კიბის ზემო საფეხურზე.

ცოლმა ხმა აღარ გასცა. იაშამ ამაყად გაიარ-გამოიარა დარბაზში, ერთს წამს სიამოვნებით ულვაშები იგრიხა და მაგიდას მიუჯდა სამუშაოდ.

II

_ მოდის, მოდის! მათი მაღალღირსება მოდის!.. სუუთ!.. _ ფეხის თითებზე შემდგარი იუდა შემოვარდა კარიდორიდან დარბაზში და პირზედ ხელს იფარებდა «სუს» ნიშნად.

დარბაზში მყოფთ სერთუკები შეიკრეს, მიისწორ-მოისწორეს ტანსაცმელი, გაჰკრეს სუნგალი, გაიკრძალნენ. იაშა ხომ გაშეშდა ერთ ალაგას ქანდაკებასავით და როცა მათი მაღალღირსება შემობრძანდა დარბაზში, გული ისე აუბაგუნდა, რომ ამხანაგებს ბაგუნი იმის გულისა შეესმათ და ცალი თვალით გადახედეს.

_ უნდა მოვახსენო კრებას, რომ საქმე მძიმე საკითხს შეეხება, _ დაიწყო მისმა მაღალღირსებამ, ბატონმა ირობი ფროხორიჩ ვოროტილოვმა.

იაშამ ისე განაბა იმ დროს სული, თითქოს დიდს განსაცდელს მოელისო; თვალები ერთს წერტილს მიაშტერა; მიხედ-მოხედვა ვერ გაბედა, თუმცა ძალიან გულით კი უნდოდა; სული მთლად უკაწკაწებდა, რომ ამხანაგების სახეებზე წაეკითხა იმათი გულის პასუხი.

_ უნდა იყოს ადგილობრივი ენები სასწავლებლებში, თუ არა... ათასი ჯანდაბური ენებია, ბატონებო, ამ ქვეყანაში: ქართული, იმერული, გურული, მეგრული, სვანური, ხევსურული; მერე მოჰყვება სომხური ათასის ჯურისა, თათრული ათასნაირი და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი ჯანდაბური და დოზანური... ჩაგვციებია ერთი ქართველი პედაგოგი, _ ტუჩების აპრუწვით და ერთობ უსიამოვნოდ სთქვა მათმა მაღალღირსებამ, _ უთუოდ ჩემი სახელმძღვანელოები უნდა იხმაროთო; მეორე ჩამცივებია _ ჩემი საყმაწვილო ჟურნალი გაავრცელეთო... ყმაწვილებო, სად ვცხოვრობთ ჩვენა? ნუთუ მთვარეზე? სახელმწიფო სახელმწიფოში გაგონილა?.. ადგილობრივი ენები რუსეთში?!. სწორედ არ მესმის, სისხლი მეყინება ძარღვებში, როცა ამ სისაძაგლეს წარმოვიდგენ.

_ თქვენო მაღალღირსებავ, _ წამოდგა იაშა ღეჭიაშვილი, ხელები ჩამოუშვა, თავკისერი ისე წაიგძელა, თითქო სურს ტანს მოაშოროსო, წელში გაიდრიკა, თითქო საცაა გადაიმტვრევაო, _ ქართული ენა არის ერთი...

_ რაო? _ გადმოხედა გვერდზე მისმა მაღალღირსებამ და ზიზღით ჩაეკითხა.

იუდას მაღალღირსების თვალითგან გამოტყორცნილი ისარი გულს დაესო და ცხლად გაუარა ფეხების ფრჩხილებამდე. შიშის ზარმა და ძაგძაგმა აიტანა, ფერი ძალზე ეცვალა.

_ ბრძანეთ, ქართული ენა არის ერთი... მაინც რის თქმა გნებავს?..

იუდა სულ ერთიანად წახდა. უღალატა სინიდისის ნაკარნახევს, ნამუსს ფარდა ჩამოაფარა და მოწიწებით მოახსენა:

_ თქვენო მაღალღირსებავ, სიტყვა ტუჩზე შემეყინა...

_ იუდა თადეოზის ძეს, _ გააწყვეტინა სიტყვა იუდას და ჩაერია ლაპარაკში ბ. ჩუბაროვი, რომელსაც ღეჭიაშვილის ორპირობა არ მოსწონდა, _ სურს სთქვას, რომ

ქართული ენა არის ერთი იმ გავრცელებულ და კულტურულ ენათაგანი, რომლის სწავლება არავისთვის ხელსაყრელი არ არის... რა? ამისი თქმა გინდოდათ, არა!..

_ დიაღ, დღეგრძელი ბრძანდება ბ. ჩუბაროვი, სწორედ ეგ მაქვს სათქმელი!.. თქვენო მაღალღირსებავ, ვისთვის რა საჭიროა ეს რაღაც ადგილობრივი ტლანქი ენები; იწირება, ილოცება მადლიანად იმ ენებზე? ლიტერატურა არის? ძალიან კარგი, თუნდ იყოს ლიტერატურა, ერთი მიბრძანეთ: ვინ უნდა იკითხოს? ენა ტლანქი, გაუჩორკნავი, ისეთის ასოების მექონი, რომ კაცს იმათი გამოთქმით ენა მოსტყდება, ამიტომ... ჰო, ის უნდა მეთქვა: ვისაც მაინცა და მაინც სურს ისწავლოს ქართული, ისწავლოს თავისითა... მხეცებსაც აქვთ თავისებური ენა, რომლითაც ერთმანეთის გულის პასუხს ატყობინებენ.

მისმა მაღალღირსებამ სიამოვნებით პირი ააჭლაპუნა, მაგიდაზე თითები აათამაშა ისე, თითქო ფორტეპიანოს კლავიშებს ათამაშებსო.

_ მწარედ სტყუის ბატონი ღეჭიაშვილი, _ დაიწყო ჩუბაროვმა, _ ქართული ენა კულტურულია, წარმატებულია; ქართველებს მშვენიერი სიტყვა-კაზმული ლიტერატურა აქვთ. პოეტები? მე სიამოვნებით წამიკითხია ქართველ პოეტთა ნაწარმოებნი, რუსულად თარგმნილი. ჯერ ერთი, მარტო შოთა რუსთაველი რად ღირს!..

_ ძაღლებიც ჰყეფენ!.. თქვენო მაღალღირსებავ! _ ენის სანსარით წარმოსთქვა იაშამ.

_ დიაღ, ჰყეფენ!.. მე ყველა აზიური ენები ძაღლის ენებად მეჩვენება... მართალი იყო ის დიდებული გვამი, რომელმაც ამას წინათ ქართულს ძაღლური ენა უწოდა, _ დაფიქრებით წარმოსთქვა მაღალღირსებამ.

_ დიაღაც! _ დაუდასტურა იუდამ.

_ რა პადლეცია!! _ წასჩურჩულა ამხანაგებს ჩუბაროვმა.

_ მაინც და მაინც ყოველს შემთხვევაში, _ ახლა უფრო თამამად დაიწყო იუდამ, მაღალღირსებისაგან წახალისებულმა, _ მისაღები არ არის ის საყმაწვილო ჟურნალი, რომელიც ერთმა პედაგოგმა წარმოადგინა. იქ, ბატონო ჩემო, იბეჭდება ლექსები წყეული აკაკისა, იმ შხამიანი პატრიოტ-სეპარატისტისა, რომლის ენის შეხება შაქარსაც კი, ბატონებო, შაქარსაც კი ძიმწარედ ჰხდის... იმან დასწერა სარევოლუციო ლექსი «ხანჯალი»... აი დასტკბით... _ და აქ მაღალღირსებას გადასცა თარგმანი ამ ლექსისა.

«ძვირფასი კაცია ჩემთვის, ძვირფასი», _ გულში ჩაილაპარაკა და ალერსიანად შეავლო მაღალღირსებამ თვალი იუდასა.

_ დიაღ, იმას მოგახსენებდით, ის ჟურნალი ხომ არ მიიღება და არ მიიღება, მეორე პედაგოგის სახელმძღვანელოები სულ კოცონზე დასაწველია; იმისი წიგნები სეპარატისტული ლექსების კონაა და სხვა არაფერი.

«ძვირფასი კაცია, ძვირფასი! დიდი რამ განძია! _ კვლავ გუნებაში ჩაილაპარაკა მაღალღირსებამ. _ ჩემს იდეებს ამის შემწეობით ადვილად გავასაღებ ხალხში; ადგილის კურდღელი ადგილობრივ მწევარს უნდა დააჭერინო... დიაღ, მე მაგას შევმოსავ უფლებითა; ამ უფლებით თვალებს დავუყენებ და მოვიხმარ გაწვრთნილ ძაღლივითა».

ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ სადაო საგანი ისე გადასწყდა, როგორც, რასაკვირველია, მისს მაღალღირსებას სურდა და როგორც დაუდასტურა ბ. ღეჭიაშვილმა.

დარბაზში აიშალნენ, ხმაურობა და ფაცა-ფუცი ჩამოვარდა; კარიდორისაკენ გაეშურნენ, ყველა გაჩქარებით იცვამდა პალტოსა. ღეჭიაშვილი მაღალღირსებას აეტორღიალა, აღარ აცალა შვეიცარს, ეცა წითელ სარჩულიან ანაფორას მაღალღირსებისას, ცხვირი და თვალები ზედ დააკერა და კოხტად მიართვა ანაფორა; მათმა მაღალღირსებამაც შეიფერა იუდას ლაქიობა.

_ რა კოხტად ჩააცვი პალტო მაღალღირსებას; როგორი სუნი უდის ბატონის პალტოსა? _ სიცილ-ხარხარით ჩაეკითხნენ ქუჩაში ღეჭიაშვილს ამხანაგები, მაგრამ იმან ისე აჩვენა თავი, ვითომ დაცინვა არც კი გაუგონია.

III

იმის შემდეგ, რაც ღეჭიაშვილს თავისი ნინო გარდაეცვალა, იმან ნამუსს სრულიად ჩამოხსნა ფარდა, აშკარად სჩანდა მისი უადამიანობა, თუმცა კი ხოხობივით თავს მალავდა; ხელის შემშლელი აღარავინ ჰყავდა. წვრილ შვილებს თავის იდეებზე ზრდიდა მუნჯურის მეთოდის საშუალებით; თუ მამა ცხოვრებაში სამი კურდღლის დაჭერას ლამობდა, სამ შვილს სამჯერ სამის დაჭერას უქადაგებდა. მაგრამ ქართველ საზოგადოებისათვის რომ თვალი აება და არ ეფიქრნათ, რომ იმას გულში მოღალატე იუდა უზის, თავის სამშობლოს სალაროში ხელუკუღმა ცოტაოდენი წვლილი შეჰქონდა. ამით მეგობრებს თვალებში მტვერი შეაყარა, თვალები აუბნია და შეძლება აღარ მისცა, კბილები გაესინჯათ იმ მოღალატისათვის, რომელსაც ის გულში ზრდიდა სამშობლოს საგმობლად. ამიტომ ღეჭიაშვილს თვალის ასაბმელად მაგიდაზე გადაშლილი ჰქონდა სხვადასხვა ქართული წიგნები, წითელ-ყვითელი კარანდაშებით აჭრელებული და ჩამოხაზულები; აქეთ-იქით ეყარა ქართული ნაწერების ფურცლები, შენიშვნები და ზედ ებნია თამბაქოს ბეწვები და სიგარის ფერფლი.

დილით, კრების შემდეგ, იაშამ ხალისიანად გაიღვიძა, მარჯვენა ფეხზედ ადგა. სიამოვნებდა, რომ წუხელის მოხიბლა მისი მაღალღირსება იროდიონ ფროხოროვიჩ ვოროტილოვი. _ ჩემი საქმე კამათლების მღერასა ჰგავს; კაი მონარდესავით სულ დუშაშ-დუბეში მომდის; უფროსებთან კი სულ დუშაშს ვისვრი. შინ, ვითომდა მეგობრებთან, ჩემ დოყლაპია თანამემამულეებთანაც ნაკლები კამათელი არ მომდის; დალოცვილი კამათლებიც მემორჩილებიან, _ ამბობდა იუდა გუნებაში და სიამოვნების ღიმილი ნიავქარივით მიმოურბოდა სახეზე.

ამ სასიამოვნო ფიქრებში რომ იყო და მომავალი ცხოვრება წინ ათასფეროვან ია-ვარდის კონებად ეშლებოდა, უცებ ზარის წკარუნი გაისმა. შეწუხდა, რომ ზარმა სასიამოვნო ოცნებიდან გამოიყვანა და ხელი შეუშალა ხანგრძლივად დამტკბარიყო ამ ოცნებითა.

ბიჭმა შემოურბენივა კონვერტში გახვეული წერილი.

_ ოჰ, ღმერთო ჩემო!… იროდიონ ვოროტილოვის ხელია!.. თვით მისი მაღალღირსების!.. ოჰ, ნეტავ თუ რა სწერია!.. შესდეგ, გულო ჩემო, რა ყელში მომბჯენიხარ!!.

იუდას ხელები ძალზე აუკანკალდა, მუხლებმა თახთახი უწყეს, ბოლოს მთლად უმუხთლეს და იუდა უნებლიედ ჩაეშვა სავარძელში. თავში ათასნაირი ფიქრები აუქოთიალდა: ვაითუ წუხანდელი ჩემი ლაპარაკი ორპირობად მიიჩნია და დავიღუპე: ვაითუ იმის თვალში ღამურად არა ვარ დასახული და ისევ წუწკ თაგვად დავრჩი?! ვაითუ ამხანაგებმა ჩემი ტყავის შიგნითა პირი უჩვენეს?!. მაგრამ

იმათ ხომ არ იციან ჩემი იდეალი, ხომ არ იციან, თუ მე რა დევიზი მაქვს გაღმერთებული ცხოვრებაში?.. მწ! ტყუილია სულთქმა, ვიში! _ უნდა გავხსნა ხომ მაინც! რაც იქნება, იქნება!

გადასწყვიტა, გული გაიმამაცურა. წერილი ჯერ სინათლეზე ააპროწიალა, უპოვნა ნაწიბური და ფრთხილად გახსნა. მე არ ძალმიძს ჩემის მცირე კალმით გადავცე მკითხველს ის მომენტები და პოზები, რომლებიც წერილის კითხვის დროს იუდამ მიიღო. უნდა ფოტოგრაფი ჰქონოდა ადამიანს და სხვადასხვა მომენტები წერილის კითხვის დროს და პოზები იუდასი დაესურათებინა, მაგრამ რაც ძალი შემწევს, ვეცდები, მკრთალად მაინც დავასურათხატო ეს შესანიშნავი ეპიზოდი იუდას ცხოვრებისა.

«დიდად პატივცემულო იუდა თადეოზის ძევ», _ ასე იწყებოდა რუსული წერილი მისი მაღალღირსებისა.

ეს რომ წაიკითხა, ღეჭიაშვილი სავარძლიდან წამოდგა, ცოტა მომაგრდა, თავის კაბინეტს თვალი მიავ-მოავლო. შუბლიდან სევდის ბურუსი გადაეყარა და ცალ ლოყაზე წითელი ფოლაქი ააჩნდა...

«დიდი ხანია თქვენს მსჯელობას, მიმართულებას, ყოფა ქცევას დიდი გულმოდგინებით თვალყურს ვადევნებ; თქვენი დიადი ნიჭი, ნიჭი განსაკუთრებითი უფროსთა მორჩილებისა, რომელსაც თვით სახარებაც გვასწავებს, მე ყოველთვის მაკვირვებდა, მაგრამ გული მაინც უცებ ვერ დავაჯერე თქვენს ჩემდამი ერთგულებაში: წუხელის კი სრულიად მომხიბლეთ!!.

იუდამ თავი ვეღარ შეიკავა, დაპროწიალდა რეტიანივით, ჯერ გულზე მიისვ-მოისვა ხელი, მერე თავზე გადისვა, შვებით ამოიქშინა და სიამოვნების ღიმმა სახეზე და განსაკუთრებით ზედა ტუჩზე ციმციმი დაუწყო; მეორე ლოყასაც ააჩნდა წითელი ფოლაქი და მთლად სახემ სამხიარულო გამომეტყველება მიიღო.

...»მე დიდი ხანია დავეძებ იმისთანა ადგილობრივ მკვიდრსა... ნფრჯუჯ გჰტლფყყჯუჯ^ გჯლ[ჯლზიტუჯ ლკზ ყფვტხტყყჯქ წტკბ ნეპტვწფ, რომელსაც შეეძლოს ჩემი იდეალის განხორციელება. და აი თქვენა გპოვეთ, განგებამ თქვენი თავი მიწყალობა»...

ღეჭიაშვილს სისხლი აუჩქროლდა, ნაკადულივით ეცა თავში, ის გაქანდ-გამოქანდა კაბინეტში, ხელები გაშალა, თვალები გააჭყიტა; ფეხის თითებზე შედგა და თითქო ჰაერში აფრენას ლამობდა; აქოთებულმა სისხლმა გააქანა, კედელს მიანარცხა და სავარძელში თავდაყირა ჩავარდა; გრძნობს, რომ ირჩობა, სიკვდილად იწურება და შორდება დიდებას, რომელსაც მაღალღირსება ჰპირდება... ღეჭიაშვილმა უკანასკნელი ძალი მოიკრიბა, გულზე მაგრა მოიჭირა ხელი, ფრჩხილები ხორცში ჩაუყარა, წამოვარდა, ეცა მაგიდაზე მდგარ სურას და მთლად თავპირზე ჩამოიქცია ცივი წყალი. მოცნობილდა იუდა, სისხლმა წაღმა უწყო კვლავ ბრუნვა, გამოერკვა, დარწმუნდა, რომ ცოცხალია და ხელის ცახცახით შეუდგა წერილის დათავებას.

...»ამიტომ, უძვირფასესო იუდა თადეოზიჩ, მე თქვენ გნიშნავთ ჩემ მარჯვენა ხელად, რათა განახორციელოთ ჩემი იდეები»...

აქ კი ღეჭიაშვილი მთლად გადაირია, ვეღარ მოითმინა, მძლავრად დაარტყა მაგიდას მუშტი, ყელში უხვად მოწოლილის სიამოვნების ნიშნად და საშინლად დაიღრიალა: _ ეს ერთი და ღმერთი!.. დავიჭირე!..

ღრიალმა და ბრახუნმა ღეჭიაშვილის ბავშვები შეაშფოთა; შემოვარდა ჯერ უფროსი შვილი ქლოშინითა; მიიხედ-მოიხედა, ხედავს, მამას არ უჭირავს რა.

_ რა იყო, მამა, რა დაიჭირე? _ ჩაეკითხა შვილი.

_ სულელო, რამ შეგაშინა? შენ, როგორც უფროსი შვილი, ხომ ჩაგახედე ჩემს გულში, ჩემი იდეალები ხომ იცი?

_ ერთი კურდღელი დაიჭირე?.. ჰოო! _ ჩაეკითხა შვილი მამასა და იმასაც სიამოვნების ღიმმა უწყო ტუჩებზე ციმციმი... _ როგორ, მამილო, როგორ? მითხარი ჩქარა.

_ მეხუთე ხარისხის ჩინოვნიკი ვარ, უფროსი მთელის ორის ქვეყნისა.

ორ პატარა შვილს იუდასას კარებიდან ციყვებივით გამოეყოთ თავები და ყურს უგდებდნენ მამა-შვილის ლაპარაკსა...

_ წადით, წადით ყველანი, დათა გეტყვით, რაც ამბავი იყო... ვაი, შენ ჩემო თავო! _ შემოიწკაპუნა ლოყაში ხელი იუდამ, _ თავი და თავი კი ვერ ჩავათვალიერე _ წერილის ბოლო. _ აიტაცა საჩქაროდ წერილი მაგიდიდან და ხმამაღლა წაიკითხა:

...»მაქვს პატივი ყოფნად თქვენდამი მუდამ მოყვარული და მზა სასამსახუროდ ირ0დიონ ფრ0ხ0როვიჩ ვ0როტილ0ვი».

«მუდამ მოყვარული და მზა სასამსახუროდ!» რამდენჯერმე ჩაიმეორა ეს სიტყვები გუნებაში და რამდენჯერმეც ზედ დააყოლა შორისდებული: «ჰმ!... შემდეგ წამოდგა და ბიჭს მუნდირის გაწმენდა უბრძანა.

_ წავალ, წავალ, ვეთაყვანები ირ0დიონ ფრ0ხ0როვიჩსა, გაულოკ ფეხებს, ხელებს და მთლად გავლოკ თავიდან ფეხებამდე...

მივიდა სარკის წინ, ულვაშები გადიგრიხა, თვალ-წარბი აიჭიმა.

_ მე უნდა გენერალი გავხდე; წითელსარჩულიანი პალტო ვაფრიალო.....ააა! ახლა კი ვეღარ წაუვლენ ჩემს ბრჭყალებსა ჩვენებური სეპარატისტები, ჩემი დაუძინებელი მტრები!.. იმ ბაიყუშს, იმ დიდს სეპარატისტის სახელმძღვანელოებს სულ ძირიანად ამოვაგდებ; იმ საყმაწვილო ჟურნალს, რომლის რედაქტორს თვალის დასანახავად ვეჯავრები, დღეს მოვუსპობ; ხოლო ქართულ მარსელიოზის დამწერს ციმბირს იქით გავაცილებინებ... მაცადონ, მაცადონ, ახლა!!. _ იმუქრებოდა სარკის წინ მუნდირის მოლოდინში; მერე გაბრუნდა და კოწიაწით დაიწყო ოთახში სიარული.

IV

_ აქნამდე აღმართ აღმართ მივდიოდი, დიდი ჯაფა და გაჭირვება გამოვიარე; დღეს კი მინდვრად გაველ, გავივაკე, ვაკე-ვაკე ვივლი, ცოტა ამოვისუნთქავ და ჩემს საქმეებს მოვაწყობ. თუ უნდა თავისი იდეები განახორციელოს, მე მაგრა უნდა ჩამჭიდოს ხელი, მეც იმას დავეკიდები კალთაზე და ფონს უფრო ადვილად გავალთ შეერთებულის ძალითა... ბიჭო, მუნდირი! _ დაუყვირა ბიჭსა. _ უნდა ეხლავე გავიქცე და მუხლები გარდვუკოცნო..... ღმერთო, რა დიდებული კაცია, რა ჭკუიანი, ნაკითხი, მომზადებული! მე უმაღლესი სასწავლებელი გამითავებია და იმას საშუალო, ან კიდევ სხვებსა. ეხლა შეადარეთ და! ისე ვერ დასწვდებიან ისინი ირ0დიონს, როგორც ცა დედამიწას. არა, სად გამოიცა და გასალმასტერდა! ეხლა ჩემისთანა «ზნაჩოკიანები» მუხლს ვულოკავთ, თავს ვევლებით...აჰ, ბიჭო ისიდორე, მუნდირი-მეთქი! _ და გაჯავრებულმა ზარის ღილს თითი მაგრა დააჭირა. _ ჩუ! ზარის წკარუნია, ერთიც ვნახოთ, ირ0დიონ ფრ0ხ0რიჩ ვ0როტილ0ვია!... მაგრამ რას ვბოდავ, ის ხომ ჩემზე დიდია ხარისხით, ადგილით, თანამდებობით, რად მოვა იგი ჩემთან. მე თვით უნდა ვიახლო პაპს რომში, მე!!.

_ ვიღაც გახლავს და თქვენი ნახვა სურს, _ უთხრა ბიჭმა.

_ რა უყავ მუნდირი?.. ეი, ისიდორე! გამიგონე, მე დღეიდან ის აღარ ვარ, რაც ვიყავი!.. მაღრიალებ ამ სისხო კაცსა! მილიონჯერ დაგიყვირე _ მუნდირი-მეთქი! იმდენი ჰქენი, ვიღაც კაცი მომაყენე კარსა... მოვიდეს.

იუდა თადეოზიჩი უცებ ავგუნებად შეიქნა. რა ხუმრობა იყო! კაცს მეხუთე კლასის თანამდებობა ზურგზედ წამოჰკიდეს და ვინც წამოჰკიდა, ლამის იმ დილით უნახავი დაურჩეს და მოდი და ავგუნებად ნუ შეიქნება. ჯერ ტრფიალით კაცი არ გამაძღარიყო და ვიღაც ოხერმა ხელი შეუშალა, სწორედ თავი ჰქონდა მოსაკლავი; კიდევაც გაუელვა ამ ბოროტმა აზრმა თავში, მაგრამ მომავალმა დიდებამ მალე წაშალა მისი კვალი. მინამ ზარის დამწკარუნებელი შემოვიდოდა, იუდა სულ კბილებს აკრაჭუნებდა. მე სწორედ მეგონა, ეცემოდა დაუპატიჟებელ სტუმარს და კბილებ ფრჩხილებით მთლად გაჰფათრავდა, მაგრამ სტუმარის დანახვაზე ღეჭიაშვილმა კარგი არტისტივით პოზა გამოიცვალა, მალაყი გააკეთა და თავი მხიარულად მოაჩვენა.

_ კაცო, ბიჭოს! ამას ვის ვხედავ? კაცო, რა ზარის რეკვა ასტეხე, პირდაპირ ვერ შემოხვიდოდი. ყველა ლიტერატორს, ყველა მამულიშვილს ჩემთან, როგორც ლიტერატორთან, შუამავალი რად უნდა. პირდაპირ, ძმაო, პირდაპირ ბრაგვანი უნდა გააყრევინოთ დარბაზში... ჩემო ძვირფასო აპოლოს გივიჩ, როგორ გიკითხო, ჰა! _ მიეგება გალესილის ენით ბ. იუდა ღეჭიაშვილი აპოლოსსა.

_ დიდი კაცი ხარ, შვილოსა! ამიტომ პირდაპირ შემოსვლა ვერ გავბედე. ყური მოვკარ ამ დილით, ვითომ დიდ ადგილს უნდა გაძლევდნენ, ვითომ მლიქვნელობით და ხელის ლოკვით მიგეღოს...

_ აი ესა ვართ ქართველები, ჩემო აპოლოს! ერთმანეთისათვის პირში სული გვშურს, ერთმანეთს პირიდან ლუკმას ვაცლით. თუ მე მივიღებ მაღალ ადგილს, მაშინ ხელთა ლოკვით და მლიქვნელობით იქნება, თუ სხვა ვინმე, მაშინ არა?.. მე ტყუილად მდევნით.

_ მე შენ სულაც არ გდევნი.....ძმაო იუდა, მე... ფუჰ, დასწყევლოს ღმერთმა, კაცო, ქვეყანაზე სახელი გაგიწყდათ, რომ ასეთი უბედური სახელი დაურქმევიათ? ძველებურად ისევ იაშას დაგიძახებ, და თუ ღმერთი გწამს, გამოაცვლევინე ეს სახელი, ითხოვე და კონსისტორია იაკობად გადაგიკეთებს...

_ მე ხომ ვერ დავირქმევდი და კალენდარმა ეს მარგუნა... მაგრამ ბოლოს ბევრი ვატრიალეთ ეგ სახელი და ეროდეთი გამოვიტანე მეტრიკა...

_ აი კაი მოგცა ღმერთმა!… ერთი ქრისტეს გამყიდავი იყო, მეორე ყრმათა ამომწყვეტი, რომელიც ცდილობდა ქრისტე იესოც მათში მოეყოლებინა. არა, ძმაო, შენ ისეთი სახელები აგკვიატებია, რომ კეთილი ბოლო არ გექნება, ეგ სახელები გადაგიტანებენ თანა...

_ საქმე სახელი არ არის, სიტყვა სახელი ფუჭია, უმნიშვნელოა, თუნდა ძაღლუა დამარქვი. აკი ჰქვიანთ სამეგრელოში პირუტყვების სახელები, მაგალითად, ჯოღორია, რაიც ძაღლს ნიშნავს, ჩემი მოსახელე იუდა ისკარიოტელი კი არ იყო, არამედ ხორციელი ნათესავი იესო ქრისტესი, ძმა იაკობ მოციქულისა, თვითცა მოციქული, დამწერი ეპისტოლესი, მქადაგებელი მაღალი ზნეობისა; «გძულდინ ხორცთაგან შეგინებულიცა იგი სამოსელი», ამბობს ის თავის ეპისტოლეში, ჰხედავ? ის იყო ლიტერატორი, მეც ლიტერატორი ვარ, ჩემი მოსახელის კვალს ვადგივარ... მე ჩემი საუკეთესო დღენი შევალიე სამშობლო ლიტერატურასა. აი შეხედე! რამოდენი მასალა მაქვს შეკრებილი. ვიკვლევ წმინდა ნინოს ვინაობას. სულ ახალ-ახალი, სულ კეწკეწი საბუთები მიპოვნია და შენ კი რაღაც სახელზე მელაპარაკები,

სახელს მიწუნებ.....მგონი, შენ სიზმრადაც არ მოგსვლია, თუ რა დღეს იყო ნინოსაგან ჩვენი ქრისტიანად მოქცევა. შენ დღესაც გგონია, რომ 14 იანვარს იყო, არა?.. მაგრამ სცდებით ყველანი; 14 იანვარს, შუაგულ ზამთარში, მტკვარში რომელი ოხერი ჩავიდოდა შიშველ-ტიტველი მოსანათლად..... რას მიყურებ ეგრე გაოცებული? გამოგარკვევ გაოცებიდან: ჩვენი მოქცევა ყოფილა მაისში...

_ მე გაოცებით მაგიტომ არ გიყურებ, ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როდის გავქრისტიანდით: იანვარში, თუ მაისში; ჩემთვის მხოლოდ ფაქტს აქვს აზრი და მნიშვნელობა, ფაქტი კი ასეთია: ჩვენ მივიღეთ ქრისტეს აღსარება წმიდა ნინოსაგან მეოთხე საუკუნეში... მე მაოცებს შენი გადაცემ-გადმოცემითი ლაპარაკი... მე ჯერ საბუთი არ მომიცია მაგნაირის ლაპარაკისა. შენ, გატყობ, რაღაცა გწვავს გულსა, რაღაც ხინჯსა ხედავ შენს გულში, თორემ რად წამართვი პირიდან სიტყვა, რად წიწმატობ... მე თაყვანსა ვცემ შენს მოღვაწეობას; შენ ერთობ წინ წასწიე ჩვენი ისტორიის საქმე, ეკლიანი გზა ამ ისტორიისა გაჰკვალე და გაუადვილე შენს შემდეგებს «სავალი გზა». მე პირში ბურთს ჩავჩრი ხოლმე იმათ, ვინც შენ ცუდად გიხსენიებს, მაგრამ ისტორიის კვლევა სხვა არის, კაცური კაცობა კიდევ სხვაა, შუა დიდი ზღვარი უდევთ. რად მინდა შენი ისტორიკოსობა, თუ დღევანდელს დღეს პირნათლად არ ემსახურები, თუ შენ ახალ თაობას ჩაჰკლავ, ენას მოჰკლავ, ენას მოჰგლეჯ და წმიდათა წმიდას შეუგინებ. შენ გწამებენ, რომ მოღალატე ხარ სამშობლოსი, _ უთხრა მტკიცედ აპოლოსმა.

_ არა, არა! მე ცუდად სახსენებელი არ ვარ. თავდადებული ვარ ქართველ მოღვაწეთათვის, აი მაგალითად: წარმოიდგინეთ, ჩვენს საბჭოში ვიღაც ოხერს, უნამუსო და გულხავსს ადამიანს წარმოუდგენია, ყმაწვილო, ჩვენი დიდებული პოეტის აკაკის ლექსი «ხანჯალი». ეს ლექსი ქართული «მარსელიოზაა», აღშფოთდა ყველა, მე დამიწყეს ცქერა, თვალით გამხვრიტეს. _ იტყუა იუდამ და სახეც არ შეიცვალა ამ ტყუილ ლაპარაკის დროს; იტყუა იმიტომ, რომ აპოლოსმა კუდზე ფეხი დაადგა, გულში სიმართლის ისარი მიარტყა. _ დიახ, მე თვალით გამხვრიტეს, _ დაიწყო კვლავ იუდამ და თან თვალს ადევნებდა აპოლოსს, აბა როგორ იმოქმედებს იმაზე ჩემი ლაპარაკიო, მაგრამ ამ დროს იუდას რაღაც უცნაურმა ხმამ ამოსძახა:

«სირცხვილი შენთვის!»

ალბათ სადღაც კუნჭულში კიდევ ჰქონდა თავი შეფარებული სინიდისის ნატამალსა.

იუდა შეაძაგძაგა ამ ხმამ, ყური წაუგდო.

_ კაცო, რას შეკრთი და შეჩერდი? _ უთხრა გაოცებით აპოლოსმა.

_ თითქო რაღაც ხმა შემომესმა ქუჩიდან... ჰო, იმას ვამბობდი... მე თამამად წავდექ კრების წინაშე და ამაყად მოვახსენე: რის «მარსელიოზა» მეთქი; შინაარსი ამ ლექსისა შახ-აბაზის დროიდან არის აღებული. შახ-აბაზმა მძლავრად შეარყია საქართველოს ძლიერება; ის გაბოროტებული იყო საქართველოზე განსაკუთრებით იმიტომ-მეთქი, _ აქ მე კრების წინაშე ლოგიკურად ავიმაღლე ხმა, _ რომ საქართველომ იმ ხანებში ერთობ გაახშირა რუსებთან კურკური-მეთქი.

_ ვაჰ, ვაჰ, ბაშხადუნ, იაშავ, ბაშხადუნ!.. ეგრე სთქვი, სწორედ ეგრე?.. მე კი როგორღაც არ მეჯერება _ და!

_ დიახ!... ვსთქვი და ეგრე!.. _ აქ იუდამ დოინჯი შემოიყარა, ცალი თითი შუბლზე მიიდო და ტრაგიკული პოზა მიიღო.

«სტყუის!»

კვლავ შემოესმა იუდას სინიდისის ხმა და ტრაგიკული მდგომარეობიდან კომიკურში ჩავარდა.

_ აპოლოს, შენც გაიგონე? _ უთხრა თვალებდაჭყეტილმა იუდამ.

_ რასაკვირველია, გავიგონე; ყრუ ხომ არა ვარ, მერე ეგრე მაღლა ლაპარაკობ... ჰო მართლა, მისი მაღალღირსება იქ არ იყო? _ ჩაეკითხა აპოლოსი.

_ მისი მაღალღირსება იროდიონიც იყო, დავითიც, ნიკიტაც და თვით სულელი «პოპკაც»... მაშ? იმათ პირები დააღეს და ჩემი მძლავრი არგუმენტების წინაშე მუხლი მოიდრიკეს... მე ისინი მუჭში მყავს დაჭერილი, იმათთვის საჭირო კაცი ვარ: უნდა ჰყავდეთ ვინმე ჩვენთაგანი თუ არა; თუმცა ჩვენ იმათ ვეზიზღებით, მაგრამ ერთბაშათ ხელს ვერ აიღებენ ყველა ჩვენზე და აი მე იმიტომ ვყევარ მიჩნეული; ჩემი შიშიც აქვთ, რიდიც და პატივისცემაც.

მამალმა მესამედ შემოჰყივლა იუდას გულში, მაგრამ ყური შეეჩვია სინიდისის მხილებას და აინუნშიაც აღარ ჩაიგდო.

_ შენს ლიტერატურულს მოღვაწეობას კი არ აფასებენ ისინი, ალბათ რაიმე ხელმოსაჭიდი იპოვე შენს გულში. ისინი თითონვე გიყოლიებენ, თავს გიქონავენ, ხელს გჭიდებენ, თან გულში ზიზღის საკმეველს აღვივებენ და შენ გიბოლებენ; მანამ საჭირო იქნები, მოგიხმარებენ, გამოგფიტავენ და მერე, როცა ვეღარ შესძლებ იმათ იდეების სამსახურს, დაგაგორებენ სამსახურის მაღალ საფეხურიდან და ძირამდე სულ რიხინ-რიხინით ჩამოხვალ. სავსეა ისტორია ამგვარის ფაქტებითა. დამჩაგვრელი დაჩაგრულს მუდამ და ყველგან ასე უშვრება.

_ ქართველები კი სხვანაირად სჯიან. ჩინ-ორდენებს ემსახურებაო, _ განაგრძო ღეჭიაშვილმა ისე, ვითომ ვერ გაიგონა აპოლოსის პასუხი....._ რას დააშავებს, ჩემო აპოლოს, ჩინ-ორდენებიც გამოვიკრა და ჩემ ქვეყანასაც გამოვადგე.

_ ეგ ხომ ორთა უფალთა მონება გამოდის. «ვერ ხელმწიფების ღმრთისა მონებად და მამონასი», ამბობს მაცხოვარი.

_ აი მაგას კი შენგან არ მოველოდი. რა უშავს, რომ ორს უფალს ემსახურო, ორთავე მადლიერი გყავდეს...

_ ყოვლად შეუძლებელია, _ გააწყვეტინა აპოლოსმა, _ ეშმაკს რომ კელაპტარს დაუნთებ, ანგელოზს ეწყინება; ანგელოზს დაუნთებ, ეშმაკი თვალებს დაგიბრიალებს.....თავი მახეში ჩაგიგდია, ძმაოჯან, მახეში!.. მართალია, შენ გარემოება გაიძულებს ორთა უფალთა მონებას, მაგრამ გაწყვიტე ეგ ჯაჭვი მონებისა, შენ ლიტერატურული შრომითაც შეგიძლიან ცხოვრება. სხვა სახსარიცა გაქვს ცხოვრებისა. მოდი, იაშა, რაც გახდეს და გახდეს, შეაფურთხე იმ შენს სამებას, მოშორდი იმ მყრალ ჭაობს, რომელსაც შენი დახრჩობა, აშმორება და მოწამვლა სურს; სურს არა მარტო შენი, არამედ შენით მთელის ქვეყნის მოწამვლა... ძალიან კარგი! ვთქვათ, შენ შენი არ დაიშალე, ჩაები იმათ ფერხულში; გაიმსე ჩინ-ორდენებითა და შენს ხალხს, შენს ქვეყანას კი პირზე ტყავი ჩამოაცალე, უღალატე. ბოლოს და ბოლოს, როგორც წეღანაც გითხარი, მიბრძანდის გეტყვიან, კინტოს თქმისა არ იყოს, «ჟესტს» შეგაბამენ; სამშობლოს ხომ ვეღარ გაექცევი. სიბერე გულის, დაჩაჩანაკება. რა პირით უნდა უცქირო შეს ქვეყანასა. სჯობიან, კაცი მარტოდმარტო ქვეყანას ემსახუროს...

_ ხა,ხა,ხა! _ ჩაიცინა იუდამ, _ რაებს ჩმახავ, აპოლოს ჩემო! მე დიდება მწყურიან, დიდება!.. ჩემი ქვეყანა რა ლუკმას შემაჭმევს.

დიდების სურვილმა ისე გაიტაცა ბ. ღეჭიაშვილი, რომ გაუშალა აპოლოსს თავისი გულის ბოღჩა და რაც კი რამ დამპალი ფართალი ელაგა შიგ, სულ გადმოუშალა.

_ მგლის თავზე სახარებას ვკითხულობ, _ სთქვა თავისთვის აპოლოსმა და ლაპარაკის კილო შესცვალა. _ ღმერთმა შეგაძლებინოს ორთა უფალთა სამსახური. გაფრთხილდი კი, ბევრი მტრები გყავს, არც მოყვრები გაკლია: ერთი მათგანი აგერ შენს წინა დგას; ხომ იცი, ამჟამად სათავეში ვუდგევარ ქართულს ლიტერატურას, ყველას კრიჭას შევუკრავ, შენზე ხმას არ ამოვაღებინებ, მხოლოდ შენ ხანდისხან....._ და აპოლოსმა თითებით უჩვენა, ხანდისხან ფულით დამეხმარეო.

_ კაცო, გაიგეთ, დარწმუნდით, რომ ჩემის ქვეყნის სიკეთისათვის წელებზე ფეხს ვიდგამ... აი, ამ ორ დღეში დავათავებ წმ. ნინოს შესახებ ახალს გამოკვლევასა. შემდეგ უნდა შევუდგე ვახტანგ გორგასლანის ხანას და ჩვენის ეკლესიის ავტოკეფალობის ამბავსა.

_ ჩემი ჟურნალისათვის მამეცი მაინც, მინდა კლერიკალურ ჟურნალად ვაქციო. არა გამოდის რა, რომ თანამედროვე აზრებით თავი იტეხოს კაცმა.

_ დიდი სიამოვნებით... აპოლოს ჩემო, უკაცრავად, რომ თავი უნდა დაგანებო, კრებაზე წასვლა დამიგვიანდა. დღეს სწყდება უდიდესი საკითხი: მეგრელები ქართველები არიან, თუ მეგრელები, ე.ი. ცალკე ერს წარმოადგენენ თავის ყოველივე ეროვნულის ელფერით, თუ არა... დღეს უნდა გუდა-ნაბადი დავაბერტყო კრებას... ბიჭო, მუნდირი!

_ მერე ჩინ-ორდენები? _ ეშმაკურად ჩაეკითხა აპოლოსი _ ნახვამდის!.. გახსოვდეს, წმიდა ნინოზე წერილი ჩემია, ისიც არ დაგავიწყდეს, _ და თითებით კვლავ ფულები მოაგონა და გავიდა.

_ წადი, წადი, შე გუდამშიერო ლიბერალო, შენა! _ დაბალის ხმით მიაძახა ღეჭიაშვილმა. _ მოგცემ წერილსაც და ფულსაც... აქაც მომხრეები მყავს, იქაც თვალებს ვუბრმავებ... უნდა კაცმა ყველგან და ყოველთვის მელასავით კუდი იქნიოს ხან აქეთ, ხან იქით. მომწონს მე მოლჩალინის მოძღვრება: მეეზოვის ძაღლსაც კი პატივი უნდა სცეო. «Хნჯ,ს კფცრჯდფ ,სკფ».

ბიჭმა მუნდირი მოართვა, გამოეწყო სარკის წინ, მესამე ხარისხის ორდენებს _ ანას და სტანისლავას სახელო გადაუსვა და ბზინვა დააწყებინა.

_ პატარა კიდევ დამაცადეთ, ჩემო ვარდებო!.. ეხლა მოწყენით ხართ, არა! მალე ამხანაგებს გიშოვნით და მაშინ უყურეთ!.. _ იაშამ თითები ამოუცაცუნა ორდენებს ალერსის ნიშნად, ერთი კიდევ გადაუსვა ხელი და გასწია კრებისაკენ.

V

ტყვიისფერი, ცვარებით დატიკნილი ღრუბლები სქლად გადმოჰფარებოდა ხმელეთს და თითქოს ლამობდა იმის შესანსვლას, ან ცაში ატაცებასა, ცა გაცხარებით გრგვინავდა და წვიმა ღაპაღუპით ჩამოდიოდა დედამიწაზე. პირუტყვი თუ მეტყველი არსება _ ყველა შეყუჟულიყო თავის ბინაში; ძაღლები მორკალული იწვნენ მყუდრო ადგილას, ცხვირები ღრმად წაეყოთ ფეხებშუა, თვალებს კრუტავდნენ და ძირს ეპირებოდნენ. ნისლი დაჰქროდა მთა-ბარზე; ხან თავს გადაუვლიდა მთა-ტყესა, ხან წყლის პირს დაეკროდა და მდინარე რიონის ჭალა-მინდვრებს ეკონებოდა. ბუნება მთლად დარჩენოდა წვიმას და ღრუბელ-ნისლსა; დაღვრემილ-მოღუშული ცა ადამიანს გულს უწყალებდა; სიჩუმე იყო ყველგან, მხოლოდ ხანდახან მოწყენილობას და მდუმარებას ბატები და იხვები

არღვევდნენ; რომის მხსნელები მხიარულად ჭყუმპალაობდნენ წვიმისაგან შემდგარ გუბეებში, ფრთებს იკორტნიდნენ, ხტოდნენ, ყიყინებდნენ, კივკივობდნენ, ფრთებს სცემდნენ გუბეს და წყლის წინწკლებს აქეთ-იქით ჰფანტავდნენ. სიმხიარულე-სიამოვნებაში ბატებსა და იხვებს არც მინდორ-ველი და ხეხილი ჩამორჩენოდათ: წვიმისაგან დაბზენილ-დაწმენდილი ფოთლები ხეხილისა და მდელო ლაჟვარდის ფერად გამოიცქირებოდა; სიცოცხლე ჩქეფდა მათში; ხის ტოტებს თავები მაღლა აეღირათ, იმათი ფოთლები ზედ შემდგარ ცვარებს ეთამაშებოდნენ; ცელქი ცვარებიც დასრიალებდნენ ფოთოლ-ფოთოლ, ძირს წკაპა-წკუპით ჩადიოდნენ, მიძვრებოდნენ ჭიებივით მიწის გულში, საიდანაც ისინი ამას წინათ მზემ ცაში ღმერთთან ორთქლად აიტანა.

ამ მოშავბედებულ დღეს სამტრედიის სადგურზე, სადაც მუდამ ხალხის ჭედვაა ხოლმე მატარებლის მისვლის დროს, თითო-ოროლა კაცი ღივღივებდა. ისინიც ალბათ საჭირო საქმეს თუ გამოეყვანა გარეთ, თორემ ამ ძანძახ დღეში უსაქმოდ იმ სადგურთან ვინ ამოვიდოდა. იმ დღეს სადგურთან ყველას ყურადღებას იქცევდა ერთი კაცი, როგორც მოუთმენელის სახის გამომეტყველებით, ისე უცნაური ტანსაცმელითა. თავზე ეხურა უცნაური, განიერი და მაღალი ჩალის შლიაპა, რომელიც თვალებამდე ჰქონდა ჩამოფხატული და ოქროს სათვალეებს დანდობოდა; ზემოდან ტანზე ეცვა გრძელი, თხელი, შავი ანაფორასებური პალტო, რომელსაც სოფლად კლოკს უძახიან; პალტოს სახელოების მაგივრად მკლავების გამოსაყოფი ჰქონდა; ზემოდან მოკერებული იყო იმავე ფარჩის განიერი, ბეჭებამდე გადმოკიდებული საყელო, რომელიც ქარისაგან ფრიალებდა, ხან თავზე გადაეფარებოდა და მთლად დამალავდა პატრონს და ხან ყელზე შემოექნებოდა. ეს ვაჟბატონი მოუთმენლად დადიოდა ამ საშინელ წვიმაში გარეთ, პლატფორმაზე, არ ეპუებოდა წვიმის შხაპუნსა, მალიმალ დაჰყურებდა საათსა და გაჰყურებდა რკინიგზის ლიანდაგს აღმოსავლეთისაკენ. სულწასულ ბავშვივით ცმუკავდა ლოდინის გამო, ეტყობოდა, რომ მატარებელს ელოდა. ყველამ შეამჩნია, რომ ეს კლოკიანი კაცი ან ერთობ სასურველს კაცს მოელის, ან გულის სატრფოსაო. სამნაირად ეცვლებოდა სახე: წამს შენიშნავდით, სახე გაუბრწყინდებოდა, ულვაშებში ღიმი ააჩნდებოდა, რის გამო, ულვაშის ღერები უთამაშებდა, წამს შეამჩნევდით, რომ მოიღუშებოდა და მოიბუზებოდა, როგორც იმდღევანდელი ცა, წამს გაშტერდებოდა, როგორც ერთი, ვინმე ხელი.

სადგურის ზარმა ამცნო ყველას მატარებლის გამოსვლა მახლობელ სადგურიდან. სადგურის ჟანდარმები ხმლების ტლაკუნით ზარმაცად გამოპრაკუნდნენ პლატფორმაზე. ჩვენი ნაცნობიც შეიშმუშნა, მოლოდინისაგან გამოწვეულმა გულის ღრღნამ გადაურა, ხალისიანად დაიწყო სიარული პლატფორმაზე და ჯოხს აპროწიალებდა თამამად ჰაერში, რაკი დარდი არა ჰქონდა მოხვედრიყო ვისმეს.

სადგურის უფროსის ღორიც, თითქო ალღო აიღო, რომ მატარებელი მოვაო, კუდის პრეხით, იქვე პლატფორმის გაყოლებაზე, ლიანდაგის პირად, დაღრუტუნებდა, და როცა ჩვენი ნაცნობი კლოკოსანი ჯოხის პროწიალით ჩაუვლიდა, დრუნჩს მაღლა აიღებდა, თავს ცოტა განზე გადახრიდა, ჯოხი არ მითავაზოს ამ ვაჟბატონმაო, რაღაცას შეჰღრუტუნებდა კლოკოსანს და ალმაცერად გადახედავდა ხოლმე, თითქოს ეუბნებოდა: შენ თუ ფილოსოფიურად დააბოტებ და ჩაფიქრებულხარ, მე რაღა შენზე ნაკლებ ვფილოსოფოსობო, ვერა მხედავ, სიბრძნე ყელში აღარ მეტევაო. თუ კლოკოსანი ვისმეს ელოდა, ჩვენი ქუცუნიაც

მოლოდინში იყო: მგზავრები მოვლენ და არ შეიძლება ვაგონიდან ჩემი საკბილო ნახორხლები არა გადმოუძახონ რა ძირსაო.

აგერ მატარებელმა მოირბინა ფეთიანივით. ჩვენი ნაცნობი დაფაცურდა და გაქანდა პირველი კლასის ვაგონისაკენ.

_ Yχცბკმობრ^ ყχცბკმობრ! _ გაისმა ხმა ვაგონიდან, საიდანაც თავი გადმოჰყო ერთმა ოქროსსათვალიანმა კაცმა, რომელსაც თმა უკან ფაფარივით ჰქონდა ჩაშვებული.

ჩვენმა ნაცნობმა ამ ხმაზე მიირბინა ვაგონის ფანχარასთან და მხიარულის ხმით შეჰღაღადა:

_ აქ გახლავარ!

_ ააა, იუდა თადეოზიჩ!.. დამიხვდით!.. თქვენ არ მინდიხართ; მხოლოდ გაისარχეთ და მებარგულეს დაუძახეთ.

_ ნუ შესწუხდებით, მე გავწევ თქვენთვის მებარგულობას!.. _ საჩქაროდ ავარდა ვაგონში, ურიასავით წამოიდო ზურგზე დიდი მაფრაშა, პატარა ხელში დაიკავა. შველივით გადმოხტა პლატფორმაზე და წააძუნძულა ბარგი ბუფეტისაკენ.

_ ძვირფასი კაცია! სწორედ განძია! _ სთქვა გუნებაში ოქროსსათვალიანმა.

იუდა თადეოზიჩს სახე გაუბრწყინდა, რომ მოლოდინი გაუმართლდა, თითქო რაღაცამ აიტაცა; თან შესცაცანებდა ოქროსსათვალიანს პირში, თითქო ეშინიან, ოქროები არ გადმოსცვივდეს პირიდან და სხვამ არ დასტაცოს ხელიო, თან კომპლიმენტებს ეუბნებოდა და მიჰყავდა სტუმარი ბუფეტისაკენ.

ამავე დროს სადგურის უფროსის ღორიც დიდად ნასიამოვნები გახლდათ: შეღრუტუნებდა ვაგონის ფანχრებს, ცნობის მოყვარეობით ათვალიერებდა ფანχარაში გადმოყუდებულ მგზავრებსა და თან თვალებს ჭუტავდა. ვიღაცამ ქუცუნიას ამოღრუტნული საზამთრო გადმოუგდო. ქუცუნიამ სიამოვნებით შეითამაშა, დრუნჩზე წამოიცვა საზამთრო და კუდის პრეხით გააქანა ბინისაკენ.

იუდა თადეოზიჩმაც, ბუფეტის ოთახში მოიხსნა თუ არა ბარგი, მაშინვე გამოვარდა დარბაზში და რიხიანად და ხელების ფშვნეტა-მტვრევით დაიძახა:

_ აბა, ჩაი! ცხელ-ცხელი ჩაი!.. კონიაკს ხომ არ ინებებთ, იროდიონ ფრეხოროვიჩ!

_ Fფ! ყტ ვტიფკχ ,ს გტჰტუχჰχლრე ეცნჰχბნმ! _ ჩამოისვა მუცელზე ხელი იროდიონმა, გაიყარა თითები გრძელ თმაში, მიისწორ-მოისწორა წვერ-ულვაში და გადასცეცხლა. _ კარგია ამ დალოცვილი «რუსის» ჩაყლაპვა («რუსის» ჩაყლაპვას იროდიონი ხუმრობით «ოტკის» დალევას ეძახდა). _ ამის თქმის დროს იროდიონ ფრეხოროვიჩმა აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, ულვაშებში ჩაიცინა და დაბლა უთხრა იუდა ღეჭიაშვილსა: _ მგონი, ძალიან მაღალი ჩურჩული მომივიდა; თუ აიმ კუთხეში მსხდომმა ჩინოსნებმა გაიგონეს, იამებათ... იქნება იუდა თადეოზიჩ, თქვენც გიამოთ? მაინც, რაც უნდა იყოს, ქართველი ხართ, გული შეგიფუნდრუკებს «რუსის» ჩაყლაპვაზე, _ ვითომ გაეხუმრა, მაგრამ მრავალმნიშვნელოვნად ჩააშტერა თვალები იუდას და გულზე წკიპურტი მიარტყა.

_ მაგას რას მიბრძანებთ? ნუთუ მართლის გულით მეუბნებით? მაშ χერ არ გიცვნივართ? თუ მაგისთანა აზრები გიდევთ ჩემს შესახებ, იროდიონ ჩემო... ნება მიბოძეთ, ასე გიწოდოთ... ამისთანა დიდს საქმეს რაღას მანდობდით. მე «რუსის» მყლაპველი კი არა ვარ, არამედ ჩემს გულში რუსს დიდი ადგილი უჭირავს; მე დიდი ხანია ჩემის გულიდან ამოვრეცხე ყველა სხვა ერის სახელი და იგი, გული

ჩემი, დავუმკვიდრე ტახტად მხოლოდ მას ერთსა. მე რუსით ვსულდგმულობ, მისგან მოველი ყოველივე სიკეთესა აწდა მარადის და უკუნისამდე...

_ ამინ, ამინ! ვიტყვი მე, _ გააწყვეტინა ეროდიონმა. _ არა, იუდავ ჩემო... ნებას ვითხოვ, მეც ასე გიწოდოთ... ძ გჯიენბკ... ახლა რაკი თურმე თქვენ, ქართველები, როცა ოტკას სვამთ, ამბობთ ხოლმე: რუსი ჩავყლაპე, რუსი ჩავახრჩეო, მეც გავიხუმრე... ეს ქართველ სეპარატისტების მოგონილი იქნება... მერწმუნეთ, რომ ამ თქმასა ორნაირი აზრი აქვს, მაგრამ რუსს ვერავინ ჩაყლაპავს...

_ ყვითელი საფრთხე, იაპოშკა ჰყლაპავს, _ გააწყვეტინა შეზარხოშებულმა სადგურის რუსმა მუშამ, რომელიც მაზუთით იყო შელამაზებული. _ ბუფეტჩიკო, დაასხი პილატეს ცრემლები... აი, ასე ჰყლაპავს პატარა იაპოშკა დეევერხანა რუსსა, _ და გადაუსვა.

_ ნუ, ძმაო, ნუ! ნუ იტყვი მაგას! _ მიეალერსა ეროდიონ ფროხორიჩი და მხარზე ხელი დაადო. _ შენც რუსი ხარ და მეც, არ გვეკადრება ასეთი ლაპარაკი, მერე აქ, სადაც ამოდენა ქართველობამ თავი მოიყარა.

_ ხა,ხა,ხა! _ გადიხარხარა მუშამ. _შენ, ვინ უნდა მოატყუო. ეს ჩოხოსნები ჩვენზე ჭკვიანები არიან, ჩვენზე უკეთ სჯიან საქმეებზე. _ მუშა ჩამოეხსნა და ჩაიარა ჩოხოსნებისაკენ.

ორმა მოღუღუნე მტრედმა კი ბუფეტში ჯდომას თავი ანებეს და ოთახში შევიდნენ.

_ აბა რას მეტყვი, რითი მასიამოვნებ, ჩემო კარგო! როგორ მოაწყე საქმეები? _ ჩაეკითხა ოთახში შესვლისას ღეჭიაშვილსა.

_ გაგახარებ და როგორ გაგახარებ! ყველგან გავგზავნე ცირკულიარები სამშობლო ენის მოსპობის შესახებ, სკოლებში გავამეფე შენი გულის სატრფო ლევიტსკის მეთოდი; მოთხოვნილებისამებრ შენისა გავგზავნე მეორეხარისხოვან სამრევლო სკოლებში რუსი მასწავლებლები, ერთი-ორგან სასწავლებლის გამგე მღვდლებმა წინააღმდეგობა გამიწიეს, მაგრამ მსწრაფლ ვუპანჩურე... დიდი ჯაფა და შრომა კი მჭირდება, ბევრი ოფლი დავღვარე და ძლივს შევაჩვიე მღვდლები და მასწავლებლები ამ ჩვენს დიად აზრსა _ ჩემი შრომა ჭირნახულს ნელ-ნელა იმკის..... დეე, ჩემმა მტრებმა ახლა იცინონ და კბილები აკრაჭუნონ. მე იმათი არ მეშინიან, როცა შენი კალთა მიფარავს თავსა.

_ ჩემი კალთა რაა! შენ უფრო დიდ კალთას ამოგაფარებ: მისი მაღალ-აღმატებულება ბ. პოპკა სულ აღვაფრთოვანე. ვუჩვენე შენი გამოკვლევანი ქართულის ენის კილოკავებზე, მეგრელების და თითქმის გურულებისა... სვანებისა ხომ რაღა ვთქვათ... ჰო, მეგრელებისა და გურულების არა ქართველობა, ვაჩვენე შენი დასკვნანი ამის შესახებ.....ეხლა იმის დარდში ვარ, ვინ ვიპოვნო ისეთი, რომ ფშავ-ხევსურ-თუშთა, გუდამაყრელთა და მთიელთა არა ქართველობაც დაამტკიცოს; ამაზე მოფიქრება გვმართებს; როცა ამ ფრთებს ჩა-მოვაცლით საქართველოსა, მაშინ რაღა დარჩება? არაფერი. მაშინ ამ არაფერის განადგურება ადვილია...

_ აგრე მსჯელობა ფილოსოფიის წინააღმდეგია; არაფერს რაღა მოსპობა უნდა? თვით სიტყვა არაფერი ნიშნავს არაფერობას, თვით მოსპობას; როცა თავსა და ბოლოს შემოვაკვეცთ სხეულსა, იგი თავისთავად მოკვდება... მართლა, ისტორიას დავიწყებული ჰყავს ერთი კაცი, პირველი პიონერი ჩვენის აზრებისა. იგი უნდა ჩაიწეროს ჩვენს დავთარში, გამოიცეს მისი ბიოგრაფია და დაურიგდეს ბავშვებს ყველა სკოლებში, როგორც სამრევლოსა, ისე საეროში. ის კაცია მიხეილ, თუ

გაბრიელ გულბანი, რომელიც გადაცვლილა 1864 წელში ქ. ტფილისს და ასაფლავია ვერის სასაფლაოზე. მისი საფლავის ქვა გვასწავებს, რომ გულბანს უღვწია დასამტკიცებლად ჩვენის დედააზრისა, ე.ი. ამტკიცებდა სვანების არაქართველობასა. მე ვამზადებ იმის ბიოგრაფიას და მოკლე დროში წარმოუდგენ საბჭოს. ის კაცი ძეგლის ღირსია, ძეგლის!

_ ძეგლიც მისი ბიოგრაფია იქნება, რომელსაც ჩვენ მრავლად გავავრცელებთ... მართლა, მართლა, იუდა თადეოზიჩ!…ჩ ნტ,ზ^ ,ჰფნტწ^ ვფუფჰÛხ ცკტლეტნ^ ვფუფჰÛხ! რამ გადამიგდო გულიდან: დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობაზე წარგადგინა ბ. პოპკამ. შემდეგ მხარიღლივ წითელ ლენტს გადაგაკრავთ და დასტკბები ცხოვრებითა. აი ესე კარგია «შტატსკობა»; მე კი ჯორის კუდივით არცა ვგრძელდები და არცა ვმოკლდები, _ სთქვა ღიმილით ეროდიონმა.

_ Gჯკჯ;ბვ!.. თქვენც მალე ეღირსებით მიტრასა. მე თქვენ მოგახსენოთ, ღირსი არა ხართ თუ! არ დაგშვენდება თუ! აი ჩვენს დათას რარიგად უხდება, სწორედ ანგელოზია!

_ დიდებული კაცია, დიდებული!.. დიდი ღვაწლი დასდო დავითმა შენს საქმესაც _ შენს გენერლობას ბ. პოპკასთან.

_ ვინ მოგახსენებთ? უმაგისოდ მე ერთ მანყულადაც არ ვეღირებოდი, ერთობ თავდადებულია ჩემთვის. განსაკუთრებით კი ჩვენი საერთო საქმისათვის.

_ ჰაი, დედასა!! ყველა ქართველები თქვენისთანები რომ იყვნენ, რა მალე შევასრულებდი ჩემს მისსიასა!..

_ გავხადოთ, ეროდიონჯან, _ აქ იუდამ ზრდილობას გადაუხვია, ისე გაიტაცა ეროდიონის იდეამ და ამიტომ მეგობრულის კილოთი დაუწყო ლაპარაკი, რათა უფრო დაეჯერებინა თავის გულწრფელობაში, _ გავხადოთ! იმედიც არის, რომ გავხდით ჩვენისთანებად: ქართველების ტვინი უკვე გადარუსებულია აწინდელი სწავლა-აღზრდის სისტემის წყალობითა... Ìჯპუ უჰეპბყფ გტჰტცნფკ ვსცკბნმ გჯ უჰეპბყცრბ (უნდა მოგახსენოთ, რომ იუდა და ეროდიონი რუსულად ბაასობდნენ). მე ნამდვილად ვიცი, რომ აწინდელი ქართული გაზეთის რედაქტორები, მისი უმთავრესი თანამშრომელნი რედაქციაში სულ რუსულად ლაპარაკობენ, რუსულად მსჯელობენ; დარწმუნებით ვიცი, რომ კრებებზედაც, შინაურ ცხოვრებაშიაც მაღლა მყვირალნი პატრიოტნი რუსულად ლაპარაკობენ. ერთის სიტყვით, იმათ ოჯახში რუსულია გამეფებული, და თუ ჰყვირიან, ქართული, ქართული უნდა იყოს ჩვენს ოჯახში, კრებებზე, სასამართლოებშიო, ამას პირსაფერისად ჰყვირიან, რომ ვითომ უკან არ ჩამორჩნენ თანამედროვე დრო-ჟამსა... მე შენ დაგარწმუნებ, აი დღეს რომ გამოაცხადონ: აჰაა, ქართულად იყოს ყველაფერიო, უწინ ის დიდი პატრიოტები, გაბიუროკრატებული პატრიოტები ჩამოჰკიდებენ ცხვირსა: ვაიმე, რა გვეშველება, ქართული რომ არ გვეხერხება, რა ვქნათ!.. უმთავრესი გზა, ეროდიონ ჩემო, გავლილია, გაკეთებულია უკვე ის, რის გაკეთებასაც ყველა ცდილობდა და ამჟამად ჩვენც ვცდილობთ... აი ეხლა მე რუსულად ვფიქრობ და ქართულად ისე გადმომაქვს აზრები ქაღალდზე...

_ ვინც რუსულ სკოლაშია გავლილი, ვისაც მუნჯური მეთოდი უწვნევია, კიდევ ჰო! მაგრამ ვისაც არა...

_ იმათ ეხლა გადავუკეთოთ ტვინი, ეხლა! _ გააწყვეტინა იუდამ და წკიპურტი გამოჰკრა თითებითა... _ ორი სამი თაობის შემდეგ ქართველობის ნიშან-წყალი აღარ იქნება.

_ ეე, ჩემო იაშაჯან, _ ეროდიონმაც ძმურად დაუწყო ლაპარაკი, _ ყველა კარგი, მაგრამ ერთი ჭია მიღრღნის გულსა: ახალი სიოსი მეშინიან. პეტერბურგის გაზეთებმა ერთობ მაღალ ტონზე დაიწყეს ლაპარაკი... მაგრამ დავიჯერო, მეფე შეელევა თვითმპყრობელობას? ამას წინათ ერთი საზღვარგარეთ დაბეჭდილი კარიკატურა ვნახე: ევროპასა და რუსეთს შუა ზღუდეა გავლებული; ჭუჭრუტანებში სინათლე შემომდგარა დასავლეთიდან და ზღუდის ბნელი მხარე გაუბრწყინვებია; ვნახოთ, სდგას ერთი მაღალი, აწოწვილი, ხმელი, როგორც აპუხტი, სათვალიანი კაცი: თეთრი თმა ბეჭებამდე სცემს, პირი გახროკნილი აქვს, როგორც გოლვისაგან მოტრუსულ მდელოს, სდგას, _ უჭირავს უშველებელი ქაფჩა, ბიჭებს თაბახი თაბახზე მიაქვთ ტალახი და ლესავს ჭუჭრუტანებს, რომ სინათლე არ შემოუშვას...

_ უნდა გამოგიტყდე, რომ პეტრე დიდმა დიდად დააშავა, რომ ფანჯარა დასავლეთისაკენ გააღო...

_ დიდს კაცს დიდი შეცდომაც მოუვა..... მაგრამ ეს მეორე დიდი გვამი ფანჯარას აღმოსავლეთისაკენ აღებს და ამიტომ გულმოდგინედ ლესავს, გამოლესავს კიდეცა.

_ სწორედ გამოლესავს, მე ეჭვი არა მაქვს.

_ არც მე მაქვს ეჭვი, მაგრამ..... მაგრამ ამ სიოსი მეშინიან, ვაითუ ქარიშხალი მოჰყვეს.

«Lფფ!.. ცუდად დაჰბერა ამ სიომ, ერთობ ცუდს დროს დაიწყო ქროლვა, მაგრამ ფიქრი არ არის: როგორც ჰქუხს, ისე არა წვიმსო, ნათქვამია... მერე ჩემი გენერლობა, მხარიღლივ წითელი ლენტი?!» _ გაიფიქრა იუდამ და ჩიჩვირი ჩამოჰკიდა.

_ აი დღეიდან იწყება ნამდვილი ჩვენი მოციქულებრივი ხანა: ყოველივე ღონე უნდა ვიღონოთ, კანონიერი, გინა უკანონო, ოღონდ ხალხს ავაშოროთ ეს ახალი სიო, ეს გაზაფხულის სუნი, რომელმაც ზეკარიდან დაჰკრა: უნდა შევინარჩუნოთ ეხლანდელი რეჟიმი, უნდა ამოვლესოთ დასავლეთისაკენ გაღებული ფანჯარა, თორემ... თორემ... _ აქ შესდგა ეროდიონ პროხორიჩ ვოროტილოვი, თითზე კბილი დაიდგა და ღრმა ფიქრს მიეცა.

ვაიმე, ჩემო გენერლობავ, წითელო სარჩულო!» _ მწარედ გაურბინა იუდას ამ აზრმა თავში, ცხვირში მწუხარების ნაპერწკლებმა წვით გაურბინეს და თვალები აუცრემლეს.

_ თორემ... საგლიჯინებლად გაგვიხდება საქმე! _ სთქვა ღრმა ფიქრებში გართულმა ეროდიონმა.

_ ვაითუ ასრულდეს წყეული პოეტის წყეული სიტყვები: «მაგრამ დათვსაც მოუვა დრო; უტეხ ტყეში გლიჯინებდეს, აღარ ჰქონდეს ბინა მყუდრო»-ო...

_ ჩვენ ჩვენსას მაინც ნუ მოვიშლით...

_ დიახაც, ნუ მოვიშლით, _ დაუდასტურა იუდამ.

VI

იმ რაიონში, სადაც მისი მაღალღირსების ეროდიონ ვოროტილოვის ბრძანებით მათი აღმატებულება იუდა თადეოზიჩ ღეჭიაშვილი, ხოლო აღმატებულების ხარისხის მიღების შემდეგ ღეჭოვი, მოქმედობდა, ახალმა სიომ ისე ძალუმად დაჰკრა, ისე ააზვირთა თვის გარემო ყოველივე, რომ მირეგვ-მორეგვა, მილეწ-მოლეწა, შემუსრა. იუდაც აათამაშა ზვირთებმა უბრალო ნაფოტივითა და ერთ უალაგო ალაგას გარიყა. მაგრამ აქაც მოასწრო ტალღამ, წამოაწოწიალა. იუდა

გაჰყვა ტალღას, რომელმაც შუა ზღვაში ამოაყოფინა თავი; აქ კი ფერი ეცვალა, როგორც იყო იბრძოლა, ჩამოვლილმა ტალღამ წამოჰკრა ხელი, გამოაქანა და ერთს კედელზე შეაგდო, სადაც ვეღარ სწვდებოდა ტალღა. ამ იმისათვის უსიამოვნო ამბავმა იუდას გულს კოწიწივით დაუწყო წიწკვნა. დაისადგურა მის გულში და სიცოცხლეს უშხამავდა.....

_ სულ ამ ოხერმა ომმა მოიტანა ეს ჭირი, _ შესჩიოდნენ ხოლმე ირودიონ და იუდა ერთმანეთსა, როცა შეხვდებოდნენ ერთმანეთს, _ ჩვენი ნავი სახუმროდ არ ირყევა... ვიბრძოლოთ ბოლომდე! ღმერთი მოწყალეა! _ ამითღა ინუგეშებდნენ ხოლმე თავსა.

ერთ საღამოს აწ უკვე ღეჭოვი ძლიერ დაღონებული დაბრუნდა სახლში; სახეზე შავი ალმური ასდიოდა, ჩვეულება გასტეხა და ვახშამზე უარი სთქვა, საჩქაროდ გათხარა ლოგინი და ჩაწვა. დიდ ხანს იბორგა, ეწვალა და ბოლოს, როგორც იყო, ძილი მოეკიდა.

ძილში დაესიზმრა: დიდებულს სასახლეშია; გაბრწყინვალებულია იგი ათასფეროვნად; ერთი მზე და მთვარე არ არის ჩამოყვანილი და სადმე კედელზე მიკრული, თორემ სხვა აღარა აკლია რა. მდიდრულად, ოქრო-ვერცხლით მოვარაყებულ ტანისამოსში გამოწყობილმა დიდკაცობამ ამსებით აამსო დარბაზი. წითელ-ყვითელ-ლურჯი ლენტები, მხარიღლივ გადახლართულები, ბრჭყვიალებენ და ლაპლაპებენ სინათლეზე. გუნდრუკის, საკმევლის და ათასგვარი ნელსაცხებლის სუნი უხვად ტრიალებს ირგვლივ. შუა ალაგას ამართულია ტახტი. ტახტის კვარცხლბეკებს გარს შემოსხდომიან დიდებულნი. აი შემოიყვანეს ამ დიდებულს დარბაზში იუდა ღეჭოვი. ორი ანგელოზი იმ დასისა, რომელსაც ეწოდების ენასაზედა ღვთისმეტყველურსა _ «საყდარნი» (რუსულად კი გჰტცნჯკÛ), მხოლოდ კი არა ის ანგელოზნი, რომელნიც საღმთო წერილის თქმულობით გარს ახვევიან საყდარსა, ანუ ტახტსა უფლისასა და უგალობენ დიდებასა, არამედ ხორცშესხმულნი ანგელოზნი _ ირودიონ და დავით მარჯვნივ და მარცხნივ შემოსდგომოდნენ იუდასა, მიიყვანეს და დააჩოქეს კვარცხლბეკის წინაშე, რომელსაც მარჯვენა ხელით დაეყრდნო. უჩვეულო სანახაობამ იუდას თავბრუ დაასხა, გაარეტიანა. თვალთა წინაშე წითელ-ყვითელი, შავ-თეთრი და სხვა ათასგვარი ფეროვნების ბუშტები და რგოლები დაუცურავდა, ეხატებოდა, ებლანდებოდა. მალე გადაეყარა ბრუ და რეტი და სწორი თვალთა ხედვა დაუბრუნდა.

დარბაზში გაისმა: «შშშ!! «... და წამს ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, ანგელოზმა ჩამოიარა. გამობრძანდა ამალით დიდი ბატონი.

_ ეს არის ღირსეული მონა ჩემი? _ იკითხა ბრწყინვალედ გამოწყობილმა ახოვანმა კაცმა, რომელსაც თავის სარქმელზე ძვირფასი ბრილიანტის ჯვარი უბრწყინავდა. _ აღსდეგ, ერთგულო და კეთილო მონავ! ტალანტი კეთილად მოიხმარების და აი ჯილდოდ შენის კეთილის საქმეებისა: ეს სისხლის ჯვარი სისხლისავე ლენტითა. შენ სწორედ სისხლით მოიპოვე და აი უზენაესად დაჯილდოვებულხარ ირودიონ და დავით, ანგელოზნო ჩემნო. მხარიღლივ მარჯვნიდან მარცხნივ გარდააცვით ლენტი ესე ღირსეულსა კაცსა ამას, სანაქებოსა მონასა ჩემსა. ჰეი, შენ, ირودიონ, მოიღე სამოსელი იგი წითელითა სარჩულითა და ჩააცვ ამასვე, ხოლო შენ, დავით, დაადგი თავსა მისსა ნავისა მსგავსი სარქმელი თავისა.

მართლაც ოქროს სინით მოართვეს, როგორც მღვდელმთავარსა ვისმე, ძვირფასი ზეჩასაცმელი, ფასდაუდებელი ძოწეულისა სარჩულითა და იროდიონმა წამოასხა; მოიღეს აგრეთვე თავის სარქმელი, ოქრო-ვერცხლით შემკობილი, და დავითმა დაადგა თავსა მისსა. დიდმა ბატონმა ნელსაცხებელი სცხო შუბლსა და პირზე, აკურთხა და სამჯერ ათქმევინა: «იჯმნი ეშმაკისაგან? _ «ვიჯმნი», შემდეგ იმ გზით გააბრუნეს «საყდართა», რა გზითაც შემოიყვანეს ბრწყინვალე დარბაზში.

უხარიან იუდას, უხარიან, რომ სულ ცას ეწევა, იცინის, ხარხარებს ძილში.

უფროს შვილს მამის ხარხარზე გამოეღვიძა, შემოიპარა მამის ოთახში, დახედა, ნახა რომ მამა მისი სასიამოვნო სიზმრებში უნდა იყოს გართული, რადგან იუდას პირი უცინ-უღიმოდა, და ფეხაკრეფით გაბრუნდა თავის საწოლისაკენ.

კვლავ ხედავს ბ. ღეჭოვი სიზმარს. ხალხი ჯარად დასდევს იმას ქუჩა-ქუჩა, უკვირთ ასეთი მისი მოკაზმულობა; მტრებს გული უსკდებოდათ შურითა, მოყვრებს კი... მოყვრებს კი... მაგრამ იმჟამად მოყვრები არსად სჩანდნენ: იროდიონ და დავით ჩამოსცლოდნენ.

გაეღვიძა, წამოჯდა, თვალები მოიფშვნიტა, მიიხედ-მოიხედა, ხელები აფათურა... განქრა დიდება, ვეღარ იხილა, ვერც ხელის ფათურით მიაგნო სადმე. მაგრამ გულში იმედი ჩაესახა; პირჯვარი გადისახა, სასოებით შეევედრა უფალსა: ამ დროს თვალწინ გაურბინეს «საყდართა» წარმომადგენლებმა _ იროდიონ, დავითმაÞ იმათაც მიადევნა ლოცვა-ვედრება; შემდეგ დამშვიდებით გადაბრუნდა და კვლავ ძილს მისცა თავი. მაგრამ შენს მტერს, რაც მან მესამედ ნახა.

ხედავს: კიდიდან კიდემდე მთელს საქართველოში ხალხი აზვირთებულა, გრგვინავს იგი მეხივით, თავისუფლების დროშას აფრიალებს, დაუწყვეტია ჯაჭვები მონობისა. გამოაცხადა საჯაროდ ძმობა, ერთობა და თავისუფლება, საჯაროდ აღიარა ეს სახარების მცნება, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში არაწმიდათაგან მგლის ტყავში იყო გახვეული და აკრძალულ ხილს წარმოადგენდა. ხალხმა მოითხოვა კანონიერება, სამართლიანობა, მოითხოვა თავისი სკოლა. აგერ ორატორი ორატორს მისდევს, ზემყრელზე ასულან და იქიდან სიტყვებს ამბობენ. ხალხი ქუდს იხდის, იჩოქებს ახალის მქადაგებლის წინაშე. ახალმა სხივმა შეაშუქა ხალხის გულში და ხმამაღლა გაიძახის: «ძირს ჩვენი დამჩაგვრელნი! ძირს მამულის მოღალატენი! ძირს ერისა და მისი ენის მგმობელნი!.. გავამეფოთ ქვეყნად ციური მცნება: ძმობა, ერთობა, თავისუფლება!»...

იუდა კანკალებს, ბნედიანივით ხტის ლოგინში და კბილების კრაჭუნით წკავწკავებს:

_ ვაიმე, კარზე მომდგარო დიდებავ! ვაიმე, ბრწინვალე დღენო ჩემნო!.. არა, ტყუილია, ტყუილი! უფალი ღმერთი მცდის მე მართალი იობივითა!.. ხალხი ქვევრია, ამოიძახა ჩაძახილი... მაგრამ, ფუი, ეშმაკო! ეს ხომ სიზმარია და არა ცხადი, _ ამბობს ნუგეშით ძილში... _ დასწყევლოს ღმერთმა! ეს ვიღა წამოვიდნენ ჩემსკენ...

აგერ ვითომ მიაჩეჩეს იუდას ხელში ორი უყდო წიგნაკი.

_ აი აქ სწერია შენი განჩინება, _ ეუბნევიან იუდას; _ მაგ წითელსარჩულიან პალტოს გაგხდით, გადმობრუნებულს ჩაგაცმევთ, პირზე მურს წაგისვამთ, ქუჩა-ქუჩა გატარებთ ღრიალითა: «მე ვარ სამშობლოს მოღალატე. მე მოვჭერ ოცი ათასს ბავშვს ენა, დავამახინჯე, საუკუნოდ დავუხშე ჭკუა-გონება. მეფე იროდმა თოთხმეტი ათას ნორჩ ყმაწვილს მოუღო ბოლო, მოსრნა იგინი, რომ ახლად

დაბადებული ქრისტეც შიგ მოეყოლებინა; მე უარესი მოვიმოქმედე: მთელს ერს მოვჭერ ენა, მსურდა გამესრისა იგი, ამომეგდო ფესვიც კი იმის სახსენებლისა».

_ აი ამ ერთი წიგნაკით, _ ეუბნებიან იუდას, _ ყელს იჭრი, მეორეთი გსურს გაიმთელო ჭრილობა.

იუდას უნდა წასწვდეს, წაართვას ის წიგნაკები, დახიოს, მაგრამ ლუარსაბ თათქარიძის ყოფაშია: ის რომ სიზმარშია და არ ართმევს... ძალას ატანს თავს, იცინის, ენას უყოფს ხალხსა, უჩვენებს ბრწყინვალე მუნდირსა, წითელ სარჩულსა, მხარიღლივ გადაგდებულს წითელ ლენტსა, ემუქრება, ფეხებს უბაკუნებს!.. მაგრამ ტალღამ ხალხში იმატა, მიუახლოვდა, გამოაცალა ფეხები და დააყურყუმელავა, დაიხრჩო იუდა. პირი შლამით აევსო და ქოჩორი ჩალაბულითა.

იბრძვის იუდა ლოგინში, ბობოქრობს, ხრიალებს, წკმუტუნებს. როდის-როდის გამოერკვა. ოფლი ღვარივით გასდის; წამოჯდა ლოგინზე, პირჯვარი გადიწერა, გულში სასოებით გაივლო თავისი მცველი ანგელოზის სახელები _ ეროდიონ-დავითისა და სასოებით წარმოსთქვა: _ თუ ისინი ცოცხალნი მყვანან, ვინ რას დამაკლებს!

სიზმრისაგან მოვლენილი ზარი ნელ-ნელა განქრა ანგელოზების იმედითა. მაგრამ იუდა ღეჭოვს მაინც ეტყობოდა ბრძოლის ნიშნები: სახე ალეწილი ჰქონდა, თვალები დაბორდოხებული, სახე დაძმარებული. იმის გულს დაღი დააჩნდა, დაღი წაუშლელი, საუკუნო.

კარგა გათენებული იყო; ბიჭმა გაზეთები და წერილები შემოიტანა და თავთან მაგიდაზე დააწყო. იუდა ისე შტერივით იჯდა ლოგინზე, რომ ბიჭის შემოსვლა ვერც შეამჩნია.

VII

«თქვენო აღმატებულებავ,
იუდა თადეოზოვიჩ!
«წყლის კოკა წყალზე გატყდება».
თქვენებური ანდაზა

«იძულებული ვარ, _ სწერდა ეროდიონ პროხოროვიჩ ვოროტილოვი იუდას, _ ეს წერილი წყეული ქართული ანდაზით დავიწყო... ოოჰ, რარიგ მეზიზღებით ყველა ქართველი; ჩემი გული ნერონის სურვილებით არის აღვსილი: რომ შემეძლოს, ერთის ხელის შემოქნევით მოგკვეთდით თავებსა, მაგრამ რა? _ თუნდ კიდევაც შემეძლოს მოკვეთა, მაინც სადმე შეგრჩებათ თავი ზღაპრული ბაყბაყ მდევივითა. თქვენ, ქართველობას, იარაღით, ფიზიკურის ძალით ვერვინ გაგაწყობთ, ვერვინ აღგგვით პირისაგან ქვეყანისა... მე, ერთადერთი, მე გაბედვით და აშკარად დავადექ იმ გზას, რომ გადამეგვარებინეთ არა იარაღით, არამედ ტვინის გადაკეთებით. გავაბი ყველგან ობობას ქსელები, თვით ქართველებს ვაბეჭდვინებდი და ვაბმევინებდი ამ ქსელებსა, თვით თქვენის ხელით ვთესდი თქვენ შორის ღვარძლსა; თვით თქვენის ხელით ვკრებდი ვარდსაც და ეკალსაც. თქვენ, როგორც აზიელნი, რენეგატობას მისდევთ; მეც ხელი შევუწყე ამ თქვენს ხასიათსა და თქვენში გავაძლიერე ეს სენი _ რენეგატობა. ის-ის იყო მივაღწიე კიდევაც დანიშნულს მიზანს, მაგრამ ბედმა მიმუხთლა: «წყლის კოკა წყალზე გატყდა». დიაღ! გატყდა, დაიმსხვრა ყოველივე ჩემი დაწყობილება... ეეჰ, მე უნდა დავბადებულიყავ ამ სამოც-ოთხმოცი წლის წინათ, რომ მთლად ამომეგდო,

გამენადგურებინა თქვენი ერი, მისი სინსილა გამეწყვიტნა, მომესპო მისი ხსენება ისე, რომ მხოლოდ არქეოლოგთა საკვლევად გამხდარიყო, ისე როგორც დღეს ასურელთა, ქალდეველთა, ბაბილოვანელთა და სხვათა ამოწყვეტილ ერთა ხსენებას იკვლევენ. ადრევ კარგი დრო იყო თქვენის გადაგვარება-მოსპობისა, მაშინ რომ ვყოფილიყავ, თქვენს ერს ჩემსას შევუსისხლხორცებდი და ჩამოვიდოდა ძლიერი, ყოვლისფრით შემკობილი ნარევი ერი; არა, ნარევი კი არა, ნამდვილი რუსი... ეეჰ, ვერ მოვესწარ ჩემის აზრების განხორციელებას: ახალმა სიომ დაჰკრა, დააზრო, გააყვითლა ჩემი ვარდი... თვით ჩემიანებმა მიხრიკეს; მიხრიკეს იმათაც, ვინც ჩემის მეოხებით დღეს ლუკმას სჭამენ...

«მხოლოდ ერთადერთი შემრჩა მეგობრად, მხოლოდ ერთადერთია სულითაც და ხორცითაც ნამდვილი რენეგატი... არც გასაკვირველია; იმას თვით ბუნებაში, თვით სისხლში აქვს ბაცილა რენეგატობისა. იმისი გვარი ძველია, დიდი გვარია. დიდი გვარები, როცა ვისიმე მორჩილებაში გადადიან, რათა არ დაჰკარგონ უწინდელი დიდება, რენეგატდებიან, ჰგმობენ თავისიანებს, უერთდებიან, უერთგულდებიან დამჩაგვრელებს და ერის ჩაგვრაში აჭარბებენ ბატონს დამჩაგვრელსა. ასეთი რენეგატია თავადი დავით არობელიძე. დავითმა გაზარდა, გააძლიერა, გაამრავლა თავის არსებაში ბაცილა რენეგატობისა, უკუღმართობისა, და აი დღეს ჩემი ღვიძლი ძმაა, მხარში მიდგია... მაგრამ ეჰ! იქ, შორს ჩრდილოეთში რას გავაკეთებთ, რის მაქნისი ვართ!.. თუმცა იქაც კი არიან გადასგვარებელნი, მაგრამ ამ წყეულმა გაზაფხულის სიომ ერთგვარად მოჰფინა ყველას თავისი სხივები, ყველას გული ერთგვარად გაუთბო, გაახალისა, ააფეთქა, აამოძრავა, თვალები აუხილა და აგერ ყოველი კუთხიდან გაისმის მედგარი ხმა; «ჰკა, მაგ უკეთურებსაო!»... მაგრამ კიდევ ვიპოვი კუნჭულსა! ფიქრი არ არის, ჩემს კოჭს ალჩუზე კიდევ დავსვამ, სოფელი გონიერია და უგუნურიცა; რაც ძალი და ღონე მაქვს, კალატოზივით ამოვლესავ იმ ჭუჭრუტანებს, საიდანაც შემოვიდა სხივი გაზაფხულის მზისა...

«ძალიან გავები და უმთავრესი კი დამავიწყდა: მე დღეს შენთანა მაქვს საქმე, ამ წერილს შენთვის ვწერ... შენ მე მღალატობ, არა, რას ვამბობ? კი არ მღალატობ, მიღალატე კიდეცა. შენ დღემდის ორს სკამზე მჯდარხარ, წაჯექ-უკუჯექობა გითამაშნია იმ ბერიკაცივით, რომელიც ბუხართან იჯდა, სახე რომ დაეწვებოდა, უკან დაიხევდა; როცა გაუგრილდებოდა, ისევ წინ წაჯდებოდა; ასე წაჯექ-უკუჯექობდა, სანამ არ გადაუწყდა და ძილად არ მიიწურა. აი შენ იმ ბერიკაცსა ჰგევხარ: მეც მატყუე და შენი ერიცა; ჩვენშიც გინდოდა მეფობა, თქვენშიაცა. კიდევაც შესძელ: აი, დღეს შენ გენერალი ხარ ჩემის წყალობითა, წითელ სარჩულს დააფრიალებ, მხარს გიმშვენებს წითელივე ლენტი... მაგრამ თუ მე ირროდიონ ვოროტილოვი მქვიან და კიდევ რამე ვარ ქვეყანაზე, ოხრად დაგირჩენ მაგ დიდებასა»...

_ ოჰ, სიზმარო, სიზმარო! _ კბილების კრაჭუნით გასწყვიტა ღეჭოვმა წერილის კითხვა, დაიბღუვლა და თვალები გიჟივით მიავლ-მოავლო ოთახსა...

«შენ თურმე ისეთი ფლიდობა «ჩაიდინე»...

_ ოჰ, «ღმერთო, მომკალ! ღმერთო. სული ამომახდინე! ეს რა მეხი დამატყდა თავსა! _ კვლავ წარმოსთქვა იუდამ.

«... რომ ორი ანგარიში შეადგინე, თუ, არ ვიცი, ერთსა და იმავე ანგარიშში ერთი ადგილი ორნაირად დაბეჭდე: ერთით მე მაამე, ვითომ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ... უკაცრავად მოწყალეო ფლიდო, ემსახურებოდით ჩემს იდეას

საქართველოს ერთის თემის შესახებ, ვითომ თქვენ ამ თემის გასარუსებლად ყოველი ღონე იღონეთ. მეორეთი ყელი გამომჭერი, მომასიე მთელი ქვეყანა, ააბობოქრე ყველა ჩემს წინააღმდეგ და შენი ფლიდობა, _ გესმის? _ შენი ფლიდობა მე მომაწერე...

«გახსოვს, ჰაი, ჰაის რომ გაიძახოდი, პირში კატასავით შემომკნაოდი, ჩემის ჩრდილისაც კი გეკრთალებოდა, ჩემს მაფრაშებს ვირივით დაათრევდი, წუწკი ძაღლივით ფეხებს მილოკავდი, წუწკი ძაღლივითვე ლუკმისთვის შემომწკაოდი!.. გახსოვს, რაებს ზმიდი; რაებს მპირდებოდი, რაებს ჩადიოდი... გამომტყუვე თუ არა გენერლობა, მაშინვე შენი ფლიდობა მე ამკიდე ზურგზე. მე მარტო როგორ გავბედავდი, ან როგორ შევძლებდი, თავს მედო დიადი სახელმწიფო აზრი _ გადაგვარება ერისა და მით ჩემი ქვეყნის გაძლიერება. მაგრამ თქვენ თვით, თქვენ და თავადმა დავითმა გამაბედვინეთ. დღეს მე და დავითი გაგვისტუმრეს, შენ კი დარჩი და პარპაშობას აპირებ, მაგრამ ვერა... მე გიწინასწარმეტყველებ: შენი კოკაც ისევე გატყდება და გატყდება შენისავე წყაროს პირზე, როგორც ჩემი გატყდა და დაიმსხვრა...

«ოჰ, რა გულით მინდოდა, რომ საქართველო, რომელიც ითვლება საუკეთესო მარგალიტად ჩვენის სამეფო გვირგვინისა... თვით ხალხი კი არა, არამედ ქვეყანა, ბუნება მისი... აღარ ყოფილიყო ნასესხებ-ნაჩუქარ მარგალიტად. არამედ გარდამექცია იგი ნამდვილ ჩვენებურ მარგალიტად... დედას დაველიე, რომ ვერ მოვესწარ ჩემის იდეების განხორციელებას.....

«მე შენ უკე აგხადე ფარდა, ყველგან გამოვფინე შენი ფლიდობის ამბავი; შენ დღეიდან გამოეთხოვე დაწინაურებას, თავის გამოჩენას. მალე შენი ქვეყანაც აგხდის ფარდას მეორე მხრიდან და მთელი სიგრძე-სიგანით დაგინახავს...

_ «შორს და მშვიდობით! მოვკვდე, არ მიკითხო, მოკვდები, არ გიკითხავ, ჩვენ შორის ხიდი ჩატყდა...

ირროდიონ ფროხორიჩ ვოროტილოვი.

1905 წ. 25 მარტი.
ქ. თბილისი.

VIII

_ ოოჰ, წყეულო წერილო!!. ოოჰ, დიდებავ დაღუპულო!!. ოოჰ, მართლდება სიზმარი! ცჯყ დ ჰერბ!.. _ დაიწყო სვენებ-სვენებით ოხვრა-ვიში ბატონმა იუდა ღეჭოვმა. _ აკი ამტკიცებენ ზოგიერთნი მსწავლულნი, სიზმარი განგრძობაა ნამდვილის ცხოვრებისაო; რაც სიზმრივ იხილება, ის ასე თუ ისე ახდებაო..... მაგრამ ვითომ? მწ! მე არა მწამს...

ღეჭოვმა წვერ-ულვაში…მოიმუჭა, ცხვირზე სალოკი თითი დაიდო და ღრმა ფიქრს მიეცა; შემდეგ უცებ წამოდგა, თითებით ჰაერში წკიპურტი გამოჰკრა და ხმამაღლა წამოიძახა:

_ დასაღონარი არა მაქვს რა! ეგ წყეული ვოროტილოვი ხომ გზიდან ჩამომეცალა, დავითიც გადაიხვეწა, დარჩა ერთადერთი ბ. პოპკა. ამ პოპკას ხმალი ჩემს კისერზე იყოს; მაგრამ... კიდევ მაგრამ... მძევლად დასტოვეს ერთი ეშმაკი _ ნიკიტა, ეს უარესი მოძულეა ჩვენის ქვეყნისა; დავით და ირროდიონი პირღნოშები იყვნენ, ვერ დამალავდნენ საიდუმლოსა; ეს ნიკიტა კი რაც ზევით დადის, ორი იმდენი ქვევით დადის, თხუნელასავით სთხრის ორმოსა, რომელშიაც, იქნება, თვითონ ჩავარდეს... არა, მე ეხლა ტყავს გადმოვიბრუნებ, ენას მოვქარგავ; ტკბილი

სიტყვით ქართველი კაცის გულის მონადირება ადვილია; მე ქართველობას საჯაროდ დავუმტკიცებ, რომ მივდევდი სამშობლოსათვის საკეთილო იდეების განხორციელებას; მე იმ სამებას მოვახვევ ყველაფერს კისერზე: ეროდიონს, დავითს და ნიკიტას, განსაკუთრებით პირველსა. როგორც ვთქვი, ქართველი გულკეთილია, მალე მოლბება, გულს მოიბრუნებს; მყვანან ლიტერატორთა შორისაც არა თუ მომხრენი, თაყვანისმცემელნიცა... ააა, მარჯვენა წარბმა გამითამაშა, კარგად მაქვს დაცდილი მისი თამაში... ჰო, ჰო! ეგრე, იფეთქე, ეგრე, იფეთქე, ჩემო წარბო, ჩემო წინასწარმეტყველო,... მე კვლავ დიდებულად დავრჩები...

ბ. ღეჭოვს კვლავ იმედმა გაუღიმა, დარდები გადეყარა, გულზე მოეშვა შემოწოლილი ბოღმა; მისმა სახემ გამოიდარა, გაბრწყინდა ისე, როგორც დიდი წვიმის შემდეგ ცა გადიყრის ღრუბელს და ლაჟვარდი ფერი მისი სასიამოდ დაიწყებს ღაჟღაჟსა და ბრწყინვასა.

მაგრამ დიდხანს არ შერჩა ბ. ღეჭოვს გულის სიმშვიდე. გაისმა ქუჩაში ჯერ ყრუ გუგუნი, ხმაურობა თანდათან გაირკვა და მკაფიოდ მოისმა ორპირი სიმღერა:

«მამულის დახსნის დღე არის,
ქვეყანა გვნუკავს შველასა,
თავისუფლების შოვნაი
სჯობს საშოვნელსა ყველასა!»
და სხვ.

ხალხმა სიმღერით და წითელ დროშით, რომელსაც ამშვენებდა ზედწარწერილი მაცხოვრის მცნება _ ძმობა, ერთობა და სიყვარული, ჩამოუარა, სხვათა შორის, იუდა ღეჭოვის სახლსაცა. სიმღერას რომ შესწყვეტდა, ხალხი ჩაურთავდა ხოლმე: «ძირს ხალხის მტარვალნი! ძირს მონობის ჯაჭვის მჭედველნი! ძირს თვისი ერის მოღალატენი, ერის ენის მგლეჯელნი, მისი ვინაობის მსპობელნი!»... და კვლავ იწყებოდა ისევ სიმღერა.

«ნუ გეშინით, ძმებო! _ გაისმა ხმა სანუგეშო ხალხში, _ ნუ გეშინით! მტარვალთა ძალა იმუსრება, მტარვალნი წელში გაიზნიქნენ, ხავსს ეჭიდებიან თავის შესამაგრებლად. ერთი ძლიერი და მედგარი იერიში კიდევ, ერთი ძლიერი შერყევა დედაბოძისა და დარბაზი, მტარვალთა ბუდე, დაემხვლევა ბებერი მუხასავით და ჩვენ მოგვენიჭება შვება და დიდება, განთავისუფლდება კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული ამირანი და კვლავ ცეცხლს მოუვლენს ქვეყნიერებას; აიშვებს თავს არტახებშეკრული ლეკვი ლომისა და მაშინ ჩვენს მონობასაც ბოლო მოეღება»...

ყველა ეს მკაფიოდ ესმოდა იუდას, ცხადად, თვით თავის დასაბრმავებელი თვალებით ხედავდა და რაღაც მისთვის უცნაურმა, გამოურკვეველმა აზრმა აიტაცა, ააცახცახა, თმა ყალხს შეუყენა; ვერ გაუძლო ორს იერიშს: ეროდიონის წერილსა და ხალხის ძლევამოსილობას, დაეცა ხატის წინ და პირჯვრის წერით სამგზის გაიმეორა: «უფალო, იესო ქრისტე, მაცხოვარო ჩემო! ვიჯმნი ეშმაკისაგან!»

მაცხოვრის ხატმა პირი მიიქცია: იუდამ ყველა მხრიდან დაუწყო მზერა მაცხოვარსა, უნდოდა მისი ყურადღება მიექცია, მაგრამ ვერ იქნა, თვისი თვალი მაცხოვრის თვალს ვერ შეახვედრა.

IX

ერის გული, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მისი გულის ფიცარი იგივე გრამაფონის ფირფიტაა, ფირფიტა ნაზი და წმინდა; ამ ერის ფირფიტაზე იბეჭდება ყოველივე ავი და კარგი, რაც კი ულმობელმა ცხოვრებამ მოუვლინა. დადგება ხოლმე ერის ცხოვრებაში ხანა ქარიშხალისა, ღელვისა, ჭექა-ქუხილისა; ირყევა ყველაფერი: აი მაშინ შეირყევა ხოლმე ერის წმინდა და ნაზი ფირფიტაც, მთლად აჭრელებული იმის ვაი-ვაგლახითა; ჯერ ყრუ ხმა, ხმა გმინვისა და კვნესისა გაისმის, შემდეგ და შემდეგ ხმა ძლიერდება, სჭექავს, ზუზუნებს, აკვნესებს სხვადასხვა გულის მომწყლავს, სევდიანს სიმღერებს; მოთქმით უამბობს ქვეყანას თავის ჭირ-ვარამს, ამტვრევს ბორკილებს და ითავისუფლებს თავს მონობისაგან. ამ საშინელი ქარიშხალისა და მეხის ტეხის დროს სისხლი ნიაღვრად მიდის. იჟლიტება უდანაშაულო ხალხი, მაგრამ ეს უმანკო სისხლი, როგორც სისხლი უმანკო და მართალის აბელისა, ცათმიმართ ღაღადებს და ღმერთი სიმართლისა ანიჭებს ძალას თავგანწირულთა. ამის მოწმე ისტორიაა...

ხალხის გამოფხიზლებამ, მისმა სამართლიანმა მოთხოვნილებამ, იმის გულის ფირფიტისაგან გამონაცემმა სიმღერამ, ძმობა _ ერთობა _ თავისუფლების სამეფოს დამყარებისათვის, ჩვენს გმირს იუდა ღეჭოვს თავზარი დასცა. იგრძნო აღსასრულის მოახლოვება; სულთამხუთავი თავის ულმობელი ცელით თვალთა წინაშე აღემართა. გაითვალისწინა, რომ ხალხის გულის ფიცარზე სწერიან მისნი მოკეთენი და მტერნი, მოღალატენი და სისხლის მწოველნი. ბ. ღეჭოვი, როგორც მცოდნე კაცობრიობის ისტორიისა, დიდხანს დარჩა ფანჯარასთან პირდაფჩენილი, თავში აზრები აუქოთქოთდა, ერთი აზრი მეორეს გაჰყვა და ამასობაში ისე შემოაბნელდა, რომ ვერ შეამჩნია, მინამ ოთახში შემოსულმა ბიჭმა არ გამოარკვია.

_ დღემდის რა კარგად მიდიოდა ჩემი საქმე. რომ იტყვიან, ერბოს გუდაში ცურაობსო, სწორედ მე ვიყავი: ღვთისა და ხელმწიფის წყალობა _ ერთი მხრივ, მთავრობისა და მის ხელქვეითთა _ მეორე მხრივ, ჩემი მეგობრებისა და თითქმის ჩემის ერის პატივისცემა _ მესამე მხრივ... დღეს ხალხი აღელდა, ზვირთი ზვირთს მისდევს, ქარიშხალი მატულობს, მთელი ერი გაიმსჭვალა თავისუფლების სიყვარულითა და იმის მოპოვებისათვის სისხლს ღვრის; მსხვერპლი მსხვერპლს მოსდევს, მაინც შუბლშეუჭმუხვნელად მიდის წინ და ლამის მივიდეს იმ წმინდა ასულთან, რომელიც ღმერთს სიმართლისას უკავია ხელში და რომელიც არის თავისუფლება... მე... მე რა ვარ ეხლა? რა მქვიან? მე ხომ ყოველივე ეს ვიცოდი... დიახ, ვიცოდი, მაგრამ..... ვღალატობდი ყველაფერს, ყველაფერი დავთრგუნე ჩემში... აწ კი ვხედავ, ღმერთმაც და ხელმწიფემაც მიმატოვეს. დიახ, მიმატოვეს... თუ იმათ არ მივეტოვებინე, ხომ არც ჩემი მთავრობა და მისი მოხელე ეროდიონ ვოროტილოვი მიმატოვებდა... არც ხალხი შემაჩვენებდა... მე მოღალატე ვარ!.. ხალხის გულმა ამოიძახა და ეს ამოძახილი ტყვიასავით მომხვდა გულში. აი აქ მადგია ლუკმასავით ის ცხელი ტყვია და მარჩობს... ჰმ! ჩაიშალა, ჩაიშალა, ჩემი დაწყობილებანი, პლანები ჩემის ცხოვრებისა... ისევ ობლად ვრჩები, ტიტველ-შიშველი. მხოლოდ დამრჩენიაღა განვიმეორო სიტყვანი მართლის იობისა: უფალო, შიშველ მოველ მუცლისაგან დედისა ჩემისა და შიშველივე მივიქცევი სამარედ... ოჰ, ღმერთო ჩემო! რას ვროტავ!... თითქო გონება მერყევაო.

იუდამ თავზე ორთავ ხელები მოიჭირა და ისე დაიწყო ოთახში სიარული...

_ ა-ა-ა! სანუგეშო აზრმა გამირბინა თავში... ღმერთო, გცოდე წეღან: პირი შენი არ მიგიქცევია ჩემგან; ვიცრუე, უფალო, ვიცრუე და მაპატიე მე შეცოდება ჩემი, _

იუდამ ცალი ხელი განაპყრო და თვალები ცად აღავლინა. _ ვოროტილოვი ხომ მოუსვლელ ალაგას გადააგდეს, _ წავიდეს მამაჩემ თადეოზთან, _ ეს ერთი. იმისი წერილი უძალოა. გალესოს და თვით დალიოს წამლად... ხალხის მსჯავრი, რომელიც მან ჩემი ფანჯრების წინ წარმოსთქვა, მე ხომ არ შემეხება; მე არ მეკუთვნის იგი სავსებით... პირდაპირ ხომ ჩემთვის არ მოუმართნიათ... მაშ რად ჩამწვდა ასე ღრმად გულში? მაშ რად მომიწამლა სიცოცხლე, დამირღვია ამდენის წლის სიმშვიდე?.. ბრბომ რა იცის, თუ ვინ არის მოღალატე? ჩემი ვინაობისა იმან რა იცის?.. ოჰ, რას ვბოდავ?!.. ხალხის გული ხომ უძირო ზღვაა, იქ ბევრი რამ იმალება; რომ აქოთდება, ნაძირალი ამოაქვს და ბურთივით ისვრის აქეთ-იქით... აქ, იქ... იმის გულის ფიცარზე ყოველივე აღბეჭდილა, ღრმად აღბეჭდილა... მეც იქა ვარ აღბეჭდილი!!… დიახ, დიახ! აღბეჭდილი ვარ... «ძირს თვისი ერის მოღალატენი! ძირს მისი ენის მგლეჯელნი, ძირს მისი ვინაობის მსპობელნი!» _ აი, აი! კვლავ მესმის ეს სიტყვები... ოჰ, ოჰ!.. ყურები მეწვის, თვალებში გამომტეხს ეს საშინელი ხმა!..

დაფიქრდება დიდხანს, სახე მოეღრუბლება, თმაში თითი აქვს გაყრილი და ასეა დაყრდნობილი მაგიდაზე.

_ ნწ! არა! არა!.. _ წამოიძახა და საჩქაროდ დაიწყო ოთახში სიარული. _ ნუთუ მეც აღბეჭდილი ვარ ხალხის გულის ფიცარზე?!.

ეს ნუთუ რამდენჯერმე გაიმეორა ბ. ღეჭოვმა, მერე ისევ ჩაფიქრდა და თავის თავს ხელების ქნევით დიდხანს ემასლაათა.

ბ. ღეჭოვს სრულიად დაეკარგა სულის სიმშვიდე, ძვალსა და რბილში გაუჯდა ის აზრი, რომ ის დღეს გაბათილებული, თავგახეული თამასუქია, ხალხმა ანდერძი აუგო და უნდა გადმოსკუპდეს იმ სკამიდან, რომელზედაც ბიუროკრატიულმა რეჟიმმა შეასკუპა. ენანება, ენანება ეს გადმოსკუპება, გული ეთუთქება, მაგრამ ვეღარას ახერხებს. ათას სხვა აზრს აიკვიატებდა, უნდოდა გამოსდგომოდა ამ აზრებს, გართობილიყო, მაგრამ იალბუზის მთასავით მის წინ აიტუზებოდა უზარმაზარი დაფა, რომელზედაც წითელის მელნით ეწერა: «ძირს მოღალატე!» ამ დროს შორს, სადღაც შორს გაისმოდა მწარე ხარხარი, რომელსაც ბანს აძლევდა ღეჭოვის გულიცა და რომელიც იმეორებდა: «ძირს მოღალატევ, ძირს!» იუდა ამ დროს ხუჭავდა თვალებს, ხელებს მაგრა იფარებდა თვალებზე, დაფის დანახვა არ უნდოდა, მაგრამ თვალწინ აღიმართებოდნენ წითელ-ყვითელი პაწია ბურთები, მიდიოდნენ პროწიალ-პროწიალით და კედელზედ გრძნეულის ხელით აწერდნენ: «მოღალატე, მოღალატე!»..... მერე გულ-მკერდზე იჭერდა ორთავე ხელსა, მაგრამ გული უფრო მკაფიოდ ამოჰკიოდა: «ძირს მოღალატევ, ძირსაო!»..

ბოლოს და ბოლოს ბ. ღეჭოვმა ცხადად შენიშნა, რომ ოთხივ-კუთხივ იმის კაბინეტის კედლებზე წითლად ეწერა ის საზარელი სიტყვები. დაჰკარგა თავი, დაჰკარგა მშვიდობა, დაჰკარგა ძალა სულისა, გულით უნდა ადგეს, გამოვიდეს გარეთ, ხალხს გაენდოს, აღსარება უთხრას: მაპატიე, აღარ ჩავიდენ ერისა და ქვეყნის დასაგმობ საქმესაო, მაგრამ ამისათვის აღარც ხორცი ემორჩილება და აღარც სული. ბურანში გაება. ნელ-ნელა გადიქცა ტახტზე, მაგრამ ხელს აფათურებს, რაღაცას იჭერს, იშორებს... კარგა ხანს იყო ასე მიბნედილი. პატარა შეისვენა, გულმა დაშოშმინებით დაუწყო ცემა, მაგრამ დიდ ხანს არ გაუვლია, რომ რეტიანივით წამოვარდა, ხელებგაშლილი დაიწყო ოთახში სირბილი და ყვირილი.

_ მეც მკლავენ!.. პეტრე მოჰკლეს მოღალატეობისათვის; აპოლოსს გულში ჰკრეს ტყვია; ნესტორს ყუმბარა ესროლეს... აგერ სისხლში სცურავენ... ვერა, ვერ მომკლავთ!..

იუდამ დაიხურა ქუდი, გადაიცვა თავისი საყვარელი წითელსარჩულიანი პალტო და ფეთიანივით გავარდა გარეთ. მირბის ბატონი ღეჭოვი, მირბის ისე, რომ უკან მიხედვისა ეშინიან. ბუტბუტებს: «უნდა მომკლან!» ამ სიტყვების გახსენებაზე ნერწყვი უშრება პირში, ენა სასას მიეკრა, ჩაყლაპვას ლამობს რაღაცისას, მაგრამ ყელი არ ემორჩილება, ამიტომ ყვინჩილასავით იძაფავს ყელ-კისერსა.

იარა ბ. ღეჭოვმა, დიდხანს იარა და შარა გზაზე გავიდა, თავი გააშორა ქალაქსა, სადაც იმას სულ სიკვდილი ელანდებოდა.

ბუნება კი ხარობდა: ტყე-მინდვრის თავისუფალნი ძენი და ასულნი _ ცელქი ჩიტები ჭიკჭიკობდნენ, ცელქობდნენ და ჰაერში პროწიალობდნენ! იქვე ხევში ნაკადული თამამად მოჩხრიალებდა კლდეებზე, წინწკლებს ვერცხლისფრად დაეფერადებინათ ჰაერი, შიგ მზის სხივს სვეტი ჩაედგა და ეს ზეაღფრენილი წინწკლები ნაკადულისა გაეჩირაღდნებინა. სოფლის გოგო-ბიჭები გამოსულან მინდვრად, ჰკრეფენ ყვავილებსა, სწნავენ გვირგვინებსა და ჰკრავენ ყვავილთ კონებსა.

იუდა კი გარბის, არა ესმის რა. აი მიადგა იმ მშვენიერს ჩხრიალა ნაკადულსა, თავაღებული გავარდა შიგ, წყალი შეეჭყაპუნა; ცხოველმყოფელი წინწკლები მიეპკურა სახეზე და გამოარკვია დარეტიანებული ადამიანი. მიიხედ-მოიხედა; ალაგი ეუცხოვა, ქალაქს კარგად გამოშორებოდა. შეკრთა, თავზე მაგრად გადისვა ხელი, პირჯვარი გადაიწერა, ჩაიჭირა მაგრა მუჭაში ნიკაპ-პირი და ატირდა.

კუნლის ბუჩქზე მჯდარმა ჩხიკვმა სიცილი მორთო. კაჭკაჭი წინ გაუხტა, ჩაიჭახჭახა და იმ კუდრაჭამ ბ. ღეჭოვი მუშტრის თვალით აათვალიერ-ჩაათვალიერა. სოფლის ღორმა, რომელსაც უშველებელი კვანტი ეკიდა კისერზე, მედიდურად ჩამოუარა. შესდგა, შეათვალიერა და დრუნჩით თითქო რაღაც ანიშნაო.

_ სად მივდივარ, რას გავრბივარ, ნეტა ვიცოდე!.. მხოლოდ მომეჩვენა... ჯერ პირად ხომ არავის შემოუდვია ჩემთვის მოღალატეობა!.. წინ-წინ რად ვიკლავ თავსა.

_ მოღალატე, მოღალატე! _ ჩაიცინა მასხარა ჩხიკვმა და კოდალა თავი გადიქნ-გადმოიქნია.

_ მოღალატე, მოღალატე! _ ჩაიჭახჭახა კუდრაჭა კაჭკაჭმა და ცალის თვალით შეაშტერდა უცნაურს ადამიანსა.

_ მოღალატე, მოღალატე! _ ჩაიღრუტუნა კუდის გრეხით ქუცუნიამ და ღობეს დრუნჩი ჰკრა.

სამთა მოძახილს ბანი მისცა მთლად არემარემ და მიდამოში გაისმა ერთობლივი და ხმაშეწყობილი ძახილი: «მოღალატე, მოღალატე!»...

ბ. ღეჭოვს მოეჩვენა, რომ ყველაფერი ახმაურდა, ქვათაც კი ენა ამოიდგეს და ღაღადებდნენ: «მოღალატე, მოღალატეო!»...

თვალები დახუჭა, თითქო რცხვენოდა ბუნებისათვის თვალი გაესწორებინა. ეშინოდა, კიდევ არავინ მომაძახოს «მოღალატეო». იბრუნა პირი შინისაკენ; მორბის და ესმის, რომ თან მინდორ-ველი, მთა და ბარი, ადამიანი თუ პირუტყვი, ფრინველი თუ ჭია-ღუა მისდევენ და მისძახიან ერთსა და იმავე სიტყვას: «მოღალატევ, მოღალატევ!»...

X

ერთიხანია სოფელ-სოფელ და ტყე-ტყე დაიარებოდა ერთი ჩერჩეტი კაცი. თმა და წვერი გაერთიანებოდა, ბეწვი ბეწვს მისწებებოდა თებოსგან ისე, რომ სავარცხელი კი არა, გაალმასებული ფრჩხილები და სამურველიც ვერ გაუვლიდა შიგა. თავზე ჩამოფხატული ჰქონდა ძველი შლაპა, ჟამთა ვითარებისაგან დახვრეტილ-გახეხილი; ნახვრეტებში გუნჯალ-გუნჯალი თმა იყო ამოჩრილი; შლაპაც ისე დასწებებოდა თებოიან თმასა, რომ თავს არა სცილდებოდა, თვით მძლავრი ქარიშხალიც კი ვერ აცლიდა თავიდან. ტანზე ამ ჩერჩეტს ეცვა გძელი, დაძველებული პალტო. როგორც ეტყობოდა, ეს პალტო ერთ დროს დიდ ამბავში უნდა ყოფილიყო: საყელოდ კრავის ტყავი სდებია. ამჟამად კი ერთობ გაქუცულიყო და ხელის სისქედ ედო თებო; სარჩულად ძვირფასი ღირსების წითელი სარჩული ჰქონია გამოკრული; დღეს კი ეს ადრევ დიდებული პალტო ავს ყოფაშია; ღობე-ყორესა და ტყე-ღრეებში სიარულით შემოფლეთილა და ბოლოები ფარა-ფარად ჰკიდია; პერანგის ამხანაგიც სწორედ ამავე ყოფაშია. ჩერჩეტს კანჭებზე ტალახი შეხმობია, ბეწვებზე ასორსლებია და ზედ ჩამოჰკიდებია; ფეხისგულები ისე გასქელებია, თითქო ნალით დაუჭედიათო. ამ ჩერჩეტს ყელზე შემოკრული ჰქონდა ჭუჭყიანი ნაჭერი, ჭუჭყისა და თებოსაგან ბაწრად ქცეული, და ზედ ეკონწიალა არც თუ სისხლის ჯვარი, არც თუ ნათლობისა, ის მიაგვანდა რაღაც ნაფოტივით გატალახიანებულს ნაფლეთს ლითონისას; ეტყობოდა კი, რომ რაღაც ორდენი უნდა ყოფილიყო.

ეს უცნაური კაცი მუდამ ტყე-ღრეებში დარბოდა. სჭამდა ნადირივით ყოველივეს, რაც კი მოხვდებოდა. ეჭირა უშველებელი ჯოხი და მთელი ცისმარა დღე დასდევდა ამ ჯოხით ჩხიკვებსა და კაჭკაჭებსა; სოფლის ღორები ხომ ვერ შეეკარებოდნენ იმის საბრძანებელსა. ისე ჩარჩენილი ჰქონდა გუნებაში ამ სამი პირუტყვის სახე და ხსოვნა, რომ იმათებურ ენაზედაც კი ლაპარაკობდა: ჩხიკვივით იცინოდა, კაჭკაჭივით ჭახჭახებდა და ქუცუნიასავით ღრუტუნებდა. სოფლელები ვერ არჩევდნენ, ეგონათ, სწორედ მასხარა ჩხიკვი დაგვცინისო, კუდრაჭა კაჭკაჭი რაღაცას გვახარებსო და ქვეყნის დამქცევი ღორი აი აგერ რასმეს დრუნჩს ამოჰკრავსო. ბევრჯერ გადურჩათ ეს ჩერჩეტი სოფლის მწყემს ბიჭებს მოუკლავი. როცა ჩერჩეტი ან ჩხიკვივით იცინოდა, ან კაჭკაჭივით ჭახჭახებდა, ან ღორივით ღრუტუნებდა, ბიჭები სხარტებით მიეპარებოდნენ და აი ეს-ეს არის უნდა ესროლონ მოღერებული სხარტი და ხელში კი ჩერჩეტი შერჩებოდათ-ხოლმე; ბიჭები, თუ სხვა სოფლელები ამ დროს წყევლა-ქოქვას მიაძახებდნენ და ხელცარიელი გამობრუნდებოდნენ-ხოლმე.

ამ გაპირუტყვებულს ადამიანს ერთი ფრაზაღა შერჩენოდა ადამიანური და როცა ვინმე შეეხეჩებოდა და ჰკითხავდა ვინაობას, იმ ფრაზას იმეორებდა: «ასე, ჩემო მანასეო: ხან ისე და ხან ასეო!» გონებაში უფრო უკანასკნელი წინადადება ჩარჩენიყო, რომელსაც ერთობ მკაფიოდ და ლოგიკურის ამაღლ-დამაღლებით ამბობდა, თითქოს სურს ამ ფრაზაში გამოხატოს თავის ცხოვრების ისტორიაო. სოფლის გოგო-ბიჭები შემოეხვეოდნენ და რამდენჯერმე გაამეორებინებდნენ ამ ფრაზას და როდესაც ჩერჩეტი უკანასკნელს ფრაზას ხმის ამაღლებით იტყოდა, საჩვენებელს თითს ჰაერში გაიშვერდა და თან აქნევდა, გოგო-ბიჭების სიცილ-ხარხარს საზღვარი არა ჰქონდა.

ხანდაზმით ჩერჩეტი ტყიდან სოფლად ჩამოვარდებოდა-ხოლმე დამფრთხალი ირემივითა. ამ დროს დაერევოდა თავის უცნაურის ჯოხით შინაურს ფრინველებს,

განსაკუთრებით ღორებს და სულ მუსრს ავლებდა. იმის უცნაურს სანახაობას ძაღლებიც კი დაშინებული ჰყავდა. დაინახავდნენ თუ არა, მაშინვე მორთავდნენ ყეფასა, ერთი უბნის ძაღლები მეორე უბნისას მიჰბანებდნენ და მთელს სოფელში გაიბმებოდა საერთო ყეფა. ჩერჩეტს არ ეშინოდა ძაღლებისა, დატრიალდებოდა ხოლმე თავის ჯოხით, აქეთ ის იყო და იქით ძაღლები; დაუჭერდნენ კბილებით ჯოხსა, აეკონწიალებოდნენ ზედ. ჩერჩეტი ორ-სამ ძაღლს, ჯოხზე კბილებით მოკიდებულს, მიათრევდა; დანარჩენი ძაღლები წინ და უკან მიუხტოდნენ. მოიქნევდა თუ არა ჯოხსა, ან ხელს გააქნევდა, ძაღლები ერთმანეთს აწყდებოდნენ, წკმუტუნით გარბოდნენ და კვლავად მიესევოდნენ. როცა ეს უცნაური, არაჩვეულებრივი ყეფა ატყდებოდა, ხალხი გარეთ გამოიფინებოდა-ხოლმე, მგელი ხომ არ ჩამოვარდა სოფელშიო, მაგრამ მგლის მაგივრად ჩერჩეტი შეხვდებოდათ-ხოლმე ხელში.

პირუტყვებს ჩერჩეტისა ეშინოდათ, იმას კი ადამიანისა: დაინახავდა თუ არა რომელიმე ადამიანს, თუნდა ბავშვიც ყოფილიყო, ჩერჩეტი ძაღლივით მოიბუძგებოდა, წელში საცოდავად მოიკაკვებოდა, თავის დიდ ჯოხზე დააყრდნობდა თავსა და შიშისაგან კანკალს მოაყოლებდა. სოფელს თან ებრალებოდა, თან ეზიზღებოდა ეს მისთვის უცნაური ადამიანი.

_ ნეტავი ი ოჯახდაქცეულ მწყემსებს არ ჩამოეხსნათ ხიდან და თავი დაერჩო ბარემაც: ეგეც მოშორდებოდა ამდენ ტანჯვა-ვაებასა და ჩვენც მაგის საცოდაობის ცქერასა, _ იტყოდნენ-ხოლმე სოფლელნი იმის დანახვის დროსა.

_ საკვირველია, ღმერთმანი! ამოდენი ხანია ამ ჩვენს თემში ჩამოვარდა ეს კაცი და მაძებარი არავინ გამოუჩნდა; ალბათ უპატრონო ვინმე თუაო, _ ამბობდნენ ზოგიერთნი.

_ ვაი მაგის პატრონსა! _ იბრალებდნენ სოფლის მანდილოსნები; _ ვინ იცის, ცოლ-შვილს გამოტირებული ჰყავს და საბრალო მაგის დედას, თუ კიდევ ცოცხალია ჩაქოლვილი, ძუძუებზე ცეცხლი უკიდია. დაეძებს, ლოცვით, ვინ იცის, ხატებს პირზე ტყავი ჩამოაფხატნა, მაგრამ იმ ჩაქოლვილს ვერ უპოვნია.

სოფელმა ბოლოს ვეღარ გაუძლო იმის წარამარა ხეტიალსა, უფრო მოთმინებიდან ძაღლებმა გამოიყვანეს სოფელი. ამიტომ მამასახლისმა მისწერა ბოქაულსა:

«თქვენო მაღალკეთილშობილებავ! ჩვენს თემში ერთი უცნაური კაცი ჩამოვარდა: გიჟია, არც გიჟია; ჭკვიანია, არც ჭკვიანია; უფრო ველური კაცი, ან ჭინკას რომ მოგახსენებენ, ის უნდა იყოს. არც ნაჭამი გვინახავს, არც ნასვამი, არც მძინარე. არ ვიცით მისი ვინაობა. ან კი საიდან გავიგებთ: როცა ჩავეკითხებით რასმეს, ან ჩხიკვივით ჩაიკასკასებს, ან კაჭკაჭივით ჩაიჭახჭახებს, ან ღორივით მოჰყვება ღრუტუნსა. თუ გუნებაზეა, მაშინ ამას მღერის: «ასე, ჩემო მანასეო: ხან ისე და ხან ასეო», და თან ისეთს სამაიას ჩამოუვლის, რომ თქვენი მოწონებული. ყოვლისფრისაგან გაგვაჩანაგა, ღორის სახსენებელი ხომ ლამის გააწყოს ჩვენს სოფელში. აბა, რა ვუყოთ! მოვკლათ, როგორ მოვკლათ; მაინც, რაც უნდა იყოს, ქრისტიანი სული უდგია. გვიშველე რამე, თქვენსა მზესა, ბატონო ბოქაულო! მობრძანდით და იქნება თქვენის წყალობით საგიჟეთში ამოვაყოფინოთ თავი».

XI

უქმე დღე იყო. სოფელი მოქუჩებულიყო სალაყბოზე. «ერთობის» კაცები ძმობა, ერთობა და თანასწორობაზე ელაპარაკებოდნენ სოფლელებსა.

_ ამ «ერთობამ», ძმობას გეფიცებით, ძალიან დააშინა ქვეყანა; თითქო ყველა გადაკეთდა, გამოიცვალა, განახლდა, ყველაფერს ღაღანი გააქვს წვიმისგან გადარეცხილ ჯეჯილსავითა. აღარც ქურდობაა, აღარც ავაზაკობა, აღარც მრუშობა და აღარც სხვა რამე, ადამიანის ღირსების დამამცირებელი საქციელი. მთა და ბარი თუმცა ჯერ მთლიანად არ გასწორებულა, მაგრამ დიდი ხანი აღარ გაივლის, გასწორდება; რაკი ხალხში «ერთობა» დაითესა, გათავდა, იმის ძირს ვეღარათი ვეღარ ამოაგდებენ ხალხის გულიდანა, _ სთქვა ერთმა «ერთობის» კაცთაგანმა.

_ სახარებაშიაც სწერია, _ დაიწყო მოხუცმა, რომელიც ჩიბუხს კოწიწივით მოჰკიდებოდა და გულიანად აბოლებდა, _ დაეცა თესლი კეთილი კეთილს ნიადაგზე და გამოსცა ნაყოფიც კეთილიო. ხალხის გული კეთილი ნიადაგია, «ერთობა» კი კეთილი თესლი. კეთილისაგან კეთილი გამოვა, მა რა იქნება.

_ ვაჰ, დედასა! რა იყო უწინ და რას ვხედავთ ეხლა! _ დაიწყო მეორე მოხუცებულმა. _ განა უწინ კი არ იყვნენ «ერთობის» კაცები თუ!!. იყვნენ, იყვნენ! მაგრამ სად იყო ჭკუა, რომ არას ვუგონებდით; იმათთვინ რომ გაგვეგონებინა, ეხლა ბევრი სისხლის ღვრა აღარ დაგვჭირდებოდა. აი ყური დამიგდეთ: ერთხელ აი ამ ჩვენ სოფელში ორი კაცი მოვიდა; ისე მოგვინადირეს უცბად ტკბილის ლაპარაკითა, რომ ერთმანეთს გული ქაღალდივით გადვუშალეთ, თითქო დიდი ხნის ნაცნობებივითა. ბოლოს ერთმა იმათგანმა უბიდან ამოაცოცა ხელნაწერი და წაგვიკითხა ერთი ამბავი... ზღაპარიაო, ასე გვითხრეს... იქ ეწერა, როგორ აძრობენ ნელ-ნელა ათასნაირი ხარჯებით ტყავსა გლეხობასა. აძრეს ნელ-ნელა საწყალს ერთს გლეხს ტყავი, აძრეს თავიდან დაწყებული ჩლიქებამდე, ბოლოს სულ ერთიანად გააძრეს; გუდა ბატონს თურმე მიუტანეს, დარჩა ცარიელი ჩონჩხი ადამიანის ნაცვლად. შეეცოდა ერთს მადლიანს ადამიანს ეს ჩონჩხადქცეული ადამიანი, უსვა რაღაც ტკბილი მალამო, ზილა, ზილა და ახლად გაუჩნდა კანი, გაცოცხლდა ჩონჩხი, გაახილა თვალი; მოიგონა შავი დღეები; წამოდგა მდევივით და ახლა თვით გააძრო თავის მჩაგვრელებს ტყავიო და ისე გააძრო, რომ იმის ჩონჩხს სულის ჩამდგმელი აღარავინ გამოუჩნდაო. აიო, გვითხრეს იმათა, სანამ ჩვენ ხალხს ძლიერ არ დაეწვის კანი, მანამ კუდამდე ტყავს არ გააძრობენ, ხმას არ ამოიღებთ. აღსდექით, ძმებო, ჩამოვყაროთ ბატონები, დავამხოთ მისი სამთავროო. _ როგორ თუ თქვენ მთავრობა და ბატონი ახსენეთო; ბატონი სადღა გვყავს, ღმერთმა ადიდოს ბატონი ხელმწიფეო, იმან არ ჩამოგვაცალა ბატონიო; რაებს მიედ-მოედებითო, დასჭყივლა ხალხმა და, _ ჰეიი! _ დავძარით, შენ ხარ ჩემი ბატონი, ის პატიოსანი კაცები და სულ კუდით ქვა ვასროლინეთ. აი ასე ვექცეოდით მაშინდელ «ერთობის» კაცებსა. ერთხელ კიდევ ერთი «ერთობის» კაცი მოვიდა ამ ჩვენს სოფელში... რაზე ეჭმევინებით ამ ბერძნის ბერსაო. მე საშუალებას გასწავლით, ე საბერო მამულს სულ თქვენს სახელზე შემოვაყორღნინებ «ზემლამერსაო». ხალხმა შეაგდო ქვა და შეუშვირა თავი, არ გაუგონა; გვატყუებს ვიღაც ოხერიაო. მამული ჩვენი არ არის, მა ვისიაო. ის კი არა თუ, ეხლა ამოდენა სისხლი დავღვარეთ ბერთან ბრძოლაში და რამდენიმე კაციც ციხეში ამოალპეს...

_ მაინც, ზურაბო, _ უთხრა მოხუცს ახალგაზრდა «ერთობის» კაცმა, _ რაც უნდა იყოს, იმათ, იმ ადრინდელმა «ერთობის» მქადაგებლებმა კეთილი თესლი დასთესეს ჩვენს გულში; ის თესლი დაფარული იყო, თბილ მზიანს დღეს უცდიდა, და აი დღეს ნაყოფი გამოაღებინა ახალმა დრომ, ახალმა მქადაგებლებმა. ქვეყანაზე კარგი საქმე არ დაიკარგება.

ამ დროს სოფლის გოგო-ბიჭებმა ჟრიამული შექმნეს. უცნაური კაცი ჩამოეყვანათ ტყიდან ბოქაულთან. ყველამ იქით მიაქცია ყურადღება.

_ კაცო, _ დაიწყო ერთმა, _ იქნება ეგ უბედური კაცი «ერთობისათვის» ციხეში იჯდა და იქ შესცდა ჭკუაზე, ბევრი პატიმარი სცდება თურმე ჭკუაზეო.

_ იმისთანა კაცს ასე უპატრონოდ ვინ დასტოვებდა... ალბათ აქ სხვა ამბავია... საიდუმლოებით არის მოცული მაგისი საქმე!..

_ სწორედ სხვა თემიდან არის ჩვენში გადმოვარდნილი, _ ჩაერია მესამე; _ ეგ «ერთობის» კაცი არ უნდა იყოს.

_ რა გქვიან შენ! _ ჩაეკითხა ბოქაული უცნაურს კაცსა, რომელიც თავის დიდ ჯოხს დაჰბჯენიყო და ხალხის დანახვაზე კანკალებდა. _ შენი სახელი, კაცო, შენი!! _ ჩაჰყვირა ყურში ბოქაულმა, ნიკაპში ხელი მოჰკიდა, აუწია და კვლავ ჩაეკითხა: _ ნუ გეშინიან, ნუ! რად კანკალებ? მითხარი!..

_ ხან ისე, _ უჩვენა თითით ყელზე ჩამოკიდებულ ლითონის ნატეხზე და პალტოს წითელ სარჩულზე, _ ხან ასე, _ უჩვენა დაშაშრულ ფეხებზე.

_ არაფერი არ მესმის, _ სთქვა თავის ქნევით ბოქაულმა.

ამ დროს ბავშვებმა ტაში დაჰკრეს. უცნაურმა კაცმა გაშალა ხელები, თავის ჯოხით ჩამოუარა სამაია და თან ღიღინებდა:

_ «ასე, ჩემო მანასეო: ხან ისე და ხან ასეო».

სამაია რომ გაათავა ამ გაველურებულმა კაცმა, ხალხიდან გამოერჩა ერთი ახალგაზრდა, რომელსაც რუსულ ქუდზე ორეტაჟიანი კაკარდა ეკრა. ახალგაზრდას ულვაშები ყალყს შეეყენებინა და ნიკაპზე ერთობ შნოიანი «ბულანჟე» დაეყენებინა. ეს «გაბულანჟებული» ახალგაზრდა მიუახლოვდა უცნაურ ადამიანს, ჩააშტერდა სახეში, გადუწია თმა-წვერი. ჩაფიქრებული გამობრუნდა, გადიწერა პირჯვარი, თავის «ბულანჟეს» ძალზე დაუწყო წეწვა და თავჩაკიდებული წარმოსთქვა:

_ დიდება განგებასა შენსა, უფალო!

ყველამ თავი ააღირა და სმენად გადიქცნენ.

_ რა იყო? იცანი? _ ჩაეკითხნენ აქეთ-იქითგან.

_ რაღა რა იყო! ეს კაცი დიდებული კაცია, გენერალი კაცი!.. მე მაგისი გაბედნიერებული ვარ!.. ეგ ერთ დროს სათავეში უდგა დიად საქმესა, გვერდში უდგა იროდიონ ვოროტილოვს და ერთად შეიმუშავეს გეგმა არარუსთა ერების გადაგვარებისა... ერთი ხანია გამოვარდა სახლიდგან და მისი ასავალ-დასავალი დღემდე არავინ იცოდა... ეს კაცი იუდა თადეოზის ძე ღეჭოვია.

_ ჰმ! ღეჭოვი!? _ სთქვა გაბტყელებით ბოქაულმა.

_ ააა, აის მოღალატე?! _ იგრიალა ხალხმა. _ თვით ბუნებას დაუსჯია იგი. შორს ჩვენგან შენც, ღირსეულო მოწაფევ ღეჭოვისა, რომელმაც ჩვენს წინაშე გუნდრუკი უკმიე მაგასა და ვოროტილოვის საგმირო საქმეებსა.

სიტყვა _ «მოღალატე» ლახვარივით დაესო იუდას გულსა, ემცნაურა ეს სიტყვა და ხალხის გრგვინვა თვალწინ წარმოუდგა. იგი ერთს წამს თითქო მოცნობილდა, გამოერკვა და პირუტყვივით დაიბღავლა.

_ ჰო, მე მოღალატე ვიყავ!

კვლავ ჩვეულებრივად გაშალა ხელები, ჩამოუარა სამაია და დაიმღერა თავისი ლექსი: «ასე, ჩემო მანასეო: ხან ისე და ხან ასეო».

_ მაშინ ისე, ახლა კი ასეო!.. დიახ... ცუდი დრო დაგვიდგა: ჩვენი ბოლო ეს არის! _ თავის ქნევით ჩაილაპარაკა ბოქაულმა და ბ. ღეჭოვი წაიყვანა საგიჟეთში.

1905

ზეციერო, გამიღიმე...

1

გარედ ჯოჯოხეთი ღამე იყო; არც წვიმას ჰგავდა, არც თოვლსა, ცა რაღაც კოხის მსგავს ნამცეცებს ისროდა; შავი ღრუბლები ჩამოწოლოდა არემარეს, თითქო ქვეყნიერების შთანთქვას ლამობსო. და ისე აღრიალდა ზენა ქარი, ცივი, როგორც სეტყვა, ზმუოდა, ღრიალებდა. სოფელიც სდუმდა, არსით ხმა, არსით ძახილი. კვლავ შობის საღამოს მთელი სოფელი ახმაურებული იყო ხოლმე, დღეს კი იქაც ჯოჯოხეთია. ბუნების ჯოჯოხეთი სულის ოჯახის ჯოჯოხეთს ხელს უწყობს. თუ გარეშე ბუნება ზმუის, ღრიალებს, ჩამოშავბედებულია ადამიანთა ბუნებაც, მისი გული და სულიც ზმუის, კვნესის, ღრიალებს, მისი გული ჩაშავებულია, მისი სული დაღვრემილია, ვარმისაგან აბობოქრებული. დრო-ჟამში სოფელს, მის მცხოვ-რებელს გული და სული გაურეცა, წაართვა მოსვენება, მოჰგლიჯა გულიდან ძვირფასნი საუნჯენი, რომელთა საფლავიც კი ვერ იშოვნეს და სადღაც ყორნებისა და მგლების კერძად გახდნენ.

ჯოჯოხეთი ტრიალებდა გაბრიელ მღვდლის ოჯახშიაც. სამი ვაჟიშვილი მოსტაცეს. ორის ასავალ-დასავალი ვეღარ გაიგეს, მესამე სწერდა: «ნუღარც ჩემი იმედი გაქვთ, ისეთ ალაგას მგზავნიან, საითკენაც წასული ბევრი გვინახავს და უკან დაბრუნებული კი აღარაო. ვაი, რომ უნდა ჩავკვდე უცხო ალაგას, ჩემმა მშობელმა მიწამ არ მიაკვანოს და მშობელთა ცრემლი არ დამეპკუროს სისხლიან მკერდზე».

დედა მართა პირსა და თავს იხოკდა, ცრემლის წყარო გასდიოდა. გაბრიელ მღვდელი კი ჩიოდა, ცრემლმა თვალები ამომწვა, შემიწყდა ცრემლი, გულზე ბოღმას აღარ მაშორებს, ბოღმა მაღრჩობს, ღმერთმა ჩემთვის სიკვდილი არ გაიმეტაო. სახლი დაცარიელებული იყო, მხოლოდ შვილისშვილი ჰყავდა ნუგეშად, რომელიც ის იყო, ქალაქიდან მოვიდა სწავლის შეწყვეტის შემდეგ.

ქარი კვლავ ზმუის, ღრიალებს, აჭრიჭინებს გაბრიელის ოთახის კარებსა, პატარა ჭრაქი ანათებს ოთახსა. ღამე გატყდა, მამალმა ყივილს უმატა, მამა გაბრიელს დიდი ხანი ღვიძავს, ძილი არ ეკარება მისს ამოშრეტილს თვალებსა, ფიქრებმა გადიტანეს.

_ ეეჰ, წუთი სოფელო!.. ჩვენზე მოიცალე რაღა!.. ოროლი შვილი ომის ღმერთს შევწირე... რათა, რისთვის? ჩემო რაო!.. ეეჰ, რუსთველმა კარგა სთქვა:

«ვაი სოფელო, რა შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა...
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა,
მაგრა ღმერთი არ გასწირავს, კაცსა შენგან განაწირსა».

—მამა ზეციერი, იმისმა მადლმა და ძალმა! არ გასწირავს იმ ერთად ერთს-ღა შვილსა. ზეციერი ჩვენც გაგვიღიმებს... მართა, მართა!.. _ გადასძახა ცოლსა.

მაგრამ მართა სახლში აღარ იყო. იგი პირველ მამლისყივილისასვე წავიდა სალოცავად საყდარზე. შინ ჩამოქნილი სანთლები წაიღო და წავიდა. ჯერ მღვდელს ცისკრის ზარიც არ დაერეკნა, მართა კი გაიჭრა იმ ტევრა ღამეში.

გაისმა ცისკრის ზარის ხმა!.. მისმა ხმამ თითქოს ღამის წყვდიადი გააპო, ჯოჯოხეთის ძალნი ძირს დაეცნენ, ხალხის გულს ერთ წამს სიამე ჩაადგა, ნუგეშის ხმად გაუხდათ ზარის წკრიალი და ემალამოვათ.

მამა გაბრიელმა წამოიჩოქა ლოგინზე და შეჰღაღადა ზეციერსა:

_ «დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება!..» ძეო მღვთისაო, მშვიდობა შენი არ შეიწყნარა ქვეყნიერებამ, სისხლის ღვარი სდის, სათნოება შენი, შენ მიერ ქვეყნად კაცთა შორის დათესილი, ფეხქვეშ გასრისეს ძლიერთა ამა ქვეყნისათა, სიკვდილია გამეფებული მათ მაგიერ... ვაი, სიკვდილო, სად არს საწრეთელი შენი, სად არს ბოლო შენი!. დიაღ! «ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი, მისგან გასწორდეს ყოველნი სუსტნი და ძალგულოვანნი», დაილოცოს რუსთველი, სანუგეშებლად მის სიბრძნეს მივმართავ ხოლმე. ჰო და! სიკვდილია მეფე, მის წინაშე ყველა მუხლს იდრეკს _ სუსტნიც და ძლიერნიც ამა ქვეყნისა... ესეც ერთი ნუგეშია ჩემისთანა გამწარებულისათვის.

საყდარში ქვითინი ისმოდა. მთელი სოფელი მგლოვიარედ იყო, ყველა ოჯახს მოხვდა სიკვდილის ცელი, ომში ვის ძმა მოუკლეს, ვის შვილი, ვის მამა. საერთო ქვითინია. საერთო გლოვა. მათს ქვითინ-გლოვას ქარი ბანს ეუბნება, გლოვის სიტყვებს ქარი იქა-აქ მიარბენინებს, ღრუბლებს ესვრის, ცას, ვარსკვლავებს. ბუნებაც შეწუხდა, მოიღუშა, იგიც ტირის და ხალხის გლოვას ბანს ეუბნება.

მართას გარედ ბზის ხესთან, რომელიც ჩრდილოეთით ედგა საყდარსა, ჩაეჩოქნა, პირქვე დამხობილიყო და ავედრებდა თავის ფილიპეს უფალსა.

_ ზეციერო, გამიღიმე! ეს ერთადერთი შვილი-ღა შემრჩა, გადამირჩინე ცხელ ტყვიასა. კმარა, ზეციერო, რაც ჭირი გამოვიარეთ. ორი შვილი მსხვერპლად შევწირეთ ომის ღმერთსა, ქმარი მიბრმავდება, წელში გაიკაკვა და საპყრად მირჩება. მაკმარე ზეციერო, მაკმარე!

კარგა ხანს იყო დაჩოქილი და ხან ხელგაპყრობილი ცას მიმართავდა, ხან დაემხობოდა მიწაზე, ჩაჰბღუოდა, ცას და დედამიწას შველას სთხოვდა. გული მოიოხა გარედ ლოცვითა, შევიდა საყდარში, ღვთისმშობლის წინ სანთლები დაანთო და თვისი ქვითინი სხვათა ქვითინს შეუერთა.

საყდარში გლოვის ზარი იდგა. მღვდელ-მედავითნეც გლოვის ხმაზე ლოცულობდნენ. იმათთვის სიკვდილის ხილვა, გლოვა-ტირილი არ ახალია, ძველია, მაგრამ ამ საერთო გლოვას იმათზედაც კვალი დაეჩნია.

გათენდა. თოვლს თხელი ზეწარი გადაეკრა ბუნებისათვის, ფიფქი ბრჭყვიალებდა, ზედ ბეღურები დაცუნცულებდნენ აბუზულნი, ხან ასკინკილაობდნენ, ცალს ფეხს ეტყობოდა ითბობდნენ, რომ მერე მეორე გაეთბოთ, დაეძებდნენ საზდოსა, ჰქექდნენ ფიფქსა და მის ქვეშიდან ქვიშა თუ გამოჰქონდათ ნისკარტითა.

მზის სიცხადემ მგლოვიარეთაც გულზე ცოტა მოუშვა.

_ შვილო, სანდრო! _ გადაელაპარაკა მამა გაბრიელი შვილი-შვილსა, დიდედა არ მოსულა?.. აბა, შვილო, გადაშალე, პაპა გენაცვალოს, მათე და ლუკა მახარობელთა მეორე თავი, მომეცი, ამ დამწვარის თვალებით გადვიკითხო. ყური დამიგდე, შვილო! _ და მამა გაბრიელმა ზეპირად მორთო კითხვა მშვენიერს კილოზე, თუმცა წიგნი გადაშლილი ჰქონდა.

_ აი, ხომ გესმა, შვილო! ძლიერნი ამა ქვეყნისანი ღმერთსაც კი არ ინდობენ მოსაკლავად. ქვეყნად მშვიდობისა და სათნოების მომტანს ირიდე მეფემ მოკვლა

დაუპირა და აღხოცა უამრავი ყრმანი, «რომელნი იყვნენ ბეთლემს და ყოველთა საზღვართა მისთა, ორით წლითგანი და უდარესი». აი აწცა დაგვიდგა იგივე ჟამი, განმეორდა ნუგზარ ერისთვის დრო: «ნუგზარ ერისთვის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო». მაშინდელი სისხლის წვიმები ვით შეედრებოდა აწინდელსა. დღეს ნიაღვრები მოვარდა სისხლისა, კოკისპირულად მოდის სისხლი, დედა მიწა გაიჟღინთა, ვეღარ იტევს... ოი, უფალო, უფალო! გული გამიშრა, სული გამომეფიტა! აკმარე ხალხს ცეცხლის კიდება!.. მაგრამ ღმერთმაც ხელი აიღო, აიღო იმიტომ, რომ იგიც აღარა სწამთ, მისი კანონები გაიქელა...

ასე ქადაგებდა თავისათვის გაბრიელ ხუცესი, როცა გაყინულ-გაცრეცილი შემოვიდა მისი საცოდავი ჯალაბი მართა.

_ გწყალობდეთ შობის დღე! _ წუწუნით მიესალმა მართა ოჯახსა.

_ მართა, საცოდავებისათვის ტაბლა გაამზადე და აკურთხებინე მოძღვარსა.

3

შობა დღეს შეწუხებულმა, დადარდიანებულმა ხალხმა მაინც მოიყარა თავი სოფლის კანცელარიასთან. ჯერ მდუმარებდნენ, ხმის ამოღება, ერთმანეთთან გამოლაპარაკება ეზარებოდათ. მაგრამ გაჩნდა სოფლის მასწავლებელი, საყვარელი ადამიანი ყველასი, მიულოცა დღესასწაული და შეათვალიერა ყველანი.

_ ჩვენთვის, დიმიტრივ ჩვენო, სადღაა ან შობა-ნათლიღება, ან აღდგომა! _ გამოიღო პირიდან ჩიბუხი ერთმა ჭარმაგმა გლეხმა, აიღო მაღლა თავი და თვალებში შეაცქერდა მასწავლებელს. _ ოჯახი აღარ არის ამ სოფელში, რომ შავი ძაძა არ ეცვას. გაგვწყვიტა წელში ამ ომმა; შიმშილი ვიჩივლოთ, წყურვილი, თუ სიკვდილი!..... რა წერია გაზეთებში? რაო, ბოლო არ უნდა ჰქონდესო ამ წყეულ ომსაო? ჰა, დიმიტრი? _ შეეკითხა გლეხი მასწავლებელს დიმიტრისა. _ კაცო, რა ღმერთი გაუწყრათ, ამოდენა ჯეელი ხალხი დაეხვია ი ნემეცებსა, როგორ ვერ წააქციეს... აიბე, აიბე! სწორედ ხიზაბარელი ყოფილა ი დალოცვილი შვილი, სწორედ! გააქნ-გამოაქნია თავი მოსულმა და კვლავ ჩიბუხს დაუწყო წრუპვა.

ხალხი სმენად გადაიქცა, ყველა თვალებში შესცქეროდა დიმიტრისა, აცა-დაცა რას იტყვისო.

_ მალე მტერი მოგიკვდეთ, მალე ომი გათავდეს, ერთმანეთს შეეწყვიტებიან, მამლაყინწებივით მოითეთქვებიან, ერთი აქეთ დაეცემა, მეორე იქითა... ეხლა ზავზეა ლაპარაკი, ზოგი ჯიუტობს, მაგრამ ჯიუტობით არა გამოვა-რა, ბოლოს დაყაბულდებიან შერიგებას. ჯერ გერმანიაა გამარჯვებული, ჯერ ისა ხიზაბარელობს, ყველა წააქცია. მართალია, ჩვენც დიდი ყათლანი მოგვივიდა, ამხანაგებო, მაგრამ ჩვენ შვილებთაგან დანთხეული სისხლი ცამდე ღაღადებს, მსხვერპლად მიდის ღმერთთან, იქ ზეცაში იწერება ყველაფერი. იმათ სისხლსა და ძვლებზე აშენდება ახალი საქართველო!

_ აი შენს პირს შაქარი, შენს პირს შაქარი! ნეტა აგრე შენს სიცოცხლითა, მაშინ სიკვდილს ვიღა იჩივლებს, თუ ჩვენს შემდეგებს ეშველებათ რამე, _ გაიხუმრა ხალხმა.

_ ეეჰ, დიდი ხალხი კი ჩანთქა ამ ომმა, დიდი! ზოგს სულ გამოეხურა კარი. აი საწყალი ჩვენი ნამოძღვრალი გაბრიელ მღვდელი სულ დაიღუპა, საცოდავს ცრემლმა თვალები დასწვა. იმისი ჯალაბი მართა ხომ ჩრდილს დაემსგავსა, _ სთქვა ჩიბუხიანმა.

_ არა, კაცო! ამისი მთქმელი არა ვინ არის, რომ რათა ვხოცავთ ერთმანეთსა, დამიშავა იმ კაცმა, რო ვესვრი, ან მე რა დავუშავე, რო ის მესვრის, _ ჩაერია ლაპარაკში მეორე მოხუცი.

_ ჩვენისთანა პატარა ერები, _ დაიწყო მასწავლებელმა, _ დიდმა სახელმწიფოებმა ლამის ჩაყლაპეს, გაბეგრეს, სული ამოართეს. ეს მოიდეს მიზეზად ზოგიერთებმა, პატარა ერები უნდა გავანთავისუფლოთო, ყველამ თავისთვის უნდა იცხოვროსო, თავისი სამეფო ჰქონდესო. აი ამაზე ატყდა ომი, მაგრამ ი პატარა ერები კი შიგ შუაში გამოჭყლიტეს. აქლემები წაიკიდნენ და კოზაკები გამოჭყლიტეს...

_ მაშ ჩვენც გვეღირსება რამე? ჰა, დიმიტრი! შენ როგორა გგონია?

_ უნდა ხმა ამოვიღოთ, ისე ვინ რას მოგვაშავებს!.. ხელგაუნძრევლად, ხომ ხედავთ, აღარა მოდისრა...

ამ დროს იასაული გამოჩნდა კანცელარიის პირდაპირ, ხალხმა იმას მიაქცია ყურადღება.

_ აი გაუწყრა ღმერთი, კიდევ გვახარებს ვისიმე სიკვდილსა, ან სხვა რამე უბედურებასა.

მამასახლისი გამოეგება. იასაულმა გადასცა მოწერილობები. მწერალმა ჩუჩქნა დაუწყო ქაღალდებსა.

_ კიდევ ზარალი, კიდევ სიკვდილი და უბედურობა!.. _ წარმოსთქვა მწუხარედ მასწავლებელმა როცა დაათვალიერა ქაღალდები... _ დაჭრილია პავლე ანდროს ძე კვირიკაშვილი, სოფლათ არიან ავად ათანასე პავლიაშვილი, კირილე ბონდიაშვილი, გარდაიცვალა ჭრილობისაგან ნამასწავლებლარი ფილიპე გაბრიელის ძე ჯამბარაძე...

_ უჰ, უჰ! ჩვენი ნამოძღვრალი გაბრიელის შვილი... ვაი, საცოდავობავ! გამოეხურა საცოდავს კარი!.. ვინ უნდა გაუმჟღავნოს იმ უბედურებს?!.

_ იქნება ეგ ერთი შვილი მაინც ეღირსოს მშობლების დატირებასა, ახლო ქალაქშია გადაცვლილი. მიცვალებული მოუსვენოთ სახლში საწყლებსა!.. _ გაიხმაურა ხალხმა...

_ რა შობა გაუთენდათ!.. მთელი ცისკარი დაჩოქილი ლოცულობდა საბრალო დედა მისი მართა.

_ ღმერთმაც ხელი აიღო და კაცმა ხომ დიდი ხანია!

ხალხის ყრილობამ გადასწყვიტა, უთუოდ მოასვენონ ფილიპე. გამჟღავნება მისი გარდაცვალებისა იკისრეს მასწავლებელმა და მამასახლისმა.

ლოგინად ჩავარდნილი გაბრიელ ხუცესი ამ დროს ოცნებობდა: წარმოუდგა, ორი უფროსი შვილი ტყვედ არიან უთუოდ, იმიტომ არა ისმის-რა. ფილიპეს ღმერთი აჩუქებს. აი ვითომ კიდეც მოუვიდა, გადაეხვია ფილიპეს... დანაოჭებული შუბლი გაეხსნა, სახე სიამოვნებით აუციმციმდა. დედის გული კი სხვანაირად სცემდა, მართას ლურსმანივით ჩაერჭო სულსა და გულში ის უბედური აზრი, რომ ვეღარც ფილიპეს იხილავს. იგი ზუზუნებდა, გულხელდაკრეფილი იჯდა და კალთა მდუღარე ცრემლით ევსებოდა.

კარი შემოჭრიალდა, დიმიტრი და მამასახლისი გამშრალნი გაჩერდნენ. მართა წამოვარდა და შეჰყვირა:

_ რის მახარობელი ხართ? კეთილისა, თუ ბოროტისა? იქნება ზეციერმა გამიღიმა!

_ არა, შე უბედურო! ზეციერი აღარავის უღიმის...

მართა შეტორტმანდა და მოჭრილ ხესავით ზღართა მოიღო.

გაბრიელ ხუცესმა დაიჩოქა, ხელები განაპყრა, რამდენსამე ხანს ტუჩები აცმაცურა, გაალმასებულის სახით იცქირებოდა მაღლა-მაღლა, ბოლოს დაემხო პირქვე და დაიღმუვლა:

_ შენც უსამართლო ყოფილხარ, ღმერთო!

_ განისვენოს, _ სთქვა დიმიტრიმ. _ სოფელმა ვუპატრონოთ ობოლსა.